საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

მექა ხანგოშვილი

ვანიანი პერსონაჟები ქართულ მწერლობაში

„მერანი"
თბილისი
2007

რედაქტორი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ამირან არაბული

• • •

რეცენზენტები:

ლალი თიბილაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

გიგი ხორნაული

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ნინო ბალანჩივაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

• • •

მხატვარი

ნათელა ცათიაშვილი

• • •

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ილნარ გორელიშვილი

ნათელა ტალახაძე

ISBN 978-99940-0-615-1

© მ. ხანგოშვილი, 2007

წინასიტყვაობა

ძისტის ძალის მოწოდება

მექა სანგოშვილს ქველა იცნობს საქართველოში. მან თავისი სატელევიზიო გამოსვლებით დაამახსოვრა სალხს თავი. ისეთ დროს, როცა მისი ორივე სამშობლო ქისტეთიცა და საქართველოც მეტისმეტად დიდი განსაცდელის წინაშე იდგა. მართალია, ის უბედურება ჯერაც ჩავლილი არ არის, მაგრამ მაშინ მთლად უოფნა-არუოფნის საკითხი იდგა. ჩვენი ჯირით გაუმაძღარმა ბოროტების იმპერიამ საუკუნეების მანძილზე ნაცადი შხამი და ცესლი თანამედროვე ტექნიკის საშუალებებით უფრო ძალუმად გადმოანთხია. მიუხედავად ამისა, სასწაულებრივად გმირ, თითქმის შიშველი ხელებით მებრძოლ ჩეჩნებთან ბევრს ვერაფერს გახდა. თავის სიძლიერეში დარწმუნებულმა გამმვინვარებულმა დათვმა, ასევე მრავალჯერ ნაცად ბინძურ მეთოდს მიმართა სალხების ერთურთზე გადაკიდების უსირცხვილო ხრიკებს. რუსთაან გადმოგდებულ ამ ჟანგიან ანკესს არასოდეს წამოეგებიან მთიელნი, ქალაქის გარეგნულმა ბნელმა ძალებმა კი სიამოვნებით ულაპეს. ქისტი და ქართველი სალხის საუკუნოვან ძმობას საფრთხე დაემუქრა.

და, აი, ამ ბოროტების წინააღმდეგ გამოსულ ქისტ და ქართველ მოწინავე ეროვნულ ძალთა შორის გამოჩნდა მექა სანგოშვილი. მან თავისი მომხიბლავობით, გულწრფელობითა და ჯკვიანური მსჯელობით იმთავითვე მიიპყრო ტელემაყურებელთა ყურადღება. აღსანიშნავია, რომ მექა ძალზე ტიპური წარმომადგენელია ქისტი (საერთოდ მთიელი) ქალისა. ის უხვად არის

შეძლებული იმ მაღალი ზნეობრიობით იღვაწეობით და სიძლიერით, რაც ქისტი ქალებისათვის არის დამახასიათებელი. მასაც, სათნოებისა და სიკეთისთვის მოწოდებულს, გასაჭირის ჟამს შეუძლია ბუ ვეფხვად გარდაიქმნას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს გასაჭირი სამშობლოს გასაჭირია.

მექა ხანგოშვილი ხმალშემართული დადგა ქისტთა (მთლად ვაინახთა) და ქართველთა ურღვევი ძმობის სადარაჯოზე. ის ღირსეულად აგრძელებს ჰანკისელი ქისტების, კერძოდ კი თავისი ოჯახის ტრადიციებს. მისმა მამამ, ხასო ხანგოშვილმა, ერთ-ერთმა „უხუცესთაგანმა“ ამ ცოტა ხნის წინ (2005) წელს გამოაქვეყნა 600 გვერდიანი ისტორიულ-ჰოპულარული ნაშრომი „ქისტები“. ეს არის ბრწყინვალე მონოგრაფია, რომლის მსგავსიც არ დაწერილა არც ქისტებზე და არც ქისტ-ქართველთა ურთიერთობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მასწავლებლის მიერ დაწერილი წიგნი სამეცნიერო-ჰოპულარულია, მასში ისეთი ფაქტებია გამოძიებული და გამომზეურებული, რაც სპეციალისტებისთვისაც კი ნაკლებად ან საერთოდ არ იყო ცნობილი. ავტორი კი მაინც თავმდაბლობს და წინასიტყვაობას ასეთი სიტყვებით ამთავრებს: „მკითხველს ვთხოვ გამოიჩინოს მოთმინება და მიმტევებლობა ნაშრომის ნაკლოვანებებისადმი და გაითვალისწინოს, რომ ავტორს ამოძრავებდა ერთადერთი მიზანი: აღედგინა ქისტების შელახული სახელი და ქისტებისა და ქართველობის ის საღი, უზადო, ისტორიულად ჩამოუალიბებული ძმობა და მეგობრობა, რომლის დასარღვევადაც იღვწის ორივე ხალხისა და მთელი კავკასიელების მტერი“.

ყოველმხრივ მტკიცდება, რომ კავკასიელთაგან ქისტები და ქართველები ყველაზე ახლო ნათესავები ვართ თავდაპირველი ჯიშ-ჩამომავლობით. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ჩვენი

საერთო ტრადიცია მაგალითად იყო ქისტებიც და ქართველებიც თავს მგლის შვილებად თვლიან. ქისტების (ჩეჩნების) ჰიმნი ასე იწყება: „იმ ღამეს ვიშვით, როცა ლეკებს ურიდა ბუ მგელი“, ხოლო ქართველებს ძველი მეზობლები მგლებს გვეძახდნენ, მათ შორის, მაგალითად, სომხები „ვრაც“-ებად მოგვიხსენიებდნენ, რაც ქართულად მგელს ნიშნავს. ამიტომ ჰქონდა ვახტანგ მეფეს მუზარადზე მგლის თავი გამოსახული, რის გამოც სპარსელებმა „ვორგასალი“ „მგლისთავა“ შეარქვეს. ის კი არა, ვფიქრობ, რომაელებიც (უფრო სწორედ მათი წინაპარი ეტრუსკებიც) ჩვენი ტომისანი უნდა ყოფილიყვნენ. ლეგენდის თანახმად ხომ რომის დამაარსებელ რომულსა და მის ტყუპისცალ რემს მგელმა აწოვა ძუძუ მდინარე ტიბრისაგან გამორიყულებს.

ცალკეული მტრობის ფაქტებიც იყო, მაგრამ ძირითადად მაინც ძმებივით ედგნენ ერთურთს მხარში ქისტები და ქართველები. უძველესი დროიდან მომხდურთა წინააღმდეგ გამართულ უთანასწორო ომებში ისინი ქართველებთან ერთად აკვდებოდნენ მტერს. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, 1814 წელს შატილის გადასაწყვავად დაძრულ რუსთა დივიზიებს ერთმუჯა ხევსურებთან ერთად რომ შეებნენ ერთი მუჯა ქისტები სოფელ გუროსთან და მათთან ერთად ჩაიხოცნენ.

გვიანობამდე სარწმუნოებითაც ერთნი ვიყავით - ჯერ წარმართები, მერე ქრისტიანები. მთაში, განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთში, ზოგიერთ ძლიერ სათემო სალოცავს, რჯულიან-ურჯულოთა სალოცავებს ეძახიან. ხსოვნაა იმისა, როცა ქისტებიც ისევე მოდიოდნენ ამ სალოცავებში საკლავ-საწირავით, როგორც თვით ფშაველ-ხევსურნი, მაგრამ იმისი ხსოვნა აღარ არის, მაშინ ისინი „ურჯულონი“ (მუსულმანები) კი არა, ქრისტიანები რომ იყვნენ. თუმცა არც ადრე და არც დღეს რელი-

ციურ ცავცუვადობას ხელი არ შეუშლია საერთოერთად. არც ჩვენა ვართ ფანატიკოსი ქრისტიანები და არც ქისტები არიან ფანატიკოსი მუსულმანები. ჩვენ უველასი უფრო მაინც წარმართი მთიელები ვართ. ქისტეთში ნადიროობს დროს არ მახსოვს ვინმეს უარი ეთქვას ქართული ღვინის დალევაზე, ჰანკისელ ქისტებზე სომ ზედმეტია საუბარი. ქართველებისადმი გულით მინდობილნი (და არა ზოგიერთი მეზობელივით ქვეყვამხედვარი და ჩასაფრებულნი) მეტწილად ქართულსა და ქართული ცხოვრების წესს არიან ნაზიარებნი. ქართველებთან ერთად დაიარებიან ქართველთა სალოცავებში, საკლავებს ქართული წესით სწირავენ, ეკლესიებში სანთლებს ანთებენ. ჰანკისში ქისტების ერთ-ერთი სოფლის ჯოყოლოს ცენტრში საკუთარი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაცა აქვთ. ომალოელების (ჰანკისელი) სალოცავებია თუშოლისა (ღვთისმშობლის) და კოპალას ნიშები. სოფელ ბირკიანელების სალოცავია უურის წმინდა გიორგის ეკლესია. უველა ჰანკისელი ქისტი დაიარება ალავერდისა და თუთრი გიორგის (აწეურის) დღეობებზე.

ჯერ კიდევ მთაში ცხოვრების დროს, ერთი ზნისა და ხასიათის სალხს, ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ჰანკისში ჩამოსახლების (ქართველ თავადთა ინიციატივით, მოთარეშე ლეკებისათვის გზის ჩასაკეტადაც) შემდეგ კი ბევრი რამ შეითვისეს ბარის ქართველებისაგანაც და განსხვავებული ბევრი აღარაფერი დარჩა. იმდენად, რომ ისინი შესაძლებელია საქართველოს ერთ ტომადაც კი მოვიაზროთ, როგორც ამას ეთნოგრაფები ვარაუდობენ. თითქმის შეერთდა უხსოვარ დროს გაყრილი გზები. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, მომხრე ვიყოთ თავისებურებათა სრული წაშლისა, ისევე როგორც ჩვენი მთის კუთხეებისა, მათი ლამაზი ტრადიციებისა.

აი, საიდან იღებს საიუსს მუქა სარჩოშეკლი და მისი წინამდებარე ნაშრომი „ვაინახი ჰერსონაჟები ქართულ მწერლობაში". ეს არის მადლიერების გრძნობით ნაკარნახევი კიდევ ერთი გათლილი ლოდი, კიდევ ერთი ცობი კვერცხის გულგარეული დულაბისა ქისტ-ქართველთა ძმობის ციხე-ბურჯის გასამკვიდრებლად. ნაშრომი საინტერესო იმითაც არის, რომ ავტორი მხოლოდ ჰასიური აღმუსხველი კი არ არის ფაქტებისა, არამედ ბევრ რამეს აზუსტებს ქისტური თვალთახედვით აი, თუნდაც ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში" ზვიადაურის ახალი მკვდრის, დარლას საფლავზე დაკვლის ამბავი. ჩვენ ესე ვიცით: თითქოს ეს ქისტური წესია, სინამდვილეში კი ირკვევა, რომ ქისტებისთვის ასეთი რამ ცნობილი არ არის, თანაც თურმე ყურანიც კრძალავს. იქ რომ ეოფილიყო, მაშინ ჩვენთანაც იქნებოდა. ჩანს ვაჟამ რალაც კერძო, ერთეულ შემთხვევას მოჰკრა ყური და ეს დაუდო ჰოემას საფუძვლად, ჩვენ კი განვაზოგადეთ.

ვაჟკაცობის ფასი იცოდნენ ქისტებმაცა და ხევსურებმაც. ამიტომ სხვათაგან გამორჩეულად აფასებდნენ ერთურთს, თუნდაც მტრები ეოფილიყვნენ. ღირსეული მტრის სადღეგრძელო - „კა მტრის დალოცვა" დღესაც შემორჩენილია ხევსურეთში. მტრის ღირსება-უღირსობასთან დაკავშირებული მთიელთა შეხედულება შესანიშნავად ამოთქვა ვაჟკაცობითა და ნიჭით სახელგანთქმულმა, სამშობლოსათვის თავშეწირულმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელმა მიხა ხელაშვილმა:

„დედა მომიკლეს ფშაველებმა, სამოც-ოთხმოცი წლისაო,
მტერიც არ შემშვდა მტრისფერი ჯარ უბედური დღისაო".

არსოტში, ტანიეს, ჯისვებზე სანადიროდ გადავედი თათარა ოჩიაურთან. მარტო ოჯახს ედგა ცხვარი ქისტეთის საზღვართან.

საშიშროება სომ არაფერია დაცემისაო, ვკითხე. „არა, პირ-
ხრა, მტრობა არაფერი გვაქვს და რად დაგვცემიან. ქისტებ სამტროდაც კარგნია და სამოკეთოდაც. კაებ ძმებივით მივდ-
მავდით ერთსხვასთან, რაის მტრობა, რაის შიშიო“.

მთიელ ქართველთა შორის „ქისტი“ ეპითეტი იყო და არის კარგი, საუკეთესო ვაჟკაცისა. „ქისტივით კაციაო“ როცა ვინ-
მეზე იტყოდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ ადრესატი მკელივით სწრაფი იყო და შეუპოვარი, მოქნილი, მუხლადი.

და, აი, ამ, მთიელთა შესედულებებიდან, ქისტებთან ურთი-
ერთობის საარაკო გადმოცემებიდან თუ ზეპირსიტყვიერებიდან ამოდიოდნენ მთიდან გამოსული ქართველი მწერლები, როცა ქისტებს დიდი სიყვარულით ხატავდნენ თავის შემოქმედებაში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავნი, რა თქმა უნდა, ალექსან-
დრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა არიან. ისინი მთიულური პირ-
დაპირობით ამბობდნენ სათქმელს და სულაც არ იზღუდებოდნენ დემოკრატიული იდეებისა და ჰუმანიზმის, ხალხთა მეგობრო-
ბის უკლები მოთხოვნებით. ულირს მეზობლებს აუგად მოიხსე-
ნიებენ, ხოლო ღირსეულს ჰატივს მიაგებენ.

ალ. ყაზბეგმა სინამდვილეში მომხდარი ფაქტები დაუდო საფუძვლად თავის მოთხრობებსა და რომანებს, სადაც აღწერი-
ლია რუსი დამპყრობლების არაადამიანური მოპყრობა მთიელე-
ბისადმი, სისასტიკე და ჰირუტყვული საქციელი და ამ სისაძაგ-
ლესთან შეურიგებელი ქისტი და ქართველი ვაჟკაცების თავგან-
წირული ბრძოლა. ამის საჰირისჰიროდ კი აი რას ამბობს ოსების მიმართ და თანაც როგორ ზუსტად:

„ სალხო და ჯამაათნო! სმენა იყოს და გაგონება! აი, თქვენს წინა სდგას ორი ოსი... ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში მოვიდნენ... ხევმა მისცა მათ ბინა,

აუშენა სახლი, დაეთმო სახნავები, სევდა იქმო და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რითილა გადავიხადეს მადლობა?... ჩვენს მტერს უჩვენეს მოსაველელი ბილიკები"... ("ხევისბერი გოჩა").

ვაჟა-ფშაველიმ როგორც კაცობის მწვერვალად დახატა ქისტი ჯოყოლა და ამ დროს მისი „ჰაოს და ქართლოს", სადაც ასევე სიმბოლურად აღწერილია თუ როგორ არ უშვებს თავის სახლში ხიზანი ჰაოსი ომში მიღებული ჭრილობებისაგან დაუძლურებულ ქართლოსს.

ღირსეულთა დაფასება მხოლოდ ღირსეულთ შეუძლია. რუსი იმთავითვე ვერ შეეგუა კავკასიელთა ზნეობრიობას. ვაჟკაცობისა და ღირსების ცნება ხომ მათთვის გაუგებარია. სამშობლოს დამოუკიდებლობისა თუ თავისი ოჯახის ღირსების დამცველი, ჩეჩენი იყო თუ ქართველი, რუსისთვის ბანდიტი და ტერორისტი იყო და არის დღესაც. სამწუხაროა, რომ თავისი ეონებრივი სიმწირის გამო ბევრი ჟურნალისტი, ბევრი ქართველი „ელიტარი" ჩართულია რუსთა ბინძურ კამპანიაში და ჩეჩენ ჰატრიოტებს ბოევიკებს, ხოლო ჰარტიზანებს ტერორისტებს უწოდებენ. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე რუსული „უღლით კისერდაქლეტილი" ბარისთვისაც გაუგებარი დარჩა ქისტების ის საოცარი სიმამაცე, რომელმაც აღაფრთოვანა მთელი მსოფლიო. ამ გაუგებრობასა და სიბნელეში კი მტერი იოლად აფათურებს ხელს. სწორედ ამ სიბნელეში სინათლის შეტანის სურვილით არის ნაკარნახევი მექა ხანგოშვილის ეს მორიგი ნაშრომიც.

გიგი ხორნაული
ფილოლოგიის მეცნიერებათ
დოქტორი, მწერალი

თავი I

ძისტები ძართულ ზეპირსიტყვიერებაში

ვაინახური ტომები (ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები) უხსოვარი დროიდან საქართველოს ჩრდილოეთი ნაწილის მკვიდრნი არიან და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გავლენით ერთმანეთთან სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდათ. ამ ურთიერთობებს განაპირობებდა ისიც, რომ ქართველური მთიელი ტომები (ხევსურები, მოხევეები, ფშაველები და თუშები) ეთნოგენეზისის თვალსაზრისით უფრო ახლო დგანან ვაინახებთან.

ლეონტი მროველის თანახმად, ქართველები და ვაინახები ერთი წინაპრის, თარგამოსის შთამომავალნი არიან. თარგამოსის ერთ-ერთი ვაჟი კავკასოსი გადავიდა ცენტრალურ ჩრდილოეთ კავკასიაში, დაიკავა თავისუფალი ტერიტორია და დასაბამი მისცა ვაინახურ ტომებს, კერძოდ, მისი შვილის დურძუკის ეთნონიმის სახელით არიან მოხსენიებული ქართულ ისტორიულ წყაროებში ვაინახები. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, კავკასიელთა საერთო წინაპრის, თარგამოსის, თამისის ძის, რომელიც სახლობდა არარატისა და მასისის მთებს შორის, შვილი შვილი დურძუკი გამორჩეული მეომარი და სახელოვანი შვილი გმირი ქვეყნისა, ხასარია მიერ კავკასიის დიდი ნაწილის ოკუპაციის შემდეგ „მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა და უწოდა სახელი თჳსი დურძუკეთი“ (44,6).

ისტორიული წყაროების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ თამარის ეპოქამდე საქართველოს და ვაინახების ტერიტორიებს შორის ხასიათდებოდა კავკასიონის

წელიწადზე ოდნავ ნაკლები იყო. თაშარ მეფის სარდალი იყავით აითაბაგი, „ისტორიანისა და ასმანის“ მიხედვით, „აღუკლა მთასა ხალისასა და წარვლო წვერი მთისა, წარსდგა მთასა ფხოველთასა და ლიღოთასა, რომელი არავის ექმნა არც პირველს, არც შემდგომად, რამეთუ ერთკერძო ლაჯრჩა დურძუკეთი და ერთკერძო ლიღოეთი და ფხოეთი“ (45,111).

ამ და სხვა ცნობებზე (ვახუშტი, გ. მელიქიშვილი, ვ. გამრეკელი, ეთნოგრაფიული მონაცემები, ხალხური გადმოცემები) დაყრდნობით ნათია ჯალაბაძეც მიიჩნევს, რომ „...დურძუკეთი და ლიღოეთი ფხოეთის მოსაზღვრედ გვევლინება, ოღონდ ეს საზღვარი კავკასიის ქედის იქით – ასა-არღუნისა და პირიქითის ალაზნის სათავეებში მდებარე ხეობებით კი არ ისაზღვრება, როგორც დღეს გვაქვს, არამედ კავკასიონის ერთ კერძ ფხოეთია, ხოლო მეორე მხრივ დურძუკეთ-ლიღოეთი“ (72,17-18).

მთიელი ხალხის მიგრაცია კავკასიის ქედის ჩრდილო და სამხრეთ კალთებზე მიმდინარეობდა ანტიკურ, შუა საუკუნეებსა და გვიანდელი ურთიერთობის პერიოდებში მეტ-ნაკლები ინტენსივობით. ახალ საცხოვრის ტერიტორიებზე დასახლებაც ხდებოდა როგორც მშვიდობიანი გზით, ისე კონფლიქტური სიტუაციების შედეგადაც. ძვ.წ. აღ. III საუკუნეში ფარნავაზ მეფის ძემ საურმაგმა მასობრივად გადმოასახლა საქართველოს მთიანეთში თავისი დელეულნი (36,162).

„ისტორიკოსთა ცნობები კავკასიონის მთაგრეხილის ჩრდილო-კავკასიელ და ქართველ მთიელთა ტერიტორიების გამყოფი საზღვრის თაობაზე არ გამორიცხავს ურთიერთის კუთვნილი ტერიტორიის მიტაცებისა თუ მათზე მშვიდობიანი გზით ჩამოსახლების ფაქტს“ (72,19).

ერთმანეთის მეზობლად ცხოვრებამ, ფიზიკურ-გეოგრაფიულმა არეალმა, ანთროპოლოგიურმა, ლინგვისტურმა, ეთნოგრაფი-

ულება. მეტაფორა. განსაზღვრება ამ სამი სახეობის მსგავსი სოციალური-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა.

პოლიტიკური ურთიერთობა გამოიხატებოდა გარეშე მტერთან ბრძოლაში ქართველობა ჯარში მონაწილეობით. ასეთი სახის დახმარება გრძელდებოდა ანტიკური ხანიდან ადრეული და გვიანდელი ფეოდალიზმის ხანაშიც.

„იბერიის მეფეები (კლდეკარნი, ხაზარია წინააღმდეგ ლეკთა) ხშირად ჩრდილო კავკასიაში მობინადრე ტომები: ოსები, ძურძუკნი (ჩეჩენ-ინგუშები) და ლეკები და ამით ერთგვარი საფარი შეექმნათ. ეს ტომებიც, თავდაცვის მიზნით, არანაკლებ იცნენ დაინტერესებული იბერიასთან ასეთი კავშირით, რომლის განსამტკიცებლადაც იბერიის და შემდეგ ქართლის მეფეები ძურძუკთა ასულებსაც ირთავდნენ, გაიმოჰყავდათ მათი მოსაშვრენი და ასახლებდნენ სამეფოს ჩრდილო საზღვარზე. ამას ქართველი მემატიანის არაერთი ცნობაც ადასტურებს: „საურმაგ (ქართლის მეფე) შეკრიბა ლეკნი ძუკეთიცა და წამოემართა ქართველთა ზედა და ვერვინ წინაღუდგა მას და დაიპყრა ქართლი და მოსრნა განცრომილნი თვისნი, და განამრავლნა ლეკნი, რომელნი ტყვევანასა მას ხაზარიასა ქუეყანიდგე მშვიდობით დარჩომილიყვნეს სიმაგრისაგან ჭიყანისა და ვერღარა იტევდა ლეკნი. მაშინ ამან საურმაგ წამოიყვანნა... და დასხნა მთიულეთს, ციციეთიდგან ვიდრე ეგრისამდე და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თვისად" (44,41).

ასეთი სახის ურთიერთობები (სამხედრო დახმარება) გრძელდებოდა მეტ-ნაკლები ინტენსივობით საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში. ვაინახები ასევე იღებდნენ კავკასიის ჩრდილოეთით სტეპებში მობინადრე მომთაბარე ველური ტომების პირველ დარტყმებს და კეტავდნენ კავკასიის სამხრეთისაკენ გამავალ ველურ ხილებს და ამგვარად იცავდნენ საქართველოს ჩრდილო საზღვრებს.

არსებობის ძალიან ცნობა. რომელიც ადასტურებს ვაინახების მონაწილეობას საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. „...ქართლ-კახეთის მეზობელ ერისთავებთან ურთიერთობების გამწვავებისას, 1750 წელს, იეთმურაზმა და ერეკლემ შეკრიბეს ჯარი - იმერლები, ჩერქეზები, ოსნი და კავკასიანნი (ვაინახები). ისინი ისევე მონაწილეობას იღებდნენ 1751 წლის ომში. XVIII საუკუნის ისტორიკოსის, პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1754 წელს ნურისალეზეს ქართლ-კახეთში შემოჭრასთან დაკავშირებით იეთმურაზისა და ერეკლეს ლაშქარში იყო ჯარი ქიზიყისა და ლეკიღვისა, რომელთაც საკუთარი მეთაურები ჰყავდათ. თავიანთი მოვალეობის შესრულების შემდეგ ჯარს უბოძეს ოქრო-ვერცხლის იარაღი და ლარნი. ააგზეს სამუქრებით და გაისტუმრეს, ხოლო ამათ პირობა მისცეს მეფეს, რაგორც თქვენი ქმები, ისე გვიგულეთ და თქვენ სამსახურში მოგვცემებითო“-ო (54,176).

„რუსეთ-თურქეთის ომში 1769-1774 წწ. ერეკლესთან ინგუშები იბრძოლნენ. ქისტები ჰყავდა მას ერევანზე ლაშქრობის წინაც 1778 წელს. ხოლო 1784 წელს 400 ოსი და ინგუში მეომარი“ (72,26).

მაგრამ, ამავე დროს, ხშირი იყო ვაინახი და ქართველი მთიელების ურთიერთთავდასხმები ნადავლისათვის. დიდად იყო განვითარებული მეკობრეობა, ერთმანეთის საქონლის გატაცება, მცევრებსა და მოთარეშეებს შორის შეტაკებები. ეს შეტაკებები ხშირად სისხლისღვრით მთავრდებოდა, რასაც მოჰყვებოდა მესისხლეობა, შურისძიების ნიადაგზე მკვლელობები, რაც ხშირ შემთხვევაში უმიზნო, სასტიკ ხოცვა-ჟლეტაში გადაიზრდებოდა ხოლმე. წვრილმანი ქურდობა, თუ სხვა სახის კრიმინალი მთიელებში დიდ სირცხვილად ითვლებოდა, მაგრამ მეზობელ ტომებზე თავდასხმა, საქონლის გაძმორეკვა, ცხენის რემების მოტაცება დიდ ვაჟკაცობად მიაჩნდათ.

„ქეს'ურები, თუ'ები და ვაინახები, რომელთაც უ'ხანგრძლივი ბრძოლები, ერთმანეთ'ის მტკიცებულებას ეწ'ოდნენ, რასაც პირველ რიგ'ი პრაქტიკული მი'ანი ჰქონდა. ამგვარი საქმიანობა განპირობებული იყო სათანადო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით: მძიმე საარსებო ვითარებით გამო\'ვლილ სიღარიბის და უ'ქონლობის მიიღო ერთგვარად იესებდა მორაცებული დიდ-ლათები, საკუთარის 'ქმაწ'ებდა და, აგრე თუ კარგად, იოლად გაჰქონდა თავი. ასევე, ლაშ'ქრობის მოტივი იყო ტყვეების მოტაცება გამოსასყიდის აღების მი'ნით და დაბეგვრა. ამავე დროს, სიძნელეებთან და ხიფათთან დაკავ'ირებული ეს საქმიანობა პრესტიჟულადაც ითვლებოდა" (72, 43-44).

ამასვე ამტკიცებს გ. ცოცანიძეც, რომელიც „თუ'ურ ქრონიკებ'ში" აღნი'ნავს, რომ „1917 წ'ელს ნიკოლოზ'ს მეორის ტახტიდან ჩამოგდების 'ემდეგომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ჩეჩნეთ-თუ'ეთისა და თუ'ეთ-დაღესტანის სა'საზვრებ'ზე დაძრულა ეთნოკონფლიქტების ქარბორბალა, რომელებსაც თუმც ეთნორელიგიურად 'ეფერილს, ეკონომიური საფუძველი 'ეპირობებდა: ველობა-მეკობრეობის ინსტიტუტი თავიდან დამახასიათებელი ამ რეგიონებისათვის ახლა უკიდესი ძალით ამოქმედდა, გახ'ირდა ქისტებისა და თუ'ების, ქისტებისა და ინგუშების, ლეკებისა და თუ'ების ურთიერთ მიხდომ-მოხდომები, პირუტყვის ფარებისა და ნახირების დაპაცება (60, 6-8).

ივ. ჯავახი'ვილის ცნობით: „სხვა გვარის გაძარცვა, დარბევა და გაჭირვება, თუნდაც ეს ნავარაუდობა მკვლელობით დამთავრებულიყო კიდეც, ისეთ საქებურ და სასახელო გმირობად მიაჩნდათ, რომ მეკობრეთა ასეთ ვაჟკაცობას 'ხოჯალერ ლექსითაც 'ქებდნენ ხოლმე" (69, 225-226).

მეკობრეობისას გამ'ჩენილ ვაჟკაცობას ასევე უმღერიდა ხალხი.

რიტორიკა ცნობილია. ხალხი თავის მწუხარების, სიხარულის, აღტაცების ფოლკლორში ასახავს. იქმნება სიმღერები გმირებზე. რომლებმაც თავი ისახელეს მიმსხვერპლო მტერთან ბრძოლაში, ანდა ნაღვაწისათვის თარეშის დროს და ა.შ.

ქისტებთან მეკობრული სახის კონფლიქტებსა და იქ გაბმულ ვაჟკაცობაზე მრავალი ხალხური ლექსია შექმნილი. ცნობილია, ასეთი სახის საგმირო პოეზია მეომარ-ნაკლებად წენსენტიმენტალურია. განსაკუთრებით ეს შეინიშნება ისეთი ხასიათის ლექსებში, სადაც ავტორად რომელიმე მთქმელია. ასეთი მთქმელები, ცხადთავრესად, დასახარალებელი მხარეა და მისი იბიექტივობაც საეჭვოა.

არსებობენ მთქმელები, რომლებიც საგმირო ხოტბის შემცველ ლექსების თხზვაში სასყიდელსაც კი იღებდნენ.

მაგალითად, ხალხურ ლექსში „ფშავლების გალაშქრება მოხოთში" მთქმელი თავს ასახელებს და სასყიდელსაც ითხოვს ფშავლებისაგან ქების სანაცვლოდ:

„ე მაგის მალეშებელი
თუშეთს ვარ თუშის ქალია,
ფშაველებო, გამომგზავნეთ
კომლზე შიშაგი ცხვარია,
არც მე მოგაკლებთ ქებასა,
არ დამეხოცნენ ძმანია.." (47.71).

ან კიდევ:

„ამაგ სიმღერის მათქმაში
ბერ-კაცი ბანზე ზისათ.
ძმა მეც მამიკლეს ქისტებმა,
ყველას თავისი სწყინსათ"... (47,94).

საერთოდ, თუშური სალხური პოეზია ქისტების მიმართ ფაქტიურად ტენდენციურია. მაგალითისათვის ავიღოთ თუშური საგმირო ლექსი „მიცხიერი ჯიტის მთაზე", ამ ლექსის მიხედვით, ქისტებმა მეტეხის ციხე გაძარცვეს და გაიტაცეს ლამაზი ქალი:

„გატეხეს მეტეხის ციხე, ბოლი ადინეს ქვაზედა,
გამოიყვანეს ლამაზი, ცრემლი ადინეს თვალზედა".

ლექსიდან ჩანს, რომ ქალის გამტაცებელი შვიდი ძმაა:

„შვიდი დავზარდე წიწილი არწივის ნაბუდარზედა,
შვიდსავ უყიდე ფრანგულები, პირი უშინჯე ქვაზედა" (28,71).

გამტაცებლებმა ქეხები გადაიარეს, ქალიც თან მიჰყავთ, თავი სახლში ეგულებათ, მაგრამ ამ დროს გზაზე თოფგადაკიდებული თუში შემოეყარათ, რომელიც ომახიანად შეეხმიანა ქისტებს:

„ხეი ქისტების ბიჭებო, ვინ შემეცილეთ ქალზედა.
თუ თქვენ მაგ ქალას წაიყვანთ, ქუდი რად მხურავს თავზედა" (28,73).

თუშს თოფიც კი არ უხმარია, ხმალიც არ გამოუკენებია, მარტო ხანჯლით შეებრძოლა შვიდ ქისტს და ნახეთ საოცრება: მეტეხის ციხის გამბუხი ქისტები, რომელთაც ნაღავლად ლამაზი ქალიც მიჰყავდათ, კერძოლებივით დახოცა:

„შვიდ ქისტი, ერთი თუში გავიდნენ საომარზედა,
შვიდსავ დააჭრა თავები, მკვდარი დააწყო მკვდარზედა"
(28,72).

ეტყობა, იმდენად იყო ქისტების დახოცვის წყურვილით შეპყრობილი მთქმელი, რომ რეალობას ანგარიში ვერ გაუწია. პოეზიაში ასეთი ჰიპერბოლაც დასაშვებია.

თილიძის სახელები ლექსში თილიძეს ქისტები დაუხოცავს. მარკვლები მოუქრია და ესაყირის რახრახე სამოკიდებია. მის გმირობას აღტაცებით ხვდებიან. თილიძის ცხენი ჭითლაც ღიდად გარჯილა ამ ბრძოლაში: ტოტით სამი ქისტი მოუკლავს.

„კვავლოში ტაშებს უკრავენ, ხმა დართლოს ჩამოდისაო,
ქაჯაგნიანი თილიძე გორდაგორ გადმოდისაო,
გადაუსტება ქისტებსა, ხმლის ნაცხერ ამოდისაო,
ტახტას დაკიდულ მკლავებსა სისხლები ჩამოზდისაო.
თილიძის წითლა დაღლილი გულმოსაკლავად ხვივისა,
ტოტით სამ ქისტის მამკლავი გაურჯელობას ჩიოვისა“ (28,9).

კაი ქმის დაკარგვას სულ სხვაგვარად ხვდებიან ქისტებში. ქისტის ქალი გახარებულია. რომ მათი მოსისხლე მტერი, თუშის ბაქრაძე მოკვდა, სამახარობლოს ელოდება კარგი ამბის გამო, მაგრამ ამაოდ:

„ქისტეთში ამბად დავარდა,
დამ დაუძახა ძმასაო:
სამახარობლოს რას მომცემ,
სიტყვას გახარებ კარგსაო,
თუშებს მოუკვდათ ბაქრაძე,
გზას ვილა შეგვიკრავსაო,
ვინცა გაიგო, ეწყინა,
არცა რა მისცეს ქალსაო...“ (47,80).

ლექსში „მეცხვარენ რაღარა მხედავენ“ თუშის ნატვრაა:

“ქისტიმცე მომაკვლევინა, გან ერთი, ათი მაინცე.
ხელებს დავშჭრიდე სუყველას, მაინც წავიღებდ,
მაინცე“ (28,9).

რიტორი რესპუბლიკური არ უნდა იყოს რომელიმე მიკრონის მხარე. ფოლკლორი ხალხის საერთო საკუთრებაა და იქ სიმართლე უმთავრეს ჭეშმარიტებაში არ იკარგება. ფოლკლორი ხალხის სულის სარკეა, ნათქვამია და, მართლაც, ფოლკლორში ხალხის რეალური ცხოვრება ისახება. იგივე თქმულ ლექსებში, მიუხედავად მკრისაგან დიდი ძიძგილეულისა, სიმართლეს არ დალაპარებენ:

„უცებ გაისმა, - „დადექით", თან თოფებ გამოსტყორისათ,
დაბორიალდა ცხენ-ძროხა, გზა ვერარ გაიგისათ,
ცხენიდან გადმოხტ გიორგი, ჭარივით დაბრუნდისათ,
თოფი მოიგდო გვერდზედა, არც არას მოჰფარდისათ,
დაუმიზნ ქისტის ტიალას, მეხივით გაგარდისათ,
მაგრამ დაასწრეს რვეულებელთა, დრო არ აცალეს ცდისათ,
გაგმირეს ცხელი ტყვიითა, მოარტყეს გულის პირსათ".

(28,20).

გიორგის ამხანაგებსაც იგივე ბედი ეწიათ ამ ბრძოლაში:

„ამხანაგებიც დახოცეს, სისხლი ღვარადა დისათ,
არსადა ჩანან პატრონნი, არც მკვდრის, არც ცოცხლებისათ,
მხოლოდ მოსჩანან აქა-იქ ნაგლეჯნი საპალნისათ".

(28.21).

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში „წინას ვალსიდ მიკოლა" ქისტების გალაშქრებას ასე აღწერს მელექსე:

„პატარავ ჩვენო სოფელო,
ნადგომო გრანიცაზედა,
თავ-თავად გადათესულო,
რო მშვიდის ცხვარო მთაზედა!
რისა-რა დაგეცემიან?

მადის მუქარა ძალზედა.
დაუბარებავ მითხოთა:
„მაგყვებით წინას ვალზედა“.
აქ თუ მავიდეს ქისტები,
მკვდარ შაიდების მკვდარზედა.
ახლებო, მაიგონიდით,
ჯარეგას რა დღე გათენდა.
ჩახოცეს თუში, მშაველი
მკვდარი შაყარეს მკვდარზედა“ (47,81).

ფ'შაველებისა და ქისჯების ერთ-ერთ ბრძოლას ასე აგვი'ერს ფოლკლორი:

„ნურც გათენდება ტიალი
ორშაბათ საწყინარია,
სამშაბათ გადმაუმტვრევაგ
ჩვენი სამშობლოს კარია.
კაცნი მავიდენ ბაჩალში:
„ქისტებ გარეკეს ცხვარია“ (47,103).

ქისჯებს ოთხი მეომარი გამოეკიდა:

„წინ მირბის ნაკვეთაური
ქორ-შავარდენი ჩქარია.
უკან გამოჰყვა ბერიძე
შვიდი წლის ნაჩობნარია.
მესამე მჭედლურ გამოჰყვა
გულდინჯი, ომში ცხარია.
ჯაბაური წინ გარბოდა:
- არ ეჭამოთ მტრისა ჯავრია“ (47,103-104).

რიგორც იქნა ახლობელი დაეწია ქისტებს:

„ესროლა ნაკვეთაურმა,
ქისტ გამოგორდა მკვდარია.
- დედა გიტირე, რჯულ ძალლო,
ეხლაც გარეკე ცხვარია“

(47.104).

მაგრამ არც მტერია ჯაბანი:

„ქისტებმაც სროლა დაუწყეს,
რომ ნახეს თავის მკვდარია,
შუაში შამოგვეყარნეს,
როგორც ფარეხში ცხვარია.
რას ეიზავთ სამი-ოთხ კაცნი,
უთვალავი ჩანს ჯარია,
მთაწმინდას ცხარე ომია,
ტყვია წვიმს, როგორც წყალია.
– გეიშველე, თამარ მეფეო,
დაგვჭირდა შენი ძალია.
არც თუ შენ გხურავს გვირგვინი,
არც ლაშარელას ხმალია.
ნუ მიწყენთ, დალოცვილებო
ჩემ სიტყვა-პირის წყალია.
ჩახოცეს ბატკნებივითა,
გაჰკნდა სისხლის ღვარია,
ხელნ დასჭრეს ნაკვეთაურსა,
არ შაარჩინეს ვალია.
ხელნ რალას სჭრიდი, რჯულ ძალლო,

რალას გიზავდათ მკვდარია?!
ეცადნეს ფშაველის შვილები,
სანამ დასცალდათ ხანია" (47,104).

ერთ-ერთი ხალხური ლექსი „ქორძოს მოკვლაა", რომელიც ისევე და ისევე ქისე-ხევსურების "ბედლის"ზე მოგვითხრობს, იმ ამბის არაერებს, რომ სიცოცხლესაც მხოლოდ ვაჟკაცი "ცვარს:

„ორზე ამბავ დაგარდა,
საწყინარია ხთისათ,
სიონს დაეცნენ ქისტები,
საქონელ მიუდისათ,
ხმა გატყდა ქართველებშია,
იარალი გაქვთ ვისათ,
ქორძოა არხოტიონი,
მაგრა მჭრელ ხყავ მხრისათ,
აჩქარდით, ეუბნებოდა,
ძვალ დავიძივათ მტრისათ,
სამი სტანია ქართველი,
სხვაკე ამლები მხრისათ,
აისხა იარალები,
აბოინაებს თვლისათ.
დავლიე შესანდობარი
წინაზე კაის ყმისათ.
კა-ვინ მოკვდება ომშია,
ცუდა საცხვრეში ხისათ" (47,117).

ლილეველისა და ხევსურის "შეჯაკებასა და ღირსეულის მჭრის ქებას ამბობს ხალხური ლექსი „ლამბერდი და "ახანა":

„...შახანა-დ ლამბერდ შაიბნეს,
ლაშქართ დაუგეს თვალიო.
ლამბერდამ ჩამაუქნია,
ღილღველ ამლათიც არიო.
„აცა, დაიცა, ლამბერდო!"
შახანამ შააგება ფარიო.
ფარის გირგოლი გააწკეტინა,
"შახან, გაგიწთდა მხარიო!"
შახანამაც შამაუქნია,
მოუდეს გალოს ჩქამნიო.
შახანამ შამააწვინოს
როშკის გორ ღილღველის მკვდარიო.
მაგრამ შახანსაც გამახცა
ლამბერდის ნაკანგარიო.
შახან კი ისევ გამორჩა,
ლამბერდ კი წაიღეს მკვდარიო.
ლამბერდა კაი ვაჟ იყო,
კაის დაგმობა ბრალია.
ვერც შახან გადარჩებოდა
თუ არ ჰქონიყო ფარია.
კაცი ვარ გათეთრებული
სიმღერის მაუბარია" (47.47-48).

ერთი ხალხური ლექსი ასე მიმართავს ქისტს:

„ქისტო, ვინ ხარი ქისტეთსა,
ქისტო, ვინ ბრუნავ ბანზედა,
ალარც გამოხვალ საამყნოს
ალარ დაგვიყდებ ჯარზედა...

ამოხვედ ნაყაიჩოზე,
სახლებ შეგიყრივ მხარზედა;
ჩამოხვედ გუდანთის მთაზედა,
ხელი წაგიდის ხმალზედა“ (47.53).

ქართველური ტომებიდან ყველაზე უფრო მჭიდრო კონტაქტები ქისტებთან ხევსურებს ჰქონდათ და ყველაზე უფრო რეალურად ამ ურთიერთობებს სწორედ ხევსურული ფოლკლორი ასახავს. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ ქართველი მწერლები სწორედ ხევსურულ ფოლკლორზე დაყრდნობით ქმნიდნენ თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს ქისტების შესახებ.

ხევსურულ ხალხურ პოეზიაში ხოლბას ასხამენ არა მარტო ხევსურ გმირებს, რომლებმაც თავი ისახელეს ქისტებთან ბრძოლაში, არამედ ქისტ გმირებსაც, რომლებიც უშიშრად შეხვდნენ სიკვდილს. აქ მთავარია ვაჟკაცობა და გულადობა, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მხარე გამოხატავს ამას - ქისტური თუ ხევსურული. რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლება, საღაც ხევსური აღტაცებას გამოთქვამს ქისტის სიმამაცის გამო:

„ქისტო, დიდგული ყოფილხარ,
ყამ არ გცოდნია მტრისაო...“ (47,35).

ან:

„ქისტო, გიცხონდა გამზრდელი,
გულ შენ გდებია მაგარი...“ (9,159) და სხვ.

ხევსურული ლექსის ძლიერი ტრადიცია არსებობს ხოგაის მინდიაზე. ხოგაის მინდის გმირობაზე შექმნილია საგმირო ლექსების ციკლი, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი თემაა ქართულ მწერლობაში. ამ ტრადიციის შეგავლენით შეიქმნა ვაჟა-ფშა-

ქცლას „ჯუჯლისშვილებს“. გრ. რობაქიძის „ლაშარა“. კისკა-ტრინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“.

ხალხური „ხოგაის მინდის“ ფაბულა სრულია აგებული გამსახურდიას „ხოგაის მინდია“. ხალხური ლექსის მიხედვით, ახოტიდან გავიდა ხოგაის მინდი და მითხოვდენ გაეყიდა გ'სას. თან ითხოვდენ, ხოფ. ოერეთეგრ'ში აპირებდნენ ჩასვლას, სადაც მინდიას ძმაცნაფიცი ჰყავდა, ალბისძე:

„ერთ იყო ხოგაის მინდი,
ოთხნი ეტანნეს სხვანია,
პირიქით გადავიდიან,
მითხოს მაავლეს თვალია,
სოფლადაც ჩასვლა ეწადის,
ძმობილ ხყავ ფიც-ნაჭამია“ (47,32).

ხევსურებს გ'სა შეე'შალათ, მოხვდნენ მი'სეს. ალაჩაის ქალმა შეიტყვა ციხე'ში, კარები გამოუკეტა და განგა'ში აჩენა:

„ეს მიზეზიც აკლებულია,
შიგ ალაჩაის ქალია.
ქაჩიით გამაგიტანათ
ქემსით ნაკერი ტყავია;
შაგყარნათ სიმაგრეჩია
გადმოგიკეტათ კარია,
თავად ახვაში გავარდა:
“აქ მოგვიშირეთ მხარია!
მინდი ჩავიგდეთ ხელადა,
თუ ვის გიკიდავთ ვალია“ (47,32).

მინდი ბრძოლას უმარჯავს ქისტებს. ამ ბრძოლა'ში იგი კლავს თორმეტ ქისტს და თავადაც აკვდება.

„მინდის ნუ მახკლავთ, ქისტებო,
ხელში მიეკით ხმალია,
ხმალ თუ იხმარას მინდიმა,
შინავ გაუშვით ხარია.
თორმეტი მოკლა მინდიმა,
დადგა, ჩააგო ხმალია,
არ დაიჯერეს ძაღლებმა,
ლაბახად დადგეს მკვდარია“ (47,33).

გმირის სიკვდილი შთამბეჭდავია, ბუნებაც თანაუგრძნობს:

“მზე წითლდებისა, წყრებისა,
ხოგაის მინდი კვდებისა,
ცაზედ მდინარი ფრინველი
თბე-ბოლოთ იხოშებისა,
ჩამოდის წვრილი მასკლავი,
მთვარე უკუღმა ცხრებისა“ (47,33).

ხალხური „ქისტების ლაშქრობა არხოტ'ხე“ საგმირო ხასიათის ლექსებში გამოირჩევა მძაფრი სიუჟეტით. აქ მოთხრობილია ღილღვეელების თავდასხმა არხოტსა და ამაზე ელიმარძას ბელადობით. სწორედ ეს პერსონაჟი გამოიყვანა მთავარ მოქმედ გმირად შოთა არაბულმა თავის მოთხრობაში „მგრების წუთისოფელი“.

1920-იან წლებში (1927 წელს) რუსის ფორმაგადაცმული ქისტების ჯარი მოულოდნელად დაესხა თავს არხოტის ორ თემს და ხალხი განაიარაღეს, სანამ რამეს მიხვდებოდნენ. საქონელი გარეკეს და რამდენიმე კაციც წაიყვანეს მძევლად. მაშინ არავინ მოუკლავთ, მელექსე კი მაინც თავისებურად აფორმებს:

„სამშაბათს გათენებადა
დიდი დგას ცოდო-ბრალია:
იხვეის დედამიწაი,
ცოდვით ჩამოდნეს ქვანია,
ცაზე აყენებს მასკლავთა
არხოტივნების ბრალია;
სიბრალულისგან ქრებოდა
ცისკარი ამამხდარია.
ორს თემს დაეცა თავზედა
მთელი ურჯულოს ჯარია“... (47,113).

„გათენებამდე მაკრიფეს
სოფელში ქუდოსანია,
მემრ იარალი მაკრიფეს:
თოფი, ხანჯარი, ხმალია,
ეკლესიასთან შეყარნეს
არხოტის ჯვარის ყმანია“ (47,113).

მაგრამ ქისტებს თურმე ალაპი მოექცია სოფელი. ქარაულები დაექენებინათ, ქველა გზა შეეკრათ და სიმაგრის კარები დაეჭირათ:

„შეკრა ყარაულებსა
ველთ გასავალნი გზანია,
სრუ დაუჭერავ სოფელი,
შაკრეს სიმაგრის კარია“ (47,113).
„დახვილეს ქისტისშვილებმა,
ყველამ დალეკდრა გვარია.
თოფის ხმა, ელვა-ქუხილი,
სრუ ჭყერდა მთა და ბარია“ (47,113).

არსებობის დაშორებულები. ცისკრის ვარსკვლავში ქრისტემა საქონელი გაირჯება. ტკბილები წაიკვლის. მაგრამ ხევსურები შეჭრისძიებისათვის ემზადებიან და ელიმარძას მუქარას უგულებელყოფენ:

„ისწავლე, ელიმარძაო,
არხვატით წანატანია,
მიხოლ, მიგიდის ტყვეები,
მიგიდის ხარავანია,
იცოდე, არ შაგჩებოდა
არხოტივნების ვალია“ (47,113).

მაგრამ შეჭრისძიება აღარ შედგა. მოთავრობა ჩაერია, საქონელი და ტყვეები (მათ შორის იყო ვახტანგ ბალიაურიც) დააბრუნებინა და მტრები მშვიდობიანად მოარიგა.

ხევსურები მოღალატე მტრისაც კი უქებენ სიბაუქეს ერთერთ ხალხურ ლექსში, რომელიც ცნობილი ხევსური ვაჟკაცის მამუკა ბუბუკურელის მკვლელობას ეხება, მთქმელი მკვლელ ქისტს ასე ახასიათებს:

„ქისტო, გიცხონდეს გამზრდელი,
ზედ მიხვედ შორით გამხტარი,
ხელუკუღმ გადმოჭნეულმა
დაგიჭრან უბის მასრანი,
გულზეით გადმონადენმა
სისხლმ შაგილებნა კალთანი“ (9,159).

არსებობს ამ ლექსის მეორე ვარიანტიც:

„ქისტო, გიცხონდა გამზრდელი,
გულ შენ გდებია მაგარი,
მხარჩიით გადმაჭნეულმა

დაკვრიცნა უბის მასრანი,
მხარზეით ჩამამდინარმა
სისხლმ შაგილებნა კალთანი“.

ქართული ხალხური პოე'სიის მეორე ტომის პირველ სანი'ლი'ში „ბრძოლა მომხვდურებთან“ 220 ლექსია შე'სული და დიდ'ხე დიდი უმრავლესობა ამ ლექსებისა ქის'ტებთან (მაის'ტლები, მითხოელები, ღილღველები, ტერელიოელები) შე'ტაკებებს ეხება. ამათგან დიდი ნა'წილი ეხება ქართველი მთიელების თავდასხმებს არა მომხვდურ ქის'ტებ'ზე, არამედ ლა'შქრობებს ქის'ტეთში.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართული საგმირო პოე'სიის უმნი'შვნელოვანესი ნა'წილი ქის'ტებს ეხება. სწორედ, ქის'ტებთან ურთიერთობა'ში ვლინდებოდა ქართველი მთიელების საგმირო თვისებები, ქის'ტებთან შე'ტაკებებ'ში იწრთობოდა მათი საბრძოლო სულისკვეთება. ისინი ერთურთს ღირსეულ მეტოქეებად თვლიდნენ და პირადულ მტრობასთან ერთად დაფასებაც იცოდნენ. ამიტომ იყო ასე ხ'შირი ქის'ტებისა და ქართველების ძმაღნაფიცობა, რაც ხ'შირად ლეგენდარულ ერთგულებასა და თავდადება'ში გადაი'ზრდებოდა ხოლმე. ვაჟკაცს მხოლოდ ვაჟკაცი თუ გაუგებს. ვაჟკაცობას, რაინდობას აფასებს ის, ვინც იცის მისი ფასი.

თავი II

საგმირო პოეზია და ძისტები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

„სტუმარ-მასპინძელი"

ვაჟა-ფშაველას ეს ცნობილი პოემა ქისტეთის მიდამოს აღწერით იწყება. საერთოდ, ვაჟას შემოქმედებაში ბუნების განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ვაჟას ფილოსოფიიდან გამომდინარე, ადამიანსა და ბუნების შორის არსებობს ისეთი კავშირი, რომელიც ორივეს ერთ არსებად წარმოგვიდგენს პერსონაჟის მოქმედებაში. უფრო სწორად, ადამიანსა და ბუნების შორის არსებობს ჰარმონიული ურთიერთობა, ხშირად ბუნება განაპირობებს ადამიანის მოქმედების განსაკუთრებულ სიტუაციაში.

„...ვაჟა-ფშაველა წვდება ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულ ურთიერთობას, ბუნებაში ადამიანურს ხედავს, ადამიანში ბუნებრივს... ბუნების წესრიგი გონივრულია. მისი უმაღლესი ქმნილების, ადამიანის ცხოვრებასაც გონივრულობა უნდა ესახოს საფუძვლად" (15, 525).

„სტუმარ-მასპინძლის პირველ თავში, ექსპოზიციურ ნაწილში, დახატულია ქისტეთი თავისი „ასი კლდეების ტახტითა" და მცინარით, რომელიც „ბნელ ხევსე მიაქეფს". ასე კლდეებსაც რაღაც „გამტკნარებული" ფერი დასდებია, მცინარეც „გულამღვრეული ჯავრითაა" შეპყრობილი. მიებიც, რომლებიც „ხეობირს იბანდნენ წყალსედა", შეწუხებულად გამოიყურებიან.

პოეტი მკითხველს ამზადებს უჩვეულო ამბისათვის, კითხულობ სხარტ სტრიქონებს და ელოდები, რომ რაღაც საშიში ამბავი უნდა დატრიალდეს.

აკერ. გამოსწორებული ალბათ. რომელიც ცის'რი ბილის მოკვეთება და რომელსაც „ძმის მკვლელის სისხლი ს'ცრია". ეს კაცი ხევსურია, სოფ. ბისიდან.

სრულიად შემთხვევით ერთმანეთის ხვლებიან ქისტი და ხევსური. სემოდან ჯიხვს მოაირევს მონადირე. ასეთი შეხვედრები არაიშვიათად ხდებოდა ადრე და ხდება დღესაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს შეხვედრა განსაკუთრებულობას იძენს, რადგან, როგორც შემდეგ გაირკვევა, ერთმანეთის მოსისხლეები არიან.

პირველივე სიტყვებიდან იკვეთება ქისტი ჯოლოლას სახე: იგი მთის ტრადიციების ერთგული დამცველია, თანაუგრძნობს ხელმოცარულ უცნობ „მონადირეს," ნანადირევში წილს უქებს:

„თუ გინდა, ებლავ გავიყოთ,
როგორც ამხანაგთ, ორადა,
ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი,
გაგინაწილოთ სწორადა" (19,456).

ჯოლოლა ალბათ ასეთივე გულმართალი, პირდაპირი კაცია. მან უცნობ მონადირეში ხევსური ამოიცნო, სახელს ეკითხება, „ხევსური ჩანხარ იერით"-ო და როცა თავად ეცნობა, სანამ სახლში დაპატიჟებს, აფრთხილებს:

„არ მოგვისდება ერთ-ურთში
სიტყვა ვიუბნოთ მცდარადა" (19,457).

ბისელ ხვიაცაურს თავისი სახელი უკვე ნათქვამი ჰქონდა მცდარად ნუნუაც გააცნო თავი, რადგან

„რა ჰქნას? მის სახელს იცნობენ,
ქისტებს ბევრს სისხლი ავალა;
ბევრს ქისტს მააკრა მარჯვენა,
უდროდ საფლავში ჩალალა" (19,457).

აქ ქრისტიანების ძმობის წევრობის ალხასრულების ფრაზა „არ მოგვეხსენება ერთურთის, სიტყვა ვიყენოთ მკაცრად". ამ ფრაზას რომ ჩავწვდეთ, უნდა გავიხსენოთ ის ისტორიული ურთიერთობა, რაც მეზობლად მცხოვრებ ხევსურებსა და ქისტებს შორის არსებობდა.

ორ მეზობელ ხალხს შორის არსებობდა მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა, რაც გამოიხატებოდა როგორც მეგობრულ, კეთილმეზობლურ ურთიერთობაში, ასევე მტრულ, მეკობრულ, თარეშულ საქმიანობაშიც. ორივე ტომი, ქართველური და ვაინახური, მზად იყო, ხელსაყრელ შემთხვევაში ურთიერთს თავს დასხმოდნენ, მოეტაცათ საქონელი, ცხვრის ფარა, ცხენების რემა და სხვა რამ ქონება, რაც ხელში მოხვდებოდათ.

ასეთი მეკობრული თარეშები სულაც არ არცხვენდა მთიელებს, პირიქით, ვინც ბევრ ნადავლს ჩაიგდებდა ხელში და ბევრ მოწინააღმდეგეს მიაკლავდა, კაი ყმის სახელით სარგებლობდა და თავისი ხალხის ქება-დიდებას იმსახურებდა.

ცხადია, ასეთი თარეშები და სხვა ყოფა-ცხოვრებითი ურთიერთობები ქისტებსა და ხევსურებს შორის ხშირად მკვლელობებით მთავრდებოდა, რაც შემდეგ სისხლის აღების წესის შექმნას სერიოზულ ხასიათს იძენდა. ხევსურები და ქისტები, რომელთაც ერთურთის სისხლი ემარხათ, ერთმანეთს უხვდებოდნენ, უსაფრთხებოდნენ, თვეობით ისხდნენ საბრძოლველში და ხოცავდნენ ერთმანეთს.

მაგრამ, ამავე დროს, თავისუფლად მოძრაობდნენ ერთმანეთის ტერიტორიაზე, ნათესაური კავშირები (ძმადნაფიცობა, შერეული ქორწინებები და სხვ.) ჰქონდათ ერთმანეთში და მტკიცედ იცავდნენ მთის რაინდულ კოდექსს.

და, რაც ყველაზე მთავარია, ქისტები და ხევსურები, გამორჩეულად მთელ კავკასიურ მთიანეთში, ერთმანეთს პატივს სცემდნენ, აფასებდნენ ვაჟკაცობას.

ასი კილომეტრ ერთ-ერთ თაყის ლექსში იყენებს სვეტური ქალის სახელებს ქისტებზე: „რას ამბობ, ქალაქ, ვაჩიკებს იყენებს მაჭახელამე. ქისტ ჯოყოლას სურს, უცნობში ამოიცნოს მტერ-მოყვარე და, ამღენად, პირველად გაცნობილ ადამიანს რომ სიმარილეს სთხოვს, გასაგებია.

ჯოყოლა ახლად გაცნობილ ხევსურს სახლში ეპატიჟება:

„სახლი აქ ჯარეგას მიდგა,
ქვი და ცეხე კარადა,
ამაღამ ჩემთან წამოდი,
მე გაგიძღები თავადა“...(19, 457).

ზვიადაურმა მიიღო ქისტის მიპატიჟება, ნანადირევის წილზე კი უარი თქვა: „სადაც არ მინახავ, ძმობილო, იქ ვმკრ, ეგ სადაურია?“ გზაში ერთმანეთს გაეცვნენ და მივიღნენ ჯოყოლას სოფელ ჯარეგოში (ქისტურად ჯეარი - ჯვარი).

ზვიადაური სოფ. ბისოდან (არღოტთან არის ზვიადაურების თემის ფუძე ნასოფლარი) არის, ჯარეგო პირიქითა ხევსურეთს ესაზღვრება, კერძოდ, შატილიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული და საზღვრის გამყოფი ქედის შუა წელზე მდებარეობს.

საჯიხვე, ე.ი. ჯიხვებზე სანადირო ერთ-ერთი აღგილი სწორედ ჯარეგოს მთის თავშია, საიდანაც სამთავეს იღლებს მოსახოს ხეობა.

საერთოდაც, ხევსურები, ძირითადში, ჯიხვებზე ქისტეთში ნადირობდნენ და ნადირობენ ღღესაც, რადგან პირიქითა ხევსურეთის მოსაზღვრე ქისტეთის აღგილებში ჯიხვი ძალიან ბევრი ბინადრობს. ამიტომ სისხლის საძიებლად შიშავალი ზვიადაურის ტყეული ჯოყოლაში ეძებს არ იწვევს.

ჯოჯოლა ალხასტაიძე თავმოწონე, აბაკი ქისტაია, ეს მის საქციელში, სიწმინდა-პასუხში იგრძნობა და შემდეგ, თანამოძმეებთან დაპირისპირების დროს, გამოიკვეთა მისი მტკიცე ხასიათი და ავტორიტეტი.

როცა ჯარუგაში მივიღნენ, როცა „კოშკები დაჩნდა“ და „დიეშკო ცხადად კლდის მსგავსად სიმაღლე ნაგები სახლები“,

„ცოლს დაუძახა ჯოჯოლამ:
- გამოიხედე კარშია! -
ეტყობა თავმოწონება
მასპინძელს საუბარშია“ (19,459).

სტუმრის პატივისცემა მარტო ოჯახის უფროსის, მამაკაცის მოვალეობა კი არ არის, არამედ დიასახლისის პირდაპირი ვალდებულებაა. დიასახლისის დახვედრა'სეა ბევრად დამოკიდებული ოჯახის უფროსის ავტორიტეტი სტუმრისა და ხალხის თვალში და ჯოჯოლაც ასე მიმართავს ცოლს:

„ - აი, სტუმარი მოგვევარე, -
ღვთის წყალობაა ჩვენზედა, -
როგორც დაგვხვდები, დიაცო,
ახლა ჰკიდია შენზედა“ (19,459).

ჯოჯოლა, როგორც ქისტური წესია, მასპინძლობს თავის სტუმარს. ვახშამზე ბევრი იმუსაიფეს, ახლის გაეცვნენ სტუმარ-მასპინძელი. ალხასტაიძეს მოსწონს სტუმარი, კმაყოფილია ახლად გაცნობილი ხევსურით და შემდეგში ძმობისა და დამეგობრებისთვისაა განწყობილი:

„ივახშმეს, თვისი სტუმარი
მასპინძელს მოსწრონს გულითა,
„კარგი ვაჭაცი ეტყობა -
ფიცულობს თავის რჯულითა.
ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა,
ერთად შევთვისდეთ სულითა...“ (19,461).

მაგრამ ბედმა სხვანაირად შემოაბრუნა: მოვლენები ისეთნაირად განვითარდა, რომ ძირეულად შეიცვალა ჯოყოლას როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ცხოვრება, მისი მომავალი გეგმები.

ჯოყოლას ოჯახში სტუმრად იყო მეზობელი ქისტი. „დროული კაცი“ ცეცხლის პირას იჯდა, ჩონგურს უკრავდა და დამღეროდა მამა-პაპათა გმირობისას. ასეთი სახის სიმღერები განსაკუთრებით გავრცელებული იყო ქისტებში, ვაინახებში და საერთოდ მთის ტომში, რომელთა სულიერი კულტურა ქვეყანაზე მეტად ამ სფეროში იყო განვითარებული. ეს სიმღერები თაობიდან თაობას გადაეცემოდა შეპირად და ახალი თაობის აღზრდაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა.

„საგმირო სიმღერებმა დიდი როლი შეასრულეს ვაინახების სულიერი ფასეულობების ჩამოყალიბებაში, გამოიმუშავეს რა ქცევის მორალური ნორმები საზოგადოებასა და ოჯახისადმი დამოკიდებულებაში, მისცეს მათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ნორმად აქციეს ერთიანი ვაინახი ხალხისათვის“ (63,30).

დროული ქისტი „დაპმღერდა
მამა-პაპათა ცდისასა:
როგორ არბევდნენ ფშავ-ხევსურთ,
სისხლს არ არჩენდნენ ძმისასა“ (19,459).

ქისტში იცნო მკერი. მაგრამ მაინც ყველა წამოეცდება სტუმარს, რადგან

„სტუმრად მოსული უცნობი
სტუმარს პატივს სცემს სხვისასა,
ფეხზე ადგომა წესია,
წესს ვერ დაარღვევს მთისასა“ (19,459).

როგორც ვხედავთ, სტუმარი პატივსაცემია არა მარტო მასპინძლის ოჯახისათვის, არამედ დამხვედრი სტუმრისათვისაც, მთელი სოფლისთვის. სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტი იმდენად ძლიერადაა განვითარებული ქისტებში, რომ ყოველ პირადულ ამბიციებს თრგუნავს. ხნიერმა ქისტმა იცნო ზვიადაური, არ ესიამოვნა, აღშფოთდა, „ფერი დაეცო მგლისაო“. ხანჯლისკენ ხელი მიუდიოდა, სურდა, აღგილზევე მოესპო ქისტების დაუძინებელი მტერი,

„მაგრამ, სტუმარი სხვის სახლში
ვერ გაშლის ხათაბალასა“ (19,462).

ე.ი. სტუმარსაც აკისრია თავისი მოვალეობები. კერა, ოჯახი წმინდაა. ამიტომ შეიკავა თავი ხნიერმა ქისტმა, სოფელს კი აუწყა ჯოყოლას სახლში ქისტების მტრის ყოფნა და მოუწოდა შურისძიებისაკენ.

ხალხის სემოქმედების მიზანია შეახსენებს თანასოფლელებს ზვიადაურის მიერ ჩადენილ დანაშაულობებს:

„...ეგ ჩვენი ამომგდებელი,
ჩვენი მრბეველი ძალითა;

გაუმაძღარი მუდამჟამს
ჩვენის სისხლით და ძვალითა“ (19,460).

და რომ დაიყოლიოს ხალხი ჯოყოლას სახელზე თავდასხმისათვის, რაც უეჭველად პრობლემებს შეუქმნიდა ხალხს, ეუბნება, რომ ეტყობა, ჯოყოლა არ იცნობს თავის სტუმარს:

„ჩანს რო ჯოყოლა ვერ იცნობს,
არ უნახია თვალითა...“

მაგრამ, ამავდროულად, ჯოყოლას წინააღმდეგაც ალაშქრებს.

„მიკვირს ჯოყოლას ჭკვისაგან,
მტერს რად გაულო კარია,
ვისა ჰმასპინძლობს ჭკვათხელი,
ცნობაზე რად არ არია?!“ (19,461).

ლროული ქისტის, რომელიც „ენასა ჰკლესავს შხამითა“, მოტანილმა ამბავმა ქისტები აალელვა. ჯარიგოს მოსახლეობა შეიარაღდა, მთელი მოსახლეობა „ბალღი, კაცი და ქალია“ შეიკრა ერთ მუშტად, რაითა მტერს საკადრისი მიუსხლონ.

„უნდა შასწირონ თავის მკვდარს,
ზვიადაურის თავია,
უნდა მტრის საფლავზე დაკლან,
როგორაც წესი არია“ (19,461).

იყო თუ არა ასეთი წესი ქისტებში ძველად, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი წესი ლროული ხალხის

სასიკვდილო არ ეკუთვნის. ღმერთს. ძალიან. არ არის. მაგრამ არის ერთი, ისისხლის პატიების (ეკრემიასიანელი, რომელიც ღმერთსაც, იშვიათად, მაგრამ მაინც მოქმედებს. მკვლელი, როცა ხანგრძლივი თხოვნის შემდეგ პატიებას პოულობს, მიდის მის მიერ მოკლულის საფლავზე და თეთრ სუდარაში გახვეული საფლავზე წვება პირქვე. ასეთ მდგომარეობაში რჩება, სანამ მოკლულის ნათესავი (ძმა, ბიძაშვილი) არ მივა, ხელს არ მოკიდებს და არ წამოაყენებს. ეტყობა, ვაჟა-ფშაველა იცნობდა ამ ტრადიციას და სხვაგვარ (შეწირვის) ფორმაში გამოიყენა თავის პოემაში. თუმცა შესაძლებელია, ასეთი წესი არსებულიყო კიდეც ქისტეთის რომელიმე თემში.

ღამით მძინარე ჯოყოლას ოჯახს თავს დაესხნენ ქისტები და სვიადაური შეიპყრეს. ხმაურზე გამოღვიძებული ჯოყოლა მიხვდა, რომ მის „სტუმარსა ჰკვლენ, სწორედა, უღმათ ხანჯლების ტრიალი“ და ხელახლა ჩრიანი შეუპოვრად გავიდა გარეთ.

ჯოყოლა თანამოძმეებს მიმართავს, შეახსენებს ქისტების წმიდათაწმიდა ადათს- სტუმრის ხელშეუხებლობას - და შეახსენებს თანასოფლელებს, თუ რა შეურაცხყოფას აყენებენ მას და მის ოჯახს:

„რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?“ (19,463).

„სტუმარი ღვთისაა“: იტყვიან მთაში, სტუმრის მოსვლა ოჯახში ბედნიერების მომტანია ქველა ქისტის შეგნებაში და ჯოყოლაც გაოცებულია თანასოფლელების ქცევით და თან მტკიცედ აცხადებს, რომ არ აპატიებს შეურაცხყოფას არავის, თვით თავის თანამოძმეებსაც კი:

„ჩემს სჯულსა ეფიცავე, სისხლს დავღვრი,
განანებთ ბრიყვულ ქცევასა,
განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,
ჩემის კაცობის ქნევასა!..“ (19,463).

ქისტებმა, ცხადია, კარგად იციან, რას ნიშნავს, რა რეაქცია ეწინებოდა ჯოყოლას მისი პირადული უფლებების ხელყოფაზე და საკმაოდ მომზადებულნი და ორგანიზებულნი იყვნენ. პირველივე ბრალდება ჯოყოლას წინააღმდეგ საკმაოდ ძლიერ არგუმენტს შეიცავს

„მხისხლე სტუმრის გულისთვის
ბეჭეს ვინ მოსჭრის დედასა?! (19,463).

შემდეგ მას მოსდევს არანაკლებ დამაჯერებელი არგუმენტებიც:

„მთელი ქისტეთის ამომგდე
სტუმრად რადა გყავს სახლშია?“ (19,463).

ჯოყოლას შეახსენებენ თავდამსხმელები სვიადაურის თარეშებს ქისტებზე, მის ჩასაფრებებს გზებზე, რომ ის არის დაუძინებელი მტერი ქისტებისა, რომელიც ცდას არ აკლებდა, დაეხოცა მისი თანამოძმეები.

ჯოყოლასთვის ეს ამბავი მოულოდნელი და თავსხარკამცემია. მის აღგილას უნებისყოფო ადამიანი დაიბნეოდა და, ალბათ, დაჰკვებოდა ქისტების ნებას, მაგრამ ჯოყოლა სხვა სნეობის ადამიანია. მასში ძლიერად არის განვითარებული ღირსების გრძნობა. ის შეაწუხა თავისმა შეცდომამ. პირველივე გაცნობის დროს რაღაც ინტუიციით იგრძნო მოსალოდნელი უბედურება

და სიმარილის ითხოვდა. მაგრამ ეს, თუ შეიძლება ითქვას, სამასწავლო, დიდხანს რიღი გაგრძელებულა. პოეტი, ეტრატიდან, გვანიშნებს ჯოყოლას გრძნობის სიძლიერეს, რიცა პირველად შეიტყო სიმარილე:

„ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა,
პირს სინანული წაესო,
თითქოს ნატყორცნი ისარი
ზედ გულის კოჭზე დაესო“ (19,463).

ქისტები ეძებენ ჯოყოლას, უკიჟინებენ, რომ მისმა სტუმარმა ძმა მოუკლა, რომ „აავსო ფშავ-ხევსურეთი აქით ჭალისწულის ძროხითა“. თანასოფლელები ყოველნაირად ეძალებიან ჯოყოლას, რათა დაარწმუნონ იგი თავიანთ სიმარილეში, საკვლიერობენ:

„გული როგორ არ გერჩვა
მაგასთან ყოფნა - ჯდომითა!“ (19,464).

ჯოყოლას გალაღებულება მიღებული აქვს და ეს გამოიხატება მის ფრაზაში „ცხენს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემარჯის სისხლისა...“

ყოყმანმა გაიარა, ჯოყოლამ გაიაზრა ყოველივე, ყველაზე მაღლა დააყენა სტუმარ-მასპინძლობის ადათი და მტკიცედ დაიცვა მოისისხლე სტუმარი. იგი მუსას, თემის მოთავეს, სთხოვს, გაუშვას სტუმარი და როცა მის სახლს გაცდება, იქ ისე მოეპარას, როგორც შეეფერება. მაგრამ ამჟამად იგი მის სახლშია, მის ოჯახშია.

„ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ,
სახლში ხართ, განა შარადა!“ (19,464).

აცხადებს ჯოზოლა და იქ წინა ხელმძღვანელის სწავლის თავის პირადულ უფლებებს და თან შეახსენებს ქისტებს, რომ სტუმრის გაყიდვა ქისტებში არავის გაუგონია:

„ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?“ (19:464).

ეკითხება ჯოზოლა თანამოძმეებს და ცდილობს, დაიყოლიოს ქისტები, ნამუსში ჩააგდოს, რომ უიარაღო მტრის წვალება სამარცხვინოა.

მაგრამ ქისტებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, დაესაჯათ მოსისხლე მტერი და არ დაეთმოთ ასე იოლად ხელში მოხვედრილი მოუხელთებელი მოსისხლე. მუსა (თემი) მოურიდებლად ესაპარაკება ჯოზოლას, გრძნობს რა თავის ძალას:

„შენაც ამასთან შაგკონავთ,
თემის პირს რომ სტენ, თავხედო!
ჩვენის ნარჩევის დარღვევა
შენ როგორ უნდა გაბედო?“ (19,464).

მუსას პასუხში ნათლად იგრძნობა, რომ თემის გადაწყვეტილება, თუნდაც უსამართლო, კანონია ყველა წევრისათვის და ყოველგვარი უმაყოფილება საათავეშივე აღიკვეთება. თუ თემი თავის მიერვე დაკანონებულ წესს არღვევს, არ უნდა იყოს განსჯის საგანი, ხოლო თუ საზოგადოების წევრი იცავს სიმართლეს, რომელიც გამომდინარეობს თემის კოლექტივიდან, მაინც ამბოხად და თემის პირის გატეხვად ითვლება.

კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის წარმოიშვა თემის ბრალით, მან ხელყო პიროვნების თავისუფლება - ოჯახს თავს

დაესხა და სრულიად შეიპყრეს. პირიქით იცავს თავის ერთგულებს, იცავს თავის მამაპაპურ ადათ-წესებს, ე.ი. იგი მარადიულია. მაგრამ, ამავე დროს, მარადიულია თვითც, რომელიც მოქმედებს პრინციპით „მტერს მტრულად ესმა მოექცე, თვითონ უფალმა ბრძანა". თემის პოსიციას ამყარებს თავად პოემის ავტორიც, რომელიც აღწერს რა ქისტების ლტოლვას შეერთებისადმი, ამბობს:

„თავის მტანჯველის შემუსვრა,
ან კი ვის არა სწადიან?" (19,467).

მუსა ჯოყოლას სიტყვიერადაც შეურაცხყოფს „აჰყეფსი ქოფაკივითა...", შეურაცხყოფას თავმომწონე ჯოყოლა სისხლით ირეცხავს:

„იძრო ხანჯალი, მუსასა
გულში უმარჯვა ვადამდე" (19,467).

ქისტებმა, ცხადია, იცოდნენ, რომ უსამართლობას სჩადიოდნენ ჯოყოლას მიმართ, ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებდნენ ალხასტაისძის ოჯახს და ამიტომაა, ალბათ, ის შემწყნარებლობა, რაც თემის მეთაურის დაჭრაზე გამოიჩინეს. მათ ჯოყოლა მხოლოდ შეკრეს თოკებით და ღერეფანს დააგდეს. აკმარეს მხოლოდ წყევლა-კრულვა - „წყევლა ხალხისა ჭექაა, ნაფურთხი წვიმის ცვარია".

ჯარეგელებმა ზვიადაური სასაფლაოზე წაიყვანეს, რათა, როგორც ავტორი ამბობს, თავისი მკვლრისათვის შეეწირათ, მის მსახურად ექციათ საიქიოში

როგორც ზემოთაც ითქვა, ასეთი სახის მსხვერპლშეწირვა არ არის დაფიქსირებული ქისტების ეთნოცნობიერებაში. თუმცა

ვაჟა-ფშაველა ღარიბულებული იყო ასეთი სკეპტიკის არსებობაში. იგი სისხლის აღების წესის შესახებ ასეთ შეხედულებას აკეთებს: „სისხლის აღება, - მკვლელობისათვის მოკვლა, ცუდია მთიელს აქვს წესად, მაგრამ საფლავზე დაკვდა და ამგვარად შეწირვა მაქმაღიანი მთიელების აღათია, ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ, ვისაც სწირავენ და საფლავზე ჰკლავენ, არ შეცრა, მკვლისათვის „შეწირულად" არ ითვლება" (20,246).

ჩვენი აზრით, ასეთი სახის სისხლის აღების წესი მაქმაღიანობისათვის არ არის დამახასიათებელი, ყოველ შემთხვევაში ისლამში, სადაც ხასგასმით არის დაფიქსირებული პრინციპი - სისხლი სისხლის წილ - ასეთი სახის შურისძიება არაა დაფიქსირებული. ცოცხალი ადამიანის შეწირვის ტრადიცია ძლიერად იყო წარმართული რელიგიებში და თუ, საერთოდ, ასეთი წესჩვეულება ჰქონდათ ქისტებს, ექნებოდათ სხვა კავკასიელ ტომებსაც.

„სტუმარ-მასპინძლის" ავტორმა ეს ცერემონიალი (სვიადაურის „შეწირვა") გამოიყენა, როგორც მხატვრული ხერხი, რაზე ამ პროცესში გამოეჩინა „კაი ყმის", სვიადაურის სულიერი სიმტკიცე, ვაჟკაცობა, შეუპყრობლობა; პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირის ადათის შეგნებაზე, ემოციურ მხარეზე ზეგავლენის წარმოსაჩენად და ქისტების ზნეობრივი კოდექსის ვაჟკაცობის დაფასების გამოსავლენად.

თემისა და პიროვნების ურთიერთობა, ჩვენს შემთხვევაში დაპირისპირება, საკმაოდ რთული ხასიათისაა, ვიდრე ვაჟა-ფშაველას სხვა ნაწარმოებებში („ალუდა ქეთელაური", „მოკვეთილი"). „სტუმარ-მასპინძელში" თემი არღვევს თავის ტრადიციას, მამა-პაპისგან მომდინარე ადათ-წესებს (სხვისი სტუმრის შეპყრობა, სხვის სახლში ძალადობრივად შესვლა). ჯიოლა

იკიეს თაყის ეყლეტების და ამიტომაცაა, რომ იგი ყოველთვის დაესჯელი დაეთვის საღვთისო დანაშაულისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ ლიტერატურული კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ჯოყოლამ მოკლა მუსა, რადგან გარკვევით ამბობს ავტორი: „იძრო ხანჯალი, მუსასა გულში უმარჯვა ვაჟკაცმა". მართლაც, ხანჯლის გულში ჩაკვლა ადეჩველ სიკვდილს ნიშნავს. მაგრამ ამ შემთხვევაში „გული" ნიშნავს ადამიანის მკერდს და მკერდში ხანჯლის ჩაცემა ყოველთვის რთული იწვევს სიკვდილს. ამ შემთხვევაშიც ჯოყოლა გვერდში დაჭრის მუსას, ამას პოემის შემდეგი სტრიქონები ადასტურებს:

„წამოიყვანეს დაჭრილი,
ზვიადაურიც სტანია".

ჯოყოლას რომ მოეკლა მუსა, მოვლენები უეჭველად სხვაგვარად წარიმართებოდა. მკვლელობა, რა მოტივითაც და რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს ჩადენილი, ქისტებში დაუსჯელად არ რჩება. მკვლელი განსაკუთრებულ სიტუაციაში აღმოჩნდება ხოლმე და ის ყოველთვის არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. პოემის მიხედვით, ჯოყოლა გარიყულია თემისგან, მაგრამ თავისუფალია.

„მიუხედავად იმისა, რომ ჯოყოლას ოჯახზე თავდასხმა თემის ნებართვითა და გადაწყვეტილებით მოხდა, ოჯახის ღირსების შელახვა ღიდი დანაშაულია და სწორედ ამიტომაა, რომ ჯოყოლას აღვილად შერჩა ქისტების წინამძღოლის, მუსას სასიკვდილოდ დაჭრა: ის ქისტებმა საპასუხოდ მხოლოდ გაკოჭეს და ღერეყანს დააგდეს" (62,61).

ჯოყოლას პიროვნების სიდიადე, მისი პუმანურობა, ზნეობრივი და რაინდული სულისკვეთება იკვეთება ცოლისადმი

ლაბირინთებულებაში, რომელსაც ქმნის, რომ მისმა შეყვარებულმა ვერ შეძლოს მისი ყოფილი სტუმარი და ძმისშვილი, მოკლას მისი უბედურების მიზეზი.

აფორიაქებული, შეშინებული, ნამტირალევი ელენა უგონოდ დაეცა ქმრის ფეხებთან. ჯოჯოლა სახლში იმყოფებოდა, „ცრის პირს იწმენდა ჯოჯოლა, მუხლი გაეკეცლი მუხლისგან". ჯოჯოლამ ცოლი სინათლეზე გაიყვანა: სახეზე შეხედა და საშინელმა ეჭვებმა შეიპყრო, გონზე მოიყვანა მეუღლე, გამოკითხვა დაუწყო, იგი მზად არის, თუ ვინმემ შეურაცხყოს, სისხლით ჩამოიბანოს სირცხვილი:

„ჩემის ნამუსის შემბღალავს
მალე მოვიყვან ჭკვაზედა,
როგორც ვანანე მუსასა
მიხდომა სხვისა კარზედა" (19,473).

ჯოჯოლა უაღრესად რთულ სიტუაციაშია არის: ქისტების ორგულობაა შერაცხული, გაღიზიანებული მტრის გამო საშიშროებაში აღმოჩნდა თანამოძმე, თქმის წინამძღოლი და ამ დროს მეუღლეც უქმნის პრობლემას, იგი შეშფოთებული კითხულობს:

„რა დაგემართა, დიაცო? -
ჩაეკითხება მშფოთვარე, -
სხვა სადარდელი მაკლია,
ეხლა შენ მეჭმნა მოზარე?!" (19,479).

და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ჯოჯოლასათვის ცოლის აღიარება „ცრემლები შემოწირია იმ ქნის მეგობრისაება" დიდი დარტყმა უნდა ყოფილიყო. ქოქელ შემთხვევაში, ვინც არ

ეჭვი ქრისტიანი ბის აღიარების, განრისხებისა. წინააღმდეგობის გაკვირვება. მაგრამ ჯოჯოლა სრულიად განსხვავებული თანამედროვეებისაგან, ის ეს ერების ეპოქის, მთის კარჩაკეტილობის და ამაშია მისი ტრაგედიაც. ჯოჯოლა არც კი დაფიქრებულა, ესეისებურად გაიაზრა ყოველივე და უპასუხა:

„იტირე?! მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა“ (19,475-476).

აქ კომენტარები ზედმეტია. ამ პასუხით ჯოჯოლამ მკითხველს ღაანახა, რომ იგი მაღლა დგას აღამიანის დამამცირებელ ყოველგვარ ქვენა გრძნობებზე და შეასაუკუნოებრივ კარჩაკეტილ და შეზღუდულ, ბარბაროსულ, სასტიკ შეხედულებებზე და პუმანისტური იდეების მატარებელია.

თავად ვაჟა-ფშაველა წერს, რომ ჯოჯოლას პასუხის მოფიქრებას მან სამი თვე მოანდომა. ღაბნეული დაღიოდა, სხვაზე არაფერზე ფიქრობდა და ეძებდა ღირსეულ პასუხს.

„ჯოჯოლას (თვით პოეტის) გაგება ეჭვების, ეთიკისა და ესთეტიკის კოდექსისა, რა თქმა უნდა, ახალია, ფარდოა, მაღალია და ფაქიზი, ვიდრე თემისა და ბარიში გაბატონებული ბურჟუაზიული ყოფისა. ჯოჯოლა, მგოსნის ჩვენებით და ღამაჯერებელი ჩვენებითაც, არამც თუ თემის ტრადიციების ფარგლებში ვერარ ეტევა, არამედ მისი გაგება მოწინავე ქვეყნების ბურჟუაზიულ ყოფაზეც კარგა შორს მიდის“ (27,544).

ჯოჯოლას და ქისტებს (თემს) შორის ხიდი ჩაჭეხილი აღმოჩნდა. ერთ მხარეს ჯოჯოლა არის თავისი მოწინავე იდეებით, მეორე მხარეს თემი თავისი ტრადიციებით. მათი შერიგება

შეუძლებელი აღმოჩნდა იმ დროისაც კი, როდესაც მტერი ხელსურთა ღალატით თავს დაესხა ჯარეგას. ჯოყოლა კოლის მოწოდებაზე თავისიანებთან ერთად იბრძოლებს მტრის წინააღმდეგ მრისხანედ პასუხობს:

„გაეცვეე?! რას ამბობ, ჭკვა-თხელო?
არ გამივლენენ ახლოსა!“ (19,475).

ჯოყოლა გაღაწყვეტს, მარტოკამ იომოს ხევსურების წინააღმდეგ, დაანახოს თანამოძმეებს, რომ იგი მათი და თავისი ქვეყნის ერთგულია, რომ პიროვნულ კონფლიქტზე მაღლა აყენებს ქვეყნის ინტერესებს:

„მარტოკამ უნდა ვიომო,
მთელმა ჯარეგამ მნახოსა;
ვინ ერთგულია, ვინ არა,
ქვეყანამ დაინახოსა“ (19,478).

მიუხედავად მისდამი გამოჩენილი უსამართლობისა, ჯოყოლა მწარედ განიცდის მშობლიური ოჯის განდგომას, მისი ბუნების, მაღალი იდეალების მატარებელი ადამიანისათვის ძნელი აღმოჩნდა დაუმსახურებელი მოღალატის სახელი და საომრად მზადებისას ვერ შეიკავა თავი საქვეყნოსაგან:

„ჭისტებს ორგული ვგონივარ,
გამდგარი თავის რჯულზედა,
ჰფიქრობენ, ვითომ ჯოყოლამ
თავი გაჰყიდა ფულზედა,
ჭისტეთის მოღალატე ვარ,

ხელალებული სულზედა;
მოაქვთ და ცოცხალს მადებენ
საფლავის ქვასა გულზედა.“ (19,478).

ჯარისკაცები ქისტების მტრის დასახვეწრად შემოეფინენ მთას, აწყდა ორმხრივი სროლა, ორივე მხარე თავდაუზოგავად იბრძვის, მაითვის ეს ომი არაა, მრავალჯერ შებმიან ერთმანეთს. ჯარისკაცები „ცხვის არ ეთმობენ ხევსურთა, ბიჭები ამოსხარტყლი“. ბრძოლა ღიღხანს გაგრძელდა, ხევსურთა შეტევა ძლიერია, მაგრამ

„მაინც არ გატყდნენ ქისტები,
სდგანან ვით ციხე-ბურჯია“ (19,479).

ბოლოს ფარ-ხმალიანმა ხევსურებმა ხმალდახმალ მისულა ამჯობინეს და ამ დროს ბრძოლაში გადაეშვა მარტოხელა ქისტი:

„კლდიდამ გადუხტა უცრად
ქისტი ხმალ-მოლერებითა,
აკვირვებს ქისტის ლაშქარსა
მტრის ჯარის მოგერებითა“ (19,479).

ქისტებმა იცნეს ჯოყოლა ალხასტაისძე, გაოცებულნი უცქერდნენ, როგორ მამაცურად ებრძოლა მტრების გრეხას, მაგრამ ა'რაფერაც არაფრის მოსვლია მიხმარება. პირიქით, გაუხარდათ კიდეც, რომ მოჰკლეს:

„ქისტთ გაუხარდათ დიალაც, –
მოჰკლან, თუ მოჰკლეს – ახია!“ (19,480).

ჯოყოლას ასეთმა მოქმედებამ (მარტოს გამოსვლამ ომში) კიდევ უფრო გაამწვავა დაპირისპირება მათ შორის. ქისტებმა, რომლებიც მოიხიბლნენ მარტოხელა მეომრის სიმამაცით და სიჩაუქით, იცნეს თუ არა ამ მეომარში ჯოყოლა, დაიწყეს თავიანთი აღფრთოვანება და ძველი წესი გაიხსენეს:

„ესლაც მასხარად აგვიგდო,
წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,
სოფლისა გადრა ინდომა,
ჩვენ კი ტალახში გაგვრია,
მარტოკა მტრის ჯარს დაუხვდა,
სწორედ დავლათით დაგვრია“ (19,480).

ამ სტროფის ერთი ტაეპი - „წინად ხომ ბევრჯელ აგვრია...“ მეტყველებს, რომ თემსა და ჯოყოლას შორის ადრეც არ იყო შეხმატკბილებული ურთიერთობა. ჯოყოლა, რომელიც მოწინავე იდეების მატარებელი, თავისუფლების მოცვარული, თემისაგან განსხვავებული მორალის მატარებელი ადამიანი, თემისათვის მიუღებელი ქნებოდა. თავის მტრულ განწყობილებას თემი უკიდურესი ზომით გამოხატავს ნებას არ აძლევს ალაზას ცაასაფლავოს მეულლე სოფლის სასაფლაოზე. ეს პიროვნების წინააღმდეგ ღიმი შეურაცხყოფაა, მაგრამ ჯოყოლა ქოველგვარ შეურაცხყოფაზე მაღლა დგას.

ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ გმირებში ალაზას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ამ პერსონაჟზე მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს კრიტი-

ცისკებში. თითქოს უცრაცლესობას მიაჩნია, რომ ის არის ერთერთი სულიერებრივი ქალი. მღვდლობითი სქესის ერთ-ერთი სულხტი წარმომადგენელი, რომელიც მოიხიბლა. სვიადაურით, გამძიმინა ჩვეულებრივი ქალური სისუსტე.

ცხადია, კრიტიკოსებს არ გამოპარვიათ და არც შეიძლებოდა არ შეემჩნიათ, რომ აღაზა, მარადიული, ქალური სინაზის, თანაგრძნობის, უსაზღვრო გრძნობის აბკოლი, მაგრამ მიწინავე, ახალი იღეების, ვაჟკაცური სულისკვეთების მატარებელი ქალია.

რომ ჩავწვდეთ აღაზას სულიერ სამყაროში, საჭიროა ვიცოდეთ ქისტი ქალის ხასიათი, მისი ღანიშნულება და როლი ქისტურ საზოგადოებაში. ქისტი ქალი ოდითგანვე ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჭაპანს. მთების მწირ ადგილებში მცხოვრებ მთიელებს ყოველდღიური საარსებო ლუკმისათვის მძიმე შრომა უხდებოდათ. ქალი მამაკაცს გვერდში ედგა მძიმე შრომაში, საოჯახო საქმეებს უძღვებოდა, ბავშვებს ზრდიდა და ხშირად საომარ შეტაკებებში იარაღით უხდებოდა თავის დაცვა.

„ვაინახი ქალის როლი ვაინახურ ოჯახში ძველად თვალსაჩინო იყო. ამაზე მეტყველებს მისი სახელწოდებაც „ვაინ ნაან“ (სახლის დედა, ღიასახლისი). მთიელი ქალი მამაკაცთან ერთად ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჭაპანს: ოჯახს უვლიდა, ბავშვებს ზრდიდა და სამეურნეო საქმეებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ბევრ ლეგენდასა და ზღაპარში, პოემასა თუ სიმღერაში ვაინახი ქალი დახატულია მამაც მეომრად, დიდად პატივცემულ ბრძენად. მისი სახე ეს არის ამაყი და მომთხოვნი ქალის სახე, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავი დაიცვას“ (63.72).

ვაინახურ საგმირო სიმღერებში ქალის კულტია. იგი ტრადიციების მტკიცე დამცველია, ბრძენი მრჩეველია, პატრიოტი

შკოლების აღმსრულები. რაისაღილი კოლექტის მტკიც ლიმცვეული. „ვაინახი ლეციხაიჯის პირველს ალგილ'ს ღირსების საქმეა: იგი მ'საღაა საკუთარი ვაჟის სიცოცხლე სას'ორ'ზე დაღოს, ოღონდ ვაჟკაცის, ოჯახის, მამულის ღირსება იქნეს დაცული“ (63,78).

ქისტი ქალისათვის სიმღიღრეს ღიღი მნიშვნელობა არ აქვს, იგი მ'საღაა ქეღ'ზე ღაიღგას მძიმე შრომის უღგული, ოღონდ ძმა, მამა თუ ქმარი გამორჩეული იყოს ს'ორებ'ში ვაჟკაცობით, სიქველით და სიჩაუქით. „გვარი'შვილობა, ოჯახი, გარჯილობა ამაია, თუ ქალს ბიჭი არ მიყ'ონა“ (2,131).

ქისტი ქალი მ'საღ არის, ოჯახური საქმეები თავაღ იტვირთოს, ოღონდ ქმარი იყოს ვაჟკაცი, ტოლ-ს'ორებ'ში გამორჩეული. „ქალის არჩეული ასეთი საქმრო ოჯახისათვის არაფრის მაჭნისია, ეს ქალს არ ა'უხებს, მთელ საოჯახო საქმეს ისა კისრულობს“ (2,132).

ქისტი ქალი თავმომ'ონე და თავმოყვარეა, ამაყია და ეს სიამაყე იმღენაღ მისი პიროვნული თვისებებიღან კი არ გამომღინარეობს, რამღენაღაც ნაოესავი მამაკაცების ვაჟკაცობას ეფუძნება, ქმრის ვაჟკაცურ სახელს ეცრღნობა. 'შამილმა პეტერბურგ'ში მძევლაღ ალ'სრულ და გამოსკიღულ ვაჟი'შვილს ჯემალ-ეღ-ღინს ვაინახი ქალი 'შერთო ცოლაღ, რაღგან იმეღოვნებღა, რომ რუსულაღ გა'სრულს ძეს ამაყი ქალი ჩაუნერგავღა კავკასიურ სულს. ქალი'შვილმა კი ვერ აიტანა მხოლოღ თავის გარეგნობა'ზე მ'სრუნველი ქმარი და მიატოვა.

„ჯემალ-ეღ-ღინი გარეგნებული, რუსულ ყაიღა'ზე იმპერატორის კარ'ზე ალ'სრულილი ოფიცერი იყო, ვეღარ 'ძეგ'ა მთიელების „ველურ“ ცხოვრებას და ღაავაღღა. 'შამილმა მას 'შერთო ღიღი ჩეჩნეთის ნაიბის თალხიძის ასული, მაგრამ არც ეს ქორ'ინება გამოღგა ბედნიერი: რამღენიმე ხნის 'შემღეგ

სულხანში ქალიშვილში ცოლობა ასაკში და აკრძალა. რომ სახლში დაბრუნება უნდა, რომ მას არ შეუძლია ღმერთის ისეთი კაცის მეუღლე, რომელიც იარაღის ნაცვლად თავისი ფრჩხილების წმენდას ანიჭებს მთელ დროს" (62,216).

ალასას წინაპარ ქალიშვილებს თავისი სიმამაცითა და მამაცი სულიერი აღრაცებაში მოუკვანიათ ჩეჩნების მოძულე დამპყრობლებიც კი. ეს ის ქალიშვილებია, რომელთაც განაცვიფრეს სასტიკი, დაუნდობელი, სადისტი რუსი გენერალი ერმოლოვი. დიდი იერთის თავდაცვის დროს ჩეჩენი ქალიშვილები თმებს იჭრიდნენ და ტყვიების საცობებად იყენებდნენ, ხოლო ტყვიების გათავების შემდეგ ქმრებთან და ძმებთან ერთად ხანჯლებით ებრძოდნენ მტერს. „ბევრი სოფლის მცხოვრებნი, როდესაც რუსი ჯარისკაცები სახლში შეცვივდებოდნენ, თავიანთ ცოლებს კლავდნენ მათ თვალწინ, რათა მათ ხელში არ ჩაცვენილიყვნენ.

მეჩეთის ნანგრევებქვეშ დაიღუპა მისეთუნახავი ხაზა ამრაანის ასული, ჯარისკაცებმა ხიშტისე ააგეს ხელხანჯლიანი აიზიკ დიდის ასული და ტყვედ ჩავარდნილი ქალებიდან 46 როცესაც თერგზე გადაჰყავდათ, ეცნენ ყარაულებს და მათთან ერთად გადაცვივდნენ მშფოთვარე თერგში" (62,174).

ალასა სამოქმედო ასპარეზზე გამოჩენისთანავე იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ჯოყოლა იცავს რა ადათ-წესებს, ცოლს ეძახის და გარეთ ეკოცება, „ეტყობა თავმოწონება, მასპინძელს საუბარშია". მას ცოლის სილამაზით მოსწონს თავი.

„გამოჩნდა ქალი ლამაზი,
შავის ტანსაცმლით მოსილი,
როგორაც ალყა ტანადა,
ვარსკვლავი ცოდამ მოცლილი" (19,459).

ჯოჯოლა სტუმრის ცოლს წარუდგენს:

„ - აი, სტუმარი მოგვგვარე,
ღვთის წყალობაა ჩვენზედა, -
როგორც დაგვხვდები, დიაცო,
ესლა ჰკიდია შენზედა“ (19,459).

ჯოჯოლა მარიამია. სტუმრის დახვედრა, მარიამაც, ბეკრადაა დამოკიდებული დიასახლისზე, მის აღსრულებაზე. სიმარჯვეზე, ხელგაშლილობაზე. დიასახლისის სტუმრის დახვედრით შეუძლია აამაღლოს ქმრისა და ოჯახის ავტორიტეტი და ასევე დააქციოს და თითით საჩვენებელი გახადოს.

აღაზა მთის აღათ-წესებზე აღზრდილი ქალი, მოკრძალებით ხვდება სტუმარს, მიესალმება, იარაღს ჩამოართმევს და სახლში ეპატიჟება, წინ ჯოჯოლა შეყის, შემდეგ სტუმარი და ბოლოს დიასახლისი. აქაც ეტიკეტი ხელმძღვანელობს: პირველი ოჯახის უფროსია, მასპინძელი, მეორე აღგილზე სტუმარია და შემდეგ დიასახლისი.

სტუმარი, ქისტური აღათით, ოჯახში იარაღით ვერ შევა და დაჯდება, რადგან ამით შეურაცხყოფს მასპინძელს, ე.ი. იგი ან არ ენდობა მასპინძელს, ან ეშვი შეაქვს მასპინძლის ცოლაცობაში, დაიცვას თავისი სტუმარი.

აღაზა სულიერად შეძრა მის ოჯახში დატრიალებულმა ტრაგედიამ: ჯერ იყო და ქისტები თავს დაესხნენ მის ოჯახს და სტუმარი შეიპყრეს, შემდეგ მისმა ქმარმა ხანჯლით გულმკერდში დაჭრა თემის უფროსი, რის გამოც იგი შებოჭეს და ღრეფან'ში დააგდეს, ხვიადაური კი წაიყვანეს სასაფლაოზე თავიანთი მკვლრისთვის შესაწირად.

და, აი, სრულიად გაუგებარი მიზეზით აღაზა, მოკრძალებული, ქისტური აღათ-წესებზე აღზრდილი ქალი, მიჰყვება

ალ'ფყოიყბ'ულ. ცისრისხებ'ულ კაცებს სასიყვლაო'ს'ე. რაც ქისტე-ბის ადათით. ყოველად დაუ'შვებელია, მაგრამ აქ უფრო სხვა კითხვები ისმება: რატომ არ რჩება ალა'ხა ქმარ-ხიან, რომელ-საც დახმარება სჭირდება, რომელიც იმ ცრუს დამცირებ'ულ მდგომარეობა'შია და გაეკიდა სტ'უმარს, მათ მოსისხლე მტერს.

ვარაუდი შ'ეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. არის მოსა'ზრე-ბა, საკმაოდ გაბატონებ'ული, რომ ალა'ხას მიე'ღონა სტ'უმარი და ცნობის'ა'დილით შეპ'ყრობილი გაჰქცა ხალხს.

ჩვენი ღრმა რ'წმენით, აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ინსტიქტს, თუნდაც ჯერ არ გააზრებ'ულს, მაგრამ ქალ'ურ ინსტიქტს, რომ იგი აგრძელებს ქმრის საქმეს – უნდა დაიცვას სტ'უმარი, მაგრამ რითგორ ან რანაირად, ეს ჯერ კიდევ არა აქვს გააზრე-ბ'ული. შემდეგ იგი ამ გზასაც პოულობს – გლოვის გზას, რაც სრ'ულად შეესაბამება არსებ'ულ სიტ'უაციას და ალა'ხას შესაძლებლობებს.

ასეა თ'უ ისე, ალა'ხა ეს'ვრება ზვიადაური'ს დასჯას, იგი ეფარება ხალხს, „ცრემლებს ჰმალავდა ლამაზი, ხალხზე უკანა დგებოდა".

სოფლის გალმა ღამ'ვარ, ქვიშიან გორაზეა ქისტების სა-საფლაო. ვაჟა-ფ'შაველა მისთვის დამახასიათებელი სხარტი გამოთქმებით ახასიათებს მიცვალებ'ულებს, ვაჟკაცებს „ხმალ-ხანჯ'რის, ომ'ის მხმარეთი არა სძგერს გული მაგარი". ვაჟა არ დალატობს თავის პრინციპს - „ცვლილებას ს'ჩირა-ვენ მარჯვენას კაი ქმისაა" და ასე ახასიათებს ალ' გარდა-სულ ქისტ ვაჟკაცებს:

„სოფლისა გალმა გორია,
დამწ'ვარი, ქვიშიანია.
ბევრი წევს იქა ვაჟკაცი,
გულ-ლომი ჯიშიანია" (19,466).

ამ სასაფლაოზე ქისტებმა დარბაზის, სვიადაურის მცირე მოკლული ქისტის, საფლავზე აბანოს სვიადაური და აბანები მოჰკლეს. ამბობენ იმიტომ, რომ მტერი არ დაჰკვა მათ ნებას, არ შეცოცხლა, მორჩილად არ შეხვდა სიკვდილს, არ შეეწირა. სანამ სულს დალევდა, იძახდა: „ძალლი იყოს თქვენის მკვდრისადა!“

სვიადაურის სულის სიმტკიცემ, ვაჟკაცობამ გააოცა ქისტები. ფრიად განაწყენებული დარჩნენ იმით, რომ ვერ შეასრულეს თავის მკვლარს დანაპირები „დაკლულმა დაჰკლა მათ გული და გაუცრუა ქადილი“.

მაგრამ მიუხედავად იმედგაცრუებისა, ისინი მოიხიბლნენ მტრის ვაჟკაცობით, მისი მტკიცე ნებისყოფით.

ქისტებმა ღირსეულად შეაფასეს მტრის ვაჟკაცობა, დაენანათ კიდეც სასიკვდილოდ ასეთი ვაჟკაცი. მიუხედავად იმისა, მტკიცედ სწამდათ, რომ „მტერს მტრულად უნდა მოექცე, თვითონ უფალმა ბრძანაო“. სვიადაურმა ბევრი ჩააფიქრა, დაადგა თავიანთი ნამოქმედარის ისტორიაში და ყველამ ერთხმად აღიარა მტრის ვაჟკაცობა:

„კარგი ვაჟკაცი ყოფილა
ყველა ალაბსა ჰფიცავდა,
იმიტომ ვერცხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა“ (19,469).

თუ ეს აღელვებული ბრბო, რომელსაც სისხლი სწყუროდა და მტრის სისხლით შეიღება კიდეც ხელები, ბრბო, რომელიც მწყრალი იყო, „ერთად გაეძროთ ხანჯლები და გაეკეთათ მტრის გვამზე სისხლით ნაღები ფანჯრები“, მოიხიბლა სვიადაურის გმირობით. ლოგიკურია, რომ აღასაზე მისტირებოდა ვაჟკაცი. თუკი ეს განრისხებული და გაცოფებული ხალხი სინანულმა

შესაძლო. რაც საკვირველი და საძრახისი, თუ ადამიანს „ძიძისძუძლებისა ძალმოხმა: „ნუ ჰკლავთ!“ ყმაწვილი გულისა...“ მით უმეტეს, რომ მისი ოჯახის სტუმარი იყო, მისი ქმრის ძმობილი.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის პიროვნების, იგი გამორჩეული პერსონაჟია, საზოგადოების შვილია, მაგრამ მეამბოხე ქალია, რომელიც ვერ ეწყობა თემის ადათ-წესების სარბილებში.

ვაჟა-ფშაველას პოემებში ასახული ეპოქის სუსტი განსაზღვრა ძნელია, მაგრამ ეს არის გვიანფეოდალური ეპოქა, რომლის საზოგადოებრივ ურთიერთობებში თანდათან მკვიდრდება ახალი, ბურჟუაზიული იდეები. ცხადია, მთაში, განსაკუთრებით ქისტურ თემში, ეს პროცესები ძალიან ნელი ტემპით ვითარდებოდა, რადგან გვაროვნული, თეიფური წყობა მტკიცედ იყო გაბატონებული. მაგრამ ცალკეული ადამიანები უპირისპირდებოდნენ თემს, ზოგი ღიად, ზოგი ფარულად, ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ძრომოჭმული, საზოგადოების წინსვლის შემაფერხებელი ადათ-წესებისაგან. ასეთი კონფლიქტების დროს ახალი დროის პიროვნებებიც მარცხდებოდნენ, იღუპებოდნენ ძველთან ბრძოლაში. თემი სისასტიკით ცდილობდა ურჩი წევრის დამორჩილებას, თუ ვერ მიაღწევდა მიზანს, თემიდან აძევებდა.

„ვაჟა-ფშაველას ეპოქა, როგორც გარდამავალი, ხასიათდებოდა რღვევითა და ალმავლობით: ძველი იშლებოდა, მიდიოდა, ახალი ფეხს იდგამდა, მოდიოდა. ამისთანა ეპოქაში ჩვეულებრივ საჭირო ხდება გმირი, რომელიც შეუპოვრად გაუწევს წინააღმდეგობას დაბრკოლებებს, გადალახავს მათ, დაიცავს, რაც საჭიროა საზოგადოებისათვის, მისთვის ახალ სასარგებლო გზის გაკვერვას ღიდი გამჭრიახობით ხელს შეუწყობს“ (27,521).

ეს პრიტიკოსი მთლიანად სწუნებულია ("საყურადღებო, მთლიანი, ბარემ გაქვს"). მაგრამ მთა'ში იყოს 'სნეობრივი კოლექტიური იმედნაც ძლიერად იყო ალამიანების 'შეგნება'ში ღამკვიდრებული, რომ ამბოხებული გმირი სრულად ვერ წუნებოდა მოპირდაპირე ბანაკს. ალა'სას მაგალითი ამის ცხადი დასტურია: იგი გლოვობს 'სვიადაურს, 'შინაგანი გრძნობით იგი ასრულებს ქალის ვალს „სიკვდილსა გლოვა უხდება" მაგრამ, აშავე დროს, ღრმად სწამს, რომ კარგად არ იქცევა, არღვევს თემის ადათ-წესებს, ჰღალატობს თავის ხალხს.

„ალა'ამ იტირა გმირი 'სვიადაური, რომელსაც მისი და მისი ქმრის ჯოყოლას თემის სისხლი ემაროა. ამას გარდა, მან, სხვისმა ცოლმა დაიტირა უცხო ვაჟკაცი. ვაჟა-ფშაველა არაჩვეულებრივი სიძლიერით გრძნობს იმ ღიდ 'შინაგან უხერხულობასა და ტკივილს, რომელსაც თემის ჩვეულების დარღვევის გამო ალა'ზა ასე მწვავედ განიცდის. ალა'სას ეხათრება თავისი გრძნობისა. „ერთის მხრივ, აგვიწერს ავტორი, ხათრი აქვს თემისა, მეორით, - ღმერთი ა'შინებს, ქისტეთის მკრისა მო'სარეს თავს რისხვას გაღმოაცინებს", მაგრამ, გულთამხილავი პოეტის სწორი გაგებით, ეს ფიქრი გონებისაა, გული ალა'სას სხვას ეუბნებოდა. ნახულმა ალა'სას „ცაკლულის გლოვა კისრად" დაადგა" (27,526).

ღიახ, კრიტიკოსი სწორად ჩასწვდა მოვლენის არსს, ალა'სამ - „ცაკლულის გლოვა კისრად" დაიდგა. აკი ვაჟაც ამბობს, რომ

„სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს ძმას - ტირილი დისაო"...(19,470).

მიცვალებულის დატირების მთიელებ'ში ღიდი მნიშვნელობა აქვს, დაუტირებელი მკვდარი ღიდ ცოდვად ითვლებოდა. ასეა დღესაც.

ქისტებში დაცურებულ მიცვალებულს ეძებენ, უბედურია მკვდარიაო. სულხან-საბასთან ამბობს ქმრის ცურაღლებას ალა'ხა, რისთვისაც უხსნის, თუ რატომ დაიტირა ზვიადაური:

„ძლიერ შემბრალდა ბეჩავი,
რომ უცხოეთში კვდებოდა,
არც ნათესავი, არც მოძმე,
რომ ვისმე შეჰბრალებოდა“ (19,475).

რატომღაც კრიტიკოსებში ალა'ხას გრძნობები დაკავშირებულია სიყვარულთან და ცურაღლებოდაა დატოვებული ის მრავალი მიზეზი თუ საბაბი, რამაც განაპირობა ამ ქალის გლოვა. ალა'ხა ჯოყოლას ხასგასმით ეუბნება, რომ „ცრემლები შემიწირია იმ შენის მეგობრისაღა“.

ახლა მივუბრუნდეთ პოემის ეპილოგს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს იდეის გახსნის თვალსაზრისით. იმ კლდის თავზე, საიდაც ხევსურებთან ბრძოლაში ჯოყოლა მოჰკლეს, თურმე ღამღამობით ხელავენ შემდეგ სურათს: ჯოყოლა იმ კლდის თავზე წამოდგება, სასაფლაოსკენ იხედება და ეძახის ზვიადაურს:

„ზვიადაურო, ძმობილო,
რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!“ (19,483).

სასაფლაოდან წამოსული ზვიადაურიც „მივა და მიესალმება თავის ძმობილსა მკუმარედ“. როგორც ვხედავთ, თავს გადამხდარი ცველა უბედურების მიუხედავად, ჯოყოლა და ზვიადაური ძმობილებად და მეგობრებად რჩებიან.

მათ უერთდება ალა'ხაც, ჯიხვის მწვადს წვავს ცეცხლზე და მასპინძლობს მეგობრებს. რა'ხე საუბრობენ მეგობრები?!

„ეაჟკაცობისას ამბობენ,
ერთურთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისასა“ (19,484).

მაინი საუბრის ერთ-ერთი საგანი და-ძმობაა, აქას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ეს ტაეპი „ცნობის და და-ძმობისასა“ - ძირეულად ხსნის ალა'ხას ხასიათს. ქისტებისათვის ალა'ხას ხასიათის, მისი მოქმედების გაგება აუცილებელია, რადგან მათში რაოდენობრივ მამაკაცობის, ძმაკაცობის ტრადიცია არის გავრცელებული, ქალისა და მამაკაცის მეგობრობის, და-ძმობის ტრადიცია არ არის უცხო.

ამდენად არ არის სწორი მოვლენის ერთი კუთხით გაშუქება არსის გამუქება. ვაჟა-ფშაველა გენიოსი იყო ეპიზოდში დახატული მეგობრობის ამ იდეალურ სურათს „კურთმად შავის ფერით“ ფარავენ.

ალა'ხამ ისედაც ბევრი იწვნია სიცოცხლეში თავისი ჰუმანური იდეების გამო. მას მთელი ქისტეთი გადაეკიდა, ბუნებაც კი კიცხავდა, საფლავში მიცვალებულებიც ბორგავდნენ: „რას შვრები, უნამუსოვო, გამწარებულნი ჩიოდნენ“.

მისი ძმა ებარი, „თავის ტოლებში უსწორო, ქისტეთს განთქმული მხედარი“ საფლავიდან აღსდგა და ჰკიცხავდა დას: „მაგით მიმტკიცებ დობასა, შენი ქალობა ეგ არი?!“

ძმის საქვეყნური ყველაზე მძიმედ მოქმედებს ქისტ ქალზე, რადგან მისთვის ყველაზე სათაყვანებელი ძმა არის. ერთ-ერთ ჩეჩნურ ხალხურ ლექსში „ძის ტირილი ძმაზე“ და ამბობს:

„ამ ქვეყნად, სადაც შენ იარებოდი,
როგორლა ვიარო,

დაი მოგიკვდეს!
ქვითინით უნდა ვიარო,
უშენოდ დარჩენილ ქვეყნიერებაზე,
დაი მოგიკვდეს! (56,33).

კაჟა-ყვ'ავაკელას იქმის ს'ინააღმდეგ ამბოხებულ პერსონაჟებს შორის ყველაზე ძძიმე ხვედრი ალა'ას შეხვდა. იგი გარიყული ალმოჩნდა სა'სოგადოებისაგან, ქმრის სოფლის სასაფლაო'ზე დამარხვის სა'შეალებაც კი არ მისცეს და იძულებული გახდა თავად დაემარხა იმ კლდის თავ'ზე, სადაც ხევს'ურებთან ბრძოლა'ში გმირულად დაეცა. მან ქმარი მარტომ დაიტირა:

„ცოლი სტირდა ჯოყოლას,
ცრემლს ასხურებდა ხშირადა,
არჩევ ყელგადაგდებული,
თმა-ხშირი, მთვარე პირადა,
ეკერებოდა გულ-მკერდზე
ქმარს მარგალიტის ღილადა“ (19,487).

ასე რთული დასტირის ქმარს მოყალყალე ცოლი.

ალა'სა ქმრის ერთგული დარჩა ბოლომდე. თავისი და ქმრის „ღანა'შაული“ გააერთიანა, თავისი თავი მეტად „ღამნა'შაველ“ ცნო. მარტოს დარჩენილმა ქალმა სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაამთავრა.

ალა'სამ თავისი ღანა'შაული გამოკვეთილად დაუკავ'შირა სვიადაურის გლოვას:

„მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს,
უცხოსთვის ცრემლი ვღვარია“.

ცხოვრების ცრუმლების ღვრა არის. აღაზის თქმით, მისი ერთადერთი დანაშაული. მას ამ დანაშაულს ქისტებიც უსახლებენ და „უცხო კაცის მოსარეცხ“ მიიჩნევენ. თავად აღაზა ბოლომდე ვერ თავისუფლდება ტრადიციული ადათ-წესებისაგან. ამაში მას ბრალი არც დაედება, რადგან ამისგან საბოლოოდ არც სხვა მეამბოხე მამაკაცი პერსონაჟები (ჯოყოლა, ალუკა ქეთელაური, მინდია) განთავისუფლებულან.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება გამოკვეთილად დაკავშირებულია ხალხურ სიტყვიერებასთან. ხალხური შემოქმედების წიაღიდან იღებდა ის თავისი პოემებისათვის შესაფერისი მასალას და შემდეგ შემოქმედებით ჭურჭში გაატარებდა და ღრმად გააზრებულ მხატვრულ შედევრებს ჰქმნიდა. იგი თავადაც შენიშნავდა: „თქვენს უმორჩილეს მონაზედ ვაჟა-ფშაველაზედაც, უნდა მოგახსენოთ, დიდი სემოქმედება აქვს ხალხურ თქმულებათ. უმეტესი ჩემი პოემები ხალხში გაგონილ ორ-სამ სიტყვაზეა აშენებული...“

ეხებოდა რა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კავშირს სეპირ-სიტყვიერებასთან, კრიტიკოსი იპ. ვარძიაგავა წერდა, რომ ვაჟას თითქმის ყველა პოემას საფუძვლად უდევს ხალხის თქმულება, გადმოცემა, სკაპარ-ლეგენდა, ეს ეჭვს გარეშეა; ამას თვით მგოსანიც არ მალავს, როდესაც პოემის სათაურის ქვეშ ფრჩხილებში შენიშნავს ხოლმე: „ძველი ამბავი“ (19,631).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ თავად პოეტი პოემა სტუმარ-მასპინძლის შესახებ შემდეგს წერს: „სეპირგადმოცემამ მომცა მხოლოდ ერთი ადამიანის, სვიადაურის, სახელი და ერთი ეპიზოდი, სახელდობრ ის, როცა მას ქისტები თავიანთი მკვლერის, დარღას, საფლავზე ჰკლავენ, ხანჯალს ურჭობენ ქელში ნელ-ნელა და ცდილობენ რაგორმე შეაშინონ, მოკრიკონ, რომ მსხვერპლი მსხვერპლად გამოცდეს, მაგრამ სვი-

ალაური ქვაკლება და გაიძახის: „ძალლ იყოს თქვენი მკვლარისა-ლა!“ დანარჩენი პოემაში საკუთარი ფიქრებისის ნაკოფი გახლავთ“ (23, 200).

არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ ავტორის სიტყვებში. მაგრამ ვფიქრობთ, რომ თავისი პოემის პერსონაჟების პრიორიტეტები ვაჟას ჰქონდა და ერთ-ერთი მათგანი ისტორიული პირი ჯოყოლა დარქისანაშვილია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოემის („სტუმარ-მასპინძლის“) დანარჩენი ეპიზოდებიც, პოეტის მიერ ერთ სიუჟეტურ მთლიანობაში მოცემული, ეყრდნობა ნაწარმოებში ასახული ხალხის ეთნოგრაფიული ცხოვრების ფაქტიურ ცოდნას.

ვაჟა-ფშაველა მთაში დაიბადა და ითქმის მთელი სიცოცხლე ფშავში, სოფელ ჩარგალში გაატარა და ცხადია, კონტაქტები ჰქონდა მეზობლებთან, მათ შორის ქისტებთანაც.

ვაჟას დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე, დაახლოებით 1856-58 წლებში დაიღუპა მაისტელი ჯოყოლა დარქისანაშვილი, რომელიც მაისტის ბელადი იყო და საკმაოდ ცნობილი თავისი თავგასელადებული თარეშებით მეზობელ ქართველურ ტომებში ხევსურებში, ფშაველებში, თუშებში. ჯოყოლა დარქისანაშვილი თავის თემთან ერთად დასახლდა საქართველოში, ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში და დააარსა სოფელი ჯოყოლო მაგრამ იგი ვერ შეეგუა ალგილობრივ კლიმატს, დაბრუნდა უკან მაისტში, თან გაიყოლა ნაწილი თანასოფლელებისა და კვლავ ძველებურ ცხოვრებას დაუბრუნდა.

ჯოყოლა უპირისპირდებოდა იმ პერიოდში მთიან ქისტეთში გაბატონებისა და შარიათის დამკვიდრებისათვის მებრძოლ იმამ შამილს და მის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას ეწეოდა. პანკისიდან დაბრუნების შემდეგ ჯოყოლა ძმაღნაფიც ხევ-

სურათის ერთად ლიტერატურული ნაწილის შემოქმედის შეხვედრა ქალაქ-მეჯვარეში და სიკვდილით დასჯა.

ცნობილი მოგზაური ა. ჩისერმანი 1848 წელს ხევსურეთიდან გაემგზავრა მაისტეში და ხვლება ბელაღ ჯოყოლას, რაზეც გვიყვება თავის წიგნში „ოცდაჯერ წელი კავკასიაში“.

როგორც ჩისერმანი აღნიშნავს, მას ბედმა გაუღიმა და ჯოყოლამ, მაისტის ცნობილმა ბულაღმა, სურვილი გამოთქვა მისი მასპინძლობისა. ჩისერმანის აღწერით, „ჯოყოლა ახოვანი მთიელი, ოცდაათი წლის, მბრწყინავი თაფლისფერი თვალებით და მუქი ქერა წვერით, მარჯვი, ავაზე გაბედულებით“. გულითბილად შეხვდა მაისტიღან რამდენიმე ვერსის დაშორებით და სტუმრის ფულოსკენ გაუძღვა“ (62, 297).

ა. ჩისერმანი გვიყვება, თუ როგორი გულთბილი მასპინძლობა გაუწია ჯოყოლამ სტუმარს, აღტაცებით აღწერს მასპინძლის ცხვრის ფარას, რომლებიც ცველანაირად ცდილობენ, ესიამოვნებინათ სტუმრისთვის(*73*).

სტუმრის ცხვრის ხორცით ქისტებმა კარგად იცოდნენ. ოჯახში რომ არაფერი ჰქონოდა, თავს მოიკლავდა და სტუმრისათვის ცველაფერს გააჩენდა. ალ. ოჩიაური ქისტების სტუმართმოყვარეობაზე ასე წერს: „ქისტებს უყვარდათ კარგი თოფიარაღი, კარგი ცხენი და უნაგირი, ჩაცმა-დახურვა, ისუფთავე, უფროს-უმცროსობა, სრდილობა, პურადობა, სტუმრის შენახვა და სხვა. მოსულ სტუმარს საკლავს დაუკლავდნენ. ეს იყო სტუმრისთვის ღიდი პატივისცემა. ხორცი თუნდაც ბევრი ქონიყო, მაინც საკლავს დაკლავდნენ, თუ საკლავი შინ არ ეყოლებოდათ, მოპარვასაც არ დაზარდებოდნენ, რომ სტუმრისათვის საკლავი დაეკლათ“ (72,74-75).

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი ინიციატორი იყო მთიელების ბარში ჩამოსახლებისა, ბარში ჩამოსახლებულ ფშავლებს მფარველობ-

და. სალიტო საკითხების მოაზრებასთან ა"ესრიგებდა. ფ"ისკვლების ადგილობრივ მოსახლეობასთან შექმნილ კონფლიქტებს აგვარებდა. ამჟღნად. მას ხ"ირად უხდებოდა მოგ'საზრობა მთასა და ბარ"ში, განსაკუთრებით კახეთ"ში.

იგი ბევრჯერ არის ნამყოფი პანკისის ხეობა"ში, იცნობდა პანკისელ ქისტებს. სოფ. ჯოყოლო"ში (ჯოყოლა დარქ'სანა"შვილის სოფელ"ში) ექიმობდა კიდეც. სოფ. ჯოყოლო"ში, გორის ძირ"ში დღევს ვეებერთელა ლოდი. „ეს ადგილი ადრე ჯოყოლოელების საქეიფო ადგილი ყოფილა, საპატიო სტ"უმარს კარგ ამინდ"ში აქ მასპინძლობდნენ ოჯრმე. დღესაც აქ ქვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფასადზე, სადაც ცეცხლს ანთებდნენ, შეიმჩნევა წ"არწ"ერა: „ლუკა რაზიკა"შვილი, 1907 წ." (62, 354).

ცნობილია, რომ პირველი ქისტი განმანათლებელი, ეთნოგრაფი მათე ალბუთა"შვილი ახლოს იცნობდა ვაჟა-ფ"შაველას.

„მათე ალბუთა"შვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გენიალურ ქართველ პოეტ ვაჟა-ფ"შაველასთან. იგი მას ჯერ კიდევ თიანეთ"ში გაეცნო, შემდეგ ხ"ირად ხვდებოდნენ ისინი თელავ"ში. ახმეტა"ში, პანკისის ხეობა"ში და სხვაგან. მ. ალბუთა"შვილის ხ"ირი სტ"უმრები ყოფილან ძმები რა"ზიკა"შვილები.

როდესაც ვაჟა-ფ"შაველა გარდაიცვალა, მათე ალბუთა"შვილმა შეადგინა პანკისის ხეობელთა რა"სმი, თვითონ ჩაუდგა სათავე"ში და დიდი პოეტის დაკრძალვას დაეს"წრენ“ (70,3).

ცხად'სე ცხადია, რომ ქისტებთან ასეთი ურთიერთობის მქონე ვაჟის შეუძლებელია არ ცნობოდა ჯოყოლას ამბავი და შემდეგ, როგორც თავად ამბობს, „ფანტაზიის „ნაჩმახის“ სახით გარდაქმნა. სხვათა შორის, ჯოყოლა, როგორც პერსონაჟი, ვაჟა-ფ"შაველას პიესა „მოკვეთილ"შიც“ ეპი'სოდ"ში ჩნდება. ქისტების მიერ ფ"შავის დალა"შქრისას ჩონთას ცოლს მ'სევინარს „ქისტი“ ჯოყოლა დაჰპატრონდა“.

„ხე-ჯვარ-მახპინძლის“ ქისტი პერსონაჟების სასულიერო ვაჟას შეხედვა ქართულ მწერლობაში ხშირად გაიგულისხმებენ ხოლმე. ჯოჯოლა და ალა მახპინძლის ეპალიონად არიან მიჩნეული, მათი ცხოვრება სინეობის სიმბოლოდ იქცა.

ხატოვნად წერს ამის შესახებ პოეტი ვალერიან სადღეიანი ლექსში „ღამე ქისტებთან“:

„ცის თალებიდან
მითხრა მარიხმა
ვაჟა-ფშაველას ლექსი...
მესმის ჯოჯოლას იდუმალი ხმა,
მუცალის კენესაც მესმის...
ელვამ ღრუბელი წითლად გახაზა, –
თავს მადგას ლანდი ქისტის...
სადღაც ჭალაში ტირის ალაზა,
“დროდადრო გული მისდის“...
თავს მევლებიან, –
ძმობა ღალათი
როდი ვიყიდე მისხის...
არ მეშინია ქისტის ღალატის,
თუნდ ზღვა მემართოს
სისხლის“... (41,45).

ერთ-ერთი სახალხო მოლექსე იოსებ ლიონგი“ვილი ასე უმღერის მთის შვილებს:

„მიყვარს პანკისის ხეობა კახეთის მკერდის ნაწილი,
აქ სასიმღეროდ ჩამოდის სპეროზას მთების არწივი,
ხევს ალაზანი ამღერებს, პანკისის ველზე გაჭრილი,

კლდეებს ეხვეწა ბილიკი ქისტის ქალივით ტანწვრილი,
სოფლები მძივებად ეკვრის. ზვირთებ-მეჩუხარე ალაზანს,
მშვიდობის სიმღერას აბობს ალხასტაიძე ალაზა,
წიფლნარში ღამე გაწვება გიშრისთმიანი ქალივით
კლდეს მთვარე დაეკიდება ჯოყოლას პასრი ხმალივით".

„ალუდა ქეთელაური"

ქისტები თავს დაესხნენ შატილიონთა ცხვარ-მწყემსს, დაუფრთხეს, ცხენების რემა კი გარეკეს:

„მაცნე მოიდა შატილსა:
ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწყემსები
ავნია, ავი-ზნიანი" (19, 353).

„ქისტებს წაუსხამ ცხენები, ალუდაისიც ფრთიანი". ალუდა, ხევსურეთში განთქმულ ვაჟკაცი, უდაოდ დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა და მტრისაღმი დაუნდობლობა ბევრჯერ დაუმტკიცებია შატილიონებისათვის. ავტორი პოემის დასაწყისშივე იძლევა ქეთელაურის დახასიათებას:

„ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი;
ბევრ ქისტს მააჭრა მარჯვენა,
სცადა ფრანგული ფხიანი" (19,353).

ალუდა ქეთელაურის არ ლაშქრობებია, შეიარაღება და სასწრაფოდ გაეცალა ცხენების გამჭაცებლებს. მას ამ შემთხვევაში პირადი ინტერესებიც ამოძრავებდა: სახელის გარდა თავისი საკუთრების (ალუდაისაც ფრთიანი) დაბრუნების კანონიერი სურვილიც ამოძრავებდა.

გაოენების ჟამს კვალს მიაგნო ალუდამ, მალე დაეწია ყიფლღვლებს და ერთი მაისგანი პირველივე გასროლით ჩამოაგდო ცხენიდან. მოკლულის ამხანაგი შეუპოვრად შეება მტერს და გაიმართა ორთაბრძოლა. ორივე ღირსეული ვაჟკაცი აღმოჩნდა, რაინდული სულისკვეთების მებრძოლნი თავდაუზოგავად ებრძვიან ერთმანეთს, ესვრიან, თან ეხმიანებიან, ამოწმებენ ერთურთის სიმტკიცეს, ნებისყოფას, მამაცობას. ორივე გრძნობს, რომ ღირსეულ მეტოქეს შეხვდა.

პოეტი შთამბეჭდავად აგვიწერს ამ ორთაბრძოლას:

„გამასტყვრა მუცალის თოფი, -
კლდისპირი დაიშლებოდა,
ნაბოძი ტყვიის ალუდას,
კალთაში ჩაეშლებოდა.
- არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?! -
მუცალი ეუბნებოდა.
- ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო,
ყმასა მუდამის ჯვრისასა.
ხმა ალუდაის თოფისა
ჭენასა ჰგვანდა ცისასა,
- არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო? -
ისევ ეძახის იმასა.
- მუცალს არა სჭირს რჯულ-ძაღლო,
ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა...

- ოჰო, ქუდ გაუხვრეტია,
წეხერებსა სტუსავს თმისასა.
- მაღლა დაგიცდა, ბეჩავო,
კენჩხას არა სჭირს ძვლისასა.
გამასტყვრა მუცალის თოფი,
ტყვია ჩქამს იზამს მკისესა,
გაუტეხს ქეთელაურსა
სპირის-წამლეს რქისასა“ (19, 354-355).

როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, მოწინააღმდეგეები სასიკვდილოდ არიან შერკინებულნი, ერთმანეთს ესვრიან და ყველაზე შეურაცხმყოფელ ლანძღვას - „რჯული-ძაღლო“ - ადენებენ თითოეულ ტყვიას. მაგრამ, ამავე დროს, იგრძნობა ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის მიმართ აღტაცებაც კი ზუსტი სროლის გამო.

ამ ორთაბრძოლაში ალუდა ქეთელაურმა გაიმარჯვა. მისი ნასროლი „ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა“, მუცალმა ეს ორთაბრძოლა წააგო, მაგრამ წააგო ღირსეულად. იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ ნებდება სიკვდილს, სასიკვდილო ჭრილობაში მთის ბალახს იფენს, რათა სისხლის დენა შეაჩეროს და უკანასკნელად ესვრის მტერს:

„მუცალს არ სწადის სიკვდილი,
ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,
მაჰგლეჯს, დაიფეჩს წყლულშია
მწვანე ბალახსა მთისასა,
ერთიც ესროლა ალუდას,
ხანს არა ჰკარგავს ცდისასა“ (19,355).

სიკვდილის წინ მუცალმა თავისი ოთხი ალუქას ვალდებულება. ამით მან ალიარა ალუქას გამარჯვება, კი არ დაწყევლა გამარჯვებული მტერი, არამედ დაანახვილდოვა იარაღით. ეს, მართლაც, არნახული გმირობა, სულის სიდიადეა, ვაჟკაცობის უმაღლესი მწვერვალია. „ეხლა შენ იყოს, რაც გულსაძაღლო, ხელის არ ჩავარდეს სხვისაა“ მისი უკანასკნელი სიტყვები ბევრის მოქმედია და ალუქა ჩასწვდა მუცალის სულიერ საბუარის და ღირსეულად პასუხობს:

„ალუდას თოფი არ უნდა
ატირდა როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ესარბება თვალიო.
თავით დაუდგა სანჯარი,
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,
გულზედ ძეგლივი დაადგა,
მკლავზედ ფრანგული ხმალიო“ (19,356).

ალუქა მოიხიბლა მუცალის ვაჟკაცობით, როგორც ალა'სა, „კაცის კაცურად სიკვდილმა“ „ღაკლულის გლოვა კისრად“ დააღვა, ისე ალუდაც შინაგანმა ხმამ, შინაგანმა ჰუმანიზმმა აიძულა, ღირსეულად მოჰკცეოდა მიცვალებულს, არ აეყარა პატივი:

„ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო,
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!

სიგრძივ დახურა ნაბადი,
ზედ გადაადგა ფარიო“ (19,356).

ალუდას ასეთი საქციელი, თემური სა'სოგადოებისათვის მიუწვდომელი, გამოიწვია მუცალის პირადებამ. „მკითხველიც დატყვევებულია მთიელის, თქმა მეტად პრიმიტიული, მაგრამ მკვეთრი, ძლიერი, ლამაზი პირადებით“. მუცალი ვაჟკაცია, როგორც ეს მთას ესმის, ის უშიშარია, მოუდრეკელია, ის სიკვდილის მომენტშიც არ იბნევა; ის ურყევი, უცვლელი, როგორც იტყვიან, წარბშეუხრელი რჩება. ასეთი „განკითხვის წუთშიც“ მუცალი არ ჰკარგავს თავის სახეს, თვით მოწინააღმდეგის ღირსებასაც პატივისცემით ეპყრობა და ამ განცდას თავისებურად ვაჟკაცურად აცლენს“ (27,534).

მუცალის სიკვდილით უნდა დასმოდა წერტილი მის პერსონაჟს პოემაში, მაგრამ, ლოგიკის წინააღმდეგ, ასე არ ხდება. მუცალი სიკვდილის შემდეგ იწყებს „მთავარ სიცოცხლეს“. სწორედ მისმა სიკვდილმა გამოიწვია ალუდა ქეთელაურის შეხედულებების გარდაქმნა, ის ამ პერსონაჟთან ერთად ცოცხლობს და ხდება მისი ტრაგედიის მიზეზი.

„მკვლელობა ქისტი მუცალის ცხოვრებაში მხოლოდ ფინალურ წერტილს კი არ სვამს, არამედ ქეთელაურის ახლებურად აზროვნებისა და მისი ღრმად მონანიე ცხოვრების წესის ამოსავალი წერტილის მნიშვნელობასაც იძენს“ (35,5).

ქისტი მუცალის ვაჟკაცობით მოხიბლული ალუდა მუცალს მარჯვენას არ სჭრის - „მარჯვენას არ სჭრის მუცალსა, იტყოდა, ცოცხა არიო,“ მაგრამ უკუმანოდ მოსჭრა მარჯვენა მის ძმას და იარაღიც აართვა:

„ტახტაზე დაუკიდებავ
მუცალის ძმისა მკლავია,

ვერცხლით მორთული ბაზალა,
ეგ ხორასნული ხმალია.“

ალუდას ამ საქციელის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი პიროვნული ხასიათის გახსნისათვის. ის კონკრეტული მტრის მუცალის მიმართ განიმსჭვალა სიბრალულის გრძნობით, დაეწანა ორთაბრძოლაში ვაჟკაცურად ძლეული გმირი, არ გაიმეტა ხელის მოსაჭრელად, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ის, ჩვეულებრივ, მისდევს ხევსურულ ხელის მოჭრის ტრადიციას.

რა არის ეს ტრადიცია? ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს თემის წმიდათა წმიდა წესია და მისი დარღვევა ნიშნავს თემის დაპირისპირებას. მიცვალებულის გაპატიოსნება და იარაღის აუცრელობაც, თურმე, „თემის ჩვეულებისა და სასტიკი მოთხოვნის“ უგულვებელყოფაა და ითვლება თემის წინააღმდეგ გალაშქრებად.

„მთიელთ რიტუალი ვაჟკაცის გაპატიოსნებისა, სისრულითაა შესრულებული. მაგრამ ალუდაში ასე მძლავრად ამოძრავებული ახალი ჰუმანური გრძნობა ამით აღარ კმაყოფილდება. ალუდა მთლად ახალი გრძნობის ტყვეობაშია. ის თავს ვეღარ იკავებს; თემის სხვა ადათებსაც თანდათანობით არღვევს, მან მუცალს მარჯვენა არ მოსჭრა, არ წაუღო თემს ის, როგორც ნიშანი მტერზე გამარჯვებისა. ეს ჩვეულებაც თემისათვის წმინდათაწმინდა იყო“ (27,534).

კრიტიკოსი სწორად შენიშნავს: ხელის მოჭრა არის „ნიშანი მტერზე გამარჯვებისა“. ეს, ასე ვიქვათ, ხევსურის ვაჟკაცობის დამადასტურებელი იყო და მოჭრილ ხელს ქავის კარზე მიაკრავდნენ ხოლმე. ალუდა უშიშართან საუბარში გარკვევით ამბობს:

„ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწყრა, არა ჰქნა,
რაც საჭირელია ძნელადა:
დაე, დააკლდეს სახელსა,
მე გირჩევნივარ მრჩევლადა“ (10,358).

ე.ი. ხელის მოუჭრელობა მხოლოდ ალუდას მოუტანს ზიანს, მის სახელს დააკლდება, თორემ ამით თემს არაფერი უშავდება. ხელის მოუჭრელობის საკითხი მწვავდება იმით, რომ ხევსურებს მუცალის თავი სჭირდებოდათ, როგორც ქისტებს ზვიადაურისა.

ხევსურების უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ალუდა უკვე სხვაგვარად მსჯელობს, ახლებურად აზროვნებს და თავდაყირა აყენებს მათ შეხედულებას ვაჟკაც მტერზე, ღირსეულ მეტოქეზე. იგი მტკიცედ ამბობს, რომ „მით ვაქებ ვაჟკაცობასა, არ იყიდება ფულადა“.

კონფლიქტი, წინააღმდეგობა თემსა და ალუდას შორის განაპირობა ალუდას მიერ თემის ტრაკიციების კრიტიკამ. უშიშასთან საუბარში იგი აცხადებს, რომ „იმ ცხონებულსა მუცალსა რაკინა სდებიყო გულადა“. ზუსტად მუცალის ცხონებულად მოხსენიებამ განაცვიფრა ბებერი უშიშა და განრისხებული ეკითხება: „რას ამბობ? ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულადა“.

ალუდა უფრო შორს მიდის, არაფრად აგდებს ხევსურთა უკმაყოფილებას, ისეა მოხიბლული „ცილციველი მგლის“ ვაჟკაცობით, რომ ეჩვენებაში აყენებს თანამოძმეების შეხედულებას ვაჟკაცობაზე და სხვა სასჯელის მიმცევართა ხვედრზე:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი“ (19, 359).

ეს კონფლიქტი არ გაღრმავებულა. ხევსურმა ახალგაზრდებმა ბრალი დასდეს ალუდას ლაშრობაში - „გამოჰქცევიხარ ქისტის შვილს, გაღუქცევიხარ ქალადა“. მათი არგუმენტი „მოჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკვენ მისდევდი მა რადა?!“ მაინცდამაინც არაა საფუძვლიანი და მას შემდეგ, როცა ხევსურეთში ცნობილმა ვაჟკაცმა მინდიამ სცადა მღვომარეობის განმუხტვა და მუცალის მარჯვენა მოუტანა, ალუდამ უკვე თეორიულად დაასაბუთა ამ ჩვეულების უსარგებლობა:

„რააღ მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა;
მთაში წავიღო, არ მითიბს,
არც მარგებს თივის კავადა“ (19, 363).

მუცალის გმირულმა სიკვდილმა განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა ალუდაზე. მას იგი ძილის დროსაც არ აძლევს მოსვენებას, მუცალი განაგრძობს მასთან ჭიდილს სიკვდილის შემდეგაც და გამოეცხადება ხელხანჯლიანი:

„ერთ წამს ხელ ვინამ დამტაცა,
ტარი ჩამიდგა ხანჯრისა.
შავხედენ, მუცალი იყო,
ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,
გულზე ემჩნივა ნიშანი

მე-დ იმის ბრძოლის წამისა,
ეგია ნატყვიარშია
ლეგა საფეკი ბრძამისა,
კლდედ იდგა, გაუტეხლადა
ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა" (19,361).

მეცალისა და ალუდას შორის ბრძოლა გრძელდება. ეს ბრძოლა მიმდინარეობს ალუდას ფსიქიკაში, მის აზროვნებაში. ხდება ძველისა და ახლის სასტიკი და დაუნდობელი ჭიდილი. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი იმარჯვებს, ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მეცალს აკისრია. ის, როგორც ვთქვით, გამოეცხადება ალუდას ხელახლა და ეუბნება:

„მინდა სიკვდილი, არ გკვდები,
მამკალო, მითხრა ხევნითა.
თქვენ დაგრჩეთ წუთისოფელი,
მე-კი წავიდე ქვეყნითა,
დაბეხით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა" (19,361).

შემდეგ იწყება კაცობამიაობის ამაზრზენი სურათები, რაც ძლიერ გავლენას ახდენს ალუდას ისედაც აშლილ გონებაზე და ტანჯავს. აქ თავს იჩენს ხევსურული თემის სისასტიკე, მისი, ასე ვთქვათ, ცივილიზატორული მართვა საზოგადოებისა და თითოეული პიროვნებისა.

ალუდა უკვე კრიტიკულად უყურებს თემის ზოგიერთ ტრადიციას, ხევსურებს აშკარა ბრძოლას უცხადებს:

„რაად სწყრებიან ხევსურნი,
რადა ტყვრებიან ჯავრითა?!

მტერს მოკვლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯიბრითა!“ (19,362).

ალუდა უკვე ეჭვსქვეშ აყენებს ხევსურთა ხეცის მოჭრის ტრადიციას და მას უკვე ცოდვად მიიჩნევს:

„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.
ვაი ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“ (19,362).

ხევსურთა ხატობის დრო მოვიდა, ხატობაზე ყველა მიდის, ყველას აქვს სახვეწარი ბატონისადმი. მლოცველი შესაწირით მოდის, ზოგი ცხვარს სწირავს, ზოგი ხარს, ქალი და კაცი ახვევია ხევისბერს.

ალუდაც მოვიდა, ხევისბერს მიუყვანა მოზვერი. ხევისბერიც მზადაა სამსახურისთვის, აღიყდებს თავის ბატონს, რომელსაც გამორჩეულად ვაჟკაცი ყმები უყვარს, ე.ი. მიახვედრებს, რომ ალუდასნაირი ყმები სასურველია ბატონისათვის. მაშასადამე, ალუდასა და თემს შორის ხიდი საბოლოოდ ჩატეხილი არ არის, ალუდა თემის ჩვეულებრივი წევრია და სარგებლობს თემის წევრის უფლებებით და მოვალეობებით. აღრინდელი განხეთქილება და წყენა დავიწყებულია, ხევისბერი მზადაა, შეასრულოს თემის წეს-ადათი, იგი ალუდას მიმართავს:

„მითხარ სახელი, ვის სწირავ,
იმასამც შეწირება.
ხანჯარს აიძრობს, დიდების
სათქმელად დაელირება“ (19,364).

იმ კაცის სახელი, რომლის გამოც ალუდა და ოქმი ერთმანეთის გადაეკიდნენ, მუცალია.

„ - ეგ სამხვეწროა, ბერდიავ!
ძოლან მოკლულის ქისტისა,
მუცალს ეტყოდნენ სახელად,
მაუნათლავის შვილისა“ (19,364).

ეს უკვე გამოწვევა იყო. ალუდას შეგნებაში მომხდარი გარდატეხა თვალსაჩინოა. მან უკვე ეჭვი შეიტანა თემის შეხედულებების სისწორეში, მივიდა დასკვნამდე, რომ მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა რწმენისა და ეროვნებისაა ადამიანი, ადამიანში უნდა დაფასდეს უპირველეს ყოვლისა ღირსება, ვაჟკაცობა და მამაცობა.

ქისტი მუცალი ხანის გასვლის შემდეგაც ახდენს ზემოქმედებას ალუდაზე, ის განაგრძობს სიცოცხლეს ალუდას სულიერ სამყაროში და მტკიცედ დამკვიდრდა იქ.

ალუდა თავს ვალდებულად თვლის, მოეპყრას მუცალს ისევე, როგორც თანამოძმეს, როგორც ნათესავს, თვისტომს, მეგობარს. ის არის კიდეც ალუდას სულიერი ნათესავი, ეს ორი ყოფილი მოწინააღმდეგე ვაჟკაცობაზე საერთო შეხედულებამ მეგობრებად აქცია.

ალუდას ასეთი საქციელი, როგორც ითქვა, გამოწვევა იყო და ხევისბრის რეაქციაც ლოგიკურია:

„ - გაურჯულებულს არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა,
ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მოგიხდებისა“ (19,365).

ხევისბერის არგუმენტები დამაჯერებელია: ალუდა სრულიად ახალ, ჯერ არნახულ და არგაგონილ საქმეს სთხოვს ხევისბერს, ხევსურული თემისთვის გაუგონარ და, ამავე დროს, მიუღებელ ცვლილებას სთხოვს, დაუკანონებელს აკანონებს.

ბერდიას პოზიცია მტკიცეა:

„მამით არ მოდის ანდერძი,
პაპითა-დ პაპის-პაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა;
ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა
როგორ ამოგცდა ბაგითა?“ (19,365).

ხევისბერი ბერდია გაოცებულია ალუდას საქციელით, მისთვის გაუგებარია მლოცველის მოტივი. იგი ალუდას შეახსენებს, რომ შენ ადრეც ბევრი მტერი გყავს მოკლული, ამის დამადასტურებელი ის ხელებია, შენს ციხის კვაზე რომ ჰკიდია, მაგრამ შენ ციკანიც კი არ შეგიწირია მათთვის:

„რამდენ სხვა მაჰკალ, შენს კავზე
ხელებ ჯღორდესავით ჰკიდია,
ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის,
მარჯვენების ხიდია;
ციკანიც არვის დაუკალ,
განლამც კურატი დიდია“ (19,366).

ამ შემთხვევაში თემი მართალია. ის იბრძვის თავისი საუკუნოვანი ადათ-წესების შენარჩუნებისათვის, კარგად იცის, რომ ამგვარი გადახვევები რღვევას შეიტანს თემის მთლიანობაში და

მრკიცედ ილაშქრებს ქრისტიანული სიახლის გამოვლენისას. უცდაად, თემი გრძნობს ახალი იდეების სიის, ბარაკ მიმდინარე პროცესები მთაშიც აღწევს, „საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს...“ ეს ისტორიული პროცესი შეუქცევადია, რა მასშტაბებით და რა კუთხით, ეს დროის საკითხია.

როგორც ვიქვით, ხევისბრის არგუმენტები დამაჯერებელია, მაგრამ ალუკა, მიუხედავად იმისა, მისი დიდი პატივისცემისა და რიცხია, ბერდიას სათხოვს, შეიწყნაროს მისი თხოვნა, გაითვალისწინოს, რომ, „მითომ ერთნი ვართ, ბერდიავ, მცხოვრებნი ერთი მთისაო“, მაგრამ ხევისბერი მტკიცედა თავის გადაწყვეტილებაში: „ტყუილად სცდები, ალუდავ, ტყუილად იცვეთ პირსაო“.

განრისხებულმა ალუდამ თავის თავზე აიღო ხევისბრის ფუნქცია, თავად შესწირა საკლავი ქისტ მუცალს და

„თან შაეხვეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ შვილსაო,
ალლადა ჰქონდეს მუცალსა,
მაგ მოუნალავ გმირსაო“ (19,366).

ეს გაუგონარი ამბავი იყო, წარმოუდგენელი. ამჯერად საქმე სერიოზულია: თემის წევრი თავის თავზე იღებს მსხვერპლშეწირვას, რაც ყოვლად დაუშვებელია. ალუდამ ამჯერად ზღვარს გადააბიჯა და დაუსჯელი ვერ დარჩებოდა.

ხევისბერი ყალყზეა შემდგარი:

„ბერდია ჯაგარაშლილი
სალხისკე იზამს პირსაო.
- გაგონილაა, - იძახდა, -

ასრე აგდება რჯულისა:
საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,
გამხსენე ქრისტის სულისა“ (19,366).

განრისხებული ბერია იქვე, ყოველგვარი განსჯისა და სასამართლოს გარეშე თავად იღებს გადაწყვეტილებას და გამოაქვს სასტიკი განაჩენი: ალუდა მოიკვეთოს თემისაგან, გაძევებული იქნეს სამწყობლოდან, ქონება კი დაატოვებინონ.

მართლაც, მრისხანეა ხევსურული თემი. ალუდას იმდენი არ შეუცოდია თემის წინაშე, რაც ჯოყოლას. ალუდა თავის მიერ მოკლული მტრის მხოლოდ სულის ცხონებაზე ზრუნავს, ჯოყოლა კი იარაღით იცავს თემის დაუძინებელ მტერს, თავის თანამოძმეებს უპირისპირდება და სისხლს ღვრის. ამ მძიმე დანაშაულისათვის ჯოყოლა თემმა გარიყა, იგი არც მოუკვეთია თემს, არც გაუძევებია მშობლიური ადგილებიდან და არც მის ქონებას შეხებიან.

ამ კუთხით ქისტური თემი უფრო დემოკრატიულია.

ამ ხატობაზე, საღაც ალუდა მუცალისათვის მსხვერპლის შეწირვას ცდილობდა, კვლავ გამოჩნდა მუცალის მარჯვენა, რომელიც თურმე ყორანს მიჰქონდა და მოისარმა ჩამოაგდებინა, ხევსურები ქისტის მარჯვენას უკმაყოფილოდ შეხვდნენ:

„ - მუცალის მარჯვენა არის,
მიზეზი ხევსურთ რეგისა, -
წყრომით იტყოდა მინდია, -
მიზეზი იმათ წყევისა;
მე მივუტანე ალუდას,
ფერი დაგადევ წყენისა,
რო არ მიიღო ალუდამ,
სიძრმე გაჩვენე ხევისა“ (19,367).

ხუცისბერი ბერდია მუცალის მარჯვენის დანახვამ ძლვა-მარეობიდან გამოიყვანა:

„ - წაიღეთ, - ამბობს ბერდია, -
ტოტი ურჯულოს ძალლისა,
არა ვართ ხევსურთ შვილები
ყმანი ეშმაკის, ალისა“ (19,367).

განრისხებულმა ხევსურებმა მკლავი ძაღლს მიუგდეს საჭმელად, მაგრამ ქოფაკმა პირი არ ახლო და „მორთო ღმუილი ბრალისა“. ეს ნიშანდობლივი იყო, ძაღლიც კი აღიარებდა გმირის მარჯვენას, მაგრამ ბერდიამ თავისებურად ახსნა „ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო“.

მუცალის მარჯვენის ბოლო ასეთია:

„ქისტის მარჯვენას ბალღები
დაბლა ათრევენ კავითა“ (19,367).

ხევსურებს „თემის ესაზღვრო ნდობა აქვთ“ (35,85). სამშობლოდან განდევნილი ალუდა, რომელსაც ქონება ჩამოართვეს, ციხე დაუქციეს, ნათესავები დაუწიოკეს, თემის ერთგული რჩება და დის საყვედურებს ასე პასუხობს:

„ჯავრობით ეტყვის ალუდა:
- დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
მოდით, მამყევით, ვიდინოთ,
ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყდთ,
ნუ გადიქცევით ცეცხლადა!“ (19,369).

სად იპოვა თავისუფალი ალუდა ქეთელაურმა? დაასრულებს ამ პოემის კითხვას და ყოველთვის ეს კითხვა ამოტივტივდება გონებაში, იქნებ ქისტეთში გადავიდა? როგორ? იმ ქვეყანაში, სადაც მრავალი მტერი ჰყავდა? ალოგიკურია, მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სწორედ იმ ხალხში წავიდა, სადაც ვაჟკაცის ფასი იცოდნენ. სხვა მხარეს ვერსად გადავიდოდა ზამთარში.

ამ ვერსიას იზიარებს ხევსური პოეტი ავთანდილ დაიაურიც, როცა ლექსში „ჯარეგის გზაზე“ წერს:

„ეს გზები განვლო, ალბათ, ალუდამ
და ამ ბილიკზე გადაიარა,
წავიდა ქისტეთს, ალარ დაბრუნდა,
დარდი ამ კლდეებს გაუზიარა“ (18,5).

„სისხლის ძიება“

ვაჟა-ფშაველა, როცა უხდებოდა პასუხის გაცემა ზოგიერთი კრიტიკოსის ბრალდებაზე, რომ „ვაჟაც უხვად და ხშირად სარგებლობს ხალხში შექმნილ-შენახული ეპიკური მასალით: საგმირო სიმღერებით და თქმულებებით“ (24,241), წერდა: „ჩემი პოემები, თითქმის ყველა, სულ ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე არიან დაფუძნებულნი. თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარად, ზოგი ცოტათი თუ ბევრად უახლოვდება დედანს, სხვა სრულიად დაშორებულია მათზე, ე.ი. ზოგი ნაწარმოების არაკი ძალიან თავისებურად არის შემუშავებული და ზოგი ნაკლებად შემუშავებული, ნაკლებად თავისებური, და, წარმოიდგინეთ, ნაკლებად სახელოვანიც“ (21,451).

მარიალაც ძალიან ძნელია ხ'ალხური 'შემოხვევა'ში ვაჟას პოემების გმირების ცხოვრების ლროის, მოქმედების ადგილის, სა'სოგადოებრივი მდგომარეობისა და ნამდვილი წ'არმომავლობის განსა'საზვრა. „რომელ საუკუნესა და რომელ სა'სოგადოებრივ წ'რეს ეკუთვნიან ალუდა ქეთელაური, მუცალი, გოგოთური, აფ'ხაზი, 'სვიადაური, ჯოყოლა და სხვები? პოეტს უმეტეს 'შემოხვევა'ში ისინი არ 'შეუქმნია მარტოოდენ თავისი 'შემოქმედებითი ფანტა'ზიით, არც მარტოოდენ თავის გარ'შემო არსებულ სინამდვილე'ში დაუნახავს, მას ისინი გამოუ'წვევია ხალხური პოეზიის სიღრმეებიდან, ათასწლოვანი ბნელი მითოსიდან, ხოლო 'შემდეგ თითქო დიდოსტატის კვერითა და საკვეთით გამოუქანდაკებია და ერთმანეთთან შეუთავსებია თავისი მხატვრული მიზნების მიხედვით“ (49, 238).

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვაჟა-ფშაველას პოემა „სისხლის ძიება“, რომელსაც სათაურის ქვეშ აწერია „ამბავი ჩერქეზთა ცხოვრებიდან“, მაგრამ ნაწარმოების ყურადღებით გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებთი, რომ პოემის გმირთა სამოქმედო არეალი ქისტეთია და გმირების ხასიათიც ქისტების ეთნოგრაფიული ცხოვრებიდან მომდინარეობს, პოემის ზოგიერთ პერსონაჟის გაცნობისას უნებურად გვახსენდებიან სტუმარ-მასპინძლის გმირები, სახელებიც კი ემთხვევა.

პოემა „სისხლის ძიება“, როგორც ვაჟას პოემების უმრავლესობა, იწყება ბუნების აღწერით. ბუნების ფონზე ჩნდება მხედარი, რომელიც თავის სოფელს უახლოვდება. უნაგირის ტახტაზე, როგორც ალუდას, მოჭრილი მარჯვენა დაუკიდნია და ძლიერ კმაყოფილია, რადგან კარგ ნადავლს ელოდება - მარჯვენაში უნდა მიიღოს ხმალი, ფული და ცხენი.

ეს მხედარი ჩერქეზი დემური გახლავთ, რომელმაც ორთაბრძოლაში კი არ დაამარცხა მტერი, არამედ ჩუმად, ღამით

"ცეკვა ქისრის, განიკუთვნილი ჯიგიტის სახლში და "ცეკვა ქისრის მაგივრად მისი სულძარი მოკლა და ეხლა მისი მარჯვენა უნდა მიართვას ჩერქე'სია მთავარს, გულბოროტ ასლანს.

ლემურს სულაც არ რცხვენია თავისი ნამოქმედარის, რადგან „რაცა ჰქმნა - სასახელოა, ოცნავაც არ რცხვენია". იმ ეპოქა'ში, რომელიც ვაჟას პოემებ'შია ასახული, ნადავლისათვის თარეშები, სახელისათვის მკვლელობები, საძრახისად კი არ ითვლებოდა, არამედ ვაჟკაცობად მიაჩნდათ.

„რადგან ძველისძველი კაცობრიობის ცხოვრება მუ"ტზე და ძალაზე იყო დაფუძნებული, ერთი თემი მეორესა ჰლა"შქრავდა ხშირად უსაფუძვლოდ, მხოლოდ მო"ვადინებასა და სურვილისამებრ; დამჩაგვრელი ცაჩაგრულს არბევდა, ამონავებდა. ყველა თემისთვის იმ დროება'ში, რასაკვირველია, პირველი ღირსება ვაჟკაცობა იყო. ვისაც გული და ჯანი უჭრიდა, იგი იყო მაშინ კაცი; ვაჟკაცი ხელებოდა საგნად მღერისა, ლექსისა, ამბისა, ზეპირ-გადმოცემისა" (22, 462).

თავმომწონე ლემური უცვება ცოლსა და მე'სობლის ბიჭს თავისი „გმირობის" ამბავს:

„იქით, რომ სახლში ჩაუხტი
ლამით მძინარას ბანითა.
გამიგო, მაგრამ დავასწარ,
ცული გამოვტყერ დანითა.
შეველებე მის სახლის კერა
მისიგე სისხლის ღვარითა,
აჩხაკლდა სახლში ბებერი,
მე კი გადმოვხტი კარითა.
ცხენს დავაფრინდი, წამოვედ,
გცემე მათრახის ტარითა.

მოჰკრთება ჩემი მიმინო,
ფეხებს იბანდა ქარითა.
იქნება ტერელოელნი
უკან მომდევნდნენ ჯარითა" (27,531).

ვინ არიან ტერელოელნი? ტერელო, ტერელოს წყალი, ტერელოელნი პოემის ზემდეგ თავებშიც გვხვდება. დემურის ცოლი, რაღაც ინტუიციით შეპყრობილი, ღამე ჭრაქის სინათლეზე სინჯავს „ქიჩირის მარჯვენას" და აღმოაჩენს, რომ მკლავი მისი ძმისაა: თითზე დემურის ცოლის დედის ბეჭედია, აბეზით დამწვარიც ენიშნა ხელზე. ქალს სასოწარკვეთით აღმოხდა:

„ვაჰმე, შენ, ძმაო ალხასტაგ!
ცამც დამჭკნეთია თავზედა." (27,534).

ქალმა ძმისმკვლელი ქმარი დასწყევლა:

„ღლე გაგიმწარდეს, დემურო,
ძმა მომიკალი რაზედა?!
შაგად მენახოს, ქმარაო,
შენი ვარსკვლავი ცაზედა,
შენი უმსგავსი მარჯვენა
მტერსაც მიეკრას ქავზედა!"

წამოიღო ძმის მარჯვენა და წამოვიდა ქმრის სახლიდან, საით წავიდა ქალი?

„მირბის, იქ მირბის, ტერელოს
ძმა უნდა ნახოს მკვდარია,
ქიჩირის სახლში იკითხოს,
იქ უნდა მოხდეს ზარია" (27,534).

ქიჩირიც ტერეულოელია. თარეშობდა საბრალებელი ქიჩირის სახლში ამაზრზენი ამბავი დახვდა – ვოლაცას მისი სტუმარი მოეკლა და მკლავიც მოეკვეთა. ქიჩირი განრისხებულია:

„ვინ შემარცხვინა თავხედმა
სირცხვილით მეტის-მეტითა?
სახლში მომიკლეს სტუმარი,
როგორ-და აგდგე მკვდრეთითა?“ (27,535).

ქიჩირს ცხენისთვის უნაგირიც არ მოუხსნია, საგზალი აიღო და ცხენს მოახტა:

„თუ ვერ ვიყარო მტრის ჯავრი,
წელზე რად მარტყავ ხმალია?“

საყურადღებოა, რომ ქიჩირი დიკლოსკენ მიდის - „მაინც წინ მიდის დიკლოსკე, გული იმედის კრთომითა“. გზაში შეხვედრილ დემურის ცოლს ტერეულოელ დარბაზი გაეცნო, მისგან შეიტყო მისი სტუმრის მკვლელის სახელი, ქალს ტერეულოს გზა ასწავლა და თავისი სახლიც აჩვენა:

„თეთრად რო მოსჩანს - ქიჩირის
ციხე-გალავნის ყორია,
მდინარე ტერეულოსია
გაწოლით, როგორც მორია“ (27,538).

ქიჩირს გზად შეხვდა ცოლის გამოკიდებული დემური, ორთაბრძოლაში დაამარცხა მოღალატე, მოსჭრა თავი და

„პირდაპირ დიკლოს გასწია,
კარგი მცოდნია გზისაო,

გამოათავა მინდორი,
დიკლოს მოვიდა ლამითა,
მირბის ასლანის ეზოში
ხელში დემურის თავითა,
ასლანის კარების წინა
თავს არჭობს ხისა ტარითა.
დაბრუნდა ტერელოსავე
ამსრულებული ვალისა...“ (27,538).

ტერელო (ქისტურად ტიერი) ქისტეთის ერთ-ერთი რეგიონია, იგი მდებარეობს ქისტეთის შუაგულში, მდინარე არღუნის აუზში. მდინარე არღუნს დასავლეთის მხრიდან ერთვის ტერელოს წყალი, რომელიც ქმნის საკმაოდ ფართო და ნაყოფიერ ხევს, სადაც ცხოვრობდა ტერელოს თემი. ტერელოს თემი წარსულშიც ცნობილი თეიფი იყო, მოუსვენარი, მოთარეშე ჯიგიტებით და მებრძოლი სულისკვეთებით გაჟღენთილი ხალხით.

ჩერქეზეთი დასავლეთით მდებარეობს, ჩრდ. ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის შემდეგ. „სისხლის ძიების“ ერთ-ერთი გმირი, ჩერქეზი მოავარი დიკლოში ცხოვრობს. დიკლო კი ტერელოს ალმოსავლეთით, მაისტის შემდეგ, თუშეთში მდებარეობს.

მაშასადამე, პოემის გმირების საცხოვრებელი ადგილი ქისტეთში მდებარეობს, ქიჩირი ტერელოელია, ქისტი, პოემის მი ხედვით კი ჩერქეზი. დემურის ცოლი და მისი ძმა ალხასტაც ქისტები უნდა იყვნენ.

აღნიშნული გარემოება სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში, თუ გავითვალისწინებთ ვაინახთა მიწა-წყალზე მიმდინარე მოვლენებს თათარ-მონღოლთა შემოსევების შემდეგ. ვაინახი ტომები ძლიერი და დაუნდობელი მტრის შემოსევის შემდეგ

იძულებული გასცნენ, მიეცათ მიწებისა და ხეობების შეხიზნოლნენ და იქიდან განაგრძობდნენ ბრძოლას ვერაგ მტერთან.

გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდში იწყება ვაინახების დაბრუნება ვაკე ადგილებზე და აქ ახალ წინააღმდეგობას წააწყდნენ: ზოგიერთ ადგილებში ჩერქეზი და ყაბარდოელი თავადები გაბატონებულიყვნენ და მშობლიურ მიწა-წყალს არ უთმობდნენ ვაინახებს. ხდებოდა ისეც, რომ თავისუფლების მოყვარე ვაინახური ტომები ადმინისტრაციულ მმართველად სწორედ გარეშე თავადებს იწვევდნენ, რადგან არ უნდოდათ, მათი წრიდან ვინმე გამხდარიყო ბატონი ვაინახებში ბატონყმური ურთიერთობა არასდროს ყოფილა. ასეთი მოწვეული მმართველები ხშირად ცდილობდნენ გაბატონებას თემზე და იწყებოდა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ვაინახური საგმირო ეპოსის „ილლის“ გმირები სწორედ ასეთი დამპყრობელი თავადების წინააღმდეგ გამოდიან და დიდი სიყვარულით სარგებლობენ ხალხში.

„საგმირო ეპოსის „ილლის“ ჟანრის ნაწარმოებთა ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათში აისახა ვაინახი ხალხის ისტორიული წარსული, ისტორიული პროცესები თავისი ეკონომიური ალმავლობით მატერიალურ-სამეურნეო სფეროში და თათარ-მონღოლთა და თემურ-ლენგის საშინელი დამანგრეველი ლაშქრობების შედეგად ისტორიული განვითარების შეჩერებით. მთებში საუკუნოვანი კარჩაკეტილი ცხოვრების შემდეგ ვაინახები იწყებენ კვლავ მასიურ დაბრუნებას ვაკე ადგილებზე, იწყებენ ახალი დასახლებების შექმნას ბარში, რასაც ეწინააღმდეგებოდნენ მაზობელი ხალხების თავადური კლანები. მათთან და შემდეგ ჩრდილოეთიდან წამოსული რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის გახდა საგმირო სიმღერების მთავარი საგანი (63, 30-81).

სწორედ ასეთი გმირი ქისირი აქცსდრდა ჩერქეზთა მიავარ ასლანს, რომელმაც, როგორც ხალხში ამბობენ, ჩერქეზეთი გაიყიდა - „იტყვიან, ვითომ ასლანმა გასცა სამშობლო თავისა“. მოღალატე თავადის წინააღმდეგ ილაშქრებს ქისირი:

„რად ჰმონებთ ასლანს, ჩერქეზნო,
ულელს რად იდგამთ კისრადა,
სხვისა ნაყმევი, ნალახი
გამოადგება გის რადა?!
უბატონობა რით არ სჯობ,
ნეტავ ბატონის ყოლასა“ (27,528).

ეს ის პერიოდია, როდესაც რუსები მოიწევენ კავკასიისაკენ და ცეცხლითა და მახვილით იპყრობენ ჩრდილო კავკასიას, როცა „ზღვა დააყენა ბრძოლისა ჩერქეზთ რუსებთან მწარესა“. ხოლო ჩრდილო კავკასიაში რუსების წინააღმდეგ ბრძოლას რომ ვაინახები ხელმძღვანელობდნენ და მთავარ ძალას წარმოადგენდნენ, და წარმოადგენენ დღესაც, ისტორია მოწმობს.

ვაჟა-ფშაველა, უდაოდ, იცნობდა ტერელოს. ფშავ-ხევსურულ ფოლკლორში ამ ხევსა და თემს დიდი ადგილი უჭირავს. ხმით ნატირალებში არის ერთი ფშაური ნიმუში, სადაც და გლოვობს ტერელოში თარეშის დროს დაღუპულ ძმას:

„მე ძმა გაგზავნე ტერელოსა,
თორმეტ მეომარს გაგაყოლე:
ჩემი ძმა, ჩემი ჯაჭვურაი
ტერელოთ სახელს მამიტანსო“...(66,54).

ჩვენი აზრით, ვაჟა-ფშაველამ, რომელიც კარგად იცნობდა ქისტეთს და ქისტების ეთნოგრაფიას, ქისტი პერსონაჟები

ჩერქეზებად აქცია. ეს პიესის ფანტაზიის ნაყოფია. შექმნილებითი წარმოსახვის თავისუფლება მას ამის ნებას აძლევს, ეს შემოქმედთა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, კრიტიკოსები ხელისუფლების ჭარბად გამოყენებას და მითვისებას საყვედურობდნენ პოეტს და მასაც განგებ გაღაჩავდა, ალბათ, მკითხველი უცხო ქვეყანაში. ამ აზრის სისწორეს თავად ავტორის სიტყვებიც ამოწმებს:

„ბევრი ამბავი და ხალაპარი მე შევქმენ და იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი: „ძველის-ძველი ამბავიო", „ხალაპარიო", „თქმულებაო", იმ მოსაზრებით - დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო" (21,451).

სრულიად შესაძლებელია, ამდაგვარი თუ სხვა რამ მოსაზრების გამო, რაზეც ზემოთაც აღინიშნა, ვაჟას თავისი პოემის ქვეშ მიეწერა ფრჩხილებში: „ამბავი ჩერქეზთა ცხოვრებიდან".

„მოკვეთილი"

ვაჟა-ფშაველას პიესა „მოკვეთილის" თემა ფშავლებისა და ქისტების ურთიერთობაა. ამ პიესაში რეალურად არის ასახული მთიელთა ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც, როგორც ზემოთაც ითქვა, კაი ყმის ღანიშნულება მეზობელ ტომებზე თარეშში და ნადავლი იყო.

სასაზღვრო ზოლში მცხოვრებ ქართველ მთიელებსა (მოხევეები, ხევსურები, ფშავლები, თუშები) და ვაინახებს შორის უხსოვარი დროიდან არსებობდა პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული კავშირები, რაც ეფუძნებოდა ამ ხალ-

ხების კეთილმეზობლური, მეგობრული და ნათესაური ურთიერთობებს.

მაგრამ, ამავე დროს, მათ შორის ხშირად იფეთქებდა პირადოვნული თუ ჯგუფური კონფლიქტები, რაც ყოფა-ცხოვრებითი მიზეზებით ხასიათდებოდა. ეს მიზეზები მომდინარეობდა მთიელების მეკობრული მენტალიტეტიდან, რომლის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა მიწაში არსებული მკაცრი ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებები. ნათია ჯალაბაძეს მიაჩნია, რომ ეკონომიური, ზნეობრივ-ეთიკური, რელიგიური და ტრადიციული ფაქტორები განსაზღვრავდა მთიელებს შორის მეკობრულ თარეშებს:

„კონფლიქტებს განაპირობებდა ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივ-ეთიკური და რელიგიური ფაქტორები. მწირი და მცირე მიწის სავარგულები და, აქედან გამომდინარე, სიდუხჭირე, კუთვნილი ტერიტორიების საზღვრების მტკიცედ დაცვის აუცილებლობა, რელიგიური ცრურწმენების ხელყოფა და ყოფითი ურთიერთობის ტრადიციული ნორმების დარღვევის შემთხვევები მთიელთა შორის განხეთქილების გამომწვევი მიზეზები იყო. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია მთიელთა მენტალიტეტი, რომელიც ვაჟკაცობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ პირობად მეზობელი ტომის ძარცვა-რბევას, მეკობრეობას და მათი წევრების კვლას გულისხმობდა“ (72,41).

განსაკუთრებით სასახელო იყო ქისტეთში ლაშქრობა, ქისტური აულების ძარცვა და თარეში, რადგან როგორც ზეპირსიტყვიერებაშია ასახული, ყველაზე ძნელი სალაშქრო ქისტეთი იყო. იქ სათარეშოდ ჩასულ ფშავლებს მეტად წინააღმდეგობა და სასტიკი ბრძოლა ელოდათ, რაც ძალზე ხშირად თავდამსხმელის საზიანოდ მთავრდებოდა:

„ქისტეთისაკენ მივდივარ,
კაცნი თქვეს ქონებიანნი,
ბევრანი სჯანან ცხვარ-ძროხა
და ქალნი ოქროსთმიანნი...
ჩახვალ და ვერარ ამოხვალ,
რო თავს არ მისცა ზიანი“ (3,69).

ხალხურ ლექსში „ფშაველების გალაშქრება მითხოში“ მოთხრობილია, თუ როგორ შეიკრიბა ფშაველების ლაშქარი და თავს დაესხა ქისტეთს:

„გავიდეს ტერელოშია,
მაჰგლოვდეს ციხის კარია,
გამოაბრუნეს ცხვარ-ძროხა,
გაჰყვება ქისტის ჯარია“ (47,71).

მაგრამ ასეთი ლაშქრობა მსხვერპლის გარეშე ვერ ჩაივლიდა ხოლმე. მთქმელიც ლექსის ბოლოს ასე მიმართავს ფშაველებს:

„ნუ დაივიწყებთ, ფშაველებო,
თუ ვინ იქ დაგრჩათ მკვდარია,
მაშინის მაიგონებდეთ,
რო გედგეთ ლუდის ცვარია“ (47,71)

ლუდის სასმელად დამსხდარი ფშაველები იხსენებენ ხოლმე ქისტებში თარეშის დროს დაღუპულებს: „მოიხსენოს კურთხევით შენი ძმა ბეწინა, დედილო, გაანათლოს იმისი სული!... ღმერთმა მოიხსენოს, ვიცი, ქისტეთს ლაშქარში მოკვდა, გაგიმარჯოს, რო ის კაი ყმა იყო“ (19, 842).

„თარგმნები ნაღვაწლისათვის სულიერებრივი მოკლება იყო კაცკაციულ მოციქულებში, ეს, ასე ვთქვათ, მათი ცხოვრების, საქმიანობის პროფესიად იქცა და ვაჭაცობის გამოკლენის არენა გახდა. რიგორც ვეინახებში, ისე ქართველ მოციქულებშიც კაი ქმად ის ითვლებოდა, ვინც ითარგმნებდა მწიობლის ქვეყანაში, მოიპაკებდა საქონელს და ნაღვაწლით დაბრუნდებოდა სამშობლოში, ხოლო თუ ქისტს მოჰკლავდა, მასზე სიმღერებს სთხზავდნენ.“ (61,237).

„მოკვეთილი“ სწორედ ქისტეთში ლაშქრობაზე საუბრით იწყება. ცხვრის პატრონი შეშანა თავის მწყემსს ქისტეთზე შარშანდელი ლაშქრობის ამბავს ეკითხება. ივანეც უყვება: „...ჩავედით. ღროშიონნი მთაზე გავსწირეთ, ქვეით მოდებული იყო ხაროვანი, გამოვარჩიეთ ერთი ორმოცამდე ხარი და დავირეკეთ. მწყემსები მაშინვე დაფრთხნენ, დაიკვნენ სოფლისაკე, ოღონდაც პირდაპირ ვნახეთ, რომ ჩამაწყეს ქისტიშვილებმა ჩამოდენა, ზოგი საით მაალიპლიპებდა თოფს, ზოგი საით“ (19,830).

ივანე აღნიშნავს, რომ „ღროშიონნი“ მთაზე დავტოვეთო. ე.ი. ლაშქრობის ღროს ხატის ღროშები წამოუღიათ, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული თავდასხმა მოწყობილა არა რომელიმე რაზმის, დაჯგუფების მიერ, არამედ ხევისბერების დალოცვით მთელი ოემის მიერ: „...ღროშას წააბრძანებენ და დაავლენენ ყველგან, ვისაც კი ლაშარას - ჯვრის ბეგარი აძე: ღროშიონნი წავა თუშეთს, ქისტეთს და სხვაგან“ (19,858).

„მოკვეთილის“ მთავარი გმირი ჩონთა, ცნობილი ქისტეთში ლაშქრობით, „წარმოდგება კიღევ ლაშარის გორზე ხალხის წინ და დაიწყებს ვეფხვივით რუხრუხს: „ჩვენი ლაშარი-ჯვარი ქისტეთზე გალაშქრებასა ბრძანებს და გაემზადენით, ვისაც კი გული გერჯისთ“ (19,841).

ივანე ;;;ცება ;;ს;;ანას, რომ ქისტები მუსგრაღ დაე;;ხვნენ თავდამსხმელებს, ფ;;შავლები ტრიალ ადგილ;;ე მოხვდნენ და მძიმე მდგომარეობა;;ი აღმოჩნდნენ: „ჩვენ ტიტველს ალაგას მოვხვდით, იქ ქაუჩის მეტი არაფერი იყო, ვერას აიფარებდა კაცი. მოგვისხლინენ ძალლები პირდაპირ არყიან;;ი და მოგვაყარეს თოფები. კიღევ კარგი, რომ ;;ორს ვიცვენით, თოფები ვერ ა;;ევსა, ითორა სუ ერთიან ამოგვწუვავსნენ. ქვეით სამ ელგუჯა და ჩონია დარჩნენ. ელგუჯას გაარტყეს თოფი და ;;ამააქციეს“ (19,830).

ამ შეტაკება;;ი ქისტებმა უფრო იზარალეს: „რამდენჯერაც მოგვე;;ივნენ, იმდენჯერ გავაბრუნეთ, ერთი ხუთიოდ მკვდარი კი ;;აიღეს, სამი-ოთხი დაჭრილიც იქნებოდა“ (19,831).

ივანე კარგად იცნობს ქისტებს, მათ სწრაფვას სამაგიეროს გადახდისაკენ და უკვირს, რომ თავდასხმა დააგვიანეს: „...ძალლებია, არ შეგვარჩენენ. ძალიანაც დაიგვიანეს, რო ფშავის ხევი არაით დააზიანეს. შუშანაც აღასტურებს, რომ ქისტები „მოუსვენარნია; დაუდეგარნია, თუ ჩვენც ეგრე არ ვუყავით, არ გამოდგება, ცოლებადაც მოგვინდომებენ“ (19, 831).

მართლაც, ახდა ივანეს ეჭვები და ქისტები თავს დაესხნენ ფშაველებს. გულქანის მონათხრობით: „ქისტებმა აგვიკლეს, კაცის ჭაჭანება არ არის სამთოებ;;ი. მაზლი მამიკლეს ელი;;ბარი. ჩონთაის ბინა სუ აიკლეს, საქონი გარეკეს, მზევინარიც ;;აიყვანეს“ (19,836).

ქისტების ეს ლაშქრობა განსაკუთრებულია, რადგან მათ წინ მოუძღვით ფშაველი ბახა, „ის გაუძღვა წინ ქისტებს“. ბახას ჯავრი სჭირდა ჩონთასი, რომელმაც ბახას დანიშნული წაართვა და ცოლად დაისვა. ეს საქციელი, მართალია, თემმა არ მოუწონა ჩონთას, მაგრამ როგორც ხატის და თემის კაი ყმას, აპატიეს, ბახა ვერ გაუმკლავდა თავად ჩონთას ძალადობას და დასახმარებლად მიმართა მოსისხლე მტრებს.

არც ასკი საკვირველი იყო ეკლესიისათვის. ქართულ სეპირისტვიერებაში ხშირია ნიმუშები, სადაც ქისტეთში გადასახლებისა და ქისტების დახმარებით სამაგიეროს გადახდის შემთხვევებია მოთხრობილი. პირადი შეურისძიებით შეპყრობილი ფშაველი შეყვარებულს ასე მიმართავს:

„გადმამჭედ, გადაგიყოლებ,
ქისტეთს დავიდებ ბინასა,
მაჰმადის რჯულზე დაგდგები,
სახელად გიტყვი წიქასა,
ტანზე ჩავიცმი ჩოხასა,
ლულლუგას, ქისტებისასა,
მივაკრავ ქისტის ციხეზე
მარჯვენას შენის ჭრისასა,
დნებოდეს, ჩამოდიოდეს,
ლიბოს ადნობდეს ქვისასა“ (42,11-12).

ბახას და ჩონთას კონფლიქტი პიროვნული, ყოფა-ცხოვრების საფუძველზე წარმოშობილი იყო. მაგრამ ეს კონფლიქტი, რომელიც თემმა არ აღიქვეთა, არ მისცა თავისი მართლმსაჯულებრივი შეფასება, გაღიაზარდა საზოგაღოებრივში. ბახამ დაუშვა საბედისწერო შეცდომა: შურისძიების წყურვილით შეპყრობილი იმღენადაა დაბრმავებული, რომ ვერ ხედავს თავისი მოქმედების არსს. მან უღალატა თავის თემს, სამშობლოს და მტერი შემოჰყავს. მართალია, თავისი ჰკუით მხოლოდ ჩონთას სჯის, მაგრამ, სინამდვილეში მთელ ფშავს არბევს.

ბახა თავს იმართლებს - „განა მე ქისტები ფშავის ხევს მივუსიე, - მარტო ერთს კაცს.“ - მაგრამ მისი თანამოძმეები სხვა აზრისანი არიან. კი, „მაგიერის გაღახდა წესია, რჯულია, სახ-

ულია". მაგრამ ხვი, იმი ქვესაფერ'ზე მაღლა ღგას. ბახას საქციელს ღუდამისიც კი, რომელიც შვილს ნიადაგ შეურაცხყოფის ჩამორეცხვას უბრძანებდა, ცალსახად გმობს: „ურე უგუნურს! განა მე ის გიხარ, ქისტებთან დაიჭირე სავიო, ურჯულოს ეძმობილეო, - წაღი, გადმორეკე ქისტები და ქვეყანა ააკლებინეო!" (19,853).

თემი ასეთ საქციელს ვერ აპატიებდა თავის წევრს. იმისა და პიროვნების დაპირისპირება'ში თემი მართალ პოზიციაზე დგას; არ შეიძლება მტერს გაულო ქვეყნის კარები, მტერი მოიყვანო შენს ქვეყანაში და იომო მტრის მხარეზე. თემს გამოაქვს განაჩენი, რომელიც შესაფერია ჩადენილი დანაშაულისა: მოკვეთა.

სხვათა შორის, ფშაური თემი ქისტურზე და ხევსურულზე უფრო დემოკრატიულია, „სტუმარ-მასპინძელ'ში" თემს მართავს ერთი კაცი, მუსა, ის თავის თავზე იღებს თემის ფუნქციას, თავის თავში ხედავს მთელ თემს და მედიდურად იღებს გადაწყვეტილებას. „ალუდა ქეთელაურში" ხევისბერი არავის ეკითხება რჩევას, მომენტალურად გამოაქვს განაჩენი და ღაუყოვნებლივ ბრძანებს მის შესრულებას. ფშავის თემი, პირიქით, საგულდაგულოდ ემზადება გადაწყვეტილების მისაღებად, ელოდება ხატობას, სადაც მთელი ფშავის ხეობა შეიყრება და გააცნობს განაჩენს. არც მისი გადაწყვეტილებაა უცნობი, მოსახლეობამ უკვე იცის, როგორი იქნება ის.

ბახას ბიძაშვილი აფრთხილებს: „ხვალ ლაშარს თემნი იყრებიან და აქა-იქ ყურსა ვწევ, შენ მოგიკვეთონ, თუნდ მკვდარი, თუნდ შინ მოუსვლელიო. მაშინ რაღაა შენი სიცოცხლე?!" (19,850).

ფშაურ თემში არც ტრაგიკული გმირია მარტო, ქისტურ თემში კი ჯოყოლასა და ალაზას ერთგული „კენჭიც კი არსად

არია". ხუსურულ ოჯახში მარტო შინდიას „მაჟესტიანის თვალები". სამაგიეროდ, ფშაურ თემში ნათესავები უცდებან მხარში ბახას, მოითხოვენ, რომ თუ ბახას მოიკვეთონ, მაშინ ჩონთაც უნდა მოიკვეთოს.

თემის კრებაზე ბახას მომხრეები მისი საგვარეულო, როგორც კი ბახას მოკვეთა გამოაცხადეს, მაშინვე ერთხმად აცხრიდა: „მოიკვეთოს ჩონთაც!" მაგრამ თემი აქაც ერთმართველია, ლიქტატორული მეთოდებით მართავს საზოგადოებას: ჩონთას მარტო ხატისთვის ხარის შეწირვა დაევალა, ისიც მხოლოდ მომავალი წლისათვის, რაღგან ჩონთას, თურმე, ამ წელს ზარალი უნახია, ბახა კი სამშობლოდან გააძევეს.

თემის ამგვარმა გადაწყვეტილებამ ბახას მოთმინების ფიალა აუვსო, მოკლა ჩონთა და ქისტეთში გადავიდა. თემმა ამჯერადაც ერთ-ერთი ღირსეული წევრი დაკარგა.

ხევისბერი იანვარა, როგორც ბერძნია ეუბნება უარს ალუდას მომსახურებაზე, უარს აცხადებს, მიიღოს ბახას დეკდისაგან შესაწირი: „მარჯვენა მომტყდეს მაშინ, როცა ქვეყნისა და ჩემის ლაშარის-ჯვრის ორგულს ან საკლავი დავუკლა და ან სანთელი მაუნთო!" ბახას დეკის ხვეწნაზე ხევისბერი იანვარა კატეგორიულ უარს ეუბნება: „არა, ტკუილი საუბარია, ენას ტკუილად ჰხალალავ! წაიღე იქვე, საითაც მოიტანე, აქ შენს საწირავს არ აქვს ბინა" (19, 860).

ამ სტრიქონების წამკითხავს აუცილებლად თვალწინ წარმოუდგება „ჯაგარაშლილი" ბერძნია, ალუდას რომ ეუბნება: „ტყუილად სცდები, ალუდავ, ტყუილად იცვეთ პირსაო".

ქისტეთში დასახლებულ ბახას კვლავ შურისძიების წყურვილი ახრჩობს, ვერ მოუნელებია, რომ მოიკვეთეს და სამშობლოდან გააძევეს. იგი ახლა თემს უპირებს სამაგიეროს გაცახდას. მესამე წელი მიდის, რაც დეკდასთან ერთად ქისტეთში

ცხოვრობს, მშობლიურ ქვეყნად ვაიომინგი და მსახიობი. ვაიცვამს როგორც თავისი სამშობლო, მაგრამ ლეღვამისი სულ სხვა ასრისაა:

„ბახა: არა, ლეღვავ, ჯერ საკმარისი არ არის ეგ სისხლი, კიდევა მჭირს იქ სხვების ჯავრიც. ერთმა კაცმა მრავალი შემაჯავრა. გაღმოვლენ კიდევ ფშაველები ქისტეთის საათარეშოდ. ჩემი მშობელი ქვეყანა ქისტეთია და უნდა აქ ვიბრძოლო.

ჯავარა: ღმერთმა მე კი ნუ მომასწროს, შვილო, იმ დღეს, რომ შენ ქისტებს ეშველებოდე და ფშაველებს ხმლით ეჩეხებოდე“.

ბახას ქისტეთში შეყვარებულიც ჰყავს, ქისტი გულსუნდა, რომელზე დაქორწინებას აპირებს და ოჯახის შექმნას. ქისტის ქალიშვილიც თანაუგრძნობს, მხოლოდ სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა აფიქრებს ქალიშვილს, ეშინია, რომ „ურჯულოსათვის“ გაყოლას ბახა სარწმუნოების დაბრკოლებად არ მიიჩნევს: „ღმერთი ხო ერთი გვყავს, შენი ჭირიმე“.

ბახას მოლოდინი გამართლდა. ფშაველებმა გამოილაშქრეს ქისტებზე. ქისტებმა შეიტყვეს მტრის ლაშქრის გამოჩენა, მოემზადნენ, რათა ისეთი პასუხი გასცენ, რომ მოწინააღმდეგეს სამუდამოდ დაეკარგოს ქისტეთში ლაშქრობის სურვილი. მუსა, თემის წინამძღოლი, ბახას ეუბნება: „მე, რაც მოსამზადი იყო, ყველაფერი მოვამზადე, მდევარი მოვაგროვე, ეხლავე აქ მოვლენ ისინიც და ჩვენ აქ უნდა დავიჭიროთ თადარიგი. თუ ყოჩაღად მოვიქცით, იქნება ისე ვაზარალოთ დღეს ფშაველები, რომ სამუდამოდ დასწყევლონ ქისტეთში სალაშქროდ სიარული სურვილი“ (19,873).

მუსა ბახას თავისიანად თვლის, აცნობს მას თავისი მოქმედების გეგმას, ბახას რაზმს აბარებს და დავალებას აძლევს. ქისტები იკრიბებიან, სწრაფად ცხაღდებიან მუსასთან.

„მუსა: *ყოჩაღ, მარდად მოხვედით.*
ქისტები: *მაშ რაღას დაგუგვიანებდით!*
ბახა: *არაფერი ამბავია?*
1 ქისტი: *ვერ არაფერი ხმა. არ არის...*
2 ქისტი: *მთას ნისლი აქვს მობმული...*
ქისტები: *ნამდვილია, არაფერი ჩანს“* (19,873).

მუსა, როგორც კარგი მხედარმთავარი, ითვალისწინებს ამინდის ხელსაყრელობას, ასაფრებს ქისტებს ყველა საჭარაუღო ადგილას, საიდანაც სოფელს დაეცემიან ფშავლები და აღგზნებული ქისტებიც მზად არიან მტრის დასახვედრად:

„მუსა: თქვენ, ჩემო ქისტებო, აქ ჩემთან უნდა იყვნეთ. ჩვენ აქ უნდა ვიომოთ და ან სახელი და ან სიკვდილი! თქვენ ეს იცოდეთ, მანამ არ მოგიახლოვდებათ მტერი, თოფებს ნუ დაცლით და მერე ხმალი.

ქისტები: *ჩვენც მაგას ვფიქრობთ...*
1 ქისტი: *მაშ თოფს იმ დროს ვინ დაუწყებს მეორედ ტენას!*
2 ქისტი: *ოჰ, რა ყისმათია, თუ მართლა ამაზე მოვიდენ!*
3 ქისტი: *ისინი დაარხეინებულები იქნებიან და შაიძლება სუყველას თაგები მავსჭრათ.*
მუსა: *უკეთესი ბედი და უკეთესი დრო ჩვენ ალარ გველნება. მაშ ნულარ ვგვიანობთ, ნუ ვხმაურობთ, ჩაუსაფრდით“* (19,874).

ფშაველების ლაშქარს ხევისბერები იანვარა და ჭუჭა მიუძღვიან, თან ღრონიონნი ახლავან. ფშაველები ნისლში ვერაფერს

ხელავენ და პირდაპირ საშაყრებელ ქისტებს წააწყდნენ. ქისტებმა თოფები დაახალეს და "ემღერე"ზე ხმლებით გაალაყიტნენ: „რამდენიმე წ"ალელი იქცევა. ნისლი აიწევს. ხმლით გაღმოწ"ვებიან ქისტები, რამდენიმე თოფი წ"ავლების მხრითაც გავარღება და ხმლებით ერევიან ერთმანეთ"ში".

წ"ავლებს გაუჭირდათ, ბრძოლა"ში ოთხი კაცი დაკარგეს, ერთი ქისტიც მოკლეს. ხევისბერი იანვარა მკლავ"ზია დაჭრილი, ქისტები ლრო"ის ხელ"ში ჩაგდებას ცდილობენ. ამ ლროს ჯავარას კივილი ისმის, რომელიც შვილს მოუწ"ოდებს, მიეხმაროს წ"ავლებს: „ბახავ, სალა ხარ, შვილო, ჩახოცეს წ"ავლები. ვაჰმე, ჩამოგიღინით! უ"შველე, შვილო, მაგ ურჯ"ულოებმა გაწ"ვიტეს ხალხი!" (19,875).

ბახა, რომელიც ხმალამოღებული იბრძოდა ქისტების მხარდამხარ, დედის მოწ"ოდებამ გამოაფხიზლა. ერთ წამ"ში ხდება მისი გარდაქმნა. იგი არასდროს თვლიდა თავს მოღალატედ, მაგრამ თავისი მოუფიქრებელი მოქმედებით, რომელიც "ცრისძიებით დაბინდულ გონებას ვერ აკონტროლებდა, მტერს ხელს უწ"ობდა თავისი ხალხის წინააღმდეგ, ეს დანა"საული მან სიკვდილით გამოისყიდა:

„ბახა: *(ესმის ხმა. ქისტებს). სად იწევთ, სად! არ გეყოფათ, რაც ხალხი დაგიხოცნიათ?!* (იგერიებს ხმლით ქისტებს). *ვინ დაგანებებს ლაშარი-ჯვრის დროშას?* (უქნევს ხმალს ერთ ქისტს და აქცევს). *თქვე რჯ"ულმალალებო!*

მ უ ს ა: *ჰა, შე მოღალატევ, ტყუილად არ არის ნათქვამი: ძალი ძალის ტყავს არ დახევსო, შენც აქ მოკვდი!* (ურჭობს გულ"ში ხანჯალს. ამ ლროს იანვარაც დაჭრილი წაიქცევა მკვდარ ბახასთან ერთად" (19,875).

თავი III

ჩეჩენ-ძისტები ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში

ვაჟა-ფშაველას მსგავსად მთიანი და მთიელები მიუძღვნა ალ. ყაზბეგმა თავისი ცხოვრება და შემოქმედება.

ეს ორი ბუმბერაზი მთის შვილი მთელი სიცოცხლე მთას უმღეროდა. მთა იყო ვაჟასა და ყაზბეგისთვის ის საზრდო, საიდანაც იღებდნენ ენერგიას იმ განუმეორებელი სახეების შესაქმნელად, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავს მკითხველი.

„ვაჟა და ყაზბეგი, ეს ორი პოეტი მივიღნენ მთასთან ხევის ღეკანოზებივით, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ვაჟა „რელიგიით“ მივიდა, ყაზბეგი კი ეთიკით. ვაჟა მოების ჯანყში ხედავდა ლაშარს და ლოცულობდა, ყაზბეგი კი მთაში კაცს ეძებდა და აფიცებდა ხანჯალს და ძმობას. აი, აქ ისმის იგივ მორალური ხმა, რომელიც ალ. ყაზბეგს ათრთოლებდა ბავშვობიდანვე“ (61, 441-442).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველ მწერლებში ალ. ყაზბეგს ვერავინ შეედრება მშობლიური კუთხის და მეზობელი ხალხის სიყვარულში. ყოველი მისი ნაწარმოებიდან, ნაწარმოების ყოველი სტრიქონიდან. სტრიქონის ყოველი სიტყვიდან იკვრება ცხოველი სიყვარული, თანაგრძნობა, თანადგომა თავისი მოძმისადმი და ასევე ღრმა სიძულვილი მტრისადმი, რომელმაც დაიპყრო მისი ხალხი და ფეხქვეშ თელავს მისი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან კულტურას, ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს.

არც ერთ ქართველ მწერალს ისე ღრმად არ განუცდია, დამოუკიდებლობის დაკარგვა, ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია რუსეთის იმპერიის მიერ, როგორც ალ. ყაზბეგს.

რუსი კამპრიობლების სისასტიკე. კონის'ში, აღმოსავლეთის მთავარ სახლეულობის ველურებად მონათვლა პირველად კავკასიის ქვეყნის მიღმა მცხოვრებ ტერიტორიებზე მცხოვრებმა კავკასიელებმა განიცადეს. საქართველო'ში კი პირველად ალ. ყაზბეგის მ'ზობელ კუთხეს. ხევს მოაღგნენ კოლონიზატორები და მოხევეებს აწვნიეს კამპრობლების ბარბაროსული სისასტიკე.

პირველად მოხევეები და მთიულები აღსდგნენ 1804 წ. რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ აქ იფეთქა საერთო-სახალხო აჯანყებამ რუსეთის წინააღმდეგ.

ცნობილია, თუ როგორი სისასტიკით ჩაახშო მთიელების აჯანყება გადამთიელმა, უცხო ზნე-ჩვეულებების მქონე, ამორალურმა, თავხედმა და მოძალადე რუსების სამხედრო ძალამ. ალ. ყაზბეგმა საკუთარ თავზე იწვნია რუსი ჩინოვნიკების უსამართლობა. ეს ამაზრზენი უსულგულობა მუდამ ხვდებოდა მას ხევ'ში ცხოვრების დროს, განსაკუთრებით მისი მეცხვარეობის პერიოდ'ში, როცა მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა ხევსა და ჩეჩნეთ'ში.

რუსი მოხელეების არაადამიანურმა მოპყრობამ, მათი თავგასული უღიერობის ანალიზმა განაპირობა ის, რომ ალ. ყაზბეგი სიძულვილით განეწყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ დიმიტრი ყაზბეგის, თავისი ქვეყნის და კუთხის პატრიოტი ნათესავის გარდაცვალების გამო დამწუხრებული „შეევიდა გიორგის ოთახ'ში, ჩამოხსნა კედლიდან ხელმწიფის სურათი, გადმოაბრუნა და ყველას თვალწინ ექსპრომტად დააწერა:

„დაწყვი შენი სამართალი,
შენი კანონდებულება,
შენი აზრი, მოფიქრება,
შენი მირონცხებულება.“
და სურათი მოგიზგიზე ბუხარში შეაგდო“ (32,267).

ალ. ქ'ისბ'ეკი თავისი ხალხის ღვიძლი შვილი იყო. იგი თავისი ერის ტკივილია და სიხარულით ცხოვრობდა და სულდგმულობდა. იგი ამბობს: „ჩემი ერის საკვნესავი უცხოდ ვერ დარჩება ჩემთვისაც და ჩემი არსება გაღაბმულია ჩემი ქვეყნის არსებასთან უხილავის ძალით. სადაც უნდა ეკონოს ჩემს ერს, მისივე ტკივილი მეც მაგრძნობინებს და მისი ნაგვ'ისის გვარად მთაწ'ოდს ჩემს გუნებასაც".

მთა'ში აღ'ზრდილი კაცი მ'ყარედ განიცდიდა უცხოთა ბატონობას, 'სი'სხლს გვრიდა ყოველივე ჩაგვრა, ადამიანის უფლების შელახვა. „მე ვარ აღ'ზრდილი ხალხ'ში, 'სობილი იქ, სადაც ყმა და მონა ძველთაგანვე სამარცხვინოდ ყოფილა, სადაც სიტყვას „ბატონ-ყმობა" ადგილი არასოდეს ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ ღირსებით შესძლებია", - ამბობს მწ'ერალი და თავისი ცხოვრებით დაამტკიცა ზემოთ თქმული. იგი, მთის მრისხანე და ყოვლის'შემძლე მებატონის ერთადერთი მემკვიდრე, უარს ამბობს მებატონის უზრუნველ ცხოვრებაზე და თავის შრომით ირჩენს თავს. მისმა მეცხვარეობამ ისე გააღიზიანა ნათესავები და არისტოკრატიული წ'რე, რომ მასზე უარი თქვეს.

როგორც ითქვა, ალ. ყაზბეგი ძალიან მძიმედ განიცდიდა სამ'შობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვას. ძალიან ძლიერი იყო მისი სიძულვილი ოკუპანტებისადმი და მის შემოქმედებაში ამ თემამ დაიმკვიდრა. არ შეიძლება არ დაეთანხმოს ადამიანი თ. მაღალაფერიძეს: „გადაჭრით შეიძლება ითქვას, ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს შემოქმედი, რომელსაც ყაზბეგზე მეტი ტრაგიზმით, მაღალმხატვრულობით გამოეხატოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული უბედურება. ერი და ეროვნული თავისუფლების იდეა ყაზბეგისათვის ლამის რელიგიის ღონემდეა აღზევებული, როცა ამ საკითხზე მსჯელობს, თითქო გააფთრებულ ლომს ემსგავსება და მისი

მხატვრული რადიკალიზმი ეროვნულ-განმათავისუფლებელ თემაზე შექმნილი ლიტერატურისა ჩვენში. ნერვინ იფიქრებს, აქ ინტუიტურ პატრიოტიზმთან გვქონდეს საქმე, არა, ეს სავსებით გაცნობიერებული ინტელექტუალური პოზიციაა" (61, 15-16).

საინტერესოა გიორგი გაჩეჩილაძის მოსაზრება ყაზბეგის შემოქმედებასთან დაკავშირებით, რომელსაც ის თავის წერილში „ალექსანდრე ყაზბეგი და „ინტელექტუალური ღალატის" პრობლემა თანამედროვეობის არაკეში" ნათლად აყალიბებს:

„და მაინც, დაღესტნის მიებში „მამათა" (საუბარია საქართველოში XIX ს-ის 70-იან წლებში დაწყებული „მამათა" და „შვილთა" ბრძოლაზე (მ.ხ.) სიქველის დაუფასებლობის გამო „შვილთა" მიმართ გრიგოლ ორბელიანის ყვედრების პასუხად, ვერ ვიტყვი, არავის-თქო, მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგამდე ნამდვილად არავის მოუხლია „მამებისათვის" ერთი სიტყვა „თუმცა კი!".

თუმცა კი, ყაზბეგმა „მამებს" მიახალა არა ერთი სიტყვა, არამედ „ელგუჯაში", „მამის მკვლელში" „ელბერდში" და ა.შ. გაცოცხლებული სურათები როგორც საქართველოსი, ისე ჩრდილო კავკასიის ერთობლივი მდგომარეობისა და ერთობლივი ხვედრის შესახებ. „მამებმა" კი ამ მხრივ დატოვეს არა საბაჭიბუქო, არამედ სამარცხვინო კვალი" (59,10).

ალ. ყაზბეგის შემოქმედების გენიალობა სწორედ იმაშია, რომ მან რუსის სამსახურში ჩამდგარი ქართველი ჩინოვნიკები, ე.წ. „მამები" დააფიქრა მათ სამარცხვინო ნაბიჯებზე:

„ქართული არისტოკრატია, რომლის სოციალური პრივილეგიები ერის წინაშე პასუხისმგებლობითა და ხმალჩაუგები ცხოვრების წესით იყო მოპოვებული, ერის ერთობლივი მომავლის ორიენტაციას მოწყდა და ლოკოკინასავით შეიკუნა საკუთარ ნიჟარაში.

„ქსუჯასა“ და „მამის მკვლელში“ ამის აშკარად ხედავს შეშლილ დაჟარა ფარა-ხმალი „მამაია“ სარკალმა გრიგოლ ორბელიანმა და ვიღრე შეიცნობა ბანაკი „ქსუჯასა“ და „მამის მკვლელს“ შეაფასებდა, ქაზბეგი ჰომეროსს შეადარა“ (59,9).

ცნობა, ალ. ქაზბეგი არც ინტელიგენტური და არც ეროვნული გაგების პატრიოტი არ გახლდათ. მას უყვარდა და პატივს სცემდა სხვა ხალხსაც, რომელიც იბრძოდა თავისუფლებისათვის და მათაც საპატიო ადგილი დაუთმო ქართველ პატრიოტთა გვერდით. ასეთი ხალხია ჩეჩნები, რომლებიც სამშობლოსათვის თავდადებისა და რუსების წინააღმდეგ გმირული ბრძოლისათვის ალ. ქაზბეგს განსაკუთრებით უყვარდა.

ალ. ქაზბეგის მთელ რიგ თხზულებებში ჩეჩნეთს, ჩეჩენ ხალხს და მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის დიდი ადგილი უკავია. „ციცია“, „ელისო“, „ელბერდი“, „მამისმკვლელი“ ალ. ქაზბეგის ის ნაწარმოებებია, სადაც ავტორი ჩეჩენ პერსონაჟებს დიდი სიყვარულით ხატავს და მკითხველიც მათ ქართველ პერსონაჟებთან ერთად შეიყვარებს.

სანამ ამ ნაწარმოებებს განვიხილავდეთ, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ალექსანდრე ქაზბეგის რეალურ ურთიერთობაზე ქართველი ხალხის მოძმე ჩრდილო მეზობელ ჩეჩნებთან, რა აკავშირებდა ამ ხალხთან ცნობილ ქართველ მწერალს და საიდან იცნობდა იგი ასე ხელმისწვდომით ჩეჩნების ისტორიას, მათ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს.

ალ. ქაზბეგი ქვეყანას მოევლინა იმ პერიოდში (1848 წ.), როდესაც მისი მშობლიური კუთხის - ხევის მეზობლად, ჩეჩნეთში მძვინვარებს სასტიკი და ხანგრძლივი ომი დამპყრობელ რუსეთსა და თავისუფლებისმოყვარე ჩეჩნეთს შორის, ეს ის პერიოდია, როდესაც ხამარკხებული და სამშობლოდან დევნილი შამილი ჩეჩნებმა შეიფარეს, იმამად გამოაცხადეს და მისი ხელმძღვანელობით ხანგრძლივი ბრძოლა ხამოუკიდებლობისათვის.

ცხადია, ამ იმპულ, რომელშიც რუსეთის მიწული იმპერია იყო ჩართული, რომელშიც ყაზბეგის მამასაც ქონდა კონტაქტები, როგორც ხევის და მთიულეთის მმართველს, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორს, ალ. ყაზბეგს ბავშვობიდანვე ესმოდა. ხოლო მისი რუსეთში სტუდენტობის პერიოდში (1867-1870 წ.წ.) შამილი ტყვედ იმყოფებოდა რუსეთში. ჯერ კიდევ ქუხდა მისი სახელი რუსეთის არისტოკრატიულ წრეებში, სადაც ტრიალებდა ახალგაზრდა ყაზბეგი. ჩეჩნების ბრძოლა თავისუფლებისათვის ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი.

შემდეგში, როდესაც ყაზბეგი იწყებს მეცხვარეობას, (1871-1877) უმთავრეს დროს 7 წლის განმავლობაში ჩეჩნეთში ატარებდა, სადაც ჯერ კიდევ არ იყო სიმშვიდე. უკანასკნელი გამოძახილი ჩეჩენი ხალხის 100 წლიანი ბრძოლისა იყო 1877 წლის ჩეჩნეთის უკანასკნელი იმამის, 27 წლის ალიბეგ-ჰაჯი ალღამოვის აჯანყება.

ჩეჩენი ხალხის სიყვარული, ჩვენი აზრით, ალ. ყაზბეგს გაუღვივა სწორედ მათმა შეუპოვარმა, შეუდრეკელმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის. ალ. ყაზბეგი, რომლის სამშობლოც დაიპყრო რუსეთმა, სიმპათიით იყო განმსჭვალული ყველა იმ ხალხისადმი, ვინც იარაღით იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. იგი ღრმად განიცდიდა ქართველების მონაწილეობას რუსების მხარეზე და ეს სინანული გულწრფელი იყო.

ალ. ყაზბეგის მამასაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩეჩნებთან. საერთოდ, ალ. ყაზბეგის წინაპრებს ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ ჩეჩნებთან ყაზბეგიანთ წინაპარი ქისტი იყო. შემდეგში ალ. ყაზბეგიც ცდილობდა არ დაეკარგა ეს კავშირები და მეცხვარეობის პერიოდში აღიდგინა კიდეც. იგი „რამდენჯერმე გაღავიდა ჩაჩან-ქისტებში, გამოძებნა შორეული წინაპრები თერგის ოლქის სოფელ მახანურში, ნამგალები გაიჩინა გულამაყარში“ (32,195).

ალ. ქაბუკის მკვლელობამ ხევის მოსახლეობაში დიდი მოძრაობა გამოიწვია. ნათესაობა, არისტოკრატია გაოცებული და აღშფოთებული იყო ხევის მებატონის ამგვარი „უმსგავსო“ საქციელით. ვერც ღაბალი ფენის წარმომადგენლებს გაეგოთ, რაში იყო საქმე. ყველა გაკვირვებული იყო, რატომ დასჭირდა მებატონეს ცხვრის მწყემსობა.

მაგრამ ალ. ქაბუკს თავისი მიზანი ჰქონდა: მას ხალხის გაცნობა უნდოდა, მთის ხალხის, რომლის შემადგენელი ნაწილიც თავად იყო, ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, სულიერი სამყაროს შესწავლა.

მეცხვარეობის ამხანაგი ანდრია კობაიძე იგონებს: „ამ დროს გაიცნო ჩვენ-ქისტები და მათ ზნე-ჩვეულებებს ძალიან აკვირდებოდა. იგი მაღლა აყენებდა ჩვენებს. ჩვენებიც სანდროს დიდ პატივს სცემდნენ. ერთ დროს სანდროს მწყემსები პეტრე გუჯარაიძე და დავით გიგაური შეიპყრეს ჩვენებმა და ცხვრის ფარა მთლად გაურეკეს, რა შეიტყვეს, რომ ეს ცხვარი კნიაზისა არისო. უკლებლივ დააბრუნეს და ბოდიშს იხდიდნენ, თქვენი არ გვეგონაო. ამიტომაც სანდრო მოგვითხრობს, რაც თვალითა ნახა და რაც ეხატებოდა მას თვალწინა“ (61,150).

მეცხვარეობის პერიოდში ალ. ქაზბეგმა გაიცნო ჩვენი ხალხი, ჩასწვდა მათი ცხოვრების არსს და შემდეგ ასახა კიდეც თავის შემოქმედებაში. მაგრამ, როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი წერს: „...ალ. ქაზბეგი პირდაპირ კი არ იმეორებდა იმას, რაც სინამდვილეში იყო, არამედ ერთგვარ შემოქმედებით სინთეზს ახდენდა, იმისჯა მიხედვით, თუ რა ხასიათი აინტერესებდა. ე.ი. მხატვრულ მსალას იგი იღებდა მის ირგვლივ მყოფ პირთა ცხოვრებიდან და ამაზე აშენებდა თავის შემოქმედებას“ (61,473).

ჩვენეთში მოგზაურობა, მითუმეტეს ცხვრის გადარეკვა შფოთიან აუცილებელი, სადაც ეს-ეს არის გადაიარა სისხლიანმა

ქარხანაში, ჩვენთან სარჩო-საბადებელი გასაღებული და ხალხი უკიდურეს გაჭირვებაში იყო, ძალიან საშიში იყო. ხშირი იყო შეიარაღებული თავდასხმები, რის შედეგადაც საქონელს კი არა, მწყემსების სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ ალ. ყაზბეგი თავს უშიშრად გრძნობდა ჩვენებში, ყველგან ნაცნობი თუ მეგობარი ეგულებოდა.

ალ. ყაზბეგის მწყემსობის მეგობარი იყო გოდერძიშვილი მოგონებაში წერს: „როდესაც ქისტების სტანიცებს გავდიოდით, სანდროს გავძახე: სანდრო, შენი ჭირიმე, ფრთხილად იყავი, არაფერ ხიფათს გადაეყარო! აქ მაინც რა ხიფათია მოსალოდნელი? - იკითხა გაკვირვებით. აქ ქისტებია და, ხომ იცი, მაგათ იარაღით იციან თავდასხმა, ცხენებისა და ცხვრის დატაცება და ამიტომ გაფრთხილებ. ნუ გეშინიათ, არავინ არაფერს გიზამთ, მშვიდად იარეთ. ეს ლაპარაკი არც კი გვქონდა გათავებული, როდესაც ჩვენს ფარას ჩერქეზული ჩოხა-ახალუხით და მთლად იარაღში ასხმული კაცი მოუახლოვდა და დამტვრეული რუსულით ლაპარაკი დაგვიწყო. იმას მოსწონებოდა სვიმონის ულაყი კვიცი, რომელიც ცხვარს მოსდევდა და გვთხოვდა, რომ მიგვეცა. როდესაც სანდრომ დაილაპარაკა, მაშინ გაკვირვებულმა ჰკითხა ქისტმა: შენ მიხეილის შვილი სანდრო არ ხარო? დიახ, სანდრო ვარ, მიხეილის შვილი. ქისტი ცხენიდან გადმოვიდა, სანდროს ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა. აღმოჩნდა, რომ ის ქისტი მიხეილის კარგი ნაცნობი ყოფილა, მისი ოჯახის ხშირი სტუმარი და ამიტომაც ეგრე გულთბილად მიგვიღო. მას ისე გაეხარდა სანდროს დანახვა, რომ სულ გადაავიწყდა, ჩვენთან რისთვის იყო მოსული. მერე გვთხოვა, რომ ცხვარი მიგვეყენებინა საღმე და ღამე თავისთან გაგვეთენებინა. ჩემი გული მაინც არ ენდობოდა ქისტსა, მაგრამ სანდრომ დაგვაიმედა, რომ ის ვერაფერს გაბედავდა და ჩვენც

ჭიკის გაუკეთით. ის კაბა მარილიც იმ კაცის აკლია გავარეთ. დილით მასპინძელმა გამოგვაცილა, საგზალიც გამოგვატანა და წამოვეცით. ის იყო, რომ მთელი ქისტის აკლი სულ უჯავრესად გავიარეთ, რადგანაც ჩვენი მასპინძლის ბევრი ნაცნობ-მეგობარი გვეგულებოდა იქ, რომელიც თვითონ ყაგვისახელა, ასე მ'შვიდობიანად ჩავეცით ჩვენ ბინამდე და მოვეწერეთ" (61,160-161).

მე-19 საუკუნიდან რუსეთის დამპყრობლური ომების სტრატეგია იყო ხელში ჩაგდებული მიწების კოლონიზაცია. რუსეთის არმია ანაღგურებდა დაპყრობილ სოფლებს, ქლეტდა მშვიდობიან მოსახლეობას და გადარჩენილებს დერეფანს უტოვებდნენ სამხრეთისაკენ, მთებისაკენ, რომ იქ შეხიზნულები შიმშილისა და სიცივისაგან დაღუპულიყვნენ. ხოლო გამოთავისუფლებულ ადგილებში აგებდნენ ციხესიმაგრეებს, აარსებდნენ გასამხედროებულ კაზაკურ სტანიცებს. რუსები აქ ბატონ-პატრონად თვლიდნენ თავს.

„რუსეთის გენერლები, თანმიმდევრულად, სისტემატურად ავითარებდნენ კაზაკთა კოლონიზაციას მთელი XIX ს. განმავლობაში ჩრნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე, რის შედეგადაც ქრებოდა ეეინახეთი დასახლებული აკლები და მათ ადგილას სოკოებივით ჩნდებოდა კაზაკური სტანიცები. მარტო გროზნოს ციხესიმაგრის აშენებას შეეწირა ჩეჩნების 8 დასახლება, რომელთა მოსახლეობა ზოგი მოსპეს და ზოგი განდევნეს" (62,171).

მწყემსებისათვის ყველაზე საშიში კაზაკების სტანიცების გავლა იყო და მოხევეები მხოლოდ საკუთარი ძალის იმედად იყვნენ. ჩეჩნური და კაზაკური სოფლების კონტრასტს ნათლად იძლევა ალ. ყაზბეგი თავის „ნამწყემსარის მოგონებაში": „მთელი ჩვენი მოგზაურობა მინდორ-ველ, ვიღრე ბრაგუნს გავიდოდით, ერთგვარად მიდიოდა. ყაზახების ურიცხვი სტანიცების

ალეკსანდრესკი ისე არ გაგვკვლია, რომ "არა არ მოკლია და ჩხუბი არ აეტეხათ, მაგრამ მწყემსების სიმარტოვემ უცრო მეტად დაგვაკავშირა ერთმანეთს და სურვილი გაგვიმაგრა. თუ საჭიროება მოითხოვდა ხოლმე, ბრძოლით და ჩხუბით ვიკვალავდით გზას, რომელიც სიმარტოვით ჩვენთვის თავისუფალი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ მაშინ გავიგე, რა მცდომარეობაშიც ათქმევინა ჩვენს მწყემსებს: „ღმერთო, გვარიდე ქართველის "არის", რადგანაც მშვიდობიანობის დამცველი ქართველები უშფოთოდ და შარმოუკიდებლად ფეხს არ გადგმევინებდნენ, მაგრამ რა განსხვავება იყო იმათ და ჩვენთ სოფლებ შუა, რომელთა ავკაცობაც, შეუბრალებელი გარეგნული ხასიათი ბავშვობიდანვე ყურში გვქონდა ჩაწვეთებული!

ესენი დაგვხვდებოდნენ თუ არა, ზრდილობიანად სოფლის ბოლოს მოგვესალმებოდნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები არიანო, აიღებდნენ ხელში წკეპლებს და გვშველოდნენ სოფლის გაცილებას, ღიმილით და მზრუნველად გვკითხავდნენ ჩვენს მოსავალზედ, მშვიდობიანობაზედ და საერთოდ „გურჯეთის ხაბარსედ", რომლის შეტყობა ისე უნდოდათ (61,195-196).

როგორც ალ. ქასბეგის მწყემსობის მეგობრები იგონებენ, მას ძალიან უყვარდა სხვადასხვა ამბების მოსმენა, რომლებიც შემდეგ იწერება. აკი თავადაც ამბობს: „ხანდისხან ღამის სიმშვიდე დაირღვეოდა ჩეჩნების მოტაცებულის ცხენების ბრაგა-ბრუგით და მდევრის თოფის სროლით, თორემ ცვლილებას ვერასა ნახავდით, მაგრამ კიდევ ერთი დროის გატარება დამავიწყდა, რომელიც მე ისე გამართობდა ხოლმე და დროს მატარებინებდა; ეს გახლდათ ზღაპრები, ამბები, რომელიმე სახელგანთქმული მწყემსის ან ყაჩაღის ცხოვრებიდგან და სხვადასხვა ლეგენდური მოთხრობანი" (61,197).

ილიას მოძიებარე ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა აკ. ყაზბეგს. ჩვენთვის გაუგებარ დროს ვერმაღ არ საუკუნია, კარგად იცის წავლა ამ მოძმე ხალხის ადათ-წესები, სნე-ჩვეულებანი. მან ღრმად გააანალიზა მისი ცხოვრების ეპოქაში მომხდარი მოვლენები და საოცარი წინასწარმეტყველური დასკვნები გააკეთა. მოვუსმინოთ მას თავად, როგორ ამოავრებს „ნამწყემსარის მოგონებას“:

„აქ ვწყვეტავ ამ წერილებს, რაღგანაც, რაც ვნახე და გავიგონე, როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გაღავწყვიტე მოთხრობებად გაღმოგცეთ და გაგაცნოთ იმ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები, რომელიც ან საქართველოს ნაწილს შეადგენს, ან არა და იმის აუცილებელს დამოკიდებულს მეზობლებს, რომლებთანაც უფრო მკვიდრი კავშირი არ აგვცდება ჩქარს მომავალში“ (61,198).

სხვათა შორის, მთიანი ჩეჩნეთი ჩეჩენთა ეპოპორტაციის დროს საქართველოს ნაწილს შეადგენდა. მე-20 ს. 90-იან წლების დასაწყისში ჩეჩნეთი საქართველოს დამოკიდებული მეზობელი იყო და მომავალში უფრო მკვიდრი კავშირიც დამყარდება.

„მამის მკვლელი“

აკ. ყაზბეგის „მამის მკვლელი“ პირველად 1882 წ. დაიბეჭდა „დროების“ ფურცლებზე. რომანმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანი იმდენად აღფრთოვანებულა ნაწარმოების კითხვისას, რომ „დროების“ ფურცელში რომანისთვის მიუწერია: „ქართველების ომიროს არის, შაბაში!!!“ (52,544).

ამ სა\"არჩიებით ილია ჭავჭავაძეც ლაპარაკობდა. "შეშინახულია მის მიერ და\"წერილი "შენი"შვნებიც. ილია ალ. ყაზბეგის "შემოქმედებას დიდად აფასებდა, „მამის მკვლელს"ე" სტატიის და\"წერასაც აპირებდა, მაგრამ მის \"წერილობით განხილვას ჩვენამდე არ მოუღ\"წევია. "შესაძლებელია, არც და\"წერია.

სოლომონ ყუბანეი"შვილი ყაზბეგის თხ"ზულებაზე ვარიანტებისა და "შენი"შვნების "შესახებ საუბრისას "შენი"შნავს, რომ „მაღალ "შეფასებას აძლევდა „მამის მკვლელს" ილია ჭავჭავაძე, რომელსაც განზრახული ჰქონდა სპეციალური რეცენ"ზია და\"წერა ამ რომანზე, ამ მი"ზნით ილიას აუღია 1891 \"წ. (ალ. ყაზბეგმა 1890 \"წ. გადაწ\"ყვიტა „მამის მკვლელის" ცალკე \"წიგნად გამოცემა და ხელნა\"წერიც მოამზადა. სხვათა "შორის, ეს იყო მის მიერ გამოსაცემად უკანასკნელად დამუ"შავებული ტექსტი, რადგანაც შემდგომში ავადმყოფობის გამო ხელი არ უხლია ნა\"წერებისათვის - მ.ხ.) გამოცემული ალ. ყაზბეგის თხ"ზულებათა II ტომი, რომელ"შიც დაბეჭდილია აღნი"შნული რომანი და იმის მიხედვი"თ შეუდგენია შენი"შვნები" (52,544).

ჩვენ გრიგოლ ორბელიანზე და ილია ჭავჭავაძის მოსაზრებაზე „მამის მკვლელის" "შესახებ განგებ "შეეხ"რეთ ყ\"ურადღება. გრ. ორბელიანი ის პიროვნებაა, რომელმაც მძიმედ განიცადა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, ახალგაზრდობაში აქტიურად ჩაება რუსეთის \"წინააღმდეგ ბრძოლა"ში, მონა\"წილეობდა 1832 \"წ. შეთქმულება"ში, რისთვისაც გაასახლეს რუსეთ"ში.

მაგრამ გადასახლებიდან დაბრუნების "შემდეგ იგი ერთგულად ემსახურება რუსეთს, ხდება რუსეთის არმიის გენერალი და იცავს რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას კავკასია"ში. იგი ებრძვის შამილისა და "შამილის დრო"შის ქვე"შ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩეჩნებსა და დაღესტნელებს.

ამ თქმას შთაგონება ბრძოლას დამთრგუნველობისათვის ლიდი ადგილი უკავია „მამის მკვლელში". ალ. ქაზბეგი ალფრთოვანებით წერს იმ ადამიანებზე, რომლებიც რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ თავგანწირვით იბრძვიან. მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ეროვნებას ეკუთვნიან ეს ადამიანები: ქართველებს, ჩეჩნებს, ლეკებს, ჩერქეზებს თუ სხვ.

აქცენად, მნიშვნელოვანია გრ. ორბელიანის შეფასება „მამის მკვლელისა". რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, ის ხომ მე-19 ს. მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და ლიდერია და მთელი თავისი სიცოცხლე ამ ბრძოლას შესწირა.

ანანურის ციხიდან იაგოს გაქცევის მოწყობის შემდეგ ძმაღნაფიცები (იაგო, კობა და თორღვა) აწონ-დაწონიან თავიანთ მდგომარეობას და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ დროებით უნდა დატოვონ თავიანთი ქვეყანა. სად უნდა შეეფარებინათ თავი? ეს ის დრო გახლავთ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილი, კერძოდ ჩეჩნეთი, ცეცხლის ალშია გახვეული. მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები რუსეთის არმიასა და ღამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მთიელებს შორის, რომელთაც სათავეში გამოცდილი, მამაცი და შეუპოვარი იმამი შამილი უდგას.

იმამი შამილი დაღესტანში ახულგოსთან 1839 წ. დამარცხების შემდეგ დევნილი, მშიერ-ტიტველი ცოლ-შვილითა და რამდენიმე მიურიდით თავს აფარებს ჩეჩნეთს: „შამილი დაჭრილი 7 წლის ვაჟით, ყაზი-მუჰამედით, რომელიც ხელში ჰყავდა აცვანილი, ორსულები ცოლი ფეტიმათით და ცოცხლად გაღარჩენილი 7 თანამებრძოლით გავიდა ალყიდან და დევნილი, დამარცხებული, მშიერ-მწყურვალი ჩეჩნეთისკენ გაემართა" (62.187).

ჩეჩნებმა პატივისცემით მიიღეს ლეკნილი იმამი, ღააპყრეს, შემოსეს, დამარცხების მწარე ჭრილობები მოუშუშეს და იმედი ჩაუნერგეს. ჩეჩნებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ მე-18 ს. 70-იან წლებში შეიხ მანსურის ხელმძღვანელობით დაიწყეს ბრძოლა ღამოუკიდებლობისათვის.

ჩეჩნეთში შეიხ მანსურის შემდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ბიბოლით თაიმიევი ხელმძღვანელობდა. 1831 წ. სახალხო გმირ ბიბოლთს ჩასაფრებულებმა ესროლეს და მოკლეს, მაგრამ ვერც ერმოლოვმა და ვერც პასკევიჩმა ვერ შეძლეს ჩეჩნეთის დამორჩილება. ბელაღები თაშუ-ჰაჯი, ბაისანგურ ბენოელი, სოლთმურად ბენოიელი, შოაიფ მულა, ჯავათხანი და სხვები პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდნენ.

საჭირო იყო ბელაღი, რომელიც გააერთიანებდა ღაქსაქსულად მებრძოლ ჩეჩნებს ერთ არმიად. ასეთი ბელაღი შამილი იყო, რომელიც საჭირო დროს გამოჩნდა ჩეჩნეთში. შამილის ჩეჩენმა თანამებრძოლებმა ეს მომენტი გამოიყენეს და ორგანიზაცია გაუკეთეს შამილის ჩეჩნეთის იმამად არჩევას.

„მართლაც, ჩეჩნეთში, როგორც ფენიქსი, აღსდგა ფერფლიდან, ხელახლა დაიბადა იმამ შამილი: 1939 წელს სოფ. წენტოროის ახლოს გორაზე შეიკრა ჩეჩენი ხალხის წარმომადგენელთა ყრილობა, სადაც ცნობილი სწავლული, მამაცი მეომარი და დაღესტნის იმამი აირჩიეს - ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამად“ (62, 188).

თითქმის 20 წლის განმავლობაში შამილის ძირითადი დასაყრდენი იყო ჩეჩნეთი და ამ 20 წლის განმავლობაში ჩეჩნეთში სისხლისღვრა არ შეწყვეტილა. ამ ხნის განმავლობაში იმამი დიდების მწვერვალზე იყო და ეს დიდება მოპოვებული იქნა ჩეჩენი ხალხის შეუპოვარი, თავგანწირული, არნახული მამაცობით წარმოებული ბრძოლების შედეგად.

ჩეჩნეთის ომის ქქა მიელი რუსეთის იმპერიას სჳვლებოლა და, ცხალია, ხევ'ში, ჩეჩნეთის მისა'სღვრე კუთხე'ში, ამის 'შესახებ ყველა'ზე კარგად იცოდნენ. „მამის მკვლელის“ მთავარმა გმირებმაც, რომლებიც ებრძვიან დამპყრობლებს, გადაჳწყვიტეს, რომ გადასჳლიყვნენ ჩეჩნეთ'ში და მე'სობელ მაოძმე ხალხთან ერთად ებრძოლათ საძულველი მტრის ჳინააღმდეგ.

„კარგა რჩევის 'შემდეგ იმათ გადაჳწყვიტეს, რომ გაიტაცებდნენ თავიანთ საყვარლებს და, რაღგანაც თავის ქვეყანა'ში აღარ ეცხოვრებათ, გადავლენ 'შამილთან, რომელსაც კარგად ხმა გაუვარდა და რომელ'სეღაც მოეღის მთის ხალხს თვალი ჰქონდა მიპყრობილი, რაღგან დახსნას და 'შველას მოელოდნენ“(52,285).

ეს გადაჳწყვეტილება იაოგოს არ 'შეუცვლია თავის სატრფოსთან 'შეერთების 'შემდეგაც: „ჟროღესაც პურის ჭამა გაათავეს და ნუნუმ თავისი თავგადასავალი უამბო, იმათ დაიწყეს თავიანთ საქმე'ზე სჯა, რომელიც 'შეეხებოდა ჩეჩნეთ'ში გაქცევას, სადაც 'შამილის სახელი ჯერეც კიდევ ბრჳინავდა“.

ძმადნაფიცები ტოვებენ სამ'შობლოს, მივიღნენ ქისტეთის საზღვართან, საღამოს ღაბინავღნენ და გათენებისას უნდა გადასჳლიყვნენ ჯეირახ'ში. სჳორედ ამ ღროს სროლის ხმა გაიგონეს და 'შენი'შნეს ერთი ჯგუფი, რომელმაც ტყეს შეაფარა თავი. მღევარმა ვერ გაბედა ტყე'ში დაღევნება.

იაგომ 'შენი'შნა, რომ ჯეირახელი ქისტები იქნებოდნენ, მეგობრებმაც დაჳდასტურეს:

„ - ეგენი, ბეჯითად, ჯარიახელები იქნებოდნენ, წარმოთქვა იაგომ,

- ჯარიახელები იქნებოდნენ; არწია ე მანდეე გვირგალაის იქით არაა?“ (52,305).

ძმადნაფიცებმა გადაჳწყვიტეს, გაცნობოდნენ ქისტებს, ამ მიზნით მიმავალ კობას იაგო რჩევა-დარიგებას აძლევს:

„ - აბა, მაშ შენ იცი, სიფრთხილით კი იყავ.

- ფიქრი ნუ გინდა,

- ერთბაშად არ შაეფეთო, არ მოგკლან.

- არა.

- ძმობა უთხარ.

- აგრე.

უთხარი, რომ აბრაგები ვართ, რომ მაგათას სტუმრად მივდივართ.

- აგრე“ (52,306).

ამ დიალოგ'ში ორი რამ არის საყურადღებო. პირველი: იაგო ეუბნება მეგობარს, რომ აბრაგად გააცნოს თავი. ღღევანღელი თვალსაზრისით, აბრაგი ჩვეულებრივი ყაჩაღი და მძარცველია. ადრე აბრაგს უფრო სერიოზული და კეთილ'შობილი დატვირთვა ჰქონდა. აბრაგი ებრძოდა თავისი ქვეყნის მტერს, თარე'შებს აწ'ყობდა მტრის ქვეყანა'ში და ნადავლს იტაცებდა, მაგრამ ამ ნადავლსაც საწ'ყალ ხალხს, ქვრივ-ობლებს უნაწ'ილებდა. ხოლო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდ'ში აბრაგები მტერთან პარტი'ზანულ ბრძოლას აწ'არმოებდნენ. ამიტომ აბრაგებს დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ ჩეჩნებ'ში და მათ'ში საგმირო ეპოსის გმირებს ხედავდნენ.

„ვაინახური საგმირო სიმღერების გმირები თავიანთ მოქმედებაში წ'ინდაც იცავენ სამართლიანობის იდეას. უსამართლოდ დაჩაგრულის, ღარიბისა და ობლის დაცვა წ'ინა პლანზეა წ'ამოწ'ეული თითქმის მთელ ხალხურ საგმირო სიმღერებ'ში. უქონელი, უპოვარი, ობოლი სარგებლობს უფლებით, მიიღოს საზოგადოებისაგან თავ'შესაფარი და საკვები. თარე'შობიდან ალაფით დაბრუნებული გმირების პირველი საზრუნავია, წ'ილი პირველ რიგ'ში გამოუყონ ღარიბებსა და ობლებს, შემდეგ უნაწ'ილებენ სხვებს.

კანიები, სახელოიანი აბრეშუმები, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებენ, ლაშქრობენ ჩრდილოეთში, „ურუსთა“ ქვეყანაში, ქალაქ-მუხეთში, ყაბარდოში თუ სხვაგან, თავს ესხმიან ფოსტებს, ბანკებს არა პირადი გამდიდრებისათვის, არამედ იმისათვის, რომ ალაფი ხალხს გაუყონ, მათთვის მხოლოდ დიდებაა თვით-მიზანი“ (63,191).

მებრძოლების ჯგუფი, რომელიც იაგომ და კობამ შეიწირნეს, ჯერიახელი ქისტები აღმოჩნდა. მათში კობამ ერთ-ერთი იცნო, სახელად ფარჩო, განთქმული აბრაგი.

„ცოტა ხანს უყურა კობამ და იცნო, რომ ისინი მართლაც ჯარიახელი ქისტები ყოფილან, რომელთა შუა ერთი ნაცნობიც ერია; ეს იყო გამოჩენილი ცელების მკეთებელი ფარჩო, რომლის წარმოსაღეგობა და ვაჟკაცობა იმ ხანში ფარულად არა ყოფილა.

ღონიერი და გონიერი ბუნებით, იყო წარმოუთქმელი მარჯი, მხნე და გულადი; იმას არა-ერთხელ აეტირებინა ყაზახების ცოლ-შვილი, არა-ერთხელ გამოერეკა იმათი ჯოგი და საქონელი“ (52,307).

აქ საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ალ. ყაზბეგი დღევანდელი მთიანი ინგუშეთის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, კერძოდ, ხევისა და ხევსურეთის მეზობლებს, ჯერიახისა („ჯარიახი“) და ერზის („არწია“) თემს ქისტებს უწოდებს, განასხვავებს მათ ჩეჩნებისაგან და ინგუშებისაგან, როგორც მათ ერთ-ერთ ტომს, მაგრამ ცალკე არ გამოყოფს, ეს მიგვანიშნებს, რომ ქართველმა მწერალმა ზედმიწევნით იცოდა ვაინახების ისტორია.

მეორე, რაც იაგოსა და კობას დიალოგში საყურადღებოა, არის ის, რომ იაგო მეგობარს ეუბნება, რომ მათი მიზანი სტუმრობაა და ეს ეუწყოს ქისტებს.

იაგომ კარგად იცოდა, რომ ქისტებში სტუმარ-მასპინძლობა განთქმული იყო, რომ სტუმარი განსაკუთრებული პრივილეგიე-

ბით სარეკლამოდა და მასპინძელს გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა სტუმრის უსაფრთხოებისა და უსრულფასოვნების საქმეში.

კობას ჯვირაბელები ისე შეხვდნენ, როგორც სტუმარს შეეფერებოდა: „ამ დროს სხვები მიეგებნენ კობას, პატივის ნიშნად თოფი ჩამოართვეს, მიესალმნენ და მიიყვანეს ბინაში“ (52,308).

ხოლო როდესაც ფარჩომ შეიტყო, რომ კობა „კაც-ნაკლავი“ იყო, თან ახლდა მეგობარი ცოლით და მასპინძელს ეძებდა, უთხრა: „სტუმარი ღვთისაა და მასპინძელი კი კარს ვერ დაუკეტს, ჩემი სახლი თქვენი სახლი იქნება“ (52,398).

ფარჩოს რომ მეგობრობა და სტუმრის დაცვა შეუძლია, მალევე გამოჩნდა. მარტოდ დარჩენილ იაგოსა და ნუნუს გირგოლა ყაზახებით თავს დაესხა. რომ არა ფარჩო და მისი ამხანაგები, იაგო სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა:

„იმ დროს, როდესაც იმას თავს ბრუ დაესხა, თვალთ დაუბნელდა და წაქცევას ლამობდა, ერთბაშად მოისმა რამდენიმე თოფის ხმა და გრიგოლას კაცებთაგანი შვიდნი დაეცნენ ძირს, დანარჩენები კი შეცვივდნენ ტყეში, რაღგანაც ამ მოულოდნელობამ გულები დაუხეთქათ.

ეს იყო კობა, ფარჩო და იმათი ამხანაგები, რომელთაც გაეგონათ იაგოს დამბაჩის ხმა და ისე დროსედ უცნობ მეგობარს“ (52,309-310).

ფარჩომ და მისმა ამხანაგებმა სტუმრები (კობა და დაჭრილი იაგო) მიიყვანეს სოფელ ერწოში, სადაც ცხოვრობდა ფარჩო.

„სოფელ არწიაში ფარჩოს სახლობამ მიიღო იაგო და მისი ძმადნაფიცი კობა, როგორც ნამდვილი ამ სახლის შვილი და ყოველის ღონისძიებითა ცდილობდნენ იმათ სურვილის აღსრულებას“ (52, 320).

ყარსის მშობლიური სოფელი არ"ია. რიგორც მას მ"ერალი უ"ოლებს, სინამდვილე"ში არსებობდა, რომელიც მღებარეობდა ჯ.ეირახის აღმოსავლეთით, მდინარე არმხის სემო წელ"ში. ამ აულს ერ"ი (ქისტურად არ"ივი) ე"ოლებოდა. ამ აულ"ში აღმართულიყო 16 საბრძოლო კო"ში, რაც მის მნი"ვნელობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, აღრეულ შუა საუკუნეებ"ი ეს აული იყო ქისტეთის ცენტრი. მას ქისტების აკვნად მიიჩნევენ ისტორიკოსები.

სოფელ არ"იაში ჭრილობებს მკურნალობდა იაგო, მეგობრებიც მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჯანმრთელებას, რადგან ჩეჩნეთ"ში დიდი მღელვარება იყო, მოსალოდნელი ომის სამ"სადის"ში იყვნენ, რადგან რუსები სადამჯ.ელო ოპერაციებს გეგმავდნენ.

„ესენი ამ მოლოდინ"ში იყვნენ, როდესაც რუსის სარდლები მარტოდა დიდ ჯარებს აგროვებდნენ და თვით ვარანცოვის იქ დასწ"რებით ერთბა"შად თავს დასხმას უპირებდნენ ჩეჩნებს“ (52,337).

საოცრად ნათლად და გააზრებულად იცის ალ. ყაზბეგმა კავკასიის ომებ"ში რუსეთის მიზანი, სტრატეგია და ტაქტიკა. პირდაპირ გაოცებული რჩება ადამიანი, თუ რა ზუსტად იცის მ"ერალმა რეალური ისტორია რუსებისა და ჩეჩნების დაპირისპირებისა, როგორ ჩაწვდა ამ ხალხების ფსიქოლოგიას, მენტალიტეტს. მან კარგად იცის რუსეთის ძალადობის პოლიტიკა, კოლონიზაციის არსი და ის შეცდომები, რასაც უშვებდნენ რუსი სამხედროები მცირერიცხოვანი ჩეჩნების წინააღმდეგ ომ"ში. არაფერს ვამბობთ იმ სისასტიკის აღ"ერაზე, რასაც სინამდვილე"ში ჰქონდა ადგილი რუსების მხრიდან ამ დაუნდობელ, არაადამიანურ ომ"ში.

აი, როგორ ახასიათებს მ"ერალი რუსეთის ლტოლვას სამხრეთისაკენ: „რუსეთი გაიზარდა, გაი"ია განზეიდ, ის ვეღარ

მოთავსდა თავის კალაპოტში და მიუბრუნდება სამხრეთისაკენ. რაც კი გზაზედ ხვდებოდა, ყველა დაემორჩილებინა, დაეპყრო. ჩეჩნები გზაში ეხხირებოდნენ ამ მდინარებას და ეს იყო მისი პირველი შეტაკებისა“ (52,337).

ძალადობის დიპლომატია. რომელიც რუსეთის იმპერიის შექმნის პერიოდში და მისი შექმნის დღიდან ბატონობს ამ რეაქციულ სახელმწიფოში, საოცარ ნიუანსებში ჩაწვდომით ორ აბზაცში დახატა მწერალმა:

„იმდროინდელი რუსის პოლიტიკა არ იყო მიმართული მშვიდობიანს მორიგებაზედ, რომელიც ისე აღვილი იყო გონიერს და მიწის მუშა ჩეჩნებთან, უცნობლობის გამო მთელს რუსეთს ეს ხალხი გარეგან, ველურ ხალხად მიაჩნდათ და ამისთვის ეგონათ, რომ თუ არა ბრძოლა, სხვა არავითარი მორიგება არ გამოდგებოდა იმათთან.

ამასთანავე, თავიანთი ხალხის სიმრავლე რუსებს ნებას აძლევდა თავაწყვეტით ეძახათ: „ქუდებით ამოვულეტავთ!“ და დიდი თუ პატარა დაუფიქრებლად გაიძახოდა: „წავიდეთ, წავიდეთ იერიშით!“ (52,337-338).

საოცარია, რუსეთის ეს ძალადობის პოლიტიკა ერთი ბეწოთი არ შეცვლილა საუკუნენახევრის განმავლობაში და დღესაც ამ მეთოდებით და დევიზით მოქმედებს ჩეჩნეთში.

მწერალი დაჩაგრულების მხარეზეა, გულისტკივილით აღწერს რუსების ბარბაროსობას ჩეჩნეთის მიწა-წყალზე:

„ყოველ ნაბიჯზედ ხედავდით გადაბუგვილს სოფლებს, დამზადებულს თივას და სიმინდს, რომლის აღიც ზეცას სწვდებოდა. თუ სიმინდი შემოსული და მოჭრილი არ იყო, ხმლითა და ცულებით სთიბავდნენ, ცხენებს აქელინებდნენ ფეხ-ქვეშ...“

სისასტიკე წინააღმდეგობას წარმოშობს. აღამიანს ჩიხში რომ მიიმწყვდევ, თავგანწირვით იბრძვის. ჩიხში მოქცეული

ნაღირობაც კი გააფართოებული იყოს სიცოცხლეს. ალ. ყაზბეგის ღასკვნა ნათლად მეტყველებს, თუ რამდენად ღრმად იცნობდა იგი ადამიანის ბუნებას.

„...და დამშვიდებული მემამულენი, მოკლებულნი ყოველ სავანეს, გულ-ამღვრეულნი ფიცით მიდიოდნენ მთაში, რომ გაეცხადებათ მტარვალებისთვის ეს უსამართლობა, ეს უკაცური საქციელი... ან რაღა რჩებოდათ ომის მეტი, როდესაც უსაჭმელოდ ღარჩენილი საქონელი უწყალოდ ბღაოდა და ულუკმოდ ღარჩენილი ბალღები მწარედ შესტიროდნენ!“ (52,338).

ალ. ყაზბეგი, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა მცოდნე, კარგად ხედავდა, როგორ იყენებდნენ წინამძღოლები ხალხის უკმაყოფილებას საბრძოლველად. მან კარგად გაიგო შამილის წარმატების მიზეზები:

„შამილი, როგორც ჭკვიანი კაცი, ყველა ამ მდგომარეობით სარგებლობდა და ხალხს გულში თავგანწირულს მტრობას ულვიძებდა. ხალხი კი შამილს უყურებდა, როგორც ქომაგს, მსარჩვლელსა და თავდაღებით იბრძოდა იმის სიტყვით და სამშობლოს ღასაცველად“ (52,338).

რუსები ისწრაფოდნენ ერთი ღარტყმით გაენადგურებინათ ჩეჩნები, ღაეპყროთ ღიდი და მცირე ჩეჩნეთი და ამით საბოლოოდ გაეტეხათ შამილის წინააღმდეგობა. მათ ერთი და მთავარი ავიწყდებოდათ, რაც ალ. ყაზბეგმა ასე ჩამოაყალიბა: „ავიწყდებოდათ მხოლოდ ერთი, რომ საქმე უნდა ჰქონოდათ მამულის მოსიყვარულე გმირებთან, რომელთაც თავი გამოეჩინათ ვაჟკაცობით და სიგულადით, რომელნიც ისე აფასებდნენ თავისუფლებას“ (52,337).

ალ. ყაზბეგი „მამის მკვლელში“ აგვიწერს მ. ვორონცოვის ექსპედიციას და მის განადგურებას ჩეჩნების მიერ იჩქერიის ტყეში. იგი ამ ბრძოლას და ბრძოლის სამზადისს მხატვრულად ასახავს, მაგრამ სიმართლეს არ ღალატობს, ისტორიულ სინამ-

ლეკოლის მისაღწევ და, სხვათა შორის, წყარიებისაც ასახლებს. მან კარგად იცის მთიანადმცველ მხარეების მისწრები:

„1845-ში ორივე მხარე, რუსებისა და ჩეჩნებისა, ამ მდგომარეობაში იყვნენ, ორივე მხარე იგონებდა სხვადასხვა საშუალებას, რომ გამარჯვება იმას დარჩენოდა, და რაც შეიძლებოდა, მომეტებული მტერი გაეწყვიტა.

შამილს ენდობოდა ვარანცოვი თავისი ჯარით იქერიის ტყეში შეეტყუებინა, სწორედ იმ ტყეში, სადაც ისე დაამარცხა ამ რამდენიმე წლის წინათ ლენერალი გრაბე და რუსები კი ემზადებოდნენ, რომ ეს ტყე გაეველოთ თავიდგან ბოლომდინ და თავისი იარაღისთვის დაემორჩილებინათ“ (52,339).

ალ. ყაზბეგმა დიდი ადგილი დაუთმო იქერიის ბრძოლას „შამის მკვლელში“. ამ ბრძოლისთვის სამზადისს და თვით ბრძოლის დეტალებს მწერალმა 9 თავი მიუძღვნა, რასაც 50-მდე გვერდი დასჭირდა. ამიტომ ამ ბრძოლის ისტორიის მოკლე მიმოხილვა აუცილებლად მივიჩნიეთ და მოვიყვანთ ამონაწერს ხ. ხანგოშვილის ისტორიულ-პოპულარული ნარკვევიდან, სადაც სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოკლედ არის გაცმოცემული ამ ბრძოლის დეტალები:

„რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I თავის გენერლებისაგან მოითხოვს გაჭიანურებული ომის დამთავრებას და შამილისათვის ბოლოს მოღებას, რომლის ავტორიტეტი თანდათან იზრდება და ძვალივით ეჩხირება ყელში რუსეთის იმპერატორს. ამ მიზნით კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად ინიშნება გენერალ-ლეიტენანტი თავადი მ. ვორონცოვი, რომელმაც გადაწყვიტა, მთებში მოემწყვდია შამილი და მოაწყო ექსპედიცია შამილის რეზიდენცია დარგოში.

1845 წ. 6 ივლისს ვორონცოვი გაემართა დარგოსკენ 8000 ფეხოსნის, 1200 მხედრის, 350 არტილერისტისა და 16 ხარ-

ბა'სნისაგან 'ჩქმლეარი რა'სმით. გ'სა გაკაფ'ულ ტ'ყე'ში მიემარ-თებოდა ყარაღო'ში. ჩენები უ'ჩქმრად აღევნებდნენ თვალს მტერს, გამოიკვლეს მისი მი'სანი და მიეშლ ჩენთე'ში მაცნეები გაგ'სავნეს და მოუ'წოდეს სამ'შობლოს დასაცავად. მებრძოლებმა ყარაღოსკენ დაი'წყეს ღენა, მათ ლა'შქარს სათაეე'ში ედ'ყენეს ყარაღოელი ამერხანის 22 წ'ლის ხათაი, რომელიც ცნობილი იყო თავისი მამაცობით და სარაღლობის ნიჭით.

პირველი ყარტ'ყმები ვორონცოვის ჯ'არს მიაყენეს მცირე რაზმებმა, რომლებმაც ახლომღებარე აულებიდან მოას'წრეს მოსვლა. ყარაღოს მისასვლელთან, ჭალა'ში მოა'წყეს თიოქმის ერთი კილომეტრი სიგრძის საფარი, სადაც ფოთლებიანი, წაჭ-ცეული ხეების იქით ჩასაფრდა ასეულობით ჩეჩენი. ასევე გზის გას'წვრივ ხეები ისე იყო გადახერხილი, რომ პატარა ბიძგი და გზის გარკვეგარღმო გადაიქცეოდა. ჩენებს დათქმული ჰქონ-დათ, რომ სროლა არ აეტეხათ, სანამ მთელი კოლონა საფარ'ში არ შეივდოდა.

ჯ'არისკაცები ხიფათს გრძნობდნენ, გზა ხან მკვეთრად უხ-ვევდა, ხან აღმართი იწ'ყებოდა, შე'შინებულები ჩერდებოდნენ... მა'შინ გენერალი ფოკი ხმალ'შემართული გამოვიდა და ამაყად გაემართა წ'ინ. ტ'ყე'ში ჩასაფრებულმა ბენოელმა ბა'შტაგმა ვერ მოითმინა, ესროლა გენერალს თავ'ში და ალგილზევე მოკლა, სროლის ხმა'ზე ყოველი მხრიდან დაი'წყო გახ'შირებული სრო-ლა, ხეებით ჩახერგეს უკან დასახევი გ'სა და დაი'წყო ყარაღოს ტრაგედია, ვორონცოვის ექსპედიციის ტრაგედია, რომელიც ისტორია'ში შევიდა „სუხარის“ სახელ'წოდებით.

რუსები წ'ინ მიიწ'ევდნენ, მათი შეჩერების, ან მთლიანად გასანადგურებელი ძალები ჩენებს არ გააჩნდათ, ამიტომ ისინი მცირე რა'სმებს წ'ყვეტდნენ მთავარ ძალებს, ალყას შემოარ-

რკინძლნენ და ანაღგურებდნენ. მარცხი დარღის მისაღებობიან რუსებმა 166 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს, ჩეჩნებმა ასეულობით ცხენი ჩაიგდეს ხელში.

შამილის ბრძანებით დარღო გაძარცვეს და დატოვეს ჩეჩნებმა. ვორონცოვი, რომელიც გაძამძვარ შამილის რეზიდენციაში შევიდა, თავს გამარჯვებულად თვლიდა, ხოლო მოწინააღმდეგეს განაღგურებულად. მაგრამ მწარედ მოტყუდა, რადგან მეორე დღისათვის უკვე მიელი ჩეჩნეთი დადგა ფეხზე, მებრძოლთა რაზმები გროვდებოდნენ შამილთან. ბენოელებთან ერთად გამოცხადდა ბაისანგური და სულთმურაღიც. ვორონცოვი, რომელიც შამილის კაპიტულაციას ელოდა, შამილის არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოჰყვა.

არტილერიის ცეცხლის აღსაკვეთად ვორონცოვმა ლოგინცევი გაგზავნა წყალგაღმა მთების იერიშისათვის, სადაც შამილი იმყოფებოდა. ლობინცევმა, მართალია, გაფანტა, უფრო სწორად, თავად მებრძოლები გაიფანტნენ, მაგრამ უკან დაბრუნების დროს მას ყოველი მხრიდან თავს დაესხნენ. „გამარჯვებით“ გახარებულ ჯარისკაცებს უბეღურება დაატყდათ თავს, სრულ აპათიაში ჩაცვივდნენ, სულიერად მოტყდნენ.

მეორე დღეს ტყეს მოადგა პროდუქტებით დატვირთული ორთვალები. ვორონცოვმა რაზმი გაგზავნა მათ დასაცავად და დარღოში შემოსაყვანად. კლიუგენაუს რაზმი როგორც კი ტყეში შევიდა, ატყდა საშინელი სროლა. რუსი ჯარისკაცები პანტასავით ეცემოდნენ. მკვდრებით, დაჭრილებით უკან მობრუნებულებს კვლავ იგივე თავდასხმები ელოდათ.

ამ ბრძოლაში ბაისანგურს ხელი მოჰგლიჯეს, მოკლეს ბენოეს ყაღი ჯონხა, ასეულის მეთაური ბენოელი რამზანა და გამძვინვარებული ბენოელები ხელჩართულ ბრძოლაში გადა-

ქ"ჩქუნ. გაღმოცვდა. მარტო ამ ღღეს ხელმარჯვენა ბრძოლა"ში აჩუხეს 750 ჯარისკაცი და ოფიცერი. მოჩქერეს გენერლები ვიქტოროვი და პასეკი. ჯარისკაცები იმღენად იკვნენ შე"შინებულები, რომ მთიელის დანახვისთანავე იარაღს ყრიღნენ და მუხლებ"ზე ეცემოღნენ. კლიუგენაუ სრულ განაღგურებას მა"შვეცი ძალის მოსვლამ გადაარჩინა.

ღიდი იყო ვორონცოვის "სარაღი, მან ვერც პროდუქტი მიიღო და ღანაკარგიც "შთამბეჭდავი იყო: 556 ჯარისკაცი, მათ შორის ორი გენერალი, 858 დაჭრილი და 3 ზარბაზანი. ვორონცოვის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. მას დარღო"ში უკვე 1362 დაჭრილი ჰყავს, არც პროდუქტი გააჩნია, ჯარი სრულიად დემორალიზებულია, ირგვლივ მძვინვარე მტერი თარეშობს, რომელიც გამარჯვებას ზეიმობს და ემზადება მის საბოლოოდ გასანაღგურებლად.

ვორონცოვმა 25 ივლისს ბრძანება გასცა, გაენადგურებინათ ქვეღაფერი, რასაც თან ვერ წაიღებღნენ და დატოვა დარღო. იგი უკან გაბრუნდა ჩიქერიის ტყე"ში გამავალი გზით და იმავე მდგომარეობა"ში აღმოჩნდა, როგორ"შიც 3 წლის წინ გრაბბე. ჩიქერიის ტყე გახდა რუსებისათვის კო"შმარი, მთიელები ღაუღალავად, ყოველ ღროს, ყოველ მხრიღან თავს ესხმოღნენ სრულიად ქაოსურ მდგომარეობა"ში მყოფ კოლონას, ქალები და მოზარღებიც კი მონაწილეობღნენ ბრძოლებ"ში. ქალები ხანჯლებით თავს ესხმოღნენ ჯარისკაცებს და ტყვეებად მიჰყავღათ.

უფრო ნათელი რომ იყოს რუსების უკან დახევა ჩიქერიის ტყე"ში, კმარა მ. გამერის მიერ აღწერილი სურათის ერთი მაგალითიც: „პირველ ღღეს ჯარმა გაიარა 5 კმ, დაკარგა 6 მოკლულები და 72 დაჭრილი; 26-"ში გაიარა 8 კმ., დაკარგა 71 მოკლული, 215 დაჭრილი და 8 უგზო-უკვლოდ დაკარგული; მომღევნო ღღეს კვლავ 5 კმ და 109 მოკლული, 365

დაჭრილი და 15 კაცი-უკვალოდ დაკარგული. ამაღამ ღამის სადამის ჯარი „ბულის მიერ დაგლეჯილი ირმის მსგავსი“ მიჯირა შამხალ ბირკიმდე, რომელიც მდებარეობს 15 კმ-ით გერზელიდან“.

შემდგომი წინსვლა ვორონცოვს უკვე აღარ შეეძლო და შეჩერდა, რათა დალოდებოდა ფრეიმარტს, რომელიც მის დასახმარებლად მოდიოდა, იგი 30 ივლისს გამოჩნდა. ჩეჩნებმა გზა გადაუჭრეს ვორონცოვს და მან დიდი დანაკარგების ფასად (94 მოკლული და 216 დაჭრილი) მოახერხა მასთან შეერთება და 1 აგვისტოს მიაღწია მერზელს.

ამ კამპანიის დროს ვორონცოვმა დაკარგა 984 მოკლული (მათ შორის სამი გენერალი და 168 ოფიცერი), 2753 დაჭრილი, 173 უგზო-უკვლოდ დაკარგული, 3 ზარბაზანი, დიდი რაოდენობის ოქროს მონეტები. ნაღავლი იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთ საქონელზე (მაგ. რკინაზე) ჩეჩნეთში ფასები დაეცა. ღარიბი მთიელი, რომელსაც ვირის ყიდვის თავი არ ჰქონდა, რამდენიმე ცხენის პატრონი გახდა და მაუდის ჩოხა-ახალუხში გამოეწყო. და რაც მთავარია, ციცქნალი იარაღი ჩაიგდეს ხელში, რაც ასე სჭირდებოდათ“ (62, 201-204).

იაგო და მისი ამხანაგები ხედავდნენ, თუ როგორ ემზადებოდნენ ჩეჩნები რუსებთან საომრად, მათთან ერთად ისმენდნენ შამილის ემისრების მოწოდებას საღვთო ომისაკენ. ისინი აღტაცებულნი იყვნენ ხალხის საერთო ენთუზიაზმით, მათი ერთსულოვნებით და მზად იყვნენ, თავადაც ჩაბმულიყვნენ მათ მხარეზე საბრძოლველად, რადგან რუსებს საერთო მტრად თვლიდნენ:

„იაგო და მისი ამხანაგები, რომელნიც ფარჩოსას იცნენ, გულისძგერით და შურით უყურებდნენ ამ ხალხის საერთო

აღწერების, ერთობის და ერთ პირს: ღმერთს შაღლობის აძლევდნენ, რომ შეშოხვედაბ ნება მისცა გადაეხადათ რუსებისათვის, რაღგანაც ლიამბეგის და გირგოლასთანა კაცების სისაძაგლის ჩადენის იმათ აბრალებდნენ“ (52,346).

იაგო, კობა და ვეფხია ფარჩოს მეშვეობით შეხვდნენ შამილს, მის სარდლებს, რომლებმაც გულითადად მიიღეს და დიდად გაიხარეს. როცა შეიტყვეს მათი გადაწყვეტილება, ებრძოლათ მათ მხარეს რუსების წინააღმდეგ. შამილმა მათ სრული თავისუფლება მისცა: „უნდათ შეუერთდნენ ჯარს, უნდათ წავიდნენ შამილის სახლში და უნდათ თავისუფლად იმოქმედონ ომის დროს. მთიელებმა უკანასკნელი ირჩივეს და გავიდნენ ქოხიდან, რათა ნაიბებს წარედგინათ თავისი ხალხისათვის, რომელთაც სიხარულით მიიღეს“ (52,370).

იმამ შამილისათვის მეტად სასიამოვნო იყო ქართველების მხარდაჭერა, როცა რუსეთის არმიაში ასეულობით ქართველი იბრძოდა მის წინააღმდეგ, შამილი ძლიერ განიცდიდა ამას, სწყინდა, რომ კავკასიელები ერთმანეთის მხარში არ ედგნენ საერთო მტრის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„...ქოხში შემოიჭრანეს ერთი ჩეჩენი დაგლეჯილის ტანისამოსით და ლარიბად ჩაცმული (იმ ხანებში მოდად იყო დაგლეჯილი ჩოხის ტარება; ეს ოზდანობასაც ამტკიცებდა და ვაჟკაცობასაც. ავტორის შენიშვნა).

შენ ნახე რუსის ჯარი? - ჰკითხა შამილმა.

- ვნახე, დიალერ! (ღმერთმანი)

- ბევრია?

- ოჰ, ჰო, ჰო, ჰო! - გაიკვირვა ჩეჩენმა.

„თეთრი ლენერალიც“ მოსდევს? (ასე ეძახდნენ ვარანცოვს).

- აგრე ამბობდნენ ბაზარში და არ ვიცი...

- როდის აპირებენ წამოსვლას?

- ხვალ, - აგრე ლაპარაკობენ.

- ქართველები ბევრია?

- ძალიან ბევრი, ძალიან!

შამილი ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე მიუბრუნდა ნაიბებს:

- საკვირველია მაგათი საქმე! მაგათ რალა უნდათ ჩვენგან? - და მიუბრუნდა ისევ ამბის მომტანს: - *ოსები?*

- ოსებიც ბევრია, ჩერქეზებიც, მაგრამ ქართველები კი ყველაზე მეტია.

ჩამოუარდა კიდევ სიჩუმე, რომლის დროსაც შამილის სახე რამდენჯერმე შეიცვალა: სჩანდა, იმის გონება რალაზედაც მუშაობდა. ის მიუბრუნდა ნაიბებს:

ეცადენით, რაც შეიძლება ერიდენით ქართველებს და ჩერქეზებს"... (52,366).

ჩეჩნები ემზადებოდნენ მტრის შესახვედრად. საბრძოლო გეგმაც ჭკვიანურად იყო მოფიქრებული სარკვლობის მიერ. სანგრების გამაგრება ნაიბ ჩახას ღაეკვალა. მას უნდა „ჩაესხა ხალხი პირველის სანგლის უკან, წინააღმდგომოდა რუსის ჯარის მოძრაობას, მაგრამ, რა იერიშს მიიტანდნენ იმაზედ, ხალხი ტყეში უნდა გაფანტულიყო და მოგროვებულიყო მეორე სანგლის უკან, ამგვარად მეორე სანგლიდან მესამეზედ უნდა გასულიყო და ასე იმ ადგილამდინ, სანამ ამ მინდორთან მახლობელს უკანასკნელს სანგალს ააღებინებდა რუსის ჯარს. ამ მოძრაობაში ის უნდა ცდილიყო, რაც შეიძლებოდა მეტი ზარალი მიეცა რუსის ჯარისათვის და რაოდენიმე ხალხი უკან მოექცია იმათთვის. ამ უკანასკნელებს კი რამდენადაც მეტი შეიძლებოდა, პროდუქტი და ბარგი უნდა წაერთვათ მომავალი ჯარისთვის.

რომელსაც რუსები უკანასკნელის სახელით იხსენებენ და მისკენ გავიქცევიან, ჩახის ხალხი სულ უკან უნდა მოიქცეოდნენ და გაემაგრებინათ ისევ სანგრები. თუ რუსები გაბრუნებას მოიწადინებდნენ, ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა ნაიბს, რომ არ გაეშვა. აგრეთვე უნდა შეეკენებინა, თუ მოსაშველად ახალი ჯარი წამოვიდოდა. თვითონ შამილს ამ ხანში უნდა დაეცალა მინდორი, გაეკო ჯარი შუახევს, ნახევარი მიეშველებინა ჩახისთვის, ნახევრითაც წინ შეეკრა სანგლები. ამგვარად მომწყვდეულს რუსებს იარაღი უნდა დაეყარათ და ტყვედ ჩაცვივნოდნენ ჩეჩნებს, ან არა და გაწყვეტილიყვნენ უკანასკნელს კაცამდის (52,371-372).

იჩქერიის ტყეში შესვლას არ ურჩევდნენ ვორონცოვს. მაგრამ რუსი სარდალი ამპარტავანი იყო: „...ამ ჯარით მთელს ოსმალეთს გაიარავაბრუნებ, არამც თუ ჩეჩენს და დაღესტანს!“ (52,374).

ჩეჩენ-ქართველთა ჯგუფი, რომელიც მარტო მოქმედებდა, ღამით რუსების ჯარის ბანაკს მიუახლოვდა, მათი არტილერიის ცხენები ახსნა, ჯარისკენ გარეკა და თოფისა და დამბაჩების სროლით დააფრთხო ცხენები. ცხენები მძინარე ჯარისკაცებში შეცვივდნენ. ატყდა პანიკა. მთელი ღამე ისმოდა სროლა, ყვირილი, ყიჟინა, ჭიხვინი.

იჩქერიის ტყეში პირველი ღამე შფოთიანი დაუდგა რუსის ჯარს.

„მოუსვენარს ელბერდს და მის ამხანაგებს მოსწყენოდათ სანგალზედ ლოდინი და წამოსულიყვნენ, რომ ეხელავათ რამე, თუ იღბალი შესწევდა, მაგრამ პირველსავე ნაბიჯზედ ისინი თავს წასკდომოდნენ ყაზახებს. იმათ ცაიწიეს უკან, რათა ასცდენოდნენ ყაზახებს, ჩავიდნენ ხევში და მიუახლოვდნენ ჯარს იმ მხრიდგან, საცაც არტილერიის ცხენები, დაბმულნი ერთს

გაბმულის თოკისგან. ძმებიდაბიანად თივას სჭამდნენ. იმათ შიაძრეს წყნარად და სიფრთხილით პალოები, რომელსაც თოკი იყო გაჭიმული, წყნარად გააბრუნეს გათქვირებული ცხენები ჯარისაკენ და მოულოდნელად თოფების სროლით დასჭყივლეს ცხენებს, რომელნიც დაფრთხნენ, ჭიხვინით და ტლინკების სროლით წავიდნენ მძინარა ჯარისკენ; თითონ გაცვივნულები კი გამობრუნდნენ და სირბილით გამოემართნენ ტყისკენ.

გავარდა თოფი, მეორე, დაჰკრეს ბარაბანს, გარნისტები მისცვივდნენ საყვირს და მთელი ჯარი, დარწმუნებული, რომ ჩეჩნები დაეცნენ, აირივა ერთმანეთში. დამფრთხალი ცხენები ამ ყიჟინაზედ და თოფის სროლაზედ უფრო მეტად გაღაირივნენ და თითონ ჯარიც გაღარიეს, ყვირილი, ჟივილი, ლანძღვა, თოფის სროლა, საყვირისა და ბუკის ხმა ისეთს ხმაურობას და ისეთს არეულობას ახდენდა, რომ კაცს ჭკუიდამ შეშლიდა“ (52, 375-376).

ყოველივე ისე წარიმართა, როგორც შამილის სარდლებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. ზვიადი გენერალი წინმოუხედავად იღებდა დიდი დანაკარგით სანგრებს, რომელთაც ჩეჩნები ჯარის გავლის შემდეგ უმალვე იკავებდნენ. ხოლო მოწინავე ჯარს გამოყოლილ მთავარ ჯარს უფრო სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლები უხდებოდა გზის გასაკაფავად:

„მოწინავე ჯარს სარდალი იმგვარი შეხვდა, რომელმაც, რაკი ერთხელ გზას გაუდგება, უკან მოხედვა აღარ იცის, და ამისთვის პირველი სანგლის მიღწევის უმალ იმან დააწყო ჯარი და მიიტანა ორჯერ იერიში, რომელიც ორჯერვე უკან გამოაბრუნეს სროლით და ყიჟინით; მესამე იერიშზე ჩეჩნები ბრძანების უმალ გაიფანტნენ ტყეში და გზა დაანებეს იმ ჯარს, რომელმაც ჩქარის სიარულით გასწია წინ და ამგვარად აიღო მეორე სანგალი. გაზვიადებული ჯარის უფროსი ამგვარის

გამარჯვებით. იუდეა იმის ჯარის მრავალი ხალხი აკლდებოდა ყოველ იერიშის მიტანაზედ, ქვეყნა სანგლის აღებაზედ, უკან მოუხედავად წინ მიიწევდა: და სანამ ის მეორე სანგალს აიღებდა, პირველის სანგალს ისევ ამაგრებდნენ ჩეჩნები: ერთხელ აღებული სიმაგრე ხელახლად უნდა აეღო უმთავრეს ჯარს და ამგვარად რუსებს ერთი-ორად ჯაფა უნდებოდათ, ერთი-ორად ხალხის მსხვერპლი“ (52,376).

ჯარის ძირითად ნაწილს, რომელსაც მთავარსარდალი მოუძღოდა, უფრო გაუჭირდა გზის გაკაფვა, რაღგან ჩეჩნები ყოველი მხრიდან უშენდნენ ტყვიას. ამ ჯარს ბარგი ახლდა, რომელსაც ჩეჩნები დაეცნენ, ამის გამო ჯარს შეჩერება მოუწია.

„...როდესაც მოწინავე ჯარი გაამპარტავნებულის და გაზვიადებულის სარდლით დანიშნულს მინდორზედ გავიდა, უმთავრესი ჯარი ტყის შუა ადგილას დიდ გაჭირვებაში იყო და გზის სივიწროვის გამო ზოზინით და ტაატით მიბობღაედა. არ გაიარა რამდენიმე ხანმა, როდესაც უმთავრეს სარდალს შეატყობინეს, რომ უკანა ჯარს და ბარგს დაეცნენ ჩეჩნები და, თუ არ მიეშველნენ, ბარგი მთლად დაეკარგებოდათ. ამისთვის ჯარს შეჩერება დასაჭირდა და მიშველება ბარგისა, რომელიც ნახევარზედ უმეტესი ჩეჩნებს წაერთვათ, სანამ უმთავრესი ჯარი ხელს მოაწედიდა, ურიცხვი ხალხი გაეწყვიტათ“ (52,376-377).

მოწინავე სარდალი შეცდომას რომ მიხვდა, უკან გამობრუნდა, მაგრამ ვერ შეძლო ცენტრალურ ჯართან შეერთება და მინდორზე გამაგრდა. უმთავრესი ჯარი იჩქერიის ტყეში ალყაში იყო მოქცეული. „სამი დღე და სამი ღამე ამ ჯოჯოხეთის ალაგას და ჯოჯოხეთის ცეცხლის შუა ჰყვანდათ უმთავრესი ჯარი, და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწიეს მინდორს, სადაც ამოსუნთქვას მაინც მოესწრნენ. მაგრამ ვაი ამ გასვლას! ბევრის დედა აატირა, ბევრი თავმომწონე ბიჭი ააკვნესა და მშობლის

სახელით ერთად სული დაალევინა შვრის ჭუჭიამ. ნახევარი ბარკი და თითქმის მეოთხედი ჯარი დარჩა ისქერის ჭაში.." (52,377).

ვორონცოვის არმიის გადარჩენილი ნაშთები ალეპოში იყო მოქცეული, სურსათიც გაუთავდათ. დაუღალავი და თავზე ხელაღებული ჩენი ჯიგიტები დაქროლნენ ირგვლივ და სიცოცხლის ასალმებდნენ სანგრიდან თავგამოყოფილ ჯარისკაცებს. ჯარში სრულმა უიმედობამ და აპათიამ დაისადგურა.

„დამშეული, გაწვალებული, დალონებული რუსის ჯარი გამაგრდა მინდორზედ, მაგრამ ვაი იმ გამაგრებას! ყოველის მხრიდან შეკრული გზები, ყოველს წუთს შიში, რომ რომელსამე გზადაკარგულს ტყვიას რომელიმე კაცი არ გაეცოებინა, ან კიდევ თავზედ ხელაღებული ჩენები არ დასცემოდნენ და დღე არ გაეშვარებინათ იმათთვის. ამათ გარშემო მოისმოდა განუწყვეტლივი სიმღერა გახარებული ჩენებისა, რომელნიც განუწყვეტლივ გამოჰკიოდნენ ქართველებს, ჩერქეზებს და იოსებს, რომ, თუ უნდოდათ, ამათ თავისუფალს გზას მისცემდნენ, რადგანაც ჩენები იმათ კეთილ მეზობლებად სთვლიდნენ და იმათ სოცვა არ უნდოდათ“ (52,377-378).

ვორონცოვის ჯარი სრულ განადგურებას ფრეიგატის დამხმარე ძალების გამოჩენამ გადაარჩინა. ფრეიგატს ვორონცოვი მოუთმენლად ელოდა, იცოდა, რომ მხოლოდ გარეშე ძალის დახმარებით დააღწევდა ამ ხაფანგს თავს: „ფრეიგატმა საჩქაროდ მოაგროვა, რისი მოგროვებაც შეიძლებოდა, მოამზადა ჯარები და გაემართა გაჭირვებული ხალხის მისაშველებლად. ღიდის გაჭირვებისა და ბრძოლის შემდეგ იმან მიაღწივა ტყის შუა ადგილს, სადაც მოეშველა ნამწყვდევი ჯარი, რომელიც გაძლომის იმედმა ერთი-ორად გაათაკაცა, და რის ყოფით, სულის მოსაბრუნები სურსათი გაიტანეს. აქ დარჩნენ სამ ღღეს,

რომლის შემდეგაც გამობრუნდნენ ყაენი და მილიციის განსაკუთრებითი გულადობით და თავგანწირულის ვაჟკაცობით გამოვიცნენ ყაენ“ (52,381).

ისქერიის ბრძოლამ დაანახა ამპარტავან მთავარსარდალ ვორონცოვს, რომ ისეთ ძალას შეეჯახა, რომლის მსგავსსაც ჯერ არ შესწევლოდა რუსეთის ძლევამოსილი არმია. იგი მიხვდა, რომ ამ ხალხთან, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვიან, ჯარის სიმრავლით ვერაფერს გააწყობდა.

„ამ უკანასკნელმა ბრძოლამ ვარანცოვს დაანახა, რომ მარტო ჯარის სიმრავლე და შეუპოვარი ძალის მიტანა არ კმარა ჩეჩენთ დამორჩილებისათვის: მდებარეობა და ხალხის თავგანწირვით ბრძოლა სთრგუნამდა რუსების მეცადინეობას, ძალას და შეუპოვრობას“ (52,381).

ქართველმა და ჩეჩენმა ძმაღნაფიცებმა ბრძოლის დამთავრების შემდეგ დატოვეს ჩეჩენთა ლაშქარი და სააბრაგოდ წავიდნენ.

„იაგომ, ფარჩომ და იმის ამხანაგებმა, რა ნახეს, რომ აქ საქმე გათავდა, გამოეთხოვნენ შამილს და წამოვიდნენ, როგორც მაშინ უსახლკარო, ცარცვით მცხოვრებ ხალხს ეძახდნენ“ (52,381).

ძმაღნაფიცებიდან რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდად აქტიურობდა ჩეჩენი აბრაგი ელბერდი.

მწერალი გვამცნობს, რომ ელბერდი „შემდეგში არა მცირედს მონაწილეობას მიიღებს ჩვენს მოთხრობაში“ და მის თავგადასავალს გვიყვება. ჩვენთვის ეს პერსონაჟი საინტერესოა იმითაც, რომ ალ. ყაზბეგს ცალკე მოთხრობა აქვს დაწერილი საგანგებოდ „ელბერდზე“, საიდაც მოთხრობილი ამბავი ძალიან წააგავს „მამის მკვლელის“ პერსონაჟის ცხოვრების ერთ ეპიზოდს“.

ელბერდი კარგი აღნაგობის, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცია: *„ელბერდ იყო ოცდაათს მიღწეული, ტანადი და მხარბეჭგადგმული ვაჟკაცი“* (52,350).

ელბერკი აბრაკია, რომელიც ბევრი მისი თანამებრძოლი იყო ებრძვის თავის სამშობლოს მტრებს - რუსებს, ხელისაყრელს შეხვედრას არ უშვებს ხელიდან, როგორმე ავნოს მის მიწა-წყალზე მოთარეშე მოძალადეს. მისი საბრძოლო საქმიანობა ძირითადად თარეშით და პარტიზანული ომითაა დაკავშირებული:

„იმას დიდი ხანია, რაც თოფი აეღო ხელში და ხან მარტო, ხან რამდენიმე ამხანაგით დაეხეტებოდნენ იმ გზებზედ, სადაც მოძრაობდა რუსის ჯარი. პატიოსანი, გულადი და ვაჟკაცი ელბერდ წუთით-წუთს და მოუთმენლად ელოდა ხოლმე, რომ დასცემოდა გაუფრთხილებელს მგზავრს რუსებს, გაეცარცვა ისინი, მოეტაცა საჭონელი, ცხენები და, თუ მოხერხდებოდა, თითონ კაცებიც და ტყვედ გაეგზავნა შამილთან“ (52,351).

ცნობილია, რომ იმამ შამილი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მის მხარეზე გადასულ ოფიცრებს, ინჟინრებს, მეიარაღეებს და სხვა სპეციალობის მქონე ადამიანებს. მას ძალიან სჭირდებოდა მცოდნე ხალხი და ცდილობდა მათ გადაბირებას. ეს იცოდნენ ჩეჩნებმა და ასეთ სპეციალისტებზე ნადირობდნენ. მათ შორის იყო ელბერკიც.

„ან კიდევ შეხვდებოდა ვისმე გამოპარულს, გამოქცეულს შერიგებულთაგანს, ან სალდათებს. რომელნიც დაწუხებულნი აფიცრების მკაცრს საქციელით და მოპყრობით წამდაუწუმ თავს ირჩენდნენ შამილთან გახიზნებით, ის გზას უჩვენებდა. ამგვარი ხალხი, რასაკვირველია, შამილისგანაც დიდი სიხარულით მიიღებოდა, რადგანაც ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ და ყოველ ზარბაზნების მოვლაც იცოდნენ და ამგვარი მცოდნე ხალხი კი ასე ეჭირებოდა იმას. მაშასადამე, ელბერკი ერთი ისეთი სასარგებლო კაცთაგანი იყო ამ ბრძოლების ჟრიამულის დროს, რომელსაც ყველანი, და შამილი განსაკუთრებით, აფასებდა“ (52,351).

ელბერდს ყარიბის საკუთრება აქვსდა მთელ სენსუროში, ყველაზე ძმაღნაფიცები და მეგობრები ჰყავდა, ყველაზე საჭირო კაცი იყო, ყველას ეხმარებოდა, ყველა სიტუაციაში შეეძლო რჩევის მიცემა და თავის დაღწევა.

„ელბერდი იცნობდა ყველას, ყველაზე ძმადნაფიცები და მეგობრები ჰყვანდა, ყველას იმასთან საქმე ჰქონდა, ურიცხვი შემთხვევების გამო მოსაზრება იქამდე გახსნოდა, რომ რაც უნდა გაჭირვებული შეხვედრიყო, სწრაფად მოიაზრებდა, თუ როგორ გამოსულიყო საშიშს და უსიამოვნო მდგომარეობისაგან.

ის ათასჯერ ყოფილა მომწყდეული და სწორედ იმ დროს, როდესაც დარწმუნებულან, რომ დაიჭირეს, ჩაჰკლაგენ ძალიტით, ელბერდ ერთბაშად და მოულოდნელად ხელიდან გაუსხლტებოდა, ქაჯსავით გაჭრებოდა და პირდაღებულს რუსებს გაკვირვებით ხელებს გააშლევინებდა“ (52,351).

ელბერდი ერთ ქიროს მშვიდობიანი, მშრომელი გლეხი ყო, რომელსაც ჰყავდა მეულლე და მცირეწლოვანი შვილი. იგი მეფუტკრე იყო და განმარტოებით ცხოვრობდა, ალალი შრომით ინახავდა ოჯახს. მაგრამ ყაზახ-რუსებმა დაარღვიეს მისი მშვიდი ცხოვრება, გაძარცვეს სახლ-კარი, ცოცხლად დაწვეს პატარა შვილი, ცოლი ტყვედ წაიყვანეს. ელბერდმა, დაჭრილმა, მოახერხა გაქცევა და იმ დღიდან გახდა ყაზახების დაუძინებელი მტერი.

„თვითონ ელბერდიც როდესაც დაშავებული მემამულე იყო, ჰყვანდა ცოლი, პატარა შვილი და სცხოვრობდა ტყეში განმარტოებით, რადგანაც ფუტკარი გაეჩინა და იმათ უვლიდა; მაგრამ ერთ დღეს დაეცნენ ამ ადგილას ყაზახები, გაძარცვეს სახლი, რომელშიაც ჩაიწვა იმის პატარა შვილი, ცოლი წაიყვანეს ტყვედ და თვითონ ელბერდი კი რაღაც მანქანებით, დაჭრილი რამდენიმე ადგილს, გაექცათ. ამ დღიდგან მოსწად-

და იმას შურისძიება, აილო თოფი ხელში და ბევრს აუტირა დედა, ბევრს შეუქნება პერანგი სისხლის ფერად“ (52,351).

აბრაგი ძმაღნაფიცები საღმე უსამართლობას თუ გაიგებენ, აუცილებლად ჩაერეოდნენ, ერთხელ „იაგო თავის ამხანაგებით ერთ ღამეს არღონის სტანიცას უპირებდნენ დაცემას და ჯოგის გარეკას.

ეხლა ყველა ცხენებით იქნენ, რაღგანაც, ჩერნის დაშორებული, კარგა მანძილის მინღერით გავლა უნდოდათ“ (52,389). ისინი შემთხვევით გადაეყარნენ ჩერქეზ მეცხვარეებს, რომელთაც ყაზახები ცხვრის წართმევას უპირებდნენ. ძმაღნაფიცებმა „ყაზახები შეკრეს, აჰყარეს იარაღი, მწყემსებს მისცეს თავიანთი ცხვარი, თვითონ კი მოახტნენ ყაზახის ცხენებს, ზოგიც დაიჭირეს ხელში და გაჰქუსლეს“ (52,393).

აბრაგებს ვლადიკავკაზში ოსმა მასპინძელმა უღალატა. იმ სახლს, სადაც აბრაგები იქნენ, ალყა შემოარტყეს ყაზახ-რუსებმა. აბრაგებმა ბრძოლა მიიღეს, ყაზახები გარეცან ვერაფერს აკლებდნენ, აბრაგები კი ზუსტი გასროლით ხოცავდნენ სალდათებს.

„აბრაგებმა მოასწრეს კიდევ თოფების გატენა და კიდევ ხუთი კაცი წააქციეს. გაიმართა სროლა და აბრაგებმა დაუწყეს უწყალოდ ესლტა იქ მყოფ სალდათებს და ყაზახებს მაშინ, როდესაც კედლების წყალობით თვითონ უვნებლად რჩებოდნენ.

მარტო ელბერდს მოხვედროდა მკერდში ტყვია, მაგრამ იმან საჩქაროდ გაიხია ახალუხი, გამოაგლიჯა ბამბა და მაგრად დაიცვა ჭრილობა. ამის შემდეგ ის ისე იბრძოდა, როგორც უვნებელი“ (52,400).

რაკი ვერაფერს გახდნენ, ნაჩალნიკმა თივა მოატანინა და სახლს გარს შემოუწყვე, და ცეცხლის მოსაკიდებლად მოემზადნენ, აბრაგებს დანებება მოსთხოვეს. უარი რომ მიიღეს, სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

აბრაგები გარეთ გამოცვივდნენ ხმალაიხ\'ულიები და იერიშით მიიწანეს ჯარის გასარღვევად. ეს იყო არნახული გამბედაობა, იარაღის საკვირველი ტრიალი, ჩახა-ჩუხი და მომაკვდავთა კვნესა ერთმანეთში იყო არეული:

„იმათ, ხმალ-ამოწვდილთ, ისეთის სისწრაფით შეუტიეს ერთს მხარეს, რომ მთელი ჯარი გააპეს და ის იყო, უნდა გასულიყვნენ მეორე ნაპირას, როდესაც გონს მოსული სალდათები ისევ შემოეხვივნენ, მარდად და მამაცად ხმლის მქნეველნი, იარაღის მხმარებულნი, დატრიალდნენ ამ ჯარში და ვაი იმის დღეს, ვისაც იმათი მოქნეული ხმალი მისწვდებოდა: ის თავშუაზედ გაჩეხილი, ან მხარ-იღლივ გადასხეპილი იქვე სულსა ლეგდა, იდგა კორიანტელი, ყვირილი, ტირილი, კვნესა, ძახილი და რკინების ერთმანეთის მოხვდრის ხმა!“ (52,400).

ამ ბრძოლაში დაეცა ოთხი მეგობარი, ორი ჩეჩენი აბრაგი – ფარჩო და ელბერდი, ორიც ქართველი – იაგო და მთიული. მათ თავი გაწირეს მტერთან ბრძოლა\'ში, დაამტკიცეს, რომ იციან ერთგულება, შეუპოვარი ბრძოლა და ვაჟკაცური სიკვდილიც შესძლებიათ.

„რამდენიმე წუთს სალხი გაიშალა და იქ მყოფებს თვალს წამოუდგა, სხვა დახოცილებს შორის, იაგო თაფის სამი ამხანაგით, რომელნიც გულადმა ეყარნენ და შესაზარს სურათს წარმოადგენდნენ“ (52,401).

მოთხრობა პირველად დაიბეჭდა 1883 წელს გაზეთ „ცროების“ №№91-257 ნომრებში. ამ მოთხრობას, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ალ. ყაზბეგის თხზულებებში, ავტორიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ გაზეთ „ცროებაში“ დაბეჭდილი მოთხრობის ბოლოში ავტორს მიწერილი აქვს შემდეგი სიტყვები: „ოცესმე და საცმე მკითხველს შევაწყობინებთ ციციას მომავალ ბედზე“.

როგორც ცნობილია, ამ მოთხრობას გაგრძელება არ მოჰყოლია. სავარაუდოა, რომ მწერალს ავადმყოფობამ შეუშალა ხელი შეესრულებინა დანაპირები, ან სხვა თემებმა მიიზიდა მისი ყურადღება. ასევე შეუსრულებელი დარჩა მწერლის შენიშვნა, რომელიც მოთხრობა „ციციას“ ერთ-ერთი მოქმედი გმირის, ჩეჩენი მურთაზას შესახებ ითქვა: „მურთაზას თავგადასავალს მკითხველს როდისმე ვუამბობთ“ (53,111). როგორც ჩანს, მურთაზას შესახებ ცალკე მოთხრობის დაწერას აპირებდა მწერალი.

„ციციას“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირია ჩეჩენი სულით ჯანოტი, თავზეხელაღებული აბრაგი, რომელსაც მისნად დაუსახავს ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლა, დაჩაგრულის ქომაგობა და თარეში. მისი პირველი გამოჩენა ვერ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, რადგან იგი ძალადობას მიმართავს სუსტი ქალის მიმართ. თუმცა ნება-სურვილის გარეშე ქალის მოტაცება იმ პერიოდში მთიელებში მაინცდამაინც საძრახის საქმედ არ ითვლებოდა. მწერლის მიერ მოცემული დახასიათება წინასწარ დადებითად განაწყობს მკითხველს, ხვდება, რომ იგი გამორჩეული პიროვნება უნდა იყოს:

„ძველი, დაგლეჯილი სახელოებმოხეული ჩოხა ამკარაღ ამტკიცებდა, რომ ეს ან ძალიან ღარიბი უნდა ყოფილიყო, ან

ოსლანი, ქ.ი. ისეთი კაცი, რომელსაც შეძლება ჰქონდა და მაშინდელის სვეულებით ანასაძისი კოხტაობას სიყვარულობდა, კარგი ცხენი და კარგად მოწყობილი იარაღი, ეს იყო მათი იდეალი და ამ მხრით, მართლადაც წუნს ვერ დასდებდით. ამგვარი ოსნები ისევ ის ძველი რაინდნი იყვნენ, გაცვივდებოდნენ აბრაგად და მოუსვენარი გული სად არ დაახეტებდათ ყოველგვარის ფათერაკის საძებნელად.

მართალნი, გულადნი; ესენი იყვნენ იმ გმირების დანარჩენნი, რომელნიც მრავალნი გრიგალებოდნენ შამილის გარს და ქვეყანას ისე აოცებდნენ თავიანთ თავგანწირულობით, მოუსაბობით, ვაჟკაცობით“ (53,92).

სულთი ჯახოტი განთქმული აბრაგია, მას მარტო ჩეჩნეთში და ქისტეთში კი არა, ხევსიაც კარგად იცნობენ. როდესაც ქორლუყემ, ციციას მამამ შეიტყო, რომ მისი ქალიშვილი სულთი ჯახოტიმ მოიტაცა, შეფიქრიანდა:

„ - სულთი ჯახოტ!... ჩეჩენი, განთქმული ვაჟკაცი! - გაკვირვებით წარმოსთქვა მოხუცმა“ (53,92).

ხოლო როდესაც ალონ-დალონა შექმნილი მდგომარეობა, მიხვდა, რომ საქმე სერიოზული იყო, სულთი ჯახოტი აღვილი მისაწვდომი არ იყო მისთვის.

„მოხუცი ქურს უგდებდა თემრუყოს გაჩუმებული და ხმაგაკმენდილი. იმას კარგად ესმოდა, რა ძნელ საქმეს გადაჰკიდებოდა. სულთი ჯახოტი, განთქმულის ვაჟკაცობის გარდა, თავის ქვეყანაში იყო, იქ ნათესაობა, ნაცნობები, შემწენი ეყოლება და იქაური ქვა, ხე, წყალიც კი იმას ხელს გაუმართავდა, და რა უნდა გაეწყო მარტო მოხუცს?... რა რიგად უნდა შებრძოლებოდა ყველაფრით მოწყობილს და საუკეთესო პირობებში მდგარ კაცს!.. სამართალი?... მაგრამ იმ ხან'ში სამართალი სიტყვა იყო და მბრძანებელი კი ძალა და უსამართლობა, ვინაც ძლიერი

იყო. "ჩემს" ქალაქში, მართალიც ის იყო. მაშ მთხრობს რა მოყლოდა ცხოვრება აღგილას?" (53,93).

მთხრობი მართალი იყო. ჩვეულებრივ ადამიანს ჩვეულებრივ პირობებში ყველა ეს უპირატესობა ექნებოდა, მაგრამ სულთი ჯახოტი გამორჩეული პიროვნება იყო და გამორჩეული ხალხის შვილიც, იმ ხალხისა, რომლებიც თავიანთი ადათ-წესებით ცხოვრობდნენ და უსამართლობას არ ჩაიდენდნენ არც მოძმის და არც უცხოს წინაშე.

ეს დაამტკიცა ჯახოტმა თავის სამშობლოში, სამშვიდობოს მყოფმა მოტაცებული ციცას მიმართ და თავისი მეტოქის, ციცას შეყვარებული მოხევე ბეჟიას მიმართაც. ამაზე ცოტა ქვემოთ.

სულთი ჯახოტი ამაყია, ქალის გრძნობას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს და დარწმუნებულია მის საპასუხო გრძნობაშიც.

სულთი ჯახოტმა ქართული იცოდა, ხევშიაც თავისუფლად დადიოდა, მეგობარ-მოყვარეებიც ჰყავდა და ერთ-ერთ გასვენებაზე მოუკრავს თვალი ციციასთვის, ერთი დანახვით შეჰყვარებია და საქმეც გადაწყვეტილად ჩაუთვლია.

„ ქალაო! - დაიწყო უცნობმა, - ძოღან, ეფხიაი რომ მოკვდა, სატირალსე ვიყავ... იქ განახე, „დაღაითი" რომ შემოდიოდი... ხელები რომ შემოიკარ ემ ლოყებსე, მაშინ დავიფიცე შენი თავი, რომ სწორედ მაგ აღგილს მე უნდა გაკოცო" (53,86).

იგი ისეა დარწმუნებული თავის თავში, რომ ქალის წინააღმდეგობა გაუკვირდა, საპასუხო სიყვარულს მოითხოვს. ხოლო, როცა მიხვდა, რომ შეიძლება მეტოქეც ჰყოლოდა, რისხვამ აიტანა:

„ იქნება სხვა გიყვარს ვინმე? ერთბაშად დაიძახა უცნობმა და თვალები ცეცხლით აენთო, თუ ეგრეა, ის მოკვდება!.. შენ მე მიყვარხარ და ჩემი უნდა იყო" (53,86).

სულთან ჯახიერში და მერიუსამ, ჯახიერის მეცხოვრემ ცეცხლი დარიალის ხეობაში, საქარავანო პოსტების შემოვლით სამშვიდობოს გაქცანეს. მთავარი საშიშროება გავლილი იყო, მაგრამ აბრაგს ახალი და ქვეყანაზე ძნელი დაბრკოლება გადაეღობა: ქალი არ პასუხობდა სიყვარულს. სულთი არ იყო ის პიროვნება, რომელიც ქალს ძალას იხმარდა.

ივით ციციაც კი განაცვიფრა ჩემნის რაინდულმა საქციელმა. იგი ძალადობას, დამცირებას, შერცხვენას ელოდა და არა მასზე ძლიერ შეყვარებულ ახალგაზრდას, რომელიც მის სურვილს ანგარიშს უწევდა.

„როდესაც ციცია მოიტაცეს, ეგონა, რომ პირველს - ავაზაკებს შეხვდა, რომელნიც არც ხვეწნას, არც მუდარას არ შეისმენდნენ, არც იმის ყმაწვილქალობას შეიბრალებდნენ; ეგონა, რომ წაიყვანდნენ, მოხდიდნენ ლეჩაქს, გააწბილებდნენ, და საქმით სულ სხვა გამოვიდა. სულთიმ, მართალია, გაიტაცა, ძალით წაიყვანა, მაგრამ როდესაც უპატრონო ხელში ჰყვანდა, როდესაც ყოველი თავისი განზრახვა შეეძლო აესრულებინა, გამძვინვარებული, გრძნობით დამთვრალი კაცი იმის წინ წუნარაც და მოწიწებით იდგა და ვიზედაც ძალის ხმარება შეეძლო, იმასვე მოწყალებასა სთხოვდა“ (53,100).

ციცია, მიუხედავად ახალგაზრდობისა (ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იყო), საკმაოდ მოსაზრებული და ჭკვიანი ქალია, მან აწონ-დაწონა თავისი მდგომარეობა, ჩაწვდა სულთის რაინდულ ბუნებას და „თავშალი ესროლა“ მომტაცებელს, რომელიც ცოლობას სთხოვდა, და-ძმობა შესთავაზა:

„ სულთი! შენ ძმა და მე და, ერთბაშად წამოიძახა ქალმა“ (53,100).

ამ სიტყვებმა მეხი დასცა სულთის, მაგრამ ვაჟკაცი იყო და მთის ტრადიციებზე აღზრდილი, შემოთავაზებულ დობაზე უარის

ვერ იტყოდა, რომელიც მტრის ხმალ-ჩაქარაგული ვერ გაეცაბა-ჯებდა ქალის ნარომლ თავშალს. ისე ვერ გაექცეოდა შეთავაზებულ და-ძმობას და მანაც წყნარად უპასუხა:

„ - დაო, მითხარ, საით წაგიყვანო?“ (53,100).

აბრაგებმა ციცია ქისტეთში გაატარეს და „გასწიეს ჯარიახის მთის წვერებისაკენ, საცაც სოფელი არწია, მარილა არწივის ბუდესავით, კლდეს მიკრობილა და იქიდგან მეციცურად გადმოსცქეროდა გველივით დაკლაკნილს ბილიკს და აქაფებულს წყლის ჩანჩქერებს“ (53,105).

ქისტეთში შეხვდნენ ერთმანეთის სულთი და ბეჟია, ხანჯლებით უნდა ეკვეთნენ ერთმანეთის მეტოქეები, მაგრამ აქაც საზრიანი ციციას თავშალმა აარიდა სისხლისღვრა.

„სულთი და ბეჟია გაშმაგებით უკრებდნენ ერთმანეთს, მათი ხანჯლის წვერები თითქმის ერთურთს სწვდებოდნენ, მაგრამ წუთს უკან ჩუმად ჩამოუშვეს იარაღი, წყნარად ჩააგეს ქარქაშებში და წყნარადვე გაბრუნდნენ აქეთ-იქით“ (53,138).

როდესაც სულთიმ გაიგო, რომ თავდამსხმელი ცოლის შეყვარებული იყო, შემცეგი სიტყვებით მიმართა:

„ - ბეჟიაუ? - უთხრა იმან, - შენი საცოლე მოვიტაცე, მოვიტაცე იმაზე, რომ მომწონდა... მეგონა, მაგასაც მოვეწონებოდი და მაშინ, ღვთის მადლმა, ღუნია რომ ჩემი მტერი შექმნილიყო, მაგას ვერ წამართმევდნენ... მაგრამ იცბალი შენი ყოფილა, შენ უკორხარ, ღმერთს შენთვის მოუცია და ჩვენ კი და-ძმობა გვაქვს ნათქვამი... ეხლა იხმარე იარაღი, თუ გინდა, სისხლს ვერავინ მოგთხოვს... დაღვარე ძმის სისხლი, თუ შეგიძლიან“ (53,138).

სულთი ბეჟიასაც ძმად გაეფიცა, ქორწილი გადაუხადა მოხევეებს და პატივით მიაცილა ხევის საზღვრამდე. მაყრიონი ხევში ვერ გაყვებოდა ნეფე-პატარძალს, „რადგანაც იმ ხანებში

თერგს გაღმა გასვლა ქისტებს უსაითაბალოდ ვერ ასცდებოდა..." (53,150).

ციციას და ბეჟიას ბედნიერება ღიღნანს არ გაგრძელებულა, პრისტავი „აპრაკუნეს" მსაკვრობით ბეჟია ყაზახებმა მოკლეს, ხოლო ქორღუჟის ცხვარი წაართვა და გაჰყიდა, ციცია „თემცა არ სტიროდა, არა წითლდა და კიოდა, მაგრამ მთლად ჩამომღნარიყო, თვალები ჩასცვივნოდა და გულში დატრიალებულს ცეცხლს ზეზეურ ჩამოეხმო" (53,161).

მოხუცმა ვერ გაუძლო საყვარელი შვილის ტანჯვას და გარდაიცვალა. დარჩა ციცია მარტო, ობოლი, მიუსაფარი, ულუკმაპურო, უპატრონო და უღიმღამოდ აბარებდა დღეებს. უიმედოდ მიედინებოდა მისი დღეები და აი, სამთრის ერთ ცივ ღამეს მას გამოეცხადა სულთი ჯახოტი, რომელსაც ძმადნაფიცის სისხლი აეღო, მოეკლა პრისტავი და ახლა ციციას მოაკითხა:

„ წავიღეთ, სიცოცხლე კიღევ შესაძლებელია, ამ სიტყვებზედ გამოხვია ნაბადში, აიყვანა ხელში და გავარდა გარეთ, საღაც შეკაზმული ცხენი იდგა; ერთს წამზედ მოაჯდა ცხენს, შემოისვა ქალი უკან და სწრაფად მოჩვენებასავით განქრა სივრცეში, ვინ იცის საითკენ!" (53,162).

მოთხრობა „ციცია" ალ. ყაზბეგის სხვა ნაწარმოებებში გამოირჩევა იმითაც, რომ დასასრული, სხვა თხზულებებისაგან განსხვავებით, ოპტიმისტურია. სულთი და ციცია მიდიან იმ იმედით, რომ კიღევ შესაძლებელია იყვნენ ბედნიერნი იმ უბედურების შემდეგ, რაც თავს გადახდათ.

ძნელია არ დაეთანხმოს აღამიანი გურამ ასათიანს: „ციცია" მთავრდება სულთი ჯახოტის სიტყვებით: „წავიღეთ, სიცოცხლე კიღევ შესაძლებელია!" ეს არის ალ. ყაზბეგის ერთადერთი მოთხრობა, რომელსაც ბედნიერი დასასრული აქვს. მართალია, მას შიც ბევრი აღმაშფოთებელი უსამართლობა არის აღწერილი,

მაგრამ, მწერლის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით ეს მოთხრობა საერთოდ ნათელი ფერებით გამოირჩევა. ყაზბეგის თხრობისათვის აქ დამახასიათებელია თავისებური სილაღე. „ციცია“ დაწერილია შთაგონებით, ამაღლებული განწყობილებით, მთელი მოთხრობა გასხივოსნებულია სულთი ჯახორის ნათელი, მომხიბლავი სახით. მისი პიროვნება, ცხოვრების ყაიდა, მოქმედება, განცდები, საუბრის მანერა ყოველივე ამაღლებული, რომანტიკული სულით არის გამსჭვალული. ეს არის ამაყი მთის შვილი, ტიპური კავკასიელი, თავისი ნატურით, აღსრულითა და ქცევით“ (61,519).

„ელისო“

ეს მოთხრობა პირველად დაიბეჭდა 1882 წ. „ივერიაში“ №10, ქვესათაურით მოთხრობა ჩეჩენთა ცხოვრებიდან. მოთხრობის პოპულარობაზე მეტყველებს ის ამბავი, რომ ავტორის სიცოცხლეში იგი სამჯერ დაიბეჭდა. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდში, სოლ. ყუბანეიშვილის ცნობით, არსებობს ამ თხზულების რუსული თარგმანი, რომელიც ცენზურის მიერ ყოფილა აკრძალული.

როგორც ი. გრიშაშვილი გაგვიმხილა, ალექსანდრე ყაზბეგს „ელისო“ პიესადაც ჰქონია დაწერილი, რომელშიც ავტორი ანზორის როლს ასრულებდა.

„ელისოს“ გამოქვეყნებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. ალ. ყაზბეგის ბიძაშვილი ელისაბედ ყაზბეგი იგონებს:

„ არა, მე „ელისო“ უფრო მიმწონს, განაგრძობდნენ მესაუბრენი, იმისი გოდება, ღიღინი აღამიანს ძვალსა და რბილში უჯდება და იმის გრძნობაზე გასაშტერებლად მოქმედებს. იმის ხელოვნურად აღწერილი სურათები, აღამიანს ცხადად თვალწინ უხატავს ჩვენის სამშობლოს მშვენიერებას და ამასთან იმ ძლიერს შეგნებულს სიყვარულს სამშობლოსადმი, როგორადაც იყვნენ გამსჭვალულნი კავკასიის შვილები. „ელისოს“ მკითხველი უნებურად, ანგარიშმიუცემლად, სულგანაბული ყურს უგდებს იმ ხალხის გულისცემას, სულისკვეთებას, რომელთაც თავის სამშობლო ქვეყნიდან უსამართლოდ ძალდატანებით მიერეკებიან, იმის ძუძუდანა ჰგლეჯენ!... მკითხველს ძარღვები ეშლება და ტანჯულის ხალხის მაჯისცემას უერთებს თავის შეწუხებულის გულის ძგერას!...“ (61,225-226).

1859 წ. დაეცა შამილის უკანასკნელი სიმაგრე ღუნიბი. რუსეთმა მთლიანად დაიპყრო ჩეჩნეთი, სამხედროები ზეიმობენ გამარჯვებას. დამთავრდა მრავალწლიანი სისხლისმღვრელი ომი. რუსეთმა მიზანს მიაღწია: გაჟლიტა აღგილობრივი მოსახლეობა და მათ აღგილას ჩაანაცვლა რუს-კაზაკობა, გადარჩენილ მოსახლეობას ჩამოართვა ნაყოფიერი მიწები და კაზაკთა სტანიცებს გადასცა.

მართალია, რუსეთმა დაიპყრო ჩეჩნეთი, მაგრამ ვერ დაიმორჩილა, ვერ გატეხა მეამბოხე სული.

ღუნიბის დამცველების ნაწილმა ჩეჩენი ბაისანგურის ხელმძღვანელობით გაარღვია ალყა და მშობლიურ მთებს შეეხიზნა. კავკასიის ომის გმირები, შამილის ნაიბები, მებრძოლთა რაზმების წინამძღოლები პარტიზანულ ომს ეწეოდნენ. წინა პლანზე წამოიწია აბრაგთა თარეშებმა, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნენ რუსებს.

1860 წელს აჯანყებამ იფეთქა არძაგნის ხეობაში ბაისანგურისა და სოლომურადის (შამილის თანამებრძოლების) ხელმძღვანელობით. პირველ ხანებში გაიმარჯვეს კიღეც, მთელი 8 თვის განმავლობაში არღუნის ხეობას განაგებდნენ, მაგრამ 1861 წლის დასასრულისათვის ამბოხება ჩაახშვეს.

1861 წელს ჩეჩნეთში ახალი რელიგიური მოძღვრება ვრცელდება. ამ ახალ მშვიდობიან რელიგიურ სექტას საიავეში უდგას ჭუნთ ჰაჯი. ახალი მოძღვრება მშვიდობას ქადაგებს, მაგრამ მასში შეღიან დაუმორჩილებლობის, მეამბოხე სულისკვეთების ადამიანები, რომლებიც იბრძოლენ შამილის დროშის ქვეშ დამოუკიდებლობისათვის.

რუსეთის მთავრობამ დააპატიმრა ჭუნთ-ჰაჯი 1864 წელს, დააპატიმრა სხვა ხელმძღვანელებიც და დაარბია ეს რელიგიური ორგანიზაცია, თუმცა მისი მოსპობა ვერ შეძლო. ომისგან დაღლილ, ეკონომიურად გაჩანაგებულ მოსახლეობას რუსებმა ეს უკანასკნელი სულიერი თავშესაფარიც წაართვეს.

ეს ორი მხარე ჩეჩნეთი და რუსეთი სამკვლრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ერთმანეთს, არცერთი მხარე არ თმობს პოზიციებს და ორივე მხარე ეძებს გამოსავალს.

„ჩეჩნებმა იარაღით ხელში იბრძოლეს თავისუფლებისათვის, როცა მძლავრმა, სასტიკმა, ბარბაროსმა მტერმა იმძლავრა, სცადეს სულიერ სამყაროში ჩაკეტილიყვნენ, რელიგიურ ასკეტიზმში ეპოვათ ხსნა, სულიერ სფეროში გაეწია წინააღმდეგობა მტრისთვის, მაგრამ აქაც თავისი ჭუჭყიანი ხელები ააფათურა რუსეთმა. რა ექნათ? ამ პატარა მიწაზე ეს ორი დაპირისპირებული მხარე ვერ თავსდებოდა, აქ არ იყო ორი შეურიგებელი მტრის აღგილი და მძლავრი მტრის წინაშე ქედის მოკრეკას ჩეჩენთა ღიდმა ნაწილმა გაცდა ამჯობინა, მონობას სამშობლოს მიტოვება და ხიზანობა ირჩია“ (62,229).

სეპარატიზმის და ცენტრალიზაციის, ვისაც არ ეკუთვნოდა რუსეთის ნება-სურვილს, კავკასიიდან განდევნა და იქ რუსი მოსახლეობის ჩასახლება იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანი. მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში კავკასიის დაპყრობისათვის არ შეცვლილა ეს მიზანი. მათ კავკასია სჭირდებოდათ ჭრის კავკასიელების გარეშე. ამ მიზანს წინ აღუდგა ჩეჩნეთი და ჩეჩენი ხალხის მოსპობა და განდევნა გახდა რუსეთის ოფიციალური.

რუსეთის მთავრობა ცდილა ხერხს მიმართავდა, რათა ჩეჩნებს ნებაყოფლობით დაეტოვებინა სამშობლო. ისინი მოელაპარაკნენ თურქეთის მთავრობას, დაითანხმეს ის ლევინელების მისაღებად. დიდი ნაწილი მოსახლეობის ხარჯებისა რუსეთმა თავის თავზე აიღო. მოსახლეობაში პროპაგანდას ეწეოდნენ რუსეთის სამსახურში ჩამდგარი ჩეჩნები, ინგუშები და სხვა კავკასიელი სამხედროები. თითოეულ კომლს უყიდეს გამწევი ხარები, ურმები და მოსახლეობაც გაუდგა გზას სტამბოლისაკენ.

„ვერც რუსეთი მოერია ამ მცირე ხალხს, ვერც მან მიაღწია მიზანს, ვერ დააჩოქა უდრეკი ხალხი და ამჯობინა, როგორმე მოეცილებინა ჩეჩნები კავკასიისათვის, რუსეთმა მიზნად დაისახა, შეეერთებინა კავკასია თავის სამფლობელოსათვის, ოღონდ კავკასია ჩეჩნების გარეშე, ჩეჩნეთი ჩეჩნების გარეშე, სხვანაირად სიმშვიდე არ იქნებოდა კავკასიაში. რუსების საარქივლობაში მომწიფდა გადაწყვეტილება, რომ ჩეჩნები გადაესახლებინათ თურქეთში ან რუსეთის სიღრმეში სამუდამოდ. მხოლოდ ამ გზით დაესმებოდა წერტილი ჩეჩენთა საკითხს. ამ კუთხით გაჩაღდა აგიტაცია-პროპაგანდა და 1865 წ. ზაფხულში 23 ათასი ჩეჩენი გადასახლდა თურქეთში“ (62,229).

„ელისო“ იწყება ვლადიკავკაზის მახლობლად ჩეჩენი ლტოლვილების ბანაკის აღწერით. მწერალი ხატოვნად აღწერს

სულენია ნაღვლის, ღარის, რომელიც ერთიანად მოსდებია ყველას: ღიას, პატარას, კაცს, ქალს, ბავშვს. მწერლის თქმით, ბუნებით მხიარული ხალხის ეს უჩვეულო ვაება და გმინვა ჰგავდა გამოსაღმებას „სულთმობრძავის შვილისა, რომელიც სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის საყვარელს მშობელს, რომელთანაც ალერსს უსპობს შეუბრალებელი და შეუწყალებელი უსამართლო ძალა!“ (52,423).

მაგრამ ეს სევდა, ნაღველი გამძაფრებული და შემწარავი იმით იყო, რომ მითი შეპყრობილი იყო მთელი ხალხი. ეს იყო სევდა მთლიანი ხალხისა: „ეს გმინვა, ეს ოხვრა, მით უფრო მწარედ გეჩვენებოდათ, რომ ეს არ იყო მარტო ერთი კაცის წუხილი თავის უბედურება'სედ, ეს არ იყო ტირილი მარტო ერთი პირის თავის დაკლება'სედ, აქ გამოითქმება საერთო ვაება, საერთო წუხილი, საერთო ტანჯვა; აქა სცემდა საერთო ძარღვი და ერთის გმინვა'ში გამოითქმოდა გრძნობა და მდგომარეობა მთელის ხალხისა“ (52,424).

რამ გამოიწვია ასეთი სევდა და გმინვა იმ ხალხისა, რომლებიც ცნობილნი არიან შეუპოვრობით და გაუტეხლობით? ისინი ხომ უბედურებას ათასჯერ შეხვედრიან, მტერთან ბრძოლა'ში დაუკარგავთ მახლობლები, სახლი, კარი, ქონება! მაგრამ ისინი უშიშრად ხვდებოდნენ სიკვდილს, რადგან იცოდნენ, რომ სამშობლოს ხსნას ეწირებოდნენ. ახლა „ეს მამულის მოსიყვარულე, იმისთვის თავგანწირული ჩეჩნები, ესალმებოდნენ თავის სამშობლოს, რომლის შესარჩენად და ასაღორძინებლად მამას შვილი არ შეუწყალებია, ცოლ-ქმარი და იმღენის ბრძოლის და მსხვერპლის შემდეგ ისინი უნდა გამოსალმებოდნენ იმას!“ (52,424).

ლტოლვილები ეთხოვებოდნენ სამშობლოს, სევდიანად ეთხოვებოდნენ მთებს, ტყეებს, მინღვრებს, იცოდნენ რა, რომ უკანასკნელად უყურებდნენ.

„ქვეყნის თვალები სევდიანად გაისუსტებოდა თავიანთ ნასიფლარს, გალაშქრის ქვეყნებს, სადაც როდესღაც ისე ამაყად იბრძოდნენ ეს წამებულნი და სადაც იმდენი სიტკბოებით სავსე წუთები გამოეცადნათ“ (52,424).

ალ. ყაზბეგი სვამს კითხვას: რისთვის ასახლებენ? და თავად იძლევა ამომწურავ და ნათელ პასუხს, რეალურად გადმოგვცემს ერთ-ერთ მიზეზს.

„იმის მეტი არაფერი, რომ იმ დროს ჩეჩნის მმართველებმა ისურვეს ერთბაშად გამდიდრება, ისურვეს გაუმაძღარი თვალების გაძღომა და მოიწადინეს ჩეჩნეთ მდიდარი მიწების ხელში ჩაყრა; ამისათვის ძველ მემამულეთ მოშორება დაინახეს საჭიროდ და კიდეც მოიშორეს“ (52,424).

ალ. ყაზბეგი ადამიანის სულიერი მდგომარეობის აღწერის დიდოსტატია. იგი შესანიშნავად ერკვევა ადამიანის სულის ხვეულებში, ოსტატურად უშლის მკითხველს თვალწინ პერსონაჟის ემოციებს. „ელისოს“ მთავარი გმირის, ყმაწვილი ქალის სევდისა და მწუხარების სიმკვეთრისათვის ის აცალკევებს მას თანამოძმეებს, ერთ ბედქვეშ მყოფ ხალხს და განმარტოებულს – გვაცნობს თავის ფიქრებითა და უიმედობით.

მართლაც, შთამბეჭდავია ამ ლამაზი ქალის სევდიანი განწყობილება, რომელსაც მკითხველს უმეტეს შემთხვევაში აქვს წარმოდგენა მშვენიერ არსებაზე, როგორც ბედნიერსა და თავისით კმაყოფილ ქალზე.

„ამ გადასახლებულთ საერთო გოდებას მოშორებოდა ერთი ყმაწვილი ქალი, წარმოუთქმელის სილამაზისა, გასულიყო წყლის პირად და იქ მიმჯდარიყო მარტოკა. იმისი ნაზი, მშვენიერებით სავსე, მაგრამ გაცრეცილი სახე დაჟრჟინობილიყო ხელებზედ და ჟუჟუნა თვალები სევდიანად მისჩერებოდა ერთ ადგილს. ის წასულიყო ღრმა ფიქრში, რომელიც მით უფრო მძიმე ასატანი

იყო, რომ იმის თვალებს კრემლი არ მიჰკარებოდა და ტყლის ცრცხლს კი შეჩვეულ სიწითლებინა ისინი“ (52,425).

ელისოს მწუხარება გაორმაგებული იყო. ის ტოვებდა არა მარტო სამშობლოს, არამედ გულის სწორსაც. ეს მეტად მძიმე ამბავი იყო ახალგაზრდა ქალისთვის, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი ბედნიერება დამთავრებოდა.

მისი საბრუნო, მოხევე ვაჟია, მართალია, გულადი, მშვენიერი, შეძლების მქონე, როგორც მწერალი ამბობს, „არავისგან დაირიდებოდა საქმროდ“, ქრისტიანი იყო, სხვა ტომის კაცი და მასზე გათხოვების უფლებას არ მისცემდნენ.

ძველად ჩეჩნებისა და მთიელი ქართველების დამოკიდებულება იშვიათი არ იყო. მიუხედავად სარწმუნოებისა, ქორწინება მაინც ხდებოდა და ამას ტრაგედიად არც ერთი მხარე არ თვლიდა. მაგრამ რუსების წინააღმდეგ ჩეჩენთა ბრძოლის დროს ქართველების მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდნენ და ამან გაუცხოება გამოიწვია ორ მოძმე ხალხს შორის.

„უწინდელს დროში რომ მომხდარიყო ამგვარი შემთხვევა და მაჰმადიანს „მთიელი“ ქრისტიანი შეჰყვარებოდა, მაშინდელებს იქაურის ჩვეულებით, სარწმუნოება დამაბრკოლებელ მიზეზად ვერ შეიქმნებოდა იმათ შეერთებისათვის; მაგრამ ეხლა, როდესაც ქართველები, ე.ი. ქრისტიანები „გიაურებს“ ანუ რუსებს წინ მოუძღოდნენ და გზებს უჩვენებდნენ, როდესაც ისინი გიაურებთან ერთად ებრძოდნენ დამოკიდებულს მეზობლებს, ეხლა სულ სხვა იყო“ (52,427).

ელისომ ეს იცის და როგორც მკაცრი წესებით აღზრდილი ჩეჩენი ქალიშვილი, მზად არის სიყვარულზე მაღლა მოვალეობა დააყენოს. –

„ ვაჟია ქრისტიანია და მე ჩეჩნელი ცუდად დავიწყო (52,431).

ელისოს ძალიან უყვარს მამა, მარტოდ დარჩენილი მოხუცი მამა, რომელიც მიმსვლელია ქალიშვილის სევლის მისვლას და ისეცაც მწუხარებით სავსეს საყვარელი და ერთადერთი შვილის სევდა გულს უკლავს. მაგრამ ელისო მამას თავის ერიგულებას უმტკიცებს და ეუბნება: „გეფიცები რომ, ვინც უნდა მიყვარდეს, როგორც უნდა მიყვარდეს, ჩემს გრძნობას გულში მოვიკლავ, გულში დავიმარხავ და შენ კი თავს არ დაგანებებ“.

ელისო ვაჟიასაც, თავის ერთადერთ სიყვარულს ასევე გადაჭრით ეუბნება, რომ მიუხედავად მისდამი ძლიერი სიყვარულისა, მამას ვერ მიატოვებს:

„ - ვაჟიავ! იცოს თავდები ზეცით ღმერთი და ქვეშ დედამიწა, რომ ელისოს შენს გარდა არავინ ჰყვარებია, არ უყვარს და არ ეყვარება!.. თავის დღეში შენს გარეთ სხვა კაცს იმის ქმრის სახელი არ ერქმევა... მაგრამ... მაგრამ ელისო თავის მამას თავს არ დაანებებს!“ (52,435-436).

ელისოს მამა, ანსორ ჩერბიჟი, ერთ დროს შამილის განთქმული ნაიბი იყო. თავისი ახალგაზრდობა მტერთან ბრძოლაში გაატია, მტრისე მის გმირულ თავდასხმებზე და ნაღავლიან თარეშებსე საგმირო ლექსებს თხზავდნენ და ქებათაქებას ასხამდნენ მამაცისათვის თავდადებულ გმირს.

ყველაფერი სამშობლოს შესწირა ანზორ ჩერბიჟმა: ახალგაზრდობა, ჯანი, სამი ვაჟიშვილი, მშვენიერი მეუღლე. და ეხლა, ჯანგატეხილი, მოხუცებული, ერთადერთი ასულით ტოვებდა სამშობლოს, ეთხოვებოდა მშობელ მთებს, ველებს, ტყეებს, მინდვრებს, წყალსა და მიწას.

ანზორ ჩერბიჟი, რომელიც ტოვებს სამშობლოს, გულისტკივილით ლაპარაკობს თავის წარსულზე და იმ უსამართლობაზე, რომელიც რუსმა დამპყრობლებმა მის მიმართ ჩაიდინეს: „...მე მყვანდა ჩემი ჯოგი და მთელს ჩეჩნის მინდორზედ დამდიოდა

უშიშრად: მოვიღნენ გიაურები და წაბარბაცეს... ბე ბჭკანდა ჩემი ცხორი და ჩემს სახლს წინ სწყმარს არ გაუვლია, რომ არ მომეპატიჟა, საკლავი არ დამეკლა. გიაურები დამეცნენ და წამართვეს... მე მქონდა სახლი და ის თავისაფარი იყო ქველა შეწუხებულისა, ქველა გაჭირვებულისა, მოვიღნენ გიაურები და დამიწვეს... (52,431).

სხვა რა დარჩენოდა ანსორ ჩერბიაჭს, გარდა ბრძოლისა და იგი ბრძოლაში გადაეშვა შერისძიებით ანთებული. ამ ბრძოლაში მას სამი ვაჟიშვილი მოუკლეს. დიდი იყო მამის მწუხარება. მას ერთი ნუგეში ჰქონდა, რომ შვილები ვაჟკაცურად დაეცნენ ბრძოლაში: „... სამივე შვილი რიგ-რიგად თვალწინ დამიხოცეს... მაღალო ღმერთო! რა ღღე იყო ის ღღე... მე როგორ-ღა გადავრჩი ამის მნახველი!.. ერთი ესღა მქონდა სანუგეშო, რომ ვაჟკაცნი ვაჟკაცად გაიხოცნენ: სამთავ გვერდი ჰქონდა გახვრეტილი, ჩემს შვილებს ზურგი არ ეჩვენებინათ მტრისთვის...“ (52,432).

ჩეჩენთა დამარცხებაში, ანსორ ჩერბიჭის აზრით, ქართველებსაც მიუძღვით ბრალი, რომლებიც რუსების მხარეზე იბრძოლნენ. მართალია, მან იცის, რომ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ უპატიებია მეზობლებისათვის კავკასიის ინტერესების გაყიდვა.

„ნაიბ ანზორა იყო ჭკვიანი და მოაზრებული, როგორც მომეტებული წილი მთის ხალხი, თუმცა ცოტაჲი უფრო სხვარიგად უყურებდა ქართველთა და ჩეჩნელთ წინააღმდეგობას და იძახდა: ჩვენგან დაშორებული ქართველები ვინც არიან, ისინი სჩაგვლებიან სხვაფასხვა დაპირებით, მთის ქართველები კი ძალად გამოჰყავთ ჩვენზედ, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, „გიაურების“ გამარჯვებას მაინც ქართველებს მიაწერდა და ნება-უნებლიეთ გულით უნდოდა დაშორებოდა მათ“ (52,427).

ძიუხლაკაც ქცელაფრისა. ძახუკი ძაძა ძსაც არის დათმის უკანასკნელი ნუგეში, ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც მისი სიბერის იმედია, თუკი ელისოს გულით უყვარს ვაჟია. ეს, მართლაც, დიდსულოვნებაა. მოუსმინოთ მას თავად: „დავბერდი, მოვუძლურდი და, როდესაც მოსვენება მჭირდება, მომვლელს ვეღარ ვპოულობ, ვშორდები ჩემის მამა-პაპის საფლავს, ვშორდები ჩემის შვილების ძვლებს, რომელთაც ჩემი ძვლები ვეღარ შეეხება!... ძნელია, ძნელი ჩემი ცხოვრება! მოძმეთ ცრემლიც კი ვეღარ ეღირსება უპატრონო ცხედარს... ეხლა მარტო შენ-და უნდა იყო ჩემს ნუგეშად, მარტო შენგანღა მოველი თვალების დახუჭვას, მაგრამ... თუ ვაჟია მართალის გულით გიყვარს, თუ ვერ დასთმობ იმას, მითხარ და... მაგ უკანასკნელს ნუგეშსაც... დავთმობ...“ (52,432).

და როდესაც დარწმუნდა ქალ-ვაჟის ერთმა სიყვარულში, ანზორმა დალოცა ისინი, თანხმობა განაცხადა მათ ქორწილზე და უარი თქვა თურქეთში გამგზავრებაზე.

ალ. ყაზბეგმა გაიზიარა დევნილი ჩეჩნების ტკივილი, მათი სევდა და მწუხარება მისი სევდა და მწუხარება გახდა, მათი ტანჯვა-წამება მისი საკუთარი ტანჯვა-წამება გახდა. ეს ნათლად ჩანს, როცა იგი აღწერს ამ საცოდავი ხალხის მგზავრობას:

„ჩეჩნელები მიუახლოვდნენ ვლადიკავკაზს. გამწკრივებული ჭრიჭინა ურმები ზარმაცად მოგორავდნენ და გულს უწვრილებდნენ ადამიანს. ურმებს მოსდევდნენ ფეხშიშველა ბავშვები, რომელთათვისაც სიცხეს და წვრილს ქვას, ქვიშაში არეულს, ყავარ-ყავარ დაეხეთქათ ტიტველა ხორცი, შიგ ჩაკვდომოდათ მტვერი და წაღმა-უკუღმა ლურჯად დაეხაზათ. უეჭველია, წარმოუთქმელს ტკივილსა ჰგრძნობდა იმათი კანი, რადგანაც წამდაუწუმ კელობდნენ, აიტაცებდნენ ფეხს და, თუ არ შესტი-

რუბლებს, მწარედ ცრემლებსაც ღვრიდნენ და ილოცებოდნენ" (52,444).

ვაჟიამ, ანსორმა და ელისიმ ღამით მოახერხეს ბანაკიდან გასვლა (ლტოლვილებს ყარაულობდნენ, რათა უკან დაბრუნება ვერავის გაებედა), მაგრამ ლარსთან ყაზახების ჩასაფრებას წააწყდნენ და სამივენი დაიღუპნენ.

„ანსორია და იმისი ქალი, რომლებიც ცოტა მოწესრიგებით მოდიოდნენ, თუმცა სრულებით დაეცხავებინა ტყვიებს, მაგრამ მოხუცს სიკვდილამდის კიდევ ერთხელ მოესწრო თავისი ქალის მკერდში ჩაკვრა და ისე დაეცა სულო..." (52,449).

ასე დამთავრდა ანსორ ჩერბიჟის და მისი ქალიშვილის სიცოცხლე. ბებერი ნაცადი მგელი, რომელიც შიშის ზარს სცემდა რუსებს ათეული წლების განმავლობაში, გზაზე საყარაულოდ მდგარი ყაზახ-რუსების ხელით დაიღუპა.

ალბათ, ბევრმა მისმა თანამოძმემ გაიზიარა მისი ბედი სტამბოლისკენ მიმავალ გზაზე. ვინ იცის, რამდენი უბედური დარჩა უპატრონოდ, როგორც ყოფილი ნაიბი, მისი ქალიშვილი და სასიძო მოხევე. ამ კითხვას თავად მწერალიც სვამს:

„ამ შემთხვევის შემდეგ მესამე დღეს, სწორედ ამ ადგილზედ, სადაც დახოცილები ჯერ კიდევ გზის პირად ეყარნენ და არავინ ფიქრობდა იმათ დასაფლავებას, გამოიარეს ანსორას ამხანაგებმა; ისინი უწინდელზედ მეტად შეწუხებულიყვნენ. ისევ ის ზუზუნი, ისევ ის შემაძრწუნებელი გლოვის ხმა, ისევ ის გოდება და გმინვა, რომელიც სწყდებოდათ გულის საძირკვლისგან და იკარგებოდა ჰაერში!...

გასწიეს ამ საცოდავებმა ოსმალეთისკენ, მაგრამ ბევრმა ჩააღწია ღანიშნულს ადგილს?" (52,450).

„მამის მკვლელში“ ალ. ყაზბეგს ნაოქვამი აქვს: ღაიჭირეს ჩეჩნელი, ღაინიშნა გამოძიება და რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოახრჩეს, როგორც მოღალატე, რომელმაც მოიწადინა აფიცრის სიკვდილი“. ამ ცნობას გაზ. „დროება“ში (12, 3). გაკეთებული აქვს შემდეგი შენიშვნა: „ამ შემთხვევას შემდეგში წაიკითხავენ“. მართლაც, 1882 წლის გაზ. „დროების“ 248 (XI.27), 250 (XI. 30) და 252 (XII. 2) №№-ში კიდევაც დაიბეჭდა ასინიშნული მოთხრობა“ (52,556).

როგორც სოლომონ ყუბანიშვილის ამ შენიშვნიდან ჩანს, ალ. ყაზბეგს „მამის მკვლელში“ მოყვანილი აქვს ეპიზოდი, რომელიც შემდეგ ცალკე მოთხრობას დაუდო საფუძვლად. მართლაც, „მამის მკვლელის“ გმირები - ქართველი და ჩეჩენი აბრაგები ელბერდის წინამძოლობით ჩაუსაფრდნენ რუსის ჯარს და უთვალთვალებდნენ სამ რუს ოფიცერს, რომელნიც ჯარს გამოეყვნენ და მდინარისკენ წამოვიდნენ, რათა ცხენებისთვის წყალი დაელევინებინათ.

აი, რაზე საუბრობდნენ ეს ოფიცრები:

„აფიცრები ლაპარაკობდნენ თავიანთ ჩეჩენთ სოფელ აჩლიქში ყოფნასა და იქ ცხოვრების გატარებაზედ.

მე მომცეს სალგურად, ღაიწყო ერთმა, ერთი ჩეჩნის სახლი... ისეთი მშვენიერი ცოლი ჰყავდა, ისეთი, რომ რაღა გითხრათ!.. ტანადი, თვალადი, ყმაწვილი - თითქმის ბავშვი! თვალებიდგან სულ ცეცხლს აფრქვევდა... მე დაუწყე არშიყობა, ისიც იცინოდა და მე დავრწმუნდი, რომ იმასაც მოვწონდი, მაგრამ დრო ვერ ჩაგვეგდო ხელში, ქმარი არ შორდებოდა... ერთს საღამოს ამხანაგები შეიყარნენ ჩემთან, გაღავკარით კარგად, ყველანი ჩემს სახლის პატრონს შემომნატროდნენ და ღამცინოდნენ, რომ აქამდე ვერა გავაწყე-რა. ბოლოს სტუმრობა

ლაი"ალა. მე დავრჩი მარტოკა... სახლის პატრონი კაცი "ინ არ იყო და მე საუკეთესოდ დავინახე ეს სადაბო, ქალს გავარ-"იცებოდი... "შევიპარე იმის სახლ'ში, მაგრამ ქალმა ყვირილი გააბა და ერთბა'შად "შემოვარდა იმისი ქმარი, რომელიც დაბ-რუნებულიყო და გარეთ ცხენს უკლიდა, კიდევ კარგი, რომ იარაღი არ გაჰყოლოდა თან, და სალდათები კი ახლოს იყვ-ნენ, ყარაუ'ლად დაიყიოდნენ და ხმაურობა'სედ "შემოსცვივდნენ, თორემ ხანჯალ'ზედ ამაგებდა ის პირუტყვი!..

და! რასაკვირველია, ისინი ისეთი ველური ხალხია, რომ იმათგან ყველა დაიჯერება! ჩაურთო სიტყვა მეორემ.

პეტრ ნიკოლაევიჩ! ნუ უშლით, გაათაოს, დაუმატა მესამემ, რომელიც ნერწყვის ყლაპვით ყურს უგდებდა ამხ-ანაგის ცინიკურს ლაპარაკს და თავისთვისაც ნატრობდა ბედ-ნიერს შემთხვევას.

- ახ! უკაცრავად, მერე?

მერე რა? დაიჭირეს ჩეჩნელი, დაინი"ნა გამოძიება და რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოახრჩვეს, როგორც მოღალატე, რომელმაც მოიწადინა აფიცრის სიკვდილი.

ახიც იყო იმ ავაზაკ'ზედ! მოუწონეს იმას.

რამდენსაც მეტს ჩამოახრჩობენ მაგ ჯურღებს, იმდენად უკეთესი იქნება, დაუმატა მეორემ.

ცოლი რალა იქნა? იკითხა პირველმა.

ცოლი? - ღიმილით უპასუხა მოამბემ, ცოლი ჩემ ხელთ არ იყო?... ის ჯერ დავაჭერინე, მერე, ჩემო ბატონო... აი, აქ. დავალევინოთ ცხენებს წყალი, პეტრ ნიკოლაევიჩ! ერთბა'შად "შეცვალა საუბარი მოლაპარაკემ, რადგანაც წყალს მიუახლოვ-დნენ და "შერცხვა ცილის წამებისა" (52,353-354).

„მამის მკვლელ'ში" ერთ-ერთი მოქმედი გმირი ელბერდი არა მარტო სახელით ემსგავსება მოთხრობა „ელბერდის" მოავარ

გმირის. არაჩვეულებრივი ცხოვრებაც და ტრაგიკულიც ორივეს ითიქის ქმნიდა.

ალ. ქაბეგის ორიე ნაწარმოების გმირებს პროტოტიპიც რეალური ჰყავდა. მწერალი იცნობდა და მეგობრობდა ჩეჩენ ელბერდს, რომელსაც იხსენებს მწყემსობის მეგობარი სვიმონა ჩეკიაშვილისადმი მიწერილ წერილში.

„გახსოვს ჩეჩნელი ელბერდ, ჩვენი მასპინძელი? გახსოვს იმის სახლობა? გახსოვს ქაბეგის სტანიცები, ჩეჩენთ სოფლები, გროზნა, მინდორი, მთა. გახსოვს, რამდენი მშვენიერი სურათებად ეხატებოდა ჩვენს თვალებს და აკვირვებდა ბუნების სიმდიდრე? მე ველა ეს ისე ცხოველად მეხატება თვალწინ, ისე ცხოველად მაგონდება, თითქოს გუშინ იყოს მომხდარი“ (32,240).

როგორც ალექსანდრე კალანდაძე წერს, სწორედ ჩეჩნეთში, მეგობარ ჩეჩენ „სულთისთან სტუმრობისას გაიგონა ალექსანდრემ ელბერდის ტრაგიკული თავგადასავალი, რომელიც შემდეგ მოთხრობაში გამოიყენა“ (32,240).

ალ. ქაბეგმა ზემოთ მოყვანილი მასალა გაღაამუშავა ‘შემოქმედებით ქერაში და შექმნა საუცხოო მოთხრობა „ელბერდი“, სადაც ჩატია მე-19 ს. შუა წლების ჩეჩნურ-რუსული ურთიერთობის პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ყოფითი მხარე.

მოთხრობა „ელბერდის“ მთავარი მოქმედი გმირი სოფ. აჩლიკის მცხოვრებია. ეს სოფელი ახლად დაარსებულია რუსების მიერ მთიდან ბარად ჩამოსახლებული ქისტებისთვის. რუსი კოლონიზატორები უფრო ხშირად ბარიდან ჰყრიდნენ და მთაში აძევებდნენ მკვიდრ მოსახლეობას, რათა მათ აღგილებზე კაზაკები ჩაესახლებინათ, მაგრამ ხანებოდა ისიც, რომ მთის მოუსვენარი აყლებიდან აყრიდნენ მთიელებს და ასახლებდნენ რუსების სიმაგრის ახლოს, რომ მუდამ თვალწინ ჰყოლოდათ. აჩლიკიც ასეთი სოფელი გახლდათ: „აჩლიკი არის ქისტის სოფელი,

რომელშიც მცხოვრებნი კარგა ხანია, რაც ჭეშმარიტად მოტრფიალენი იყვნენ მისნი, მან ერთხელ გაიცნობიერა ამ სოფელში, სხვებთან ერთად გაიმოვიდა ერთი მოხუცი თავის მოხუცებულის ცოლით და მარტო ერთის თვრამეტ-ცხრამეტის წლის ვაჟით ელბერდით“ (52,464).

ერთხელ ველაიკავკაზში მგზავრობის დროს ელბერდიმ დაინახა ნაზრანელი ენდი, მხიარული, ენამოსწრებული და მშვენიერი ყმაწვილი ქალი: „ელბერდმა შორიდგანვე შეჰკრა თვალი ერთს ურემზედ მჯდომს ყმაწვილს, მშვენიერს და ეშხით სავსე ქალს, რომლის ჭუჭუნა და კაცის მიმზიდველი თვალები ელვარებდნენ და თითქოს ცეცხლს აფრქვევდნენ“ (52,465).

პირველივე დანახვით მოეწონა ელბერდს ქალიშვილი: „ელბერდმა შეხედა ამ ქალს და რაღაც სითბოებამ გაურბინა ძარღვებში!“ (52,465).

მწერალი აგვიწერს ახალგაზრდა ქალ-ვაჟის მღელვარე ბუნებას, სიცოცხლით სავსე ენერგიულობას და მიგვანიშნებს, რომ ასეთი ქალ-ვაჟის სიყვარულისათვის დიალოგი არსებობს: „ის იყო ყმაწვილი, კარგად შეკრული მამაცი, იმის სისხლი სდუღდა და გაიმოდიოდა, სიყმაწვილე, სიცოცხლით სავსე მელვარებას ითხოვდა.

იმან ნახა მშვენებით სავსე ყმაწვილი ქალი, ტანადი და ნაზი, როგორც ზაფხულის ნიავი, ერთსა და იმავე დროს მოალერსე და ამშფოთებელი“ (52,465).

ერთურთში ხუმრობამ, რაც დამახასიათებელია ვაინახი ქალ-ვაჟებისათვის, თავისუფალმა ურთიერთობამ „დააახლოვა ახალგაზრდები, ერთმანეთი მოეწონათ და ვაჟმა ქალიშვილს დამბაჩა აჩუქა, რითაც ნიშნობა დამტკიცდა. ეს ისე კარგად და ლამაზად გამოუვიდა ერთსაც და მეორესაც, ისე უბრალოდ

მოხსნა ეს ნი'შანება, რომ ჭკოისკენ ალერსებაში მოსულის. ამ ალერსებას, უსაფუძვლო მწ'ერალის მიერ ამ ეპი'სოდის განცემერებელ დინამიურობა'ში გაღმოცემაც ი\'ვეცს:

„ამ დროს ტარიანტასი გაისმა ურმების, იმათთან მივიდა ერთი ლეღაკაცი და უთხრა სიცილით:

ბიჭაც! მხარ-ბეჭი კი კარგი გაქვს. მაგრამ ჯაჭვიც კარგი ეპოვნიათ: მაგრა დაეჭმახარ!

რაი მენაღვლების ენდის დაბმეულს?! ნეტავ თანაც წ'ამიყვანდეს.

ასე ჩქარა? გაიცინა ახალგაზრდამ.

ხანის გაგრძელება რაი ხელ-საყარიღაა?

ამ სიტყვებით გაიძრო დამბაჩა და გადაუგდო ენდის. ეს იყო ნი'შანი, რომ ელბერდი არა ხუმრობდა და ცოლად თხოულობდა ამ ქალს. ენდიმ შეხედა, აუთრთოლდა გული, მაგრამ დამბაჩა კი გაასწ'ორა ურემზედ, რომ არ გაღმოვარდნილიყო, იქ მყოფმა ლეღაკაცმა მიულოცა ბედნიერება, რადგანაც ენდისგან დამბაჩის დაუბრუნებლობა ნი'შნავდა თანხმობას. ასე უბრალოდ, მაგრამ გ'ულწ'რფელად ისინი იქმნენ „ნაბი'ჭნულნი“ (52,416).

ჩეჩნებ'ში ძალიან ღიდია მორიდება შვილისა მშობლებისაღმი. შვილი მამას პირად გრძნობებზე, მით უმეტეს უცხო ქალისადმი სიყვარულზე არასდროსაც დაეწაპარაკება. ცოლსა და შვილს მამის თანდასწ'რებით ალერსს არ დაუწ'ყებს, შვილს ხელ'ში არ აიყვანს, ტირილით რომ სცემბოდეს: „განსაკუთრებით სირცხვილია შვილის მოფერება მამის, ღედის, ბიძების და სხვ. თანდასწ'რებით, ამის ღედაც კი ერიდება, განსაკუთრებით მამამთილ-ღედამთილისა და მაზლების თანდასწ'რებით (62,367).

ჩეჩნებ'ში სასიძო ისეა მორიდებული, რომ არა თუ მონაწ'ილეობს თავის ქორწ'ილ'ში, არამედ ოჯახ'შიც კი არ იმყოფება, მორიდებულია და მეგობრებს აფარებს თავს. საერთოდ, ახალ-

შერიცხვა ცისლიანის განმარტებისას ყველანაირად ცდილობს, რომ შეიმჩნევლად იყოს: „ქორწილის შემდეგ, მეგობარო, რომელთანაც სიძე იმყოფება, ცხვარს დაკლავს, თირკმელებს შეწვავს და შეაქვს პატარძლის ოთახში. შემდეგ მეგობრებით გარშემორტყმული ნეფე სარ-ზეიმით მიჰყავთ მშობლების ოჯახში და პატარძალთან ერთად მიირთმევს შემწვარს. საქორწინო ღამის შემდეგ სასიძო კვლავ ტოვებს მშობლიურ სახლს და მეგობრებთან ატარებს თავს დღის განმავლობაში - ასე გრძელდება პირველ ხანებში“ (62,71).

სრულიად სხვაგვარად მოხდა ელბერდის დაქორწინება. მას ძალიან გაუჭირდა, ეცნობებინა მამისთვის ენდის დანიშვნა. „ელბერდი დაბრუნდა შინ ენდისგან გაგიჟებული, მაგრამ მამისთვის ვერ გაებედნა თავის გრძნობის გამოცხადება“ (52,466).

ელბერდის მამა ჭკვიანი კაცი იყო, შენიშნა ვაჟის გუნების შეცვლა და აიძულა, ყველაფერი ეთქვა და შვილის დამოუკიდებელი საქციელი კი არ გაკიცხა, დასტური მისცა: „მოგწონებია, შეირთე...“ გამოკითხა ქალის საღაურობა და როცა უთხრეს, რომ სურსოხელია და მალსაგიანთ გვარისა, მიხვდა, რომ გამოსასყიდს, ურვაღის დიდს მოსთხოვდნენ, როგორც ინგუშებშია მიღებული. თან ქალის იარაღით დანიშვნაც მოეწონა.

„ - ვაჭკაცის სახელი იარაღშია, მაგაზედ ძნელად გასარჩევი ნიშანი კაცისთვის აღარ იქნებოს! მაშ, რაღას უკურებ, რაბომ ურვაღისთვის არ სრუნამ? მალსაგიანი კაი გვარია, ცოტა ურვაღის როდი დაგჭერდებიან!

საბოც ძროხას ითხოვენ...

- აკი გითხარი... მაგრამ კარგსა და კეთილს ქალში საბოცი ძროხა ბევრი არაა... მარჯვე ბიჭი ხარ, მალე იშოვი“ (52,468).

ძველად ერეკლეს ლაშქრობა იყო. მის შესაგრძნობლად ლაშქრობა გარკვეულ სურვილებსაც ახალისებდა და ეშმაკობაც საამისოდ თარეშებს მიმართავდა: „XIX ს. ქეინახების ისტორიის მკვლევარია ნაშრომებში აღწერილია, რომ ერეკლის (ქალიშვილი) შესაგრძნობლად სასიძო და მისი ნათესავები თარეშებს აწყობდნენ“ (62,69).

ელბერდის მამა პატრიოსანი, მშრომელი, გამრჯე გლეხია და ცდილობს, ერთადერთი ვაჟიშვილი პატრიოსანი, მშრომელი კაცის ცხოვრებით აცხოვროს. იგი დახმარებას ითავაზობს შვილს ერეკლეს შეგროვებაში, ეუბნება, რომ თავად გაღიარებულია მთლიანად, მაგრამ, „ელბერდ, შენ თითონ უნდა იშოვო ერეკლე, შენის შრომით უნდა გაიკეთო საწოლი... ეგრეა ჩვენი წესი, აგრეა ჩვენი ადათი და ჩვენც ეგრე მოვიქცეთ“ (52,469).

ელბერდის მამა არიგებს შვილს, მოერიდოს რუსებთან ურთიერთობის გამწვავებას, ერკვევა არსებულ სიტუაციაში და კატეგორიული წინააღმდეგია თარეშისა: „...გიაურების დახვედრა და იმათი წართმევა, ღვთის მაცილმა, მაცილია, მაგრამ ეხლა მაგის დრო არ არის. ისეც იმასა ცდილობენ, რაც შეიძლება, უმეტეს მოგვეშორონ თავიდგან. საკეთილოდ მიდიხარ, კეთილად იშოვე ერეკლე მე არ მინდა, შენი სახელი თვით მტერმაც წყევით ახსენოს“ (52,469).

ელბერდი მამის რჩევას მიჰყვა, შეირთო ენდი, შექმნა შეხმატკბილებული, ბედნიერი ოჯახი, იგი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა, ვაჟიშვილიც შეეძინათ.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ ელბერდმა მიწის დამუშავებას მოჰკიდა ხელი, მაგრამ საკუთარი მიწა ცოტა ჰქონდა და გადამთიელ კაზაკებისაგან, რომლებიც ჩასახლდნენ მის მიწა-წყალზე და მიწა მიისაკუთრეს, ოკარით იღებდა. ბედის დაცინვაც ამას ჰქვია შენივე მიწას ოკარით იღებ! გაჭირვებით გაჰქონდა თავი ელბერდს, მაგრამ მტერ-მოყვარეს ღირსეულად ხვდებოდა:

ალარსა მარტოკა ელბერდი, თავის ახალგაზრდა ცოლით და პარავა სულთით, ასე ეძახდნენ იმის შვილს. ქმარ[illegible]ვილი მამა გამოეკიდა მუშაობას, და თუმცა მის[illegible]ა სამუშაოდ არ ჰყოფნიდა, რადგანაც ექვს ღორის არ გადააჭარბებდა, მაგრამ იჯარით იღებდა მეზობელის ქალახებისაგან, რომელთაც სულ[illegible]ეღ ოცდა ათ-ათი დესეტინა ჰქონდათ დარიგებული: აძლევდა იმათ ქირას და კიდევ იმდენად მხნეობდა, რომ მტერსაც და მოყვარესაც სასახელოდ უხვდებოდა" (52,469).

მაგრამ ბედნიერი, მშვიდი ცხოვრების იდილია ლიტხანს არ გაგრძელებულა. ვერც გაგრძელდებოდა, რადგან იქ, სადაც რუს კაზაკთა ბატონობაა, სისასტიკე და ძალმომრეობა ბატონობდა, ხოლო ჩეჩნები მონობას არასოდეს შეეგუებოდნენ.

როგორც ზემოთ ითქვა, წინააღმდეგობა ჩეჩნეთში რუსი დამპყრობლების მიმართ არასოდეს შეწყვეტილა. განსაკუთრებით აქტიური იყო პარტიზანული ომი, აბრაგთა თარეშები და სწორედ ამ თარეშებს მოჰყვებოდა ხოლმე სადამსჯელო ლონისძიებები. ერთ-ერთი საშუალება დასჯისა იყო ე.წ. ეგზეკუცია, მოუსვენარ სოფლებში რუსი ჯარისკაცების ჩაყენება. სოფლელები ვალდებულნი იყვნენ ოჯახში ჩაეყენებინათ ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც უდიერად ექცეოდნენ, არაფრად აგდებდნენ მკვიდრი მოსახლეობის ადათ-წესებს, ფეხქვეშ თელავდნენ მთიელთა ღირსებას.

სწორედ ასეთი ეგზეკუციების შედეგად იღუპებოდა პატიოსანი ოჯახები არამარტო ჩეჩნეთში, არამედ მთელ კავკასიაში. გურიაში გოგია უიშვილმა პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა, ხევში ბერდია გააუბედურეს, ჩეჩნეთში ელბერდის ოჯახი განადგურდა. მათ მსგავსად ათასობით ოჯახებმა განიცადეს ტრაგედია რუსი დამპყრობლების ძალადობით.

ამერიკაში საკუთარი სახლიდან, ამერიკული თავის იმარჯვებენ, ჩვენ არ გაგვიჩენია ფოსტა. მაგრამ პრისტავს მიაჩნია, რომ „ავადმყოფებისაგან შემდგარია მთელი მხარე".

ელბერიდი ცდილობს, დაიცვას უცნაური ხალხი, მოითხოვს სამართალს, მკურნალისა და მარიელის გარჩევას, დამნაშავის დასჯას და უცნაური ხელოვნებას: „ბატონო, რაშია ლანძღვაში მთელს მხარეს?... სადაც ხალხია, იქ ცუდი კაციც იპოვება და კარგიც. უცნარად უპასუხა ელბერიდმა, თუ დაშავა ვინმემ რამე, გადაახდევინეთ, თუ არა და, სხვებმა რა დაშავეს" (52,470).

მაგრამ არაფერმა გაჭრა, ამერიკაში სამართალი ჩაყენეს. ეს დიდი უბედურება იყო მოსახლეობისათვის. მწერალი ამ ტრაგედიას შემდეგნაირად ხსნის:

„მთის კაცისთვის იმისთანა გადახდენება არ არის მოგონილი, როგორც სამართლის ჩაყენება, რაღგანაც საზოგადოდ მთიელნი ზნეობით ბევრით ამაღლებულნი არიან გარყვნილს, თავისუფლებას დაჩვეულს სამართლებსა, რომელთ განმარტოებული ცხოვრება, დიდხანს დაშორება ქალაქების საზოგადოებას, აჩვევს შეუვიწროებლად ყოველგვარის უწმაწურს ლაპარაკს და საქციელს." (52,471-472).

არ გაჭრა არავითარმა თხოვნამ და პრისტავმა სოფელში სამართალი ჩააყენა, ელბერიდის ოჯახში სამი ოფიცერი ჩასახლდა.

და დაიწყო ელბერიდის უბედურება. რუსი ოფიცრები გამუდმებით ქეიფობდნენ, სახლში მთვრალი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ხმაური მოსვენებას არ აძლევდა სამუშაოდან მობრუნებულ ცოლ-ქმარს. და რაც ყველაზე უარესი იყო, ოფიცრები სახლის პატრონს ისე უყურებდნენ, როგორც მათ ყმას და სხვადასხვა დამამცირებელ დავალებებს აძლევდნენ.

ელბერიტი, რომელიც ხალიჩიანი, სრულიად ბიანი მასპინძელი, რომელიც მკაცრი აღიარებით იყო აღსრულილი, პირველ ხანებში ასრულებდა ოფიცრების ცავალებებს, მაგრამ როცა მიხვდა, რომ მის პატივისცემას ისე იყენებდნენ, როგორც ვალდებულებას, აღშფოთდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი თავისუფლებისმოყვარე ბუნებით გამოიჩინა, როცა ოფიცერმა ცავინებით მოითხოვა მისგან „სტარა-ვერკაში“ გამგზავრება:

„ - არ შემიძლიან და არც წავალ! აჩქარებით და ხმაამაღლებით უპასუხა ჩერჩენმა და ისეთ რიგად შეხედა, რომ ოფიცერმა რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა.

იმან აშკარად დაინახა, რომ ელბერიტის თვალებში რაღაცის გადაწყვეტილების ცეცხლი გამოკრთა და ხანჯალზე დადებული ხელი ძალზედ აუთრთოლდა.

ელბერდმა კიდევ შეხედა ოფიცერს, გადააფურთხა და სანამ ოფიცერი გონს მოვიდოდა, მოახერხებდა რასმე, ჩერჩენი გადაჯდა ცხენზედ და ძაუგისკენ მიაჭენებდა.

არის ხოლმე ისეთი თვალი და მეტადრე ისეთი შეხედვა, რომელიც მსწრაფლად დაჰფანტავს კაცს, გააწყვეტინებს პირში სიტყვას და კარგა ხანი გაიყლის, სანამ ამ მდგომარეობაში მყოფის აზროვნება წესიერს მდინარებას მიიღებს. სწორედ ამ გაშტერებაში ჩააგდო ელბერიტის შეხედვამ ეს ოფიცერი და აგრძნობინა, რომ ელბერიტისთანა კაცთან ამგვარი ხუმრობა აღვილი არ არის.

- რა ხალხია, ღმერთო ჩემო! ძლივს წარმოთქვა უფროსმა და დაუმატა: - ყველას ხანჯალზედ უჭერია ხელი... მაგათთვის წიწილისა და კაცის სიკვდილი სულ ერთია!“ (52,474).

მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია რუსი ოფიცრისთვის, პირი შეეკრა თავის ჯარისკაცებთან და თავს დასხმოდა ელბერიტის ცოლს გაუპატიურების მიზნით. ალბათ, საბაღელს მიაღწევდა მხეცი, რომ ძაუგიდან მობრუნებულ ელბერიტს არ მოესწრო:

„ელბერტის, რომელიც ამ ადგილს დაბრუნებულიყო ძალიან და ამჟამად ცხენს უკლიდა. მოისმა ენტის ხმა და მსწრაფლად ხანჯალსედ ხელ-გავლებული შემოიჭრა და თან შემოტანილის სანთლის შუქსედ თვალწინ წარმოუდგა თავისი ცოლი, რომელიც ებრძოდა გამხეცებულს აფიცერს, რომელსაც ხელი გაევო და ცდილობდა ქალი წაექცია“ (52,480).

„ელბერტი იქამდინ მიაშურებდა, იქამდინ ადიბნა ამ შემთხვევით, რომ რაოდენიმე ხანს კარებში ისე გაშტერებული დარჩა, როდესაც გონს მოვიდა და ის იყო ხანჯლით გადახტომას აპირებდა, რომ ღმერთი დაებნელებინა უსინდისო სტუმრისთვის, უკანიდგან წამოეწივნენ კუსმას მოყვანილი სალდათები, რომელთაგანაც ერთმა უკანიდგან ისე ძალზედ დაჰკრა კონდახი, რომ ჩეჩენს თავი რამდენიმე ადგილას გაუტყდა და დარეტიანებული მიწაზედ დაეცა“ (52,480).

ელბერტი, რომელსაც ოჯახში შეუცვივდნენ, ცოლის გაუპატიურება დაუპირეს, შეულახეს კაცური ღირსება, სასიკვდილოდ სცემეს, დაიჭირეს, ოფიცრის მოკვლის მცდელობა დააბრალეს და ძაგს გაგზავნეს.

„სალდათები მისცვივდნენ გულ-შემოყრილს კაცს, დაუწყეს უწყალოდ ცემა, მიმკვდარებული შეჰკრეს და მეორე ღღესავე ძაგს გამოგზავნეს, სადაც სამსაჯულოს უნდა გადაეწყვიტა განაჩენი „მოჯანყე ელბერტისათვის, რომელმაც განიზრახა რუსის აფიცრის სიკვდილი“ (52,480).

განაჩენიც ისეთივე უსამართლო იყო, როგორც რუსეთის მთელი პოლიტიკა კავკასიაში. სამართალი რუსულ ჩინოვნიკებში ძლიერის მხარეზე იყო და ელბერტიც განწირული იყო დასაღუპად.

„რამოდენიმე ხანს შემდეგ, ვლადიკავკაზის ბაზარზედ ამართეს ძელი, რომელზედაც საქვეყნოდ ჩამოახრჩვეს ელბერტი,

რაია ამ მაგალითის ხალხისკენ გავლენა ქართული და ევროპული გაგების ურთიერთშეთანხმების ხელის შეწყობა" (52,481).

რა დაემართა ელბერიდის ცოლ-შვილს?

"ენატრა, რომელიც კაჭერის ომის მიერ შეშლილა თავის ქმარს, მაგრე დაიმორჩილეს და შეკრული ფიცრის ოთახში შეაგდეს, შეჭმულია, რომ არ გაქცეულიყო სადმე". იმათი პატარა შვილი სულით კი მეორე დღეს გაჭკნეტილი იპოვეს, რადგანაც ის მებრძოლებს ფეხქვეშ მოჰყოლილიყო და გაეხრისათ" (52,480-481).

ასე დაიქცა და განადგურდა ძალმომრეობის მსხვერპლი ელბერიდის ოჯახი. ის ერთ-ერთი იყო ათასობით ოჯახიდან, რომელნიც დაიქცნენ კავკასიის ომების დროს.

ალ. ყაზბეგის მიერ დახატული დანგრეული ოჯახების, გამქრალი ოცნებების და დაკარგული ბედნიერების ამსახველი მოთხრობების ("ელბერიდ", „ბერიდია", „ნინო") შესახებ გურამ ასათიანი წერს: „სამივე ამ მოთხრობაში ეს ძალმომრეობა აქ გარკვეული ხასიათისაა. მეფის მოხელეები, რომლებიც განუკითხავად ავიწროებენ მოსახლეობას, თავიანთ ბინძურ ხელს ალმართავენ მათ თავმოყვარეობასა და სინდისსეც. ქისტი ელბერიდის ბედ-იღბალი ზუსტად ისეთია, როგორიც ქართველი ბერიდიასი. მასაც ისე შეუგინებენ და შეურაცხებლად გაუსრისავენ გულისსწორს, როგორც ახალგაზრდა მოხევეს. აღსანიშნავია, რომ ორივე ამ მოთხრობაში მოძალადეთა როლში მეფის ოფიცრები გამოდიან" (61,518).

დასკვნა

1974 წელს საქართველოში აღინიშნა ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 125 წელი. ჟურნალ „ლიტერატურულ საქართველოში" იბეჭდება დიდი ჩეხი მწერლის მოგონებები იმის შე-

სახლებ. თუ რა დიდი რიოლი ითამაშა ალ. ყაზბეგმა მის ცხოვრებაში.

აბუსარ აიდამიროვი იყო პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი, პოლიტიკოსი და ცნობილი პედაგოგი. 25 წელი მუშაობდა სკოლაში მასწავლებლად, სკოლის დირექტორად, დაამთავრა უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტი, ლიტერატურის უმაღლესი კურსები. იგი არის ავტორი მშობლიურ ენაზე დაწერილი თხუთმეტი წიგნის, პოეტური კრებულების, რომანების, მოთხრობების, პიესების და მეცნიერული სტატიებისა. არის რსფსრ-სა და სსრკ-ს სახალხო განათლების წარჩინებული, შრომის დროშისა და ხალხთა მეგობრობის ორდენების კავალერი.

აბუსარ აიდამიროვი იყო ჩეჩნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამგრძელებელი. მისი ისტორიული რომანები („თავისუფლების სახელით", „გრძელი ღამეები", „ელვა მთებში" და სხვა), ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების დარად, გაჟღენთილია სამშობლოს სიყვარულითა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჟინით.

აბუსარ აიდამიროვი წერს, რომ ერთხელ შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ალ. ყაზბეგის ასი წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული რჩეული ნაწარმოებების პირველი ტომი, რომლის წაკითხვამაც მასზე უზარმაზარი შთაბეჭდილება დატოვა. ომის შემდგომ წლებში ჩეჩენი და ინგუში ბავშვები გაჭირვებამ ისე გამოაწრთო, რომ ცრემლი არ იცოდნენ, რა იყო. „მაგრამ ყოველთვის, როცა მე ვკითხულობდი „მამის მკვლელს", „ელისოს" და „ციციას", ჩემი თვალებიდან შეუწყვეტლივ იღვრებოდა სიმწრისა და სიხარულის ცრემლები, მე ხომ „ელისოში" აღწერილი სიმწრის ფიალა თავად შევსვი ბოლომდე. „მე მიხარიხარ ის, რომ დიადი ყაზბეგი ჩემთან გამოცხ-

აღსა როგორც მოწმე იმ სიმართლისა, რომლის შესახებაც მეყვებოდა მამაჩემი. მე არ შემეძლო, არ დამეჯერებინა მისთვის" (74,8).

აბუსარ აიდამიროვმა იცოდა, რომ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ასწლიან ომში (კავკასიის ომში) ქართველები იბრძოდნენ რუსეთის მხარეზე, ასევე იცოდა ისიც, რომ ჩეჩნეთის გაღასახლება-ში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დიდი როლი შეასრულა, მაგრამ არ იცოდა, რომ ეს იყო მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ქართველი ხალხისა. ძირითადი ერი კი თანაუგრძნობდა მოძმე მეჩხობელ ხალხს ამ ბრძოლაში და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდეც.

მოვუსმინოთ მას თავად: „ქართველი თავადების - ცარიზმის მოსამსახურეებისა და ჩეჩნეთში ძალით მობილიზებული ქართველი მილიციონერების რაზმების (სხვათა შორის, 1950-1955 წწ. კინაღამ გმირების რანგში იქნა აყვანილი ცარიზმის ერთგული სამსახურისთვის კავკასიის ხალხების დამორჩილებაში) გვერდით ჩემს წინ აღიმართნენ იაგო, კობა, ვაჟა და სხვა გმირები, ნამდვილი ქართველი ხალხის სახეები, ღრმა თანამგრძნობი მოძმე პატარა ხალხისა, ძმური ხელი რომ გაუწოდა მას ბრძოლაში..." (74,8).

ალ. ყაზბეგის თხზულებებმა როგორც ითქვა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა აბუსარ აიდამიროვზე. იგი გახდა ქართველი მწერლის უდიდესი თაყვანისმცემელი და როგორც თავად ამბობს, ქართველმა მწერალმა უბიძგა მას წერისაკენ, ყაზბეგის ნაწარმოების სიგავლენით შექმნა მან თავისი შედევრები.

„ალექსანდრე ყაზბეგმა ჩამინერგა რწმენა საკუთარ ძალებში და შესაძლებლობებში, რის შემდეგაც გაღავწყვიტე, მთელი

ჩემი ცხოვრება ძიძისაგან მწერლის შრომისათვის. ალ. ყაზბეგის შემოქმედების სრულყოფილი დაწერე ჩემი პირველი მოთხრობა „თავისუფლების სახელით“, რომლის საფუძველზეც შეიქმნა იმავე სახელწოდების რომანი. მისი მოცულობით არცთუ დიდი, პრაგმატიული სავსე მოთხრობა „ელისომ“ მიბიძგა აზრისკენ, შემექმნა ისტორიული რომანი „გრძელი ღამეები“... (74,8).

ჩვენ მწერალს შეუფასებლად მიაჩნია ალ. ყაზბეგის მხარდაჭერა ჩვენი ხალხისადმი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი დარწმუნებული იყო, რომ ალ. ყაზბეგი, როგორც მისი ნაწარმოებების გმირები, თავადაც მიიღებდა მონაწილეობას ჩეჩნების მხარეზე საძულველ მტერთან ბრძოლაში, ამის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა.

„დიადი მთიელის სახელი მსოფლიოსთვის არაა ცნობილი, როგორც სახელი ბაირონის. ყაზბეგს არ შეეძლო ჩეჩნეთში წასვლა, რომელიც საკუთარ სისხლში იხრჩობოდა, დამდგარიყო მებრძოლი ხალხის რიგებში. რაღგან ის დაიბადა ჩეჩნეთის დამორჩილების ოფიციალური გამოცხადებამდე 12 წლით ადრე. სამაგიეროდ თავის სიმწიფის წლებში, როცა უმაღლეს წრეში სიტყვა „ჩეჩენს“ წარმოთქვამდნენ არა სხვაგვარად, ვიდრე კავშირში სიტყვებთან „მტაცებელი“, „ჭურკი“, „ველური“, „ბარბაროსი“, „ბოროტმოქმედი“ და სხვა ასეთსიან ეპითეტებისგან შორს მდგომ სიტყვებთან, ის დაჟგ ღამცველად ამ უბედური ხალხისა“ (74,9).

აბუსარ აიღამირზოვს მიაჩნდა, რომ ალ. ყაზბეგი, ვაინახების და ქართველების მეგობრობის მომღერალი, დღესაც ხელს უწყობს მოძმე ხალხების დაახლოებას. მის ნაწარმოებებში ქართველი და ვაინახი გმირები ერთმანეთს მხარში უდგანან გაჭირვების ჟამს და იბრძვიან საერთო მტრის წინააღმდეგ.

„ომი და კობა მიჯნარიებიან ალმოსავლეთს ჩეჩნეთში და ღვებიან ჩეჩნების რიგებში, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის. ჩეჩენი სულთი ჯახოტი კლავს მხარის უფროს თავად აპრაკუნეს, მისი ძმაღნაფიც ბეჟიას მკვლელს. მიხევე ცდილობს გადაარჩინოს ჩეჩენი ანსორი და ელისო, რომლებიც თურქეთში გადაასახლეს და მათით ერთად იღუპება. ალექსანდრე ქასბეგი ხალხთა შეგობრობის დიადი მომღერალია (74,9).

აბუზარ აიდამიროვს უერთდება მოელი ვაინახი ერი და თითოეული მათგანის შეგნებაში უკვდავების შარავანდედით არიან შემოსილი ღიდი ვაჟა და დიდი ყაზბეგი, ღირსეული შვილები მრავალტანჯული კავკასიისა, რომლებიც ისტორიაში ერთიანი და თავისუფალი კავკასიის, ვაინახებისა და ქართველები ძმობისა და მეგობრობის მომღერლებად ღარჩებიან სამარადჟამოდ.

თავი IV

გველის მჯამელი მინდია და ძისტები

თქმულებები გველზე, როგორც სიბრძნის ღვთაებაზე, მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული. ზოგიერთ ხალხსა თუ ტომში არსებობდა გველის კულტი. ბიბლიური გადმოცემით, სწორედ გველმა შეაცდინა ევა, აგებია აკრძალული ხილი, ცოდნის წყარო და, ალბათ, აქედან მომდინარეობს, რომ გველი გახდა ბოროტების სიმბოლო.

ამ თემით მხოფლიოს მრავალი შემოქმედი დაინტერესებულა და თითქმის ყველგან გველი გამოყვანილია სიბრძნის წყაროდ. სიბრძნეს ადამიანისათვის სიკეთე მოაქვს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სწორედ სიბრძნის საშუალებით ხდება ბოროტების გამარჯვება.

საქართველოში უძველეს არსებობს მითი, ლეგენდა თუ ზღაპარი, სადაც ადამიანი სჭამს გველის ხორცს და ხდება ბრძენი. იგი იძენს საოცარ ცოდნას, ხდება მისანი, მკურნალი და სიკეთით ემსახურება თავის ხალხს. მაგრამ დაზუსტებით ძნელია თქმა იმისა, რომ ამ შინაარსის მითები ქართველი ხალხის საკუთრებაა, რადგან ასეთი ხასიათის გადმოცემები თითქმის კავკასიის ყველა ხალხშია არსებობს.

ასეთი მითების წარმომავლობა უფრო შორეულ დროშია გადაჯაჭვული. შესაძლებელია, მისი ფესვები აზიაში იყოს, საიდანაც კავკასიაში მოვიდნენ კავკასიელთა წინაპრები. საკითხს თუ ისტორიის თვალსაზრისით მივუდგებით, კაცობრიობის აკვანი დაირწა შუამდინარეთში, სადაც არსებობისათვის ყველაზე საუკეთესო პირობები იყო. პირველყოფილი ადამიანისათვის საარსე-

ბის პირობები კავკასიის მიუწვდომელ და ამიტომ იქ ადამიანი გვიან უნდა იყოს დასახლებული.

სხვა საკითხია, როგორ იყენებს თავის შემოქმედებაში ამა თუ იმ მითს, ლეგენდასა თუ სხვაპარს ხელოვანი. უსათუოდ, მწერალი თუ მხატვარი ფსიქოლოგიის ნიმუშს თავისი მისწრების, იდეის გამოსახატავად გადაამუშავებს, სხვა აზრს მიანიჭებს და ქმნის ახალ, მისთვის დამახასიათებელ ლიტერატურულ ნაწარმოებს.

მითს იმის შესახებ, რომ გველის ხორცის ჭამა ადამიანს უხსნის გონებას, სიბრძნეს მატებს, ბუნების საიდუმლოებების ამოცნობის უნარს ანიჭებს, შემოქმედი იყენებს ნაწარმოების სიუჟეტის განსავითარებლად. ასეთი გზით „გაბრძენებული“ ადამიანი ეჯახება ცხოვრებისეულ სინამდვილეს, ჩნდება წინააღმდეგობა ბრძენსა და ცხოვრებისეულ რეალობას შორის და ადამიანის ტრაგედიად იქცევა.

ასეთია დედააზრი ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელისა“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ფილოსოფიური ხასიათის პოემაა, სადაც გველის ხორცით „გამეცნიერებული“ ხოგაის მინდია თავის თანამოძმეებზე მაღლდება, სიკეთით ივსება, ბოროტებას ვერ ეგუება და იტანჯება, რაღგან მისი გაგება უბრალო მოკვდავთ ვერ ძალუძთ.

„რასაკვირველია, დაუფასებელია ადმიანისათვის „გულის და თვალების გახსნა“ და განსაკუთრებული „ჭკუის“ შეძენა. ეს თვისებები ცამდის, ღმერთამდის ამაღლებს მიწის შვილს, მაგრამ ასეთი განსაკუთრებული და გამორჩეული ყოფა-მდგომარეობა იმავე დროს დიდ პირად ტანჯვას განაცდევინებს რჩეულს, ვინაიდან ძველთაგანაც ნათქვამია, რომ „ცოდის სიბრძნეში დიდი მწუხარებაც არის“-ო...“ (25:110)

ამ თემით დაინტერესება ქართულ მწერლობაში საკმაოდ დიდი იყო. ვაჟას შემდეგ ეს თემა განავრცო გრიგოლ რობაქიძემ

ლრაიბაში „ლამარა“, ხოლო შემდეგ გაახმოვანა ქართული მწერლობის ბუმბერაზმა კონსტანტინე გამსახურდიამ მოთხრობაში „ხოგაის მინდია“.

ეს თემა ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმით, რომ სამივე ნაწარმოებში სიუჟეტის გახსნაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ქისტებს, ქისტ პერსონაჟებს უჭირავთ. ეს შემთხვევითი არ არის, ვფიქრობთ, არც იმითაა გამოწვეული, რომ ვაჟას „გველის მჭამელის“ სეგავლენით იყოს შექმნილი „ლამარა“ და „ხოგაის მინდია“. სამივე ნაწარმოები დამოუკიდებელი, სხვადასხვა თვალთახედვის ქმნილებაა. თითოეულმა მწერალმა თავისებურად გადაწყვიტა ბოროტებისა და სიკეთის მარადიული დაპირისპირება.

სამივე ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი ხოგაის მინდია (რობაქიძესთან რაიბულის მინდია) ხევსურია, ხევსურეთის ღვიძლი შვილი და მაშასადამე მეზობელი ქისტების მტერ-მოყვარე. ისტორიულად ცნობილია, რომ ამა თუ იმ ხალხის, ტომის ხასიათს, ეთნოგრაფიაზე ზეგავლენას ახდენენ მეზობლად მცხოვრები ხალხები. ხევსურებისათვის და ქისტებისათვის ვაჟკაცობის გამოცდას სწორედ ურთიერთობა წარმოადგენდა და ერთმანეთის ქიშპობა ჯიბრში იჭედებოდა მათი ხასიათი.

ხოგაის მინდია ხან ქისტების ტყვეობაშია (კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“), ხანაც თავად ბარიდება ქისტებს ტყვედ (გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“), მაგრამ ყველა შემთხვევაში ტრაგიკულად იღუპება ქისტებთან ბრძოლაში. სწორედ, ქისტებთან დაპირისპირებაში თუ დაძმობილებაში ვლინდება გველის მჭამელ მინდიას ტრაგიზმი.

„გველის მჭამელი“ პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბე“ში (№№I და II) 1901 წელს. ავტოგრაფში პოემას სათაურად აქვს „მინდია გველის მჭამელი“.

პოემის მიხედვით, მინდია 12 წლისწულს ქაჯებს ტყვედ ჰყოლიათ, სადაც ტყვეობით თავმობეზრებულმა ერთხელ ხიზილი შეჭამა მათი საჭმელი გველის ხორცი. მას შემდეგ მინდია სრულიად სხვა ადამიანი გახდა, „ახალად სული ჩაედგა“, ქაჯების ქვეყნის ხრიკი მისთვის ახდილია, ბუნების ქვეყნა საიდუმლოებას ჩაჩვდა, ყველა სულდგმულის ენა ესმის, უსულო საგნების ენაც კი მისაჩვეულო გახდა მისთვის.

გველის ხორცი თურმე სიბრძნე ყოფილა.

„შეიგნო სიბრძნე ქაჯების
ამიერიდამ ტყვემან;
მას მუსაიფი დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემან.
მხოლოდ ბოროტმა მის გულში
ვერ მოიკიდა ფეხია,
სხვა ყველაფერი ქაჯური
ყველა ისწავლა ხერხია“ (19,566-567).

ტყვეობიდან დაბრუნებული მინდია ერთგულად ემსახურება თავის ქვეყანას. ხევსურები მას რჩევას ეკითხებიან, ბრძოლაში ბელადად მას ირჩევენ, მათი იმედი და ბურჯია.

მრავალი გამარჯვება მოუპოვებია ხევსურებს თავისი ნიჭითა და მამაცობით მინდიამ, „ტყვიასავით მალი“ და „გრძნეული, როგორც გველია“ ფშავ-ხევსურეთის ნაგებში და ფარია. ბრძო-

ლეგენდაში წინააღმდეგობა. ბრძოლის შეწყვეტა ცნობილია და განუსაზღვრელად დიდია მისი აუცილებლობა, მაგრამ მოწინააღმდეგენიც ჰყვანან, რომელნიც მის სიკეთეს ამრეზით უყურებენ.

ოჯახში ჯალაბიც წინ აღუდგება, ცხოვრებისეულ ყოფით პირობებს მოითხოვენ და მინდიაც თანდათან ნებდება: ხან ხეს მოჭრის, ხან ნადირს მოკლავს და აი, დადგა წუთი, როცა გაქრა გრძნეულება და სვეულებრივ ადამიანად იქცა.

მინდიას ტრაგედია იმაშია, რომ მას სიცოცხლის აზრად თავისი ქვეყნის სამსახური მიაჩნდა და სწორედ ამის საშუალება მოესპო:

„ველარას გარგებ ქვეყანას
მტრის მამგერებელს ჯარშია,
მიტომ რომ წინანდებული
ცნება აღარ მაქვს თავშია.
რატომ მალუდეც არ გაქრა
ჩემი ვარსკვლავი ცაშია“ (19,579).

ხევსურთ სოფლებში ჩოჩქოლია, დიდი ხმაურობა და ყვირილია, ყველა მინდიას, გველის მჭამელს კითხულობს, რაცგან

„ქისტების მოდის ლაშქარი
არლუნს ჩატეხეს ხიდია,
დახვედრა მტრისა, ვაჟებო,
ეხლა ჩვენზედა ჰკიდია“

ხევსურების ლაშქარმა ბელადად კვლავ მინდია აირჩია, მაგრამ გველის მჭამელი უარისეა, ცდილობს აუსხნას, რომ

„ახლარ ვვარგივარ მრჩეველადა:
ის სხვა დრო იყო, სხვა ჭკუა,

ეხლა კი ჩუმი ნარჩევი
გამოგადგებათ ძნელადა“ (19,595).

მაგრამ ხევსურები თავისას არ იშლიან და ბევრი ხვეწნისა და ფიცის შემდეგ მინდია ხევსურებს ურჩევს, რომ ქისტებს მოწამლული ხევში ჩაუსაფრდნენ:

„სხვას ვერას გირჩევთ: დაუხვდეთ
ქისტებს მოწამლულს ხევაში“ (19,595).

უსიამოვნო ჩურჩულმა გადაურბინა ლაშქარს, არ მოეწონათ „ქისტების დასახვედრელი“ აღგილი, მაგრამ რას ისამდნენ: ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ მინდიას რჩევას დაუჯერებდნენ.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა ქისტებსა და ხევსურებს შორის, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა. ტოლი ტოლს შეხვდა, ერთმანეთს ტოლს არ უდებენ, მაგრამ გამარჯვებას მხოლოდ ერთ-ერთი მიაღწევს:

„ორი დღე არის მთას იქით
ომია, დიდი ვაება:
მეტად სასტიკი ბრძოლაა,
ველხვები ლომებს შაება
და სისხლის თოკი მთიდამა
დაბლა ჭალამდე გაება.
ორსგე ერთგვარად არ ჰნახავს,
ერთს გაუმარჯვებს ღვთაება“ (19,596).

მინდია გველის მჭამელი ამ ბრძოლაშია სასიკვდილოდ იწვევა, რაზეგან ხედავდა, რომ ხევსურები მარცხდებოდნენ. თანა-

მოლაპარაკების შეწყვეტას მინდია, ჯავრობდნენ, რომ უმისოდ სწირავდა თავს, თან ამშვიდებდნენ:

„პაპო, რად იკლავ ძალად თავს, -
ძალად სიკვდილი გწადიან?
შიგნით რომ იწევ მტრის ჯარში,
ხომ ხედავ, რასაც სჩადიან?!
დღემდე ჩვენ ვოლეთ ეგენი,
ახლა ეგენი დადიან (19,596).

მარტოს დარჩენილმა მინდიამ ბევრი იწვალა და, როგორც იქნა, გაიხსნა ხელ-ფეხი, სურდა მიშველებოდა თავისიანებს, მაგრამ გვიანი იყო:

„...და ამ დროს ნახა სოფლებში
ცეცხლები, - ცუდი ნიშანი.
გაიგო, რაც მომხდარიყო,
ალარ უნდოდა მისანი“ (19,597).

მინდიამ, როცა ნახა, რომ მტერმა გაიმარჯვა და არბევდა მის ქვეყანას, თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე:

„...ხმლის ტარს შეეხო ცერითა,
ამოიწვადა ქარქაშით,
გულს მიიბჯინა წვერითა.
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა...“ (19,597-598).

„დამთავრდა ტრაგედია სულისა გამეცნიერებული“ მინდიასი. მართალი უნდა ვსთქვათ, რომ მგოსანმა ამ ტრაგედიის დახატ-

ვა'ში ღიღი ნიჭი და ოსტატობა გაძლიერებისა. თუ თვით სახე „ცრძნეულის“ მინღიანი (სულ ერთია შექმნილია ის პოეტის ფანტაზით, თუ ძველთაგანაა გაღმოცემული) არარეალური და ლეგენდარულ-ზღაპრულია, მისი სულიერი ტანჯვის თანდათანობით ხრღა, გართულება და ბოლოს აუცილებელი ა'შინელი კატასტროფა ვაჟას ღრმა ღაკვირვებით აქვს აღ\'ერილი“ (25,123).

გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“

საზღვარგარეთ ემიგრაცია'ში მყოფი გრიგოლ რობაქიძე დრამა „ლამარას“ შექმნიდან 30 \'ლის შემღეგ \'ერღა, რომ „არავის“ გაუკვირდეს სათაური: „ბიოგრაფია“ - „ლამარა“ ჩემთვის „პიროვნული არსია“ (40,291).

საქმე იმა'შია, რომ მან ერთ-ერთი სტატია მიუძღვნა დრამა „ლამარას“ სათაურით „ლამარა“ (მოკლე ბიოგრაფია), სადაც „გვიყვება, თუ როგორ შეიქმნა დრამა, როგორ ღაიწყო სცენაზე და როგორი \'არმატება ჰქონღა ამ სპექტაკლს.

1924 \'ელს მანგლის'ში ისვენებღა მ\'ერალი, სადაც შეხვღა კოტე მარჯანი'შვილს, რომელსაც ჩამოეყვანა ქართული თეატრის ღასი და ემ'სახღებოღნენ მომავალი სე'სონისათვის. გრიგოლ რობაქიძემ, ღიღმა თაყვანისმცემელმა ვაჟასი, მარჯანი'შვილთან საუბრისას შეაპარა, რატომ არ შეიძლებოღა „გველის მჭამელის“ სცენა'ზე გატანა. შემღეგ \'აუკითხა რეჟისორს პოემა, რომელმაც ღიღი შთაბეჭღილება მოახღინა ხელოვანზე.

მარჯანი'შვილმა რობაქიძეს შესთავა'ა, ამ თემაზე შეექმნა ღრამა: „ეს არ გამოვა! რა იქნება, შენ თვითონ გა'ააკეთო ეს მითიური გაღმოცემა ღრამაღ, ჰა?! (40,275).

რიგორც მწერალი გვიმტკიცებს, „შეთავაზებიდან მესამე დღეს მას ლამარა შთაესახა და რაღაც ორი კვირა მოუნდა „ლამარას“ სიტყვიერ გაშლას“. ასეთი სწრაფ შემოქმედებით ენერგიას რობაქიძე უკავშირებს ამბოხებას რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომელიც მარცხით დამთავრდა და რასაც ძლიერ განიცდიდა მწერალი:

„შესაძლოა, წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვეშეცნეულ მოვინდომე: „ლამარა“ უმალვე მიმეხალა მტარვალთა მიმართ ვითარ ტრაგიკული მარჯი დამარცხებულთა“ (40,276).

დრამის დადგმაზე კოტე მარჯანიშვილთან ერთად მუშაობდა ალ. ახმეტელი. შემდეგ, მარჯანიშვილი ავად ხდება და ახმეტელი აგრძელებს მუშაობას შემუშავებული გეგმის მიხედვით. რამდენიმე თვეში სპექტაკლი მომზადდა და იგი 1926 წლის 29 იანვარს წარდგა მაყურებლის წინაშე. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით.

თუ როგორი წარმატება ხვდა წილად, თავად გრიგოლ რობაქიძე გვიყვება: „ფარდა ეშვება. ფეხზე დგება მთელი თეატრი, მეც ვდგები. ტაშის გრიალი სცენის მიმართ. მეც მივყვები გრიგალს. ფარდა იხდება. ვხედავ: სცენიდანაც ტაში მოდის. გაოცებული ვარ. ერთი მეგობრის ხელი ჩემს მარჯვენა მხარეზე. ვერკვევი: სცენითგან მოშვებული ტაში ჩემკენ აბრუნებს მისადმი მოზავებულ ტაშს მთელი თეატრისა. ეხლა კი ბრუ მესხმის: თითქო მე სხვა ვიყვე, ნათელი ნეტარებით ტანაყვანილი“(40,286).

„ლამარა“ დიდი წარმატებით იდგმებოდა როგორც თბილისში, ისე პროვინციების სცენებზე. 1930 წელს საბჭოთა ხალხის საოპერო ოლიმპიადაზე ქ. მოსკოვში საქართველოდან წარდგენილ სამ პიესაში ერთ-ერთი იყო ლამარა, რომელმაც არნახულ წარმატებას მიაღწია. თითოეული პიესა ორჯერ უნდა

ლაკლაკით, მაგრამ ლამარა რვაწლის დაღუპვის მიზეზით. ერთხელ ოვაცია 35 წუთის გრძელდებოდა. მოსკოვში სპექტაკლის თავად სტალინი დასწრებია, ისე მოსწონებია, უთხოვია რომ განმეორებით წარმოეღგინათ.

„ბოლოს ქვეყანაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტი: ერთს წარმოდგენას თვით „იგიც“ დასწრებოდა. სტალინი (მე ოლიმპიადას არ დავსწრებივარ, მოსკვლიკო, როცა ბოლო აქტი მიდიოდა. ფარდის ჩამოშვების შემდეგ სურვილი გამოეთქვა: „თავიდგან ბოლომდე განმეორებინათ წარმოდგენა. რასაკვირველია, განმეორებინათ დაცარიელებულ თეატრში, ახლა მეტი ტემპერამენტით, ესეც რასაკვირველია, შეირხნენ სტალინში საქართველოს ფესვები!“ წერს რობაქიძე (40,291).

საინტერესოა სახელ „ლამარას“ წარმომავლობა. აი, რას წერს ამის შესახებ თავად ავტორი: „სახელი „ლამარა“ მოეფინა მთელ საქართველოს. ყაარქვეს იგი საღორე ცხენებს, ყაარქვეს ერთ რესტორანსაც ტფილისში. საითგან მოდის ეს სახელი? მოვიგონოთ ერთი წარმართი ღმერთქალი, ცნობილი სახელით „ლაგამარ“ გავიხსენოთ „ლამარია“, სახელი სვანთა ერთი პატარა სალოცავისა. ქართველ ქალს არაოდეს რქმევიან „ლამარა“ - ღრამის განფენის შემდგომ ამოციალღნენ მრავალნი „ლამარანი“, ცქრიალა ცირანი (40,286).

ამ სახელის წარმომავლობაზე გვინდა ერთ გარემოებაზე გავამახვილოთ ყურადღება, თუმცა ამაზე ავტორი არაფერს გვეუბნება. ქისტურად „ლამარუა“ მთიელს ნიშნავს, ფრიად გავრცელებული იყო როგორც ჩეჩნებში, ისე ინგუშებში. ისინი „ლამარუა“-ს უწოდებდნენ, საერთოდ, ქისტებს, რომლებიც ქართველების უშუალო მოსახლეები ყვნენ.

რობაქიძის მინდია განსხვავდება ვაჟას მინდიასაგან თავისი შინაგანი ბუნებით. გველის მჭამელი მინდია, მართალია, მისა-

სია, მკერდიანი, ბრძენი. მაგრამ მკაცრული სულისკვეთების ადამიანია. იგი ალერსს, სანამ ჯალათურ ძალას შეიძენდა, ეომებოდა ქისტებს და შემდეგაც ბევრადობდა თარეშებს. „ლამარას“ მინდია უფრო მორიდებული, მშვიდი, ღამფოლი ხასიათის პერსონაჟია. („შემოდგომის ნელის ბიჭით მინდია, შავგვრემანი, თაფლისფერი თვალები: განზე მხედავი და თან გამჭრიახე, შიკა ტანის, რხევაში: სილბილე, მორიდებული და თან პირდაპირი“) (40,125).

რობაქიძის მინდიასაც ესმის ყველა სულიერისა თუ უსულოს ხმა, გვესმის მისი მეგობარია, თურმე ერთმანეთი უყვართ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მინდია ტყეებაში არ ყოფილა (თუმცა ქისტებს ბარდება ტყეზე და არც გველის ხორცის ჭამით (ვაჟასთან) და არც ოჩონპინტესთან შეთანხმებით (კონსტანტინესთან) არ შეუძენია ბრძენის ცოდნა.

მაგრამ მინდიას ბრძენ, მისან, გრძნეულ ადამიანად გადაქცევა მაინც გველის მეშვეობით ხდება:

„მინდია. კალოზე ვიწექ, სიცხეში; ხის ძირას,
სიცხე დიდი იყო: ალმურიანი,
წამძინებოდა. ჩრდილ გადასულიყო.
მზეს დაეცხე: იცის გახელება.
1. ბიჭი. განა მზეც გახელდების?!
მინდია. ჰაი-ჰაი რო გახელდების.
2. ბიჭი. მერე? მინდიაუ?
მინდია. ყურიდან სისხლ წამსდენოდა
გამომელვიძა, დათენთილ ვიყავ.
ძილსა თავი გერ ავართვი. ისევ მიმეძინა.
ძილში ვიღაც ყურს მილოკავდა.
ნელთბილი იყო ლოკვა სისხლის.

რაღაცას ჩამჩურჩულებდა:
ტკბილი იყო ჩურჩული.
გამომელვება - გველ იყო:
წითელი, რქანაყარი, ჯაგარაყრილი (40,127).

რობაქიძის მინდიას პირველი დანახვისთანავე შეუყვარდება „ქისტის ქალაი ლამარა“, ქალი'ისკენაც თანაგრძნობით ეკიდება მის სიყვარულს, ოღონდ ვაჟისგან მამაცობას, ვაჟკაცურ საქციელს ელოდება:

„მინდია: *ხატად მეყოლების შენი სახელი.*
ლამარა: *გეყოლები. გეყოლები.*
მინდია: *ლამარა, მინდა ჩემ იყო.*
ლამარა: *ვიქნები - თუ მამიტაცებ.*
მინდია: *მაგიტაცებ.*
ლამარა: *იჩო მამა რისხვაა. მურთაზ ძმაი აქვია. შენ ვერ შეძლო, შენ ჩვილი ხარ“* (40,180).

ლამარა თურმე ჰყვარებია მინდიას ძმას თორღვას, რომელიც ტყეპისკაცივით ჰგავს მინდიას, მაგრამ ხასიათით ძირეულად განსხვავდება. იგი ავია, მრისხანე, ბოროტი, მზაკვარის საკუთარი ძმა მოკლას ქალის გულისათვის. ძმობაზეც კი უარს ამბობს, ერთი დედის ძუძუ არ გვი'წოვიაო (ძმები არიან მხოლოდ მამით).

მინდია მზაკვარის ცათმოს ლამარა, ოღონდ ძმამ ძმის სისხლი არ დაღვაროს. იგი სიკეთის განსახიერებაა და ამით სარგებლობს კიდეც თორღვაი, რომელმაც ისარგებლა მინდიასთან მსგავსებით და მოიტაცა ლამარა.

მინდიაში ლამარასადმი სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ მისი გრძნეულება ძალას კარგავს. იგი ამითაც განსხვავდება

ქალის მისწრაფებისაგან, რომელსაც სიბრძნე მას შესძენდა. რომლის ჩვეულებრივი ადამიანივით მიიქცა ბუნებას. რობაქიძის მინდია ერთგულია თავისი გრძნობებისა, ის არ ღალატობს პრინციპებს, ბოლომდე ერთგულია სიკეთისა და სიყვარულისა.

საინტერესოა, რომ მინდიას ცოლნა, გრძნეულება ნელდება, რომელიც კი თავის ბუნების საწინააღმდეგო საქციელს ჩაიდენს:

„მ ი ნ დ ი ა. დამკოურებია სული...
ამრევია გუნება...
გარსკვლავ უნდო გახდის...
ყოილ დაჩუმდის...
ბალახ არას მეტყოდის...
რ ა ი ბ უ ლ. შენ ლამარა გაწვალებს - მინდი.
მ ი ნ დ ი ა. მაწვალებს.
რ ა ი ბ უ ლ. როდის წაგერთო ძალა?
მ ი ნ დ ი ა. ის მახსომს...
რ ა ი ბ უ ლ. მაინც...
მ ი ნ დ ი ა. პირველხან მჭონენი ქავთართან -
ლამარა რო მაიტაცეს.
რ ა ი ბ უ ლ. შემდეგ.
მ ი ნ დ ი ა. ლრეობაში... როცა გაგხელდი...
რ ა ი ბ უ ლ. ცოლნა თუ მთლად დაჰკარგე?!
მ ი ნ დ ი ა. არა. დრო და დრო ისევ მოდის.
რ ა ი ბ უ ლ. შენ ლამარა გაწვალებს - მინდი...
მ ი ნ დ ი ა. მაწვალებს... მაწვალებს...“ (40,161).

მინდია, ყოველთვის სიკეთის მთესველი, ქისტებთან მიდის და ტყვედ ბარდება. მას ორი მიზანი აქვს: პირველი, შეწყვიტოს ქისტებსა და ხევსურებს შორის არსებული სისხლისღვრა;

მკითხველს, ცისარტყელას, თავის ძმასა და ლამარას ქმარს შეუსაცკელოს, შეყვარების და ამით დაავადებული ლამარა გაალაღვინოს. ხოლო, როცა მისი გმირული საქციელი მოსისხლე ქისტმა, შვილმოკლულმა იჩომ სათანადოდ აღიქვა, სიცოცხლე აჩუქა და შვილადაც აღიარა, მას ძველებური ძალა დაუბრუნდა:

„იჩო. ამიერ შვილი ხარ ჩემი.
მინდია. შვილი... შენი... იჩოსი... შვილი...
იჩო. დიახ: შვილი იჩოსი.“

(მინდიას ცრემლი მოუვა, ჰიღდირ აყვანილა სიხარულისგან)

მინდია. ყოილნი... კვლავ ვხედავ ყოილებს...
მთაიც გულს იბრუნებს... ველიც...“ (40,175).

როგორც ითქვა, „გველის მჭამელის“ სეგავლენა „ლამარაზე“ დიდია, მთავარი პერსონაჟებიც ლეგენდის გმირები არიან, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. ამას თავად რობაქიძე ხაზგასმით აღნიშნავდა:

„ხედავთ: „გველისმჭამელთაგან“ „ლამარაში“ არა დარჩენილა რა, გარდა მითიური თქმულების შეგულისა, ისიც გარდაქმნილის: იქ დაცოლშვილება, აქ ტრფობა იქ თავმაკლება, აქ თავშეწირვა.“

დრამის მთავარი მოქმედი გმირი ლამარა პირველსავე კამარის დასაწყისში ჩნდება და მთელი დრამის მანძილზე მკითხველი ინტერესს არ კარგავს მისადმი. ამის მიზეზი მრავალია, ერთ-ერთი მაგანი არის მისი ეგზოტიკური სილამაზე. მეზობელ ხევსურებში კარგადაა ცნობილი მისი სილამაზე, ცხენოსნობა, მრისხანე ხასიათი.

კითხულობ გ. რობაქიძის „ლამარას“ და ქისტი ქალის ლამარას განსხვავებულ სახეს უნებურად უჩნდება პარალელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრის, პოეტ მიხა ხელაშვილის „ქისტის ქალს“-თან:

„ქალო, მთის შვილო, ხარ სხვა რჯულისა,
მაგრამ ვერვინ გჯობს ფეროვნებითა,
შენი სახეა შემკული ტურფად,
ათი ათასი გემოვნებითა“ (65, 77).

ხევსური ბიჭები სხვადასხვანაირად ახასიათებენ ლამარას, ზოგი მის მომნუსხველობას გვეცნს აღიარებს, ზოგიც ალქაჯს. ლამარა ქისტის გოგოებში გამოირჩევა: „მაღალი შვინდის-ფერი თმით მოლურჯო თვალებით ოდნავ უკმეხი იერით“ (40,127).

ხევსურ ბიჭებს უკვირთ, რომ მინდიამ ქისტის გოგოებში ვერ გამოიცნო ლამარა:

„1 ბიჭი. გვცნის ხსენებაზე აი გოგოებიც.
2 ბიჭი. ერთი მათგანი მართლაც რო გვცნია.
მინდია. ვინ არიან ეს გოგოები?!
3 ბიჭი. ქისტის გოგოებია!
4 ბიჭი. ერთი ვერ გამოიცან მათში?!
მინდია. რომელ?!
5 ბიჭი. აი ყელმაღალა -
ჯეირანივით რო იღერება.
მინდია. ვერ შავხედ.
1 ბიჭი. წითელი გვცნის კაცები რო აქ მხრებზე!
2 ბიჭი. თვალებ ლურჯი ნისლითა რო ელურსება!
3 ბიჭი. ქისტის ქალაი ლამარა!“ (40, 127-128).

ლამარას შესახებ ბიჭებმა ბევრი იცის. იცის მისი მიმზიდველობის ძალა, რითიც ბევრი ახალგაზრდა გაუბედურებია და ცაცხვით ეუბნებიან მინდიას, რომ მასაც მოუნახავს „მაი ლამარა“.

„4 ბიჭი. შაგივლდა გუნებაში - განა?!
5 ბიჭი. თვალ მაგტაცა - ხომა?!
მინდია. გერ შავხედ!
1 ბიჭი. თუ შახედ - დადნები ცვილივით.
მინდია. არ გეონავ.
2 ბიჭი. შენისთანები მაუგრეხია ქალაისა?! (40,128).

ლამარას სილამაზემ ბევრ ყმაწვილს აუბნია თავგზა. ბიჭების თქმით, ზეზვა მთლად გააგიჟა, არნახული ამბავი დამართა:

„2 ბიჭი. ლამარა ცხენზე ოვლდა - წითლაზე,
სუ ტიტველი, ვითამ ალქაჯი ქათქათა.
თეთრ მკერდზე ბროწეულისფერი თმები გადმაეშვა.
3 ბიჭი. თითქო მზე მაესხა ტანზე.
4 ბიჭი. წითლაი გაცეცხლდა. ქალი გაიტაცა.
5 ბიჭი. ზეზვაი უმზერდა გასუდრული.
მინდია. შემდეგ?!
1 ბიჭი. ცხენი მდინარეჩი გადაეშვა.
2 ბიჭი. ზეზვაი მოსხლტა ნაპირიდან
და უცბად წითლაის გაგას მაახტა.
მინდია. მერე?
3 ბიჭი. მკლაგებ უნდოდა მაეხვია ქალაისთვის.
4 ბიჭი. ქალაიმ აატივტივა ტიტველი ტანი.
5 ბიჭი. ჰკრა ხელი ზეზვაის -
და საწყალი ყრუდ დაეცა -
საცა კლდე ჰყუდავ ხავსიანი“ (40,128-129).

„ლამარა“, რომელიც „სულ ცხენის აკვლევებს“. თორღვას მიერ მოკლებული, მოტყუებული (თორღვა მინდია ეგონა) პირველსავე ღამეს ხევსურთ მიწაზე ალმოჩენისთანავე ძმას ხვდება, მურთაზს, რომელიც მტრად გადაექცევა მომჩაცებელს. ლამარას სულში ღიმი ჭიღიღია: ჯერ ერთი, მომჩაცებელი მისი შეყვარებული არ აღმოჩნდა: მეორეც, საკუთარი ძმა დაკარგა.

„(მურთაზს გაბედულ გადაადგამს მათკენ ნაბიჯს. რაგორც ნაღირი წამსვე ხვდება ყოველივეს. სახე: რკინის რისხვა. ლამარა გაღმოხტება ქვიდან, გადააგდებს ნაბადს. დაუვარდება წინ მურთაზს).

ლამარა. ნუ იქნა! ნუ იქნა!
მურთაზ. ესაა შენი შვილი?!
ლამარა. ნუ მძრახ – მურთაზ!
მურთაზ. გაი – შარცხვენაო!“ (40,145).

ქისტებსა და ხევსურებს შორის არსებული შუღლი უფრო გამწვავდა. ღღეობაზე მყოფ ხევსურებს ამბავი მოუვიდათ ქისტების თავდასხმაზე:

„მოამბენი. ქისტები! ქისტები! ქისტები!
ქისტები თავს დაესხნენ სოფლებს!“ (40,157).

ლამარას გუნება შეეცვალა, ნაღვლიანი გახდა. გაქრა მისი სილაღე, სიკასკასე. სიყვარულში ვერ გაუმარჯვდა ამორძალს, სისხლისღვრა სულს უშფოთებს, გულს ასკდება, რომ მისი ქმარი ქისტეთს არბევს, ხოლო ძმა- ხევსურეთსს:

„ლამარა. მურთაზ არბევს ხევსურთ.
თორღვა არბევს ქისტეთს.

ქისტეთ გაშაულა....
ხევსურეთ გალუშულა...“ (40,159).

ლამარას ტრაგედია თანდათან მძაფრდება, ქისტების თავდასხმები გრძელდება. თავდამსხმელების ერთი ჯგუფი საქონელს გარეკავს, მეორე ჯგუფი მღვევართან შესახვეწრად მოდის. აქ ერთმანეთს შეხვდებიან თორღვაი და მურთაზი, რომლებიც ერთმანეთს მუქარით შეებრძოლებიან. აქ არ შველის ლამარას ვედრება და მურთაზის სასიკვდილოდ დაჭრის თორღვა:

„ლამარა. თორღვაი! რასა იქმ?!
მურთაზ რას სჩადი?!
მიშველეთ!
შაჩერდით!“ (40,159).

(უეცრად მურთაზს ფეხი აუცდება და თორღვაის მოქნეული ხმალი მოხვდება). ეს ისე სწრაფად ხდება, რომ ძნელია გამოცნობა, ფეხაცდენით ისარგებლა თორღვაიმ თუ თორღვაის მოქნევის შემდეგ აუცდა დაჭრილს მურთაზს ფეხი. მურთაზი დაეცემა. ლამარა ცავარდება.

მურთაზ. მამკლეს. შენთვის ლამარა!“ (40,169).

ლამარას ტრაგიზმი კულმინაციას აღწევს. იგი ქმარს მკვლელს უწოდებს: „თორღვაი! მკვლელო! მკვლელო! ტოვებს მის ოჯახს და „აბგილის ღეღას“ შეეკედლება და მალე ავადმყოფობაც ხელს დარევს.

ხოლო, როცა შეიტყობს, რომ მამამისმა მკვლელს შეუნდო შვილის მოკვლა, რომ ხევსურებსა და ქისტებს შორის მშვიდობა დამყარდა, ლოგინიდან წამოდგება, ცხენს შეაჯდება და ქისტეთისაკენ გაქუსლავს:

„ლაგაზ. ლამარა აგარდა ლოგინიდან...
ქალებმა ვერ დააკავეს...
ლამარა გამაიქცა...
შაგრას მააგენებს...
ცხენდაცხენ გამავეკვ...
სუ მამასა და ძმას გაიძახის...“ (40,183).

მამასთან ერთიგებული ქალი-ვაჟი ძმებს ქმარსა და მაზლს შეარიგებს და კვდება. მაგრამ მისი სიკვდილი ლამაზია, რაც გან მოძმე ხალხს შორის მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

ამ დრამაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქისტი იჩოს სახე. ლამარას მამა ცნობილია, როგორც მრისხანე და დაუნდობელი მეომარი, მაგრამ სინამდვილეში ჰუმანური და კეთილმოსურნე ადამიანი აღმოჩნდა. მაგრამ მასში სიფიცხე, რისხვა იმდენად ძლიერია, რომ ხშირად ჩრდილავს მის კეთილშობილ გულს.

ლამარას მოტაცებამ და მკვლელის მოკვლამ მისი რისხვა გაამძაფრა. მას სისხლი სწყურია. ამ ქვეყნად ახლა მისთვის ყველაზე ურჩხესი მკვლელობაა:

„იჩო. ვერ ვერვინ მაჭრიეა იჩო.
იჩო მაგარია. იჩო ძალანაყარია.
აეღეცდები. აეჭიხვინდები.
ეპეეთები ცხენდაცხენ თორღვაის
ორად გავაპობ მურთაზის მკვლელს.
ვერ თვით ვალოკებ თავისსავე სისხლსა.
მერე მე შავსვამ მის სისხლსა ჯამებით.
ბევრჯერ უტესავ იჩოს ხევსური,
ვალლაჰ. ილლა აზიმ...“ (40,172).

იჩოს მამა ძალიერი ამბიციების, ახასიათების, რომ მასაც ბევრჯერ დაურბენია ხევსურეთი და საპასუხო თარეშის არ უნდა შეკვირვების, მაგრამ იჩოს მრისხანება უსაზღვროა და შერისხების წყევლილი დაუოკებელი. იგი მხოლოდ შერისხიებაზე ფიქრობს, შემდეგ თუნდაც მისი სხეული სვავებს საჭიჭანაკად გადაუგდონ მტრებმა:

„იჩო. არა. არა. არა.
ნათხარ ვიქნე - ნათხარ,
მინდა სისხლ ცეცხლიანი,
მინდა დაგვლე მტერს.
მინდა დაგანარცხო მისი ჯარი -
ხვიოდეს იგი ვით მდინარე.
თავს მოგკვეთ მტერს -
რომ მარგილზე ჩამოგაგო იგი“ (40,173-174).

ამ მრისხანების ჟამს მათთან მოკიის მინდია, თავს თორღვაიც აცნობს, მოსვლის მიზანსაც ეუბნება „სისხლმა მამიყვანა“.

გაცეცხლებული იჩო კედლიდან ხმალს ჩამოგლეჯს, გაშმაგებული მივარდება, უნდა დაჰკრას სასიკვდილოდ, მაგრამ შეხედავს ხევსურის სახეს და სიშმაგემ გაღიაურა და შუბლზე კოცნის მოსისხლეს. ყველა გაოცებულია იჩოს ცვლილებით, მისი ასეთი უცნაური საქციელით. თურმე

„იჩო. როს მოსაკლავად ხმალს გიმიზნებდი -
შენს სახეზე ერთი კუნთიც არ შერხეულა“ (40,175).

მტრის სიმამაცემ აღაფრთოვანა ქისტი, დაავიწყა შერისხიება. იჩომ ყველაზე მაღლა სიმამაცე და გამბედაობა

ლაიქნა. მისიის არ აქვს მნიშვნელობა. მაშინაც მკვდარია თუ მოკვდარე. ვაჭრობა მხოლოდ ვაჭრის მიერ ფასდება. ეს მთიელთა საერთო წესია.

ქისტი უფრო შორს მიდის და მინდიას, მისთვის ქალიშვილის მომრაცებელ და ვაჟის მკვლელ „თორღვას" შვილად აღიარებს. ეს საქციელი იმდენად ამაღელვებელია, რომ იჩოს მამა, შვილი და სხვა ქისტები გულწრფელად აღფრთოვანებულები არიან:

„ჰიდდირ. იჩო! მეც ვპოვე შვილი...
გიხილე, შვილი, გიხილე იჩო.
(ჰკოცნის)
ლანიშ. მამავ! საყორელ მამავ!
(მუხლებზე ეხვევა ქვეყნავარდნილი)
1 ქისტი. იჩო რაინდია!
2 ქისტი. იჩო გმირია!" (40,175-176).

იჩო ქალშიც აფასებს ვაჭაკაცურ საქციელს. როცესაც შეიტყობს, რომ ლამარა, რომელიც შერისხული ჰყავდა, ძმის მოკვლის შემდეგ ცალკე ცხოვრობს, რადგან „ძმის მკვლელთან ლამარას არ სურს ერთობა", მოლბება და მრისხანებაც უქრება.

სწორედ იჩოს ვაჭაკაცურმა გადაწყვეტილებამ შეწყვიტა ქისტებსა და ხევსურებს შორის ბრძოლა და მშვიდობა დამყარდა. ხოლო იჩოს ამ გადაწყვეტილებისკენ უბიძგა მინდიამ თავისი თავშეწირვით, თავისი მამაცობით და გულწრფელობით.

სწორედ ეს მინდიას მშვიდობისათვის ლტოლვა, სიკეთისა და სიყვარულისადმი ერთგულება განაპირობებს იმას, რომ ეს სახე ბევრად მაღლა დგას მანამდე ვაჟას მიერ შექმნილ და შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დახოცილ ხოგაის მინდიაზე.

ერთიც უნდა აღინიშნოს: გრიგოლ რობაქიძე საკმაოდ კარგად იცნობს ქისტურ ყოფით დეტალებს. მერაბიანის თავშეკავება, როცა მოტაცებულ ქალში საკუთარი და იცნო, გამოწვეული ქისტური სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციით. გახსოვთ, ალბათ ვაჟას სტუმარ-მასპინძელი, საღაც ჯოყოლას სტუმარი ღროცული ქისტი ზვიადაურს თავს არ ესხმის, რადგან „სტუმარი სხვის სახლში, ვერ გაშლის ხაიაბალასა". მერაბიანიც ასე მიმართავს მასპინძელს, ქავთარს: „ქავთარ! სტუმარ ვარ შენი!, თემის აღათს ვერ გავტეხ".

ასევე საყურადღებოა, რომ ნაწარმოებში გამოყენებული ქისტური სიტყვები ზუსტად შეეფერება ქისტური ენის ბგერით ჟღერადობას. მაგალითად, ქისტური მისალმება „მარშ დოლლიოდაიშ!" (თავისუფლად გეცლოთ!) და სხვ.

კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია"

კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია" დაიწერა 1937 წელს. თავისთავად ცხადია, მწერალი კარგად იცნობდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას და მის „გვეტის მჭამელსაც". ხოლო გრიგოლ რობაქიძე მისი თანამედროვე" მწერალი იყო, ზოგჯერ მისი ოპონენტიც და „ლამარა" წაკითხულიც და სცენაზე ნანახიც ექნებოდა.

კონსტანტინეს „ხოგაის მინდიას" ფაბულა და სიუჟეტი მაგისტრალურ ხაზში ემთხვევა ვაჟას პოემის შინაარსს. როგორც მოთხრობას, ახასიათებს სიუჟეტის მეტი გაშლილობა, პოემასთან შედარებით. „ხოგაის მინდიაში" მინდიას ამბავი უფრო ვრცლად არის გადმოცემული და ქისტებისა და ხევ-

საერთაშორისო თავდასხმებსა და პრესტიჟის ღირებულებებს ფართო ასპარეზი აქვს დაიმობილი.

მაგრამ აქედანვე უნდა აღინიშნოს, რომ კ. გამსახურდიას მინდია განსხვავდება როგორც ვაჟას, ისე რობაქიძის მინდიასგან თავისი ქცევითა და შეხედულებებით. ასევე ცრურწმენა უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ კონსტანტინე კატეგორიული იყო მიბაძვისადმი და ჩვენს მიერ სემანტიკური ოპონენტობაც რობაქიძესთან ამ სფეროში გამოვლინდა.

1922 წ. პაექრობა გაიმართა ჟურნალ „ბახტრიონსა“ და „ილიონს“ შორის. „ბახტრიონის“ პოზიციებს იცავდა გრ. რობაქიძე. საქმე ეხებოდა ზეგავლენას. გამსახურდია საპასუხო წერილში პასუხად „ბახტრიონს“ წერდა: „გავლენაზე თუ მიდგა საქმე, თქვენს გავლენას ჩემზე ჭკუათმყოფელი არ დაიჯერებს, რადგან თქვენ არც განათლება გაქვთ ამისთვის საკმარისი და არც ნიჭი და ერუდიცია. ის კი ფაქტია, რომ თქვენს გრ. რობაქიძეს ამ წლის განმავლობაში ჩემის გავლენით გაუჩნდა ახალ თემა ოსვალდ შპენგლერი“. აქვე ავტორის შენიშვნა: „შპენგლერზე მე ფელეტონი დავსტამბე შარშან აპრილში. წარსულის იანვარში მოხსენება დავნიშნე შპენგლერზე, ორი თვით გვიან გრ. რობაქიძე ალაპარაკდა მასზე“ (14,168).

როგორც ჩანს, პოლემიკა ორ მწერალს შორის უხეშ ფორმებში გაადიზარდა, რადგან ამავე წერილის ბოლოს კონსტანტინე გამსახურდია საკმაოდ მკაცრია გრიგოლ რობაქიძის მიმართ:

„დასასრულს, ბახტიარი გრ. რობაქიძის შარშანდელ უნიჭო ოხუნჯობას იმეორებს. ასეთი ოხუნჯობის საპასუხოდ მე შარშან ვუთხარი რობაქიძეს, რომ გვარის სიმბოლიკა უსაქმური ჭკუის ჩხირკედელაობაა: რომ ბეკონი ინგლისურად ღორის შაშხს ნიშნავს, შილლერი გერმანულად ბრუკიანს, სერვანტესი

მსახურის, უკიდური ცხელების, კვლევამანი სარდაფის კაცს. ვიღაც მანიკი გარეული ბატის, მაგრამ მარილაც ბატისებური უნდა იყოს კაცი, რომ მწერლის კრიტიკა მისი გვარიდან დაიწყოს“ (14,171).

ცხადია, თუ გავითვალისწინებთ მწერლის ამგვარ პოზიციას, ქოველნაირად შეეცდებოდა, განთავისუფლებულიყო ქოველგვარი ზეგავლენისაგან. მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია ალიარებდა, რომ მწერალი ზეგავლენისაგან დაცული არ არის, პირიქით, ეს აუცილებელიცაა, რადგან „ისიც ცხადია, ვინც სიჭაბუკეში არავის დამწაფებია, მას სიბერეში არავის ოსტატობა არ შესძლებია“ (14,892).

კონსტანტინე გამსახურდიაც და გრ. რობაქიძეც დასავლეთის კულტურის გზას დაადგნენ. კონსტანტინე წერდა, რომ რობაქიძე მასზე ადრე დაადგა ამ გზას: „მე არ უარვყოფ, რომ ჩემზე ადრე გრ. რობაქიძემ აიღო გეზი“... (14,174). აქედან გამომდინარე, თავისებური ლიტერატურული ზეგავლენა ქოველთვის არსებობს. მსგავსია „ხოგაის მინდიას“ და „ლამარას“ პერსონაჟის მინდიას დამოკიდებულება ქისტებისადმი, ქისტებისა და ხევსურების ურთიერთობისადმი – ორივე დარწმუნებულია, რომ მგრობა და შეცდომა უნდა მოისპოს, რობაქიძის მინდია ამას ახერხებს კიდეც.

ხოგაის მინდია შვიდ წელიწადს ჰყავდათ ტყვედ ქისტებს. მისი დახსნა ხევსურებს ძალიან ძვირი დაუჯდათ: ასი რჩეული ვაჟკაცი დაეცა სამეკობრეო თავდასხმის დროს, მინდიას მამა, მეკობრეობა ბეღლაკი ხოგაი სასიკვდილოდ დაჭრა ქისტების ბეღლაძმა ცალხელა ღოლაიმ.

„მერმე ის იყო ქისტებს აულები გადაუბუგეს არხოტიონებმა, ხოგაის ვაჟებმა უთურგვამ და ბერდიამ თან გამოიტაცეს თავიანთი ურწმესი ძმა მინდია, რომელიც შვიდ წელს ტყვედ

ჰკვლიათ ქისტებს. ღილძალი ხვასტაგი ცაღძილალეს. მაგრამ ძვირად დაუჯდათ ხეცსურებს ეს გამარჯვება.

ასჱე მეტი რჩეული ვაჟკაცი მოუკლეს. ასიოღეს მარჯვენა წააცალეს და მძიმედ დასჭრა თავად ხოგაი ცალხელა ღოლაიმ, ქისტების ბელადმა (14,176).

სიკვდილის წინ ხოგაიმ ანდერძად დაუგდო შთამომავლობას: „მახკალითო!" შთაძმავლობამ ფიცი დადო შურისძიების, მაგრამ მინდია მთლად გამოეცვალა ტყვეობას: ქისტურად ეცვა, ხევსურული ტანსაცმელი ძლივს ჩააცვეს. ერთი წლის შემდეგ აკვანშივე დანიშნული აშექალა შერთეს, მაგრამ მინდია ცოვად შეხვდა პატარძალს, მასთან დაწოლაც კი არ ისურვა.

რამ გამოცვალა მინდია?

მონადირის ეხში აიყვანეს ტყვედ ქისტებმა „ქისტების მშუსვრელი" მინდია.

„ერთ ღღეს დასძინებოდა მინდიას მენადირის ქვაბში.

სამი ქისტი თავზე წაადგა. თვალის მოშშვნეტა ვერ მოასწრო, ერთი მათგანი შეიცნო მინდიამ - დოლაი, ქისტების ბელადი. შეჰკრეს მინდია, უმცროსს დაუსვეს ტახტზე, აიყვანეს აულში და მისგიის ეზოში დასვეს.

ჩავქოლოთო ეს გიაური, გაჰკიოდა კაცი და ქალი.

მერმე ის იყო, გამოეყო ბრბოს ქისტი ალღიძე:

რაც უნდა მოჰკლათო, ხალხო, ეს ხევსური, ხოგაის ვაჟია იგი, ხევსურთა ბელადისა. მძევლად გვჭირდეს აულში, ასიოღე ქისტს მოვგცემენო მასში.

მოიწონეს ქისტებმა ალღიძის თათბირი" (14,179).

მინდიას პატრონობა ალღიძეს დაავალეს. მან თავის ციხეში შეიფარა მძევალი. მერე და მერე ერთურთს დაუახლოვდნენ, დამეგობრდნენ და ძმებად გაიფიცნენ. სანადიროდ ერთად დადიოდნენ, ქაჯახების სტანიცებზე თავდასხმებს აწყობდნენ, თერგის ნაპირებზე ერთად თარეშობდნენ ძმადნაფიცი აბრაგები:

„ჩიხი'სნა თავის ცხე'ში მინდია ალციძეს, ჩიტ'ნია ვაჭკაცი კაჭკაცს, ფარ'ულად „ფიც-ვერცხლი" სჭამეს ხუსურ'ული წ'ესით. ჯიხვ'ს სანადირო დ ერთად დაციოცნენ, ქა'სახების სარბევად და საქონლის მოსატაცებლად" (14,179-180).

და შე'ყვარდა ძმობილის ქალი'შვილი ხადი'შაო მინდიას. ხადი'შაო იყო მი'ე'სი ა'შექალას ათვალის'წ'ესების. სწორედ ქისტეთ'ში გატარებ'ულმა წ'ლებმა გაირბინა მის თვალ'წინ, თვალ'წინ წარმოუდგა „მზისფერი" ხადი'შაო: „ხადი'შათ, სადა ხარ ახლა, ხადი'შათ, მზისფერო ქალავ?" (14,180).

ერთხელ ნადირობისას სახ'უნდარ'ში ხოგაის მინდიას ნადირ-თა მწ'ყემსი ოჩონპინტე გამოეცხადა, ერთ'ურთ'ში მორიგდნენ მონადირე და ნადირთა მწ'ყემსი: ოჩონპინტე მონადირეს ხელს მოუმართავს ნადირობა'ში, ხოლო მონადირე მის ყველა სურ-ვილს შეასრულებს:

„შეკრთა მძინარე მინდია, წამოდგა ანა'სდათ საწ'ოლზე. ხე-დავს: შემოვიდა ქვაბ'ში ოჩონპინტე ნადირთა მწ'ყემსი... და შეჰფიცეს ურთიერთს ხევსურმა და ე'შმაკის სხე'ულმა, აღუთქვა ნადირთმწ'ყემსმა ხელმოცარ'ულ მონადირეს ორი ხარჯ'იხვის და ერთიც შ'ვნის მოკვლა. ოღონდ მინდიას უსიტ'კვოდ უნდა აეს-რ'ულებინა ოჩონპინტეს ნაბრძანები" (14,186).

ოჩონპინტემ გ'უგ'ულების ქვეყანა'ში გაატარებინა მინდია, სა-დაც თეთრი გველების ხორცი ჭამა. გველის მჭამელი მკბენარე-ბისაგანაც განთავისუფლდა და მგლის მ'ხსნელიც მოიბა.

სამი წელი გაატარა ხოგაის მინდიამ გ'უგ'ულების ქვეყანა'ში. სამ'შობლო'ში ბრ'უნდებოდა სრ'ულიად გამოცვლილი ადამიანი, სრ'ულიად სხვაგვარად აღიქვა ქისტეთი და ხევსურეთი გამყოფ ქედ'ზე ასულმა მინდიამ. მის ს'ულ'ში სიმ'შვიდე და სიყვარ'ული დასადგ'ურებ'ულიყო, ხევსურეთიც და ქისტეთიც მისი სამ'შობლო იყო და მისი ხალხი იყო მცხოვრებლებიც. გამქრალიყო შ'ულები

და სიძულვილი მისი აღგიცი სიკვდილის და მშვიდობის დაისაკუთრებინა.

„მთელი ხმელეთი ხელისგულზე დახატულივით მოსჩანს აქედან, პირიქით ქისტების აულებია, პირაქეთ ხევსურთა სოფლები. და თავის სიცოცხლეში ეს პირველად შეიცნო მინდიამ, რომ პირაქეთი და პირიქითი ორივე მისი სამშობლოა, გამრჯელი, მშრომელი და საყვარელი ხალხებით დასახლებული. სთვლემენ სულისფერი მკინვარები, მშვიდობის რუკი მორევია იმ სოფლებსა და იმ აულებს.

მშვიდობა თქვენდა, ხევსურთა ციხეებო და ქვითკირებო, მშვიდობა თქვენდა, ქისტების მიზგიოებო და ციხეკოშკებო!“ (14,188).

საოცარი გარდატეხა მოხდა მინდიას შეგნებაში. ხარჯიხვს მიეპარა სასროლად, სამიზნეში კარგად სჩანს, მაგრამ არ ესვრის, შეენანა, რათ უნდა მოვკლა ეს უცოდველი ნადირიო. ხალიჩათი მოაგონდა, ია შენიშნა და ხალიჩათისთვის იების თაიგული დაკრეფა მოუნდა, მაგრამ ია შეეხვეწა, ნუ მომწყვეტო. სხვადასხვა ყვავილს წაეტანა და ყველა ამეკვეთლდა, ყველა სამკურნალო გამოდგა.

ერთი სიტყვით, მინდია „გამეცნიერდა“, ცხოვრებისეული სიბრძნე შეიცნო, ცხოვრებას სრულიად სხვა თვალებით შეხედა. ინანა, რომ ძმისწულს სანადიროდ და ქისტებზე სათარეშოდ გეზი გაუსწორა, ქისტებისა და ხევსურების შუღლი ძმათა სისხლისღვრის ცნებად აღიქვა. ქისტეთისაკენ გაიხედა და ხევსურული სოფლის იერი დაინახა, თანაც იდენტური: აქაც მოკლული მტრის მარჯვენები ჰკიდია კოშკების კედლებზე, ბავშვები ომობანას თამაშობენ, საბრძოლველად იწრთობიან:

„ჰყვაოდა ჯახველი მთაში, ძმათა სისხლისღვრის ბედითი მაცნე“.

ის მკითხველის გაღიზიანება წიწილია მისი არის ერთი, მისის იქით ბექობია ორკუნიანი. ბექობის კალთაზე ქისტური აულია, აულში თეთრი მიზგითი. მიზგითის მახლობლად ორი ციხეა, ორი წიწოლა ქისტური ციხე. ერთში ლომაია ცხოვრობს, ხოგაის მკვლელი. მეორეში ალიძე, მინდიას ნაძმობი.

ხალიჭათ, სად ხარ ახლა, ხალიჭათ, მზისფერო ქალავ?

ოჯღეს ეგებ ხალიჭათი ციხის ჩარდახზე, წინდასა ქსოვდეს და ჭმუნვიდეს თავის სწორფერის გამო. ეზოში ომობანას თამაშობენ ქისტის ბალღები, ხანჯლებით კენწლავენ ჩალის ღეროებს, ვარჯიშობენ ამრიგად, სწავლობენ, როგორ გამოშიგნონ სატევრით მტერი, ან მკლავი ვით მოსჭრან მოსისხარს.

თეთრი კოშკის კედლებზე მზვარეში ხმებიან მეშუალე ხევსურთა მკლავები, ეზოს გარშემო მარგილებზე წამოცმული თავებს, არხოტიონთა თავებს, კბილები დაუხრჭენიათ, ეცინებათ თით ქოს ნაცად მეკობრეებს, ქისტის ბალღებიც რომ იქანიან ხევსურების შემუსვრას ხანჯლით (14,179).

ხოგაის მინდია, რომლის ციხის კედლებზეც ეკიდა „ცამეტი გარუჯული მარჯვენა ქისტების“ და რომელთაგანაც „სამი მათგანი თავად მოჰკვეთია მინდიამ სამს ქისტს“ (14,179). ეკვე აღარ არის ქისტების მტერი.

კონფლიქტი „გამეცნიერებული“ მინდიასა და რეალურ ცხოვრებას შორის გარკვეული იყო. როგორც ვაჟას „გველის მჭამელში“, ისე კონსტანტინეს „ხოგაის მინდიაში“ კონფლიქტი ბრძენსა და რეალობას შორის ოჯახში, ჯალაბში წამოიწყო. როგორც მზია, ისე აშექალაც ქმრისაგან მოითხოვს ოჯახის უზრუნველყოფას საკვებით, შეშით და ა.შ. „ხოგაის მინდიას“ მინდია უფრო ალუდა ქეთელაურს ჰგავს, ვიდრე გველის მჭამელს. იგი ახლებურად მოაზროვნე, სამართლიანი, შუასისა

და ქრისტიანების საფრანგეთში აღმოცენებული ტრადიციის ამაღლებული აღამიანია და მისი საქციელიც ყოველად გამეგებარია გარემომცველისათვის.

ამ მხრივ საინტერესოა ლეონა-შვილის საუბარი. მინდიას ლეონა ვაჟიშვილისგან მამის სისხლის აღებას ითხოვს, ქისტებს ტრფობილობის უწოდებს. მინდიას პასუხი - „ქისტებ რაი არიან ტრფობილო, ლეონი, ტრფე ცხვესას თავის რჯულში აქვ". - მოგვაგონებს ალუდას პასუხს უჩიშას რეპლიკაში:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ტრფობილთ
კუპრში მიყლის ქშენანი".

ხოგაის მინდია უფრო შორს მიდის: იგი ქისტებს ამართლებს, მისი მამის მკვლელ ქისტებს, რადგან ხევსურები პირველნი დაესხნენ თავს და სამძივარას მტკიცედ ეუბნება: „რა უყავ, ჩვენი ბრალი ას, ჩვენ დავეცენით, ქისტებს რა ბრალი სძეს?"

ქისტებმა არ მოისვენეს და არხოტივნებს თავს დაესხნენ. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. პირველ ხანებში თავდამსხმელებმა იმძლავრეს, ჯუოას ციხე გატეხეს, ციხე-სახლებს ხანძარი გაუჩინეს, ქალები და ბავშვები გარეთ გამორეკეს, ერთმანეთში ირეოდა საქონლის ბღავილი, ცხენების ჭიხვინი, ძაღლების ყეფა.

„დაქვეითდნენ ქისტი მხედრები, სახლებს, საბძლებს, ქვითკირებსა და ციხეებს შეუგზნეს ცეცხლი. ატყდა ამაზრზენი კივილი, მამაკაცების ქიქინი, ბავშვების კივილი და გამუქმებული სროლა... ცეცხლი გაუჩინეს ქისტებმა გოგოჭურების ციხეს,

კარები შესვლის სვიადაგრების ქვითკირში, დიდა-წესიანად გამხიერების ქალ-რძალნი“ (14,196).

ჯუთელებს არხოტიონები მიეშველნენ. მათ უიარაღო მინდია წინამძღვრობდა.

ხევსურ მამაკაცებს ქალებიც ამოუდგნენ გვერდში, იარაღს მოკიდეს ხელი. ისეთი მძაფრი იყო ქალების შერევა, რომ ქისტებმა უკან დაიხიეს. ქალი ხელშეუხებელი იყო: „წამოეწია ლეკიას ქისტი, ვერცხლის ფარაგი წააჭრა, ბალღებს დაუცვა და გაეცალა“ (14,196). მაგრამ სხვა ბედი ეწია ნანაის, რომელიც ქისტის ჩოხაში გამოწყობილი უტევდა ქისტებს: „გახადა ნანაიმ იქვე გდებულ მკვდარ ქისტს ჩოხა, ტანზე გაღდაცვა, საბრძოლველი გაიძრო, ვაჟკაცებს წინ წაუძღვა და შეუტია ქისტებს“ (14,197) და ა.შ. მეომარ ქალს „ერთმა ულალჩოხიანმა, ცალთვალა ქისტმა ზურგიდან დამბაჩა დასცა ნანაის (14,197).

ხევსურებს მახლობელი სოფლებიდან მაშველი და ლაშქარი მოუვიდათ:

„შემოემატნენ ხევსურებს უამური ლიქოკელები, თავაწყვეტილი გაგნიაურები, ქერა ფოლადაურები, ბრაწიანი გოგოჭურები და ჭრელათვალება ალუდაურები.

უბელო ცხენებს მოაჭენებდნენ გრძელი არაბულები, ნაროზაულები, თახიანები, ცისკარაულები და შვიდი ძმა თამარიძე. ამ რაზმეულს კვირიკე ჯაბუშანური მოუძღოდა ხმალამოწვდილი, თეთრი წვერი ნათელივით გადაჰფენოდა ჯაჭვის პერანგს მისას“ (14,197).

ამჯერად ქისტებმა დაიხიეს უკან, ცხენების ჭენებით დაეწივნენ მთავარ ლაშქარს ტყეში. შატილიონებს ალყაში მოექცია დოლაის რაზმი, „გააფთრებული იერიშები მიჰქონდათ შატილიონებს მტერზე, მაგრამ ასწლოვან ფიჭვებს ისაფრებდნენ ქისტები და უწყალოდ ხოცავდნენ ხევსურებს“ (14,198).

ქალაქის ხელისუფლებამ ტაძრის ცისკენლი ქისტებს. ქისტები უკან იხევდნენ. ბოლოს გადარჩენილებმა ამოხოცეს ცხენები, ჩასაფრდნენ მათ უკან და უკანასკნელი ბრძოლისათვის მოემზადნენ.

ხოგაის მინდიამ დაარწმუნა ხევსურები, მშვიდობიანად მოეგვარებინათ საქმე და თავად ითავა მოციქულობა. მინდიამ ქისტებს ახალი რამ შესთავაზა: „არ დაგხოცო, გვეცვ, რაც ვხოცეთ ერთმანეთს“ (14,198).

გადარჩენილ ქისტებში აღმოჩნდა მინდიას ძმადნაფიცი ალუდიე. მინდიამ შეძლო ქისტების დათანხმება იარაღის ჩაბარებაზე. თავისი აბჯარი ძმადნაფიცს ჩააცვა, საჩუქრად გადაეცია ჩემგან ხალიშათსო, საზღვარზე გააცილეს დამარცხებული ქისტები.

„გადაეხვივნენ ურთიერთს ძმადნაფიცნი.

მერმე მოიხსნა ხოგაის მინდიამ ფოლადის მუზარადი, თავზე დააბურა ალუდიეს, ჯაჭვის პერანგი გაიხადა, ტანზე ჩააცვა ძმადნაფიცს. სთხოვა, ხალიშათს მიუტანეო ეს აბჯარი, ჩემგან ნაძღვენი.

არ აუნებსო ამიერიდან ჯაზახის ტკვია.

იარაღი აიყარეს ქისტებმა, რადგან ხევსურთა თავკაცებმა ეს მოითხოვეს, გზირები გაატანა მინდიამ ქისტებს, შიბუ ღელეზე გაატარეს დამარცხებულნი. მხოლოდ ალუდიეს გააბრუნეს აბჯარი სამფარეშოსანი“ (14,199).

ქისტები კვლავ თავს დაესხნენ ხევსურებს. ღრო იხელთეს, შატილს დაეცნენ და საქონელი გაირეკეს. ხევსურები ემზადებიან საპასუხო ლაშქრობისათვის. მინდია ბელადადაც ეგულებათ ამ საქმეში. მაგრამ მინდია, როგორც ითქვა, უკვე ალარაა ქისტების მტერი, საერთოდ, იგი გამოდის ყოველგვარი ბოროტების, შუკლისა და სისასტიკის წინააღმდეგ. მან გაუსწრო ეპოქას, მაღლა დადგა თავის თანამოძმეებზე, თანამედროვეობაზე.

ქისტებიან ურთიერთობა ხდება მისი გონების გასინჯის საგანი. მან იცის, რომ ურთიერთმტრობით გამარჯვებას ვერც ხევსურები და ვერც ქისტები მიაღწევენ. აგონდება თავისი თარეშები და დახოცილი ქისტი ვაჟკაცები და სინანულით იჯრობს!

„მღუმარედ ჩაუარა მინდიამ შატილის ციხეს.

გალავან'ზე ქისტების მკვლავები იყო მიკრული, მარგილებ'ზედაც თავის ქალები ჩ'ამოეცვათ.

მოაგონდა თავისი იერიშები, ქისტი ვაჟკაცების გამხმარი მკლავები და უთავუამო შიკლი...

გულარეული გაბრუნდა შინისკენ“ (14,207).

ხევსურები ემზადებიან ქისტეთში სალაშქროდ. მინდია იძულებულია აჰყვეს ამ ავანტიურას, მისი მშვიდობიანი პოლიტიკა უარყვეს სისხლმოწყურებულმა ხევსურებმა. მაგრამ მინდიას თავისი გეგმები აქვს:

„გასცქერის ქისტეთის მთებს და ფიქრობს იღუმალ გულ'ში: ხევსურთა ლაშქარს ტყე'ში დასტოვებს ხოგაის მინდია, ორ ვაჟკაცს თან წაიყვანს მოციქულად აულ'ში, ხალხს ეტყვის, ალღიძის ციხე'ში შევიპარებით და შიგნიდან გავსტეხოთ აულს.

თოფსაც არ გაისვრის ხოგაის მინდია, საქონელს დააბრუნებინებს, ქისტების შემორიგებას მოახერხებს ალღიძის მეოხებით. აშექალას უშვილობას დაუდებს ბრალად, თავად კი ხალიშათს შეირთავს მსისფერს“ (14,212).

ხევსურების ლაშქარი ქისტების აულს მიეპარა და ტყე'ში ჩასაფრდა. ხევსურებმა მოიწონეს მინდიას თათბირი. მაგრამ მოვლენები მინდიას გეგმის მიხედვით არ განვითარდა: მინდია ორ ხევსურთან ერთად შეცდომით დოლაის ციხე'ში მოხვდა და დაატყვევეს. კვირიკე მოჰკლეს ციხიდან გაქცევისას, ხოლო დაჭრილმა დათვიამ მოახერხა გაქცევა და ჩასაფრებული ლაშქარს მომხდარი შეატყობინა.

ხევსურებმა იერიში მიიტანეს ქისტების აულზე. აულში სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა. აულის მცხოვრებნი, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ქისტები მამაცურად იგერიებდნენ მომხვდურებს:

„მთელი აული ბრძოლის ცეცხლში გაეხვია.

დასინჯულებული ციბილა ბელადის უმცროსის ცოლს, ოვალმშვენიერ შაანეთს ქმრის ჩოხა გადაეცვა, ჩალისფერ ულაქსე შემჯდარიყო, ქისტ დიაცების რაზმს წინ მიუძღოდა, მამაცურად უტევდა აბჯრიან ხევსურთა ერთ გუნდს.

ზოგს შუბები და ფიწლები აეკო, კარის ზღურბლთან უხვდებოდნენ მომხვდურთ, სხვანი ციხის ჩარდახებიდან მდუღარეს ასხამდნენ ხევსურებს, ქვებს უშენდნენ ცხენოსნებს.

შუკებში განუკითხავად ეყარნენ ხევსურთა ულაყებისაგან გადაჯეგილი ძუძუთა ბალღები. ერთ მიყრუებულ შუკაში დედაკაცს ცალ ხელში ატირებული ბალღი ეკავა, ცალითაც სატევარს უღერდა ხევსურს. ხევსური უკან იხევდა გაკაპასებული დიაცის პირისპირ“ (14,127).

ქისტი მებრძოლები დოლაის ციხეს მოადგნენ. აქაც სასტიკი ბრძოლა გაიმართა, ორივე მხარე იბრძოდა ხევსურთა ბელადისათვის, ხოგაის მინდიაც ბრძოლაში ჩაერთო: „მიადგა ხოგაისძე სათოფეს, ექვსი ტყვიით ექვსი ქისტი წააქცია თოვლში, უკუღგა მერმე, შემოინახა უკანასკნელი ტყვია“ (14,218).

და ეს უკანასკნელი ტყვიაც ხაღიშათს დაახალა: „მერმე ის იყო, პირველად შემოვარდნილ ჯავშნიან ქისტს უკანასკნელი ტყვია შეაგება ხოგაის მინდიამ. როცა იგი წაიქცა და დენთის ბოლი გაიფანტა, მიეჭრა ხოგაის ძე ცხენდარს, რადგან ხევსური ჯავშანი ეცნაურა სამფარეშოსანი.

მუსარაიღი მოხადა თუ არა ცხენდარს, მყისვე შეიცნო მზისფერი ხაღიშათ“ (14,218).

ხოგაის მინდიამ თავი მოიკლა, რადგან ქმრის ღალატში. გარეგნულად ორივე გმირის სიკვდილის მიზეზი სხვადასხვაა: ვაჟას მინდიამ თავი მოიკლა, რადგან ქისტებმა გაიმარჯვეს და დაარბიეს მისი ქვეყანა, ხოლო მას ვერ ძალუძს გამოაღგეს თავის ხალხს. კონსტანტინეს მინდიამ თავი მოიკლა, მიუხედავად იმისა, რომ ხევსურებმა ქისტების აულები აიღეს. მისი თვითმკვლელობის მიზეზი ქისტის ქალია, მზისფერი ხადიშათი.

მაგრამ სინამდვილეში ორივე გმირის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ეს ორი პიროვნება შინაგანად უპირისპირდება რეალობას, მათსა და ცხოვრებას შორის უფსკრულია, მეტისმეტად წინ წავიდნენ შეგნების დონით თანამედროვეობასთან შედარებით.

„ხოგაის მინდიას“ პერსონაჟებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქისტის ქალ ხადიშათს. მოთხრობაში ხადიშათი არ ფიგურირებს, როგორც ნაწარმოების აქტიური მოქმედი გმირი, მაგრამ მთელი სიუჟეტის განვითარების ფონზე ნათლად ჩანს და ძლიერ მოქმედებს მთავარი გმირის მინდიას პიროვნების განვითარებაზე.

ხადიშათი უსუფ ალღიძის, ქისტი მეომრის მხოლოდშობილი ასულია. ალღიძეს ცოლი ადრე გარდაეცვალა, მაგრამ სხვა ქალი არ მოუყვანია ცოლად და თავად გაზარდა ქალიშვილი. მალე გაიზარდა ხადიშათი, მამას დაედ შეეფერებოდა: „ადრე დაქვრივებულიყო ალღიძე, წამოსწრებოდა ერთადერთი ქალიშვილი ხადიშათი, და-ძმა ეგონათ მამაშვილი უცხოთა“ (14,180).

ლამაზი ქალიშვილი დაიგვა ხადიშათი:

„ალისფერი ტალავარი ეცვა ხადიშათს, წითელ-ყვითლად მოქარგული შეიდიშები, წითელი მაშიები, გრძელი საყურეები ამშვენებდნენ, მის სალოკ, თეთრყირმიზ სახეს და ხმა ჰქონდა ხადიშათს, ხატის ზარივით წკრიალა ხმა, ყელმკერდი-ნუშისგუ-

ლიკური ოყირა. იმა ჭკონდა ხალიშაის ისყიი მიყკითალი, როგორსაც ძრიხის შარდიით იკნებენ ხოლმე ხევსური ქალები" (14,180).

ლამაზი იყო ხალიშათი, ისეთი ლამაზი, როგორიც წარმოეცგინა გ. ჯაბუშანურს თავისი ჰალიშათი. ლამაზი იყო, როგორც რიბაქიძის ლამარა, როგორც ცაბეგის ელისო და შოთა არაბულის ალდი. მისი სილამაზის ამბავსაც ხევსურეთამდე მიეღწია:

„ხევსურეთშიც გავარდნოდა სახელი მის სილამაზეს, „მზისფერ" ქალაი ჭყავსო ალდიძეს, ქისტს" (14,180).

ლამარასავით უშიშარი მოჯირითე იყო ხალიშათი. ალდიძემ, მამამ, რომელსაც ძე არ ჰყავდა, ჯიგიტივით გაზარდა ხალიშათი. ისეთი მამაცი, გულადი მებრძოლი იყო, სათარეშოდ წასულ ქისტ ვაჟკაცებს ტოლს არ უდებდა. იგი მამასთან და მამის ნაძმობ მინდიასთან ერთად იღებდა მონაწილეობას თარეშებში და არასოდეს შეურცხვენია თავი ბრძოლებში. ხევსურულ აბჯარს ნატრულობდა ხშირად:

„ხომ ასეთი მშვენიერი იყო ხალიშათი, ვაჟკაცს არც ტოლს უდებდა იგი სამამულო საქმეში. გადაიცვამდა ქისტურ ჩოხას, ხრმალს შემოირტყამდა წელზე, მხარზე თოფს გადაიგდებდა, ჯირითში, ნადირობაში ეჯიბრებოდა ვაჟკაცებს, სამეკობროდ წასულ მამასთან იბრძოდა მხარდამხარ, როცა ალდიძე, მინდია და ხალიშათ კაზაკების სტანიცებში გადადიოდნენ, მთელ რაზმეულებს უმკლავდებოდა ეს სამი მხედარი. ხევსურული მუზარადი და ჯავშანი ენატრებოდა მუდამ" (14,180).

ტრაგიკულად დაიღუპა ეს ულამაზესი და უმამაცესი ქისტის ასული. თანამოძმეებთან ერთად იცავდა თავის მშობლიურ აულს, ერთ-ერთი პირველი შეიჭრა დოლაის ციხეში და მამის ნაძმობის ტყვიით გულგანგმირული დაეცა.

ქისტების ბელადი ცალხელა დოლაი ხევსურების დაუძინებელი მტერია. მარჯვენა მას ხოგაის მინდიამ ერთ-ერთ ბრძოლაში მოაჭრა, რაც, ალბათ, მი'სე'ი გახდა მისი სიძულვილისა ხევსურთა მიმართ. ხოგაის მიერ მოკვეთილი სამი მარჯვენიდან ერთ-ერთი იყო დოლაის, რომელმაც ხოგაი მოჰკლა:

„...ხოლო მესამე, კაცმა რომ სთქვას, ეს მესამეა ხოგაის მკვლელი.

მინდიას ძმობილის ალციძის მე'სობელი დოლაი-ქისტების ბელადი. ამ ცალხელა დოლაიმ ესროლა ხოგაის ორჯერ 'სეკიზედ, როცა აულიდან გამოტაცებულს ხვასტაგს მოლალავდნენ ხევსურები.

შემოაბრუნა ცხენი მინდიამ, ალალივით ჩაუქროლა ოტებულს, ფრანგულით მოათალა მარჯვენა, ძირს ჩამოუსვლელად ღასწვდა მკლავს და გამოიტაცა“ (14,179).

დოლაი მზად არის, ყოველთვის და ყველგან თავს დაესხას ხევსურებს და გაუსწოს ისინი. იგი გავლენიანი, ავტორიტეტიანი ბელადია ქისტებში, თუმცა ხშირად ვაჟკაცისათვის შეუფერებელ მუხანათობასაც არ ერიღებოდა.

ლაშქრობის შესახებ თათბირობის დროს მის ასრს მხარს უჭერდნენ ხოლმე:

„იარღაში შეიყარნენ ქისტები სალაშქრო საქმეთა საბჭოდ. თათბირობდნენ ომის თავკაცები არხოტიონებზე თავდასხმის გამო. წინ წამოდგა ცალხელა ბელადი დოლაი, შიბუ ღელეზე გადავიაროთო ამაღამ, მერმე ცხენები გავჭუსლოთ, ციხეებში შევუცვივდეთ თავკაცებს და გავუსწოროთ მცირე და დიდი“ (14,195).

დოლაის სიძულვილი იმდენად ძლიერია ხევსურთა მიმართ, რომ ხშირად ავიწყებს ომისა და მშვიდობის ეთიკას:

„სათოფე მანძილზე მიეხალა ხოგაისძე ქისტებს და საკუთარი ცხენის ლეშიდან გამოძერა სისხლში მოსვრილი ცალხელა დოლა. სამგზის ესროლა დამბაჩა მისკენ მიმავალს“ (14,199).

ოცდა ქისტებმაც გაიცნეს დოლაის ასული საქციელი: „...ამის გაგონებაზე ათიოდე ქისტიც გამოეძგრა ცხენების ლეშებიდან, გაჰქრიდეს სულწასული ბელადი: ასე ხელადებით რად ესროლეო მოციქულს?“ (14,199).

დოლაიც ისევე სძულით ხევსურებს, როგორც დოლაის – ხევსურები. მინდიას ლეკა, ძმები მინდიასგან დოლაის მოკვლას მოითხოვენ, მამის სისხლის აღებას. სალაშქროდ ქისტეთში მიმავალი ხევსურების ერთ-ერთი მიზანი დოლაის მოკვლაა:

„საქონ უნდა დაებრუნებინათ ხევსურებს, დოლაის თავი მოეტანათ, ხოგაის მკვლელისა, მარგიანში ჩამოეცვათ, ასზე მეტი ქისტი ვაჟკაცის მარჯვენა უნდა წამოეღოთ, არხოტისა და შატილის ციხეების გალავნებზე გაეკრათ“ (14,213).

დოლაიმ მის სახლში მოსული ხევსურები, რომელთაც ციხე შეეშალათ, სტუმრებად კი არ მიიღო, როგორც ეს ქისტების წესია, არამედ ტყვედ ჰყო ისინი მოტყუებით, თავის ქალს ასე არიგებს:

„ასე უთხარი, სანამ ირიოლი წასულა-თქო უსუფ ალიძე, ციხეში შემობრძანდით, მოისვენეთ მანამდის, საღაცაა მოვა-თქო მასპინძელი, ზედა თვალში აიყვანე სტუმრები, ჯიხვის ტყავი დაუგე ბუხრის წინ“ (14,215).

ამ შემთხვევაში დოლაი ისევე იქცევა, როგორც მუსა „სტუმარ-მასპინძელში“. ორივე ბელადი თემის სოფლის ინტერესებს მაღლა აყენებს სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციაზე.

ჩვენ მიერ განხილული სამივე ნაწარმოების მიხედვით გვესმის მჭამელთა ტრაგიკული ცხოვრება დაკავშირებულია ქისტებთან. ქისტებთან ურთიერთობაში ხდება ამ პერსონაჟთა ხასიათის, შეგნების განვითარება. ქისტეთი ის ფონია, საღაც ეს გმირები პოულობენ იმ სიახლის საზრდოს, რაც მათ ეწვევა ე.წ. „გაბრძენების“ „გამეცნიერების“ პერიოდში.

ამ ნაწარმოებთა აღწერებში (ვაჟა-ფშაველა, ცრიცოლ რიბაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია) ყველაზე შესაფერისად ქისტები და ქისტური გარემო მიიჩნიეს თავიანთ ეპოქას გასწვრებული გმირების სამოქმედო ასპარეზად.

„ვაშკაცის შასი ჩვენც ვიცოდით და ქისტმაც იცოდა“

ზეპირსიტყვიერების ნიმუშები

გველის მჭამელისა და ქისტების ურთიერთობის განხილვისას ჩვენ შევეხეთ ქართველი მთიელი ტომებისა და ქისტების, კერძოდ, ხევსურებისა და ქისტების ურთიერთთავდასხმებს ნადავლისათვის. ხშირ შემთხვევაში ქართულ საისტორიო თუ სამწერლო ლიტერატურაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს მხოლოდ ქართველები განიცდიდნენ მეკობრულ თარეშებს ვაინახების მხრიდან. მაგრამ არც ქართველები აკლებდნენ ხელს, მათთვის ნადავლის გარდა, ვაჟკაცობისა და სიმამაცის გამოცდა იყო ქისტეთში ლაშქრობა.

მაღაროსკარში ჩაწერილი ერთ-ერთი ფშაური ლექსი „ზურაბის ამბავი“ ასე იწყება: „წინავ კიდევ ყოფილა ფშავლები, იქ უცხოვ, ულაშქრავ ქისტეთი“ (43,136). აქ მოთხრობილია, თუ როგორ მოკლა ყმაწვილმა ბიჭმა მოთარეშე ქისტი, რომელიც ბიჭის შეშინებით დაკმაყოფილდა და ცხვრის გარეკვა მოიწადინა. მთქმელი ქისტი მომკლავს ხოტბას ასხამს და ამ ამბავს შერისგებად მიიჩნევს:

„ჯარეგას ფშაელებ დაიჯოცეთ,
აბრუნეთ ცოდვა-ბრალია.
ფშავში ცუდ ამბავ დააგდეთ,
ატირეთ ქალი-დ, რძალია,
თუშ-ფშაელთ სისხლით შაღებეთ
ჯარეგის მიწა მყარია...“ (43,136).

ერთი ქართველი ჭაბუკის, გარა ოქროშანაულის, ცხოვრება: „აქ რა ლხინი გვქონია მეხუთესა, რა მაისის ცხვარ-ძროხა მაიტანეო“ (43,153). ამაყ გარას გულზე მოხვდა ეს სიტყვები, გაცაფებულა, მაისუკლების ცხვარ-ძროხა გაყმოერეკა ჭალაში. მაგრამ ეს აცილები საქმე არ იყო, ძალადობით ვერაფერს გააწყობდა და ხერხი იხმარა: ერთი ხევსური ცოლითანხმა, მაისუის „გაჩენვაში“ მიხმარებოდა, სამაგიეროდ მამულს დაჰპირდა. თავად ხევსურმა მაისუკელი ქისტი ძმადნაფიცი ცოლითანხმა და ამრიგად გაყმორეკეს მაისუკლების ცხვარ-ძროხა და გარამ ლაშარის ხარები შესწირა. გარას ამ ნამოქმედარის ხალხური ლექსი ასე აგვიწერს:

„ქისტანს ატირდა ბებერიო
ჯარით სად მიხვალ გარაო,
ქისტეთ მივდივარ, ბებერო,
ვარდანამ დამიბარაო,
მე-დ ვარდან უნდა შავიბნეთ,
უნდა იქნეხოს ცამაო,
გვერდ უნდა გადაიქციოს
ვარდანის ციხის ქვამაო,
ცრემლით პირ უნდა იბანოს
შუქომ ვარდანის დამაო“ (43,154).

ქართულ ეპირსიტყვიერებაში ბევრი ლექსია, საცაც, გარდა მეკობრეობისა, სხვა მიზანი ჰქონდათ, მაგალითად, უკანაფშავში, სოფ. ახალში, გოლერძის ციხეს ქალის გატაცების მიზნით დასცემიან:

„აჯადს, გოლერძის ციხეო, ქვამც ნუ გდებია ქვაზედა,
მოგიქედნ ქისტის შვილები, ალი აგხვიეს ტანზედა,
გამაიყვანეს ლამაზი, მაატირებენ გზაზედა“... (65,5).

ქართულ ხალხურ პოეზიაში ღირსეულ მტერს სათანადოდ აფასებდნენ ხევსურები და სერიოზულადაც ეპყრობოდნენ მათთან შესახვედრად:

„სამაისტლოებს გაეცბა
ბაკნით ასმიეთ ლუდიო,
დიდია მაისტის თავი,
ყმა იქი ვერ ჩავა ცუდიო,
გან იქაც ქალეებია,
გადაიმრუდონ ჭუდიო?
გამაგლენ ქისტის შვილები,
სანჯრით იციან ჩხუბიო“ (46,93).

ან კიდევ:

„შატილს ნუ მიზდევთ, ფშაველებო,
განა ქალაქის გზანია,
არცა სხედს ოქრომკედლები,
არც იწურება რვალია,
იქა სხედს ქისტის შვილები,
ტყვიას გამააქვს ჩქამია,
სამს ძმას ერთსაფთ მაჰკლაფენ,
არა აქვს სამართალია“ (3,68).

სამშობლოდან დევნილ ფშაველს ქისტეთში ეგულება თავშესაფარი:

„გადავვარდები ქისტეთში,
სახელს დავირქმევ წიქასა,
სხვაგვარ ტანსამოს ჩავიცმევ,
ლეგ-ლუგა ქისტურ ცხვისასა“ (48,77).

მიუხედავად ასეთი თარგმნებისა, რომლებიც ხშირად სისასტიკითაა და მძვინვარებით ხასიათდებოდა, ქისტები და ქართველი მთიელები ერთმანეთს პატივს სცემდნენ, იცოდნენ ვაჟკაცობის ფასი და ვაჟკაცებს სათანადო პატივით ეპყრობოდნენ.

ხალხის შეფასება უკუკვარია. ხალხმა ასე შეაფასა ქისტების გულადობა:

„ქისტო, დიდგული ყოფილხარ,
ყამ (შიში მ.ხ) არ გცოდნია მტრისაო“ (47,35).

და ეს ხალხური შეფასება მამაცი ხალხისა, რომელიც აისახა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და რომელიც უდაოდ, ცხოვრების სარკეა, შემდგომ ბევრმა ქართველმა მწერალმა თუ პოეტმა გახადა თვისის შემოქმედების კრედოდ.

ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე ალბათ ისევ და ისევ ვაჟა და ყაზბეგი დგანან, რომელთა შემოქმედებაც, სწორედ, ვაჟკაცობისა და ერთურთის დანდობას უმღერის. დიდი მწერლები თითქმის ყველგან ხაზს უსვამენ ქართველი მთიელებისა და ვაინახების მაღალსულიერ ურთიერთობებს, მათ თანაგვარ რაინდულ კოდექსს.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ხევსური ზვიადაური და ქისტი ჯოყოლა, მთიელი ვაჟკაცები, რომლებიც მტრობის და სიძულვილის მსხვერპლნი გახდნენ, სიკვდილის შემდეგ ერთმანეთს ხვდებიან, როგორც მეგობრები და ერთმანეთში საუბრობენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ვაჟკაცი, რა არის ვაჟკაცობის ეტალონი:

„ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთურთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისასა“ (19,484).

პონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია"

მთიელების რაინდული კოდექსი ხაზგასმულია, რომ მოხუცი, ქალი და ბავშვი პასუხისმგებლობისაგან თავისუფალნი არიან. მათი მოკვლა, შეურაცხყოფა დაუშვებელია.

ქისტები თავს დაესხნენ ხევსურების სოფ. ჯუყას, ციხეს ცეცხლი წაუკიდეს და სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. „ძალლიკა აფთარაულის ალმოდებულ სახლიდან გამოვარდა ოჯახის ღიაცი ლეკვი, ორი ძეძუთა ბალღი მკერდზე მიეხუტებინა, ფეხშიშველა გამორბოდა თოვლში. წამოეწია ლეკვას ქისტი, ვერცხლის ფარაგი წააჭრა. ბალღებს დაუყვავა და გაეცალა" (14,196).

ახლა ხევსურები დაეცნენ ქისტების აულს. „ერთ მიერუებულ შუკაში დედაკაცს ცალ ხელში ატირებული ბალღი ეკავა, ცალითაც საბელვარს ულერწყა მუსარაიდიან ხევსურს. ხევსური შუკან იხევდა გაკაპასებული ღიაცის პირისპირ" (14,217).

ანა კალანდაძის ლექსები

ღიღი ქართველი პოეტი ანა კალანდაძე წერს, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მივლინებით ჩავიდა ფშავ-ხევსურეთში, საიდაც გაიცნო მისთვის სრულიად ახალი სამყარო, რომელიც შემდეგ მის ლექსებში აისახა: „მე ფშავ-ხევსურეთში მოვხვდი. ეს იყო შეხვედრა ახალ და გასაოცარ სამყაროსთან, რომელმაც ღიღი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ფშაურ-ხევსურული ლექსები შემაქმნევინა" (57,9).

როგორც თვითონ გაიხსენებს, ანა კალანდაძე ფშავში ოჩიაურების სახლში ცხოვრობდა, მისი მასპინძელი ყოფილა

„სათაური ქალი" ნათელია ბალიაური. სწორედ მის სახელს ატარებს პოეტის ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი: „ნათელა ბალიაურის მონაწერი".

ეს ლექსი შესანიშნავად მეტყველებს მთიელთა კოლექტივზე - ვაჟკაცის ფასი მხოლოდ ვაჟკაცმა იცის:

„ბევრი ახსოვთ სისხლი ამ ხეობებს და
გზათა ეწერთა...
ვაჟკაცის ფასი... ჩვენც ვიცოდით და
ქისტმაც იცოდა.
(კარგად არჩევდნენ მეტოქეები
გმირსა და ლაჩარს!)..." (30,315).

ბრძოლის შემდეგ ქისტებმა დაღუპულთა შორის ჩაჩნიანი ქალი შენიშნეს. მათ მისთვის იარაღი არ აუღრიათ, პატივი სცეს მებრძოლ ქალს, როგორც ვაჟკაცის წესია:

„მტრის გვამთა შორის... იცნეს დიაცი,
რის დასწვდნენ ჩაჩანს...
ხელი არ ახლეს იმის იარაღს
ამ წმინდა ძალით -
გვერდით დაუდეს ჩაჩანთან ერთად
თავისი ხმალი...
იცოდა ქისტმაც ვაჟკაცის ფასი
მასზე წუხილი,
მკვდრებს არ შესწირეს ხევსური ქალი,
ხელ არ უხლიათ...
ეს ამბავს იყო..." (30,315).

ასა კალისტრატე ცინცაძეს წერს თავისი შთაბეჭდილების ნათელია ბალიაურის ლეღვაზე, ბერლეღაზე, რომლის-განაც ბევრი საინტერესო რამ მოუსმენია ქისტებისა და ხევსურების ურთიერთობაზე. მან რამდენიმე ლექსიც მიუძღვნა ბერლეღას. აი, რას წერს პოეტი ბერლეღა წიკლაურზე:

„ბერლეღა, ნათელას ლეღა, ლელა წიკლაური ქისტებს ახსენებდა ხშირად, ქისტსა ჰგავსო იტყოდა ლამაზს, მოხდენილ კაცზე. კი, მაგრამ ამდენი მტრობა რომ იყოო, ვკითხეთ და ვაჟკაცები იქნენო, ვერაფრით გაღავათქმევინეთ. იქ იციან ვაჟკაცობის ფასი, თუნდაც მტერი იყოს...“ (57,10).

ამ კამათმა დაბადა საუკეთესო ლექსი „ბერდეღას ლელა წიკლაურს“.

ბერლეღას საყვედურობენ, რომ ქისტებს, ხევსურთა მტრებს, რომელთაც „ხევსურთა ძვლებით“ „მიწა უვსიათ“, აქებს, ხოტბას ასხამს მტრების ვაჟკაცობას და სიძლიერეს:

„ - რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდეღავ?
მათს ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?
მიწა უვსიათ მათ... ხევსურთ ძვლებით...“ (30,179).

ბერლეღა ერთი საზომით ზომავს თავისიანისა და მტრის თვისებას. ვაჟკაცობა პირველ რიგში წყვეტს საკითხს, როგორი მწვავეც და მტკივნეულიც უნდა იყოს ადამიანისათვის:

რას ამბობ, ქალავ, გაჟკაცებ იყვნეს!“ (30,179).

მიუხედავად იმისა, რომ ქისტებმა ამღასა და ახიელაში ბევრი ვაჟკაცი მოჰკლეს

„ - ამღას გაწყეტეს ბრგე ვაჟკაცები,
ახიელაშიც უზომო ხოცეს...“ (30,179).

ბერდეცლა შეუვალია და მისი ბასუხი კალსახაა:

„ - რას ამბობ, ქალაო, ვაუკაცებ იყვნეს?“ (30,179).

ბერდეცლასთან მოპაექრეც კი, რომელიც უკმაყოფილოა ბერდეცლას სიმპათიებით ქისტებისაღმი, თავის ბოლო სიტყვებში ორჭოფობს თავის სიმარწლეში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისიც ეთანხმება ბერდეცლას მოსაზრებას ვაუკაცობის შესახებ:

„ - რა ვიცი... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს“ (30,179).

პოეტის პატივისცემა ბერდეცლას მიმართ დიდია და იგი კვლავ ლექსით „ისევ ბერდეცლას“ ეხმიანება ას წელს მიღწეულ მოხუცს, რომელიც წარსული გმირული ცხოვრების მოგონებებით ცხოვრობს. ბერდეცლას ახლა ... ვეღარ ძალუძს ხატობაზე წასვლა, ზის ღობესთან და წინდებს ქსოვს, მააგრამ მზერა ჯერ კიდევ არწივისა აქვს:

„ჩემო ბერდეცლაო, ზისარ ყორესთან
და არწივის თვალს მიდამოს ავლებ.
ახლა, საცაა, არხოტიონნი
აიერებიან, ჯვარობას წაველენ..“ (30,207).

თანამედროვეობა და წარსული ერთმანეთს ერწყმის ბერდეცლას ხედვაში, წარსული ცხოვრების მოგონებები მტკიცედ მოიწევენ და რეალურ სივრცეს იპყრობენ:

„მაგრამ... შენ ისევ ველურ ყიჟინით
ჩაგიქროლებენ არხოტივნები...
იქნებ... არწივის თვალი გატყუებს?
იქნებ... არაგვის ხმაური იყო?

თვით შესევიან ქისტების სოფლებს,
თუ მათ ცხენდაცხენ მოჰყვება ლილლო?" (30.207).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ანა კალანდიაძემ კარგად იცის ქისტური სინე-ჩვეულებები. ეხება იოქვას, რომ მას ქისტებთან შეხება, ახლო კონტაქტები არ ჰქონია. მაგრამ პოეტმა ფშავ-ხევსურეთში შეიტყო ქისტების შესახებ ბევრი რამ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ხევსურები თავიანთი ადათ-წესებითა და ტრადიციებით ძალიან ახლოს დგანან ქისტებთან.

ძალზე ამაღელვებელია ის გარემოება, რომ ანა კალანდიაძის ლექსში „ნათელა ბალიაურისაგან მოსმენილი" გაჟღერებულია ერთი ტრადიცია, რომელიც პანკისელ ქისტებში უკვე მივიწყებულია, მაგრამ ჩეჩნებში და ინგუშებში დღესაც ცოცხლობს. ეს გახლავთ სტუმრის პატივისცემის ტრადიცია, რაც გამოიხატება ქალიშვილებთან ურთიერთობაში სტუმრის უპირატესობით, სტუმრის ინტერესის პატივისცემაში.

სტუმარს იწვევენ ქალიშვილების შეკრებაზე, რაც რომელიმე სამუშაოს შესრულების დროს ან კიდევ რომელიმე დღესასწაულზე ხდებოდა. ან კიდევ მხოლოდ სტუმრის პატივსაცემად იწვევდნენ ქალიშვილებს, ცეკვავდნენ, თამაშობდნენ და ართობდნენ სტუმარს. ამ დროს იმართებოდა მსუბუქი ფლირტი, სიტყვიერი სასიყვარულო ინტრიგები ქალ-ვაჟს შორის. ამ თამაშში სტუმარს ენიჭებოდა უპირატესობა, პირველი ის ირჩევდა ქალიშვილებს და იწყებოდა გართობა.

სტუმარს იმდენად სცემდნენ პატივს, რომ შეეძლო ქუჩაში გაეჩერებინა უცხო ქალიშვილი და საუბარი დაეწყო. ქალიშვილი არ გაერიდებოდა, მოუსმენდა და მერე ზრდილობიანად, ბოდიშის მოხდით გაეცლებოდა.

სწორედ ამ ტრადიციამ გაიარეკრა ანა კალანდაძის ლექსშიც. პოეტი ისე კარგად, ისე კორექტულად, საოცრად ნათლად გადმოგვცემს ამ ადათის, რომ რაღაც ერთ-ორ სტროფში ჩატია მთელი არსი ქისტური ტრადიციისა:

„მასპინძლის ქალი ქისტისა
შინს და ლაზათის მქონეო,
რა დაატყობდა,
სტუმარსო,
მგონია,...
მოეწონეო,
შერერდებოდა ცოტა ხნით,
წყალიც ეზიდა თუნგითა
(გულს ცუდი არც ვის რა ედო,
მით არც არავის უკვირდა!):
სირცხვილი იყო გაქცევა, –
ღმერთმა გვაშოროს ესენი..“ (30,186).

ქისტი ქალის სახე ანა კალანდაძის პოეზიაშიც კიდევ ერთხელ გაიელვებს მის ერთ-ერთ უკლამაზეს ლექსში. აქაც პოეტი ხაზს უსვამს ქისტი ქალის ხასიათს და ბუნების სილამაზეს ახამებს მის მოკრძალებას.

„ჭიჩოზე ნისლის კოტორი
მძიმედ, ნელინელ ქანავსა...
ზემოთ მიიწევს, ღრუბლისკენ,
ქვე არ ჩამოდის, ჭალასა...
თვალებს უხარით ყურება,
გრძნობს, სახეს არცა მალავსა...

ეს თავმდაბლობა უხდების,
როგორც ქრისტების ქალსა...“ (31,413).

ერთი სიტყვით, ქრისტები დაუვიწყარი და ამაღლებული სახეა ანა კალანდაძის მდიდარ შემოქმედებაში. მართლაც, მან „პოეზიაში ღიღი სიცარიელე ამოავსო თავისი ქალური ლირიზმითა და რელიგიური სიფაქიზით“ (57,8).

იოსებ ბაიაშვილის „ბერდიათ გაგა და ქარჩათ ბუბა“

მრავალჯერ თქმულა არხოტივნებისა და ლილეველების მტრულ დამოკიდებულებაზე, ერთმანეთზე მეკობრულ თავდასხმებსა და მესისხლეობაზე. ხევსურები და ქისტები ერთმანეთს უსაფრთხებოდნენ, მომენტს იხელთებდნენ და სიცოცხლეს ასალმებდნენ. არ ჰქონია მნიშვნელობა, პირადად მკვლელს გაუსწორებდნენ ანგარიშს, თუ მტრის ტომის წარმომადგენელს დაჰკრავდნენ თოფს.

იოსებ ბაიაშვილის პოემაში „ბერდიათ გაგა და ქარჩათ ბუბა“ მოთხრობილია, რომ ამჯერად ბერდიათ გაგას ბიძა მოუკლეს. არხოტივნებმა მკვლელი იძიეს, ვერ მიაკვლიეს და დაასკვნეს: მითხოვლები იქნებოდნენო.

„ქისტებმა ბიძა მოუკლეს
ამლას ბერდიათ გაგასა.
იძიეს მკვლელი, ვერ ნახეს,
მკვდარ მიაბარეს საფლავსა.
თქვეს, მითხოვლების საქმეა,
სხვა ვინ იზამდა მაგასა“ (26,120-121).

გაგა ეძებს ბიძის მკვლელს. ნალირობის დროს შეცდომით მეურნეს მექანჯირს და ორთაბრძოლაში მოკლავს:

„ნახა, რომ მოდის ვილაცა,
გაგა ფერს იდებს მგლისასა.
- მანდ რომელი ხარ?! - უძახის, -
რატო არა ხსნი კრიჭასა?!“ (26,121).

მაგრამ არც ქისტი აღმოჩნდა ჯაბანი, ლირსეულად ხვდება შემოტევას და მზადაა, იმ გზას (მტრობის თუ მშვიდობის) ღაღდგეს, რასაც უცნობი შესთავაზებს:

„მექანჯირი ვარ, ვინ გინდა?
ძალს ვფიცავ ალაჰისასა!
რომელ გზას ირჩევ, - მზადა ვარ, -
მტრობის თუ მოყვრობისასა?“ (26,122).

როგორც ითქვა, გაგამ იმარჯვა და მოკლა მოწინააღმდეგე, მაგრამ ისიც მოიხიბლა მტრის ვაჟკაცობით და ალუღასგვარად უარი თქვა მარჯვენის მოჭრაზე:

„მექანჯირს მკლავი არ მასჭრა,
სასწრაფოთა ხსნის რჩისასა...“ (26,122).

უნდა შევნიშნოთ, რომ გაგა სისხლს იძიებს სრულიად უცნობზე, რომელიც, შესაძლებელია, არც კი იცნობდა მისი ბიძის მკვლელს. მაგრამ გაგა ისე მოიქცა, როგორც ისლანდიური საგების გმირები იქცეოდნენ: მოკლულის ახლობლებს აცნობებდნენ თავის ვინაობას:

„თავით სიპი ქვა დაუდვა,
ზედ ორს აწერავს სიტყვასა,

"ბერდიათ გაგაზე სთქვიდით,
ნაჭარს ნუ იტყვით სხვისასა,
სულსამც ეწნება მსახურად
ბიძაჩემს აბაისასა" (26,122).

იოსებ ბაიაშვილი უცაბედ განიცდის ვაჟა-ფშაველას ძლიერ სიყვარულს. ვაჟას „სტუმარ-მასპინძელში" ქისტები სწირავენ მსხვერპლს თავის მოკლულს, იოსებ ბაიაშვილის „ბერდიათ გაგას და ქარჩათ ბუბაში" ხევსურები გვევლინებიან მსხვერპლშეწირვის მიმღევრებად.

მკლავის მოჭრა-მოუჭრელობის ამბავიც „ალუდა ქეთელაურის" სიუჟეტს მოგვაგონებს. გაგა ცხენაარის მკლავს არ სჭრის, გამარჯვების საწინდრად სასწრაფო მოაქვს. როგორც ალუდას, ისე გაგასაც ხევსურები მარჯვენას სთხოვენ. გაგა პასუხობს, რომ მარჯვენა არ მოსჭრა მტერს, რაღგან

„არ მამიჭრაეს, არც მესმის
მარჯვენის დანიშნულება,
სახელიც ამათად იყოს,
ვინც მკლავზე გაიკურება,
ცა დედამიწის ქუდია,
ერთ კაცს არ დაეხურება" (26,124).

თუმცა გაგას ქმედებას ხევსურებში დიდი ენებათაღელვა არ გამოუწვევია, რაღგან გიგის საყვედურს - „მკლავი კი უნდა მაგეჭრა, ნუთუ არ იცი მაგთვენა?! - პასუხობს: „იმათ რო მოკლეს აბაი, არ მაუჭრიათ მარჯვენა".

ხევსურებს სხვა რამ უფრო აინტერესებთ: როგორ შეხვდა ქისტს, როგორ დაამარცხა, ქისტები ხომ ურჩხულნი არიან, გაუტეხელნი, სისხლის მოყვარულნი:

„ გვიამბე, გვაინტერესებს
ხელში ჩაგდება ქისტისა.
სად შახვდი, საით მოგიდა,
ძაღლი, ძაღლების ჯიშისა?!
კერპნია, გაუტეხელნი,
არა იციან შიშისა,
ჩვენ მიწა-წყალზე დადიან
შამსმელნი ჩვენი სისხლისა“ (26,125).

როგორც ალუდა, გაგაც უკვება ხევსურებს მითხოელ ქისტთან ბრძოლის ეპიზოდს, მასაც ალაფრთოვანებს მოწინააღმდეგის შეუპოვრობა და უშიშრობა, მასაც აღეძვრა კითხვები კაცის კვლაზე, მტრობაზე, მაგრამ ის ალუდასავით ახალი აღამიანი რიდია, მეამბოხე სულის კაცი არაა და ყველაფერს უფლის ნებას მიაწერს:

„დაგორდა, სამჯერ წამოდგა,
არ ნებდებოდა სიკვდილსა.
ცუდია კაცის მოკვლაი,
მაგრამ რას უზამთ სირცხვილსა?!
რად უნდა გკლავდეთ ერთურთსა?
ცხელა მტვერი ვართ მიწისა.
უფლისგან ნაბრძანებია,
მან ალბათ უკეთ იცისა“ (26,126).

„რად უნდა ვკლავდეთ ერთურთსა?“ ეს კითხვა ქისტებშიც გაისმა მექანჯირის და ფატიმას პირით:

„დაც ბეგრსა ტირის, ფატიმა,
მკერდზე ცრემლს აყრის ცხარესა:

საისკენ გამზადებულხარ,
სად მიხვალ, რომელ მხარესა?
რა სარგებლობა მიგაქვის,
რო ჩეხდი ხევსურთ ძვალებსა?" (26,131).

შოთა არაბულის „მბრების წუთისოფელი"

კითხვა, უფრო სწორად, შემეცნება იმისა, თუ რატომ გააცარეს მთელი სიცოცხლე ურთიერთმტრობაში და სიძულვილში, დაიბადა ხევსურ მანგიასა და ქისტ ელიმარძას შეგნებაშიც, მაგრამ ძალიან გვიან, იმღენად გვიან, რომ სიძულვილმა მოცელა მთელი მათი შთამომავლობა.

შოთა არაბულის 1986 წ. გამოცემულ მოთხრობების კრებულში არის მოთხრობა, რომელიც ასახავს ხევსურებისა და ქისტების ურთიერთობებს არც თუ ძალიან შორეულ წარსულში. მოთხრობის სათაურის ქვეშ ფრჩხილებში ასეც უწერია: „ციკლიდან: ხევსურეთის წარსულის ქრონიკები". საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ მოთხრობათა კრებულის სათაურად „მბრების წუთისოფელი" შეარჩია ავტორმა, რომელმაც, როგორც მთიელმა და ხევსურების საამაყო შვილმა, კარგად იცის ვაჟკაცობისა და ურთიერთღანდობის ტრაღიცია და ფასი მთაში.

მოთხრობაში ასახულია ის პერიოდი, როცა ჯერ კიდევ, როგორც ხალხური ლექსი ამბობს, „ქისტებსა, არხოტიენებსა დღეშუ სისხლის წყალ უცისა". მართალია, როგორც არხოტისა და ღილღოს საზღვარზე მოღარაჯე ქორძო ამბობს, „რაც ღირო შეიცვალა, თოფიც აღარ გავარღნილა ღილღო-არხოტში, არც ქურღობა მომხღარა" (8,139), მაგრამ მისი ამხანაგის, უთურგის

პასუხი ნათლად მეტყველებს, რომ მკვიდრების ურიერიობაში ბევრი არაფერი შეცვლილა: „ - სანამ ეგ ღრო ღილღო - არხვატს მოალწევს, - თქვა უთურგიმ, - ბევრი ღილღველი და არხოტიონი მოკვდების კიღევ ერცხვის ხელით...“ (8,139).

და აი, „ქისტეთისაკენ ჩაწურული არხვატის ხეობის“ ვიწრო ბილიკზე ცხენიანი კაცი გამოჩნდა და ხევსურებმაც იარაღი მოიმარჯვეს. ორ ყარაულ ხევსურს შორის გამართული ღიალოგი ნათლად მეტყველებს, რომ ახალგაზრდა ოაობის წარმომადგენლები (ქორძო წიკლაური) უკვე განსხვავებულად უცქერიან ქისტებისა და ხევსურების მტრულ ურთიერთობებს:

„ პირველსავე ტყვიას მასაკლავად ესროდა?! წამოიძახა ამხანაგის უცაბედი მოქმედებთი შემკრთალმა ქორძომ და ისიც საყურთან ჩაჯდა თოფმომარჯვებული.

თუ ქისტია, მასაკლავად! გამოსცრა უთურგიმ წეკოს წევისაგან ჩაყვითლებული კბილებიდან და თოფს უფრო მოხერხებულად გამოექაღლა“ (8,140).

ქორძოს მოკრძალებულ შენიშვნაზე „ იქნებ როგორი ქისტი...“ - უთურგიმ დაცინვით უპასუხა, მაგრამ როდესაც ქორძომ შენიშნა, რომ ქისტი მოხუცი იყო, კმაყოფილებით, მაგრამ გაღაჭრით განაცხადა:

„ - *მე ბებერ კაცს თოფს არ ვახლი!*“ (8,140).

ქისტი მართლაც ბებერი აღმოჩნდა, მაგრამ ახალგაზრდული სიმარჯვე ჯერ კიღევ შემორჩენოდა და ეტყობოდა, რომ საუკეთესო მხედარი უნდა ყოფილიყო.

ახალგაზრდა ხევსური ქისტის გარეგნობამ აღტაცება‘ში მოიყვანა:

„ქორძო მონუსხულივით შეჰყურებდა მოხუცი ქისტის გარეგნობას და მორთულობას. თეთრი წვერი, ღრმად ჩამჯდარი, ჭკვიანი თვალების ზემოღან ბორჯღოღ გაღმოჯამფრებული

ხ'ძირა \'არბენი, თვალების ირგვლივ \'ვრცელი ნაოჭების გვირგვინი, ქუსლსა და \'არბებს შორის გამოკუნთული სპილოს ძვლისფერი ტკინა შებლი, უნაგირის ტახტა'ზე ჩამო\'ყრობილი დამუშებული გრძელსთითება ხელები არამი\'იერ იერს აძლევდა მოხუცს, ამასთან ერთად - მისი შეუვალი სიმკინვე და დამცინავი იერიც, და რასაკვირველია, ბუნებრივი იყო ახალგა'ხრდა არხოტიონის გაოცება" (8,142).

ხევსურები ქისტურად დაელაპარაკნენ მოხუცს, მან კი ქართულად უპასუხა.

„ხევსურები ოდნავ შეცბუნდნენ, მაგრამ ქისტის ქართული არ გაჰკვირვებიათ, ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ქისტები და არხოტიონები იოლად ს\'ავლობდნენ ერთიმეორის ენას" (8,142).

უთურგის მუქარანარევ კითხვებსა და მის საშიშ შესახედაობას მოხუცი ქისტზე სულაც არ უმოქმედია, იგი ამდას მიდიოდა, მანგიას უნდა ესტუმროს. ქისტმა უფრო ხნიერ ხევსურს სახე'ზე შეამჩნია მისადმი მტრული განწ\'ყობა: „ავად აბრიალებდა თვალზე შეამჩნია ქისტმა, რომ ხევსური სასიკეთოს არაფერს ფიქრობდა.

მე არხვატიონთ სისხლი აღარ მმართებს... თქვა ქისტმა მ'შვიდ ხმაზე, - ისე კი, თუ სხვა ქისტების ვალსაც მე მომთხოვთ, ჩემს მაკვლაზე არხვატ'ში საკარგ\'მოს მოგართმევენთ..." (8,143).

ქორძომ ახლა ქისტს მიმართა, რომ ბებერ კაცს ხევსური თოფს არ ესვრის და მისი დაცვაც თავად ითავა:

„ შენდროულა კაცს არხვატიონი თოფს არ ახლის! ვეღარ მოითმინა ქორძომ და ამრეზილ უთურგისა და ცხენზე დაუსვრაღ მკ\'დრომ ქისტს შორის ჩაღგა" (8,143).

მოხუცი ქისტი თითქოს ცდიდა ხევსურთა ვაჟკაცობას, დაუსვრაღ და გამომ\'ვევაღ, მაგრამ ღინკ\'აღ და დარბაისლუ-

რაც ბაასობდა და უკბაც ქორძის პასუხად თავისი ვისაობა გაამჟღავნა. რამაც ხევსურები შეძრა და გააოფორა:

„ თუ ის კაცი მითხოელი ელიმარძა იქნება?!

თქვა ქისტმა და უნაგირზე შემაღლდა.

ხევსურები გველნაკბენებივით შეტოკდნენ...

უთურგის თოფის ჩახმახმა საბეღის წეროლ გაიჩხაკუნა.

ცხენის მჭამელო! რამდენი ამღიონის სისხლია შენს კისერზე, იყვირა უთურგიმ, რომენ ერთს შაგწირია?!

იყო და აღარ არის!... მოხუცი კვლავ ზვიადად შემართული, ცალყბად შეღმენილი უყურებდა ბრაზით თვალანთებულ ხევსურებს, რომელთაც ვერ გაღაეწყვიტათ თეთრწვერა მოხუცისთვის თოფის დახლა“ (8,143).

ქისტს სულაც არ შეშინებია, პირიქით, ფრიად კმაყოფილი ჩანდა ხევსურთა აფორიაქებით.

„ ლოგინში სიკვდილს, მტრის ტყვიით სიკვდილი უჯობს ელიმარძას, - ჩაილაპარაკა თავისთვის კმაყოფილ კილოზე ქისტმა, ოღონდ ეგაა, არხოტიონი მანგიას უნახავად წასვლა არ მინდოდა სამზეოდან...“ (8,144).

ხევსურ მანგიას, ქისტების დაუძინებელ მტერს, ერთაღერთი შემორჩენილი ვაჟი თორელიც მოსისხლეებმა მოუკლეს. თორელს ნეთხიჩოელი ელიმარძას ვაჟი შვილი ჰყავდა მოკლული და, რასაკვირველია, ხევსურები გააკვირვა მოსისხლე მტრის სტუმრობამ, მაგრამ, ეტყობოდა, ელიმარძას რაღაც, მაოთვის გაუგებარი მიზეზი ჰქონდა ამისათვის:

„ - ჩემი სულთის მამკლავი თორელი! წამოიღაღადა მხუცმა, თან თვალები არხოტისკენ მიაშტერა,- ჩემი არწივის მზის ჩამქრობიც ჩამქრალა...“ (8,144).

ამღიაში თორელის დაკრძალვაზე მითხოელი ელიმარძას გამოჩენამ ხევსურებზე მეხის გავარდნასავით იმოქმედა:

„ელიმარძა?! წარბიაბუსკა მანგიამ და ტახტისე წამოჯდა.

მოხუცებიც ფეხზე აღგნენ.

მთელი ჭერხო ასაღგომად დაფათურებულ მანგიას შეჰყურებდა.

წუთით მიცვალებული ცვლას დაავიწყდა, სიტყვა „ელიმარძას“ ჩურჩულებდა ლიდი და პატარა, ქალი და კაცი“ (8,145).

მიხვდა ხევსური მანგია, რისთვისაც მოსულიყო ელიმარძა: შვილმოკლული, ლოგინად ჩავარდნილი მტრის ნახვა უნდოდა, უნდოდა ენახა, როგორ დაჩაგრა და დააძაბუნა მწუხარებამ. მაგრამ ბებერი მგელი არც ისე აღვილი წასახდენი აღმოჩნდა, სწრაფად დაფაცურდა, ჩაიცვა, სკამი მოაბანინა წინგარდაზე და მოემზადა ღირსეულად დასახვედრად.

„კაცი უცბად სულ გამოიცვალა, თავისი უბედურება თითქოს გადაავიწყდა, აკანკალებული ხელებით ველარ იცვამდა ჩოხას, მაგრამ მაინც იცვამდა, შემოიკრა ქამარ-ხანჯალიც“ (8,146).

მითხოელი, როგორც სამძიმარზე მოსულს შეეფერებოდა, ისე შევიდა სოფელში. ცველა ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა თავიანთ დაუძინებელ მტერს, რომლის თარეშებზეც საარაკო ამბებს ჰყვებოდნენ არხოტში:

„სოფლის პირში რომ მოვიდნენ, ქისტი ცხენიდან ჩამოხტა და საფერეხე დასადგაებული წამოიყვანა.

ცველა სულგანაბული და გაფაციცებული უყურებდა სოფელში შემოსულ დაუძინარ მოსისხლეს, რომლის ბრძოლებზე და შეუპოვრობაზე, წარსულსა და ნამოქმედარზე ზღაპარივით ჰყვებოდნენ ხოლმე ხევსურები არხვატის საფიხვნოებში“ (8,147).

აღამიანის ბუნების საოცარი ცოდნით აღწერს შოთა არაბული მოსისხლე მტრების შეხვედრას. ამავე დროს, მან საოცრად ღრმად იცის ხევსურებისა და ქისტების ტრადიციები, მათი

სულ-მთლიანი, რაინდული ხასიათი, საოცრად ლაკონური, სულ-მცირე ემოციებისა და მაღალფარდოვანი შეტევების გარეშე გაღმოსცემს ამ ორი მოხუცი ადამიანის მშვიდ განცდებს. აქ პირისპირ დგას არა ორი პიროვნება, არამედ ორი ხალხი თავისი ადათებითა და წეს-ჩვეულებებით. თანაც ორი ხალხი, რომელსაც შორეული წარსულში ერთი ფესვები ჰქონდათ და ჯამთა ვითარებამ ისტორიის სხვადასხვა არენაზე გამოიყვანა.

აქ მოვიყვანთ იმ შეხვედრის ვრცელ ნაწყვეტს, მკითხველისათვის კომენტარის გარეშეც ყველაფერი ნათელია:

„რომ დაიგუმანა ქისტის მოახლოება, მანგია წამოდგა და ბანზე დინჯად, გამართულად გაიარა, თითქოს წინგარიდანვე საქორწილო სუფრა ჰქონდა გაშლილი და არა შვილის ცხედარი ესვენა.

ქისტი ნელა უახლოვდებოდა მანგიას ბან-კარს, გამჭვალავი თვალით აკვირდებოდა ყველაფერს, ეზოში რომ შევიდნენ, ცხენის საბადავ ქორძოს მიუგდო და ბანზე ავიდა.

მანგია დროზე შემოკრილი უყურებდა ქისტს.

ქისტი წყნარად მიუახლოვდა ცხედარს, მერე დაიხარა და მიცვალებულის სახეს კარგა ხანს აკვირდებოდა, მის ტანსაც ააბარ-ჩააბარა მზერა.

- ღირებულხარ, მანგიას შვილო, თოფსაკრავად! - თქვა მან, - იმ სიბრტყე მკერდი გქონია, რომ დაესწრო, ჩემი სულთი შენ ტყვიას არ აგაცილებდა...

მერე მანგიასკენ შებრუნდა.

მოხუცები მშვიდად აკვირდებოდნენ ერთიმეორეს, თავიდან ფეხებამდე აოვალიერებდნენ.

- როგორ ფერი აქვს შენთვის დღეს სამზეოს, არხოტაონო? უთხრა ქისტმა მანგიას მშვიდად, წყნარი ხმით.

სული ცხის შიშლავი რასაც შენ კარს, ცხენის მჭამელო, ის ხომ არ გეგონა, მანგიას მტრალის ღვინავლი?!... თითქმის ჩურჩულით იკითხა მანგიამ.

- მოვედი, შვილის ქორწილი რომ მოგილოცო, - თქვა ქისტმა და ხანჯლის წვერით წამახული თითი ცხვედარს მიაშვირა.

მანგიამ უცნაურად გაიცინა, თან ნაბიჯი ცხენისკენ გადადგა.

- ხო წევს მანგიას შვილი გვერდეშაპივით, ღილღვეელო, სიცოცხლეც უყვირდა, სიკვდილიც უყვირს!

- გიხარის, რომ მოგიკლეს?!

მოისისხლემ მოკლა...

ჰო, ხევსურები იბადებით, რომ ერთმეორე ხოცოთ...

- ქისტებიც! - თქვა ამაყად მანგიამ. - სასაფლაოზე დათვალეთ ჩვენი ნათოფარები, უპასუხა დამცინავად ქისტმა და თეთრ წვერს ღინჭად ჩამოისვა ხელი“ (8,147-148).

ბებერი მგლები, რომლებიც ახალგაზრდობაში ერთმანეთის სისხლით ვერ ძღებოდნენ, ახლა, როცა აღარ ძალუძთ, ერთმანეთს იარაღით შეებან, მწარე სიტყვებით ქილიკობენ, ერთმანეთს ცდიან, თითოეულს სურს, დაძაბუნებული იხილოს მეორე.

კამათი ქისტმა დაასრულა, როცა მანგიას სარკასტულ შენიშვნას „ შენ არხვატისკე მაშინ წამოხვედი, ჩემი ჩალოგინება რომ გაიგე...“ უპასუხა, რომ ერთმაც და მეორემაც სიცოცხლე ურთიერთგანადგურებას შესწირეს და საბოლოოდ მარტონი დარჩნენ და დამარცხდნენ კიდეც.

„ - არა! - თქვა ქისტმა და შორს მთებისაკენ საღამაც ჰკიდა ნაღვლიანი მზერა, ჩემი თავი მებრალებოდა ოხრად დარჩენილი, ჩემი დაუძინებელი მტერიც შემბრალდა გაჩემფერებული, მამაცი მტერი!... იმიტომ წამოვედი, ჩემი ტკივილი შემომეჩივლა, შენიც მომესმინა...

მანგია ცბიერად მოყვარულის, დაუკრეფილი თვალებით გაოცებული შეჰყურებდა ქისტს, მერვენება, თუ ნამდვილად ეს სიტყვები სთქვა, რაც ჩამესმაო, - აღარავინ თოფავს ერთმანეთს ახლა და არც მოისისხლეობენ, განაგრძო ქისტმა ნაღვლიანად, ქისტეთ ჩემ სწორებს შვილობილი მავი არ უჩანს, ერთი მე ვარ მარტოხესავით ამოსული... მამა-პაპის მაგივრადაც მე გახლიდით ტყვიას, რა შემრჩა...“ (8,149).

ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ უნებურად გახსენდება ბალადა ვეფხვისა და მოყმისა და მოყმის დედის გადაწყვეტილება, მისულიყო ვეფხვის დედასთან და სამძიმარი ეთქვა მისთვის შვილის დაღუპვის გამო. ამ სიტყვებმა კერპივით გაუტეხელ მანგიაზეც ძლიერ იმოქმედა. იგი შეეცადა, რაღაც აზრი მიეცა თავიანთი ნამოქმედარისათვის. კი მიხვდა, რომ უაზრო და არაფრისმომტანი იყო მათი ურთიერთბრძოლა და ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ გამოსავალს ეძებს და სახელს და დიდებას ებღაუჭება წყალწაღებულივით:

„ სახელი! თქვა მანგიამ და ახლოს მიუჩოჩდა ელიმარძას, სახელი დარჩა, ნეთხიჩოელი ელიმარძის სახელი!...

მერე ელიმარძაზე არხოტელების გამოთქმული ლექსი ჩაილაპარაკა:

„გახსოვდას, ელიმარძაო,
არხვატით წანატანია,
მიხოლ, მაგიდის ტყვეები,
მიგიდის ხაროვანია,
იცოდე, არ შეგრჩებოდა
არხოტიენების ვალია“ (8,149).

მაგრამ ქისტი შეუვალი იყო თავის მოსაზრება'ში. მან მანგიას დაანახვა თავისი მომავალი, შვილეგი, რაც მოჰყვა მტრობას და ბოროტებას:

„ქისტში ხელი საიქია და მისკენ წაიაგრძელა ხელსური თვალებში ჩახედა.

ცოლვიანო არხოტიონო, რამდენ ქისტის ქალს ჩააცვი შავი, რომ მახკვლები, შინაით შანდობის მოქმელი აღარავინ დაგრჩა, არცვინ შენი სახელის მხსენებელი იქნება. წავიდა შენი თორელი, იქ, მან თითი ცისკენ აიშვირა, ჩემს არწივთან წავიდა...“ (8,149).

ჩახვდა ქისტის ნათქვამს არხოტიონი, მძიმედ, მაგრამ მაინც ჩაწვდა ელიმარძას სიტყვების მნიშვნელობას, მათს ჭეშმარიტებას და პირველად ამ ორთაბრძოლაში დაიჩივლა:

„ - მძიმე ყოფილა მტრიანი კაცის წუთისოფელი, ნეთხიჩოელო, თქვა მან ხიხინით, ძალიან მძიმე. კიდევ კარგი, რო შენ გხედავ... მაღლობელი ვარ შენი აქ მოსვლისა... ძალიან დიდი მაღლობელი..“ (8,149).

გამოთხოვებისას ქისტი ნამღვილი თანაგრძნობით ეკიდება მანგიას საწუხარს და ამხნევებს:

- გამაგრდი, არხოტიონო, - თქვა ელიმარძამ, თან უცნაური ღიმილით გაუნათდა სახე. - თორემ ელიმარძა იფიქრებს, რომ ბოლოს ნასრევი არ აგაცილინე...“

მანგიას არ დაუმალია თავისი დამარცხება, არც უკმაყოფილება გამოუთქვამს, გზა დაუწყოცა მიმავალს:

„ ჩათვალე, ცხენის მჭამელო, რომ დამჭალდე, ნასრევი შენი შესაფერისი გამოვიდა... ხელი მოგიმართოს არხოტის ჯვარმა...“ (8,150).

მაგრამ ამჯერად მათ სიტყვებში ბოღმა, სიძულვილი არ იყო. ორი ბებერი მტერი სიძულვილში გატარებულ სიცოცხლეს ნანობდა და ურთიერთპატივისცემას განიცდიდა:

„მრავალი წლის დაუძინებელი მოსისხლეები ერთხელ კიდევ ეკრკატებოდნენ ერთიმეორეს ლიბრიანი, ბებრული თვალებით,

რაინდულობაშიც მრწამსის და სიძულვილის ნაკლებადი არ სანდა. პირიქით, მათ გამოხატვაში იხატებოდა უსასრულო სინაზეც და მოკრძალებული ურთიერთპატივისცემა".

მანგიამ ქორძოს და უთურგის დაავალა სტუმრის გაცილება და უთურგის უკმეხობაზე ისეთმა რისხვამ შეიპყრო, რომ ხევსურები სახტად დარჩნენ:

სტუმარს გაჰყვით სოფლის ბოლომდე, პატივი დასდევით და ჯვარი დასწერეთ ბრძანა მანგიამ.

პატივი კი არა, ტყვია უნდა მაგ ძაღლს! ჩაისისინა უთურგიმ.

- რეგვენო! - იფეთქა ხევსურების გასაოცრად მანგიამ, - ეგ ძაღლი არაა, ეგ ნეთხიჩოელი ელიმარძაა!... მაგან ბევრჯელ შემოხკივლა არხვატს არწივივით და შემოგვთოფნა... რამდენიც მავუკალით, მაგვიკლა, ახლა აღარც მაგას ვინ დარჩა მასაკლავი, არც მე... უცბად ხმა ჩაუწყდა მოხუცს" (8,150).

ნამდვილი ჭეშმარიტებაა ის, რომ

„ვაჟკაცის ფასი...
ჩვენც ვიცოდით და
ჭისტმაც იცოდა!"

ზოთა არაბულის „ქისტური"

მწერალი ხშირ შემთხვევაში ხალხურ სიტყვიერებას მიმართავს სამწერლო თემების ძიებაში და სწორედ ფოლკლორის გავლენით შეუქმნია მრავალი მხატვრული შედევრი. საგმირო ეპოსი განსაკუთრებით ახლოა იმ მწერლებისათვის, რომლებიც მთიდან მოვიდნენ. ერთ-ერთი ასეთი მწერალია ზოია არაბული, რომელიც მშობლიური კუთხის, ხევსურეთის არცთუ შორეული

წარსულის ცხოვრებაზე წერს. მისი მოთხრობების ციკლიდან - „ხევსურეთის წარსულის ქრონიკები“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოთხრობას „ქისტური“, რომლის მთავარი პერსონაჟი ხევსურული პოეზიის თვალსაჩინო გმირია.

გაგა ბერიძიშვილი ხევსურულ პოეზიაში დახატულია, როგორც თავისი (არხოტის) დამცველი, სახალხო გმირი, რომელიც მტერს ვაჟკაცურად ხვდება, მისად არის შერისძიებისათვის, თუნდაც მოკლული მისი ნათესავი არ იყოს. ის არხოტის პატრიონია, არხოტის კარგსა და ცუდს ითავისებს და ისე ირჯება, როგორც კაი ქმას შეეფერება.

სახელიც დიდად გავარჯნია გაგას, მას მხოლოდ ხევსურეთში კი არა, ქისტეთშიც კარგად იცნობენ და აფასებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი დაუძინებელი მტერია.

ისეთი ხალხური ლექსები, როგორიცაა „გაგა ბერიძიშვილი“, „მინდია ბერიძიშვილი“, „ბედრიშვილნი და ქისტები“, „ბერიძიშვილები“ და სხვ. ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ბერიძიშვილების გვარის. რომელნიც მეზგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ქისტების თარეშს და თავადაც აწყობდნენ თავდასხმებს ქისტებზე.

შოთა არაბულის მოთხრობა „ქისტური“ იწყება გაგა ბერიძიშვილის ქისტეთში შერისსაძიებლად მზადების აღწერით. იგი ჯერ მიდის ამბის სალოცავ ხატში, „არხოტის ჯვარს“ ვერძი შესწირა და სათხოვარიც შესთხოვა... „ბევრჯერ გამამარჯვებინე ცრუჯალოზე, მაგ ერთის მეტს არხოტიონთ სისხლი არავის მარიებს, ნუ გაგვილაღებ მტერს, საქმოს იმედო, წამქევი წალმა, შეირე ეს ძღვენი და მომიმართე ხელი!..“ (10,118).

„მაგ ერთის მეტს“, ქისტი ცალთვალია თემრუკოს შვილს, ხიზირს არხოტივნების სისხლი პირადად არ ემართა, გაგა ბერიძიაშვილი - სწორედ ხიზირს დასდევს მოსაკლავად: „არხოტის ჯვარო, სამჯერ ვიყავი ამ ზაფხულს არწივგოგობოელი ხიზირის

მისაკლავად, სამჯერვე მხარი გამაყარე. სურვა შემაქცევ, გაშარჯვებულო, ვერც ერთხელ ვერ მიგეცი სათოფეზე მისისხლე მტერს..." (10,118).

გაგა ბერძიშვილს თავისი მიზეზი ჰქონდა, რათა ხიზირი მოეკლა. საქმე შემდეგში: მთაში, ქისტებშიც და ხევსურებშიც, მისისხლედ აირჩევდნენ გვარში საუკეთესოს და მის მისაკლავად ყოველ ღონეს ხმარობდნენ. გვარში საუკეთესო ვაჟკაცის მოკვლით სახელსაც ღაიდებდა და მეტნაკლებად თავსაც იზღვევდა სამაგიეროს გადახდისაგან. თუმცა ამას ხმამაღლა არავინ ამბობდა.

ხიზირს, განთქმულ ვაჟკაცს, ჯირითსა და ჩუბინობაში ბაღალი არავინ ჰყავდა მთელ ქისტეთში.

„მოკლულზე თქვიან: შიგ გულში სჭირსავ, შიგ შუბლში სჭირსავ, ხიზრის ნასრევ იქნებისავ!

ქისტის მოკვლა დიდ გმირობად ითვლებოდა მეზობელ მთიელებში და ხიზირისთანა ვაჟკაცის მოკვლა სახელსა და დიდებას შესძენდა შურისმაძიებელს, ხიზირმაც იცოდა, რომ გაგა ბერძიშვილის, რომლის ქისტეთში გადმოსვლაზე უკვე გაეგოთ, სამიზნე მხოლოდ ის იქნებოდა. მის ნაფიქრალს ისიც ამყარებდა, რომ კარგად იცნობდა გაგა ბერძიშვილს, როგორც მამაც მეომარს:

„კარგად იცოდა ხიზირმა, რანაირი მეომარიც იყო გაგა ბერძიშვილი. ქისტეთში იშვიათად იქნებოდა სოფელი, რომ გაგას ნათოფარი ქისტი არ ყოფილიყო.

რამდენი არხოტიონიც ქისტებმა მოკლეს, იმდენის სისხლი გაგა ბერძიშვილმა აიღო.

არხოტივნების სისხლი ემართა ხიზირის გვარსაც. გაგა ბერძიშვილი კი მხოლოდ გვარში გამორჩეულს თოფავდა, ყველას არ ესროდა თოფს" (10,120).

სხვა ‘ქმოხვევა’ში ხი’ხირი პირისპირ ‘ყუბმოდა ხუსურს, ‘ყუცხებოდა შოენახა და ორთაბრძოლა გაემარჯა, მაგრამ ამჯერად დიდ გასაჭირ’ში იყო: ერთაღერთ ღას, სილამა’ხით განთქმულ აისაოს ათხოვებდა, ქორწ’ილი იყო, მაყრიონი და ახლობლები დიდ ლხინ’ში იქვნენ, გახურებ’ული ცეკვა-თამა’ში იყო და ჩაფიქრებ’ული იჯდა ციხის ე’სი’ში. ახლა ამის დრო არ იყო, არც ჩასაფრებ’ული კაცის ტ’ყვიით ‘ეა’სრო სიკვდილი სურდა, გამოსავალს ვერ ხედავდა:

„ბ’ენებით უ’ში’შარ და მამაც ვაჟკაცს თავქარიანობა და აჩქარება ჩვეულებად არ ჰქონდა, არც ბრმა სიმამაცე მიაჩნდა ვაჟკაცის ‘შესაფერ ჩვეულებად. იცოდა ნამღვილი გულადობის ყაიდრი და სახელიც დიდი ჰქონდა გავარ’ნილი ქისტეთ’ში. ამიტომაც არ უნდოდა, მტრის ბრმა ტ’ყვიის მსხვერპლი გამხდარიყო და’უღევრობის გამო. აღარ იცოდა, რა ეღონა, რომ იმ არხოტიონს არსად არ გაეღაჰყროდა“ (10.121).

ხი’ხირის სოფელი არ’ივგოგობთ ‘შუაგ’ულ ქისტეთ’ში მდებარეობდა. აქ მტრის გამოჩენა არ იყო მოსალოდნელი, რადგან აქეღან მდევარს თავს ვერავინ დააღ’ევება. მაგრამ გაგას მ’კიცედ ჰქონდა გაღაწ’ყვეტ’ილი ხი’ხირის მოკვლა, სხვაგვარად ცოცხალი ‘შინ ვერ დაბრ’უნდებოდა, ხატსაც ასე უთხრა: „თუ მტერს არ მომაკვლევინებ, ცოცხალსაც ნ’ღარ მომიყვან ქისტეთიდან!“ (10,118).

და აი, ციხე-ქვითკირის კ’უთხე’ში მჯდომმა ხიზირიმ ხევს გაღმა მოპირდაპირე ფერდობზე ბ’ერის ფოთლებ’ში მისკენ მო’შვერ’ილი თოფი და თოფის ‘უკან მჯდომი ‘ულვა’შებიანი ხევსური შენი’შნა, გაგა სროლას არ. ჩქარობდა, ღინჯად იჯდა, დამცინავად უყურებდა მო’წინააღმდეგეს, თითქოს ამბობდა: „ახლა კი ვერსად ‘ვამიხვალ, დაღგა შენი აღსასრ’ულის ღღეო“ (10,123).

გამოუცნობელი მდგომარეობა იყო. ოფიც იქვე შორიახლოს ეკიდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ვერ მოასწრებდა. ბევრი გულადი ვაჭაცი ირეოდა შორიახლოს, მაგრამ ვერავინ მოასწრებდა ხევსურის შეჩერებას: სანამ იარაღს მისწვდებოდნენ, ჩასაფრებული ხიზირის სიცოცხლეს გამოიასალმებდა და, ალბათ, კიდევ სხვებსაც მიაყოლებდა:

„პირველ ტყვიას, რა თქმა უნდა, ხიზირს გამოუგზავნიდა. რაიმეს მოქმედება უაზრობა იყო.

რაიმეს გაკეთების ცდაც კი ზედმეტი“ (10,123).

ხიზირი ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ აყოვნებდა გაგა სროლას, რა ჰქონდა ჩაფიქრებული. იფიქრა, ჩემი გამოცდა სურს, რომ მერე იტრაბახოს, მტერი დავჯაბნეო. ამ ფიქრს გაგას ღამცინავი ღიმილიც ამყარებდა. ქისტი საგონებელში იყო ჩავარდნილი.

„რაღაც აყოვნებს, რაღ არ მესვრის? გაიფიქრა ხიზირმა, რა აქვს ნეტავ ჩაფიქრებული? იქნება ჩემი დაჯაბნა უნდა, რომ მერე არხოტში ჯარზე დაიკვეხოს: ხიზირმა სიკვდილის წინ მონანიება ითხოვა. არა, არხოტიონო, მაგას ვერასოდეს მოესწრები, ცუდად გცნობია ხიზირი!“ (10,123).

ხიზირმა გადაწყვიტა, ღირსეულად შეხვედროდა სიკვდილს, რომლის გარდუვალობაში ეჭვიც არ შეპარვია. და გზაც ამისათვის ორიგინალური და ვაჭაცური შეარჩია.

„უცბად გადაიხარხარა, მკლავები გაშალა და მტრისკენ მკერდმიშვერილი სხარტად წამოდგა, თან მთელი ხმით დასჭექა:

დაუკარით! ტაში!

ქისრებმა იცოდნენ, რომ ხიზირი ძალიან იშვიათად ცეკვავდა და ყველას აღფრთოვანების კივილი აღმოხდა. გარმონმა ხმა გაიორკეცა, ღიდ-პატარამ, ყველამ ტაში დასცხო.

არ\"იკითხი მხრებგაშლილი და ცერებზე შემდგარი ხის\ირი რხევით \"ავიდა მოცეკვავეთა \"რის კენ, თან ალმაცერი და ამაყი მ\ერა ტკბისკენ ჰქონდა გაისრული.

დაი\"ყო ცეკვა და ქარი\"შხალი დატრიალდა \"რე\"ში" (10,123).

ხი\ირის საქციელმა ხევსური დამცინავ ხასიათ\ე დააყენა, მაგრამ შემდეგ დამცინავი ღიმილი გაოცებამ შეცვალა. იგი ჩა\"ვდა ქისტის მოქმედების არსს, გა\ომა, ჩა\ომა და აღფრთოვანდა მტრის მამაცობით.

„საფარ\ში ჩამჯდარი ხევსური ვერ დამცინავად ითვალგა\"ვრილებული უყურებდა \"ინგარიშზე არ\"ივით მქრთალ ქისტს, მის ამაყ კივილზე და \"ითელი ჩოხის კალთების ფრიალზე ცალკებად ელიმებოდა, მერე და მერე, დამცინავი ღიმილი უნებ\ერმა აღფრთოვანებამ შეუცვალა, აღფრთოვანება კი ბოლოს გაოცებაში გადაეზარდა" (10,124).

ხევსური მდენად მოხიბლა მტრის გამბედაობამ, ცეკვის ხელოვნებამ ხი\ირისა, რომ მოხიბლული შეჰყურებდა უჩვეულო სანახაობას.

სისხლის ასაღებად \"ასული მოიელი უკან არ დაიხევს. ხ\შირი ქოფილა შემთხვევა, რომ არათუ მოსისხლე, მასთან მკოფი უდანა\შაუდო აცამიანიც კი მოუკლავთ. აქ გარჩევა არ იციან, მი\სანი ისეთი ყოველისმომცველია, რომ უნებლიე ხელის\შემ\შლელსაც კი იმეტებენ სასიკვდილოდ. გაგა ბერკი\შვილი, გამოცდილი მეომარი, ისე აღფრთოვანდა ქისტის ვაჟკაცობით და მამაცობით, რომ კინღეც დაავი\"ყდა, რისთვის იყო მოსული შიაგ\ეს ქისტეთში. ის, ვისიც მოკვლა ცხოვრების მი\ნად ექცია, ვისი მოკვლაც სიცოცხლეც უღირდა, მკლავებგა\შლილი უცარიელად ცეკვავდა:

„ცეკვავდა ქისტი და თავისი მიხვრა-მოხვრით, ბეჭებისა და მკლავების თამა\შით ახელებდა მო\"ინააღმდეგეს, უმტკიცებდა,

რომ არავინ აგვცემდა მის შერისხვის და საკვლილიც ყველის ეკიდა“ (10,124).

და ხევსურმაც გააოცა ქისტები თავისი მოულოდნელი საქციელით: იგი საფარიდან გამოვიდა, მხარზე ჩამოკიდებული ჰქონდა თოფი, რომელსაც ტყვი ძირს ჰქონდა დაშვებული. გაგა ბერიძისშვილი გაოცებულ ქისტებთან თამამად მივიდა:

„ ქორწილი ნუ მოუშალოს თქვენს ხახლს მაღალმა ღმერთმა! - თქვა მტკიცე ხმით და წინგარიდან წრეს ჩამომცდარ ხალხს გაღაავლო თვალი“ (10,124-125).

როგორც კი იცნეს თავიანთი მოსისხლე მტერი, ახალგაზრდებმა იარაღს სტაცეს ხელი, მაგრამ ხიზირის მტკიცე შეძახილმა - „არ გაბედოთ!“ დააშოშმინა.

შემდეგ მოქმედება ისე წარიმართა, რომ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. ამ ეპიზოდში გამოიკვეთა მოქმედ პერსონაჟთა ძლიერი ხასიათები, ადათ-წესების ხელშეუვალობა და ვაჟკაცობის ძალა და ფასი.

„დამფრთხალი საპატარძლო გამოიჭრა ხალხიდან და ძმას წინ აეფარა.

ხიზირმა ღა მშვიდად მიაყენა გვერდზე.

შიშით აკანკალებულ ქალს ცრემლები ღაბაღუპით წამოუვიდა.

- ურჯულოთ, წესიც ურჯულო გაქვთ! - თქვა გაგამ, - თასი მომართვით სტუმარს, რომ წაღმართ ღავსლოცო!

ხიზირმა ღას თვალით ანიშნა. ქალი ღერეფანში შევარდა. წამიც ღა, ხელაღითა ღა თასით ღაბრუნდა უკან.

ხიზირის ღეღა გონს მოეგო ღა ხევსურს სასოწარკვეთილი თვალები შეანათა.

- რაღ არ სთოფე ჩემი ხიზირი, გიაურო? იკითხა ქალმა ცვლას გასაოცრაღ ღა შიშსა ღა ვეღრებასთან ერთაღ მის ხმაში სიამაყემაც გამოკონა.

სული შვილის გასამკრავი ყარიაა, რაც არ მოიფიქრო?!

აისათმა ამ ღრის გაგას თავი მოარიგა.

გაგამ პატარძალს თავი მშვიდად ჩამოართვა, თოფი მეორე მხარეს გადაიბაცვლა და ხის ირის ღელის კენ დაიხარა.

ხის ირი იმიტომ არ გიფიფე, ბებერო, რომ გაგა ბერკეტი შვილის თოფსანამის ნები სხვა ქისტი ეგეთ ქისტურს ვერ იპოვნებს!

მოხუც ქალს ცრემლები წამოუვიდა, ფეხზე წამოდგა. ამაყად გადახედა თავის შვილს.

უცნაური ღიმილი გაკრთა ხის ირის სახეზე.

- ბედნიერი ბედი დაგცვეს, თემრუკოს ქალო! - უთხრა გაგამ აცრემლებულ საპატარძლოს და თავი გამოცალა.

აგე, ეგეთი შვილი უნდა გაზარდოს ქისტის ქალმა! დაიძახა ბოლოს, გაფარჩხული ხელი ამაყად მკერდი ხიზირის კენ გაიშვირა. მერე სწრაფად შებრუნდა და სულ ახალი გზით მოტიტვლებული გორით შეუდგა აღმართს.

ქისტები გაოცებულები შეჰყურებდნენ ტყის კენ მიმავალ ხევსურს“ (10,125-126).

გაოცებული ქისტების კიდევ მეტად გასაოცებლად ხიზირმა გამოცდა მოუწყო ხევსურს: კელიციდან თოფი ჩამოხსნა სასწრაფოდ და ტყის კენ ისროლა. ხევსურს წარბიც არ შეუხრია, მშვიდად განაგრძო გზა და ტყეში გაუჩინარდა.

აღფრთოვანებულ ქისტს აღმოხდა:

„ კაცთა ხე მეტი ხარ, გაგა ბერკიშვილო!“ (10,126).

დიახ! ნამდვილად იცოცხლეს ხევსურებმა და ქისტებმა ვაჟკაცობის ღირსება, ვაჟკაცს პატივს სცემდნენ, თუნდაც მტრის ბანაკიდან ყოფილიყო.

„ვაჟკაცის ფასი ჩვენც ვიცოდით, ქისტმაც იცოდა“.

ქისტები ბაღათერ არაბულის ლექსების ციკლიდან „ხევსურეთს ამბად ნათქვამი“

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად ერთმანეთისგან განხორციელებული სასტიკი თავდასხმებისა და ლაშქრობებისა, ხევსურები და ქისტები ერთმანეთის ვაჟკაცობას პატივს სცემდნენ და ლირსეულ მტერს აფასებდნენ კიდეც. ქართულ მწერლობაში ამის დამადასტურებელი ბევრი მაგალითი არსებობს, ამასვე ამტკიცებს ბაღათერ არაბულის ლექსები ციკლიდან „ხევსურეთს ამბად ნათქვამი“.

ლექს „ძილწია“-ში აღწერილია ქისტების ერთ-ერთი სისასტიკით ცნობილი თავდასხმა ხევსურეთის სოფლებზე ამღალა და გიმღაზე. ამ თავდასხმის დროს ქისტებმა გაბურების სამი ძმა მოკლეს, „ერთმანეთზე მჯობნი ვაჟები“, ოჯახები ამოუწყვიტეს და ცოცხალი მხოლოდ:

„ხირჩლაის ცოლ ძილწია გადარჩა, -
ბალღასთან ერთად მწყემსობაში ყოფილიყო წასული“ (5,36).

ამ ამბის მნახველმა, სიმწრისგან გაღარეულმა ძილწიამ ყველასათვის უცნაური გაღაწყვეტილება მიიღო:

„ - მაგის ყოფას რა აზრი აქვაო,
არც ბიძანიც, არც ბიძაშვილნიც
აღარვინ ჰყვანაო...
სულ ქისტებს უნდა წაუყვანაო,
იმათ მივუდგაო,
მამ-ბიძათაგით ეგიც მაკლანაო,
იქნებ გაძლანაო ჩვენის სისხლითაც...“ (5,36).

თავად კი მას ჩქმეტს სულ ჭრილობიან ოჯახს და თვალცრემლიანი გაიკვირვებს ქისტეთის მხარეს და მწარედ ნანობდა თავის გაუთვალისწინებელ ნაბიჯს:

„მე, ცოდვიანმა, შვილ დავჰკარგე,
მასაკლავად ქისტებს მიუგდივ -
მწარე ცრემლით მოსთქვამდა ქალი...“
მას შემდეგ დიდი დრო გავიდა:
“...გამოხდა ხანი...
ოცჯერ აენთო გაზაფხული
და ოცჯერ ჩაქრა,
ოცჯერ ზამთარმა გაანათა არხოტის მთები...
არც ძილუკა,
არც იმის ბალღი არ ახსოვდა უკვე არაფის...“ (5,37).

და აი ყველაზე სულისშემძვრელი და ამაღელვებელია ლექსის ფინალი, სადაც „ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა“ და მწერს ღირსებას უქებენ:

„ერთ დღესაც სოფლად ხმა გავარდა
მთაზეით ქისტებ თეთრი დროშაით ჩამადიანავ,
თან ცხვარ-ძროხაიც მაულისავ არხოტისკენავ...
ოცდამეერთე გაზაფხულზე გამაჩნდეს ქისტებ,
ცხენები ჭალას ჩამაეფინნეს, -
ძილას მიგდებულ ბალღთან ერთად
ამლას მაადგნეს,
გაზრდილი შვილი, - ცოლშერთული,
სამი ვაჟით მგლოვიარე დედას მაჰგვარეს...
...ბევრა გვყოლია ეგეთა მტერიც...“ (5,37).

ცნობილი ქართველის, საქართველოს ერთგული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი ძალიან ბევრჯერ ქისტებთან ასოცირდება. ისტორიამ შემოგვინახა ბევრი ფაქტი იმისა, რომ ქაქუცას ყველაზე ერთგული მებრძოლები და რაზმელები სწორედ ქისტები იყვნენ, როგორც პანკისელები, ასევე ჩრდილო კავკასიელი ქისტებიც (ჩეჩნები), სწორედ, ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს მოგვითხრობს ბალათერ არაბულის ლექსი „თორღვა“.

რუსების წინააღმდეგ ამბოხებული ქაქუცა ვერ გამკლავებია რუსის უზარმაზარ ჯარს, ამხანაგებსაც ულალატიათ და ქაქუცას თავი ხევსურეთისთვის შეუფარებია. თორღვასთან:

„ბევრნ დასევიან ის სულძაღლნი
მაღრევიან მარტო ქაქუცას
ამხანაგებსაც ულალატებავ...
გამაქცეულ ხევსურეთისკე,
ჩემიანებ დამიცავენავ
და თორღვასთან გაჩერებულას...“ (5,39).

თორღვას კი ქაქუცას დაავალებით ქისტებთან კაცი გაუგზავნია მოსაშველებლად, ამ დროს კი ხევსურებს ქისტების სისხლი ემართათ.

„იმას კი ქისტეთ კაცი გაუგზავნა:
არიქავ, ჩქარა მაგვეშველეთავ,
თორემ რუსის ჯარ მაგვერევავ,
უთქვენოდავ ვერას ვიზამთავ...
ქისტებს ამაზე უარ უთქვამ:
ჩვენ სისხლ გმართებსთავ,
დახმარებას როგორ ითხოვთავ?“ (5,39).

ამ ფაქტს ბევრი სხვა ისტორიული წყაროც ადასტურებს. ხ. მაჩაბელი შენიშნავს, რომ: „აჯანყების წინ ქაჯეთი ჩოლოყაშვილმა ივარაუდა, რომ მათ წინააღმდეგ ეფრო დიდი ჯარი წამოვიდოდა და ამიტომაც ის ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ძალებისათვის მოეკარა თავი. ხევსურებს სთხოვა, რომ მთიელი ჩეჩნები (ქისტები) მოეშველებინათ აჯანყებაში. ხევსურებს ეს აზრი კი მოეწონათ, მაგრამ ეჭვი გამოთქვეს, რადგან პირადად ხევსურებს მტრობა ჰქონდათ ქისტებთან, ქაჯეთმა მაინც გადაწყვიტა შუამავლების გაგზავნა ქისტებთან და დიპლომატიური მისიის აღსრულება ალექსანდრე სულხანიშვილს მიანდო. ამ ამბავს ღიდი ხნის შემდეგ ასე იგონებს ა. სულხანიშვილი: „თათბირი გოგოთურის კარ-მიდამოში შედგა (ბარისახო). ქაჯეთმა დავალება და დარიგება მომცა, ხოლო მეთაურმა ხევსურებმა ეს მითხრეს: „უთხრიდი ქისტებს, მართალია, მტრობაა ჩვენს შორის, მაგრამ ღროებით დავიფიცოთ. რუსები, რომლებიც კარზე გვყვანან მომდგარნი, მტრები არიან ჩვენიც და თქვენიც: ხევსურეთში რომ შემოვლენ, მერე თქვენთანაც მოვლენო“. ამ ლაპარაკში გოგოთური საღღაც წავიდა და დაბრუნებისას მან თან მოიყვანა ორი ბავშვი ბიჭი და გოგო. უფროსი მათგანი სამიოდე წლისა თუ იქნებოდა, მან ხურჯინი მომიტანა და ასე მითხრა: აი, შენი კვნესამე, ეს ბავშვები ჩემი შვილი სულხანაურისნი არიან, ჩვენ ქისტების სისხლი გვმართებს, ესენი წაიყვანე და მიჰგვარე ქისტებსო“ (34,3).

ამ აზრს ავითარებს ბალათერ არაბულიც

„თორღვას თავის შვილ გაუგზავნის;
- მაკალითავ და გავსწორდებითავ,
ოლონდავ მტერს თან ახლა სირცხვილს
ნუ შაგვაჭმევთავ...“ (5,40).

ვაჟკაცობისა და ერთიერთის დანდობისა და მტკიცობის კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითია ლექსის დასასრული:

„ჭრილებს არ უშნავ, კაცის მაკვლა;
- ეგეთ რამ სად გაგონილავ?
და თორღვაის შვილთან ერთად
გადმოსულან დასახმარებლად...
ისრ ჩაუხოცავთ რუსების ჯარი,
ამბის მიმტან არ ადრჩენილას...“ (5,40)..

ვაჟკაცობისა და ურთიერთდანდობის ღირსეული ტრადიცია გიგი ხორნაულის ნამდვილ ამბავში „სისხლში ნაწრთობი“

მთიელმა, მთა'ში გა'სრკვიელმა უკეთ იცის მთის მკაცრი, მაგრამ ღირსეული ტრადიციების 'ესახებ, გმირი წ'ინაპრების სახელოვანი ისტორია და ის ღირსეული მტრობა და 'ტკბილი სხვადასხვა ტომის მთიელებს შორის, რომელიც 'ემეტს 'ემთხვევა'ში მამაცობისა და ღირსების გამოცდა იყო. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ქართველი მწერალი და ფოლკლორისტი გიგი ხორნაული, ვისმა კალამმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ვაჟკაცის ფასი ჩვენც ვიცოდით და ქისტმაც იცოდა“.

გიგი ხორნაულის მოთხრობა „სისხლ'ში ნაწრთობი“ (ნამცვილი ამბავი) განთიადის პეი'საჟის აღწერით იწყება და მოთხრობის დასაწყის'ივე, საჯიხვე'ში, სანადიროდ მიმავალი ორი ხევსურის ვაჟკაცური ბუნება იკვეთება: „სახეზე ორივეს ცაბაბუნელობა ეტყობოდა, ყოველ მოსაფარ'ში 'ეიძლებოდა მჯდარიყო ქისტი, ყოველწამს 'ეიძლებოდა ესროლა ტყვიას. მოთვალთვალე

მტერია არ იქცას ქვისიათი, იაკუს არ იბრუნებდნენ აქეთ-იქით, თვალებს კი მკვლებივით აცეცებდნენ და ჩუმად სვერავდნენ მიდამოს“ (67,133).

აქვე ჩანს მოსისხლე მტრის ღირსების დაფასებაც:

„ხომ შეიძლებოდა, ქისტთა განთქმული ვაჟკაცი ღაზი ყოფილიყო, მის მომკლავს კი სახელი გაუვარსკვლებოდა მთაში. ქალები ლექსად დაამღერებდნენ“ (67,133).

„ტერლის განთქმულ საჯიხვეებს ვერ სთმობდნენ ქისტები და არხოტელები. გადაეკრებოდნენ საკმე და ან ტყვიას დააზელდნენ, ან ხანჯლებით სჩეხავდნენ ერთურთს. ბევრ დედას ჩამოუტანეს მკერდნატყვიარი ვაჟკაცი, ყორნებისაგან გამოხრული ან მარჯვენამოჭრილი“ (67,133-134).

ჯიხვზე ნადირობისას ერთ-ერთ მონადირეს აღუას მარცხი მოუვა და თავისზე უფროს და გამოცდილ ჯამრულს ფეხი ტყვიით დაუზიანა:

„წრიაპი აუცქდა, შეტორტმანდა და თოფი გაუვარდა. თვალში გაუელვა ტყვიისაგან შესროლილმა ჯამრულის ფეხმა, ცოფმორეულივით მიაბრიალა თოფი დაჭრილმა. რაკი გაიგო, ქისტის ტყვია არ მომხვეჯრიაო, კვლავ შებრუნდა და უკვე შორს მიმავალ ჯიხვებს ოფვა დაუწყო“ (67,135).

ჭრილობა საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, „მუხლიდან თეთრად ამოჩრილი ძვლებს სისხლი შაღრევანივით ასხამდა“ (67,136).

მართალია აღუამ სისხლის შეჩერება შეძლო, მაგრამ ორივეს კარგად ესმოდა, რომ ჭრილობა საშიში იყო: „ჯამრულს გულს უკლავდა გახეიბრების შიში, აღუას კი - ვაითუ ხელში შემომაკვდესო“. აქვე აღწერილია ხევსურული მტკიცე და ვაჟკაცური ხასიათი, როცესაც ჯამრული მამაცურად იტანს საშინელ ტკივილებს და მეგობარს თავს ისე აჩვენებს, ვითომც აქ არაფერი ხდებაო.

წკალებ-წკალებით, შებინდებისას ძლივს ჩაათრევს კლდიანებში, ღრეობებთან შემოაღამდათ კოლექც. ქინვა სულ ცოცრით ძლიერდებოდა და ჯამრულის გათოშილ სხეულს გრძნობა თანდათან ეკარგებოდა.

სანამ აღუა არხოტს ჩავიდოდა და ხალხს შეატყობინებდა, მანამ ჯამრული ცოცხლებში ალარ იქნებოდა, აი, ქისტების სოფელში ნეთხაში ჩასვლას კი მოასწრებდა აღუა, მაგრამ მოსისხლის კარზე მისვლა როგორ იქნებოდა, ეს ვერ გაეღიწყვიტა, არც უკან დასახევი გზა ჩანდა საღმე:

„ ჯამრულო, ნეთხას უნდა ჩავიდე, ქისტებსა ვთხოვო შველა.

ჯამრული შეტოკდა, მრისხანედ მიაშტერდა აღუას.

ჩვენ მოსისხლეებსა? გონთ ხარა? დაგინახავენ თუ არა, თოფს დაგკრავენ!

სულ ერთია, არხოტამდე შენ ვერ ჩააღწევ. შენ თუ რამე დაგემართა, მეც ტყვიას ვიკრავ“ (67,138).

საქმე კი შემდეგში გახლდათ:

„ბევრი ქისტის სისხლი ედო ჯამრულს. მის კვალს დღენიადაგ დასდევდნენ. ნამეტნავად ქისტების განთქმული ვაჟკაცი ლაზი. ლაზიმ ბევრი ვაჟკაცი მოუკლა არხოტიონთ. თვით ჯამრულსაც ბევრჯერ სცია, მაგრამ ვერაფერს გამორჩა. ვერსად მოიგდეს“ (67,138-139).

ხევსურმა კარგად იცის მტრის ღირსება და ძმისწულს ურჩევს: „ წადი მაშ, აღუავ, და პირდაპირ ლაზისთან მიდი, თუ დაგვიცნობს, ისევ ის დაგვინდობს!“ (67,139)

აღუა ჩავიდა ქისტების სოფელში და პირდაპირ ლაზის სახლს მიაღგა. თოფით ხელში გამოსულ ლაზის ძმობა შესთავაზა და დახმარება სთხოვა, ქისტები ეჭვის თვალით უყურებდნენ ხევსურს, მაგრამ ლაზიმ თავისიანები დატუქსა და სტუმარი

შის შეიპარება. განსაკუთრებით ის უკვირდათ ქისტებს, რომ სრულმარი არხოტელი იყო, არხოტელიაგან დახოცილია საფლავებზე ხომ ჯერ ბალახიც არ იყო ამოსული:

„ღა'ი შინ შეუძღვა აღუას და თან რამდენიმე მე'ხობელიც შეიპარება. უმასპინძლეს და თბილად ჩააცვეს. სიჩქარე არის საჭირო. განაცხადა ღა'იმ და ცოტა ხნის შემდეგ ღა'ი და აღუა მიუძღვიდნენ წინ თოფ-იარაღში ჩამჯდარ ათიოდე ქისტს“ (67,140).

ჯამრული ბოლომდე მაინც არ ენდობა ქისტებს და მისკენ მომავალნი რომ დაინახა, თოფს წასწვდა აჩქარებით, მაგრამ აღუამ შეაჩერა:

„ გამარჯობა შენი, მგელო! სიცილით წამოაძგა თავს ღაზი.

გაგიმარჯოს! - მკვახედ გამოსცრა ჯამრულმა და ქისტურ ტანსაცმელში გამოწყობილი ადუა მრისხანედ შეათვალიერა.

ქისტები თვალმოუშორებლივ აშტერდებოდნენ თავის დაუძინებელ მტერს“ (67,140).

ქისტები მარდად დატრიალდნენ. თან წამოღებული კეტებისა და თოკებისაგან საკაცე შეკრეს, ზედ ნაბადი დააგეს და დიდი პატივისცემითა და მოწიწებით დააწვინეს ჯამრული, თოკებით დააკრეს და ფრთხილად დაუყვნენ აღმართს.

მაინც ბოლომდე ვერ ენდობოდა ჯამრული ქისტებს, ამ ყველაფერს გამოუცდელობის შეცდომად უთვლიდა აღუას და ისღა ამხნევებდა, რომ ქისტებმა იარაღი არ აჰყარეს. ღაზი კი ბიჭებს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა:

„ ფრთხილად, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო, ფრთხილად! თვითონაც ხელი შეაშველა უფსკრულის თავზე აწეულ საკაცეს. აღუას ახლოსაც აღარ აკარებდნენ: შენ საკმაოდ გაწვალებულხარო. გულდამტკბარი იყო აღუა. ისეთი სიფრთხილითა და

მოწიწებით მიჰყავდათ ჯამრუსის, იეშუას კაცი, მცირე კი არა, თვით მაჰმადი წევს საკაცეზეო. უსწორმასწორო და უგზო სავალმა ჭრილობიანი ფეხი მაინც შეუწუხა: აშლილი ტკივილი გულს მოეხვია ჯამრუსს. სიცხისაგან იწვოდა და გონება ეკარგებოდა. ნეთხაში აბოლებული მიიყვანეს (67,141).

ექვი არ არის, რომ ღაზის ოჯახში მთის მკაცრი ღვინო მოქმედებდა: „ღვინეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ სიცოცხლე ემართოს სისხლისა“.

ახიელაში კი ამ დროს კალოობა იყო გაჩაღებული. ხევსურის ქალები სამუშაოს ეშურებოდნენ. გამორჩეულად ღარიბიანი იყო ადუას დედა, ვისაც მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. მონადირეებს ორჯერ მოსვლის ხანი ჰქონდათ და ისინი კი ჯერაც არ ჩანდნენ. გული რაიმე ხიფათს უგრძნობდა:

„ალბათ ქისტებს თუ გადაეყარნენ და ერთურთი ჩახოცესო. ვაითუ კლდეებში ჩაიჩეხნენო. გულის ხეთქვით მოელოდა ავხმის მაცნეს, ვაითუ უპატრონოდ ყრიან და ყვავ-ყორნები სჯიჯგნიანო“ (67,142).

ასევე შეწუხებული ჩანდა ჯამრუსის ღიაციც.

უცბად წყნარად დაიკივლა აშექალმა (ადუას დამ) და აგილზე გაშეშდა. ქისტეთის მხრიდან საჯიხვის კლდიან ბილიკზე ვიღაც თავგამეტებით მოაქროლებდა ცხენს:

„ხვეულებს პირდაპირ სჭრიდა, კლდეს ნალით მოამტვრევდა და ყოველ წამს მოსალოდნელი იყო ცხენ-მხედრის დაგორება. ყველა შეჩერდა და გაოცებით დაუწყო ცქერა. ხევსურებიც კი გააოცა მხედრის სიმამაცემ“ (67,143).

მხედარმა სოფელში შემოაგდო ცხენი, „ოფლში და ქაფში მცურავი შავრა, საფიხვნოსთან მოსწია ლაგამს და ლაშქართხმული ყალყზე შეაყენა. აღვირს მოუხია, მოაბრუნა და თავიდან მოვარღნილი ბოხოხი ჰაერშივე დაიჭირა“ (67,143).

ახლა კი იცნეს ხევსურებმა ქისტი და მაშინვე იარაღს ეცნენ „ ხევსურნო, საღარაა გაბრაზებულა, საღარაა! შესძახა ქისტმა. ცხენი ლაგამს ხრაკავდა და პატრონის გატაცებას ცდილობდა. პატრონი კი რკინის მკლავით უგრეხდა კისერს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. გაფიცხებული ცხენს ადგილზე ათოთქროვებდა. მომწინებული ოფლების შავტუჩებსა და ხმლებს გულგრილად არიღებდა თავის და დაცლილობისაგან ფერმკრთალ არსებივებურ სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. მოძმეთა მარჯვენებით აყვავებული სახლ-კარშაკს შავ კედელს შეავსო თავისი. აღრინდელები თეთრად ელვარებდა, გვიანდელებს კი ჯერ ისევ შავად შემხმარი ტყავ-ხორცი ჰფარავდა. „საღარას სახლი იქნებაო“ ამის გაფიქრება და იარაღში ჩამჯდარი ვაჟკაცის გამოჩენა ერთი იყო. იარაღს ეცნენ ხევსურები: მოსისხლე ქისტი როგორ შემობედავდა სოფელში, თუ უკან მტრის ჯარიც არ მოჰყვებაო. საღარა მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა ქისტს და თვალი თვალში გაუყარა.

მე ვარ, საღარა, რა გინდა!“ (67,143-144).

ლაზი საღარას გამოემცნაურა და შეატყობინა, რომ ადუას ხელით შემოხვევით დაჭრილი ჯამრუელი მოგვყავს და მოგვეშველეთო.

„ქუჩის მოხსით დაემშვიდობა ცველას, თავი ცხენის კისრამდე დახარა, სოფელში ცხენდაცხენ შესვლისათვის პატივება ითხოვა და საღავე მიუშვა. ელვასავით გავარდა სოფლიდან“ (67,144).

ხევსურები გვიან მოვიღინენ აზრს, მოსისხლე მტერს ნეთხელ ლაზის ანთებული თვალები გააცეცხლებს და თოფები შემართეს, მაგრამ საღარას ბრძანებით თოფები ძირს დაუშვეს და როდესაც ლაზის მოსვლის მიზეზი გაიგეს დაეჭვდნენ, რომ ადუა და ჯამრუელი ცოცხლები იქნებოდნენ და ქალების წივილ-კივილითა და მოთქმით, მამაკაცების ლანძღვა-გინებით შეუდგნენ აღმართს.

ალუის ლესის ბერკლეულის შვილის მკვა არაფერი ცხარებოდა პირველი ავიდა ქისტეთის გასაასვლელზე. „ავიდნენ და აღგილზე გაჩერნენ. ენა გაებათ, თვალს არ უჯერებდნენ“. (67,146)

„საკაცეზე შემოწოლილი ჯამრუხის გარს მოისხდომოდნენ ალუა და ცხა-ათიოლე ქისტი. წუხის აბოლებდნენ, მხიარულად მასლაათობდნენ. ღიმილით წამოიძახნენ ქისტები, ქუდის მოხდით მიესალმნენ ხევსურებს“ (67,146).

ბერკეტეულები პირველი მიიჭრა ჯამრუხთან და გაიგო, რომ სინამღვილეში ქისტებმა გადაარჩინეს სიკვდილს ჯამრუხი, უმასპინძლეს და ექიმიც დაუყენეს თავზე.

„ბერკეტეულმა სათითაოდ შეათვალიერა თოფ-იარაღში ჩამჯდარი აშოლტილი ვაჟკაცები. მათი გარეგნობა და ვაჟკაცური იერი ხიბლავდა კაცის თვალს. წამოდგა, ღაზის მიუახლოვდა, კისერი ჩამოხარა და გადაკოცნა.

ამდენს კი ვერ გაუძლო დეკეროვანთა გულმა, თავსაფრის ბოლოებით დაიწყეს ცრემლების წმენდა. დამუნჯებული მამაკაცები მოწყლიანებულ თვალებს მალავდნენ. რკინით გადაჯეჭილი ქისტი ვაჟკაცების შემხედვარეს ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში. იგრძნობოდა, რა ბასრი იყო მათ წელთ ნაბამი ხანჯლები და რა პირმოუცველელი იყო მათი თოფები. იგრძნობოდა სიმკაცრე ჟინუკიანი მთებისა“ (67, 146-147).

ძნელია აკეთო კომენტარები და მკითხველს არ აცალო დატკბეს მწერლის მართალი შემოქმედებით. მხოლოდ ნამდვილ შემოქმედს შეუძლია არ გააყალბოს ფაქტები და მტრის ღირსება ღირსეულად გაიღმოსცეს. გიგი ხორნაულის შემოქმედებაში ქისტი პერსონაჟები ისეთი ღიდი სიყვარულით არიან აღწერილნი და ისეთი ვაჟკაცური თვისებებით შემკულნი, რომ გული სიამაყით გეევსება. მწერალი არ თაკილობს საკუთარზე წინ

ადამიანის შესაძლებლობა ლირსება, თუმცა ამ შეხედულებაში მისი საკუთარი კი არ კისრება, პირიქით...

ეფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია მოთხრობის ფინალისათვის. მწერალი ამას თავად მშვენივრად ახერხებს:

„ქისტებმა სადავეები აუკრიფეს ბალახზე მიშვებულ ცხენებს. ქუდის მოხდით და თავის დაკვრით დაემშვიდობნენ ხევსურებს და უსანგრში ფეხის შეუდგმელად მოახტნენ ცხენებს.

ღაჩი! დაუძახა ჯამრულმა.

ჰაი, ჯამრულ! უპასუხა ღაზიმ და ცხენი ჯამრულთან მიაგდო, მქისეც ჩამოხტა და ცალმუხლზე მდგარმა ხელი მიაგება ჯამრულის გამოწვდილ ხელს. ორი დაძარღვული, დაკოჟრილი ვეება თათი ერთმანეთს ჩაეჭიდა.

- როცა მოვრჩები, არაყით გაიმოვალ შენთან, ფიცვერცხლი უნდა ვჭამოთ.

ღაზის სახე კიდევ უფრო გაუბრწყინდა და ერთ ხანს უხმოდ დასცქეროდა ჯამრულს.

ბედნიერი იქნება ჩემი ოჯახი, ჯამრულ, თუკი ამდენად დაგვაფასებთ. ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის.

მერე სწრაფადვე მოახტა ცხენს, შეუერთდა მომლოდინე მხედართა ჯგუფს და მათთან ერთად მოხდენილი ჭენებით გაეშვა ქისტეთისაკენ“ (67,147).

ასევე, მოძმე ხალხისაღმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით არის დაწერილი გიგი ხორნაულის მოთხრობა „ქისტეთში“, სადაც მწერალი დაწვრილებით აღწერს თავისი და მეგობრების ნადირობას ქისტეთში, ქისტების შეუდარებელ სტუმარ-მასპინძლობას, ქართველებისაღმი მათი მხრიდან გამოხატულ სიმპათიებს, ძმობისა და მეგობრობისათვის მათ მზადყოფნას.

სწორედ მიიპყრო და შეარხია ქისტების ადათ-წესების, ტრადიციებისა და სისხლით დაწერილი ისტორიის კარგად ცოდნამ მისცა უფლება მწერალს "შემდეგი სიტყვებით დაეტუქსა სანადირო ალევნებული „მეგობარი":

„ როგორ მოახერხე, რომ ქისტებზე ჩეჩენ-ინგუშებზე, იმათ ვაჟკაცობაზე არაფერი გაგიგია?

- ვინა ბიჭო, ესენი? გინდა ჩემი ცენტრალით გამოვერიო და მთელი სოფელი წინ გამოვიყარო? (ამბობს ტახის მიერ შეშინებული მონადირე).

აუჰ, შენთვის მართლაც ვერ უშველია ქალაქს..., ესენი, შენ რომ იცოდე, თავის ღრიჭოზე რუსის ჯარმაც კი ვერ გამოიყარა წინ..., ამათ შენისთანები კი არა, ნაპოლეონის წინააღმდეგობაში ნასახელარი გენერლები გამოიყარეს წინ... გვყავს კიდევ ერთი მწერალი ვაჟა-ფშაველა, იმისი პოემები რომ წაგეკითხა..." (68,232).

ასეთი სამართლიანი და შეუპოვარია მწერალი უცილობელი მამულიშვილის მიმართ.

მოთხრობის დასასრულს კი ისევ უკომენტაროდ დავტოვებთ:

„მამაცმა ქისტებმა კლდიანი, მიხვეულ-მოხვეული გზა მართლაც რომ თავაწყვეტილი ჭენებით ჩამომაქროლეს. იქ მანქანა რაღაც გააჩერეს, ჩამაბარეგეს, ცოტახანს საპატიო ესკორტივით მომაცილებლენენ, მერე ხელის ქნევით კიდევ ერთხელ დამემშვიდობნენ, უცებ შებრუნდნენ და არმხის ხეობაში გაუჩინარდნენ" (68,249).

ერთი რამ უდავოა ამას კიდევ და კიდევ გავიმეორებ და ამასვე ამტკიცებს გიგი ხორნაულის შემოქმედებაც, რომ ვაჟკაცობისა და ურთიერთდანდობის ღირსეული ტრადიციის ფასი ქისტმაც იცოდა და ხევსურმაც.

თავი VI

ვაინახების 1944 წლის გენოციდის ასახვა ქართულ მწერლობაში

Но была одна нация. которая совсем не поддалась психологии покорности - не одиночки. не бунтари. а вся нация целиком. Это чеченцы.

А. Солженицин

ღილღო და ღილღოვლები გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზიაში

ღილღო და პოეტი

ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის შემდეგ ქართულ მწერლობაში გაბრიელ ჯაბუშანურმა თავისი შემოქმედების თემად მთიელთა ცხოვრება გაიხადა. განსაკუთრებით გამოკვეთილად დახატა თავისი მეზობელი ქისტების ტრაგედია ცნობილი 1944 წ. 23 თებერვლის გენოციდის შემდეგ.

მწერლისთვის, პოეტისთვის აუცილებელია ცოცხალი ობიექტი, რომ მასზე დაკვირვებით შეეძნას ნათელი სურათი გმირის ხასიათის, სნე-ჩვეულებისა, ყოფა-ცხოვრების შესახებ. ხოლო ტიპაჟების შესაქმნელად აუცილებელია საზოგადოება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

გაბრიელ ჯაბუშანურმა თავისი ლექსების ციკლში „ჰოი, ღილღოს დაღრუბლულო ცაო“ დაგვიხატა მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცლილი, ყოველი სულიერისაგან დაცარიელებული ქისტური აულები, რომლებიც თავისი მღუმარებით თავზარს სცემდა პოეტს. სწორედ ამაშია ჯაბუშანურის ნიჭიერება: მან თავის პოეტურ შეღევრებში ალაღგინა ქისტური აულების ყოფა-

ცხოვრება, ქისტური საზოგადოების ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები. კითხულობ მის ლექსებს, ბალადას თუ პოემას და თვალწინ გიდგება სიცოცხლით სავსე მთის აულები, მთის ფერდობებზე გაშლილი ცხვარ-ძროხა, მოჯირითე ჯიგიტები და წყაროზე მიმავალი ქისტი ქალიშვილები.

გაბრიელ ჯაბუშანური არხოტელი ხევსური იყო.

არხოტი ღილღის, ლღეანცელ მთიან ინგუშეთს ესაზღვრება. ერთი მდინარის ხეობაში ცხორებდნენ ქართველები და ვაინახები. ქართველები ხევსურებს მდ. ასას სათავეები ეკავათ და მდინარესაც არხოტის წყალს ეძახდნენ, ხოლო ვაინახ ღილღველებს მდინარის შუა წელის აუზი. გაბრიელ ჯაბუშანური ამ ფაქტს პოეტურად გადმოგვცემს ლექსში „მიძღვნა მდინარე ასასადმი“:

„დაბადებული არხოტს არაგვად
სახელსაც იცვლი ღილღურ გაგებით...
ასავ, არაგვი, ვიცი, არა ხარ,
მაგრამ მე მაინც მეარაგვები“ (71,21).

ქართველები მეზობლად მცხოვრებ ვაინახებს ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: დურძუკები, ძურძუკები, ღილღველები, ქისტები. საერთო სახელი ქისტები საქართველოს მთიან მოსახლეობაში გაბატონებული იყო ვაინახების აღმნიშვნელი ახალი ტერმინების - ჩეჩენისა და ინგუშის წარმოშობამდე. ღლესაც მთაში მცხოვრები ხევსურები, მოხევეები, მთიულები, ფშავლები და თუშები ქისტებს უწოდებენ ვაინახებს.

ტერმინი ღილღვი, ჩვენი აზრით, ღალღაისგან უნდა იყოს წარმოშობილი. ინგუშები თავიანთ თავს ღალღაის უწოდებენ.

ლალღის ოქიჟი ცხოვრობდა მდ. ასას ხეობაში. უმჭიდროდ დასახლებულია არხოტის ხევსურულ რეგიონს. თარგიმის, ხამხისა და ეგიკალის ტაფობში მოხდა ლალღის ტომის ჩამოყალიბება. ეს რეგიონი გამოირჩევა თავისი არაჩვეულებრივი კლიმატით.

„საოცრად სიმშვიერი, იბილი და მშრალი კლიმატი არმხის, ასას, არგუნის ხეობებისა უფრო ჯანმრთელია, ვიდრე შვეიცარიის სახელგანთქმული მაღალმთიანი კურორტი დავოსისა. წლის განმავლობაში საშუალოდ აქ აღირიცხება 140 მზიანი დღე (ამიტომაც უწოდებენ „მზიან ხეობას“), როცა დავოსში 97 დღეა მზიანი. ნალექის რაოდენობა არმხში 570 მმ-ია, დავოსში კი 632 მმ. უაღრესად მდიდარია აღნიშნულ ტერიტორიაზე ფლორა და ფაუნა“ (62,77).

არხოტსა და ღილღოს შორის არსებობდა მჭიდრო ურთიერთობა როგორც ეკონომიკურ და კულტურულ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროშიც. სხვათა შორის, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ძველად არხოტს, ამღასა და ახიელაში ქისტები სახლობდნენ.

„...არხოტში ძველად ქისტების ცხოვრების შესახებ ვოლკოვი შემდეგს წერს: „იმაზე, რომ არხოტში წარსულში ინგუშები ცხოვრობდნენ, ლაპარაკობს ისტორიული გაღმოცემები, არხოტის კოშკების არქიტექტორული სტილი, საკულტო ინსტიტუტები, ტოპონიმები“ (62,83).

ამ საკითხზე დაღებითი პასუხები აქვთ ქართველ მკვლევარებსაც (ა. შანიძე, ს. მაკალათია, მ. ჯანღიერი, მ. ლეჟავა). ამ მეცნიერთა მოსაზრებებზე დაყრდნობით ნ. ჯალაბაძე წერს: ეთნოგრაფიული მონაცემებისა და ხალხური გაღმოცემების თანახმად დღევანდელ ქართველ მთიელთა საცხოვრისი მათ მიერ შემღგომ იქნა დაკავებული. მაგალითად, არსებობს გაღმოცემა,

რიჩლის თანახმად წინაა არხოტ'ში არაქარიულები ცხოვრობენ, ხალხსაც მიუთითებენ მათ ნასახლარებსა და აკლდამებ'ზე არხოტის მკვიდრნი. შემდეგ ისინი აერიშან და მათ ნასახლარებ'ში ხევსურები ჩასახლებულან. ხალხს კი იმ ძველი მოსახლეობიდან მხოლოდ ერთი გვარია დარჩენილი - ჯაბუ'შანურები" (72,19).

ორ მე'სობელ ხალხს ძალიან ბევრი რამ ჰქონდათ საერთო ადათ-წესებსა და 'სნე-ჩვეულებებ'ში, ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებაში. ჰქონდათ მეგობრული, ნათესაური ურთიერთობები და მტრული, სასტიკი და დაუნდობელი შუღლიც. ურთიერთ მეკობრული თარე'ები, მესისხლეობა დამახასიათებელი იყო ისტორიულ წარსულში არა თუ სხვადასხვა ეროვნების მთიელებს შორის, არამედ ერთი ეროვნების წარმომადგენლებს შორისაც.

„...ოღესღაც მოსისხლე და მოშუღარ ("ქისტებსა, არხოტ'ვნებსა დღე-შუ სისხლის წყალ უდისა", ნათქვამია ერთ ხალხურ ლექსში), ერთურთის გზა-კვალ'ზე გამუდმებით მზერა-დადარაჯებულ ქისტებსა და ხევსურებს შორის ნამღვილადამიანური ნდობა, გაგება და თანაგრძნობა დამყარდა იმ ავადსახსენებელი რეპრესიის შემდგომ ხანებ'ში. ჩვეულებრივ ამბავი იქცა საძმო და სამეგობრო განწირახვით ღილღეველთა და არხოტელთა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა.." (71,11-12)

სწორედ „ავადსახსენებელი რეპრესიის" შემდეგ ჩაღის გაბრიელ ჯაბუ'შანური სხვა თანამოძმეებთან ერთად ღილღოში და 17 წელი იცხოვრა ღილღოს ცის ქვე'შ. სწორედ გ. ჯაბუ'შანურის ღვაწლია (შემოქმედებითი და პირადული), რომ ქართულმა საზოგადოებამ გაიგო იმ ტრაგედიის სიღრმე და სიმძიმე, რომელიც ვაინახებმა განიცადეს საბჭოეთის ხელისუფლებისაგან.

„პოეტი გ. ჯაბუშანური, რომელიც ალნიშნულ პერიოდში არხოტისან ღილღოს გაღასახლება და იქ ღაემკვიღრა, მეგობრისაღმი მიწერილ წერილში (ღათარიღებულია 1944 წ. 09.07) წერს:

„სამი თვეა თითქმის, რაც ღილღოს ვიმყოფები. აქ ღიღი ამბები იყო ამ რამღენიმე თვის წინათ ღავლის ხვერის თვალსაზრისით... მაშინ აქ გაღმოსახლება'ზე ხმა არ იყო...

ამჟამაღ მისვლა-მოსვლაა. მიმღინარეობს სიმინღის თოხნა, სხვა სამუშაოები. ხალხი მშვიღაღ მაინც არ არის: ჯერ აქ სრული სიმშვიღე მაინც არ სუფევს - ქისტი ყაჩაღებია განაპირა სოფლებში. ჩვენთან მაინც არ აქვთ ცუღი ურთიერთობა, ჯერჯერობით არ გვერჩიან. მერე ვინ იცის, რა იქნება. რაც უნღა იყოს, მე კი ღაველმკვიღრე ღილღოს... ამ ერთი თვის წინათ აქ გარნიზონი იღგა, მათ ღა ქისტებმა ღახოცეს ერთმანეთი, ორი ქისტი მოკლა ჯარის ღაზვერვამ. ქისტებმა კი ღაზვერვაში მყოფი ხუთივე კაცი მოკლეს. მათ შორის ერთი ლეიტენანტი...“ (72,82).

1944 წ. 23 თებერვალს მთელ ჩეჩენ-ინგუშეთში შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის ღიღი კონტინგენტი და ერთსწროულაღ თითქმის მთელი რესპუბლიკის ღასახლებულ პუნქტებს ალყა შემოარტყეს. მოსახლეობას მიეცა ერთი საათის ვაღა, რათა მომზაღებულიყვნენ მშობლიური აღგილების ღასატოვებლაღ. ქ. გროზნოში შეიქმნა გასახლების შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობღა ლავრენტი ბერია. იგი ჯავშან ვაგონში იმყოფებოღა და ყოველ საათში მოახსენებღა კრემლში სტალინს ვაინახების გაღასახლების ოპერაციის მსვლელობას.

განსაკუთრებით მძიმე იყო მთის მოსახლეობის მღგომარეობა. მთიელის მთავარი სიმღიღრე საქონელია და საქონელს ერთ

საათში ისევ ვერ გაასაქმებდა, თან რომ წაეკლო. უკიდესმა ნაწილმა ერთი კვირის საგზალიც კი ვერ წაიღო თან. ამას დაუმატეთ დიდძოვლობა, რაც ხელს უშლიდა მოსახლეობის ბარში ჩაცვანას. იმ აღგილებში, სადაც არ ხერხდებოდა მოხუცებისა და ავადმყოფების გადაყვანა, აღგილზე ხოცავდნენ. ამ ოპერაციაში „თავი გამოიჩინა“ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, რომელიც წინასწარ იყო მობილიზებული. პოლკოვნიკმა გვიშიანმა მაღალმთიან აულ ჰაიბახში 750 მოხუცი, ქალი და ბავშვი შერეკა კოლმეურნეობის საჯინიბოში და ცეცხლი წაუკიდა. გარეთ გამოცვენილ ცეცხლმოკიდებულ ადამიანებს ტყვიამფრქვევით ცხრილავდნენ. ვაინახების გადასახლებისას დაიღუპა დაახლოებით 200 ათასი ადამიანი.

მოსახლეობისაგან დაცლილ აულებს მეზობლები შეესივნენ და ძარცვა დაუწყეს. ეძებდნენ ოქროს, ფულს, იარაღს და შლიდნენ და უმოწყალოდ აკცევდნენ რუსი ჯარისკაცებისაგან ისედაც აოხრებულ საცხოვრებელ კოშკებს, სათავსოებს.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორია განაწილდა მეზობელ რესპუბლიკებს შორის. საქართველოს საზღვრის გასწვრივ მთიანი ზოლი - ქისტეთი გადაეცა.

იმ რეგიონში, რომელიც საქართველოს გადაეცა, ქართული მოსახლეობა ჩასახლდა. ცხადია, უფრო მწირ და მკაცრ მთებში შეკუმშულ სოფლებში მცხოვრები ხევსურებისათვის ხელსაყრელი იყო ზომიერი კლიმატისა და ნაყოფიერი მიწებით ცნობილ ქისტურ აულებში ჩასახლება, და კიდევ: ქისტებს, რომლებიც 2 საათის განმავლობაში აყარეს მშობლიური აღგილებიდან, მთელი ქონება დარჩათ, თან მხოლოდ საგზალი წაიღეს.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველები (ხევსურები) ერთადერთი ხალხი იყო, რომელთაც იცოდნენ, რომ ქისტები

რაიონის მიმართულებით ცხინვალის ოკუპანტებს და გა-ფრთხილდნენ მათ მიწა-წყალს.

„1944 წ. ჩრდილო-ინგუშეთის ბაზა აზიაში გადმოსახლების შემდგომ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები (ძირითადად ხევსურები) ოკახებით ჩასახლდნენ ვაინახთა ტერიტორიაზე (ასის და თარგიმის ქვაბული) და დაეპატრონენ მათ ქონებას. ამ რაიონს ახალხევის რაიონი ეწოდა. ჩრდილო-ინგუშეთში გადასული ხევსურები ქისტების მიწა-წყალს ისევე უფრთხილდებოდნენ, როგორც საკუთარს. ქისტების სახნავ-სათიბები, ხევსურეთის მსგავსად, კომლებს შორის იყო დაყოფილი და განაწილებული. ქართველებმა ის ერთიმეორეში გაიყვეს და ერიდებოდნენ მათ გაერთიანებასა და საზღვრების მოშლას“, წერს ნათია ჯალაბაძე (72,79).

„1944 წლის გაზაფხულზე, ასე, აპრილის შუა რიცხვებიდან, როცა თოვლები აშრა, ქინწყლები დადნა და სამთაბარო გზები გაიხსნა, საარსებო სახსრის მომატების მოიმედე არხოტელებმა დედაბუდიანად მიაშურეს სულ ცოტა ხნის წინათ დაცარიელებულ ქისტეთს; ცხენებს აკეთეს თავიანთი მწირი ქონება, საოჯახო ავლა-დიდება და მაქმაღიანთა აულებში აირინეს ახალი ბინა სამყოფელი. ნოყიერი მიწა, ზომიერი კლიმატი და გაცილებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ოკახების რჩენა-შენახვას უიოლებდა საკვიხვების (არხოტის თემის ერთ-ერთ სოფლის სახელწოდება „ახიელი“ ქისტურად საკვიხვეს ნიშნავს) სიმაღლიდან შეცარებით ალგილებში ჩამოსულ ხევსურებს“, წერს გ. ჯაბუშანურის წიგნის წინასიტყვაობაში ამირან არაბული (71,4).

დაცარიელებული, გაპარტახებული აულების ხილვამ მთლიანად შესძრა ჯაბუშანური. მისმა პოეტურმა სულმა ძლიერ განიცადა მოძმე ხალხის შემსარავი ტრაგედია და აღშფოთდა მუხანათური უსამართლობის გამო.

„დალონებულო, კენტო აულო,
მიტოვებულო და უპატრონო,
მინდა, მარტვილი გაგემცნაურო
და შენთან ერთად ცრემლი დავწურო“ (71,13).

ამბობს პოეტი და შესთხოვს ღილღოს: „მიმიღე, როგორც მკვიდრი ღილღეული“, რაითა გაიხიაროს მისი ჭირ-ვარამი, მართალია, როგორც თავად პოეტი მღ. ასას მიმართავს, ღილღო სხვა ქვეყანაა, არხოტის ქრისტიანული წყალი ღილღო'ში მაჰმადიანურ ასად იქცევა:

„სათაყვს ჩემსავ არხოტ'ში ილებ,
იქ ასეც გჭვია: - არხოტის წყალი;
მერე დაარღვევ ღილღოს და ღილღეულთ
მიჯნას და წვერსაც მათსავით ულალი
ინით ილებავ, - შარიათს მისდევ,
შენ - ქართველ ხევსურს ღილღეულ-თათრები
მიგაგიწყებენ დალანდულ ქრისტეს
და დღისით მაჰმადს დაენათლები“ (71,20-21).

მაგრამ პოეტს სჯერს, რომ ღილღომ იგი თავის მკვიდრად აღიაროს, რადგან იგი ეძმო ახალი სამშობლოს მიებსა და კლდეებს. ღილღოს პასუხიც ისტორიულია. პოეტი გრძნობდა, რომ ოდესმე იძულებით დევნილი პატრონი დაუბრუნდებოდა მშობელ მხარეს:

„ვინც გეძმე ღილღოს მთებს მთებზე მიყრილს,
კლდეს კლდეზე დებულს დამჭიდროებით,
ვინც ქისტეთს შეკვეც:
„ - ვარ შენი მკვიდრი!“
და პასუხს ვისმენ:
“ - დარჩი, დროებით!“ (71,53).

ტრაგიკული პოეტის შრომალწლიანი ცხოვრება ლილეთში. მან აქ გააბარა შემოქმედების ცველაზე ნაყოფიერი წლები, შექმნა საუკეთესო ლექსები, ბალადა თუ პოემა. ლილეთი იქცა პოეტისთვის თავისებურ მუზად, როგორც კავკასია მე-19 ს. რუსი პოეტებისათვის. „ლილეთი გახდა გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტური შემოქმედების წყარო, მისი სულიერი სამრეკლო“ (63, 189).

პოეტი მძიმედ განიცდიდა გლეხურ საქმიანობას ლილეთში. ჯერ ერთი, თავისთავად მძიმე იყო ახალ მიწაზე ახალი ცხოვრების აწყობა. მთიელის ცხოვრება უაღრესად მძიმეა, ლუკმაპურის შოვნა დიდ ჯაფად უჯდება. გაბრიელ ჯაბუშანური ვაჟაფშაველასავით მძიმე შრომას ეწეოდა: ხნავდა, თესავდა, მკიდა, ლეწავდა, საქონელს აძოვებდა და იშვიათად პოულობდა დროს შემოქმედებისათვის. ისიც ვაჟასავით ყველგან წერდა ლექსებს; სახლში, მინდორში, მთებში. მისი ლექსების მინაწერი გვატყობინებს, რომ იგი დაიწერა რომელიღაც აულში, ხარების ძებნისას, ნაცირობისას და სხვა.

მიტოვებული აულების სახლების ჩხრეკის დროს პოეტი ხშირად ისეთ რამეს წააწყდება, რაც ამძაფრებს პროტესტის გრძნობას საკუთარი ქმედებისადმი. მაგალითად, ერთ-ერთ სახლში.

„აქ უახლესი გდია აკვანი
ჯერ კიდევ ქისტის ბავშვდაუწვენი“ (71,58).

მეორე სახლში:

„აქ სახლის პატრონს უთლია სკამი, -
აწ ვერავ დასვას მასზე სტუმარი!...
დალეწილია კოჭი და ჯამი,
ძირს გდია ქუდა და სასთუმალი“... (71,58).

და რაც ქვესა'ზე ყურაი თაკ'სარდაბ(ჯ)ბია. იყო ქრთ-ქრთ სახლ'ში წ'აა'ჭ'კა ღუთის გმობას:

„გადაშლილ კურანს ნატეხი ხანჯლის
არჭვია, როგორც სანთელი ცვილის...
ჩალეწილია მინები ფანჯრის
და მოსთქვამს კერა სველი და ცივი...“ (71,58).

ღილღოს დაცარიელებულ აულებ'ში ქველაფერი გაპარტახებულია, ახლად დაცარიელებულ სახლებ'ში წამბი მიიწევს, ქველგან კერა გაცივებულია, თითქოს რაღაც სტიქიურმა უბედურებამ გადაუარა ამ ქვეყანას და გაანადგურა, რაც უზომო სევდას იწვევს პოეტში:

„მიდის მზე, - ვუმზერ ახალ სამყოფელს, -
მთებიდან დეწინილ ჭისტების აულს,
ისევ თან მახლავს სევდა სამყოფი
და გერ გცილდები ცხოვრების ხმაურს“ (71,59).

განსაკუთრებით მძიმე წ'ითაბეჭ'დილებას ტოვებენ ის აულები, სადაც „...ქველა სახლი ისე გამოჩანს, როგორც არ'ივის ღიაცლილი ბუდე“.. სადაც მხოლოდ ციხე-კო'შკები და სახლები ღგანან ფეხზე. გარ'შემო კი ქველაფერი პირქვე დევს:

„ციხე-კოშკები მოზარეთ ჰგვანან,
აკლდამებიდან ჩონჩხნი ბღავიან;
აქ სწორად მარტო სახლები დგანან, -
სხვა ქველაფერი მოპირქვაცეა...“ (71,59).

პოეტი თანაუგრძნობს დაქვეითებულ ღირებულებას და განცდილ ღირებულებებს. იმდენად ღიღია შეძრწუნება ასეთი უსამართლობის გამო, რომ თავს დამნაშავედ მიიჩნევს, ღამე მოსვენებას არ აძლევს, სმანებები ეძალება:

„ვებრძოლო ღამეს, გულს და ზმანებებს,
აშარი ფიქრი რომ ამიზეზეს,
ამ მიდამოთა გაფერანების
„თითქოს მე ვიყავ ერთი მიზეზი“ (71,55-56)

კი, გაბრიელ ჯაბუშანურმა იცის, რომ იგი არაა დამნაშავე ბოროტებაში, რომელიც რუსეთის იმპერიამ ჩაიდინა ვაინახების მიმართ, იცის, რომ „ღირებულ დაღუპა მისივე სისხლის თავაღებულმა ველურმა შფოთმა“ (71,56), მაგრამ როგორც ადამიანი, მთლიანად ვერ იხსნის პასუხისმგებლობას ჩადენილი ბოროტების გამო, ეს არ არის შიშველი კოსმოპოლიტიზმი, ეს არის იმ ადამიანის განცდა, რომელიც ითავისებს, ადამიანის ტკივილს. ასეთი რამ მხოლოდ ერთეულ ადამიანებს ახასიათებთ და ასეთ ადამიანებს ჯაბუშანური, უეჭველად, მიეკუთვნება:

„და მაინც: - როცა კენტი მკუფარი
შუალამისას ყუფდა სიმძიმილს,
მე გრძნობა მწვავდა გაუგებარი
და ზარის მოწმეს არ მქონდა ძილი“ (71,56).

17 წელი იცხოვრა ლილეოში გაბრიელ ჯაბუშანურმა, იწვნია პოეტური შემოქმედების სიხარული და უმეტესად შეუნე-

ლეგენდა ნაღვლის. რომელიც ჯერ კიდევ ბიბლიიდან აშინაყვა. ღილღო'ში დამარხა ოჯახის წევრები და გულის სარჩოც:

„ალარც ბიძა მყავს, ალარც ძმა,
არც მამა, არცა მშობელი,
მზექალიც სენმა დახარჯა,
უმიჯნა მზე და სოფელი.
ღილღოს მიწაში ხუთივე
წევს ნათელგაუკარები,
დამეს ოლოლნი უთევენ
და ლექსთა ჩემთა პწკარები...“ (71,56).

დადგა ნანატრი ჟამი და ყაზახეთის შორეულ ველებზე გადასახლებულ ვაინახებს კავკასიაში, მშობლიურ მიწა'ზე დაბრუნების ნება მიეცათ. და ხალხიც, მიუხედავად მრავალმხრივი წინააღმდეგობისა, იწყებს დენას მშობლიური მთებისაკენ. ერთადერთი ხალხი ვაინახების მეზობლებში, რომელმაც უკუღმანოდ დატოვა ვაინახების მიწა-წყალი, იყვნენ ქართველები: არხოტელებმაც დატოვეს ღილღო, ზოგი არხოტს დაბრუნდა, ზოგმა ბარს მიაშურა:

„როგორც ქისტებმა, კარგა ხნის წინათ,
დატოვეს ღილღო არხოტელებმა...“ (71,49).

გაბრიელ ჯაბუ'შანურმაც, რომელიც ჯერ კიდევ ქისტების დაბრუნებამდე აპირებდა ღილღოს დატოვებას, დარიალს მიაშურა:

„მე კი დარიალს შემოვდექ -
უთვისტომო და მარტვილი

და ჩემი ყოფნის შემოდეგს
ლარსის კლდეებთან დაგტირი“ (71,51).

შემდგომ წლებშიც მოგონებები ტანჯავდა პოეტს. ღიმილი ეძახდა, ხშირად ესიზმრებოდა, ეკამათებოდა და ლაბრუნებაზე უარის მტკიცედ აცხადებს:

„შენ მგოსნის გული გაუყავ არხოტს
და მკერდში ლექსის დამეც დანები;
ნუ წირავ: ჩემში ქართლის მზეს წარხოც,
თუმც შთაგონებად დამედევნები...
ჩვიდმეტი წელი ერთი წამია,
საშობლოს ცა კი სიოცხლეს უდრის;
ამაოდ მიწევ, ალარ წამოვალ,
აწ დავიწყების იწყება მწუხრი“ (71,52).

ჭეშმარიტად მართალია ამირან არაბული, როცა წერს:

„...და თუკი ვინმეს გული ეწურებოდა და ელევნებოდა ამ ცოდვა-ბრალით აღსავსე წლებში განუკითხავი ძალმომრეობის მორიგ მსხვერპლთა გამო, თუკი ვინმე მართლა გრძნობდა და თავისობდა მშობლიურ ბუდეს ძალით აგლეჯილი და ყაზახეთის უსახურ ველებზე წასხმული ქისტების სარავანღივით მწარე ხვეკრას, ერთი პირველთაგანი მათ შორის უსათუოდ გაბრიელ ჯაბუშანური გახლდათ, ხატ-ღმერთის წინაშე პირსწორი კაცი და ჭეშმარიტი პოეტი, ვინც, ყოვლისშემძლე განგებისა თუ წერა-მწერლის ნებით, საკუთარი სიცოცხლის თითქმის მესამედი ღიმილის პარტახ აულებში გახარჯა“.

გაბრიელ ჯაბუშანურის ლილღური ლექსების ციკლში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქისტ ქალებს. ქისტის ასულების, ოქროსთმიანი ქალიშვილების ხორბა-ლიღება მრავლად გვხვდება ქართულ სეპირისიტკვიერებაში და, ასევე, ქართულ მწერლობაშიც. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში, რომელიც 1884 წელს ჩაუწერიათ სტეფანწმინდაში, მოქმული აშკარად გამოხატავს თავის უღიღეს სიმპათიას ქისტი ქალის მიმართ:

„ქალი ქისტი სჯობს ხევსურსა
ვაჟი კი - ორსოებლელი,
სამდევროდ - გუდამაყრელი,
თავის ბან-კარზე - სნოელი“.

ხევსური ხალხური მთქმელი მგელიკა ჭინჭარაული კი არც რჯულის სხვადასხვაობას ეპუება:

„იქაც წაგალ ტერელოს
ქისტის ქალაის გუმანსა,
ქალ იყვას, რჯული რა არის,
ყურს არას ვუგდებ ყურანსა.
შენც უნდა მიჰყვე ცხოვრებას,
წუთისოფელ თუ ბრუნავსა,
ფესით თუ ვერ დაეწევი,
თავს გადაეკლე ჭურანსა,
ერთხელ რომ ჩასჭრა ცხოვრება,
მსჯობს ამდენ დარდსა და ჭმუნვასა“.

შაკრაჰ გაბრიელ ჯაბე'შანური თავის პოე'სია'ში ქისტი ქალის სილამაზ'ეს, სინაზ'ეს, ქალურ კეთმაბრისიტებას, მის მომხიბვლელობას უკავ'შირებს ქისტების ტრაგედიას და ამ ფონ'ზე ნათლად იკვეთება ლილუველი ქალის სულიერი სიღრმე.

განსაკუთრებით აღსანიშ'ნავია ჰაღი'შათის სახე. პოეტი ჰაღი'შათის არაჩვეულებრივ შეხვედრია, მხოლოდ სახლის ნანგრევებ'ში ნახა მისი სურათი და შეიყვარა. ეს არის სულიერი სიყვარული ქალისადმი, რომლის სახეც, რომლის ცხოვრებაც პოეტმა თავისი წარმოსახვის ნიჭით აღადგინა.

ეს არის არაჩვეულებრივი ტრფობა პოეტისა, რაც არ არსებობს (ფი'ზიკური გაგებით) ტრფობის საგანი. ლურაჯლებით კითხ'ულობ ჰაღი'შათზე შექმნილ ლექსებს და გაოცებ'ული რჩები პოეტის მისადმი გრძნობის სიფაქიზე'ში, სიღრმე'ში. ეს არ არის მისტიკური გრძნობა, ეს რეალური გრძნობაა, რომელსაც მოუცავს პოეტის მთლიანი არსება.

ამ ტრფობას განსაკუთრებ'ულ ელფერს აძლევს პოეტის მიერ ჰაღი'შათის ბედის გაიგივება მის იავარქმნილ სამ'შობლოსთან, სამ'შობლოდან გაძევებ'ულ მ'შობელ ხალხთან და მძიმე, წარუ'შლელ, სევდიან შთაბეჭდილებას ტოვებს.

პოეტს ცხოვრება'ში რეალურ საბრფოსთანაც არ წყალობდა ბედი. მას უყვარდა ხევსურის ქალი მ'სექალი, მთელი სიცოცხლე შესტრფოდა, საპასუხო გრძნობას ეძებდა, იბრძოდა მისთვის და საწადელს ვერ მიაღწია. მზექალიც ლილუოს მიწა'ში დატოვა უბედურმა პოეტმა. არ თანაუგრძნობდა ფშავლის ქალი სისკარიც, რადგან გარეგნულად ქცევით ისეთი იყო, ქალებს არ მოსწონდათ. ბედი საერთოდ არ წყალობდა გაბრიელს, მხოლოდ პოე'სია'ში იყო უებრო და ღიღებაც აქ მოიპოვა.

გაბრიელმა არ იცის, ვინ იყო ჰაღი შაჰი, არ სმენია მისი ხმა, არ გაუგონია ქისტის ასულის არც სიცილი, არც ტირილი, ისიც კი არ იცის, რომელ აულში ცხოვრობდა. იქვნეულად კითხულობს, ცდილობს გაარკვიოს, ატარებდა თუ არა ის რომელიმე ვაჟის სიყვარულს:

„მე არ მინახავს შენი ღიმილი,
არც ხმა მსმენია, არც ატირება
და არც ის ვიცი, ვერცხლის ღილივით
გულით ვის ტრფიალს დაატარებდი.
ისიც არ ვიცი: რომელ აულის
იყავ მნათობი, ან რომელ ვაჟის
გდებდა ოცნება - მწირი, ეული
და მეახლოდა, ვით გარიჟრაჟი“... (71, 25.)

პოეტს გულს უკლავს იმის გაფიქრებაც, რომ შესაძლებელია „ვინმე აბრეკმა“ მოიტაცა ჰაღი შაჰი და აიმეცდებს, რომ მისი მეტოქე შეიძლება ქისტების გადასახლებისას აბრაგად გავარდა.

„იქნებ (თან თქმისთვის გული არ მერჩის, -
არ მსურს მჯეროდეს), კარგის საკუთნო,
ვინმე აბრეკმა მრუმე ღამეში
მოგიტაცა და დაგისაკუთრა...

რის სამშობლოდან ძალით გაგრეკეს, -
ჩემი რაყიფი ალბათ გაგიყდა;
ვერ შეელია ამ მთებს აგრე კარგს,
ღამე იფარა, მზეო ჰადიშათ
და გადავარდა ღილლოს აბრეკად...“ (71,26).

პოეტი, რომელიც სულით ილტვის ჰაერისაკენ, ჰაერში ბუდის უკავშირებს ქისტების გადასახლებას და ჰაერისა და მისი ხალხის ტრაგედიას თავისად მიიჩნევს. იგი გრძნობს სატრფოს განცდებს სამშობლოდან გაძევების ჟამს, თავად განიცდის მწუხარებას და ღელვასაც, ჰაერიანობის მიწა-წყალზე დამკვიდრებული, იწიარებს მის ნაღვლებს:

„როცა მტირალი სტოვებდი ლილოს
ალბათ გდიოდა ცრემლის ცხრა მილი,
მე ის მდუღარე დღეს ღაწვებს მილბობს
და შენს მაგიერ ვაგრძელებ ტირილს...“ (71,26)

ამ ლექსის სიღრმეში იმაშიც გამოიხატება, რომ პოეტი მშვიდობას ქადაგებს ქისტებსა და ხევსურებს შორის. როგორც აღინიშნა, მუღამ ქიშპობასა და მტრობაში მცხოვრებთ, ერთმანეთის მუღამ მოღარაჯე მეზობლებს შორის მშვიდობას იშვიათად ჰქონდა ადგილი. პოეტი გრძნობს ასეთი ურთიერთობის დამღუპველობას და ზავს სთავაზობს სატრფოს მათი სიყვარული უნდა იყოს გზა და ხიდი ახალი, მშვიდობიანი ურთიერთობისა ქისტებსა და ხევსურებს შორის:

„ახლა სადა სარ?!! - როგორ მოგისმლეს
რტო ქალწულობის აშზეებული...
შემიგრძენ, გიხმობ ძველი მოსისხლე,
მომაქვს სურვილი დამშვიდებული...
თუ ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ მტრობა, -
რაც სისხლი სისხლით ვერ გადარეცხეს, -
შენ აპატიე ჩემს მალალ გრძნობას,
მე კი შენს ლიმილს გადავურიცხავ!“ (71,27).

ლექსის განსაკუთრებულ რიტმულობას და სიმძაფრეს ანიჭებს ხშირად განმეორებული შემღეგი სტროფი:

„ჰოი, ჰადიშათ, მე შენ გეძახი,
ისმინე ჩემი ჩარგა მწირული,
ვით აგებული შუბზე ყაზახი, -
მე შენი ეშხით ვარ განწირული...“ (71,27).

მოსახლეობისაგან დაცლილ, დანგრეულ, გაპარტახებულ აულებში მოხეტიალე პოეტს, რომელსაც საკუთარი ჭირ-ვარამიც ერთი კაცის საზიდი ჰქონდა, მოძმე ხალხის ბედ-იღბალიც საზარი გაჰხდომია. გაპარტახებული აულის შემყურე იგონებს ქისტის ასულს და ნაღვლიანად მიმართავს:

„შენ რომ იყავ, - ის აული ოხერი
მოარბიეს, უღვთოდ მოაპარტახეს,
ენატრებათ შენი ყელის მოღერა
ციხეების ჩაბნელებულ ჩარდახებს“ (71,14).

პოეტს ღილღოს აულში ყველაფერი ჰადიშათს აგონებს: ციხე-კოშკები, ღილღოს ცა, ვარსკვლავები, მთვარე და სიო. იგი ელოდება ჰადიშათს, მასზე ფიქრი და ნაღველი შანთავს მის არსებას:

„ეგ ღმილი - გათენების სადარი,
ვხედავ, ეხლაც ღილღოს ცაზე სწერია;
სიო ამბობს, ჰადიშათი სად არი, -
ეხლა მისი გათხოვების ჯერია?!
ქისტის ქალო, შენზე დარდმა დამლია,

შენს ლანდსაც კი დავდგომივარ დარაჯად...
ვარსკვლავთო, ჩემო, ჩემი რამდენია, -
მაგრამ მთვარე, ბედისწერა არა ჩანს...“ (71,15).

ჰაღი შათის სახე გაბრიელ ჯაბუშანურის ლირიკული ციკლის ლექსებს შიერ სიღრმეს გასცემს. 1945 წ. დაწერილი ლექსიდან მოყოლებული 1957 წ. ლექსებშიც კი გაიელვებს ჰაღი შათი. პოეტი ერთგულია ამ სიყვარულისა.

საცაც არ უნდა იყოს პოეტი, ჰაღი შათის მოგონება თან დასდევს. საქონელს აძოვებს და აგონდება, რომ შესაძლო ამ გორებზე აძოვებდა ნახირს ქისტის ასული; ეულ აულში ბილიკს მიჰყვება და ფიქრობს, რომ, ალბათ, ამ ბილიკს მიჰყვებოდა მისი საბრფო, რომელიც ყოველთვის თან ახლავს, გვერდით ეგულება ყოველთვის:

„ნისლი დამეცა. მთამ არ გადმიშვა,
მიჰფარდნენ მზერას გორთა გუნდები.
აქ აძოვებდი ნახირს, ჰაღიშათ,
ქალო, მე ისევ შენ მაგონდები!...
ეულ აულში მივყავარ ბილიკს,
უკან მომდევენ ნისლის გველები,
შენს ნაფეხურებს აგდარი მიჰლეკს,
მე მაინც თითქოს აქ მეგულები...“ (71, 36-37).

პოეტი გაკვირვებულია, ვერ გაუგია, საიდან გაჩნდა მისი ტრფობა ქისტის ასულისადმი, რომელიც თვალით არ უნახავს, არც ის უნახავს ჰაღი შათს. საც შეეხო ასე მძლავრად ეს გრძნობა:

„შენდამი ტრფობა, მიკვირს, სად იშვა,
უცნობს უცნობის ლახვარი მესო,
ბინდბუნდში გიხმობ, მზეო ჰადიშათ,
და ჩემსავ ძახილს მომახლის ეხო...“ (71,37)

დგებოდა წუთები, როცა პოეტის სულში სიმშვიდე ისადგურებდა, დროებით ტოვებდა ნაღველი, ლაღი ოცნება შეიპყრობდა და ეს ხდებოდა გასაფხულს, გასაფხულზე ბუნებაც ისევ ჰადიშათს აგონებდა:

„ამ აკლდამების კუზიც ამწვანდა
(არ გავიხსენებ ჩონჩხებს სრულებით!),
სალამი, წყაროვ, - დარდით დამწვარსა
ჰადიშათივით მეყლურტულები!“ (71,18).

მაგრამ უფრო ხშირად პოეტის სულში ნაღველი ბუდობს. ამ ნაღველს ღიმილის ცაცრუტლული სიცა, მწირი აულები და ჰადიშათის მწირი გაღიმება, ქისტის ასულის უბედობა ამძაფრებს:

„ამ აულებს ესლაც ახსოვთ, ზეცავ,
ქისტის ქალის - ჰადიშათის გაღიმება მწირის...
დღეს ის ქალი სად დაგოგავს, ნეტავ,
სად იგონებს მშობელ მთებს და უსასოოდ ტირის...
იქნებ ჩაქრა თვალთა მისთა ლვარი,
გამოაკლდა დობილებს და შეერია ქაოსს...
დააწვიმე მწირ აულებს ცვარი,
ჰოი, ღიმილის დაცრუბლული ცაო!“ (71,40).

პოეტის ნაღველიან სასიცოცხლო განცდებს ამგვარად აჯამებს ა. არაბული:

„ბედისაგან მიტოვებული, დაჩაგრული მარტო პიროვნება მუდამ თანაგრძნობას ღაღადებდა მრავალ წარსულის წიაღში იწვევს მოგზაურობას და ღმის სინათლეზე ამოაქვს საწუთროგაწირული ბედის მსგავსება ტრაგიკული სიცვარულის ნაღვლიანი ამბები, მათი სულის დუღილი და ღაღადისი...“ (71,9).

„ქალის როლი ვეინახურ ოჯახში ძველად თვალსაჩინო იყო, ამაზე მეტყველებს მისი სახელწოდებაც „წინ ნანაა“ (სახლის ღედა, ღიასახლისი). მთიელი ქალი მამაკაცთან ერთად ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჯაბანს: ოჯახს უვლიდა, ბავშვებს ზრდიდა და სამეურნეო საქმეებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ბევრ ლეგენდასა და ზღაპარში, პოემასა და სიმღერაში ვაინახი ქალი დახატულია მამაც მეომრად, ღიღად პატივცემულ ბრძენად. მისი სახე - ეს არის ამაჟი და მომთხოვნი ქალის სახე, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავი დაიცვას“ (63,72).

გაბრიელ ჯაბუშანური კარგად იცნობდა ქისტების ზნე-ჩვეულებებს, მორალურ-ზნეობრივ ნორმებს, რაინდულ კოდექსს. ამიტომაცაა, რომ მის ღილღური ციკლის ლექსების კითხვისას თვალწინ გაივლის ქისტური ყოფის რეალური სურათი. ავიღოთ მისი ლექსი „დაქვრივებული ქისტი ქალის ნანა“ და მისი წაკითხვის შემდეგ ჩვენთვის ღამაჯერებელი გახდება წინა აბზაცში თქმული.

ქისტი დედა, რომელსაც მტრებმა ქმარი მოუკლეს, ნანას უმღერის ბიჭუნას და ენერგავს პატარას შემდეგს:

„მამაშენი მტრებმა მოკლეს გუშინ
დაიხსომე, დაიმერგე გულში:
გაიზრდები და მაგიერს უზღავ!“ (71,37).

ქისტის ქალი შურისძიებით არის ანთებული, მისი ნატვრაა, მხოლოდ „ერთი კვირით კაცად ვიქცე ნეტავ!... ავახ, ალახ, რისხვის ცეცხლი მწუსხავს...“ (71, 37).

რომ მკლამ ახსოვდეს ვაჟიშვილის შერისძება, შერისძების წყურვილით აღსარდის და ეს გრძნობა სისხლს შეერიოს, არასოდეს დაავიწყდეს სისხლის აღება, ქისტის ღვდას გადაუწყვეტია, რომ ტყვია, რომელმაც განგმირა მისი ქმარი, ბავშვს ყელს შეაბას, როგორც ავგარიანი:

„...ყელს შეგაბამ გულში გაელილ ტყვიას -
ეს ის არის, რომ განგმირა მამა...
ემაგ ტყვიით უნდა მოჰკლა მკვლელი!“ (71,38).

ქისტ ღვდას არ უნდა, რომ შვილი შინ იჯდეს, მძიმე შრომას ეწეოდეს და ჯალაბით გაიხაროს. მაშინ ხომ შურისძიების წყურვილიც გაქრება. არა, მას უნდა, რომ შვილი ჯიგიტი იყოს, მოთარეშე აბრაგი, ტოლებში სწორი, სახელიანი და ბრძოლებში გამობრძმედილი: „გაიხარდე, გამოიღე ხელი: იაბრეკე, მთებია და ტყეა“ (71,38).

იმ შემთხვევაში, თუ ვაჟიშვილმა არ გაამართლა ღვდის იმედი, თუ არ დაიგა ჯიგიტი და აბრაგი, თავისი ხალხის და სამშობლოს დამცველი, მაშინ ღვდა ასე დასწყევლის შვილს:

„ხოლო, შვილო, თუ გამოხვედ ტრული,
თუ ახარე მოსისხლე და მტერი,
მაშინ შენვე მოგხვდეს ეგე ტყვია...“ (71,38).

მრისხანე და შეუბრალებელია ქისტის ქალი მოღალატისადმი. მისი წყევლა ღვთის რისხვაა:

„ღალატით მოჰკალ ჩემი ახმედი,
აგრემც ღალატი მოგიღებს ბოლოს...
ისემც ჩასჭკნები, ისემც ჩახმები,

ვით რთველის თეში დამზრალი ღოლო...
გაგიტყდეს სალხში ნამუსის სიდი,
ოხერით სვდებოდე მწუხრსა და სისხამს...
პირმოლიმარე ქალმა შეგეხედოს
და ლიმი უმალ შესცვალოს ზიზღმა!...“ (71,36).

აბრაგი ახმეტის ღვთისმშობლის ფერისცვალების ეკლესიის ქალაქის იყო, შრომისმოყვარე. ალაპარაკების ლუკმის ცამფასებელი. მისი ქმარი და ვაჟიშვილი თერგდალეულთან ბრძოლაში დაიღუპნენ, მაგრამ ქალი სულიერად არ დაცემულა.

„მკაცრ იყო ზეზიკის ძიძა და გამზრდელი -
დედაი ახმეტის ფეტიმატ.
როდესაც გიაურთ ძეი და მეულლე
მოუკლეს, -
არ გატყდა, არა....“ (71,69).

იგი ღმერთს შესთხოვს, რომ დარჩენილმა ერთადერთმა ვაჟმა ახმეტმა ათწლისად უსწავლოს სამაგიერო გიაურებს. ხოლო თუ მისმა ვაჟმა არ გაამართლა მისი იმედები, ღე, ისიც მიიწყოს უფალმა:

ის უხმოდ დაემხო მუხლზე და მეუფეს ახედა, შესძახა:

„ - ალაჰ!
შენ ხედავ:
ორი მზე ჩამიქრეს ავ რუსთა, -
ერთი მზე,
ერთი ბე
ახმედ

მრჩება და თუ იგი ათწილად არ უზღავს
მაგიერს გიაურთ,
ვახმე!..
გაფიცებ, ალახო, შენს მზეს და დიად წიგნს,
შენს სახელს გაფიცებ დიადს, -
მიიღე ძე ესეც!...“ (71,69).

ახმეტმა გაამართლა ლეკიის იმედი: რვა რუსი მიჰკლა, მაგრამ ვერ მოისვენა, თარეშში გახდა მისი ცხოვრების მი'სანი, რუსებთან ბრძოლაში და მათი ქონების ხარჯვა'ში ხედავდა ბედნიერებას. თერგგალმიდან მორეკილ ცხენთა რემას და საქონლის ჯოგს მოსახლეობას ურიგებდა, როგორც აბრაგთა წესია. მკაცრი ფეტიმათი ახლოს არ ეკარებოდა მოტაცებულ ნაძავლს, ერიდებოდა არამ ლუკმას:

„მკაცრ იყო ფეტიმატ - დედაი ახმედის, -
ზეზიკის გამზრდელი ფატიმათ
და ძეც მის სიტყვას არიდებს ლახვრის: -
მსწრაფლ იქნდა, რაც გინდა ეთქვა“.

ლეკიამ თქვა:

„ - ჩემს სახლში აბრეკთა ალაფი
(ისმინეთ ახმედ და სულთან!)
თიკანიც არ აშსურს, მოწშეა ალახი,
არაში არც ჩემს ქმარს სურდა!“ (71,70).

ვაჟის ქორწილის დღესაც იგი მტკიცედ აცხადებს, რომ არამ ალაფს არ გამოიყენებს არც ქორწილში და მით არც ურვაზს გაღაიხდის:

„მე ჩემი ალალი ოფლით და ნადაგით
გადვიხდი ქორწილს და ურვათს;
არა მსურს ურუსთა არამი ხვასტაგი,
მარიდეთ ამაზე მდურვა!“ (71,94).

'სე'სიკი (ქისტ'ურად ქვავილი) სახელგანოქმ'ული ვაჟკაცის, მ'ურთა'სის მხოლოდ'შობილი ასუ'ლია. ღვთამისი მის მ'შობიარობას გადაჰყვა და მისი გა'სრდა იკისრა ახმეტის ღვთამ. ჩვიდმეტი წ'ლისა მზეთ'ნახავი ასული დაიდგა, მაგრამ ახმეტმა, რომლის თვალ'წინ დაქალდა, ვერ 'შენი'შნა იგი, რაღგან მისი მი'სანი მხოლოდ მტრის - ურუსთა ხოცვა იყო.

„და სისხლის ძახილით მას მზერა დაეხშო
ვაჟს ოდენ მტრის მოკვლა სურდა;
რა ტრფობა,
რა ოხვრა,
რა ეშხი,
გიაურთ ვერკინოთ, სულთან!
გაჰსრისოთ ურუსნი მთასა და ბარადა,
დღეს და მზეს გვიჩრდილებს ჩრდილო!..“ (71,67).

'სე'სიკმა მთელი გულით 'შეიყვარა ახმეტი, მაგრამ ახმეტი ყაგრძნობელი იყო ქალისადმი და 'შეყვარებულიც გულ'ში ინახავდა უთქმელ გრძნობას.

მაგრამ ერთ დღეს, თარე'შიდან მობრუნებული ძმადნაფიცებს წ'ყაროსე 'შეხვდათ ზეზიკი და ორიეს გულ'ში სიყვარულმა იფეთქა. პოეტი დიდი ოსტატობით აგვიწ'ერს თითქოსდა ერთი 'შეხედვით აღძრულ ამ გრძნობას, მის სიძლიერეს, რომელმაც მოიცვა ორივე ჯიგიტის გული.

მაგრამ რიცხვსაც არსებული მიზეზი ჰქონია, ვინ აერჩია ქმრად, მან დიდი გონიერება, სწორიანობა და ეშმაკობა გამოიჩინა.

ქისტის გაუთხოვარი ქალები შეცარებით თავისუფლებით სარგებლობენ ქისტურ საზოგადოებაში. საერთოდ, მხიარულნი, ხალისიანნი არიან, უყვართ იუმორი. არცთუ დიდი ხნის წინ რაიმე საქალო სამუშაოს შესრულების დროს იკრიბებოდნენ ერთად ქალიშვილები და მხიარულებაში, ოხუნჯობასა და სიცილ-ხარხარში ასრულებდნენ სამუშაოს (მატყლის ჩეჩვა, ბამბის რთვა, ნაბდებისა და ქერების მოთელვა, წინდების ქსოვა და სხვ.). მათთან იკრიბებოდნენ, აგრეთვე, ახალგაზრდა ბიჭები, მასლაათობდნენ, ეჯიბრებოდნენ სიტყვა-პასუხში, ერთმანეთს ხუმრობით სიყვარულს უხსნიდნენ და ა.შ. ეს ურთიერთობა ქალ-ვაჟებს შორის მიმდინარეობდა მტკიცე ზნეობრივ ფარგლებში, სიტყვიერი უხამსობაც კი მიუღებელი იყო. ასევე გათხოვების ჟამსაც ქალიშვილის სურვილი, უმეტეს შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო.

როდესაც სულთანმა მურთაზს ქალიშვილის ხელი სთხოვა, სიჩუმე ჩამოწვა. სამი ადამიანის (ხეშიკის, ახმეტის და სულთანის) ბედი წყდებოდა და სამივეს ბედი მურთაზის ხელში იყო. როგორც ითქვა, მურთაზმა ყველაზე სწორი გზა გამონახა და არჩევანი ქალიშვილს მიანდო.

„ხალხის წინ წამოდგა ზეზიკი - ცივერი, -
მურთაზის მზისფერი ქალი
შუქით შეკოსილა ამაყი იერი,
მზე-მზერა და ფერი მკრქალი“ (71,89).

ორივე აბრაგი, განთქმული ვაჟკაცობით და გულადობით, რომელნიც მრავალჯერ შებმიან პირისპირ სასიკვდილოდ

შეცვლის და წარმიც არ შეუხრიათ. „ცილისწამებით მეფეთაჰის მსხვერპლად მსჯავრსა“:

ზეზიკს მამისთვის უნდა გაეცა პასუხი, თანახმა იყო თუ არა, მისთხოვებოდა სულთანს, მაგრამ ქისტის ასულმა ყველასათვის მოულოდნელად ჯიქურ მიმართა ახმედს:

„ზეზიკმაც მიმართა მუნჯ ახმედს, თავდახრილს,
ხმა მისი მოჰგავდა ზარსა:
ზეზიკი „ - ახმედო,
ერთს გკითხავ:
ეს მითხარი,
შენს არჩივ
ალაფს რომ
სთავაზობ
სულთანსა, -
იქნებ, ვით მურთაზი,
ასევე შენ არჩევ: -
სხვას დავრჩე, -
შენ თუ ეს გსურს და
თუ მაგ შენს ძმადნაფიცს ხელს მიტომ უმართავ: -
შენ გინდა:
ეჭიბად
დავჯდე,
მაშინ მე მზადა ვარ: -
მურთაზიც ურვადსა
უმალვე მიიღებს, ახმედ!“ (71,90).

ზეზიკმა უარი უთხრა სულთანს, მაგრამ ერთდროულად მოითხოვა ახმედისაგან მისი სიყვარულის აღიარებაც. უფრო

სწორად, თავის მაგიერად ყარის თქმაც ახმელს შეაგდო და თავისი და ახმელის ურიერთობის გარკვევაც მასზე დააკისრა. მართლაც, ჭკვიანური, თანაც მამაცური გადაწყვეტილება მიიღო.

და ეს მისი გადაწყვეტილება საბედისწერო აღმოჩნდა მისი საბრფოსათვის: ქორწილის ღღეს სულთანმა მოჰკლა ძმაღნაფიცი ახმედი და გაღაიხვეწა ლილეღოდან.

ზეპიკი, რომელიც ბეღნიერების მწვერვალზე იმყოფებოდა, ჯოჯოხეთის ქვესკნელში შთაინთქა.

„არა, ეს არ იყო მზისფერი,
ეს იყო გლოვა და წყლული,
ეს იყო, უცილოდ, ქვესკნელის ქნზიკი, -
ჯოჯოხეთს დაჭრილი სული...
გოლგოთაგავლილი
მარტვილი
ეს იყო,
ეს იყო ზეზიკის ჩრდილი...“ (71,111-112).

გლოვისგან, მწუხარებისგან აჩრდილს მიმსგავსებულ ქალიშვილს პოეტი სინანულით მიმართავს:

„ო, როგორ შეცვლილხარ,
მზისფერო ზეზიკო,
ზეზიკო, ცისკარო დილის!“ (71,112).

გაბრიელ ჯაბუშანური მთელი არსებით გრძნობდა, შეიცნობდა ბუნებას. როგორც ღიღი ვაჟა, იგი ბუნების შვილი იყო და ბუნების ღიღი მგოსანიც. როგორც ღიღ პოეტს სჩვევია, გაბრიელს ბუნება ადამიანის გარეშე ვერ წარმოედგინა.

ბუნების და ადამიანის განწყობის ურთიერთკავშირში ხედავდა. ბუნება-ში ადამიანს ხედავდა, საგნები ადამიანებს აგონებდა და ადარებდა. ქისტის ქალებს პოეტი ფერად ტყეებ-ში ხედავდა:

„ეს ფერადი ტყეები, ფოთოლმოშრიალენი,
ქალებია ქისტისა ფერადთავშლიანები.
ქალებია ქისტისა ცეკვად გამზადებულნი“... (71,39).

ქისტის ვაჟკაცებს კლდეებს ადარებს, ქისტის მოხუცებს ძველ ციხეებს, ხოლო ღედაკაცებს - მწვანე ფიჭვებს:

„ეს შავფერი კლდეები ვაჟკაცნია კლდეგულნი;
ვაჟკაცნია კლდეგულნი, ხოლო ძველი ციხენი
მაგონებენ მოხუცებს ქალთა მხრებზე მიხვევნილთ.
მუქი მწვანე ფიჭვები, გრიგალების ნაცემნი,
დგანან, როგორც მლიმარი ქისტის დედაკაცები“ (71,38).

ბუნებას, ბუნების სურათებს პოეტი მხოლოდ მოძრაობა-ში ხედავს, ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედება მხოლოდ მოძრაობა-ში წარმოუდგენია:

სად ხარ, ქარო ძლიერო, ააშლერე გარშემონი!
აიწიეტეთ, აცეკვდით, ქისტის ქალნო, - ტყეებო,
დაუკარით ჭიანურს, მოხუცნო - ციხეებო!
ახმიანდით შავფერო კლდენო - ქისტის ბიჭებო,
გაიცინეთ ცბიერად, დედაკაცნო - ფიჭვებო!“ (71,38).

ქისტი ქალი-შვილების შინაგან ბუნებაზე, მათ შეხედულებაზე, როგორი ენდა იყოს ვაჟკაცი, ნათელ წარმოდგენას გვაძ-

ლევს ჯაბუშანურის ლექსების ციკლი ძველი ლილეური სიმღერებიდან. ერთ-ერთ ლექსში მოცემულია ქისტი ქალების საუბარი, სადაც ახალგაზრდა ქალიშვილები უსიარებენ ერთმანეთს თავიანთ ოცნებებს, თუ როგორ წარმოუდგენიათ მომავალი ქმრები.

ერთი მათგანის სურვილია, შეხვდეს ისეთ ქმარს, რომელსაც საუცხოო იარაღი ექნება, შესანიშნავი, გამორჩეული ბედაური და ისეთი ლონიერი, ვით ციხე-კოშკი:

„მე ისეთი ქმარი მინდა, ქალებო,
შავი ლამე დღენათელი ეგონოს,
ცხენი ჰყავდეს - მოპაექრე ქარების,
შვიდი მერნის გამძლეობის მექონი!
თოფი ჰქონდეს - ბეჭდის თვალსაც არ ასცდეს,
სატევარი - მტერს გულში განეწონოს,
მუხლი ჰქონდეს - შუალამით ქარაფზე
მიდიოდეს და შარაგზა ეგონოს!“ (71,32-33).

მეორე ქალიშვილი ქმრისგან უშიშრობას, გულადობას და სიმამაცეს მოელის, რომელსაც მტერთან ბრძოლაში გამოიჩენს. პირველისგან განსხვავებით, იგი ქმრისგან მოითხოვს სიყვარულს, ალერსს და ერგულებას:

„მე, ქალებო, ქმარი მინდა ისეთი:
თვალი ჰქონდეს, ბინდი კი არ იცოდეს,
ყური ჰქონდეს, ჩემგან თქმული: „ვის ეტრფი?“
დღის სავალზე მიესმას და მიცნობდეს!
რიყრაჯის ჯამს მომიტაცოს ჯიგიტმა,
მდევარს მარტო აბრუნებდეს ის ერთი;

მე შევხედო – შეკრთეს, როგორც ჩვილი ყრმა,
ჰოი, დებო, ქმარი მინდა ისეთი!“ (71,33).

მესამე ქალი-შვილი სულაც არ აპირებს გათხოვებას, თავისუფლება ურჩევნია, არ სურს ვისმე ემონოს:

„ჩემს სილალეს გაჰყიდიან არბითად
და აბრაგი დამიმონებს ბოროტი...
მე, ქალებო, ქმარი სულაც არ მინდა,
ქალწულობა მირჩევნია ბოლომდის!“

თუკი მამამისი მაინც გააოხოვებს მისი სურვილის გაუთვალისწინებლად, მაშინ მისი ნატვრაა, რომ ქმარი ერთგული შეხვდეს:

„მე, ქალებო, ქმარი სულაც არ მინდა
და თუ მამა მაინც მომცემს მეურვეს,
ვინატრებდი: ჩემი ქმარი, ამ დღიდან,
ძებნას ალარ დაუწყებდეს მეორეს!...“ (71,34).

მესამე ქალი-შვილის ნატვრა ჭკვიანურია, მას არ სურს სიყვარულს სხვას უყოფდეს ქმარი და ეჭვიანობის ბასრი ბრჭყალები შეეხოს. ამ ნატვრის ნამდვილ არსს მკითხველი უფრო ჩაწვდება, როცა გაეცნობა გ. ჯაბუშანურის ძველი ქილილური სიმღერების ციკლის ლექსს „ჰასანის ცოლები“. ჰასანის სამი ცოლი ღამე ელოდება ქმრის დაბრუნებას, სამივეს გულში იმედი და უიმედობა ბობოქრობს, ეჭვით უმზერენ ერთმანეთს, ერთმანეთის სიძულვილს დაუსაძგერებია მათ გულში.

პოეტი ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნით აანალიზებს თითოეულის ფიქრს, წადილს, შინაგან სულიერ ჭიდილს. იგი კარგად იცნობს ქალის ბუნებას, ეჭვიანობის გრძნობას, რომელსაც ეს ქალები მოუცავს.

პირველი ცოლი, რომლის ახალგაზრდობამაც უკვე ჩაიარა, რომლის სილამაზეც ვერიდან შვილმა და მძიმე საოჯახო შრომამ დახარჯა, გულგატეხილია. მისი იმედი მკრთალად ბუჟავს, იცის, რომ ახალგაზრდა მეტოქეებს ვერ გაუტოლდება და სიბრაზით შეჰყურებს.

„როგორც ლალატი, შეჰპარვია შუბლს ნაოჭები,
ზის მოღუშული, იკბინება, როგორც კრაზანა.

ორ უმცროს დიაცს ცხარედ კიცხავს, მკაცრი, კაპასი -
და ქმრისთვის მათი მოლოდინი, ჩუმი, აბრაზებს...“ (71,34).

მეორე უფრო ახალგაზრდა, როგორც ჩანს, მორიდებული, დამყოლი ხასიათის ქალია, იგი უფროსი ცოლის ბრაზიან კიცხვას არ უსმენს, მისი ფიქრები ქმარს და უმცროს ცოლს ეხება. უფროსი მალე მეტოქეობას ვერ გაუწევს, მაგრამ უმცროსი კი ძალიან აფიქრებს. მეორე ცოლი ჩუმი ლოდინით ელოდება ქმარს და მზადაა, ყველაფერი გაიღოს, ოღონდ ქმარი დაისაკუთროს, თუნდაც იმ ღამით:

„გულზე ლოდინი ისახება, როგორც დამალი;
არ ისმენს უფროს მოზიარის კილვას ალესილს,

ყველა სამკაულს გაიღებდა, როგორც საფასურს,
თუკი ამაღამ დაუთმობდნენ ქმარს რაყიფები...“ (71,35).

შესაძე კოლი ახალგაზრდაა და თანაც ლამაზი. მასაც ქმრის დაგვიანება აწუხებს, თანაც ბავშვობს მეტოქეებსე, მასავით რომ ელოდებიან საერთო ქმარს:

„ეჰ, რატომ, რატომ იგვიანებს მისი ჰასანი?!
(რალას ელიან ეს ბებრები, რომ არ წვებიან!)
ქურდულ უბლვერის ორ მეტოქეს იგი - მწყაზარი,
შეფაკლულ დაწვებს ელვარება მომატებიათ" (71, 35).

ახალგაზრდა კოლი შემართულია, იგი მზადაა ბრძოლისათვის ქმრის შესანარჩუნებლად, სულაც არ აპირებს მორჩილად შეხვდეს ახალ მეტოქეს:

„ო, რატომ, რატომ აგვიანებს პაემანს ქმარი...
იქნებ მეტოქე გამოუჩნდა მესამის სახით?!
... მაშინ უფრთხილდეს მოლალატე გაუმაძღარი:
ჰასან,
იწოვლებს საწამლავი და იარალი!" (71, 35).

ძველად მთის წყარო იყო ერთ-ერთი გასართობი ადგილი ქისტი ახალგაზრდებისათვის. წყაროზე წყლისთვის მიდიოდნენ ჯგუფად ქალიშვილები, მხიარულობდნენ, ცეკვავდნენ და ერთობოდნენ. იქვე იკრიბებოდნენ აულის ჯიგიტები, თავს აწონებდნენ ქალიშვილებს, თავიანთ საგმირო თარეშებსე საუბრობდნენ, ახალ გეგმებს აყენებდნენ. აქ ხდებოდა, ხშირად, ქალ-ვაჟის გაცნობა და აქ ეკრებოდა საფუძველიც მომავალ ოჯახებს.

გაბრიელ ჯაბუშანური ზეკმიწევნით იცნობს ქისტური ყოფა-ცხოვრების დეტალებს, აყვამიანთა ურთიერთობის მარეგულირებელ წესებს. იგი აგვიწერს ქისტის ქალების წასვლას წყაროზე და მათ სიარულის გნოლის გოგმანს აღარებს:

„ქისტის ქალები მიდიან წყაროზე
და მათი ნაბიჯი ემგვანება -
გოგმანს გნოლისას, ტანმწყაზარნი
მიირხევიან მხარზე კუმგანებით“ (71,21).

ამ ლროს მხედარი ჩნდება ბილიკ'ზე, მობააისე ქალები უცბად ჩუმდებიან, კლდემამოსილებით გან'ზე დგებიან და ჯიგიტს გა-ატარებენ.

„ქისტის ქალები წყაროზე მიდიან
მიბაასობენ ხმით ნარნარით, გაუბედავით.
ერთბაშად: თითქოს ამოძვრა მიწიდან, -
ბილიკზე გამოჩნდა მხედარი!
შეჩერდნენ ქალები, ჩამოდგეს კუმგანები,
გზის პირას გამწკრივდნენ, როგორც ყვავილნი, და
იდგნენ ასე, სანამ ვაჟკაცი გაივლიდა,
თვალებძირსდახრილნი... მორცხვად... სულგანაბვით...“
(71,29).

ვაინახური ცეკვა გამოირჩევა თავისი ტემპერამენტით. ამ ცეკვას მრავალი ადამიანი მოუყვანია ალტაცება'ში. ჩეჩნურს უბაღლოდ ცეკვავდა ალექსანდრე ყაზბეგი. გახსოვთ, როგორ აღწერს მიხეილ ჯავახიშვილი არსენას ჩეჩნურს, ადარებს მას „ლეკურს“ (დღევანდელ „ქართულს“) და უპირატესობას პირველს ანიჭებდა, რადგან მისი ცეკვისას მოცეკვავის სხეულის ყველა ნაკვთი ცოცხლდება.

თითქმის ყველა ხევსური ცეკვავდა ქისტურს, დღესაც უმეტესობა ამ ცეკვას ანიჭებს უპირატესობას. ალბათ, თავად გაბრიელ ჯაბუშანურიც თამა'შობდა ქისტურს, რადგან ასე ლამაზად აღწერს ღილღველი ქალ-ვაჟის ცეკვას: ამღერდა ქისტი

ქალის ხელში გარბისო. წრეში გამოჩნდა ულაყი გარეული, წრეში შეგორგმანდა ტანტალანი ქისტის ქალიც და გაისალტა ცეკვა.

„ტაში! ტაში! - და გარმონიც გადირია,
დაედევნა შეძახილი სტვენასა და სიცილს.
წრეში ჩნდება შეშინებულ ნადირივით,
ტანტალანი ქისტის ქალი და მიფრინავს ისიც“ (71,17).

მკითხველს ცოცხლად წარმოუდგება თვალწინ წრეში მოცეკვავე ქალ-ვაჟი. ცეკვხლად ქცეული კანთი გარეული საჩვენარს არჩობს, გახურებულ ნაგანს დაბლა ახლის, შემკრთალი ასული ნელა მიირხევა, ირგვლივ წრე შეუკრავს აგრეთვე აღელვებულ აყაყმიანებს, ხმაური აჯრუებს არემარეს:

„ცეცხლად გადაიქცა ვაჟკაცი,
თითქოს ფრთები აისხა.
დარჭობილი სატევარი კაშკაშებს -
„ჰეი, ჰეი, ასსსა!“
ქისტის ქალი მიჰქვეხვებს გოგმანით ,
ოდნავ უორთის ბაგე-მარჯანი.
ვაჟმა დაბლა დაახალა ნაგანი,
“...ჰა, ჰატ... მარჯან!...“
(ცეცხლი ციალს სად მალაგდა აქამდე?)“ (71,17).

ცეკვა მოულოდნელად წყდება, რაც ასევე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს:

„ერთხელ კიდევ მოუარეს წრეს,
შემობრუნდნენ, შეჩერდნენ და გაქვავდნენ“ (71,17).

ღილღლო, ქისტეთი ცნობილი იყო თავისებურად აღებული აბრაგებით. სიტყვა აბრაგი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი: მეფის მთავრობასთან მებრძოლი მთიელი. შემდგომში ამ სიტყვაში აბრაგი იგულისხმებოდა ჩვეულებრივი, ძარცვა-გლეჯის მიმდევარი ადამიანი. თუმცა, ქართულ ენაში ამ მოვლენის ამსახველი სიტყვა ყაჩაღი არსებობს.

აბრაგობა, როგორც სოციალური მოვლენა, წარმოიშვა კავკასიაში რუსეთის კოლონიალისტური პოლიტიკის შედეგად. ჩრდილო კავკასიის მთიელები, რომლებმაც პირველებმა იწვნიეს რუსული დამპყრობლური ომების სიმწარე, აღიდგნენ სამშობლოს დასაცავად. როდესაც ომის და ომის დამთავრების სხვადასხვა პერიოდებში ვერ შეძლეს ფრონტალური დაპირისპირება, შეურიგებლმა ვაჟკაცებმა დაიწყეს პარტიზანული ომი.

აბრაგობა მასიური იყო ჩეჩნეთ-ინგუშეთში, სადაც წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა და დღესაც გრძელდება. მარტოხელა ან მცირე ჯგუფებად გაერთიანებული აბრაგები თავს ესხმოდნენ რუსების საადამსჯელო სამხედრო რაზმებს, კომუნიკატებს, კასაკების სტანიცებს და იტაცებდნენ მტრის ქონებას.

მაგრამ სრულიად სხვაგვარი ურთიერთობა ჰქონდათ აბრაგებს მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ მთიელებთან. განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ ხევსურებთან ადამოკიდებულებას, რადგან ისინი მათ ეხმარებოდნენ შეძლებისდაგვარად. სამშობლოს დამცველ აბრაგებთან ქართველი მთიელების ურთიერთობის ნათელ სურათს გვაძლევს თვითმხილველის მონათხრობი:

„ქისტებს ძალიან იფარავდა ქართველი ხალხი და ისინი მადლიერები იყვნენ. მათი აყრის შემდეგ ქართველების ნაწილი

გადასახლება სოფელ ხამხაში. აქ შიძაულისეს მასწავლებლად, სადაც ჩემი ოჯახიც გადავედი. სოფლიდან მოშორებით, მაღლა გორაზე ცხოვრობდა ჩვენი ნათესავის ოჯახი. ხუჩბაროვის რაზმელებს კავშირი ჰქონდათ მასთან. ჩემი ნათესავი ამარაგებდა მათ პროდუქტით, თავშესაფარს აძლევდა და ყველანაირად ხელს უმართავდა. იმ პერიოდში მთიელ მამაკაცებს სახელმწიფომ დაურიგა იარაღი, რათა გაეკონტროლებინათ სიტუაცია და აბრაგებისგან „თავი დაეცვათ“; ჩემს ქმარსაც (მოხევე, მარსაგიშვილი) ჰქონდა იარაღი, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს იარაღი ქისტების წინააღმდეგ გამოეყენებინა. ის კი არა, ჩემს ქმარს შემოუთვალეს: ჩვენ ვიცით, რომ იძულებული ხარ ეგრე მოიქცე, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მაგ იარაღს არასოდეს ჩვენკენ არ მომართავო. ამიტომ, შენ ჩვენგან არაფერი გეწყინოსო. ჩვენი იქ ცხოვრების პერიოდში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ქისტებსა და ქართველ მთიელებს შორის რაიმე კონფლიქტი მომხდარიყოს. ერთადერთი, ქისტები თავის გადასარჩენად პროდუქტს თხოულობდნენ მოსახლეობისაგან, ისინიც ყოველთვის ხელს უმართავდნენ. მე არ მახსოვს, მათგან ვინმე დაშარალებული ან დაყაჩაღებული, პირიქით, სულ აფრთხილებდნენ თავისიანებს, რომ რაიმე ზიანი არ მიეყენებინათ ხევსურებისათვის“ (72, 83-84).

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ აბრაგი ნადავლს, როგორც ყაჩაღი, თავისთვის კი არ იტოვებდა, არამედ უნაწილებდა თანასოფლელებს, განსაკუთრებით უქონელთ და უპოვართ. ისინი ვაინახური საგმირო ეპოსის გმირების ტრადიციების მატარებლები იყვნენ.

გაბრიელ ჯაბუშანური, როგორც ზემოთაც ითქვა, კარგად იცნობდა ვაინახების ისტორიას, მათ ფოლკლორს, ეთნოგრაფიას. მან ცნობილი აბრაგების თაგადასავლებიც იცოდა, კარ-

გახლ ერკვეოდა ყაინახური აბრაგობის არსში. და რიცა ცხიარუბოდა მიტოვებულ აულებში, რიცა ღამღამობით შეკრებდა სამარისებურ სიჩუმეში ჩაძირულ აულებს, მღუმარედ და ამაყად მდგარ საბრძოლო კოშკებს, ახსენდებოდა მათი პატრონები, რომლებიც თავის დროზე „აბრეკობდნენ და ჯიგიტობდნენ“. ნაღვლიანორეული პოეტი ღილღოს მიმართავდა:

„ძველავ თუ მოგვაშთობს მაინც ნაღველი,
ვიმღეროთ საგა ზელიმხანისა“ (71,13).

ზელიმხანმა, განთქმულმა ჩეჩენმა აბრაგმა, მე-20 ს. დასაწყისში ბევრი უსიამოვნება მიაყენა რუსეთის მთავრობას. მისი თავდასხმების ამბავმა თვით იმპერატორის ყურამდე მიაღწია. ზელიმხანის პოპულარობა განაპირობა სწორედ ხალხის ინტერესების ღაცვამ.

XX ს-ის დასაწყისში ხარაჩოელმა (სოფ. ვედენოს რ-ში) ზელიმხანმა მოულოდნელი თავდასხმებით სისხლი გაუშრო რუს მოხელეებს. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში, რაღგან იგი ქართველ არსენასავით, დაჩაგრულებისა და ღარიბების ქომაგი იყო“ (62,622).

ჯაბუშანური, დანგრეული ციხე-კოშკების შემყურე, მწარედ ფიქრობს დროის მსახვრალ მდინარებაზე, რომელიც უწყალოდ სპობს ყველაფერს მატერიალურსაც და სულიერსაც:

„ამ კოშკებს კუშტად აშენებდნენ ერთ დროს ძველები
და სამუდამოდ უძლეველი მიაჩნდათ თავი;
აწ აკლდამებში იშლებიან მათი ძვალები,
ხოლო ციხეთა დაშლილ ძვლებზე ყორანი ჩხავის“... (71,21).

ლაშქრობის დახატვისას ავტორები გამოყენებულ ეპითეტებს ლაკონიურობით გამოირჩევიან:

„ - ჰე, მასპინძელო! - ყვირის მოკლულ აბრაგის სული,
თან მწირ აულში დაბარბაცებს ის მთვარეული...
ამოიგმინებს აქვე ახლოს აწვდილი სალი
და კვლავ სიჩუმე ისადგურებს სიზმარეული...“ (71,19).

ტყეში გაავარდნილი აბრაგი, რომელსაც ღუდიაღამ დასდევს მდევარი, რომლის სიცოცხლე ყოველ წამს საფრთხეშია, არ აქცევს მოსვენება და მშვიდი ძილი, რომანტიკულ ოცნებებში ჰპოვებს ხოლმე სიმშვიდეს. ისიც ადამიანია და საჭიროა მოლოდინშია:

„ნეტავ, აგერა, ის ნისლი, ქარმა რომ გაამაქცია,
ალმა რომ მოერეკება და შესვენებას არ აცლის,
ნანატრის გაცხადებითა - ასულად გადააქცია
და მარტო მიტოვებული, მე შემახვედრა ქარაფში!“ (71,31).

აბრაგი სულაც არ აპირებს უპირატესობის გამოყენებას, ძალადობას უმწეო და შეშინებულ ქალთან. პირიქით, იგი მას სიყვარულს უხსნის, რომელსაც სიშმაგემდე მიუყვანია.

„დავუხვდებოდი აბრაგი ქალს შეშინებულს შუბთით,
წინ დავუწყობდი იარაღს და თან ვეტყოდი ამრიგად:
- ეს შენი წელი ვთარეშობ, შენთვის მარადის მგმუნავი,
შენმა სურვილმა დამლია, გამაგიჟა და გამრიყა!“ (71,32.).

აბრაგი შეშინებულ ქალს ამშვიდებს, აშოშმინებს მისი ხისასტიკით დამფრთხალს. იგი საჭიროა, რომ მია-

ეროვნებას აბრაგობას, დაუბრუნდება შვილობიან ცხოვრებას და სრულ მორჩილებას უცხადებს:

„ახლა შემოგხვდი, ქალბატონო, თუ ჩემი მზერა გაშინებს,
თუ ჩემი მკლავი გაშინებს - მკვლელი სამოცი ძე-კაცის,
ვგრგვებ სიშმაგეს, მშობელ მთებს - დევი -
დელგმისგან დაშლილებს,
აწ შენი მონა ვიქნები, ალაპსა ვფიცავ ზეცაში!“ (71,32).

ქალის დამორჩილების შემდეგ შეცვარებული აბრაგი კვლავ მოთარეშე, დაუდგრომელ მებრძოლ აბრაგად იქცა, მან დაივიწყა ქალისთვის მიცემული პირობა, რომ აბრაგობას მოეშვებოდა. პირიქით, იგი უკვე ქალსაც აბრაგად აქცევს და მზადაა სატრფოს გულში ტყვია დასცეს, თუ იგი ისუსტებს და ღირსეულ მეგობრობას არ გაუწევს.

„მეორე დილით დათენთილს ქალს ავასხამდი იარაღს,
მასაც აბრაგად გავხდიდი, ორნი ვიქმოდით თარეშებს,
თუ ისუსტებდა ქალშავა, მზარს ვერ მიჭერდა ფხიანად,
გულში დამბაჩას დავცემდი მუხთალი
თრთოლვის გარეშე!“ (71,32).

აბრაგობის მიტოვებას იგი სულაც არ აპირებს. ესეც ქალის დასათანხმებელი სატყუარი ყოფილა: აბრაგი მზადაა, სიცოცხლის ბოლომდე ებრძოლოს მტერს, ან დიდება მოიხვეჭოს, ან სახელიანი დაიღუპოს.

ესაა აბრაგის ნატვრაც.

„თავათ კი, გაფროთებული, ვეკვეთებოდი ერთი ასს,
ან დავიდებდი დიდ სახელს, ან მოვკვდებოდი მჭუხარე;

თუ აბრაგობას დავეხსნა, ალაპია თუ ღმერთია -
ნუმც გამიმარჯვებს ნურასდროს, ჭკუიმც
მახურავს წულარას“ (71,32).

ყიულყეველმა ახმეცმა, რომელსაც ძმა და მამა მტრებმა ურუსებმა (რუსებმა) მოუკლეს, ღელამ ‘ჩერისძიების გრძნობით გა’სარჯა და ისიც ტრაფიციას არ ღალატობს და მრავალი გიაური გაის(უმრა იმ ქვეყნად. მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილდა, როგორც სახელიანი ქმანი, ისიც აბრაგის გზას დაადგა:

„და მაინც არ დაცხრა აბრეკი უძლები:
დახარბდა მტრის სისხლს და გუამთ:
ამბობდა:
„ - სამარეს ურუსნი უსხები
მიეგნენ, ეს ალახს უამს!“
და იყო თარეში ყუბანის ველებზე: -
მტრის ხოცვა, ტაცება ცხენთა“ (71,64).

ყიულყეველი სულთანი ბავ‘შვობიდანვე დაობლდა, ჟამმა იმსხვერპლა მისი მ‘შობლები და და-ძმანი. ობოლი ობლის ლუკმით გაიზარდა, სიმ\‘რით სავსე იყო მისი ბავ‘შვობისა და სიყმაწ‘ვილის წ‘ლები. სხვისი ლუკმის ‘ქმ‘ურე, ვაებითა და ვი‘შით გაი‘სარჯა სულთანი და მასთან ერთად გაი‘სარჯა მისი სიძულვილიც უსამართლო ადამიანებისადმი.

და ასეთ ადამიანს გზაც, როგორც პოეტიც ამბობს, ერთი ჰქონდა:

„და გრძნობა ამგვარი სად ჰპოვებს გზას მეტსა: -
მკვლელობის, თარეშის იქით;
სულთანიც უმალვე ედოსტა

ახმედს და ორი აბრეკი ჯიქი -
ხოცავდნენ გიაურთ ყუბანის ველებზე,
იხვეშდნენ ცხვართა და ცხენთა" (71,65).

ძმაცნაფიცი აბრაგები მისცევცნენ ვაინახ აბრაგთა ტრაცი-ციას: მათი ნაღავული საერთო იყო აულის მოსახლეობისათვის. როგორც კი თარეშიდან ნაღავლით მობრუნდებოდნენ ქისრები. მაცნეები აულის მოსახლეობას ამცნობდნენ.

„მართლაც და
ნაძარცვს რა
სულთან და ახმედი
მორეკდნენ: -
არვეს თუ რემას,
მაცნენი აულებს აჰყრიდნენ მძაფრ ხმებით
და იყო დაფდაფის ცემა:
" - მოგროვდით, ლილეველნო,
არამალანს აგრე კარგს
გვპირდება ჯიგიტთა გარჯა: -
ურუსთა ხარ-ცხენი მორეკეს აბრეკთა,
ერთ კვირას გეყოფა ხარჯად..." (71,66).

მოგროვებოდა ციცი თუ პატარა, ობოლი თუ უპოვარი თავის წილს მიიღებდა, იხოცებოდა საქონელი, საერთო ქვაბებში, იხარშებოდა ხორცი და ხელგაშლილ აბრაგთა ხარჯზე მთელი სოფელი ჩეჩნის იხდიდა.

„ხრიალი ხარების...
და სისხლი ნასხლეტი...

ციალი ხმალთა და ცელთა...
„ - დაკალით!
მოხარშეთ!“ -
ამბობდა ახმედი,
„ - შეგერგოთ!“ -
ამბობდა სულთან.
და იყო ზეიმი:
პურობა,
შუშპარი,
აბრეკთა შეჯება ჰანგით...“ (71,71).

ჩვეულებრივ, აბრაგები სიცოცხლეს მტერთან ბრძოლა'ში ამთავრებდნენ. ეს სასახელოც იყო და აბრაგიც მტრის ტყვიას როლი უფრთხოდა. თითქოს ძმაღნაფიც ორ აბრაგსაც, ახმედსა და სულთანს, შმაგი სიცოცხლე ამგვარად უნდა დაემთავრებინა, მაგრამ ბედმა სხვაგვარად ინება.

გაბრიელ ჯაბუშანური, „თვითონაც ამ აულებივით თავმარტო და მიუსაფარი, ნანგრევთა შორის დაიარება და საფუთროს დაუნდობლობით დაეკლებული გულის გამაგრებას ისევ სევდიანი სიმღერებით ცდილობს... და ყოველივე ამ ფუიერად არსებულის მიღმა ღროის ღინებას გაყოლილი ღილეველთა ცხოვრების გუშინდელი ღღეები იხანდება; ღღეები, რომლებიც აღსავსე იყო ტკივილითა და სიხარულით, სიძულვილითა და სიყვარულით, დაუნდობლობითა და ერთგულებით, მოკლედ, კაცთა ყოფისთვის განუყრელი კონტრასტული ხმებით და ფერებით“..(72,7).

გრიგოლ აბაშიძის „უკაცური აული“

მეომრის ნაამბობი

გაბრიელ ჯაბუშანური მარტო არ ყოფილა ქართველ მწერლებსა და პოეტებში, რომლებიც შეაძრწუნა ვაინახების გენოციდმა. 1944 წ. ჩეჩნებისა და ინგუშების გადასახლების ფაქტმა მრავალ ადამიანს აუხილა თვალი საბჭოთა ხელისუფლების დესპოტიზმსა და ანტიხალხურობაზე. ქართველი მწერლები და, საერთოდ, საღად მოაზროვნე ყოველი ადამიანი თანაუგრძნობდა სამშობლოდან იძულებით აყრილ ხალხს, მაგრამ იმ დროისათვის ამის ხმამაღლა გაცხადება უაღრესად საშიში იყო. გრიგოლ აბაშიძის მოთხრობა „უკაცური აული“ ენათესავება გაბრიელ ჯაბუშანურის ღილღური ლექსების თემას და იდეას. ამ მოთხრობაშიც სწორედ ღილღოს, ინგუშეთის მთიანი მხარის უკაცრიელ აულებზეა საუბარი, მაგრამ აქ საკითხი პოლიტიკურ ჭრილშია წარმოდგენილი.

გრიგოლ აბაშიძის მოთხრობაში მთიანი ინგუშეთის მკვიდრი, საბჭოთა არმიის რიგითი ჯარისკაცი ებრძვის გერმანელებს, მეორე მსოფლიო ომში გახდა საბჭოთა კავშირის გმირი, შვებულებით ბრუნდება მშობლიურ მთებში და მშობლების, ნათესავების, მეზობლების ნაცვლად გაუკაცურებულ-გაპარტახებული სოფელი ხვდება. მას თან ახლავს თანამებრძოლი ქართველი მეომარი. მეორე მსოფლიო ომში ოცდაშვიდი ათას ხუთასი ჩეჩენი და ინგუში მებრძოლი იბრძოლა და სამაგალითო გმირობას იჩენდნენ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ მათ მამაცობას და ძალისხმევას როდი აფასებდა რუსი გენერალიტეტი და კრემლი. პირიქით, საბჭოთა კავშირის გმირობაზე წარდგენილი დოკუმენტები არქივში იკარგებოდა, თუ კი მაინც

მისკუსიის გმირობის, სხვა ეროვნების ქალების სახიანალი დოკუმენტში.

დეპორტაციის შემდეგ, როდესაც ვაინახები ფრონტიდან გაიწვიეს, საველე მეთაურები ყველანაირად ცდილობდნენ მამაცი მეომრების შენარჩუნებას. დიდი რისკის ფასად მათ ვაინახურ წარმომავლობას მალავდნენ. მაგალითად, ჩეჩენი ვისუითოვი ომის დამთავრებამდე იბრძოდა, ომის დასასრულს მდ. ელბაზე შეხვდა, გმირის წოდებაზე წარდგენილიც იყო, მაგრამ მხოლოდ პერესტროიკის დროს მიანიჭეს გმირობა ოფიციალურად.

ასევე საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ მიანიჭეს გმირის წოდება რამდენიმე ჩეჩენს, ბორის ელცინმა თავად ჩაიტანა ჩეჩნეთ-ინგუშეთში ოქროს ვარსკვლავები, შეპირდა, დანარჩენებსაც აღუდგენდა გმირის წოდებას, მაგრამ არ შეასრულა დანაპირები: ვაინახები არასოდეს არც ერთ რუს ხელისუფლებას არ უყვარდა მათი თავისუფლებისმოყვარეობის გამო.

ყველაზე ცინიკური ის იყო, რომ დეპორტაციის გასამართლებლად ჩეჩნებსა და ინგუშებს სამშობლოს ღალატი, გერმანელებთან თანამშრომლობა და ფრონტიდან დეზერტირობა დასწამეს.

სინამდვილეში, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმისას მოქმედ წითელ არმიაში იმყოფებოდა 9 ათასი ვეინახი, ხოლო ომის მსვლელობაში ფრონტზე გაამწესეს 18 ათას ხუთასი ჩეჩენი და ინგუში, ასე, რომ ფრონტზე იბრძოდა 27500 ვეინახი, მთელი მოსახლეობის 6 პროცენტი. ხალხი ოშაევმა დააღგინა, რომ ცნობილი ლეგენდარული ბრესტის ციხესიმაგრის დაცვის დროს დაღუპული 2000 ჯარისკაცსა და ოფიცერს შორის 200 მებრძოლზე მეტი იყო ვეინახი. ბრესტის დაცვაში სულ მონაწილეობდა 400

ჯეინახი მებრძოლი, მაგრამ მათი სახელები დღემდე არაა ცნობილი მემორიალურ დაფაზე.

ბრესტის დაცვაში გამოჩენილი მამაცობისთვის რამდენიმე ვაინახი მებრძოლი იყო წარდგენილი გმირობაზე, მაგრამ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დუმდა, ომის დასრულებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ბ. ელცინმა ჩეჩენ-ინგუშეთში ჩაიწანა ოქროს ხუთი ვარსკვლავი და ისინი გმირების ახლობლებს გადასცა. საერთოდ, დადგინდა, რომ მეორე მსოფლიო ომში ჩეჩნებისა და ინგუშების 31 მებრძოლმა მიიღო გმირის წოდება, რაც წარმოუდგენლად დიდია ასეთი მცირერიცხოვანი ხალხისთვის." (62,458).

მაგრამ კრემლს, მის მმართველ ბელადსა და ვერაკორუსულ შოვინისტებს ძველი ოცნება გაახსენდათ ჩეჩნეთ-ინგუშეთი ძირძველი მოსახლეობის გარეშე და მომენტი იხელთეს თუ არა, დედაბუდიანად აყარეს მშობელი მიწიდან.

მოთხრობის მიხედვით, ქართველმა მეომარმა ჰოსპიტალში გაიცნო ქისტი მებრძოლი ყასბულათ თუთაევი. როგორც ხშირად ხდება, ტოლი ტოლს უმალ პოულობს, მითუმეტეს, ორივენი კავკასიის შვილები იქნენ. ქართველმა მეომარმა ყასბულათი უმალ შეიყვარა და დაუახლოვდა.

პრლიტხელი ყასბულათ თუთაევი „მხიარული, გონებამახვილი ვაჟკაცი აღმოჩნდა და მალე დავმეგობრდით" (1,3). ყასბულათის განათლებული პიროვნება იყო, რომელსაც მოსკოვში დაემთავრებინა უმაღლესი სასწავლებელი და ინგუშურ ფოლკლორზე დისერტაციაც ჰქონია დაცული. იგი დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს, სადაც საოლქო გაზეთის რედაქტორად დანიშნეს. მაგრამ დიდხანს არ დასცალდა მშვიდობიანი საქმიანობა, რადგან მალე ომი დაიწყო და პირველსავე დღეებში მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

„ქასბულათის უმაღლესი სასწავლებელი მოსკოვში ლაემთავრებინა, საკვალიფიკაციო შრომის თემად ინგუშური ფოლკლორის შესწავლა აერჩია და დისერტაცია მოსკოვშივე დაიცვა ბრწყინვალედ.

შემდეგ მწირობლიურ მხარეს დაჰბრუნებია და ომის დაწყებამდე სოლქი გაზეთის რედაქტორად უმუშავია. პირველი დღიდანვე ფრონტზე მიხალისიჳლ წასული ქასბულათი ბოლოს პოლკის პოლიტხელი გამხდარა“ (1,3).

ფრონტზეც თავი გამოიჩინა მთიელმა. თავისი მამაცობის წყალობით პატივცემული იყო ამხანაგებში და მეთაურებში. საბრძოლო ოპერაციებში გამბედაობისათვის ოქროს ვარსკვლავი და საბრძოლო ორდენები მიიღო.

„მთიელი ვაჟკაცი მარტო სიტყვით კი არა, მამაცობითა და მეომრული თავდადებითაც მაგალითის მიმცემი გამხდარა მთელი პოლკისთვის.

ამაზე თავად არაფერს ამბობდა, მაგრამ პოლკოვნიკის გიმნასტურაზე მბრწყინავი საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი და საბრძოლო ორდენები მჭერმეტყველურად ადასტურებდნენ პოლიტხელის ვაჟკაცობასა და თავდადებას“ (1,3).

ქასბულათის მეომრული სულისკვეთება წინაპრებისგან მოსდევდა. მამამისიც, რამზან თუთაევი სამოქალაქო ომში იბრძოდა, თავი გამოეჩინა მამაცობით და სტალინისაგან საჩუქრად იარაღიც ჰქონდა მიღებული, რომლის ვერცხლის ტარზეც ეწერა: „რამზან თუთაევს ი. სტალინისაგან“.

რამზან თუთაევს, შვილის გაღმოცემით, სხვა იარაღიც ბევრი ჰქონდა სამოქალაქო ომიდან მოყოლებული: „მამაჩემს სხვა იარაღიც ბევრი აქვს სამოქალაქო ომის გმირული დღეების მოსაგონარად. საწოლთან, კედელზე ორჯონიკიძის ნაჩუქარი ხმალი უკიდია და იმ ხმალს ამაღელვებელი წარწერა აქვს.

მაგრამ ეს არ ნიშნავდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა საკითხის სწორად გადაწყვეტას. ასეთი იყო, მაგალითად, ეროვნული საკითხის გადაწყვეტა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ეროვნულ-ტერიტორიული დელიმიტაციის დროს. ამ საკითხის გადაწყვეტისას ლენინი ხელმძღვანელობდა ეროვნული ფაქტორით, ეროვნული ნიშნით, ეროვნული ნიადაგით. ეროვნული ნიადაგის ქვეშ ლენინი გულისხმობდა ეროვნული ენის, ეროვნული კულტურის, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ცხოვრების წესის, ეროვნული ფსიქიკის ერთობლიობას

ისინი ქალაქში არ შესულებულან, გვერდი აუქციეს. რაღაცან ყასბულაათს ძალიან უნდოდა მალე ენახა მშობლიური აული. ყასბულაათის სტალინის ნაჩუქარი რევოლვერი მანქანაში ყოველთვის გვერდზე, ხელმისაწვდომ ადგილზე ედო.

ვაკე ადგილები მოთავდა, დაიწყო მთები და ალმართები. მეომრები წინ მიიწევდნენ და ერთი უცნაურობა შენიშნეს: გზები უკაცრიელი იყო, აულებში სიჩუმეს დაესადგურებინა. ალარ ისმოდა საქონლის ბღავილი, ძაღლების ყეფა და საკვამურებიდან ბოლიც არსად ამოდიოდა.

„გრძელი გზა თითქმის უკაცრიელი იყო. მგზავრი იშვიათად გეხვდებოდა. აულებში უცნაური სიჩუმე სუფევდა. ბუხრებიდან კვამლი არ ამოდიოდა. ოთხფეხი და ფრინველფეხი არსად ჩანდა და ძაღლების ყეფაც ალარ ისმოდა“ (1,6).

ყასბულაათს შეშფოთება დაეტყო. თუ პირველად აულებს გვერდს უქცევდა, ახლა გზასაც კი იგრძელებდა და აულებში შედიოდა. მგზავრებს იშვიათად ხვდებოდათ ადამიანები, მაგრამ ისინი რატომღაც არ შეეფერებოდნენ ამ აულებს, კაცებსაც და ქალებსაც უფრო ბარის ხალხის იერი ედო.

„სოფლები თითქმის ცარიელი იყო. აქა-იქ თითო-ოროლა კაცი რომ გამოჩნდებოდა, არც ერთს მაღალი ფაფახი არ ეხურა და ფეხზე ხანჯალი არ ეკიდა. ქალი და კაცი ჩაცმულობითა და შეხედულებით უფრო ბარის მცხოვრებთ ჰგავდნენ, ვიღრე მკვიდრ მთიელებს“ (1,6).

ყასბულაათს ამ უკაცური აულების ხილვამ შიში მოჰგვარა. იგი მიხვდა, რომ რაღაც საშარელისკენ მიიჩქაროდა, რაღაც დიდი და გაუგონარი ამბის გაგება მოუხდებოდა და კუშტად შეკრული სახით მიაქროლებდა მანქანას.

„სოფლებში გამეფებული უცნაური სიჩუმე და უკაცურობა კარგს არაფერს მოასწავებდა. ყასბულაათს მხიარული ენაფუ-

ლიანობა დავიწყებოდა. წარბშეკრულსა და მოქუფრულს თვალში მოლოდინის შიში ჩასდგომოდა, მანქანის საჭეს დაფეთებული დასწოლოდა და ენაჩავარდნილი მიაქროლებდა“ (1,6).

ყასბულათის მეგობარ ქართველ მეომარსაც გაღიმება მისი განწყობილება, ისიც მიხვდა აჯანების არანორმალურობას და მოსალოდნელი უბედურების შიშმა ისიც შეაწუხა.

„მისი ფარული მღელვარება მეც გადამდებოდა თანდათან, მოახლოებული უბედურების შიში მეც დამეუფლა და დამამუნჯა“ (1,6).

ასე, შავი ფიქრებით მოსილი მეომრები წინ მიიწევდნენ. ყასბულათი ყურადღებას არ აქცევდა დანგრეულ გზებს, უფსკრულების ნაპირებზე ისე მიაქროლებდა მანქანას, თითქოს გზატკეცილზე მიჰყავდა. ეტყობოდა, რომ მის გონებაში მხოლოდ ერთი ფიქრი ტრიალებდა: როგორმე მალე მიეღწია მშობლიურ აულამდე და ამოეხსნა საიდუმლო. მას უკაცრიელ გზაზე გაელვებული ცხენოსნებიც კი არ შეუნიშნავს.

„გზა ტყეში დაიკლაკნა. რამდენიმეჯერ ცხენის ფეხის ხმა მომესმა. თვალი მოვკარი ხეებს იქით მოლანდებასავით გაქრობილ ნაბდიან ცხენოსნებს.

ერთხელ სულ ახლოს ჩაგვიქროლეს და გზაზე ქვები ჩამოაშავეს.

ყასბულათს მათკენ არც გაუხედია, ფიქრში წასულს, ალბათ, არც ცხენების თქარათქური გაუგონია. საჭეს გაოგნებული უჯდა და ამ ქვეყნის არაფერი ესმოდა“ (1,7).

და აი, მიაღწიეს კიდეც ყასბულათის მშობლიურ აულს, ულამაზეს დასახლებას მთების კალთებზე, მაგრამ მეომრების სიხარული წამიერი დაკვირვების შემდეგ ისევ შიშმა და ავმა წინათგრძნობამ შეცვალა.

„ამ უზარმაზარ ფიჭაში ერთი სულგმულიც არ მოძრაობდა. აულში იდუმალებით სავსე სიჩუმე იყგა და, თუმცა ჩამა-

ჯალი შის სხეულები იქაურობის კარგად ამბობდა. "ცაცური და-მუნჯებული სოფლიდან ჩვენამდე ამისის მიმგვრელი სიცარიელის სიცივე აღწევდა"(1,7).

ჩენებისა და ინგუშების დეპორტაციის შემდეგ დაცარიელებულ დასახლებულ პუნქტებში მეისიბელი ხალხი ჩაასახლეს. მთიან ინგუშეთში ხევსურები და მოხევეები დასახლდნენ, მაგრამ მაღალმთიან აულებში აკრძალეს ჩასახლება. იქ დეპორტაციის შემდეგ დარჩენილი ვაინახი აბრაგები დათარეშობდნენ და შურს იძიებდნენ დამსჯელ გარნიზონებზე. მაგრამ მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ მთიელებთან, რომლებიც დიდად ეხმარებოდნენ საკვებით.

ნათია ჯალაბაძეს თავის წიგნში მოჰყავს თვითმხილველი თბილისელი ლ. ოჩიაურის მონათხრობი: „სანამ აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა ქისტების დაცლილ სოფლებში ჩასახლდებოდა, ქართველი მთიელები წინასწარ იბევებდნენ სამოსახლო ადგილებს, მაგრამ მთავრობამ მათ არ მისცა მაღალმთიან და მიუვალ სოფლებში დასახლების უფლება, რაც განაც შიშობდა, რომ ხუჩბაროვის რაზმები ხევსურთა ოჯახებში საიმედო თავშესაფარს ჰპოვებდნენ. ხევსურეთში მათ ძალიან დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ მოსახლეობისაგან. ისინი მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლები იყვნენ და მოსახლეობას მხოლოდ სარჩო-საბადებელს სთხოვდნენ და ხან თხოვნაც არ სჭირდებოდათ" (72,83).

მეომრები აულში შევიდნენ, სწრაფად გაიქროლეს ვიწრო ქუჩები. ყასბულათმა საკვირი აახმიანა, მაგრამ „დაყრუებულ აულში სირენის გაბმული ყვირილი უცაბედოს ზარივით გაისმოდა, გამგონე და პასუხის გამცემი კაცი შვილი არსად ჭაჭანებდა"(1,7).

ყასბულათი სახლში შევარდა, მამას ეძახდა, დედას ეძახდა, შემდეგ და-ძმას დაეძებდა, მაგრამ სულიერის ჭაჭანება არ იყო.

შემდეგ მუსიბლებთან გადიკარგა. ხალხს ეძახდა. მაკრამ უშედეგოდ.

„განწირულის ხმით გასძახოდა ყასბულათი. მთებში ჩავარდნილი, უკაცური აული მის ხმას ცარიელი ქვევრივით ამრავლებდა და აღიღებდა. ექო ხუსუნით ირხეოდა, მაგრამ საპასუხო ძახილი არსაიდან ისმოდა“ (1,8).

სასოწარკვეთილება უსიამო იყო. სასოწარკვეთილებას ამძაფრებდა გაურკვევლობა. უბედურება სახეზე იყო, ამაზე უკაცრიელი აულები მეტყველებდნენ, მაგრამ რა მოხდა, ვერ გაერკვიათ. ყასბულათიც და ქართველი მეომარიც მრავალ ხიფათში გამოვლილი, ნაწრთობი მებრძოლები იყვნენ, მრავალი სოფელი და ქალაქი ჰქონდათ ნანახი, რომლებიც მიწასთან გაესწორებინა საარტილერიო ჭურვებსა და საავიაციო ბომბებს, ცეცხლისაგან გადამწვარი სახლები ნახშირის ჩონჩხებივით იცდგნენ. მაგრამ ეს სხვა იყო. იქ ადამიანები იყვნენ, ცოცხლები, დაჭრილები, მკვდრები, მაგრამ აქ კაცის ჭაჭანება არ იყო და ეს დაცარიელებული, დანგრეულ-მინგრეული აულები სამარისებურ სიჩუმეში ჩაძირულიყვნენ.

გზაზე შემხვედრი ცხენოსნები, ხუთი შეიარაღებული ქისტი გამოეცხადათ სასოწარკვეთილ მეომრებს. ერთი მათგანი, ხაურბეკი, რომელსაც „გულზე შავი ვერი ეფინა და ცალი ნახმლევი წარბი დაუკებლად უტოკავდა“, ყასბულათის ნაცნობი აღმოჩნდა და ერთმანეთს გადაეხვივნენ. მისგან შეიტყვეს მომხდარი:

„ყასბულათმა საბრალობლად შეხედა ხაურბეკს და გაბზარული ხმით იკითხა:

ხალხი სად არის, სოფელს რა მოუვიდა?

სოფელი აჰყარეს... გადაასახლეს.

აჰყარეს? რათა, რისთვის?

რისიცის და არაფერისიცის. თქვა ზაურბეკმა და სახე კიდევ ერთი მოეღრუბლა.

ჩვენს ხალხს სტალინისა და ქვეყნის ღალატი დასწამეს, მოულოდნელად ჯარი ჩამოგვიყენეს და მთავრობის ეს დადგენილება გამოგვიცხადეს. ერთ საათში ყოფიან-პატარიანა მანქანებში დაგვსხეს და შორეულ გზას გაგვიყენეს.

ჩემი მოხუცებულებიც? და-ძმაც?

ქველანი შკლებლივ აგვყარეს და შორეულ ყაზახეთის გზას გაგვიყენეს“ (1,8).

როგორც ჩანს, ყასბულათ თუთაევს იმედი ჰქონდა, რომ მამისა და მისი დამსახურება საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დაფასებული იქნებოდა, მაგრამ ცდებოდა, როგორც შეცდა ბევრი პატიოსანი ადამიანი, რომელიც გულწრფელად ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

ყასბულათის მამა ზაურბეკთან ერთად ვაგონიდან გადმოხტა და დაიღუპა. მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ქველაფერი გაუგებრობა იყო, რომ სტალინმა არ იცოდა ამ გასახლების შესახებ. ბერიკაცს ბევრი უშალეს, რომ მათთან არ გაქცეულიყო, მაგრამ არ დაიშალა, რადგან ჯაქცევა იმისთვის უნდოდა, მოსკოვს წავალ, სტალინს ვნახავ, ჩვენი უბედურება არ ეცოდინება, ვუამბობ და გვიშველისო. ბალღივით გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ სტალინი თავადაც პატარა ერის შვილია, მთელი სიცოცხლე ჩვენისთანა ხალხების განთავისუფლებას შეალია და იმისთანა ბოროტებას როგორ ჩაიდენდა, რომლის მსგავსი ჩინგიზხანსა და თემურ-ლენგსაც არ უქნიათო“ (1,9).

ზაურბეკმა, როცა ყასბულათმა გაკვირვება გამოხატა ნუთუ სტალინი? მკაცრად მიმართა ყასბულათს:

„ - შენც მამაშენის შვილი ხარ, - მეხლზე დაირტყა ხელი ზაურბეკმა. თავად სტალინის ხელმოწერილი დადგენილებით

აკვირვებს და გაღიზიანებს. და მაინც, სადღაც, კიდევ იმის იმედია ხარ! ალბათ, შენი ასეთი ერთგულების წყალობით, რომ სრალინს შენზე განსაკუთრებული მოთხოვნა: საბჭოთა კავშირის გმირს - ყასბულათ თუთაევს უფლება აქვს, სადაც ისურვებს, იქ იცხოვროსო“ (1,9).

როგორ შეხვდა ყასბულათი ამ ცნობას. მართლაც, თითქოს გამართლდა მისი მოლოდინი, რომ აშაგი დაუფასებელია. მაგრამ ყასბულათი თავისი ერის ღვიძლი შვილი იყო, პირადულზე მაღლა სამშობლოს და ხალხს აყენებდა. ასეთი შეწყალება მისთვის დამამცირებელი იყო.

„ - მადლობელი ვარ მაგ წყალობისათვის - მწარედ ჩაიცინა ყასბულათმა და ნათქვამს გრძელი ოხვრა მოაყოლა“ (1,9).

ზაურბეკი ისევ გამწარებული მისი ხალხის მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულის გამო, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანის, ყასბულათის მეგობარ ქართველის გასაგონად საყვედურობს ქართველებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მათ გასახლებაში.

„ერთხანს ყველანი ვდუმდით. მერე ზაურბეკმა ჩემკენ მოიხედა და იკითხა:

ეს შენი ამხანაგი სადაურია?

ქართველია, თბილისელი.

გურჯი? მოეღუშა სახე ზაურბეკს: გურჯებიც მონაწილეობდნენ ჩვენს აყრაში. შამილის დროსაც ეგენი მოუძღოდნენ ჩვენს დამპყრობლებს.

მაგას ნუ ამბობს, ეგ რა შუაშია! ხმაღაბლა შეუწყრა ყასბულათი.

ისევ დუმილი ჩამოვარდა“ (1,9).

ზაურბეკი და მისი ამხანაგები პატრონობენ მოსახლეობისაგან დაცარიელებულ სამშობლოს და როგორც კი შემთხვევა მიეცემათ, შურს იძიებენ მათ დამდუპველებზე.

„ტყვეში ვიმალებით, სევნის დამტკბეულების ჯუსაფრებით და, სადაც წავწევით, ვესწორებით უპასუხო საურბეკმა და უცებ ქისტურზე გადავიდა“ (1,9).

ქართველი მეომარი გაეცალა ქისტურად მოსაუბრეებს და აულში გაიარა. ნელი ნაბიჯით დაბიოლა სოფელში, ღრმად ჩაუფიქრდა მომხდარს, მტკივნეულად უშუფოებამ უეიპრო და უბედური ხალხის ჭირ-ვარამი გაიხსიარა. როგორც პოეტმა გაბრიელ ჯაბუშანურმა, ისე ამ ქართველმა მეომარმაც, რომელიც მეგობარს სტუმრად გამოჰყვა ქისტეთში.

„მივდიოდი, აკლდამებივით ცივსა და გამოცარიელებულ სახლებს თვალს ვარიდებდი და გულის სიღრმემდე შეშფოთებული ჩემს ბედს იქ მიყვანისთვის ვწყევლიდი“ (1,9).

ყამით მარტო დარჩენილს ძილი არ მიკარებია. პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა და მოჯარებულ ფიქრებს თავს ვერართმევდა. კითხვები ებადებოდა, რომლებზეც პასუხი არ ჰქონდა. ვერაფრით წარმოეღგინა, რომ ის, რაც არ თუ ვერ გააკეთა დესპოტმა იმპერატორმა ოცდაათწლიანი ომის შემდეგ, როცა შამილი დაამარცხა, ჩაიდინა სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურმა.

„ოცდაათ წელზე მეტს იდგა რუსეთის იმპერატორის პირისპირ ხმალჩაუგებელი შამილი და, როცა ბოლოს და ბოლოს დამარცხდა, რუსეთის თვითმპყრობელმა მისი დასჯა ვერ გაბედა, თუ არ ისურვა, ხოლო შამილის ერთგული დაღესტნის ხალხების აერა და გადასახლება აზრადაც არ მოსვლია. ისეთ სასტიკ იმპერატორსაც კი, როგორიც ნიკოლოზ პირველი იყო! ის, რაც პატარა ერების მიმართ შავბნელმა ცარიზმა ჩათვალა შეუძლებლად და თავისი ღირსების დამამცირებლად, ნუთუ ახლა, ჩვენს დროში შეიძლება ჩაიდინოს სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურმა?! ნუთუ სცდებოდა ყასბულათის მამა, სტალინის მაღმერთებელი და მისი თანამებრძოლი? ნუთუ

თავისუფალი საბჭოთა ერების კავშირის შემქმნელისა და ბელადის შეეძლო ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელთან შედარებით ბიბლიური ნაბუქოდონოსორის სისასტიკეც კი იჩრდილება. დასაჯერებელია, მთის ხალხებშიც გამოჩენილიყვნენ ვლასოვის მსგავსი სამშობლოსა და რევოლუციის საქმის მოღალატენი. ამ დანაშაულისათვის თვითონ მოღალატეებს უნდა ეგოთ პასუხი და არა მათ მშობელ მთელ ხალხს, უბრალოდ, უდანაშაულო ერს“ (1,10).

ქართველ მეომარს ძილი არ ეკარებოდა, ფიქრობდა და ფიქრობდა ამ საშინელ ტრაგედიაზე და თავის მეგობარ ყასბულათზე. მან იცოდა, როგორ უყვარდა სტალინი მის მეგობარს, როგორ თაყვანს სცემდა და მზად იყო, სიცოცხლე შეეწირა მისთვის და მისი საქმისათვის. ნეტა რას ფიქრობს ახლა? ეს კითხვა აწვალებდა, ეცოდებოდა მეგობარი, სულით და გულით თანაუგრძნობდა.

„რა საცოდავი უნდა იყოს ეს სამშობლოსა და სტალინისათვის თავდადებული ვაჟკაცი ახლა, როცა სიცოცხლის აზრად ქცეული მისი რწმენა ერთი ხელის მოსმით ხუხულასავით დაანგრია და მოსპო მანვე, ვის საქმესაც რამზან თუთაევმა მთელი სიცოცხლე შესწირა, ვის მიმართ ერთგულება და სიყვარული რამზანის შვილმა, ყასბულათმა თავისი ცხოვრების უპირველეს მოწოდებად და გამართლებად დასახა.

სტალინის მიერ ჩეჩნეთ-ინგუშეთის აყრა ყასბულათისთვის მარტო ეროვნული ტრაგედია არ არის, სტალინმა ამ ნაბიჯით ერთბაშად დაამხო და შეურაცხჰყო რწმენა ყოველივე იმისა, რასაც სიყრმიდანვე შეჰხაროდა ყასბულათი, რასაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა და რის დასაცავადაც დღეს ასე თავგამოდებით იბრძვის გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ“ (1,11).

ღიახ, მარიამაული იყო ყასბულათების ქართველი მეგობარი: ყასბულათისათვის მომხდარი მარტო ერთეული ტრაგედია არ იყო. ის უფრო გაცილებით ღიდი იყო, მთელი მის ცხოვრების არსში, მის სულში ჩაფურთხება იყო. ეს იმდენად საშინელი რამ იყო, რომ სიცოცხლემ დაკარგა აზრი და ყასბულათმაც სტალინის ნაწყალი იარაღით თავი მოიკლა. ესეც კიდევ ერთი ბედის დაცინვა! იმის მაგივრად, რომ ეს იარაღი მიემართა თავისი ხალხისა და პირადად თავისი მტრის წინააღმდეგ, თვითმკვლელობისათვის იყენებს. თვით ეს ფაქტი მეტყველებს, რამდენად თავზარდამცემი, გამაოგნებელი და დამთრგუნველი იყო ყასბულათისთვის კრემლის დანაშაული.

ყასბულათის მეგობარმა სისხლში მცურავი ყასბულათის გვერდით დაგდებული ვერცხლისტარიანი რევოლვერი დაინახა, რომლის ტარზე ამომავალი მზის სხივებზე ელვარებდა წარწერა: „რამზან თუთაევს ი. სტალინისაგან“ და შენიშნა, იქვე სასთუმალთან, სკამზე იდო თეთრი კონვერტი, რომელზეც ეწერა: „მოსკოვი. კრემლი. ი. სტალინს“.

ქართველმა მეომარმა მაშინვე მოიაზრა, თუ რა უნდა დაეწერა მის მეგობარს: „ყასბულათის ნაწერი დანახვისთანავე ვიცახი, წერილს კინაღამ ხელი წავაგლანე, მაგრამ უმალ უკანვე წავიღე, ისევე უცებ, როგორც ცხელ უთოზე თითის მიდება და უმალვე მოშორება იციან. წარმოვიდგინე, იმ წერილშიც ის ავბედითი აზრები იქნებოდა, რომლებიც მე მომდიოდა თავში და რომლებმაც დამე თითქმის თეთრად გამათენებინეს“ (1,11).

ყასბულათ თუთაევი მარტო არ ყოფილა ასეთ უბედურებაში. საბჭოთა კავშირში შემავალი მრავალი ერის შვილმა განიცადა მსგავსი ტრაგედია. იმ ავად მოსაგონარ წლებში მილიონობით ადამიანი გახდა დესპოტური მმართველობის, რუსული შოვინიზმის მსხვერპლი. ბევრი ღირსეული ადამიანი დაიხვრი-

ება. ბუკრაშ დირისტულმა ადამიანმა თავად მოითხოვა სიკვდილი. ბევრი სამშობლოდან გადაიხვეწა.

შემდეგში მოხდა ამ ადამიანების რეაბილიტაცია, ხალხს იმედი მიეცა, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება, მაგრამ დღესაც, XXI საუკუნეში რუსეთში კვლავ მძვინვარებს დესპოტიზმი.

ვალერიან ჩეკურიშვილის მოთხრობების ციკლი „ჩემი მეზობელი ქისტები“

მწერალი ვალერიან ჩეკურიშვილი პანკისელი იყო, სოფ. ყვარელწყალში დაბადებული და გაზრდილი. ყვარელწყალი ალბე ორიოლე კილომეტრით იყო დაშორებული ქისტების სოფ. დუისიდან, დღეს კი თითქმის შერთებულია. პანკისში ჩამოსახლების დროიდან ეს ორი სოფელი კეთილმეზობლურად ცხოვრობს.

პანკისის ხეობაში ქისტები მე-19 ს. 30-იან წლებში დასახლდნენ, სოფ. დუისში. ფშაველები პანკისში ჩამოსახლებას იწყებენ უფრო გვიან, „XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ფშაველების ინტენსიური დასახლება პანკისის ხეობაში. პირველი ასეთი სოფელია ყვარელწყალი, სადაც კომპაქტურად დასახლდნენ ფშაველები“ (62,38).

1860 წ. კამერალური აღწერით სოფ. ყვარელწყალში ცხოვრობდა 6 კაცისა და 7 ქალისაგან შემდგარი 2 ოჯახი. ამავე აღწერით დუისში (პანკისში) ცხოვრობდა ქისტების 40 ოჯახი (126 კაცი და 123 ქალი). გადმოცემის თანახმად, ქისტების დუისში დასახლების პერიოდშიც ყვარელწყალში ცხოვრობდა ერთი ოჯახი, მაგრამ ეს ოჯახი (თათარა ცხვირაშვილი) მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. შემდეგ, როგორც მათე ალბუთაშვილი გადმოგვცემს, „ბაბუას გორის დასწვრივ, შარა გზის პირად, თათარამ გააკეთა სიპი ქვების ოთხკუთხედი მაღალი ბურჯი, ზედ დააგდო ერცელი ოთახი და გამოვიდა კოშკის მაგვარი სახლი, რომლის წოდება მიიღო შემდეგ სოფელმა“ (2,20).

მართლაც, ამ სოფელს ქისტები კოშკებს (კვეშკე) უწოდებენ, ისე, ვახუშტის რუკაზე ამ ადგილას მდებარეობდა სოფე-

ლი, რომელსაც ყორ\წალი ჰქვია. შესაძლებელია, ისტორიული ტოპონიმის მიხედვით ე\როდა სახელი ყვარელ\წალი, თუმცა მ\წერალ ვალერიან ჩეკურიშვილს მიაჩნია, რომ სახელი ე\როდა ვაჟა-ფშაველას სიტყვების გამო: დიდმა პოეტმა სოფელთან ჩამომდინარე წ\ყალი რომ დალია, წამოიძახა თურმე, „რა საყვარელი წ\ყალია“. აქედან ე\როდა სოფელს „ყვარელ\წალი“.

„ყვარელ\წალი სხვადასხვა სახელით მოიხსენიება ისტორიულ წყაროებში. ვახუშტის რუკაზე დღევანდელი ყვარელ\წლის ადგილას აღნიშნულია სოფელი ყორ\წალი. მართლაც, ამ სოფელში მოედინება პატარა წყალი, რომელსაც ფშაველები ყორლის უწოდებენ, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, ხალხური ეტიმოლოგია: ყვარელ\წლელ მ\წერალ ვალიკო ჩეკურიშვილს მოჰყავს ლეგენდა, რომლის თანახმად, ვაჟა-ფშაველას პანკისში ყოფნის დროს ამ წყლის პირზე უქეიფია და როცა დაუსრულებია, უთქვამს, რა საყვარელი წყალიაო და აქედან დაერქვა წ\ყალსაც, სოფელსაც საყვარელი წყალი. შემდეგ ფონეტიკური ცვლილებები განიცადა სახელწოდებამ და მივიღეთ „ყვარელ\წალი“ (62,206-207).

სოფ. ყვარელ\წალში, პანკისში მეორე ქრისტიანულ სოფელში (ჯოყოლოში ქისტები 1866 წელს გააქრისტიანეს და 1888 წ. ყოფილი ეკლესიის ხის შენობაში გახსნეს სასულიერო სასწავლებელი). 1913 წ. გახსნეს ერთკლასიანი სას\წავლებელი, რაც იმ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

„1913 წელს, სოფელ კოშკებში ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა. სანამ თოვლს არ ჩამოყრიდა, ორი-სამი მოწაფის მეტს ვერ ნახავდით სკოლაში. მას\წავლებელმა იცოდა, რომ ბავშვები სულ ხბოებსა და ძროხის უკან იქნენ გაფანტულები ტყე-მინდორში“ (2,101-102).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძირეულად იცვლება სწავლა-განათლების მდგომარეობა. 1922

წლისას იწყება ეკლესიური სკოლების გახსნა. 1932-1934 წლებში სოფ. დუისში აშენდა სკოლის კაპიტალური შენობა. 1935 წ. ეკლესიური სკოლა გადაკეთდა არასრულ საშუალო სკოლად, ხოლო 1940-1941 სასწავლო წელს საშუალო სკოლად.

დუისის საშ. სკოლა მე-20 ს. 60-იან წლებამდე ერთადერთი იყო მთელ პანკისის ხეობაში. ამ სკოლაში ეკლესიური სკოლის დამთავრების შემდეგ მოდიოდნენ მოსწავლეები პანკისის ქვემო სოფლიდან. ერთმანეთის გვერდით სწავლობდნენ ქისტი, ფშაველი, ოსი და თუში, რაც განაპირობებდა ამ ხალხების დაახლოებას, დამეგობრებას. ერთი სიტყვით, დუისის საშუალო სკოლა გადაიქცა სხვადასხვა ეროვნების პანკისელი მოსახლეობის ძმურ ოჯახად.

ვალერიან ჩეკურიშვილიც, როგორც სხვა ქართველი ბავშვები ყვარელწყალიდან, კუხახტიდან, საკობიანოდან, ბაყილოვნიდან, კაკლიანიდან, ზემო ხალაწნიდან, დუისის სკოლაში განაგრძობს სწავლას და 7 წლის განმავლობაში ქისტის ბავშვებთან ერთად ეწეოდა სწავლის ჭაპანს.

იგი დაუახლოვდა ქისტებს, დაუმეგობრდა ტოლებს. მათთან ურთიერთობაში შეისწავლა ქისტური ენა, ქისტური ადათ-წესები, სნე-ჩვეულებანი. ისმენდა ძველ ამბებს ვაჟკაცობის, მეგობრობის, სტუმარ-მასპინძლობის შესახებ, თავადაც ცხოვრობდა მეგობრების, თანაკლასელების მეშვეობით ქისტური ცხოვრებით.

ბავშვობაში, სიყმაწვილეში ჩანერგილი ურთიერთობა დავაჟკაცების, ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლის შემდეგადაც გააგრძელა. მეგობრობდა ქისტებთან, მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდა, ხშირად, როცა მშობლიურ სოფელში ჩამოდიოდა, დუისში მეგობრებს მოინახულებდა ხოლმე.

როცა ცნობილი მწერალი გახდა, არც მაშინ დავიწყებია მშობლიური კუთხე და შესაძლებლობისდამიხედვით ეხმარებო-

და რომორც თანასოფლელებს, ისე სხვა პანკისელებს. ქისტებსაც ძალიან უყვარდათ, თავიანთ მწერლად მიაჩნდათ, ამბობდნენ თავისი კუთხის შვილის წარმატებით.

განსაკუთრებით ემახსოვრებოდნენ მას შემდეგ, როცა ვალერიან ჩეკურიშვილმა დაიწყო მოთხრობების წერა ქისტების შესახებ. ხოლო როდესაც გამოიცა მისი მოთხრობების ციკლი „ჩემი მეზობელი ქისტები“ („კარნახი“, „ბედის წყარო“,“ ფუძლიკა“, „ბედისწერა“, „სანაძლეო“, „ბებერი მსაჯები“, „ანდერძი“, „გალალებული სტუმარი“), აღტაცებას ვერ ფარავდნენ.

როგორც ითქვა, ვალერიან ჩეკურიშვილი ძალიან კარგად იცნობდა ქისტებს, მათ ყოფა-ცხოვრებას, მენტალიტეტს და მის მოთხრობებში აღწერილი ამბები ქისტების რეალურ ყოფას ასახავს. სხვა საკითხია, თუ როგორია მოთხრობების იდეური დატვირთვა, ფსიქოლოგიური სიღრმე. აქ უფრო ყოფა-ცხოვრებით რეალიებთან გვაქვს საქმე. ზოგ მოთხრობაში რეალურად არსებული პერსონაჟები მოქმედებენ, ვინც ქისტი მკითხველისთვის ადვილი ამოსაცნობნი არიან.

„კარნახი“

ამ მოთხრობაში სოფ. დუისში გატარებულ თავის მოსწავლეობის პერიოდზე გვიყვება ფშაველი ლექსო გოგოლაური. ეს ის პერიოდია, როდესაც მხოლოდ დუისში იყო საშუალო სკოლა და პანკისის ხეობის სოფლების ბავშვები მე-5 კლასიდან ერთად სწავლობდნენ.

„მაშინ, როდესაც ეს ამბავი მოხდა, პანკისის ხეობაში მხოლოდ ერთი საშუალო სკოლა იყო, ისიც ქისტების სოფელში. ამიტომ მეხუთე კლასიდან ერთმანეთის გვერდით მივუსხდე-

ბიბლიის ტერმინების ფიქსაციები, ქრისტები, თექრები, ისტები და ერთიანად ენციკლოპედიური ცოდნის წყაროს" (55,182).

ცხადია, კლასში მოსწავლეები მეტ-ნაკლები წარმატებით სწავლობდნენ, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სწავლა მაინცდამაინც გულში არ ეხატათ და ერთიანიმავე კლასში ორ-სამ წელსაც ისხდნენ. ლექსო გოგოლაურის სიტყვით არ აუხებლა ის გარემოება, თითო კლასში ორი-ორი წელი რომ იჯდა, მაგრამ ის ამბავი კი აუხებლა, რომ მისნაირი შესაძლებლობების ამხანაგები უსწრებდნენ წინ. და ეს ხდებოდა კარნახის მეშვეობით, რომელიც ლუისის სკოლაში პროფესიულ დონეზე ყოფილა აცვანილი. მოვუსმინოთ ლექსოს:

„ჩვენს სკოლაში კარნახისათვის საუკეთესო პირობები იყო. ქართულად ვსწავლობდით, მასწავლებლებიც ქართველები იყვნენ. მათ არც ქისტურისა გაეგებოდა რამე, არც ოსურისა, მით უმეტეს, წოვათუშურისა. ასე რომ, ქისტი მოსწავლეები ქისტურად კარნახობდნენ ერთმანეთს, ოსები ოსურად, ხოლო თუშები წოურად. ფშაველებმა კი მხოლოდ ქართული ვიცოდით. ქართული ჩვენმა მასწავლებლებმა ჩვენზე უკეთესად იცოდნენ და ამიტომ ნაკვიმარი ყველებივით აბეზღნი ვისხედით გაკვეთილებზე. ვისხედით და სხვათა ბედნიერებით ვკბებოდით" (55,182).

კარნახის მეთოდებიც ჰქონდათ შემუშავებული: გაკვეთილის მოსაყოლად გასული ქისტ ბიჭს წინა მერხზე მჯდომი ქისტი გოგონა გულში ჩუმად ისე კარნახობდა, ვითომ ეპუტუნებოდა დაფასთან გასულს, მხოლოდ ქართულად თარგმნალა სჭირდებოდა.

ლექსოს ეს ამბავი გულს ტკენდა. ერთხელ შეეცადა კიდეც, კარნახით გაგაქვთ თავი, თორემ ჩემსავით ორიანები გეყოლებოდათო. გამოსავალი თანაკლასელმა ქისტმა გოგონამ ხელიმ

გაძახებდა „თუ ქისტური ის[illegible]ავლი, აკლებულებლად ცუკარნასე-ბი“ (55,185).

ლექსომ მტკიცედ გადა[illegible]ვიტა, ეს[illegible]ავლა ქისტური. პირველ რიგში ქისტ ამხანაგებს განუცხადა, რომ ლეკის იქით მხოლოდ ქისტურად ესაუბრათ მასთან. მონდომებით შეუდგა ქისტური ენის შეს[illegible]ავლას, როგორც თავად ამბობს, „სალაპარაკო ქისტური სამ თვეში ვის[illegible]ავლე და მესამე მეოთხეულის კარნახის მოსასმენად მომზადებული შევხვდი“.

კარნახი ჩვეულებრივ სტილში [illegible]არიმართა: ლექსო გოგოლაური მოს[illegible]ავლეთა ინიციატივით გამოძახებულია გაკვეთილების მოსაყოლად, რამაც მასწავლებელი, რასაკვირველია, გააკვირვა, ხეედი ძულეის ესაუბრება, ლექსო ქართულად თარგმნის საუბარ-გაკვეთილს. მართალია, როგორც ენის ახლად[illegible]შემს-[illegible]ავლელს შეეფერება, ბორძიკით, მაგრამ მაინც ჰქვება. თუმცა ლექსოს რაღაც შეშფოთება იპყრობს, არ მოს[illegible]ონს მასწავლებლის ღიმილი. არც ამხანაგების რაღაცის ჩუმი მოლოდინი მოე[illegible]ონა, სიცილის შეკავებაში რომ იგრძნობოდა:

„ხეედიმ ძულეის დაუ[illegible]ყო „საუბარი“, მე კი მივყევი და ქართულად დავიწყე თარგმნა თარჯიმანივით. მართალია, გამოუცდელობის გამო ერთსა და იმავე წინადადებას ხანდახან ორჯერ-სამჯერაც ვიმეორებდი, მაგრამ ამაზე არ მაძლევდა შენიშვნას მასწავლებელი და არც ხეედის აძლევდა შენიშვნას ამხანაგს ხელს ნუ უშლიო. მიყურებდა და ოცნავ ეღიმებოდა. ის ღიმილიც მეუცხოებოდა, მაგრამ იმას რა მაფიქრებინებდა, რაც შემდეგ მოხდა“ (55,186).

ხოლო მოხდა ის, რომ მასწავლებელმა განეცხადა მასალიდან დაუსვა კითხვა, რომელზეც პასუხი არც მოკარნახეს, აღმოაჩნდა და, რაც მთავარია, მასწავლებელმა ლექსოს ქისტურად უთხრა: „დაჯექი, გოგოლაურო, დაჯექი! კარნახით ფონს

ვერ გახვალო". იურიც წავიდა. მერი მასწავლებელსაც შეესწავლა ქისტური.

„მერი მასწავლებელმა თვალები მოწკურა და ქისტურად მიახრა: ოხა, გოგოლაურ, ოხა! დაჰიხარხ კელერ ვაც ჰო" (55,188).

ითქოს შეგებებულმა მცინარემ ჯებირი გაარღვიაო, ისე იგრიალა ჩემი ამხანაგების გულში ჩაგებებულმა სიცილმა.

გონს რომ მოვეცი, შევამჩნიე, ამხანაგებიდან მხოლოდ ისინი იცინოდნენ, რომლებიც ცოტა რამეს მაინც სწავლობდნენ. ხოლო ჩვენ, ვისაც სული კარნახით გვეძგა, ჯავრისაგან ისე ვიყავით, დანა კბილს ვერ გვიხსნიდა.

აი, ასეთი ბედი მაქვს! მე რომ მეგონა, ეს არის და მეშვეიდა-მეოქი, მერი მასწავლებელმა მაინცდამაინც მაშინ არ ისწავლა ქისტური!" (55,188).

ამ ამბავმა ლექსოს ერთი სარგებელი მაინც მოუტანა უცხო ენა შეისწავლა, რაც არც თუ ისე ცოტაა.

„ბედის წყარო"

პანკისელი ფშაველი ახალგაზრდა სკოლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა თბილისში, ინსტიტუტი დაამთავრა, მერე განაწილებით უკრაინაში მოხვდა. შემდეგ რუსთავში დაიწყო მუშაობა და 7 წლის შემდეგ შვებულებით ჩადის მშობლიურ მხარეში. შემოდგომაა, სოფელში ცველა საქმეშია ჩაბმული, ჭირნახულის დაბინავება უნდა და ლევანიც ოჯახურად გრძნობს თავს.

იგი თოფით ბალთაგორაზე მიდის, ქედნებზე უნდა ინადირის, მაგრამ ცუდი ღრო შეარჩია. ქედნები შუადღისას ხის

ხ'ჰირ ფიოლებ'ში ისკუნებენ. ხეობის 'ჰემლეგ მხის'ჭერდა, ჭობიოს წ'ყარო მიაგონდა, გორა'ზე გალავიდა, წ'ლით გაგრილ-და და ბუნების სიმ'შვენიერით ტკბებოდა.

მწ'ემსი ბიჭი ზურნას 'უკრავდა. ზურნის ხმამ გაახსენა მეზობელი ქისტები, მათი ყოფა-ცხოვრება, ხასიათი ცეკვა-თამა'ში. მას მოსწონდა ამ ხალხის რომანტიკული სული, მებრძოლი განწ'ყობილება, წინაპრული 'ჰემარიება.

„ზურნის ხმა მიყვარს. ბავ'შვობიდანვე მომდევს მისი სიყ-ვარული. არ ვიცი, მეჩვენება თუ მართლა ასეა, ზურნა ყვე-ლაზე მეტად გამოხატავს ქისტი ხალხის რომანტიკულ სულს. როცა ზურნაზე სევდიან მოტივს უკრავენ, მესმის, ქისტი ქალი როგორ მოთქვამს უიღბლო სიყვარულზე. ზურნის ხმა'ში ვხე-დავ, ქისტი დედა როგორ ტირის მტრის ხელით მოკლულ 'შვილს. დაფა-ზურნის საზეიმო ხმა'ში ვხედავ, როგორ მოხდე-ნილად, რიტმულად, ვაჟკაცურად ცეკვავენ ქისტი ქალ-ვაჟები.

და მე მგონია ქისტური ცეკვა ულამაზესი სანახაობით პოე-მაა სიყვარულზე, ვაჟკაცობაზე...

უდიდეს სიამოვნებას განვიცდიდი, როცა ქისტების დაკრულ დაფა-ზურნას ვუსმენ შორიდან. იმ ღელესაც წ'ყაროსთან წ'ამოწ'ოლილი ჰანგებს მივყვებოდი საღღაც 'შორს, თვალ'წ'ვიერ სამყარო'ში. იქ მე ვხედავდი ამ ხალხის ბრძოლას, 'შრომას, სიხარულს...“ (55,193).

წ'ყაროსთან მძინარე ფ'შაველს ქისტი გოგონები წ'ამოაღგნენ თავს და გააღვიძეს. გაეცვნენ ერთმანეთს. გოგონებს ძანუა და სებიხათი ერქვა. სებიხათი უფრო თამამი იყო, ძანუა მორიღებული.

„სებიხათა გარეგნულად არაფრით გამოირჩევა, ქართველ გოგოს ჰგავს. ძანუა კი ნამდვილი ქისტია; მაღალი, თეთრი, ყვითელთმიანი. ზღვისფერი თვალები აქვს და თხელი, ნაზი ტუჩები, წ'ვრილი წ'ელი, ს'წორი, ჩამოქნილი ფეხები“ (55,195).

ფ'ილიპეს ახალგაზრდა საოცარი ფანტაზიორია, ნამდვილი შემოქმედი და თავის თავგადასავალს ისეთი ლეგენდა შეთხ'ა, რომ გოგონები განცვიფრებულნი უსმენდნენ: თურმე ლევანი უკანაფ'ილიდან არის. მას შეკვარებია მეზობელი ლამაზი ქალი'შვილი ლელა. ქორ'ილის ღღეც დაუნი'შნავთ და წინა ღამეს ლევანს ხი'სმარ'ში გამოეცხადა ლელა, ხელ'ში დამჭკნარი ყვავილები ეჭირა. ლელა დაღონებული იყო, ნამტირალევი, წუხდა, რომ ყვავილები დაეხოცა, მოუბოდი'შა ლევანს და უთხრა: პანკის'ში, ბალთაგორის გაღმა'მა შინდის ძირ'ში წყარო მოჩუხჩუხებს. ის წყარო მონახე, დაწყარაულები. წყაროსთან მოვა თეთრი, ზღვისფერთვალება გოგო. რა თქმა უნდა, ის ლელა არ იქნება, მაგრამ თუ მან წყალი დალია, ყვავილებს ის გაახარებს შენს ბაღში. ლელა ამ გაზაფხულზე გარდაიცვალა, დავასაფლავეთ და წამოვედი, რათა მისი სურვილი შევასრულოო.

ქისტის გოგონები სულგანაბული და გაოცებული უსმენდნენ ლამაზ ლეგენდას, თითქოს ღაიჯერეს კიდეც. დაიჯერეს და თანაგრძნობაც გამოხატეს. სებისხათი იმდენად გაიტაცა ამბავმა, რომ მისი რეალობად ქცევა გადაწყვიტა და ამხანაგს ქისტურად ეუბნება, მიდი, წყალი დალიეო.

მაგრამ ძანუამ იუარა, არ მწყურია, თორემ რატომაც არ დავლევდიო. არა და სწყუროდა, ამბის მოყოლამდეც უნდოდა დალევა, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან „ქისტ ხალხ'ში იმდენი უცნაური ადათ-წესია, ქალს ყოველთვის წინადახედულება მართებს, თორემ შეიძლება რაიმე უსიამოვნება'ში გახვიოს თავისი თავიც და ძმა-ბიძა'შვილებიც“ (55,196).

ამბის მოყოლის შემდეგ ქისტის ქალი არ დალევდა წყაროს წყალს. წყლის დალევა ვაჟის წინადადებაზე თანხმობას ნიშნავდა, რაც ეწინააღმდეგებოდა იმ ხნე-ჩვეულებებს, რომლებითაც აღიზარდა ძანუა.

ქის კარებად იკოდა თავად ლეკანმაც.

„ვიცი, ძანუა ახლა წყალს ალარ დალევს, თუ გისდ წყერვილი ჰკლავდეს. იგი ძურძუკთა შთამომავალია, ძარღვებში ისლამის სისხლი უჩქეფს და გონებაში მტკიცედ აქვს ჩაჭედილი ბრძანება ალაჰისა: "შენ ქისტი ქალი ხარ, მაჰმადიანი. არა გაქვს უფლება გათხოვდე სხვა რჯულის კაცზე, თუ არ დაიშლი და მაინც გათხოვდები: მოკვეთილი იქნები მშობლებისაგან, და-ძმისაგან, ნათესავებისაგან, მთელი სოფლისაგან, მთელი ქისტეთისაგან, და თუ ამათგან ვინმე შეგირიგებს, მაშინ ისიც მოკვეთილ იქნას" (55,199-200).

სებიხათს გული დასწვიტა ამბის ასე დამთავრებამ. ეტყობა, რომანტიკული სულის ჭალიშვილს ეწყინა უცხო ვაჟიშვილის უბედობა, უსაყვედურა კიდეც, ჯერ წყალი დაეღია ძანუას და მერე ამბავი გეთქვაო.

„დამემშვიდობნენ და თავქვე დაეშვნენ, ცოტაზე რომ ჩაიარეს, შეჩერდნენ და სებიხათმა დამიძახა:

ლევან, როდემდე უნდა უყარაულო ბედის წყაროს?!

დელარ, ცახიე სუონ, ქისტურად ვუპასუხე.

მოულოდნელობისაგან თვალები გაუბრწყინდა ორივეს.

ქისტი ხარ? უმალვე მკითხა ძანუამ.

არა, ფშაველი ვარ!

არ ვიცი, მართლა ასე იყო თუ მომეჩვენა, ძანუას ეწყინა. მიტრიალდა და შემწყრალივით გაშორდა იქაურობას.

მე კიდევ კარგა ხანს ვიჯექი წყაროსთან გულდაწვეტილი" (55,200).

დაასრულებ ამ მოთხრობის კითხვას და ნაღველი გიპყრობს, გონებაში წამოტივტივდება კითხვები, რომელთა პასუხებიც არ არის, ან არის და ძალიან მკაცრია. წაიკითხავ „ბედის წყაროს" და უნებურად პარალელს ავლებ მურღვა არღოტელის ლექსთან:

„ებ, ქრისტის ქალო, მარეხ, ჯაირახს
მე მირჩევნია ჩემი არდოტი.
ვერ გაეშორე ვაჟებს ბაირახს
და ლილოს ცაზე შენ არ დარდობდი.
იქნებ გგონია, რადგან „ფხია“ ვარ,
მტრად ვარ მოსული და სისხლს დავეძებ...
მაშინ ქრისტეთის ამაყ მთებს ჰკითხე,
არმხის ხეობის გრიგალს რად ვეძე.
ან გამომშვერი ყელი გიაურს,
ან დამაწყვიტე ჯაზდარს ბეჭებით,
ლამდება, მთები ისევ ოხრავენ
და ცა ოვსება თეთრი კონჭებით“ (11,44).

„ფულია“

ვალერიან ჩეკურიშვილი თავის მოთხრობებში უმთავრესად რეალური ამბებისა და რეალური პიროვნებებს აგვიწერს. მოთხრობა „ფულიკას“ მთავარი პერსონაჟი ფულიკა სინამცვილეში ამ სახელით ცხოვრობდა ბისანა მარგოშვილის ოჯახში. ის იყო ერთი ბეჩავი, უპატრონო კაცი, მაგრამ ბისანა ისე ეპყრობოდა, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს.

ბისანას ოჯახის წევრები მეულლე არუჟა, ღეღა ლათეი, ვაჟიშვილი მუხმაღა და მოთხრობის ეპიზოდური პერსონაჟები - მესურნე უმი, მოცეკვავე ხაღიზ ჰასანოვი, ქავსი რეალური პიროვნებებია და მწერალმა თავისი ნამღვილი სახელებით შემოიყვანა მოთხრობაში.

რეალურია მოთხრობის სიუჟეტიც - ფულიკას შეფარება, მისი ცხოვრება სოფ. ღუისში და აღსასრული. ამ რეალური ამბის

შარცვლული გაღმოცემით აეტიორში შიაბშეკლიავად გაღმოცემა ღუისული ქისტების ცხოვრების სურათები, ადათ-წესები და ჩვეულებანი.

მოყვრებიდან შინ მიმავალ ბისანას სამირის ერთ სალამოს საფიხვნო ცაცხვების ქვეშ (ეს ცაცხვები ღღესაც დგას სოფ. ღუისის ცენტრში, მთავარი გზის ორივე მხარეს) შენიშნა სიცივისაგან მობუსული კაცი. ბისანამ ვინაობა გამოჰკითხა და როცა შეიტყო, რომ უცნობს მასპინძელი არ ჰყავდა, უყოყმანოდ მიიპატიჟა სახლში.

„ბისანამ ლაპარაკზე შეატყო, უცნობი არც ქისტი იყო, არც ქართველი. იგი სიცივეს აეტანა, აძაგძაგებდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

შენ რა, აქ აპირებ გათევას?

- აბა, სად წავიდე? - ისე გაიმეორა, თითქოს ამ სიტყვების მეტი არაფერი იცოდა.

სიცივისაგან ქვა სკდება, მანდ რა გაგაძლებინებს, შე ოჯახქორო! მასპინძელი არა გყავს?

არა.

წამოდი ჩემთან! ამაღამ მე ვიქნები შენი მასპინძელი, შეცივებულმა ბისანამ ხელი მოჰკიდა გაყინულ კაცს და შინ წაიყვანა“ (55,206).

აღმოჩნდა, რომ უცნობი იყო ყარაჯალელი თათარი, რომელსაც ღიდი უბედურება დასტყღომოდა თავს: ულმობელ სიკვდილს ჯერ დედა წაერთმია, მერე მამა და ძმა. შეშინებულ ფულიკას მიუტოვებია სიკვდილჩასახლებული პატარა სახლი და დაბრუნებას არც აპირებდა.

ღამის გასათევად მოწვეული სტუმარი მეორე ღღესაც ღარჩა. ბისანამ ვერ შეძლო უპატრონო, ობლად დარჩენილი უიღბლო კაცის სახლიდან გაგდება, დედა და ცოლიც გულკეთილი ქალები იყვნენ და ასე შემორჩა ამ ოჯახს.

ბისანამ გადაწყვიტა ეს საქმიანი თავისთან დაეტოვებინა: „იყოს ამ საქმიანს ჩემთან, მე მაგისი ჭაჰა ვერ გამაღარიბებს, ერთი ხელი ლოგინი გინდ გქონია, გინდ არა. გაზაფხულზე კი სამუშაოები გაჩნდება სოფლად და მერე როგორმე მონახავს თავის გზას“ (55, 220).

გავიდა საქმიანი, გაზაფხულისა და საფხულეში სოფელში სამუშაო გაჩნდა. ფულიკა ხალხს ეხმარებოდა ათასგვარ ვერილმან სამუშაოებში, როცა მიცემდნენ, კმაყოფილი იყო და ფულს კაპიკ-კაპიკ ღათეის, ბისანას დედას აბარებდა.

„სოფელში სამუშაოს რა გამოელევს, ფულიკამ გარე სამუშაოებს, მართლაც, მოჰკიდა ხელი. საოგს შეშას უზიდავდა ტყიდან, საოგს ხე-მასალის ჩამოტანაში შველოდა. ისე, რომ თუ კარგი ამინდი იდგა, ფულიკას საქმე ყოველთვის ჰქონდა. გასამრჯელოზე არასოდეს ვაჭრობდა, რასაც შეაძლევდნენ, ყაბულს იყო.

საღამოს ცოტა გადაკრული ბრუნდებოდა შინ, სიცილით შეაღებდა ჭიშკარს, ჯიბიდან ამოიღებდა იმ დღეს აღებულ ფულს და ღათეის აძლევდა“ (55,222).

ფულიკა ფიქრობდა, რომ ფულს ოჯახს ახმარდა, მაგრამ ღათეი კაპიკს არ აკლებდა. ერთხელ ბისანას ფული დასჭირდა, ისესხა და სესხი დააბრუნა უკლებლივ. ფულიკას საკმაო თანხა დაუგროვდა, შემოდგომაზე მიუთვალეს და უთხრეს, რომ შეუძლია ახლა, საღაც უნდა, წავიდეს და როგორც უნდა, მოიხმაროს ფული.

ფულიკას არ უნდოდა მასზე მზრუნველი ოჯახის მიტოვება, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ უნდა წასულიყო. მადლობის მეტი რა ეთქმოდა, უმადური სულაც არ ყოფილა და ეს ფული აკვანში მწოლარე ბისანას ვაჟიშვილს, რომელიც მისი ღუის'ში ჩამოსვლის დროს დაიბადა, სასოუმაღლეში ამოუდო.

მაგრამ ბისანა ის კაცი რომლი იყო, ბუჩაკი კაცის ნაკაბარი მაიეოვისებინა. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ბევრი არ\შე-ნა ფულიკა, ფული წაიღეო, მაგრამ ვერაფერით დაიმანხმა. ფულს კი ასე ვერ დაიტოვებდა, ამით სახელსაც გაიტეხდა მეზობლებში.

„რა მჭირს ახლა იმისი ფასი, რომ ამ ბეჩავის ნაოფლარი არმაღ დავიტოვო. რა ქელში უნდა ჩავიდეს, ან ბავშვს როგორ დავახარჯო. მერე ხომ სიკვდილამდე ხინჯად დამრჩება გულში“, ფიქრობდა ბისანა. ერთხანს გადაწყვიტა, ვუკვირებ და ძალათ ავაღებინებო. ეს იმ კაცის ალალი გულისთვის წიხლის დაკვრა იყო. არა და...“ (55,224).

ბისანამ ფულიკა ისევ დაიტოვა ოჯახში. იფიქრა, იფიქრა და გამოსავალიც მონახა. კოლმეურნეობის გამგეობაში განცხადება შეიტანა ფულიკას სახელზე, წევრად მიაღებინა და საკარმიდამო ნაკვეთიც გამოუყვეს. დატრიალდა ბისანა, ხელოსნები დაიქირავა და ფულიკას დანაზოგით პატარა სახლი აუშენა. შემდეგ ფულიკასავით ერთი უპატრონო ჩეჩენი ქალი გამონახა, ცოლად შეირთო, კარგი პურ-მარილიც გადაიხადა და ფულიკას ბედნიერება, დამოუკიდებელი ცხოვრება დაუსრულა.

ბედნიერებას ელირსა პატარა კაცი. ობლის კვერიც გამოაცხო საკუთარი სახლი და ოჯახი შექმნა, ფულიკას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

„ბედნიერი კაცი გახდა ფულიკა, საკუთარი ჭერი ეხურა თავზე, ქალიც მშრომელი და პატივისმცემელი გამოუდგა. სამუშაოდან მობრუნებულს შინისკენ მიუხაროდა. იცოდა, შინ დახვდებოდა კერა, გაღიმებული ცოლი და ცხელი კერძი. ღიღ რამეც ულირდა ისიც, რომ კომლთა სიაში მისი გვარიც ეწერა. სოფელში კი ძმასავით ეგულებოდა ბისანა“ (55,225).

საწყალი კაცისთვის არც გათენებულა და არც გათენებაო, ნათქვამია და საწყალი ფულიკას ბედნიერებაც ღიღხანს არ

გაგრძელებულა. ერთხელ ცოლის ბრძანებაც ასრულება და სანამ სოფლიდან რაიონის საავადმყოფოში ჩაიყვანდნენ, ოპერაციამ ვეღარ უშველა.

დაინგრა ფულიკას ბედნიერება, ფსკერის ადამიანი იყო და კვლავ ფსკერის სიღრმეზე დაეშვა: სასმელს მიჰყო ხელი, გალოთდა. თუ რამეს იშოვიდა, არაყში ხარჯავდა, თან სვამდა უსომოდ, ქუჩის ორლობეებში ეგდო ხოლმე უგონოდ მთვრალი.

და შემწედ ისევ ბისანა მოევლინა, ეს ღვთისნიერი კაცი. ღიდი ძალისხმევის შედეგად სასმელი დაათმობინა და თავისთან შეიფარა.

25 წელი იცხოვრა ფულიკამ ბისანას ოჯახში და როდესაც გარდაიცვალა, როგორც ოჯახის წევრს, ისეთი პატივი დაადევნა ბისანა მარგოშვილმა.

„მეორე ღღეს მიცვალებულის პატივსაცემად იუქმეს ქისტებმა. მოღიოღნენ და სამძიმარს ეუბნებოდნენ ბისანას.

მეორე ღღეს ჩაბნელებულ ოთახში ჩაიკეტნენ ქისტის ქალები, დაოსებამდე ამბობღნენ ზარს და გამეტებით იგვემღნენ თავს, ფულიკას ცოღვათა მოსანანიებლად.

მეორე ღღეს ქისტებმა ძიგარით მიაცილეს მიცვალებული ძველ სასაფლაომდე.

მეორე ღღეს სოფელში ახალგაზრდები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ვინ იყო ფულიკა, რა იყო ბისანასი? ამ ქისტ კაცს ვინ შეუსახლა ის ბეჩავი ოათარი, მის ავადმყოფობას რატომ გაუღაჰქვა ასე, ან ამღენი ხარჯი რატომ გასწიაო“ (55,237).

„ფულიკაში“ ვალერიან ჩეკურიშვილმა „ფსკერის“ ადამიანის ბედი დაუკავშირა ქისტებს და ამ გზით ნათლად დაგვანახა ამ ხალხის ჰუმანურობა, კაცთმოყვარეობა. თუ მაქსიმ გორკი „ფსკერის“ ადამიანთა ცხოვრებას უკავშირებს სოციალურ წყობას, მიხეილ ჯავახიშვილი ბედგამწარალ ადამიანთა ყოფას

აღაძიანია ქვეყნიერების, დაჩაგრული მოძმისადმი ქრისტესებრ ბრძანებისა და გულქვაობის ფონზე მძაფრად გვიხატავს, ვალერიან ჩეკურიშვილი ჩაგრულისადმი თანადგომისა და მხარდაჭერის ღვთისით გამოცის.

„ბედისწერა"

მოთხრობაში „ბედისწერა" ბედგამწყრალი კაცის ისტორიაა. აქაც, ისევე, როგორც ეგ. ნინოშვილის მოთხრობების გმირებს, შრომითა და ჯაფით, უუფლებობით და უსამართლობით დაჩაგრულ ადამიანებს ბუნება უმხედრდება, ასე გადაჰკიდებია მეხი მაჰამა ცათიაშვილის ერთადერთ ძეს მალხაზს.

ჯერ იყო და მაჰამა უცოლოდ კარგა ხანს დაიარებოდა, 10 წელიც კი გადააცდინა დაოჯახების ასაკს. მერე, ადგილობრივი ქისტი კი არ შეირთო, არამედ ჩეჩენი ქალი ბესირათა შეირთო, რომელმაც ზედიზედ 4 გოგონა გაუჩინა. ეს კი ნამდვილად არ იყო ქისტებში ბედნიერების ნიშანი.

ქისტებში კი უძეობა ნამდვილ უბედურებად მიაჩნდათ და ნათესავები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, როგორმე სხვა ცოლი შეერთოთ. და არც მოისვენებდნენ, სანამ კერაზე ვაჟი არ დაიწყებდა სირბილს. მაჰამა ცათიაშვილსაც უპირებდნენ რჩევასა და დახმარებას ამ საქმეში, რომ ბესირათას მეხუთე ვაჟი არ შესძენოდა.

ბავშვი მზის ამოსვლისას დაიბადა და მალხაზი დაარქვეს (ქისტურად მალხ მზე, ააზ სხივი). ბიჭმა დიდი სიხარული მოიტანა ოჯახში, მაგრამ დედამ მალე შეამჩნია, რომ ყმაწვილი მოუსვენრობას იჩენდა ამინდის შეცვლისას: ჭექა-ქუხილისა და ელვის დროს ტიროდა და მის დამშვიდებას საშველი არ ჰქონდა. როგორც კი გამოიდარებდა, ბავშვი წყნარდებოდა.

ეს ხ'ისრაელ მკვირველებისა და დაკვირვებული ღმერთი მიხვდა, რომ მისი 'შვილის მტერი ავი ამინდი იყო.

„ჩემენ ქალს ძმისმკვლელივით სძულდება ავი და 'შავი ღრუბლები, რომლებიც ძილსა და სიმ'შვიდეს უკარგავდნენ მის პატარას" (55,244).

და, აი, ერთ ავდრიან ღამეს ავმა ამინდმა თავი გაამ'ჟღავნა: მაჰამას ე'ხო'ში აკვან'ში ტირილისგან გაღაფიჩინებული ჩვილი იწვა, გარ'შემო ტყეები გოგონები 'შემოხვეოდნენ და ამ'შვიდებდნენ პატარას. უამინდობით აფორიაქებული დედა 'შემოვარდა თუ არა, მეხმა დაიგრუხუნა.

„გრგინვამ დედამი'წა შეაზანზარა.

ჭი'შკარ'ში 'შევარდნილი თმებგაშლილი ბესირათა რაღაც უხილავმა ძალამ აიტაცა და წყალ-ჭყაპიან ეზო'ში უგონოდ დასცა;

აკვნის გარ'შემო აწრიალებული და აწითლებული ტყეები ერთმანეთს 'შეაწყვიტა და ისინიც ენაჩავარდნილები დაყარა ნაწვიმარ მი'წაზე" (55,246).

ამჯერად მეხი მაჰმადს ეზო'ში მიდგარ ვაშლის ხეს დაეცა, ქვეშანი გაღარჩნენ. მეზობლებმა და მ'შობლებმა ღმერთს მადლობა 'შეს'წირეს გაღარჩენისათვის.

„ამის 'შემდეგ ჩემენი ქალი დარწ'მუნდა, რომ მზეს საქვეყნო კაცად სწორდა მისი მალხაზის გა'სრდა, ჭექა-ქუხილის ღმერთი კი მტრად ჰყავდა გაღაკიდებული" (55, 246).

ძველი ქისტების წარმოდგენით, ღმერთი დედა მთავარი იყო, ხოლო მისი ხელქვეითები განაგებდნენ სხვაღასხვა ბუნებრივ მოვლენებს. მაგალითად, ჭექა-ქუხილის ღმერთი სიწლა იყო, მის ხელ'ში იყო წვიმა, ქარი და ელვა. მეხს სიწლას მუგუსალს (ქისტურად სიწლ ხეშ) ეძახდნენ, ელვას სიწლი კაშკაშებს (ქისტურად - სიწლ ყიც), ხოლო ცისარტყელა სიწლას მშვილ-

ლი (ქისრუ<u>რ</u>ად სიცოცხლე). სიკვდილის დამშვიდებისა და გამოსყიდვის ნიშანი იყო. ეს წარმოდგენები ქისრებში მაჩმაღიანობის დამკვიდრების შემდეგაც შემორჩა.

მეორედ ალავერდობიდან მობრუნებულ დედა-შვილს დაესხა თავს ჰექა-ქუხილი. პანკისის სიღრმეში, გუხის პირას საჩრდილობელი ბებერი მუხა იდგა. როგორც კი მგზავრებთან ერთად ბესირათა და მალხაზი ჩამოსხდნენ, იქვევა, საშინლად დაიქუხა და ჰაერში ნატუსალის სუნიც დადგა: მეხი მუხას დასცემოდა და შუაზე გაეპო.

მწერალი ადამიანის ბუნების ზედმიწევნით ცოდნას ამჟღავნებს, როცა აგვიწერს დედის განცდებს ახალი განსაცდელის მოლოდინში. დედამ იცის, დარწმუნებულია, რომ ჰექა-ქუხილის ღმერთი მესამედაც თავს დაესხმის მის საყვარელ ძეს და ეს უკვე უფრთო იქნება. იცის ისიც, რომ ამ განსაცდელს თავს ვერ აირიდებს, კაცისგან, ადამიანისგან რომ მოელოდეს საფრთხე, გაეცლებოდა, წყალსა და ცეცხლსაც მოარიდებდა, მაგრამ როცა ზეცა ემტერებოდა, თავი უძლურად მიაჩნდა.

მესამედ ხიფათმა მთაში უწია დედა-შვილს 5 წლის შემდეგ და ამჯერად ველარ გადაურჩა განსაცდელს მალხაზი.

„ბავშვი დედას შეჰყურებდა, თვალებზე ცრემლი შენიშნა და შეეშინდა. ის იყო, ხმამაღლა უნდა დაეღრიალა, რომ ამ დროს საშინლად დაიგრგვინა. მას მოჰყვა რაღაც სტვენა-ზუზუნის მსგავსი ხმაური. აპარპალებული ცეცხლი რატომღაც თავისთავად ჩაქრა, ჩაიშრიტა. ბოლოს საკვამლე მილიდან საცეცხლურში ინდაურის კვერცხისოდენა ცეცხლის ბურთი ჩამოვარდა. იგი ისე ნელა დაეშვა ძირს, როგორც ჰაერით გატენილი საბავშვო ბუშტი. დავარდა და მალხაზის ფეხებისკენ გაგორდა.

ბავშვს შეეშინდა, უკან დაიხია.

ნაპერწკლების ცვრქვეშ ბეჭდა სწყლა აიწია და ისევ მალხაზისკენ გაემართა.

ბავშვი მობრუნდა და კვლავ ღელისკენ გამოიქცა.

ბურთიც კვალდაკვალ გამოჰყვა.

გაოცებული და გახიახებული ბესირათა დაიბნა, არ იცოდა რა იყო, თორემ რაღაცას მოიმოქმედებდა.

მალხაზი მიხვდა, ცეცხლის ბურთი სწორედ მას დასჭეოდა ნაპერწკლების ფრქვევით. უფრო შეეშინდა და კარებისკენ გაქანდა. უნდოდა გარეთ გაესწრო, კარი გაეხურა და მეორე ქოხში დამალულიყო.

ბურთი უეცრად შეტრიალდა, კარებში დაეწია, დაეჯახა და...“ (55, 261-262).

დაეჯახა და ალასრულა კიდეც თავისი საქმე. მაგრამ ამით როლი დაკმაყოფილდა ელია. იგი დასაფლავების შემდეგაც სამჯერ დაეცა მალხაზის საფლავს და გაოცებულ მოსახლეობაში სალაპარაკო და გამოსაცნობი დატოვა.

ქისტი ქალის ბესირათას სახე მკითხველის ყურადღებას იპყრობს ოჯახის ერთგულებით, თავისი შრომითა და გარჯით, შვილების სიყვარულით. განსაკუთრებით გამორჩეულია იმით, რომ შინაგანად გრძნობს მოახლოებულ საფრთხეს, იცის, უხილავ ძალასთან აქვს საქმე, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია და საოცარი სიმტკიცით იბრძვის შვილის სიცოცხლისათვის.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს მისი შეხედულება სამყაროს მმართველი ძალის შესახებ. ქისტურ ადრეულ რელიგიაში ჩაუხედავი კაცისათვის შეიძლება, არც ისე საინტერესო იყოს ამ უბრი ქალის შეხედულება მზესა და ელიაზე, მაგრამ მას ღრმა ფესვები აქვს.

ბესირათა ქისტური ტომის მალხების თეიფის წარმომადგენელი უნდა იყოს. მალხები ცხოვრობდნენ მეღიხისტაში, ქარ-

თუნდაც მითხრა რომ ქრისტეს და ხელისუფლის უპირველეს ვალად მიიჩნევდა. ეს ძლიერი თეიფი მშვიდად სცემდა თაყვანს და თავს მშიერ შვილებს უწოდებდნენ, სახელწოდებაც „მალხ“ მშიერისგან წარმოდგება (ქისტურად მალხ მშვიდ ნიშნავს).

ბესირიათას წარმოდგენაშიც მშვიდ არის ქვეყნისა და მისი მცხოვრებლების მფარველი. მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანია და ალაჰს სთხოვს წყალობას, მიაჩნდა, რომ მშიერ სიკეთეს ადამიანები მაინცდამაინც ვერ ამჩნევდნენ და სათანადოდ ვერ აფასებდნენ. „ბესირიათას მიაჩნდა ადამიანები პირველად მშვიდ უნდა ლოცულობდნენ და მერე ალაჰს, რადგან მისი ასრით, თვით ალაჰიც კი ლოცულობდა მშვიდ“ (55,257).

ეს დიდი მკრეხელობა იყო, ასეთი საუბარი ქისტ ქალებსაც არ მოსწონდათ, მაგრამ ჩეჩენი ქალი თავისას არ იშლიდა. მას ასეთი აზრები უტრიალებდა მშიერ შესახებ:

„ჩეჩენ ქალს ერთი რამ ძალიან უკვირდა; მშვიდ - ასე დიადს და ჭკვიანს რატომ ვერ მოუფიქრებია, რომ ერთხელ საწინააღმდეგო მხარეს შეტრიალდეს, მაშინ ხომ დაღლილი და შეშინებული ღამე პირდაპირ წინ შეეფეთება. შეეფეთება და... ბოლოს და ბოლოს დამთავრდება მათი ომი“ (55,258).

ქალმა არ იცოდა, რომ მშვიდ ღვთის დაღვენილი განრიგით მოძრაობდა და ცოტაოდენი გადახვევაც კი კოსმოსურ კატასტროფას გამოიწვევდა. ხოლო მარშრუტის საპირისპიროდ შეცვლა სამყაროს დასასრული იქნებოდა. პირიქით, მას სწამდა, რომ ასეთი რამ შესაძლებელია მომხდარიყო. ესა თქვა ქისტ ქალებთან საუბარში:

„ ეე, ქალებო, ჩვენ დიდი საოცრების მომსწრენი გავხდებით. ერთ მშვენიერ დღეს მზე დასავლეთიდან ამოვა და ქვეყნიერებაზე საერთოდ გაქრება ღამე“ (55,258).

ბესირაითას თავისი ასტრონომიული ცოდნა ჰქონდა, დედის-გან შეძენილი. რიგორც ჩანს, დედამისი წარმართობის პერი-ოდის რელიგიურ შეხედულებებს იზიარებდა და შვილსაც უნერგავდა.

„ბესირაითას სწამდა, მზე დედამიწას უვლისო გარშემო. ამას იმიტომ სჩადის, ბნელს მისდევს მოსაკლავად. მზე კეთილია, ბნელი ბირიტი. ეს ქალი დარწმუნებული იყო: დიდი ხნის წინათ მზე უფრო სწრაფად მისდევდა დამეს, უფრო სწრაფად ურბენდნენ გარშემო დედამიწას“ (55,257).

ბესირაითას უყვარდა მზე, სწამდა, მზესაც უყვარდა მისი შვილი და დაიცავდა კიდეც, მაგრამ მზემ ვერ გაუმართლა იმჯერ.

„სანაძლეო“

პანკისელების ცხოვრებაში ცხენს დიდი მნიშვნელობა აქვს, მას იყენებენ მეურნეობაში გამწევ ძალად, მომთაბარეობისას საჯდომად და ტვირთის გადასატანად. და რაც მთავარია, ჯიგ-იტი ცხენის გარეშე რა ჯიგიტი იქნებოდა. ან ვაჟკაცობას კარგი ბედაურის გარეშე როგორ დაამტკიცებდა, ამაყ ქისტს ქალიშვილისათვის თავისი სიჩაუქითა და კარგი მხედრობით თავი როგორ მოეწონებინა.

„საქორწილო ვაჟი მუშაობას ერიდება, რაკი ცხოვრების ამხ-ანაგს ეძებს. იცის, რომ ქალებს მოსწონთ კოხტა ბიჭი, ლამა-ზად ჩაცმული და ცხენზე ამხედრებული, ამიტომ ტანის მოსარ-თავი თვითონ რომ არ ჰქონდეს, ითხოვებს თითქმის ყველაფერს, ჩუსტებსაც კი, კარგად ჩაიცამს, დაიხურავს, შეჯდება კუდგამო-ნასკვულ ცხენზე და გააქროლ-გამოაქროლებს საგულებლისაკ-ენ“ (2,131).

პანკისში მანქანა-ტრაქტორების მიმართულებითაც კი ვერ მოსპო ცხენის ღანიშნულება, თუმცა საგრძნობლად შეამცირა. ქისტები ყოველთვის ცდილობდნენ ბეღაური ცხენების შეძენას, ცხენის ქურდობასაც კი არ იშლიდნენ. პირიქით, ცხენების ქურდობა მეგრელებივით ძალზე ეამაყებოდათ.

თუ კი საღმე დღეს გაიმართებოდა (მოიცლებში ეს ჩვეულება დღესაც აქტიურია), აუცილებლად მოიცებდნენ მონაწილეობას და ძლიერ განიცდიდნენ ცხენის ჩამორჩენას. ცხენების შეჯიბრში ხშირად იყო ახალ-მაყალი და ჩხუბი.

ვალერიან ჩეკურიშვილის მოთხრობა „სანაძლეო“ სწორედ ცხენების შეჯიბრს ეხება. პანკისელი ფშაველი, ქალაქში გასახლებული, V კურსის სტუდენტი ზაფხულში ეწვია მშობლიურ სოფელს და სიყრმის მეგობარ ლევანთან ატარებს დროს. ლევანი სულაც არ შეცვლილიყო, ბავშვობაშიც უყვარდა ცხენების ჭენება და ახლაც სტუდენტს არ აძლევდა საშველს - ცხენები ვაჭენოთო.

სტუდენტი გადაჩვეული იყო ცხენზე ჯდომას, მაგრამ ხათრი ვერ გაუტეხა მეგობარს და ნათხოვარი ცხენით მეზობელ სოფელში გაჰყვა. გზაში შემოხვდათ ნაქეიფარი ქისტი, რომელიც ქორწილიდან ბრუნდებოდა, ფშაველი ბიჭები მიიპატიჟა, იქვე გზის პირას ჩრდილში სუფრა გაშალა და ძმობისა და მეგობრობის საღღეგრძელო შესვეს.

ქისტს მოეწონა სტუდენტის ცხენი. ჩვეულებრივი საუბარი წამოიწყო: შენი ცხენი კარგი ჩანს, მაგრამ ჩემს ცხენს ვერ შეედრება. ერთი მანქანის, „პობედის“ ფასი მაქვს მიცემულიო.

ერთი სიტყვით, ნასვამი ქისტი გაღაეკიდა, გავაჭენოთ, გავიგოთ, ვისა ჰყავს უკეთესი ცხენი, თანაც სანაძლეოზე წაგებულმა ცხენზე ხელი აიღოსო.

ფშაველი უარს ვერ, ნათხოვარ ცხენს ნიძლევში ხომ არ წააგებდა? მაგრამ ქისტი აღშფოთებულა და ბოლოს სტუდენტიც ჟინმა აიყოლია.

ისიც გავაჭენოთ, ახლავე გავიქცეთ, კისი ცხენი სჯობია! არ მინდა.

როგორ თუ არ გინდა?

ისე, უბრალოდ არ მინდა ცხენი დავცვალო.

- არა! თუ ვაჭკაცი ხარ, თუ კარგი ცხენი გყავს, გავაჭენოთ!

რა თქვა? თუ კარგი ვაჭკაცი ხარო? ჯერ იყო და ლევანი ჩამაცივდა, ცხენისე ჯდომისა გეშინია, რა ვაჭკაცი ხარო. ახლა კიდევ ეს ქისტი... ბოლოს და ბოლოს ეს ცხენი გაიმომაგდებს, მერე რა უნდა მოხდეს.

აბა, თუ ბიჭი ხარ, გავაჭენოთ! ჩამციებია.

გავაჭენოთ! თუ ძალიან გინდა, გავაჭენოთ! მეც შემომენთო გულზე ცეცხლი.

სანაძლეოზე! ვინც უკან დარჩეს, ცხენზე აილოს ხელი.

ცხენზე? არაა, სანაძლეო რა საჭიროა!

გეშინია?

შიშში რა შუაშია?

თუ არ გეშინია, მაშინ...

კარგი, კარგი, ამაზეცაც თანახმა ვარ“ (55, 274-275).

სიტყვა ითქვა და სტუდენტი უკან ვერ დაიხევდა, თუმცა ეჭვები გულს უყრუნიდა. ჯერ ერთი, ქისტს ცხენი კარგი ეკოლებოდა, ალბათ, ტყუილად არ იქაცნებოდა. რომ წაეგო სხვისი ცხენი, სოფელში თავი როგორ გამოეყო.

პირობები დათქვეს, მიჯნაც დათქვეს, მსაჯობაც ლევანმა იკისრა და მხედრებიც მოემზადნენ.

„ახლა მე და ქისტი ცხენებზე ვსხედვართ და გვერდიგვერდ ვსდგევართ. ფრუტუნებენ ცხენები და მტვრიან შარას ტორავენ, ვერ ისვენებს „თეთრონი“, თითქოს რაღაცას გრძნობს, ქისტის ქურანი ლაგამს ხრავს და ფრუტუნებს, ცქმუტავს...“ (55, 276).

სამკლავმკერდიანი მანძილი ცხენებმა სწრაფად გაირბინეს. მაგრამ ნებას ის მიჰვებულმა სტუდენტის თეორიამ იმარჯვა, დაეწია, გაუტოლდა და მიჯნას პირველმა ჩაუქროლა.

„ორიდან ერის უნდა გემარჯვა. ის ერთი ახლა მე ვარ.

მკობის მკობი არ დაილევაო, ამბობს ლევანი.

ქისტი არ უარყოფს დამარცხებას.

ცხენიდან ჩამოხტა,

გაქაფულ ულაყს მკერდზე რამდენჯერმე შემოჰკრა მათრახი და ლაგამი მომაწოდა.

ალალი იყოს შენზე, აჰა, ძმაო, მშვიდობაში მოიხმარე.

არ ვართმევ, რაც მინდა?

სიტყვა სიტყვაა, მე ეს ცხენი ალარ მინდა. მაინც არ ვართმევ.

- ცხენი შენია, როგორც გინდა მოუარე, - ლაგამი ხელში მომაჩეჩა და ფეხით დააყგა მტვრიან შარას“ (55, 279).

ლევანმა დაუძახა მტვრიან შარაზე მიმავალ ქისტს, მისი ცხენი სტუდენტს რაში სჭირდებოდა, მაგრამ ქისტი სიტყვის კაცი იყო და უკანმოუხედავად განაგრძო გზა.

„ბებერი მსაჯები“

პანკისში დასახლების შემდეგ ქისტები დაუახლოვდნენ მეზობელ სოფლებში მცხოვრებ ქართველებს. ყველაზე ახლო კახელები ცხოვრობდნენ და ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატურმა ურთიერთობამ ბარის ცხოვრებას დაუკავშირა მთიელები. თანდათანობით ქისტურ ცხოვრებაში შეიჭრა ქართული სოციალ-ეკონომიური და კულტურული ღირებულებები.

განსაკუთრებით გავრცელდა ქარიშხალი ჭიდაობა. ქისტეთში შეკვეთების შეჯიბრის ვაჭრობაში, გულადობასა და მოხერხებულობაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ცხენოსნობა, იარაღის ოსტატური ხმარება და სიჩაუქე ოდითგანვე იცავდნენ მთიელის და ქართული ჭიდაობა ვაჟკაცობის გამოცდის ერთ-ერთ სახეს იქცა.

'საფხუკიობით ქისტი ბავშვები ალაზანში ბანაობდნენ, თევზს იჭერდნენ და, რაც მთავარია, ლამაზ საჭიდაოს აწყობდნენ და ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ ჭიდაობას. ქართველი ბავშვებისაგან ნასწავლ ილეთს რიგზე ამუშავებდნენ.

ყოველ კვირა დღეს იმართებოდა დუისში ჭიდაობა. ეს ეროვნული დღესასწაულის დღეზე იყო აცვანილი. დუისში სამ ადგილას იყო მოწყობილი საჭიდაო ადგილი, სადაც სახერხი ქარხნიდან მოტანილი ნახერხი ეყარა. ერთი სოფლის შუაში, საფიხვნო ცაცხვების ქვეშ გაემართათ, მეორე მის გასწვრივ, სოფლის განაპირას, სოფ. ყვარელწყლის მხარეს კაკლების ქვეშ, ერთიც სოფლის თავში წისქვილთან, ისიც კაკლების ქვეშ იყო მოწყობილი.

დამკვრელები შეკვეთით მოჰყავდათ, მაგრამ ბოლო დროს მეზურნე უმი და მეცოლე ობოლა უკრავდნენ. ჭიდაობის შემდეგ წრეში ერთ-ერთი ორგანიზატორი ჩამოიელდება ქუდით და დამკვრელების გასამრჯელოს აგროვებდა მაყურებლისაგან.

ყველა სოფლიდან მოდიოდა მაყურებელი, სადღესასწაულოდ გამოწყობილი ქალიშვილები წრის ერთ კუთხეში დადგებოდნენ. ბავშვები და მოხუცები წინ ისხდნენ, დანარჩენები წრეს გარშემორტყმოდნენ და იყო ერთი ჟივილ-ხივილი.

როდესაც ჭიდაობა დამთავრებოდა, ბავშვები იწყებდნენ ჭიდაობას. მოზრდილი გულშემატკივრებიც რჩებოდნენ და თითქმის დაღამებამდე არ ტოვებდნენ საჭიდაო წრეს.

მოქალაქეების აქტივობა არა ხელმძღვანელობა. ქონების დიდ ნაწილობას არ ანიჭებდნენ, ვისაც გული ერჩოდა, ის ჭიდაობდა, უფრო თავისთვის გამოჰყავდათ ფალავნები.

უფრო ხშირად სხვადასხვა სოფლები ეჯიბრებოდნენ ჭიდაობაში. აქ თავს იყრიდნენ როგორც ქისტები, ისე ფშაველები, ოსები და თუშები. იყო შემთხვევები, როცა კახეთის სოფლებიდანაც ამოდიოდნენ განთქმული მოჭიდავეები, რადგან ქისტი მოჭიდავეების სახელი შორს გავარდა. ქისტმა მოჭიდავეებმა რაიონისა და საქართველოს პირველობაზე დაიწყეს ჭიდაობა და უკვე 60-იანი წლებიდან არა თუ საქართველოს ჩემპიონები, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორები ხდებიან.

60-იან წლებში დუისის კოლმეურნეობის (სოფ. დუისი, ჯოჯოლო, ბირკიანი) ნაკრებმა სძლია რაიონულ ნაკრებებს და საქართველოს ნაკრებსაც კი უწევდა წინააღმდეგობას. ამ ნაკრებს სამ წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონებიც კი ჰყავდა.

ქისტები განსაკუთრებულ გულშემატკივრობას იჩენდნენ და ხშირად ჭიდაობაზე გაწევ-გამოწევა და მუშტი-კრივი იმართებოდა. მაშინ ფაფახიანი უხუცესები ცდილობდნენ ჯოხებით და აქეთ-იქით მიმოფანტავდნენ მოჩხუბრებს. უფროსს ხელს კი არავინ ახლებდა, სიტყვასაც ვერავინ შეუბრუნებდა.

ჭიდაობისას ქისტებში დაკანონებული ეთიკა მოქმედებდა. არ შეიძლებოდა მოწინააღმდეგის შეურაცხმყოფელი საქციელი. მაგალითად, წაქცეულ მოჭიდავეებზე გაღიბიჯება, ფეხის გაღავლებაც კი დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. სანამ ხელს არ ჩამოართმევდა, მოწინააღმდეგისთვის ილეთის ჩატარება არ იყო მოსაწონი, მით უმეტეს ზურგიდან მიპარება და ასე შემდეგ.

მსაჯობდა თითქმის მთელი მაყურებელი. საღავო საკითხის ღრმის ერთი აყალ-მაყალი იდგა და აქაც გაისმა წვეტი სიტყვა მოხუცების ეკუთვნოდათ.

სწორედ ქიაბაიბის იუმას ცხება ვალერიან სკვერცოველის მოთხრობა „ბებერი მსაჯები". ამ მოთხრობაში რეალური ამბავია მოთხრობილი. ერთ-ერთი მოჭიდავე ხოხია გაყრუებული თავისი ნამდვილი სახელია („ხოხია" ზედმეტი სახელია, ისე რამაზა ერქვა) და გვარით არის გამოყვანილი. ნაკლებად ტექნიკური მოჭიდავე იყო, მაგრამ არაჩვეულებრივი ძალა-ღონისა. ერთი ცუდი სნე სჭირდა ყოველთვის ნასვამი გაცხოველდა საჭიდაოდ, მაგრამ უბადლოდ ჭიდაობდა.

რეალურია მისი მოწინააღმდეგე „ბულაანელი ჭაბუკი", მწერალი მის გვარსა და სახელს არ გვეუბნება, მაგრამ ქისტებს დღესაც კარგად ახსოვთ ფშაველი მოჭიდავე ლალო ჩხეიძე, რომელმაც თითქმის ყველა განთქმული მოჭიდავე წააჭიდა ქისტებს და საბოლოო სირცხვილისაგან ხოხიამ იხსნა. ამ მოჭიდავის ყურება ძირდა, ისე ლამაზად, გაბედულად ჭიდაობდა.

ახალი მოჭიდავის გამოჩენამ ყველას ყურადღება მიიქცია. ხოლო როდესაც ბულაანელმა სათითაოდ ცნობილი მოჭიდავეები წააჭიდა, ქისტებს საზრუნავი გაუჩნდათ - მათ როგორც საუკეთესო მოჭიდავეების პრესტიჟს საფრთხე დაემუქრა.

„იმ დროს პანკისელი ქისტი ბიჭები ქართული ჭიდაობის ოსპატებად ითვლებოდნენ. სოფლის თავში დიდი კაკლების ქვეშ ყოველ შაბათ-კვირას იკრიბებოდნენ, ვისაც გული ერჩოდა და ბიჭები ექავებოდა, ყველა ჭიდაობდა.

დღესასწაულ ბიჭებს მოსულთაგანი ჯერ არავინ გაეშვათ წააჭიდეველი. ამით ამაყობდნენ კიდეც და აი, ახლა გამოჩნდა ვილაც ბულაანელი ფშაველი, რომელიც აქაურ ბიჭებს ცდილობდა და ერთი არ გააჩერა ფეხზე.

არიან კარგი მოჭიდავეები და არიან საუკეთესოები, რაკი კარგებმა ვერაფერი დააკლეს ბულაანელს, ჯერი საუკეთესო-

ებ'ის მიღება. ქისრის ბიჭები მათ უნდა ეხსნათ სირცხვილისაგან" (55, 281-282).

სირცხვილისაგან ქისრების ხსნა ორ საუკეთესო მოჭიდაეს - დერქისა და ცათიევს და ხოხია გაურგა'შვილს შეეძლო. ქისრებმა ჯერ დერქისა გამოიყვანეს საჭიდაოდ. წინასწარ ერთი კვირით დაასვენეს. არც ფიზიკურებს დაუკლიათ სრუნვა თავიანთი მოჭიდავის მოსამზადებლად. ქველა, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, კვირა დღეს ელოდა, დიდ ჭიდაობას ელოდა.

„შუადღემდე ჯერ კიდევ კარგა დრო იყო, რომ დიდი კაკლების ქვეშ საჭიდაო წრესთან უამრავი ხალხი მოგროვდა, მოვიდნენ კოშკელი, საკობიანოელი, ხალაწნელი და კაკლიანელი ფშაველები; დუისუელი, ჯოყოლოელი, ომალოელი ქისტები; დუმასტურელი, წინაუბნელი და ქორეთელი ოსები; ბირკიანელი თუშები".

სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი'შვილები ჩრდილში იდგნენ, ბავშვების გნიასი იდგა, მალე ინტელიგენციაც შეუერთდა ხალხს, ჭიდაობის ინტერესი დიდი იყო. ჯგუფად მობრძანდნენ უბნელები, ფაფახიანი ქისტები და წინა რიგში ამაყად დასხდნენ,

„ასპარეზობის სახილველად მოვიდნენ სამართლის მოყვარული, ვაჟკაცობის დიდი პატივისმცემელი ფაფახიანი ქისტი ბერიკაცები. მათს მოსვლაზე დიდი და პატარა ფეხზე წამოდგა. საპატიო ადგილი შესთავაზეს. არწივებივით დასხდნენ წინა რიგში" (55,294).

ჯერ სხვადასხვა სოფლების მოჭიდავები აჭიდავეს. წესად ჰქონდათ, საუკეთესო წყვილები ბოლოსათვის შემოენახათ. ამჯერადაც ასე მოიქცნენ, წრეში ბუკაანელი და დერქისა გამოვიდნენ. მაყურებელი გაინაბა.

ბუდაანელმა გაღაჩუქება. პანტისაიის აქამდე უცნობი იდეით გამოეცნებინა. ამ იდეამ შემცეში ისე გაითქვა სახელი, რომ ქისტმა ბავშვებმა მას „ხუტიაშვილი“ დაარქვეს და შემცეში სელმიწევნით ცაამუშავეს. იდეით მოგვერიც იყო, ოღონდ მარცხენა მხრიდან. ბუდაანელი მას „ცაციურას“ ეძახდა და როცა მოწინააღმდეგის ცაკუნთულ სხეულს თვალი შეავლო, გაღაწყვეტილებაც მიიღო და შეცეგიც გამოიღო.

„ბუდაანელმა ხელი ჩამოართვა შუბლშეკრულ დერქიზას, გასცქდა, მერე შემოტრიალდა და ისე წამოვიდა, თითქოს თავიდანვე ცცდილობდა, მარჯვნივ მისულიყო. დერქიზამ „თავი დაიზღვია“, მარჯვნივ არ მიუშვა. მარცხნივ კი ბატონო, მარცხნივ თავის ნებაზე მოდიო. ბუდაანელსაც ეს უნდოდა, სწვდა ჩოხაში, მარცხენა თეძო მიუგდო, გაღმოსწია და...

მაყურებელთა აღტაცების შეძახილი ცაში აიჭრა“ (55,288).

აღტაცებაში მოვიდნენ მოხუცები, ტაში დაუკრეს.

წინა რიგში მსხდარმა ბებერმა არწივებმა ტაში დაუკრეს. თვალებგაბრწყინებულნი აღტაცებით გაიძახოდნენ:

„ჰაი, ბარაქალე, ვოქ, ბარაქალე! ბაყდა, მა დიქ ლეთელიშ!“ (ქისტური - ჰაი ყოჩაღ, ვაჟკაცო, ყოჩაღ! მართლაც ძალიან კარგად ჭიდაობს!).

თავიანთი ფალავნის წაქცევამ გააღიზიანა ქისტები, მიზეზად მოიღეს, ჯერ ხელი არ ჰქონდა მოკიდებული, ხელახლა ვაჭიდაოთო, მაგრამ ქისტი ბერიკაცები აღაშფოთა უსამართლობამ, წესრიგიც დაამყარეს და სამართალიც დაადგინეს.

„ამ წამოძახილმა სასტიკად აღაშფოთა ქისტი ბერიკაცები. მერე ერთი მათგანი წამოხტა და წრეში გავიდა. ხალხს გორიზად მოაელლო მზერა:

ვინ ამბობს, არ ითვლებაო, ვინ?

ხელის მოკიდება ვერ მოასწრო! დაიძახა ვილაცამ!

მერე რაღას ელოდებოდა, წაეცხო ხელი. ბოლოს ბერიკაცი იქით შეტრიალდა, საიდანაც დაიძახეს.

ხელახლა იქნიდაო, ხელახლა! ისევ გაიძახოდა ვიღაც ხალხში ჩამალული.

რა გინდათ, რა? ამ კაცის ძალად წაქცევა? მაშინ გამოიტანეთ ოთხი, ესროლეთ და წაიქცევა!

არც ერთის აღარ ამოუღია ხმა" (55,288-289).

ქისტების უკანასკნელი იმედი ხოხია იყო. მთელი ძალისხმევა იქით მიმართეს, არ დაელია სასმელი. ხოხიაც სერიოზულად მოემზადა და, რაც მთავარია, დაამუშავა ჩხუტაიშვილის ილეთი „ცაციური" და ზუსტად ამ ილეთით დასცა კიდეც ბეჭებზე ბუღაანელი.

„ორი კვირის შემდეგ იმავე კაკლების ქვეშ კვლავ გაიმართა დიდი ჭიდაობა. ამჯერად ჰანკისელები ხიხიასა და ბუღაანელის ჭიდაობის საყურებლად მოსულიყვნენ.

შეიბნენ და უმალ გაჩუმდა ზურნა.

ბუღაანელი რომ წამოიგდა, ორივე ბეჭზე აჰყვა ნახერხი. ბებერი არწივები აღტაცების ნიშნად ტაშს ახლაც უკრავდნენ. სხვათა შორის, გამარჯვებულს ფშაველი ბერიკაცებიც უკრავდნენ ტაშს" (55,289).

„ანდერძი"

მიცვალებულის გაპატიოსნებას, დაკრძალვას და პატივის მიგებებას დიდ ყურადღებას აქცევენ ქისტები, მათთვის მიცვალებულზე ზრუნვა და უკანასკნელ გზაზე გასტუმრება უაღრესად სათუთი და პატივსაცემი საქმეა და ამისთვის ძალღონესა და ხარჯს არ ზოგავენ.

ასევე კისტე მაისიანობის მიღებამდე, წარმართობის პერიოდში ქისტები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მიცვალებულებს. აშენებდნენ საგვარეულო თუ საოჯახო სამარხებს, იხსოვნენ ქელეხს, ღვთიბების დროს მიცვალებულის სახელზე საჭმელსასმელით მიდიოდნენ სამარხებზე და ა.შ.

მაჰმადიანობამ გაამარტივა დამარხვის წესები, მოისპო დამარხვის აღგილას აკლდამებისა და მავზოლეუმების მშენებლობა, ყარყუ დიდძალი საქელეხო ხარჯები. მიცვალებულსაც სადაც ამზადებენ საფლავისათვის რამდენიმე მეტრ თეთრ მატერიას („მიტკალს“) შემოახვევენ, შეიძლება ამავე მატერიისგან კაცისათვის პერანგისა და მისი ამხანაგის, ქალებისთვის - ფართო კაბების შეკერვა და ჩაცმა. საფლავში პირდაპირ მიწაზე ასვენებენ, ოღნავ გვერდზე შეკრილ ნიშაში, რომელსაც ვერტიკალურად მუხის ფიცრებით ამაგრებენ და მერე საფლავს აფარებენ.

სასაფლაოზე სპეციალური საკაცის მეშვეობთი მიასვენებენ ცხედარს. საკაცე კიბის მსგავსია (მას „ცხედრის კიბეს“ უწოდებენ), ხის ფეხები აქვს ჰორიზონტალური მდგომარეობისათვის, იგი ყოველთვის მეჩეთში ინახება, მრავალჯერადია.

ქისტები კუბოთი არ მარხავენ მკვდარს. ეს არც მაჰმადიანური სარწმუნოებით არის დაშვებული. თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა კუბოთიც დაუმრახავთ. ეს იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილი სამშობლოდან შორს ეწვია პიროვნებას, ჩამოსვენება რამდენიმე ღღით დაყოვნდა, მკვდარი დაიხრჩო ან დაიწვა, ე.ი. მიცვალებული გახრწნილია და კუბოს გახსნა შეუძლებელია, ასეთი შემთხვევა იშვიათია, მაგრამ მაინც მომხდარა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში მოხდა ასეთი შემთხვევა: ქ. თელავში ლეისელი ქისტი ქალი დაიწვა. მისი ქმარი, ხალაწნელი ქისტი, დიდი ხნით იყო მოწყვეტილი მშობლიურ კუთხეს,

მშობელს ხალხს, მსახურობდა ქვარლის რაიონში. იგი, ასე ვთქვათ, გაქართველებული ქისტი იყო და ცოლ-ქურებთან შეთანხმებით მოიწადინა მეუღლის კუბოთი დაკრძალვა.

ამან მძაფრი პროტესტი გამოიწვია მოსახლეობაში, სოფლის თავკაცებმა გაღაწყვეტილება მიიღეს, შეეკრათ სასაფლაო. ამ გაღაწყვეტილებას ბიძგი მისცა იმანაც, რომ ქალის მამა ქისტების ადათ-წესსა და სარწმუნოებრივ ერთგულებას ჩამორჩენილობად მიიჩნევდა, ორი ქალიშვილი ქართველებს მიათხოვა, რძალიც ქართველი მოიყვანა და პროქართული ორიენტაციისა იყო. უფრო სწორად, კომუნისტურ იდეოლოგიას ატარებდა.

მიუხედავად ქალის მამის დიდი ავტორიტეტისა დიდი ღვაწლი ჰქონდა სწავლა-განათლების საქმეში დუისელებმა სიმტკიცე გამოიჩინეს და ნება არ მისცეს, დუისის სასაფლაოზე კუბოთი დაეკრძალათ მიცვალებული.

ქმარი იძულებული გახდა, თავისი საგვარეულოსათვის მიემართა, რომელმაც თეიფის ინტერესი ყველაზე მაღლა დააყენა, თავიანთ სასაფლაოზე წაიღეს მიცვალებული და კუბოთი დაკრძალეს. დაკრძალვას სასაფლაოსე ქალებიც დაესწრნენ, რაც ქისტებში მიღებული არ არის.

ეს შემთხვევა უცილებლად ვ. ჩეკურიშვილის მოთხრობას „ანდერძი“. თემა აქტუალური იყო იმ პერიოდში. ფიქრობდნენ, რომ ეს ინციდენტი შეარყევდა ქისტურ ტრადიციას, მაგრამ არანაირი შეცდომა არ მოპყოლია. იგი დარჩა ქისტების ხსოვნაში, როგორც ერთ-ერთი უსიამოვნო ეპიზოდი და მეტი არაფერი, მას შემდეგ ასეთი რამ არ განმეორებულა.

მოთხრობის მიხედვით მოსალოდნელი კუბოთი დამარხვა ქისტის ქალისა, სოფლის მოლას ქავთარს აცნობებს. ქავთარი აღშფოთდა, მაგრამ საქმის ერთპიროვნული გადაწყვეტა არ ისურვა და სოფლის გვარების თავკაცები დაიბარა, რომ

ქუბილაი დაკრძალვას ქალის მაში უმარი იხსოვდა, რადგან მის ქალიშვილის სიკვდილის წინ ასე დაებარებინა. ქავთარი განაცვიფრა უმარის გადაწყვეტილებამ: „კაცმა რომ თქვას, ჩვენი ადათ-წესებისა არაფერი გაეგებაო, ტყუილი იქნება. ჯერ ერთი, ქისტია და ქისტებშია გაზრდილი. მეორეც - ლოტის მოლათა სკოლა - მეტრესე აქვს დამთავრებული. ღმერთმა არ შეცვლილიყო, ამ სოფელში მე კი არა, ის იქნებოდა მოლა. მაგრამ უმარმა სასწავლებლის დამთავრებისთანავე წიხლი ჰკრა მოლობას და ახალ ცხოვრებას აუწყო ნაბიჯი. მას შემდეგ სულ იმის ცდაშია, ქისტებს უარი აოქმევინოს თავიანთ მამაპაპურ წესებზე“.

ქავთარს თავისი მოსაზრება აქვს ამ სიტუაციასთან დაკავშირებით. იგი ქისტების სამართლით სჯის და ამ შემთხვევაში მართალიც არის.

„სიკვდილსაც თავისი წესი და ადათი აქვს. სოფელმა ავიც იცის და კარგიც. მტრისას და, როცა ვინმე დაზარალდება, სოფელმა მხარში იცის ამოდგომა. სოფელი ცდილობს, ოჯახს პატივი სცეს, მწუხარება შეუმსუბუქოს, მიცვალებულს ღაზათი დააღევნოს. ქისტები ამას ქისტური წესებით ასრულებენ, ქართველები ქართულად.

ახლა როგორ მოიქცნენ ჩვენი ქისტები!

თუ ქართულად უნდათ დამარხვა, მაშინ აქ რაღას მოაქვთ, ქალაქში დამარხონ, არავინაც არ ღაუშლით. ქისტების სასაფლაოზე კუბოს რა უნდა?“ - გულში სჯიდა ქავთარი.

ქავთარის მოსაზრება გაიზიარეს სოფლის თავკაცებმა და გადაწყვიტეს, საავადმყოფოში მწოლარე მიცვალებულის მამას სტუმრებოდნენ და გაცნაეთქმევინებინათ გადაწყვეტილება. მაგრამ უმარი უარზე დადგა, ქალიშვილის ანდერძს ავასრულებო და ისლამიც ამას გვავალდებულებსო. თანაც უხუცესებს შეახ-

სჯნებდა, რომ „ახალი მაჰმადის კანონები არ მოქმედებს. ახალი ახალი ცხოვრებაა. მას თავისი კანონებიც აქვს და მისი დამცველებიც ჰყავს. როგორც მინდა, ჩემს შვილს ისე დავასაფლავებო“ (55, 317).

მაგრამ ბებერ ქისტებს მტკიცედ სწამთ თავიანთი ადათ-წესები და სულაც არ ფიქრობენ ხელი აიღონ მათზე. ერთვნულობის შენარჩუნება ადათ-წესებითაა და სნე-ჩეჩნების დაცვით რომ უნდა შეინარჩუნონ, კარგად ესმით, ქავთარი ლირსეულად მოპაექრეა.

„ჩვენ ჩვენი ენა და ცხოვრების ადათ-წესები გვაქვს, იმათ თავისი. თუ ჩვენ მკვდარი ქართულად დავასაფლავეთ, ქორწილი ქართულად გადავიხადეთ, ბავშვებს სახელები ქართული დავარქვით და ყველაფერი ქართულად გავაკეთეთ, მაშინ ქისტები კი არა ქართველები ვიქნებით? მიუბრუნდა იგი მიმყოლებს.

ასეა, მაშ!

ყველამ თავისი წესი უნდა შეასრულოს.

ჩვენ ჩვენი წესები არც უნდა შევცვალოთ, არც უნდა დავივიწყოთ.

არც გაურჯულებული უნდა გავარჯულოთ.

ალაპარაკდნენ ცარიელ საწოლზე ჩამომსხდარი ფაფახიანი ქისტები“ (55,318).

უმარს მრავალი მაგალითი მოჰყავს, რომ ქისტები წმინდა მაჰმადიანები არც არიან, ხშირად უხვევენ სარწმუნოების მოთხოვნებს: ქელეხებს იხდიან, აღდგომისას სასაფლაოზე წითელი კვერცხები მიაქვთ, ბალთაგორის ციხეს და ალავერდს ლოცულობენ, ქეიფობენ, ღვინოს სვამენ, ქრისტიანების დაკლულს მიირთმევენ, ზოგიერთი ღორის ხორცსაც ჭამს და სხვ.

„ - ჰოდა, იმიტომ უფროა საჭირო ჩვენი ადათ-წესების დაცვა, მოვლა, შენახვა. ბევრი გავტეხეთ, ბევრი დავკარგეთ, რაც

"შეგვრცხვა, აქაოს ქაინც მოვკვდეთო! უკან არ დაიხია ქავთარმა" (55,320).

და ქისტმა უხუცესებმა თავისი გაიტანეს და საფლავი შეუკრეს. სასაფლაოს გარეთ ღამარხვაზეც კი არ დათანხმდა ქავთარი: „ სასაფლაოს გარეთ კი არა, მთაზე და ტყეში რომ მოინდომო, იქაც არ დაგასაფლავებინებთ კუბოთი, თუ კი ის მთა და ტყე ჩვენს სოფელს ეკუთვნის" (55,330).

ახმადის, ნუნუს ქმრის გვარი გვერდში ამოუდგა თავიანთ მოგვარეს, ცხენდარი კუბოთი გაცდაასვენეს თავიანთ სოფელში. ცათიაშვილები ღირსეულად გაისარჯნენ, „საქმე გაინაწილეს, მგლებივით დატრიალდნენ მიცვალებულის გაპატიოსნება რომორი უნდა, ჩვენ გაჩვენებთო. რაც შეეძლოთ, ხომ აკეთებდნენ,რაც არ შეეძლოთ, რომორცაც იმასაც ახერხებდნენ. არც ქისტურ წესებს ებოიკოტებოდნენ, არც ქართულს. ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მიცვალებულისათვის უფრო კარგი პატივი ეცათ, ვიდრე ამას უმარაჩვილები მოახერხებდნენ" (55,331).

დაკრძალვის დღეს წვიმა წამოვიდა, მაგრამ ხალხი არ დაშლილა. ალაზნამდე კუბო ხელით ატარეს, მერე მანქანები მოიყვანეს და ხალხი გადაიყვანეს. პროცესია უჩვეულო იყო: „ცხენდარს მარტო კაცები კი არ მიჰყვებოდნენ, როგორც ქისტების წესია, არამედ ქალებიც - ნუნუს ტოლები, სკოლისა და ინსტიტუტის ამხანაგები. მიჰყვებოდნენ მარტო ქართველი ქალები კი არა, პანკისელი ქისტის ქალებიც" (55,331).

პროცესია უჩვეულო იყო იმითაც, რომ „მორწმუნე ქისტები არ ამბობდნენ ძიგარს კუბო და ძიგარი ერთად ვის გაუგონია. არსად ჩანდა მაღალი ქავთარი, სამაგიეროდ წყალგაყმელების მოლა კუბოს მკვდელივით მიუძღვებოდა წინ. ხნიერი ქისტები ასეთ რამეს პირველად ხედავდნენ. უკვირდათ, მაგრამ არაას ამბობდნენ" (55,331).

მიცვალებული დაასაფლავეს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური წესით. უმრავლესობა უკმაყოფილო დარჩა, თავისი გაიტანა მხოლოდ მცირე ჯგუფმა. თვით მიცვალებულის ნათესავებიც კი უკმაყოფილონი იყვნენ მომხდარით.

„შინაურები და ახლობლები შეიკრიბნენ: ვინ რა გავაკეთოთო? მაშინ ბიძაშვილებმა მორიგებით იკითხეს: კუბოთი დასაფლავებას ხომ არ აპირებთო. კი, ასე დაგვიბარაო, თქვა სუნცს მეუღლემ, ახმადამ. არაფერი უთქვამთ, მაგრამ ახმადამ ძალიან კარგად შეატყო, არავის არ ესიამოვნა მისი პასუხი“ (55:326).

მიუხედავად უკმაყოფილებისა, ქისტები დაკრძალვას დაესწრენ. მათში ძლიერია ნათესაური კავშირები, გვაროვნული კვანძები, მაგრამ წინაპართა ადათები ძალიან ღრმად არის ფესვებგაღგმული და ერთეული შემთხვევები ასე იოლად როდი ამოძირკვავს.

მართალია, „ხნიერი, მორწმუნე ქისტები უკან რომ ბრუნდებოდნენ, ისეთი გრძნობა მოჰყვებოდათ, თითქოს აქამდე რაღაც დიდხანს მოჰქონდათ მთელი, მოჰქონდათ ხელით, ღელეს კი გაუსხლტათ და გაუტყდათ“ (55,332).

„გალობული სტუმარი“

სოფელ ყვარელწყალში ქორწილია, ჩვეულებრივი ფშაური ქორწილი. საუკუნისწინანდელ ფშაურ ქორწილსე მათე ალბუთაშვილი წერდა: „ქორწილში ყველამ იცის, რომ დაპატიჟება არ სჭირდება. ქორწილის პატრონს წინაღდით აქვს დამზადებული მთელი მარაგი: პური-ნამცხვარი, საშუალოდ 2-4 გოლორი სულადით, არაყი შინ გამოხდილი, ხორაგი 2-4 ცხვარი და იქნება ძროხაც.

საკმაოდ მიჯა სეფე მარტივი პარამეტრის აღწერილობრივ ფენით. შორიდან ცხენები წამოიწევენ ლენინგრადს. წინ, სეფერაზე ხის ჯვარი უდგათ, ზედ ვაწერია, მწვალი და სხვ." (2,97-98).

ვალერიან ჩეკურიშვილის მოთხრობაში „გალაღებული სტუმარი" აღწერილი ქორწილიც წმაური იყო: „ეზოში გრძელად გაეშალათ სუფრა. მეზობლის ქალ-რძლები მარიფათობდნენ, ვარცლებით მეზობლის თონეებიდან მოჰქონდათ ცხელ-ცხელი შოთები და ლავაშები, სარკიაფში იდგა „მეკოცე" (მეკუჭნავე) და ციპტაურით ავსებდა ღიობებს, ხელადებს, ჩარექებს, ბოთლებს. იქვე, ეზოს კუთხეში, კერგაყრილ სპილენძის ქვაბებს ოხშივარი ასდიოდათ, ხაშლამის სუნი იდგა ირგვლივ" (55,334).

ხის ჯვარიც ტრადიციულია: „ახალყოილთ მეჯვარემ წითელი ვაშლებით შემკული ჯვარი დაუდგა წინ, ნეფის დამმდიდარი მაშხალა. რას იტყოდით, რომ იმ მაშხალაზე არ ყოფილიყო: ყურძნის მტევანი, ფოჩებიანი კამფეტები, ბაგეგახსნილი ბროწეული, მოხარშული ქათამი, კარგი ფშაური წინდები, აბრეშუმის ცხვირსახოცი... სულ თავში კი წითელი თუმნიანი ელავდა" (55,335).

ქორწილი დაიწყო სალხეგრძელოებითა და ლოლე-გარმონით. უცბად სოფლის ბოლოში მხეცების ყიჟინა და სროლის ხმა გაისმა. მხეცარიც მალე გამოჩნდა. მათრახის ცემით მოაგელვებდა მერანს და ჰაერში ისროდა.

„მხეცარმა ძუაგამონასკული შავი ულაყი პირდაპირ მექორწილეთა ეზოში შეაგდო, იქ ერთხელ კიდევ შეახურა ცხენი და მერე კიბისკენ მისცა გეზი. ეტყობოდა, ცხენმა იცოდა პატრონის ხასიათი, არც შეყოყმანებულა, არც ფეხი არეევია, ისე აჰყვა ხის კიბეს. კიდევ კარგი საფეხურები დაქანთრებული არ იყო, თორემ ვინ იცის, რა მოხდებოდა.

ქე, ჰეიი, ფშავლები, გაიმარჯობათ! მოვიდა გადარჩენილი ქისტი. ოქვენ იცით, თუ მოიკვიანებით! დაიძახა აივნიდან" (55,336).

ქისტის სითამამეს მასპინძლები არ გაუკვირვებია, ტიპიტაურით სავსე ჯამით შეგებნენ, ხასიათი გაუსწორეს სტუმარს.

„ქისტის ბიჭმა ხმამაღლა დალოცა ქორწილ-მექორწილენი, ბედნიერება, გამრავლება უსურვა ნეფე-დედოფალს. გამოცალა და ჯამი კედელს მიაფშვნა.

გაუმარჯოს! - დაიძახა მთელი ხმით.

- გაუმარჯოს! ხმა შეუწყვეს ფშავლებმა" (55,336).

ქისტმა შემდეგი ჯამით ჰოლოკოშვილების ოჯახი დალოცა და სასმისი თავის ცხენს დააალერსინა. მექორწილენი აღტაცებაში მოვიდნენ „ცხენიც თავისი საფერი ჰყოლიაო". შემდეგ მუსიკოსებს ჩეჩნური დააკრეინა, იცეკვა და ვაჟის მაყრების შუაში ჩაჯდა.

„ის ერთი ომალოელი ქისტი ვაჟკაცი იყო და ფშავლებისა მთელი ქორწილი. სიმღერითა და ცეკვით იკლებდა იქაურობას, ფან, დროდადრო იძახდა:

ჰეიიი, ფშავლებოო! აიტანეთ ერთ ქისტის სითამამე, ძმობილის ქორწილში ვარ, ჯვიანად რა გამაჩერებს!

გული ერჩოდა, სიხარულით ცელამდე იყო სავსე და სიმღერით ცდილობდა გულის მოოხებას, ფშავლები ხასიათსაც უწყობდნენ და ხმასაც, ხელიხელგადახვეულები მღეროდნენ:

„ძმობილს ენაცვლოს ძმობილი,
რომ გამომიშვა შინაო.
მე აქ ქორწილში ვქეიფობ,
იმას თეთზე სძინავო" (55,337).

ქისტი თამამი იყო, მაგრამ სიამაყის გრძნობას არ კარგავდა. ფშაველებიც ღირსეულ პასუხობას უწევდნენ, ცდილობდნენ, სტუმარს მოეხიბლა. უკმაყოფილო არ წასულიყო სოფლიდან.

„იმ ერთი კაცის მოჭარბებული სითამამე ქორწილს მხოლოდ სილამაზეს მატებდა. კაცს. ქრისტიანს, მისთვის შეკრული შუბლი არ უჩვენებია. ქველა თეფშში და ჭიქა კედელისთვის რომ მიეფშვნა, ფშაველები მაინც ეუბნებოდნენ, ქორწილს ასე უხდებაო, მაგრამ ქისტს იმ სითამამეში ზომიერების გრძნობა არ ღალატობდა“ (55,338).

ქველამ დალია მისი საღეგრძელო. სალამოს ქველას გამოემშვიდობა, დალოცა მექორწილენი. „წელში გაჩრილი მათრახის თასმაში ხელი გაუყარა, ცხენს გამეტებით შუშხა და შუშხა. გააფიცხა, გადარია, მერე საღავე მიუშვა და ბინდდაკრულ ორღობეში მოჩვენებასავით დაიკარგა“ (55,338).

ამ მოთხრობას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ხალხური „ძმაო, რაი სჯობს ძმობასა“. მართლაც, რა სჯობს ძმობას, ხალხთა შორის მეგობრობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობას. ვალერიან ჩეკურიშვილის მოთხრობების ციკლში „ჩემი მეზობელი ქისტები“ და შემდეგდროინდელ სხვა მოთხრობებშიც სწორედ ძმობისა და მეგობრობის ხოტბაა.

საუკუნენახევრის განმავლობაში ერთმანეთის მეზობლად ასე კეთილგანწყობით ცხოვრობდნენ ქართველები, ქისტები, ოსები, და რაიმე ეროვნულ დაპირისპირებას აღგილი არ ჰქონია. ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის კონფლიქტებს რა გამოლევს ფიცხი ხასიათის მთიელებს შორის, მაგრამ პიროვნული ხასიათის უთანხმოება არასოდეს გაღაზრდილა ეროვნულ დაპირისპირებაში.

ვალერიან ჩეკურიშვილი თავისი მოთხრობებით განამტკიცებდა ამ მეგობრობას. პანკისელები ამაყობდნენ მისით, ქვეყანას უჭირდა, ქვეყანას თავისიანად მიაჩნდა, განსაკუთრებით პატივს სცემდნენ ქისტები, რომელთაც საამაყოდ მიაჩნდათ მათზე მოთხრობების შექმნა.

მაგრამ მოხდა რაღაცა საიცრება და ვალერიან ჩეკურიშვილმა 1986 წ. ჟურნალ „საქართველოს ქალებში“ გამოაქვეყნა ნარკვევი სათაურით „კოკონი „კაკლიან გორაზე“, რომელიც ეხებოდა პანკისის ხეობაში, სოფ. ლუისის აღმოსავლეთით დაბალ გორაზე 1985 წ. გახსნილ თეატრონსა და შინმოუსვლელთა მემორიალს.

ნარკვევში მწერალი მიესალმებოდა ახმეტის რაიკომის მდივნის ინიციატივას, პანკისელების გარეშეს მემორიალის მშენებლობაში, საუბრობდა პანკისელი ხალხის ძმობის შესახებ და ამ დროს ხაზს უსვამდა ქართველებისა და ქისტების ურთიერთობას და საქმეს ისე წარმოაჩენდა, თითქოს ისტორიულად ეს ორი ხალხი ერთმანეთს მტრობდა, მაგალითად, ქისტები „პანკისში ჩამოსახლდნენ მაშინ, როცა მუცალი და ალუდა ქეთელაური სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოლნენ...“ შემდეგ აგრძელებდა აგრესიული ტონით და ქისტებს „გაღამთიელ მოსისხლე მეზობლებს“ უწოდებდა.

რა მოხდა? ქისტები გაოცებულნი და გაკვირვებულნი იყვნენ. როგორ შეიძლება ასე წერდეს მწერალი, რომელსაც ქისტებზე მოთხრობების მთელი ციკლი აქვს შექმნილი. რამ გააღიზიანა, რა შესცოდეს ქისტებმა მწერლის წინაშე, რომ მტრად გადაეკიდა.

თანაც არ დაერიცხა ისტორიის ფალსიფიკაციას, საქმე'ში საკუთხევლის მკითხველს როგორი შთაბეჭდილება უნდა დარჩეს ქისტებ'ზე? ქისტებისათვის სულაც არ იყო სულერთი, თუ რას იფიქრებდა მათ'ზე მოძმე ხალხი, ძმებად მიიჩნევდნენ მათ თუ მტრებად.

იმ პერიოდ'ში რაიონის ცენტრალურ გაზეთ „ბახტრიონ'ში" რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა დურისელი მუხმად ალდამოვი. მან იგრძნო ხალხის წუხილი მომხდარის გამო და გაიაზვიტა, ემხილა ვალერიან ჩეკურიშვილი და საზოგადოებას გამოუტანა სიმართლე.

ისარგებლა გაზეთის რედაქტორის შვებულება'ში ყოფნით და დაბეჭდა ვრცელი წერილი, სადაც საათობით გამოიტანა ნარკვევის „კოცონი „კაკლიან გორაზე" ავტორის მიერ დამახინჯებული ფაქტები, ამხილა ვ. ჩეკურიშვილის აგრესიულობა.

ისტორიული ფაქტების ანალიზით თანამიმდევრულად გააქარწყლა მწერლის დებულებები და მკითხველს დაანახა, რამდენად საშიში იყო აღნიშნული ნარკვევი: იგი მიმართული იყო ქისტებსა და ფშავლებს შორის შუღლის გასაღვივებლად.

ჩვენ განგებ არ მოვახდენთ მუხმად ალდამოვის წერილის ანალიზს, რადგან იგი ქისტია და ჩემს ტენდენციურობაში არავინ დაეჭვდეს. ჩვენ, ქისტებს, ქართველებში გამოგვიჩნდა ქომაგი, რომელმაც გააცამტვერა ვალერიან ჩეკურიშვილის „ისტორიული გამოკვლევანი". ეს გახლავთ მიხეილ ქურდიანი, რომლის წერილზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ოღონდ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მუხმად ალდამოვის მართალ სიტყვას რაიონის ხელმძღვანელობა უალრესად აგრესიულად შეხვდა (რაიონის ხელმძღვანელ პოსტებზე მაშინ

ფ'ანაკლებაც , ბ'ე'ანაიბლნენ). მისი საკითხი გაიტანეს ახმ'ეტის რაიკომის ბიუროს სხდომა'ე, სიტ'ყვის თქმაც კი არ აკადეს, ხალხთა შორის შუღლის მთესველად მონათლეს და სასტიკი საყვედური გამოუცხადეს პირად საქმე'ში 'შეტანის.

ესეც 'ჩენი კომუნისტური სამართალი!

მაგრამ მაინც რამ განა'ყო ვალერიან ჩეკური'შვილი ქისტების წ'ინააღმდეგ.

გასული საუკუნის 80-იან წლებ'ში საბჭოთა კავ'შირის კომპარტიის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი განდიდების შანიამ 'შეიპყრო და თავის წვლილს ფა'შისტური გერმანიის წ'ინააღმდეგ ომ'ში აზვიადებდა. მთელი ქვეყანა საზეიმოდ აღნი'შნავდა ომ'ში გამარჯვების წლისთავებს, დევიზით „არავინ და არაფერი არ არის დავი'წყებული!" მიმდინარეობდა ომის მონა'წილეთა აღზევება, შინმოუსვლელთა მოგონება და სხვა პომპეზური ღონისძიებები. ლეონიდ ბრეჟნევი მწერლებ'საც აქცევს და გამოუქვეყნეს ნარკვევები „მცირე მიწა", რომელ'საც საბჭოთა პრესა ხოტბა-დიდებას ასხამდა.

ვალერიან ჩეკური'შვილმა, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, დახმარებოდა თანასოფლელებს, თავის სოფლის კეთილმოწ'ყობაზე 'ზრუნავდა, მიაღწია, რომ სოფ. ყვარელწ'ყალ'ში გაისხნა 'შინმოუსვლელი ჯარისკაცის სახლი. ომ'ში წას'ულ ხალხილაშ'ვილს (ამბობდნენ, დეზერტირობდა, შეიპყრეს და ძალით გააგზავნეს ომ'შიო) პატარა უპატრონო ქოხი-სახლი ეცვა სოფლის განაპირას. ახმეტის რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწ'ყობით დაქცეულ-დანგრეული სახლი აღადგინეს, გაპარტახებული ეზო მოაწ'ესრიგეს, სოფელ'ში გზები 'შეაკეთეს, წ'ყალი გამოიყვანეს და ყოველ ცხრა მაისს სოფელ'ში ლიკი ზეიმი იმართებოდა შინმოუსვლელი ჯარისკაცის საპატივცემულოდ.

ჯარისკაცის სახლში მიყვი რიგი კულტურული ღონისძიებები იმართებოდა. გამოცდილნენ მოსწავლეთა თვითმოქმედი კოლექტივები და კულტურის სახლებთან არსებული შემოქმედებითი წრეები, სამხედრო ნაწილიდან ჯარისკაცები საპატიო ქარაულში იდგნენ, სამხედრო მასწავლებლები აწყობდნენ ომის სცენების ინსცენირებას. ერთი სიტყვით, ყვარელწყალში დიდი ზეიმი იმართებოდა. ამ ზეიმში მონაწილეობდნენ ქისტები, ოსები, ქართველები და როგორც ერთ ძმურ ოჯახს შეეფერება, შეხმატკბილებულად ზეიმობდნენ.

სანამ ყვარელწყალში ჯარისკაცის სახლი გაიხსნებოდა, სოფ. ღუისის კულტურის დირექტორის გოგია ბაღაკაშვილის თაოსნობით ხსენებულ დაბალ გორაზე 9 მაისს ტარდებოდა გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმი. ქისტური წესის თანახმად, ტარდებოდა დოღი. ცხენების შეჯიბრის მოყვარული ქისტები დილიდან იკრიბებოდნენ დაბალ გორაზე. დოღის შემდეგ კონცერტი იმართებოდა, შემდეგ ჭიდაობა იწყებოდა.

გ. ბაღაკაშვილმა მოტივტივებულ და ხრიოკ გორაზე ნერგები დარგო, ღობე შემოავლო და აამწვანა. ამ გორიდან პანკისის ხეობის შესანიშნავი ხედი იშლებოდა და მოსული სტუმრები მოხიბლულნი რჩებოდნენ.

ჯარისკაცის სახლის გახსნამ დაამთხვია ორი სოფლის ზეიმი, მაგრამ აქაც გამოსავალი გამოინახა. დაბალ გორაზე ზეიმს მალე მოათავებდნენ და ყვარელწყალში აგრძელებდნენ დღესასწაულს.

ახმეტის რაიკომის მდივნად დაინიშნა გურჯაანელი ზ. მანიჯაშვილი, ენთუზიაზმით საკმე კაცი, იგი დაბალ გორაზე ამოვიდა ზეიმის ღროს, მოიხიბლა ბუნებით და გაიფიქრა, შინმოუსვლელის მემორიალის აგება. თქვა და საქმესაც შეუდგა.

მთელი პანკისის მოსახლეობა ჩაება მშენებლობაში. გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა, დიდი და პატარა იყო

საქმეში ჩაბმული, საერთო მემორიალს აშენებდნენ. ძმობისა და მეგობრობის მემორიალს. ომში დაღუპული ქართველი პანკისელის სახელი ამოტვიფრა მემორიალურ დაფაზე.

ფშაველები რატომღაც პასიურობდნენ, ისე მიიღეს, თითქოს მათ წინააღმდეგ იყო მიმართული ეს მშენებლობა.

ვფიქრობთ, სწორედ განაწყენებული კაცის პოზიციიდან უნდა ქოფილიყო ვალერიან ჩეკურიშვილის გამოხმაურება ადგილზე გორაზე თეატრონისა და მემორიალის გახსნაზე.

მიხეილ ქურციანი გამოეხმაურა ვალერიან ჩეკურიშვილის ნარკვევ-სტატიით „ერთი კოცონის კვამლი“, თავიდანვე უნდა შევნიშნო, რომ ეს იყო შესაშური გამბედაობა იმ პერიოდში. მან ძალიან კარგად იცოდა, რა მოჰყვა მუხმად ალიბამოვის საგაზეთო წერილს.

ცხადია, მიხეილ ქურციანს ეს წერილი არ დაუბეჭდეს. მან მზის სინათლე იხილა მხოლოდ 1990 წ. 20 ივლისს, როცა გამოქვეყნდა გაზეთ „ერისიონში“ მინაწერით „წერილი, რომელიც თავის დროზე არ დაიბეჭდა“.

ვალერიან ჩეკურიშვილი „დაბალ გორას“, რომელზეც თეატრონი და მემორიალი აშენდა, „კაკლიან გორას“ უწოდებს. ამ გორის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხევის სიღრმეში მდებარეობს ფშაველების პატარა სოფელი კაკლიანი, რომელსაც ადრე ლეკისფერულს უწოდებდნენ. გორის კაკლიანად მონათვლა ავტორის მიერ გარკვეული მიზანზე მიგვანიშნებს და მიხეილ ქურციანს შეუნიშნავს კიდეც.

ნარკვევის სათაურში გამოტანილ ტოპონიმს - „კაკლიან გორას“ პატივცემული ავტორი რამდენჯერმე დაბეჯითებით იმეორებს ტექსტში.

რა ისტორიულ დოკუმენტებსა და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს იგი ამას, ჩემთვის უცნობია. იმ

გორას კი, რომლის ჩასახლებაც ლაპარაკია ნარკვევში, პანკის ხეობის მოსახლეობის უმრავლესობა „ლაბაჟ გორას“ უწოდებენ (ქისტურად „ლოხ ღუდ“).

„ლაბაჟ გორის“ ჩრდილო-დასავლეთით, ხევში მდებარეობს ფშაველების სიფხიზლე დაცვისფერული, რომელსაც „კაკლიანსაც“ ეძახიან, მაგრამ დაცვისფერია მუქმიც სარგებლობაში მყოფი გორის სახელდებაში ამ ტოპონიმს ჭიდი არ უკლევს“ (50,4).

როგორც ზემოთაც ითქვა, „ლაბაჟ გორაზე“ მემორიალის მშენებლობაში უმნიშვნელო წვლილი შეიტანეს, მაგრამ ბატონ ვალერიანისთვის ამას ხელი არ შეუშლია, ფშაველები წინ დაეყენებინა, როცა პანაშვიდების ერთიან გარჯას ეხება: „...საზეიმოდ გაიხსნა თეატრონი, რომელსაც ერთიანი ძალებით აშენებდნენ ფშაველები, ქისტები და ოსები“.

მიხეილ ქურციანმა მოიძია სათანადო დოკუმენტები, საიდაც სრულიად საწინააღმდეგო მტკიცდება:

„პანკისის მეურნეობის საარქივო-საბუღალტრო დოკუმენტაციით „ლაბაჟ გორაზე“ მემორიალ-თეატრონის კომპლექსის მშენებლობაზე 1985 წელს ქისტებს გამოუმუშავებიათ 4.378 კაცდღე, ოსებს - 3.505, ფშაველებს კი - მხოლოდ 42, ე.ი. ქისტებზე ასჯერ ნაკლები“ (50,4).

ვალერიან ჩეკურიშვილი თავის ნარკვევში აღნიშნავს, რომ ქარიფელთა და ქისტების მტრობის პერიოდში („...როცა მუცალი და ალუდა ქე ოფლაური სამკვლრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ...) „...პანკისელი ფშაველები ნებას რთაველ და ქისტები ამ ხეობაში მათ მეზობლად გაღმოსახლდნენ“.

ცნობილმა მწერალმა ვალერიან ჩეკურიშვილმა უეჭველად იცის პანკისის ხეობელობრივ ადასახლების ისტორია და რატომ ამახინჯებს ასე უხმერთოდ ისტორიას, საკვირველია!

ქისტების ჩამოსახლების შემდეგ (სოფ. დუისი, ჯოყოლო, ომალო) დაახლოებით მე-19 ს. 80-იან წლებში ფშავლები გადმოდიან უკანა ფშავიდან, ერწო-თიანეთიდან და სახლდებიან პანკისის ხეობის ხევების სიღრმეებში – ციცარელწყალში, კაკლიან'ში, ბაწარა'ში, ტოლეშო'ში, ხაღორ'ში, ხოლო გასული საუკუნის 30-იან წლებიდან ჩამოდიან პანკისის გა'შლილ ველებ'ზე (საკობიანო, ბაყილოვანი).

ქისტების ჩამოსახლება პანკის'ში მოხდა საქაროველოს იმდროინდელი ხელისუფლების ნებართვითა და მო'წვევით: პანკისის დერეფნის ჩაკეტვით კახეთ'ში ლეკების თავდასხმა აცილებული იქნებოდა; ქისტების მეომარი ტომების (ღი'შნელების, მაისტელების, მითხოვლების, ხილდიხაროელების) საქაროველო'ში ჩამოსახლებით რუსეთის ცარიზმი მოგებული რჩებოდა, მოუსვენარ მო'წინააღმდეგეს იშორებდა თავიდან.

მოვუსმინოთ მიხეილ ჭურღიანს: „...ჯამბაკურ ორბელიანი სათანადო ორგანოებ'ში შედის განცხადებით, რათა მისცენ უფლება პანკისის ხეობა'ში დაასახლონ მისი კუთვნილი 100 გლეხი, რომლებიც კახეთის სხვადასხვა სოფლებ'ში ცხოვრობდნენ. მისი განცხადებით ეს გლეხები ლეკებს ჩაუკეტავდნენ კახეთ'ში შემოსასვლელ გზებს (სსცია, ფ. 254, ანაწ. I. საქ. 1078, ფ. 239. 252). მომდევნო პერიოდის საბუთებ'ში ვკითხულობთ, რომ პანკისის ხეობა'ში 1848 წელს ყოფილმა ოლქის უფროსმა, თავადმა ჩოლოყა'შვილმა დაასახლა მაისტის სა'სოგადოებიდან გადმოსული ქისტების 32 ოჯახი (ფ. 252. ანაწ. I. 1078, ფ. 300).

ამრიგად, 1848 წლიდან პანკისის ხეობა'ში ჩნდება ახალი მოსახლეობა ქისტების სახით.

1855 წ. 4 აპრილს თბილისის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის, თავად ჩოლოყა'შვილის ნებართვით

პანკისის ხეობაში დასახლებული ქისტების რიცხვი 54 ოჯახი. საბუთებში მოხსენიებულია ნაჩვენები მათი დასახლების ადგილიც, სადაც დღეს მცხოვრობს ქისტებით დასახლებული სოფელი ჯოყოლო (ფ. 254, ანაწ. I, საქ. 1078, ფ. 300).

1818 წ. დგას საკითხი იმის თაობაზე, რომ სოფელ ომალოს ტერიტორიაზე დასახლდეს ქისტების ის 49 ოჯახი, რომლებიც ჩეჩნეთიდან კარგა ხნის გადმოსახლებულია და თუშეთში ცხოვრობს (ფ. 254, ანაწ. I. საქ. 1078, ფ. 301).

1860 წლის კამერალური აღწერით პანკისის ხეობაში აღრიცხულია: სოფელ პანკისში (დუისში) 40 ოჯახი (126 მამაკაცი და 123 ქალი) და სოფელ ომალოში 11 ოჯახი (27 კაცი და 24 ქალი).

მოსახლეობა ყოფილა ყვარელწყალშიც (ეს ვ. ჩეკურიშვილის მშობლიური სოფელია) აქ ცხოვრობდა ფშაველების 2 ოჯახი სულ 6 კაცი და 7 ქალი (სსცია. ფ. 254. ანაწ. 2, საქ. 229, ფურ. 1-24).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მკითხველმა განსაკუთრების ვინ ვის „დაურთო ნება მეზობლად გადმოსახლებისა“, ვინ ვის „სთხოვა თავისაფარი“ (50,4).

რაც შეეხება მუცალისა და ალუდას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, მიხეილ ჭრელიანი შესანიშნავად პასუხობს ალექსანდრე ჭაბეგის სიტყვებით:

ახლა მოვუსმინოთ ალ. ჭაბეგს: „უწინ ქისტები და ხევსურები ერთმანეთთან სრულის თანხმობით სცხოვრობდნენ, აძლევდნენ ერთმანეთს ქალებს და თუ მტრობა ჩამოვარდებოდა რამე ერთმანეთში, ეს მტრობა კერძო საქმე იყო ორის პირისა, ან ორის გვარეულობისა. ხალხი არამც თუ არ ერეოდნენ ჩხუბში, ყოველსავე ღონისძიებას ხმარობდნენ იმათ შესარიგებლად, ასეთი მტრობა ორის ტომის მტრობად არ ჩაითვლება

და, რაოგორც კერძო პირთა ხელშეკრულებებში ერთმანეთში მოუხდებათ ხოლმე. ერთმანეთს გაიარა, ხალხი და იმათი მდგომარეობა გამოიცვალა, გამოვიდა შამილი, იმის ერის სხვადასხვა რჯულისა და ქვეყნის ხალხი გამოეკიდნენ სხვადასხვა ინტერესებს და ამან წაკიდა სამწუხაროდ ხევსურები და ქისტები ერთმანეთს. ხევსურების სისხლში ქისტების სისხლიც უნდა იყოს გარეული, ეხლაც კი იპოვით გახევსურებულ ქისტებს ქისტური გვარით, რომელნიც სისხლს გამოქცევიან და იქ შეხიზნულან (ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, 195, გვ. 55-56)" (50,40).

რაც შეეხება ქისტების „გაღამთიელ მოსისხლე მტრებაღ" მოხსენიებას ჩეკურიშვილის მიერ, ბატონი მიხეილი კვლავ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით პასუხობს:

„ქისტების სახით საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ერთგული და მამაცი თანამებრძოლი, თანამოაზრე კავკასიელ ავტოქტონთა დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლაში.

ჯერ უკანასკნელი 200 წლის საბუთებში ჩავიხედოთ.

იმდენად კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში ყოფილან საქართველოსთან, კერძოდ, კახეთთან ქისტები, რომ ერეკლე II 1788 წლით დათარიღებულ წერილში პირდაპირ წერს: ღლიღველებს, პირიქით ქისტებს მრავალი მოკითხვა. პირობა მოგვეცით, როცა თქვენი წიგნი მოგვივა და დაგვიბარებთ, ჯარი წამოვალთო. თქვენი ამღენი ხნის სამსახურის გამო ჩვენი წიგნი რომ მოგივათ, უნდა წამოხვიდეთ, თქვენ ჩვენი ერთგული ხართ, მერე ჩვენი ოჯახი თქვენი ოჯახი ქნება და ყოველი თქვენი ნაწილისამებრ ჩვენგან ყოველივეს შეგისრულებთ. (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. 948, გვ. 951-952).

მიაქციეთ ყურადღება, ეს სწორედ ის პერიოდია, საქართველოს

განსაკუთრებით რომ სკირლეტა თანამედროვეა და მან იცის, ვისი ერთგულების იმედი უნდა იქონიოს მძიმე განსაცდელში" (50,4).

მიხეილ ქურციანის ამ წერილის შემდეგ ქისტებშიც განმტკიცდა ის შეგნება, რომ მათ ქართველი ხალხი ქომაგობდა საუკუნეთა განმავლობაში მტრობასად ცხოვრების დროს და ღვთისაც გაუწყეენ პატრონობას.

რაც შეეხება ვალერიან ჩეკურიშვილს, აქაც ქისტები სრულად ემხრობიან ბატონ მიხეილის მოსაზრებას:

„მაინც მჯერა, რომ ეს სამწუხარო შეცდომები პატივცემულ ავტორს ქისტებთან მტრობით ან ბოროტი განზრახვით კი არა, არამედ ისტორიის არცოდნის, საკითხის არსში ვერწვდომის, სიტყვის მოუზომავობისა და, რაც მთავარია, მიწის შენჩემობის გლეხური ფსიქოლოგიისაგან თავის ვერდაღწევის გამო მოუვიდა" (50,5).

თავი VIII

რუსეთ-ჩეჩნეთის ომები თანამედროვე ეპოქაში და ქართული მწერლობა

„სირცხვილი არ ჭამოთ, მტერი არ ახაროთ,
თქვენი გამარჯვება უფალმა ინებოს,
არ შედრკეთ ბრძოლებში, დროშა არ დახაროთ,
ჩეჩენო ბიჭებო! ჩეჩენო ბიჭებო!

ჩეჩნური ფოლკლორი

რუსეთ-ჩეჩნეთის ომი და ნაირა გელაშვილის ჰოეზია

XX ს-ის დასასრულისა და XXI ს-ის დასაწყისში ჩეჩნეთში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსების მორიგმა ავანტიურამ, მათმა იმპერიულმა ზრახვებმა და ბარბაროსობამ, ენითაუწერელმა სისასტიკემ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ თავისებური ასახვა ჰპოვა მეზობელი და მონათესავე ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებაში.

განსაკუთრებით ემოციური ქართველთა ცნობიერებაში 1999 წელს დაწყებული ომი აღმოჩნდა, რადგანაც ქართველებს პირადად ჰქონდათ შეხება ამ ტრაგედიასთან (ჩეჩენი ლტოლვილების მასიური შემოსვლა საქართველოში).

ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნაირა გელაშვილმა ჩეჩნებთან ერთად გაიარა ჩეჩნებისათვის ეს უმძიმესი პერიოდი და მათთან ერთად გადაიტანა ყველა ის ტრაგედია და ტანჯვა, რაც თავს დაატყდათ ჩეჩნებს და ყოვე-

ლიტე ამან, რა თქმა უნდა, თავისი კვალი დატოვა მის შემოქმედებაში.

თავისი ღრმა კავკასიური ბუნებიდან და ქართული ხასიათიდან გამომდინარე, წინაპარია მსგავსად მან ხმა აიმაღლა ამ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც დატრიალდა მრავალტანჯულ ჩეჩნეთში და თავის პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, „რუსეთმა რომ ჩეჩნეთი გაანადგურა" (2001 წ.) იგი მხიარული ვაების კერებს ადარებს გროზნოს, სამაშკის და ჩერნოკოზიოს:

„ჰოი, ქერჩო და ზაპუსნჰაუზენ!
ბერლინო! - ბოლავს თქვენი არაკი...
ო, ხიროსიმა! ო, ნაგასაკი!
განვლო რა წელმა სამოციოდემ,
უკვე დაჰკარგეს მათაც ასაკი, -
შემოგვიერთდნენ დები ვაების:
ჩერნოკოზოი,
გროზნი,
სამაშკი... (16,222).

არანაკლებ სულისშემძვრელია ლექსი, რომელიც ეძღვნება ჩეჩენ ბავშვებს, აქ განსაკუთრებით თვალშისაცემია ის მძაფრი პროტესტი პოეტისა, რომელსაც ის გამოთქვამს რუსი ლამპიონების წინააღმდეგ და მათვე უსურვებს იმ ჯოჯოხეთს, რაც მათ დააბრიალეს ჩეჩენი ბავშვების თავზე:

„რუსეთო, გისურვებ, გისკვი
დიდი ხნის სიცოცხლეს იქ -
სადაც შეღებულია ფანჯრები იოდით
და სისხლში ლბებიან

ბუსუსებიანი
ვარდები
ბამბის და ბინტის
და შავახალწლების
ნაძვის ხეს ჰკიდია:
აირწინალის დინგი,
და
რკინის ნამსხვრევები,
ძვლების ნამსხვრევები,
შუშის ნამსხვრევები...“ (16,223).

დღევანდელ სინამდვილე'ში ი'შვიათია ასეთი მძაფრი პროტესტი და გაბედ'ულება, რითაც პოეტი პირდაპირ უპირისპირდება იმპერიას და აცხადებს, რომ პატარა გ'ულები ძალიან გაუტკბათ სისხლისმსმელ ვამპირებს, რომლებსაც გ'ულის მაგივრად ქვა უდევთ:

„და არ ჩანს არც მზე და არც ცა,
და არ ჩანს არც ჩიტი, არც ხე
(პატარა გულები გაუტკბათ ვამპირებს),
მხოლოდ შხამია და საფრთხე,
საკინ'ულე და საკირე...
და იშვის ცრემლები მინის
და გამოხედვები ქვის... (16,223).

პოეტი აქვე აფრთხილებს ბორობის მ'სრასველებს:

„უფრთხილდი გამომწვარ გულს
(სისხლი ცეცხლად რომ სდის),

რუსეთო, გისურვებ, გისჯი
დიდი ხნის სიცოცხლეს იქ... (16,224).

ჩეჩნების 400-წლიანი გენოციდი კვლავ გრძელდება, კვლავ წაღმა-უკუღმა ტრიალებს მრავალტანჯული ჩეჩნების ბედის ბორბალი. დღეს, საბედნიეროდ, თანამედროვე ტექნიკის წყალობით, ჟურნალისტთა გამბედაობითა და გამჭრიახობით შესაძლებელი ხდება იმ ბარბაროსობისა და სისასტიკის ნაწილობრივ მაინც ეთერში ჩვენება, მსოფლიო ცივილიზაციის სამსჯავროზე გამოტანა, მაგრამ მსოფლიო ღუმს...

შეძრწუნებულმა საქართველომ ხმა აიმაღლა იმ დიდი სისასტიკისა და საშინელების წინააღმდეგ, რომელიც დღეს ჩეჩნეთში ტრიალებს რუსის ხელით და ხვალისთვის კი მთლიანი კავკასია ჰყავს სამიზნეში ამოღებული.

განსაკუთრებით ამაღელვებელი და მრავლისმთქმელია ნაირა გელაშვილის მიერ „დაბნეული და დაკარგული ბიჭი“-სადმი მიძღვნილი რეკვიემი ამბავი, რომელიც წლების განმავლობაში იწერებოდა დღიურების სახით. ეს ის წლებია, როცესაც ჩეჩნმა ლტოლვილებმა 1999 წლის შემოდგომაზე, რუსების მორიგი ანექსიის შემდეგ დაიწყეს მასიური შემოსვლა საქართველოში (აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ერთადერთი რესპუბლიკა კავკასიაში, ვინც ჩეჩენ ლტოლვილებს იმ გაჭირვებულ ჟამს ჰუმანიტარული დერეფანი გაუხსნა სწორედ საქართველო იყო). მწერალს, მოყოლებული 1999 წლიდან, ყოველდღიური შეხება ჰქონდა ჩეჩენ ლტოლვილებთან თავისი ჰუმანური ბუნების გამო, და როგორც თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, ეს იყო მისთვის უმძიმესი წლები, მან ჩეჩნებთან ერთად გაიარა ეს საშინელი ომი და თავისებური დაღიც დაასვა მის არსებას. ის პატარა ჩეჩენი ბიჭის სახით მის და თავის სათქმელს ამბობს და სჯერა, რომ

„ჩეჩნები ლამაზად კვდებიან
სახეზე ნათელი ადგათ“ (16,101).

და ჩეჩენი მებრძოლები, ვინც საკუთარი სიცოცხლე უმასლაღ ღაღეს სამ'შობლოს სამსხვერპლო'ს, სამოთხის სტუმრები არიან.

„ნათელი მიტომ ადგათ,
სახე მიტომ აქვთ მშვიდი,
რომ ანგელოზებს აჰყავთ -
ალაჰის ბაღის შვიდი
კარი იხსნება მათთვის,
სურნელს აფრქვევენ ტბები,
ჰყვავის ვაშლის ხე ათი,
მტრედებს საჭმელი მიაქვთ,
ყურს საოცარი ხმები,
ხარობს კამა და ია,
ყველაფერია მათთვის
მზეც, ვარსკვლავებიც, მთვარეც
თავი შესწირეს რაკი
მშობელ მიწას და მხარეს...“ (16,101).

მი'შტერებული 'ჩე'ჩის ეკრანს ამბობდა ასე: ხელი ღააღო ნელა მკვდარი მებრძოლის სახეს, ფეხი რომ წ'აჰკრა რუსმა რუსეთის ტელეარხ'ე.

ჩეჩენი ბიჭი, რომელიც საქართველო'ში ლტოლვილად იქცა, რადგანაც „მამამ აუკრძალა ომი“, ასაკის მიუხედავად ბრძნულად აზროვნებს და გმობს რუსი ჯარისკაცების ბოროტებას და უღირს საქციელს:

„რუსები კვდებიან უშნოდ.
ყველას უშავდება სახე.
თვითონვე იციან რადგან:
სჩადიან ბოროტ საქმეს
ადათი არ იციან.
გვამებს ტოვებენ ველად.
ცოტანი თუ არიან,
უკან გარბიან ხელაად“ (16,102).

პოეტისთვის მიუღებელია სხვათა მიწის დაპყრობის ავაზაკური სურვილი და უდანაშაულო ხალხის განადგურება. იცის, რომ ამის ბოლო ქრისტეშვის მარცხით მთავრდება.

„იპყრობენ სხვათა მიწას.
ანადგურებენ სალხებს
და აგიუებენ ყველას
და მათ სამშობლო არ აქვთ.
დამარცხდებიან წესა.
ჩეჩნეთს მიწას ვფიცავ,
ვფიცავ ალაჰის სახელს“ (16,102).

პოეტი პროტესტს გამოთქვამს იმის გამოც, რომ მსოფლიო დათრგუნა ”ის“მა და ჩეჩნეთი მარტოდმარტო დარჩა:

„თუმც ყველა ასე ფიქრობს
და რუსეთის მარცხს ნატრობს,
ხმას ვერ იღებენ შიშით
და ჩეჩნეთია მარტო“ (16,102).

ასე ამბობდა ბიჭი, გაღმიხედ\წილი ჩეჩნია, საქვეყნოობდა მამას, საქვეყნოობდა დედას, რომ აკრძალეს ბრძოლა და გაჭრა ბრძოლის ველად".

ნაირა გელა\შვილი ჩეჩენი ბიჭის პირით თავის სათქმელსაც ამბობს, რომ გაღარჩენა მხოლოდ ერთობა\შია და ჰეგემონის როლი ისევ საქართველომ უნდა იტვირთოს:

„პაპა ამბობდა ჩემი,
რომ საქართველო მზეა
მთლიანი კავკასიის,
რომ უნდა გვეშინოდეს
რუსეთის და აზიის,
მიტომ შეკრათო პირი,
გაგერთიანდეთ ყველა,
თორემ ვერვინ შესძლებს
ჩვენი შვილების შველას..." (16,102).

აქვე ჩანს ჩეჩენი ერის ღამოკიდებულება აფხა\სეთ\ში ჩეჩნების ქართველთა წინააღმდეგ მონა\წილეობასთან დაკავ\შირებით, ჩეჩენი ბიჭის მამა ამბობს:

„რომ ვინც შეულს თესავს ჩვენ\ში,
ის უნდა დაისაჯოს
და მან პრეზიდენტს ჩვენსას
წერილი გაუგზავნა,
უთხრა: შენ ხარო თავი,
უთხრა: შენ გაქვსო ძალა,
სთხოვა, ჩეჩნების ჩართვა
ქართველთა წინააღმდეგ

რამენაირად ომში
სასტიკად აკრძალა.
და გულ გაიგო მერე,
რატომ არ მოხდა ასე...“ (16,103).

პიესის ცოცხალი სიყვარულითაა აღწერილი ჩეჩნების მამაპაპური ტრადიციებს, რომლებიც მათ დღემდე შეინარჩუნეს და გმობს ქართულ სინამდვილეში შემოპარულ გამხრწნელ ცივილიზაციას:

„წამოხტებოდა ფეხზე, მაშინვე, როცა ვინმე ოთახში შევიდოდა, გინდ შესულიყო ასი, საერთოდ, პატივს სცემდა მშობლიურ ადათ-წესებს. უფროსებს ექცეოდა ჩვენთვის უცნობი რიდით, ხოლო მოხუცებს, როგორც მიწაზე მავალ ღმერთებს. თურმე თავსარი დასცა იმის დანახვამ, ქართველ კაცებს რომ ერთმანეთის კოცნა უყვართ და ხვევნა, რომ იგინება ყველა, რომ ერთმანეთის ღეღებს ასევე საკუთარსაც აგინებენ და ამით სულ არაფერი ხდება, ერთად არიან ისევ, რჩებიან ერთმანეთთან; რომ გოგოები სვამენ, ნაგვით აცსებენ ჭიჭას, სიგარეტს ეწევიან და თან ჭიპები უჩანთ, რაღაც ახსოვდა პაპის სიტყვები მეტისმეტად, რომ „საქართველო მზეა მთლიანი კავკასიის და მას გარშემო უნდა სხივებად შემოეწნათ“. ნერვიულობდა ძალიერ, თუ საქართველოს ვინმე, ლანძღავდა, დასცინოდა“ (16,103-104).

უდიდესი ადამიანური სულიერების, სნეობრივი გაბედულების და მოქალაქეობრივი ცნობიერების ზეობის ტრიუმფია რეკვიემის დასასრული, სადაც შემოქმედი ილაშქრებს იმ უზნეობის წინააღმდეგ, რაც, სამწუხაროდ, საქართველოშიც ხდებოდა გაუბედურებული ჩეჩნების წინააღმდეგ. ეს არის უდიდესი ვაჟკაცობა, როდესაც ადამიანს შეუძლია ხმა აიმაღლოს ღირსებისა და მორალური ზნეობის დასაცავად, თუნდაც საკუთარი სამშობლოების წინააღმდეგ.

„აქ გაჩერდა წელიწადი, და მძიმედებოდა ბუდი, იმედიც იწყო-და საქართველოსი, მიწების და ალბათ გამარჯვების. ავიწრიებდ-ნენ აქაც: მთავრობა, პოლიცია, ფულსაც სძალავდნენ ხშირად, ჯილდოც კი მოუწია საპატრიბილეში, ისე, უაზროდ, უსაფუძვლოდ, – ამან მოუკლა გული, ღირსება გაუქექა, უფრორე მეტად ვიდრე ლუშმანის ბირიყებამ. იგი მალავდა ცენას, ცენას ქართველთა მიერ, გავიდა ოთხი წელი, ომს არ უჩანდა ბოლო, აქ ოცდასამის გახდა, ბევრად მეტისას ჰგავდა, მერე მიამბო, რომ აქ ინტერნეტბარ-ში მოკლეს მისი სოფლელი ბიჭი (ლამაზი მეტისმეტად, მომაღლებული ნიჭით) ისე უბრალოდ, როგორც ჩეჩენი, მარტოხელა, რომ ღელიერთა იყო, გვარის იმედი ისიც, გვარს არ გაეშვა ომში მისი დაკარგვის შიშით. მერე თვითონაც გაჭრა, ვერსად ვიპოვეთ კვალი: ნუთუ იმსხვერპლა ტყვიამ, ხომ არ მოიკლა თავი? მერე გავიგეთ, რომ „მზე კავკასიის ანუ: ეს საქართველო ჩვენი, ჩუმად იჭერდა ჩეჩენ ლტოლვილ კაცებს და ბიჭებს და გადასცემდა რუსეთს, რათა მოეგო მისი გული ძვირფასი ძღვენით, არ უსრულებდა თხოვნას მახეში გაბმულ სტუმრებს (ერთ ახალგაზრდას თურმე ცრემლების წასკდა თქეშიც): რომ აქ მოეკლათ, თვითონ, საქართველოში, ოლონდ, არ ჩაეყარათ, არა „ურჯულოების ხელში“ (16,104-105).

იჩქერია და მიხეილ ღანიშაშვილის პოეზია

„მან, ვისაც ქვეყნად მონობა არ სურს
მიბაძოს შამილს და შეიხ მანსურს“...

იჩქერია-ში მიმდინარე მოვლენებს განსაკუთრებული ადგილი დაუთმო თავის შემოქმედება-ში პოეტმა მიხეილ ღანი-შა-შვილმა.

ოქ რა ვიტკბარი და ლხრისტული ბუნება ლევს პოეტში, რა ღიდი სიყვარული აქვს მას სამშობლოსი და კავკასიისა. ამას მისი წინასიტყვაობიდან ვიგებთ, რომელიც პოემა თავის ისტორიულ-პუბლიცისტურ პოემა იჩქერიას უძღვნა: „მე, როგორც ქართველ პოეტს, არანაირად არ შემეძლო გვერდი ამექცია იმ ისტორიული ფესვებისათვის, რაც ოდითგანვე წარმოადგენდა ჩვენი, კავკასიელი ხალხების, ძმობისა და მეგობრობის საფუძველს; არ შემეძლო უგულებელმეყო მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ტრადიციები, რომელიც ასევე ყოველთვის ფოკუსირდებოდა კავკასიური ერთიანობის იდეასთან; და ბოლოს, ვერცერთ შემთხვევაში ვერ დავრჩებოდი გულგრილი იმ ძალადი თავსმოხვეული, უთანასწორო და უსასტიკესი ომის მიმართ, რომელმაც თოქმის მიწასთან გაასწორა ჩეჩენთა სოფელ-ქალაქები, შეიწირა ასეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, უამრავი მათგანი აქცია ინვალიდად, ლტოლვილად...“ (51,3).

დიახ, ძალიან ძნელია ადამიანმა იმ უსამართლობას და უბედურებას გულგრილად ეკურო, რომელიც აგერ შენს გვერდით, შენს მეზობლად ხდება და განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს ჯოჯოხეთი შენი მოძმის თავზე ტრიალებს და სამომავლოდ შენ ყავხარ მისანში ამოკლებული. როგორც პოეტი აღნიშნავს, „იჩქერიას“ ის სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების საგალობლად ქმნიდა და მართლაც, პოემა „იჩქერია“ კავკასიელი ხალხების ერთიანობას, მათ ძმობას და მეგობრობას, მათ თავისუფლებას, ჩეჩენთა გამორჩეულ სიყვარულს სამშობლოსადმი, თავგანწირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ეძღვნება და ერთგვარი გაფრთხილებაც არის იმისა, რომ ურთიერთშუღლითა და მტრობით შესაძლოა, კავკასიელი ხალხები აღიგავონ პირისაგან მიწისა.

პოეტის დასაწყისში პოეტი იშველიებს უძველეს წყაროს ბაგრატიონული ვახუშტისა, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „თარგამოს ... შვა რვანი გმირნი: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლეკანოს, ჰეროს, კავკასოს, ეგრის... არამედ ძეთა შორის კავკასოსათა უწარჩინებულეს იყო პირველად ძურძუკოს ძე ჩინენისა... ჩამოვიდა ესე ძურძუკოს კავკასიასა შინა და ჰპოვა ადგილი ფრიად მაგარი და აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თავისი ძურძუკი...

ფარნაოზ... მოიყვანა ქალი ძურძუკით და შეირთო ცოლად...“ (51,18). უძველეს წყაროებზე დაყრდნობით, პოეტს პოემის დასაწყისშივე უნდა მიაწოდოს მკითხველს უტყუარი ინფორმაცია ჩეჩნების, ძურძუკების შთამომავლების შესახებ და სურს მკითხველმა იცოდეს, რომ ჩეჩნები კავკასიის აბორიგენი მოსახლეობაა და უძველესი ისტორიაც გააჩნიათ, რომ ჩეჩნების წინაპრებიც ხმლით და მახვილით იცავდნენ და აშენებდნენ თავიანთ ქვეყანას:

„...თუით კაკკასისსაც თვისწილად ესდენ
ძენი, ძისძენი არ-მცირედ ესხდნენ,
მაგრამ უმეტეს წულთა მათ შორის
იყო ძურძუკოს, დევ-გმირთა სწორი.
სწორედ მან ბრძენმა და მკლავმაგარმა,
მიზანმართალმა და ქარდაქარმა,
ბრძოლით და არა უკანდახევით
აქცეყნა მხარე ვაინახების“.

წინაპრების მსგავსად, არც ჩეჩნებს ჩაუგიათ ხმალი არასოდეს, ბევრჯერ მიწასთან გასწორებული ქვეყანა ისევ ფეხზე დაუყენებიათ და აგერ უკვე 400 წელია, რაც რუსეთს ეომე-

ბიას საკუთარი ძის\'ის და თავისუფლების დასაცავად. სამართლიანად აღნიშნავს პოეტი:

„აგერ თურდ ჩეჩნის ვთქვათ ისტორია,
ომის ღმერთს როგორ დაუტორია!
ოთხასი წელი მაინც იქნება
რაც იჩქერიის გარსკვლავი ქრება,
ქრება-ინთება, ქრება-ინთება,
გრძელდება გმირის ტანჯვა-კირთება!
უნდოდ, ბოროტად, დაუნანებლად
ვლივლვნის რუსეთი, არ ენანება
მას არც მოხუცი, არც ბავშვი, ქალი
არც მთათა შორის ბროლის ფიქალი!... (15,29).

და აქვე სვამს რიტორიკულ კითხვას:

„მაგრამ როდემდე, მაგრამ სადამდე?
ნუ გინდა, მტერო, სულ რომ გავთავდეთ!...
ეს მხარე ჩვენი უნჯი მხარეა,
ჩვენ აქ სიკვდილიც კი გვიხარია!...
ამიტომ მაინც ველირსები,
მოგვსპო სიკვდილის შავი ისრებით!...“ (51,20-21).

მიხეილ ღანიშაშვილი, ჭეშმარიტი კავკასიელი, მშვიდად ვერ უყურებს მოძმე ჩეჩნების ხოცვა-ჟლეტას. უმალ ამჩნევს მტრის მიერ ჩამოგდებულ საბამსავს, რომ რუსეთის სხვადასხვაობით ისარგებლოს, მოძმე კავკასიელები ერთმანეთს გაუბაკიდოს:

„შეხედეთ, ხალხო, რაოდენია
სისხლი, რაც ჩეჩნებს დღემდე სდენიათ,
საკუთარ მიწის და ერის დამცველთ,-
ისინი, როგორც ქრისტე, ჯვარს აცვეს
მრავალგზის რუსმა გიაურებმა, -
ვის ძალუძს ამის მშვიდად ყურება!? -
ყოველ ჭეშმარიტ, გონიერ ქართველს
თანაგრძნობა და პატივი მართებს!...
და არა ისე, როგორც ეს მტრებს სურთ -
რომ დაგვრიოთ საკვირველად ერთურთს!...
თუმცა მაგანნი მტრებად გვისახვენ
მათს გაუკაცურ და მშვენიერ სახეთ,
თუმც ურჯულობით სურთ შეგვაძულონ, -
ვინ არს, ურჯულო, ზეცად ასული,
ის, ვისაც თავის სამშობლო უყვარს,
თუ იგი, ვისაც სულ-გული უყარს?!“ (51,22-23).

იმდენად ძლიერია კაუკასიელების ერთობა, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, იმდენად ერთნაირი მენტალიტეტი და ადათი აქვთ ჩეჩნებს და ქართველებს, რომ მათ სარწმუნოება, ერთ ღმერთთან მიმავალი სხვადასხვა გზა - მუჰამედის და ქრისტეს გზა, ვერასოდეს ვერ დააშორიშორებს და ვერასოდეს ვერ აქცევს მტრებად:

„ჩვენ ერთი მამის ორი შვილი ვართ
და ეს ოდითგან ვიცით მშვენიერად.
ნუ აქვთ მტრებს, ულუთოთ, ფუჭი იმედი,
რომ რადგან მათ სწამთ ის, მუჰამედი,
ხოლო ჩვენ ჩვენი ქრისტეს ნათელი,
მტრად მოეკიდოს ჩეჩენს ქართველი!...“ (51,23).

პოეტი აქცევს რისკის ძალიან მაძიებელ ერებს, რომ ისინი უერთმანეთოდ ვერ იცოცხლებენ და ცალ-ცალკე გაურიყებს მტერიც ადვილად მოერევა და საბოლოოდ გაიგაგვა'ნენებს:

„სამს ერთურთს მარად სანთლებად ვუნთოთ,
თორემ მოკვდებით უერთმანეთოდ,
თორემ ადვილად დაგვიმორჩილებს
მტერი ცალ-ცალკე მიჩრილ-მოჩრილებს
ჩამოტეხს თავხეს იმ ჩვენი სახლის
ასე დიადის, ძველის და მაღლის,
ურთიერთშუღლის ლვარძლს შეგვაშვენებს
და საბოლოოდ გადაგვაშენებს!“ (51, 36-37).

პოეტი აღფრთოვანებას ვერ მალავს ჩეჩნეთის გმირული ისტორიის გამო, ეამაყება მისი ეროვნული გმირები, ამართლებს მათ თავგანწირვას თავისუფლებისათვის და აცხადებს, რომ დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ გაქრება და რომ ჩეჩენი გმირები მისაბაძები არიან და გამარჯვებას უსურვებს მათ:

„მან, ვისაც ქვეყნად მონობა არ სურს,
მიბაძოს შამილს და შეიხ მანსურს,
მიბაძოს ჯოხარს, იმ ყმაწვილს, აგლურს
და ნუ მოიწყენს სიკვდილთან დაგლურს!..
გაიწრთოს სული, გაიწრთოს ძარღვი,
მოკიდოს ხელი ომის სჭეშ აღვირს,
მოკიდოს ხელი ბაირაღს მყისვე
და ლმერთი ნატვრას მისას შეისმენს!...
აღუდგეს ბოროტს, ვით თქვენ, გმირებო, -
დე, გამარჯვება ზეცამ გირნებოთ!“... (51, 24).

პოეტს უკვირს მტრის ბუნება და ვერ ხვდება რუსი ერის საქციელს. იგი რაღომ იქნევენ მახვილს მხოლოდ სხვის სავნებლად, რით ვერ დაიცალნენ ამღენი უსამართლო ომით და სისხლით, რაღომ ფიქრობენ სხვისი სამშობლოს დამონებაზე და რაღომ არ ენანებათ ქალი, ბავშვი და მოხუცი, რით ვერ ძლებიან ადამიანთა წინააღმდეგ ცოდვის ჩადენით:

„მიკვირს და ვკერაც ვერ ვხვდები, ღმერთო,
თითქოსდა განსჯის ნიჭი წამერთო,
რაა ამდენი ბოლმა და ღვარძლი,
ამ ერს რომ სამტროდ კვლავ ძალას აძლევს?!-
აბა, რა სურდათ სისხლიან ტბათა
გროზნის ჭუჭებში რომ მოემატა?!
რითი ვერ დაძლნენ გიაურები
ადამიანთა ცოდვის ყურებით?!
რად დაელვარნენ ჩეჩენთა თემად
ფინდისად, კვამლად, ნანგრევთა მთებად?!
რად ნათხარად აქციეს სახლი?!
რად ააფეთქეს ეზოში ძალი?!
რატომ შეიჭრნენ ოჯახში ძალით?!
რად ულეჩაქოდ დააგდეს რძალი?!
რად არ შორდებათ მაცილი თავში?!
რად სისხლად სცალეს მოხუცი, ბავშვი?!“ (51,25).

პოეტმა კარგად იცის, რომ მტრისთვის მშვიდობა და ვერაგობა ჩვეულებრივი ხილია, სხვისი ცილისწამება კი მათი ცხოვრების წესი:

„მისთვის მშვიდობა ძველი ხილია,
უტიფრად იტყვის თეთრზე შავია,

დღეზე დამდა, წყნარზე - ავია,
წესად აქვს სხვისთვის ცილისწამება,
მტერს მისი ლვარძლი და გააჟება!" (51,32).

პოეტი ცოდვიან იმპერიას აფრთხილებს, რომ ოცესმე დასა-მარცხება. რომ მისი მომავალიც ვეღარ გაიხარებს ამქვეყნიური ცოდვით და მძაფრი იქნება შურისძიება:

„ეჰ, იმპერიავ, ცოდვა დიდია,
რაც დღემდე სულის თხემზე გიდგია!
ბოროტო, ოდეს დასამარდები,
შეიმოსები შავი ვარდებით,
შენს შვილებს, სისხლით სახედასერილთ,
დაესევიან ეშმაკთ დასები,
მძაფრი ქნება შურისძიება,
არ მოვა იგი ია-თებად!..." (51, 25-26).

პოეტი საკვეთურს ეუბნება კაცობრიობას, რომელიც ყოველ-გვარ უბედურებაზე თვალს ხუჭავს:

„დიახ, რასაც ვწერ, ეს მართალია,
კაცობრიობა ცოდვით მთვრალია!" (51,34).

ჩეჩნეთის დროებითი გამარჯვებით, რომელიც ახლო წარ-სულში ჩვენს თვალწინ მოხდა (1994-1996 წწ.), პოეტი აღფრ-თოვანებულია და თავისი დიდი სიხარულის დამალვას არც ცდილობს:

„ჰა, კიდევ ერთი ომის ქრონიკა -
ჩეჩენმა რუსი თუ ვით მოდრიკა,

ვით იძრნენ უცებ ცა და მიწანი,
ვით აღესრულა რუსთა მიზანი,
ვით დაიფრინეს მგლებმა დათვები,
როგორ დააჭრეს სქელი თათები,
ვით აღასრულეს მათ დაპირება
და დაიბრუნეს გროზნო გმირებმა“ (51, 30-31).

სხვისი კუთვნილი მიწის დასაპყრობად მოსულები, რომელთაც თავიანთი დევიზი ღიად გამოფინეს – „ჩეჩნეთი ჩეჩნების გარეშე“ ამ უსამართლო ომში მწარედ დამარცხდნენ, ვეშაპისხელა რუსეთი კუდამოძუებული გაიქცა პატარა ჩეჩნეთიდან, რომელიც მსოფლიო რუკაზე არც კი ჩანს:

„შეცბა, შეყოვნდა, შედგა, შეჩერდა,
ველარ აღუდგა რისხვას ჩეჩენთა,
ნახშირად ექცათ ტანკების გროვა,
სამარე გროზნოს ქუჩებში ჰპოვა
მათმა ამაყმა ჯარისკაცობამ,
რიცხვს და იარაღს ჭკუამ აჯობა!
და დამარცხებულს რა დარჩენოდა
სხვა, გარდა იმის, რაც სულ შეენოდა! -
ამოიძუა კუდი და მთები
დატოვა, უცებ დაუშვა ფრთები!...“ (51,31).

მაგრამ ისიც მშვენივრად იცის პოეტმა, რომ იმპერია თავის ამბიციურ ზრახვებს არ მოიშლის და ხისხლით გაუმაძღარი, ულმობელი და ცოდვით სავსე კვლავ დაბრუნდება ჩეჩნეთში და მორიგ გენოციდს მოუწყობს ქედუხრელებელ და დაუმონებელ იჩქერიას, რომელიც მანამ იბრძოლებს თავისუფლებისათვის, სანამ უკანასკნელ მთის რაინდს პირში სული ეძგმევა:

„ვერა სჯდებიან უსამშობლონი,
რომ იჩქერია - გმირი ობოლი,
გაუტეხელი სულით და რისკით, -
კეთილი ნების სანაცვლოს იმკის.
ვერა სჯდებიან რენეგატები,
ჭუჭყში რომ უდევთ სქელი თათები,
რომ კაგკასიის ამ ოაზისში
თავისუფლების სურთქავს ბაზისი!“ (51:28).

პოეტს ღრმად სწერია, რომ ჩეჩენი ერი მაინც გამარჯვებულია, რომ ბოროტება არავის არ შერჩენია, რომ არცერთი იმპერია მსოფლიო ისტორიაში არ ყოფილა მარადიული და არც რუსეთის იმპერია გაძლებს ღიღხანს, რომ ჩეჩნეთი სამარადისოდ შეიმოსა გმირის შარავანდედით და აკი თავად რუსი პოეტები აღიარებენ, რომ მათი „იმპერია თავისუფლებაა და ცხოვრების წესი კი ომია“:

„რომ გამარჯვება მაინც ჩვენია,
რომ ავი არვის არ შერჩენია,
აი, რა ძალით დგას იჩქერია,
აი, იქ გმირნი რად იჩქარიან...“ (51, 28-29).

ვაინახები თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიაში

ბოლო ათეული წლების განმავლობაში ჩეჩნეთში დატრიალებულმა ჯოჯოხეთურმა ომმა და სისასტიკემ ძალიან ბევრი ქართველი შემოქმედი შეძრა სულით ხორცამდე და პოეზიის მრავალი შედევრიც შეაქმნევინა. სწორედ ერთ-ერთი მათგანია

ცისიშილი პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი, ვის კალამსაც არაერთხელ გაუსაშქრია უსამართლობის წინააღმდეგ. ლირიკული მამულიშვილი და ჭეშმარიტი კავკასიელი ქ-ნი თინათინი წინ აღუდგა იმ ბოროტებას და ბარბაროსობას, რაც რუსეთის იმპერიამ საქართველოს მოსახლეზე და მოძმე ჩეჩნეთში სააღრიანა. ის გულანთებული, სამართლიანი კალმით ხელში მეცგრად აღუდგა წინ ავისმსახველებს, რისი დასტურიც არის მისი უმშვენიერესი პოეზია და განსაკუთრებით კი ლექსი „ვაინახები“, რომელიც თამამად შეიძლება მოიაზრო მსოფლიო შედევრთა სიაში.

ლექსის დასაწყისში პოეტი თავისი პოეტური სიტყვაკაზმულობით აღწერს თეთრ ლამეს, ძილგამფრთხალ ჩეჩენ არწივებს, მწვერვალების მოდარაჯე ვაინახებს და ცაცხვიკს, მაგრამ მოუსვენარ ბებერ ლომებს - კავკასიელებს:

„უფლის სარკმელზე მზემ მოხატა თეთრი კამეა...
იჩქარიაშიც, ალბათ, ახლა თეთრი ლამეა...
თეთრი ლამეა და არ სძინავთ ჩეჩენ არწივებს, -
რა დააძინებთ!...
თოვს და ფითრდება პეიზაჟი - ნაგვანახევი...
თოვს და მწვერვალებს დარაჯობენ ვაინახები...
და თუ ამალამ გროზნოს ცაზე მეხი იელვებს,
რა მოასვენებთ ბებერ ლომებს - კავკასიელებს!“ (38,10).

პოეტს ნოსტალგია და ფიქრი აწვალებს, რომ ძველი მხედრები აღარ არიან, რომ ძველებური ჟინი გაქრა, მისი ნება რომ იყოს, საქართველოს საერთო მტრის წინააღმდეგ აამხედრებდა. ქართულ ჯარს ივრის ჭალაში შეკრიბდა და დიდ ქაქუცას გაჰკეთებოდა მის ერთგულ ვაინახებთან. პოეტს ისიც

ალუქების და აჩხუბების, რომ მტკრაში ლირსება არ აირიოს ცბირი ქინაპრების ციაბოშაელების:

„ეჰ, სად არიან უძლეველი, ურჩი მხედრები?!.
ო, რომ შემეძლოს საქართველოს აგამხედრებდი!...
ო, რომ შემეძლოს, ვყარს შეყრილი იერის ჭალაში,
რაა სიცოცხლე, თუ არ მტერთან ჯინით თამაში?!
რაა სიკვდილი, როცა გული რისხვით იცემა?!
რაა სიცოცხლე, თუ აგვართვა მტერმა ლირსება?!
მე რომ შემეძლოს, საქართველოს გაეაცოცხლებდი,
იბერიული სიმამაცით გაეაღელვებდი...
დაგარისხებდი დედოზარებს, ქართლთან, კახეთთან, -
და ჩოლოყაშვილს გაგეცოლებდი ვაინახებთან!...“ (38,10).

განრისხებული პოეტი მზადაა გული-მკერდი შეუნგრიოს ავსულებს და იქვე მასში იღვიძებს ქალი და ზრუნავს ჩვენ ასულებზე:

„შეგულეწავდი, შეგუნგრევდი გულ-მკერდს ავსულებს,
დავიფარავდი მზეთუნახავ ჩვენ ასულებს...
ყინულის ლოკებს მოვაბნევდი ვარდს და იულებს,
სულს შთავბერავდი ჩემს გათოშილ კაკასიელებს!...“ (38,10).

პოეტს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს - დაიხსნას კავკასია ქვეყნა ავისმსრახველისა და ბარბაროსისაგან:

„და ნასანუკლარი მრისხანებით აივსლვრეოდი,
თეთრ მწვერვალებზე მზის სხივებად დაივლვრებოდი...
ალესილ ხმალზე გაცეცხებდი შურისმგებელებს

და ბინძურ ზრახვებს ავურევდი იუდეველებს!...
თავაწყვეტილი შევმუსრავდი მონღოლ-კალმიკებს
და რუს გენერლებს ჩავაცმევდი კაბა-გალინკებს,
და მათ გალინკებს გავგზავნიდი ცივ რასიაში,
რომ არასოდეს არ დაბრუნდნენ კავკასიაში!"... (38,10).

შემდეგ კი პოეტი ქისტის ჭერქვეშ შეისვენებდა და უსაშველოდ დაღლილი ღაისვენებდა კიდეც, თუმცა ჩეჩენი არწივების დარდი არა და არ დააძინებდა:

„მერე, პანკისში ქისტის ჭერქვეშ შევისვენებდი,
საქართველოდან რუსის ჩექმას გავასვენებდი,
დავისვენებდი!...
თოვს უსაშველოდ.. მზემ მოხატა თეთრი კამეა...
თეთრი ღამეა... უსაშველოდ თეთრი ღამეა...
იჩქერიაში, ალბათ, ათოვთ ჩეჩენ არწივებს, –
რა დამაძინებს!... (38,10-11).

ლექსის „ჩემო იჩქერიას" ღასაწყისში პოეტი ასე მიმართავს მრავალისმნახველ კავკასიის მთებს:

„რად მოგიწყენიათ, მთებო - ალმასებო,
რად სტირით?... რად დაგდით ცრემლები?...
ცაში აფრენილო თეთრო მწვერვალებო,
ხომ არ დაგიმარცხდათ მხედრები?..." (38,11).

განუწყვეტელი ანექსია და სისასტიკე, ენით აუწერელი ბარბაროსობა და ულმობელი პოლიტიკა რუსი გენერლების მხრიდან კავკასიელების მიმართ და განსაკუთრებული სიძულვილი და მრავალრგზის გენოციდი ჩეჩნების მიმართ პოეტს აძლევს უფლებას, ასე მიმართოს ჯალაითებს:

„მოდიან მეძავთა ქალაქის ჯალათები, -
ფორთხვით და ხელის ცემებით! -
მხდალები, მკრალები და გადამთვრალები, -
აპოკალიფსური მხეცები!...“ (38,11-12).

გარდა უკიდეგანო სიცვარულისა ჩენების მიმართ, თინათინ მკვლელია“ჩვილის პოე“ზია“ში იგრძნობა ჩენეთის ისტორიის კარგი ცოდნა. მის ლექსებს საფუძვლად უძევს ამაღელვებელი ფურცლები მრავალტანჯული ჩენეთის ისტორიისა, რომელსაც ორმოცი ჩენი ქალი“შვილი, რუსის გენერლებს რომ არ ჩავარდნოდნენ ხელში, ხიდიდან პირდაპირ თერგ“ში გაიყე“შვნენ. 1944 წლის დეპორტაციის დროს მაღალმთიან აულ ჰაიბალ“ში გენერალიტეტის ბრძანებით 700 მოხუცი და ბავ“შვი შეკარეს საკინიბო“ში და ცეცხლი წაუკიდეს. დაღუპულებს შორის იყვნენ წინა დღეს დაბადებული ტყუპები ჰასანი და ჰუსეინი დეიდასთან ერთად. „მათ შორის ყველაზე უფროსს შეუსრულდა 110 წელი, ყველაზე პატარები კი ტრაგედიის წინა ღამეს დაიბადნენ“ (75, 275).

„ცხენები, ცხენები მიჰგვარეთ მთიელებს! -
ომში ნაწრთობი და ნაწამი...
თერგის ტალღებიდან ცეცხლივით იელვებს
ორმოცი ქალწულის ნაწნავი!...
ირწყვება დედამიწა სისხლით ვაინახთა,
დუმს კატორღობა - ლაჩარი!
და დღესაც „ჰაზავათს“ ცეკვავს ჰაიბალთან
ცოცხლად გადამწვართა ლაშქარი!“ (38,12).

პოეზის არც დაკვირვების საკარელი ისტორია ავიწყდება, რომელსაც რუსი გენერალის, კავკასიის ამომწყვეტისა და ბარ-

ბარიკის ერმილიოვი, ბრძანებით მის\"ასთან გაას\"ორეს ქალაქის მრავალძოსახლიანი აულის დაცილირით, ქალები, მოხუცები და ბავშვებიც კი უკლებლივ ამოწყვიტეს:

„ჩემო იჩქერია, სოფელ დადი იურთთან,
ქვაც კი ისველებდა წამწამებს...
ახლაც ერმოლოვის კატიშამიათა
ჯარი გაწუხებს და გაწამებს!...
ცხენები! ცხენები მოჰგვარეთ არწივებს! -
ომში ნაწრთობი და ამტანი, -
მომხდურთა ბინძური სისხლით რომ გაწვიმდეს
გროზნო და ურუსმარტანი!...“ (38,12).

სულის შემძვრელი და ამაღელვებელია ლექსის დასასრული, სადაც პოეტი ამხნევებს ბრძოლისგან დაქანცულ მხედრებს და ერთსაც კავკასიურად შეუძახებს:

„ეჰეი!... რად სტირით, მთებო, - ალმასებო?!.
რად დუმხართ?... რად დაგდით ცრემლები?...
ჩემო კოშკებო და ჩემო აულებო,
ხომ არ დაგიმარცხდათ მხედრები?...
ეჰეი!... კაკასია!...
ეჰეჰეჰეი!...
ეჰეი! იჩქერია!...
ეჰეი!“... (38,12).

საოცარ გრძნობას აღძრავს და წუთისოფლის წუთიერებაზე ჩაგაფიქრებს თინათინ მღვდლიაშვილის ლექსი (სიმღერა) „მწუხრი ვენეციასთან“. როგორც პოეტი ეპიგრაფში აღნიშნავს, ეს

მისი გულისწუხილი ეძღვნება „23 წლის ჩეჩნელ მკვიდრს „მაჭმახ-ყმინ ტკჰსკანის, იგივე-რუსლანს, მეტსახელად „ციგანს“. მან ქალაქ გროზნოში, ბრძოლის ველზე, ყინულის სანგარში ჩეჩნურ ენაზე წაუკითხა მეომრებს ჩემი ლექსი „ვაინახები“. 2000 წლის ნოემბრის თვეში, ღამით, ვედენოს რაიონში რუსის ჯარისკაცებისას სასიკვდილოდ ღაიჭრა, გარდაიცვალა ღილით“ (37,32).

ტკივილად არ არის ნათქვამი, ვისაც საკუთარი სამშობლო არ უყვარს, ის სხვასაც ვერ შეიყვარებს და ვისაც საკუთარი ჭრილობა არ აწუხებს, ის ვერც სხვის ტკივილს შეიგრძნობს. თინათინ მღვდლიაშვილი სწორედ ის პიროვნებაა, ვისაც ტკივილამდე უყვარს თავისი სამშობლო, ვინც სამშობლოს თავისუფლებისთვის ბევრ ჭრილობას გაუძლო, ამიტომაც აღფრთოვანებულია გმირთა სამშობლოთი იჩქერიით, ამიტომაც ტკივილამდე აწუხებს ჩეჩენი არწივების სისხლიანი ჭრილობები, ღიახაც, რომ ეღარღება მოძმე ვაინახები და მათს საწუხარს საკუთარივით განიცდის:

„ვდარდობ ვაინახთა ომზე...
იდგა გიორგობის ექვსი.
ცრემლად იღვრებოდა თოვლზე
ჩემი სისხლიანი ლექსი.
ცეცხლი ეხვეოდა ქალაქს,
ცეცხლი ედებოდათ ლომებს,
თხრიდნენ საომარ სანგარს, -
თოვლის და ყინულის ლოდებს“ (37,32).

დიდსულოვანი პოეტი ყველანაირ მორალურ მხარდაჭერას უცხადებს სამშობლოს თავისუფლებისთვის დაცემულ მეომარს,

მის გალამსვრეულ შვილის მკვლის ლასტრის და გულის იმის იმ'ისვლებს, რომ მკერდ'ში მისი ნატკივარი ლექსი უფეთქავდა, ლექსი რომელიც რაინდის სიკვდილის 'ემდეგ თოვლ'ზე "ეგლო და ტირილა":

„შენ კი, ბოშასავით მარდი,
ლექსით ამხნევებდი ბიჭებს...
ჩვენ ხომ კავკასიის დარდი,
გულზე მარწუხივით გვიჭერს.
მერე იყო დიდი ბრძოლა,
იყო გედენოსთან მწუხრი...
თბილისს ჩემი გული ძრწოდა
შვილის რომ გადაგემსხვრა მუხლი.
დილა გაგითენდა აჯად,
გაშმე, გადაგეცრა ფესვი...
მკერდთან გიფეთქავდა, ალბათ,
ჩემი ნატკივარი ლექსი“ (37,32).

პატრიოტული, ერთიანი და თავისუფალი კავკასიის თემას ეძღვნება თინათინის ლექსი „ჯურჯიაულის ციხე და ჩრდილოელები“. ხევსურეთის ულამაზესი ბუნების აღწერით იწყება ლექსი და პოეტს მა'შინვე უჩნდება სამართლიანი პროტესტი ჩრდილოელი მეზობლის მიმართ, ვინც კავკასია'ში უაღგილოდ ჩნდებოდა საუკუნეთა განმავლობა'ში და მის გამოჩენას ყოველთვის სისასტიკე, დაუნდობლობა და სისხლი მოყვებოდა:

„ღამე დაიმსხვრა მწვერვალზე
მზე ცის გუმბათზე ანთია...
და მიირწევა გზაწვრილზე

ცისკარაული ნათია.
ნამის წვეთები ბალახებს
უბრწყინავთ ათასფერები...
ხელით იჭერენ კალმახებს, -
ასაში - არხოტელები
ალბათ, ეს თეთრი ღრუბლები
ახიელაში მიდიან....
არხოტს დარდი აქვს ულევი,
არხოტის გულში ბინდია!...
ამ ცათა მეუფებაში
რა ესაქმება ჩრდილოელს?!.
სიკვდილთან უწევთ თამაში
ლეკს, ვაინახს და დიდოელს! (37,34).

პოეტს სჯერა, რომ მოძმე, მონათესავე და მეზობელი ქარ-თველები და ჩეჩნები ერთნი არიან და საერთო სატკივარიც ერთი აქვთ:

„დრო დადგა - ძველმა ქიშპობამ
გუდა-ნაბადი აიკრას...
ალარ ჰკიდია მომხდურთა
ხელის მტევნები ქვაისკარს.
გალმა რომ შავი ყორანი
ლეწავს ჩეჩენთა აულებს, -
ჯურჯიაულის ციხესთან
ცრემლი სდით ცისკარაულებს“ (37,35).

კიდევ ერთხელ შეძრწუნდება პოეტი ჩეჩნეთის ბედით, კიდევ ერთხელ დაიტირებს დანგრეულ გროზნოს და ქვაღმეფულ ჩეჩ-ნებს, კიდევ ერთხელ დაუმძიმებს გულს რუსული ჩექმებით

მორიგული პლანეტა და პოეზიის უძველესი ძეგლის შექმნის, რომელიც ჩვმცდაბში ისტორიაში „ჩეჩნეთის მარაბდის“ სახელწოდებით შევა:

„დაინგრა გროზნო და გაქვავდნენ ჩეჩნები,
ირეკება პლანეტა რუსული ჩექმებით...
ვერ შველის პრომეთეს ლექსები მგოსანთა,
ჩეჩნეთის მიწაზე სიკვდილი მობრძანდა“ (39,99).

შესაშური პოეტური ენით აღწერს პოეტი ჩეჩნეთში დატრიალებულ უბედურებას, საუკუნეების განმავლობაში სისხლით დაწერილ ჩეჩნეთის ისტორიას:

„მოზღავდა ზარი და ჩამოწვნენ ზვავები,
მეწამულ სივრცეში ღრეობენ სვავები...
დაჰყურებს ურჩხული ნანგრევებს ქალაქთა
სისხლით იწერება ჩეჩნეთის მარაბდა“ (39,99).

პოემა კარგად იცის ჩეჩნი მეომრების ბუნება რომ მტერს არაფრის ფასად არ დანებდებიან ლომები და რომ სისხლს ასი ათასად ანთხევინებენ:

„მთებში გაბრაზულან ამაყი ლომები,
იციან ლომებმა ლომური ომები –
სისხლს ანთხევინებენ მტერს ასი ათასად,
თოვლის სიმკაცრეში რეკავენ ჰაზავათს!“ (39,99).

პოეტი წუხს, რომ სიმართლე უცმერთოდ ისჯება, რომ უთანასწორო ბრძოლებში დაცლილი ლომების ღრიალი სამყაროს ანგრევს, რომ პრომეთეს ლექსები მგოსანი ვერ შველის და ჩეჩნეთის მიწაზე სიკვდილი მიანც მობრძანდა;

„და ამსხვრევს ჯებირებს ქარი და გრიგალი
და ანგრევს სამყაროს ლომების ღრიალი
და უთანასწორო ბრძოლებით დაღლილი -
დგას კავკასიონზე მამაცი შამილი.
სადღაც მისისიპზე, ან სადღაც ვოლგაზე
ფარფატებს უღმერთოდ დასჯილი სიმართლე -
ვერ შველის პრომეთეს ლექსები მგოსანთა,
ჩეჩნეთის მიწაზე სიკვდილი მობრძანდა“ (39,99).

თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიის ღირსება ის არის, რომ ის თავის შემოქმედებაში ამოსთქვამს ქართველი ხალხის სათქმელს, როგორც ეს დამახასიათებელია ყველა ჭეშმარიტი პოეტისათვის. ასეთი პოეზიაა, თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინს რომ მატებს და ასალკლდევებს მთის არწივებს, ამაღლებს სულიერად და ზნეობრივად და აღუღებებს ქისტ ქართველთა ისტორიულ ძმობას. ასეთ პოეზიაშია ის უძლეველი ძალა, რომლის წინაშეც უძლურია ისეთი საზარელი ურჩხულიც კი, როგორიც რუსეთის იმპერიაა, იმპერია კაცობრიობის ბოროტებისა.

ბათირა არაბულის „სიმღერა მამაც ჩეჩნებზე“

საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის მეზობლად სახლობდნენ ქისტები და ხევსურები, ერთმანეთში ძმობაც ჰქონდათ და ღირსეული შუღლიც. მიუხედავად მკაცრი ქისტური ტრადიციისა (სხვა ეროვნებებთან ნათესაური კავშირების დამყარების აკრძალვა) და რელიგიური აღმსარებლობის სხვადასხვაობისა, ერთმანეთთან ნათესაურ კავშირებსაც ამყარებდნენ და ერთმანეთის ენასაც მშვენივრად ფლობდნენ. ხდებოდა პირიქი-

თაც, ერთ-ერთი ხალხური ლექსი ასე მიმართავს ქისტეთში გასათხოვრად გამზადებულ ქართველ ქალს:

„ქალ ქისტეს გაგათხოვებენ,
ქალმანი გინდა რკინისა,
მოგაგონდება ახმეტა,
სურვილი დაგლევს ღვინისა“ (63,282).

საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარზე შერეული სოფლებიც ჰქონდათ. მუცო'ში ხევსურები დღესაც სათუთად ეპყრობიან ბორჩაშვილების ნასახლარებს და ამაყად დგას ზვიადი მუცოს ციხის გვერდით ქისტების ნაკოშკარიც.

მსგავსი ზნე-ჩვეულებები და ადათ-წესები, წინაპართა ტრადიციები ვაჟკაც ქისტებს და ხევსურებს მუდმივად ერთმანეთთან თანადგომისა და ურთიერთ ჭირ-ვარამის გაზიარების საფუძველს უქმნიდა და, ამიტომაც, ერთმანეთის უბედობას ყოველთვის მძიმედ განიცდიდნენ.

წინაპართა ღირსეულ ტრადიციებს არც ბათირა არაბულმა უღალატა და ჩეჩნეთ'ში ბოლოს დროს დატრიალებულ ტრაგედიას მთელი არსებით გამოეხმაურა, მოძმე მეზობელსთა უბედურებით გულდაწუხებული პოეტი თავის ლექს'ში „სიმღერა მამაც ჩეჩნებზე“ ჩეჩნეთის თავზე დატრიალებულ ჯოჯოხეთს ასე აღწერს:

„რეკაენ გლოვის ზარები,
სისხლის ღვარები ჩქეფენო,
კაკანებს ავტომატები,
ჰაუბიცები სტვენენო,
ცეცხლშია მთელი ჩეჩნეთი,

იწვის გროზნო და ვედენო,
რა უღმერთობას სჩადიან,
რა სისაძაგლეს ბედვენო?!
ცოდო-ბრალს ატრიალებენ
მაღლა ღმერთს არა ხედვენო,
იჭერენ დიაც-ყმაწვილსა,
ყველას უწყალოდ ჟლეტენო,
იკლებენ დაბა-სოფლებსა,
უხვად დაელასა ხვეტენო...“ (4,7).

პოემა კარგად იცის ჩეჩნეთის ისტორია, მათი გმირული წარსული, აღფრთოვანებულია მათი სამშობლოს სიყვარულით და უდრეკელობით და სწამს, რომ ჩეჩნეთი ღირსია თავისუფლების და რუსი ბარბაროსი, მიუხედავად იმისა, რომ ავიწროებს, მაინც ვერ გატეხს მათ ვაჟკაცურ ბუნებას:

„აკმარე დასაბამიდან
რაც რომ ეწამა, ეგ ეყნო,
საკუთარ მიწას დარაჯობს,
რას ერჩი, რუსო, რეგვენო.
ებრძვიან, ავიწროებენ
და მაინც ვერა ტეხენო.
ეს რა უდრეკი ყოფილხარ,
რა გამძლე, ჩემო ჩეჩენო.
შენი ბრძოლის ხმა რომ მესმის,
თითქოს ეკლები მჩხვლეტენო,
შენი გმირობით შეძრული
ვმუნჯდები, ვკლავ ვმეტყველობ.
ღირსი ხარ თავისუფლების,
მხოლოდ სახელის მხედველო“ (4,7).

პოეტი თავს დამნაშავედ გრძნობს, რომ წინააღმდეგობრივ ტრადიციებს ღალატობს და მოძმეს ვერ ეხმარება საერთო მტრის წინააღმდეგ, ისიც აღუხებს, რომ საიქიოში წინაპარს ვერ ეჩვენება და აქვე მოძმის პირველობას და გამორჩეულობასაც აღიარებს:

„ვერ დავიკვეხნით შენთანა
ვერცა სხვა ერი, ვერც ჩვენო.
შენ რომ გიყურებ, ვწითლდები,
მრცხვენია, მხარს რომ ვერ გაგერო,
არ ვიცი, საიქიოში
წინაპრებს როგორ ვეჩვენო,
ცრემლი მადგება თვალზედა
და გულს დარდები გლეჯენო (4,7).

აქვე პოეტი ჩეჩნებს გმირ შვილებს უქებს:

„კარგი გაგიზრდავ ვაჟკაცი,
ბევრჯერ გარეკა მტრის ურდო,
გალალა როგორც ძროხანი!
არ დაჩოქილა ერთხელაც,
სანამდე იყო ცოცხალი!
საშობლოსათვის ჩამოდნა,
ჩამოხმა, როგორც ჯოყარი.
მტრისგან ღალატით მოკლული,
ღმერთმა აცხონოს ჯოჰარი!“ (4,7).

დასასრულს პოეტი ქედუხრელ ჩეჩნეთს გამარჯვებას და გამძლეობას უსურვებს, მან მშვენივრად იცის ჩეჩნების ბუნება, რომლებმაც ომის პირველი ღღეებიდანვე ფარად აიფარეს დიდი

ჯოხარის სიტყვები: „მისა, რომელიც არ იბრძვის განსაცდელებისათვის, იმსახურებს ორმაგ მონობას“:

„შატოს ცაზე ქარები
ღრუბლებს მატყლივით ჩეჩენო,
დრო არის შესაზარები
როგორი?! ღმერთო, შენ ჩემო?!
მოძალადეთა ჯარები
ჩეჩნეთის გულსა ჩეჩქვენო,
გამაგრდი, არ დაგაჩოქონ,
აგრემც შვილები შეგრჩენო!
გამარჯვებამდე იბრძოლე
ჩემო მამაცო ჩეჩენო!“ (4,7).

კითხულობ ამ სტრიქონებს და გული სიხარულით და იმედით გევსება, გწამს, რომ საუკუნეების მანძილზე ურყევად მცდარი ქართველებისა და ვაინახების ძმობასა და მეგობრობას ვერაფერი დააკლებს, უნებურად გახსენდება ქართველი პოეტის რ. მარცვალაშვილის სტრიქონები და გრძნობ, რომ მარტო არაა ხარ:

„ქრისტიანი ვარ, დაგლოცავთ
შეგებედავ ჩეჩნურ მეჩეთშიც,
ოღონდაც თავისუფლება
ქუხდეს ლომგულა ჩეჩნეთშიც“ (29,258).

არანაკლებ საყურადღებო და მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მწერლის მინდია არაბულის შემოქმედება, სადაც ავტორი წერის თავისებური, გამორჩეული სტილით გადმოსცემს თავის მძაფრ განცდებს ჩეჩნეთში მიმდინარე საომარ მოვლენებთან დაკავშირებით.

სულ რაღაც 20 წლის ასაკში უცხოეთში სასწავლებლად წასული ახალგაზრდა მთელი არსებით განიცდის დიდ სამშობლოში - კავკასიაში მიმდინარე პროცესებს.

ის შეგნებულად აღიქვამს ჩეჩნების თავს დატრიალებულ ტრაგედიას, ძალიან კარგად იცის ჩეჩნების ბუნება, აკი თვითონაც აღიარებს, რომ მასაც ურევია ერთი წვეთი ჩეჩნური სისხლისა, დიდი ბებო ჰყავდა ჩეჩენი და ისიც მშვენირად იცის, რომ ჩეჩნებს და ქართველებს შორის საუკუნეების მიღმა გაღებულ ძმობის ხიდს ვერავინ და ვერაფერი ვერ ჩაბენს: „... და ალბათ იყო დრო, როდესაც მთაზე სასმლით ვაცილებდით ერთმანეთს, ვერც ზვიადაურმა გაიაჭრა ერთობის მკერდი და ეხლაც ერთ ცას ვებღაუჭებით, თორე კავკასიონზე მაცდურად გაწოლილს“ (7,46-47).

სადღაც შორეთშიც არ ასვენებს ახალგაზრდა შემოქმედს მრავალტანჯული ჩეჩენი ხალხის თავს დატრიალებული ტრაგედია, ალფრთოვანებულია ჩეჩენი მებრძოლების მეფგარი და გაუტეხელი სულით: „...დაიქცა წყალი და თან ამოაყოლა ლაილლაჰილალლაჰს მოხუცმა გულისთქმა. გათავდა დაჭრილი. ერთს არ იჩივლებენ, რანია ლამაზი! ღაათოვს ითონხალს! (7,61).

უმოწყალოდ იბომბება ჩეჩნეთის მიწა, დაუნდობლად ისლიტება ჩეჩენი ერი, მეომარი მგლები კი დაუცლელად ცეკვავენ

და თითოეული ილუზია (ცქცვისა–ქ) ბრძოლაა. ბრძოლა ცხოვრებასარჩუნისათვის:

„გრიბნოის თავსე ჩიჩნური ლრიჭა ფრიალებს, ორი ჩიჩენი ცეკვავს. ცეკვა დაელამდება, გაძლებამდე! მერე რჩეულიშვილის „ალაერდობის“ მოცეკვაველებს ემსგავსებიან, თან ჰაერში ისვრიან ქუდებს. თავები უპრიალებთ, ქება-წყვერი გასაპარსი, თან ღიპი ხნის გასაპარსი, იარაღი გავარდა. კიდევ. შემდეგ მთელი რიგი გასროლისა, ზეიმობენ მგლები, ერთ-ერთი ისეთი სახით ცქცვავს, თითქოს არაფერი უხარია, თითქოს ძალით აცეკვებენ, მეორე დიდი ნახტომით ტოვებს წრეს. ეხლა სხვა ებმება, ვიღაც ბოთლიდანვე სვამს არაყს, თან იჯღანება. ცეცხ გაისროლა!...

ორი ჩიჩენი ცეკვავს. ცეკვა დაელამდება, გაძლებამდე!“ (7,119).

სამშობლოდან შორს მყოფს მშობლიური და მეზობელი ცის ჰანგები ენატრება და არ ასვენებს:

„იჰაა, გარმუნი შემოვიდა! ნუ იტყვი, აი ეს მკლავს, სხვა არაფერი... ეხლა უკვე ღამეა, ლამპიონის შუქზე გაფრენილად თოვს. ნეტა რა იქნება? გარმუნისა და ბალალაიკის ხმები ისე ეწყობიან, როგორც ძვირად ნაპოვნი წყვილი, მთის წვერზე მყოგარი...

თუ ერთი გარმუნის ხმა დაგვჭვა, ვერც მოიშორებ. ისე, არც გინდა გაექცე. ამ ჩიჩნური ჩანაწერის გამომგზავნელს თავს ვანაცვალებ“ (6,11).

ნოსტალგიას ჩიჩნური ჰანგებით იკლავს, ჩიჩნური ჰანგებით, რომლებიც ასე მშობლიურია მისთვის, სისხლს უდუღებს თან იმის შიშიც არ ასვენებს, რომ ცოტაც და კასეტას ლანდი გაუვა:

„ახლა ჩიჩნურს ვუსმენ და ვგრძნობ, როგორ მიღუღუღება სისხლი:

დოგანა, დოგანა, დოგანა
დოგანა, ხაილა, არგოთ...

...აი, ახლა წავუკითხე და თან დავუსტვინე (უნებურად), ხმამაღლა, ხომ ვთქვი, „ღუსს“-მეთქი!

ეთერო, საღმე შემთხვევით რამე ჩეჩნურ კასეტას თუ მიშოვნი, ძალიან გამახარებ. ამ კასეტას ლანდი გასდის“ (6,10).

მინდია არაბულის შემოქმედებაში ჩანს არა მარტო სიყვარული და თანადგომა მოძმე ერის მიმართ, არამედ მათი ტრადიციების კარგად ცოდნაც.

„...და თავთან სანთელი უმღლავნებს ცივ ნაკვთებს სახისას, ხელისგულთ აჩვენებს აულის მოამბეს მოხუცი ნაიბი, თან პირს აბანინებს არღუნში წამსვლელებს, ცრემლიან მარიტას შეუთქვამს მარჯვენას მოსისხლის და ცეკვავს განწყობა საუთროს ნაბადზე, გათელა, შეფერა ცოდვილი მიწის მტვრით, აღარ სწამს განგების... გაჭრიან ჭაბილგებს (ჩეჩნური ხაჭაპურები მ.ხ.) ოთხად და ასწრებენ მზის ჩასვლას სამარის სამზადისს. წასულან წამსვლელნი, ნაიბმა შიშველი ნიკორი შეაგდო არღუნში საძებრად ღაკარგულ ბედის და ათოვს ითონხალს...“ (7,61-62).

ჩეჩნეთში თეთრ ენძელებს წითელი ფერი აქვთ, სისხლის-ფერი, სისხლით გაჟღენთილი მიწა წითლად ამოხეთქს ენძელებს:

„გზაში, ვიწრო კლდიანში, ჩახოცეს ხამზათი და ბირკიევები, თეთრი ენძელები წითლად აკიაფდნენ ღონემიხდილ მზის შუქზე... გაზაფხულს ვიწრო კლდიანთან წითელი ენძელები ამოხეთქა მიწამ“... (7,28-29).

ბოლოთქმა

დიახ, არაერთხელ გაილაშქრა ქართულმა მწერლობამ ჩეჩნეთში დატრიალებული უბედურების წინააღმდეგ, იმ საშინელი იმპერიის წინააღმდეგ, ვინც დაულალავად ცელავს სიცოცხლეს მოძმე ვაინახების, და კიდევ და კიდევ და მრავალჯერ დადგება მოძმე ქისტების სიცოცხლის სადარაჯოზე. ამის დასტურია ჰოეტ ნინო მარსაგიშვილის გულისწუხილიც:

„სამების ტაძრის უკან თურად ქათქათებს სევის გულცივი და ზვიადი ჰატარძალი, მეინვარწყვრი. - ამ მშვენიერების შემურეს ძნელად წარმომიდგენია, ცამზე აზიდული კლდეების გადალმა, სიკვდილი დაულალავად და დაუსრულებლად რომ ცელავს სიცოცხლეს. ჩაუქი, ასხლეტილი ვაჟკაცების, ტანკენარი ქალების, ბავშვობაწართმეული ჩვილებისა და სვეგამწარებული მოხუცების, უძველესი კავკასიური ჯიშ-ჯილაგის - ვაინახების სიცოცხლეს.

...გულმა ვარამი ვერ დაიტია და ლექსად ამოხეთქა:

მეინვარო, გული გაითბე,
მთებო, ნუ ჩაირაზებით.
ქისტების ქლეტა გავიგე...
სატო არ გამიბრაზდები,
თუ მოძმეთ ტკივილი მალრჩობს,
ფიქრმა მათ კვალზე მატარა,
გაგლას, ვერ გშველით, ვერ გსარჩლობთ,
ერთი ქალი ვარ პატარა.
და განა სისუსტეს ჯრიგი,

და განა ცრემლმა დამღალა,
დედის მკერდს მოწუვეტილ ჩვილთა
სულის დაკოდვამ, დამღამა.
მომხდურის სისასტიკემ და
კლდიდან აულის აურამა.
გალმა დარჩენილ დათა და
მშობლიშვილების გაურამა.
მსრებით თუ ტკივილს ვატარებ,
სული კლდედ მერწა განცდამა.
ღმერთო, სწორი გზით მატარე!
გული სიკეთით გამთბარა.
ოთხივე კუთხივ ჯვარსა გწერთ,
თქვენს გზებს მოხედოს ალაჰმა
ამ ერთგულების ბარათს გწერთ,
ბალღამი იწო კალამმა.

...უაზბეკი, როგორც საქართველოს საზღვრისპირა რეგიონი, არასოდეს დარღვეულა, ვინაიდან მთის გადაღმა ქართველების ერთგული ინგუში და ჩეჩნი სალხი გვეგულებოდა. მათთან თითქმის უველა მოხვევს აკავშირებდა მშობლიშვილობა, მთიელ ვაჟკაცთა წმინდა კავშირი ნებისმიერ დიპლომატიაზე ძლიერი და ურღვევი". (58, 15-16).

დიახ, სწორედ ეს ძლიერი ტრადიცია ადგილებებდა და ამტკიცებდა ათასწლეულების განმავლობაში მეზობელ ქართველებსა და ვაინახებს შორის მშობასა და მეგობრობას და ღრმად ვართ დარწმუნებული, კიდევ მრავალ ათასწლეულებს გაუძლებს ვაჟკაცობისა და რაინდობის ეს წმინდა და შეუბღალავი კოდექსი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე გ. უკაცური აული, ჟურნალი „ცისკარი", თბილისი, 1981

2. ალბუთაშვილი მ. პანკისის ხეობა. თბილისი. 2005.

3. ალიბეგაშვილი გ. ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები. თბილისი. 1992

4. არაბული ბ. სიმაღერა მამაც ჩერნებზე. გაზეთი „ქუჩი" №22. თბილისი, 2001

5. არაბული ბ. ჟურნალი „ოლე", №3, 2006

6. არაბული მ. „გამიშვით ხევის წყალს დავეწაფო". გაზეთი „ახალი ეპოქა", თბილისი, 2001

7. არაბული მ. ვარიაციები მზეზე. თბილისი, 2003

8. არაბული შ. მტრების წუთისოფელი. თბილისი, 1986

9. არაბული შ. ნისლისფერი ცხენები. თბილისი, 2000

10. არაბული შ. ფერხისა. თბილისი, 1980

11. არდოტელი მ. თენების მთვარე. თბილისი, 1994

12. გაზეთი „დროება", №218, თბილისი, 1882

13. გაზეთი „დროება" №27, თბილისი, 1883

14. გამსახურდია კ. რჩეული თხზულებანი. ტ. II, თბილის, 1959

15. გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია. თბილისი. 2004

16. გელაშვილი ნ. დრო, პური და ღვინო. თბილისი, 2006

17. გრიშაშვილი ი. ალ. ყაზბეგი თეატრში. „ლიტერატურული ძიებანი". 1959.

18. დაიაური ა. მღერის არღუნი. თბილისი ,1993

19. ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. თბილისი, 1960

20. ვაჟა-ფშაველა, სტუმარ-მასპინძელი, თხზ. ტ. III, თბ.

21. ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ.ჰ. ვართაგავასი. თხზ. ტ. III, თბილისი, 1959

22. ვაჟა-ფშაველა. გმირის იდეალი ფშაველების წარმოდგენით. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი 9, №5317

23. ვაჟა-ფშაველა. ჩემი პოეზიის შესახებ. ჟურნალი „მნათობი“. №11-12, თბილისი, 1934

24. ვართაგავა იპ. სიძღერა მთის შვილის - ვაჟა-ფშაველასი, ჟურნალი „განათლება“. №14, თბილისი, 1914

25. ვართაგავა იპ. კრიტიკული წერილები. ტ. I, თბილისი, 1958

26. ვახუშტი კოტეტიშვილის ფოლკლორული რვეულები. ი. ბაიაშვილი. კრებული I, თბილისი, 1991

27. ზანდუკელი მ. თხზულებანი ტ. III, თბილისი, 1978

28. თუშური ჩანაწერები. ხალხური ლექსები, გამოცანები, ნატირლები, ზღაპრები. ჩაწერილია 1942 წ. კოსტა აზიკურის მიერ. თბილისი, 1995 (გამომც. მერანი)

29. „თავისუფლების“ დღიურები. თბილისი, 2006

30. კალანდაძე ა. ლექსები. თბილისი, 1985

31. კალანდაძე ა. რჩეული. თბილისი, 1978

32. კალანდაძე ა. ცეკვა ხანჯლებით. თბილისი, 1988

33. მამისიმედიშვილი ხ. ვაინახები და ქართველი მთიელები. თბილისი, 1997

34. მამისიმედიშვილი ხ. „ჩვენ კავკასიელი ერები ძალიან ვგავართ ერთმანეთს. „ახალი ქართული გაზეთი“, №36, თბ. 1998

35. მარგველაშვილი გ. მუცალი. თბილისი, 2001

36. მელაძე ო. ვაინახების გადმოსახლება საქართველოს მთიანეთში ანტიკურ ხანაში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. IV, „მემატიანე“, თბილისი, 2002

37. მღვდლიაშვილი თ. აპოთეოზი. თბილისი, 2002

38. მღვდლიაშვილი თ. მირაჟი უდაბნოში. თბილისი, 2001

39. მღვდლიაშვილი თ. და ვიყო ზეცამდე მართალი, ბათუმი, 1996

40. რობაქიძე გ. დრამები. თბილისი, 2003

41. საღლიანი ვ. სალამი მთებო. თბილისი, 1976

42. ფშაური კაფია, შემდგენელი გიგი ხორნაული, თბილისი, 1993

43. ფშაური დიალექტი, გიორგი ცოცანიძე, თბილისი, 1978

44. ქართლის ცხოვრება. ტ. I თბილისი, 1955

45. ქართლის ცხოვრება. ტ. II, თბილისი, 1959

46. ქართული ხალხური პოეზია. ტ. III. თბილისი. 1974
47. ქართული ხალხური პოეზია. საგმირო ლექსები. ტ. IV, თბილისი. 1975
48. ქართული ხალხური პოეზია. სატრფიალო ლექსები. ტ. VI, თბილისი, 1978
49. ქიქოძე გ. რჩეული თხზულებანი. ტ. I, თბილისი, 1963
50. ქურდიანი მ. ერთი კოკონის ქვამლი, გაზეთი „ერისიონი". თბილისი, 1990
51. ღანიშაშვილი მ. იჩქერია. თბილისი, 2002
52. ყაზბეგი ა. მოთხრობები და რომანები, ტ. I თბ., 1968
53. ყაზბეგი ა. მოთხრობები და რომანები, ტ. II, თბ., 1968
54. შავხელიშვილი ა. საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს-ში. „მეცნიერება". თბილისი, 1980
55. ჩეკურიშვილი ვ. ბედი კაცთა. მოთხრობები, თბილისი, 1973
56. ჩეჩნური ფოლკლორი. თბილისი, 1996 („კავკასიური სახლი")
57. ჩვენი სოფელი, რეგიონული საზოგადოებრივი ჟურნალი №1 თბილისი, 2007
58. ჩვენი სოფელი, რეგიონული საზოგადოებრივი ჟურნალი, №4, თბილისი, 2007
59. ჩვენი მწერლობა. გაზეთი „ახალი ეპოქის" დამატება, თბილისი, 2003
60. ცოცანიძე გ. თუშური ქრონიკები, თბილისი, 2005
61. ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა. თბილისი, 1988
62. ხანგოშვილი ხ. ქისტები. თბილისი, 2005
63. ხანგოშვილი მ. ვაინახური საგმირო ეპოსი. თბილისი, 2006
64. ხევსურული პოეზია. ტფ., 1931
65. ხელაშვილი მ. „ლექსო ამოგთქომ ოხერო". თბ., 2006
66. ხმით ნატირლები. შემდგენელი ნანული აზიკური. თბ., 2002
67. ხორნაული გ. მოთხრობები. „ახალგაზრდა", თბილისი, 1966
68. ხორნაული გ. ნეტამც მოგეკალ. თბილისი, 1996
69. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი. ტ. VII, თბილისი, 1984
70. ჯავახიშვილ გ. ქისტი ჩობანი. გაზეთი „ბახტრიონი" №91, ახმეტა, 1970

71. ჯაბუშანური გ. „ალი. ლილეის დაღრუბლული ცა". თბ., 1991
72. ჯალაბაძე ს. ქართულ-ვაინახური ურთიერთობების დინამიკა. ჩეჩნური ფენომენი ქართულ სინამდვილეში. თბილისი, 2006.
73.Зисерман А. Двадцать пять лет на Кавказе. Тифлис, 1879
74. Тутуев Х. По следам кавказских мифов "Абузар Аидамиров"(ინტერნეტ-გვერდი „დაიმოხქი" 2005).
75. Чеченцы: история и современность. состовитель и общая редакция Ю.А. Айдаева. Москва, 1996

სარჩევი

წინასიტყვაობა . . 3

I თავი

ქისტები ძართულ ლიტერატურაში 10

II თავი

საბჭოური კონცეპცია და ქისტი პერსონაჟები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში 29

„სტუმარ მასპინძელი" 29

„ალუდა ქეთელაური" 65

„სისხლის ძიება" 80

„მოკვეთილი" 88

III თავი

ჩეჩენ-ქისტები ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში 99

„მამის მკვლელი" 109

„ცოცია" 136

„ელისო" 142

„ელბერდ" 153

IV თავი

გველისმჭამელი მინდია და ქისტები 169

ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი" 172

გრიგოლ რობაქიძის „ლამარა" . 176

კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია" 190

V თავი

„ვაჭკაცის შანი... ჩვენც ვიცოდით და ქისტმაც იცოდა"

ზეპირსიტყვიერების ნიმუშები 207

კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია" 211

ანა კალანდაძის ლექსები 211

იოსებ ბაიაშვილის „ბერდიათ გაგა და ქარჩათ ბუბა" შოთა არაბული 217

„მტრების წუთისოფელი" 221

„ქისტური" 230

ქისტები ბაღათერ არაბულის ლექსების ციკლიდან
„ხევსურეთს ამბად სათქვამი“ 238
ვაჟკაცობისა და ურთიერთდანდობის ღირსეული
ტრადიცია გიგი ხორნაულის ნამდვილ ამბავში
„სისხლში ნაწრთობი“ 242

VI თავი
ვაინახების 1944 წ. გენოციდის ასახვა
ქართულ მწერლობაში . 251
ღილლო და ღილღველები გაბრიელ ჯაბუშანურის
პოეზიაში . 251
გრიგოლ აბაშიძის „უკაცური აული“ 295

VII თავი
ვალერიან ჩეკურიშვილის მოთხრობების ციკლი
„ჩემი მეზობელი ქისტები“ 309
„კარნახი“ 312
„ბედის წყარო“ 315
„ფულიკა“ 319
„ბედისწერა“ 324
„სანაძლეო“ 329
„ბებერი მსაჯები“ 332
„ანდერძი“ 338
„გალალებული სტუმარი“ 344
ნარკვევი „კოკონი კაკლიან გორაზე“ 348

VIII თავი
რუსეთ-ჩეჩნეთის ომები თანამედროვე
ეპოქაში და ქართული მწერლობა
ჩეჩენ-რუსეთის ომი და ნაირა გელაშვილის პოეზია 358
იჩქერია და მიხეილ ღანიშაშვილის პოეზია 366
ვაინახები თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიაში 375
ბათირა არაბულის „სიმღერა მამაც ჩეჩნებზე“ 385
ჩეჩნური ფენომენი მინდია არაბულის შემოქმედებაში 390
ბოლოთქმა 393
გამოყენებული ლიტერატურა 395